ნაწილი მეორე

I

სოფლის სიამოვნებანი

ის არაა ლამაზი, რადგან ფერ-
უმარილი არ წაუცხია.

სენტ-ბევი*

ოჰ, სოფელო, როდის გიხილავ კიდევ!

ჰორაციუსი

_ ბატონო, თქვენ, ალბათ, პარიზის საფოსტო ეტლს ელით? _ ჰკითხა ჟიულიენს იმ სასტუმროს პატრონმა, სადაც იგი საუზმის საჭმელად გაჩერდა.

_ დღევანდელს ან ხვალინდელს, ეს ჩემთვის სულერთია, _ უპასუხა ჟიულიენმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ საფოსტო ეტლი მოვიდა. შიგ ორი თავისუფალი ადგილი იყო.

_ როგორ! ეს შენა ხარ, ჩემო მეგობარო, საბრალო ფალკო? _ ჰკითხა მგზავრმა, რომელიც ჟენევის მხრიდან მოდიოდა, მამაკაცს, რომელიც ეტლში ჟიულიენთან ერთად ჩაჯდა.

_ მე მეგონა, ლიონის მახლობლად იყავი დასახლებული, საუცხოო ველზე რონის პირად, _ უპასუხა ფალკომ.

_ კარგი დასახლებაა! ქუდმოგლეჯილი გამოვრბივარ.

_ გამოვრბივარო, სენ ჟირო? შენი სიბრძნის მიუხედავად რაიმე დანაშაული ხომ არ ჩაგიდენია? _ ჰკითხა ფალკომ სიცილით.

_ გეფიცები, სჯობდა, მართლაც დანაშაული ჩამედინა. მე გავურბივარ შემზარავ ცხოვრებას, რომლითაც პროვინცია ცხოვრობს. მე მიყვარს ტყეების სიგრილე და ველების სიმშვიდე, შენ ეს კარგად იცი; ხშირად გისაყვედურია, რომანტიკოსი ხარო. პოლიტიკის გაგონებაც არ მინდოდა და სწორედ პოლიტიკა მაძევებს აქედან.

_ ჰო, მაგრამ, რომელ პარტიას ეკუთვნი?

_ არც ერთს, და სწორედ ეს მღუპავს. აი, მთელი ჩემი პოლიტიკა: მე მიყვარს მუსიკა, მხატვრობა; კარგი წიგნი მთელი მოვლენაა ჩემთვის; ჩქარა ორმოცდაოთხი წლის გავხდები. რამდენი წელიწადი უნდა ვიცოცხლო კიდევ? თხუთმეტი, ოცი, ოცდაათი საუკეთესო შემთხვევაში. ჰოდა, დარწმუნებული ვარ, რომ ოცდაათ წელიწადში მინისტრებად ცოტა უფრო გაქნილი, მაგრამ ისეთივე პატიოსანი ადამიანები იქნებიან, როგორნიც დღეს არიან. ინგლისის ისტორია ჩვენი მომავლის სარკედ მიმაჩნია. ყოველთვის აღმოჩნდება მეფე, რომელიც მოისურვებს გააფართოოს თავისი უფლებები; მდიდარ პროვინციელებს ყოველთვის ძილს დაუფრთხობს დეპუტატად გახდომის სურვილი, მირაბოს* მიერ მოხვეჭილი სახელი და მის მიერვე შეძენილი რამდენიმე ასი ათასი ფრანკი: ისინი ამას ლიბერალიზმსა და ხალხის სიყვარულს უწოდებენ. უკიდურეს მემარჯვენეებს ყოველთვის მიიზიდავს ან კარისკაცად ან კეთილშობილთა პალატის წევრად გახდომის სურვილი. სახელმწიფოს ხომალდზე ყველა მესაჭეობას მოისურვებს, იმიტომ რომ ეს კარგად ჯილდოვდება. ნუთუ იქ არასოდეს პატარა ადგილი არ აღმოჩნდება უბრალო მგზავრისთვის?

_ საქმეზე, საქმეზე გადადი, იგი განსაკუთრებით იმიტომ უნდა იყოს საინტერესო, რომ შენ მშვიდობიანი ხასიათი გაქვს. უკანასკნელ არჩევნებს ხომ არ გაუდევნიხარ პროვინციიდან?

_ ჩემი უბედურება უფრო შორიდან იწყება. ოთხი წლის წინათ ორმოცი წლისა ვიყავი და ხუთასი ათასი ფრანკი მქონდა; დღეს ოთხი წლით უფრო ხნიერი ვარ და ალბათ, ორმოცდაათი ათასი ფრანკით უფრო ღარიბი. მე ეს თანხა ჩემი მონფლერის კოშკის გაყიდვაზე დავკარგე. იგი რონის მახლობლად იყო აღმართული, საუცხოო ადგილას. პარიზში მომწყინდა ეს გაუთავებელი კომედია, რომლის თამაშს ეგრეთწოდებული XIX საუკუნის ცივილიზაცია გვაიძულებს. გულთბილობა და უბრალოება მომენატრა. მამული ვიყიდე მთებში რონის მახლობლად. ძნელია უფრო ლამაზი რამის წარმოდგენა ამქვეყნად. სოფლის მღვდელი და მეზობელი აზნაურები მთელი ნახევარი წლის განმავლობაში თავს მევლებოდნენ, მე კი მათ სადილებს ვუმართავდი. «პარიზი მივატოვე, რათა არც არაფერი გავიგონო, არც არაფერი ვილაპარაკო პოლიტიკის შესახებ-მეთქი, _ ვუთხარი მათ: _ ხომ ხედავთ, არც ერთ გაზეთს არ ვიწერ. რაც უფრო იშვიათად მოაქვს წერილი ფოსტალიონს, მით უფრო კმაყოფილი ვარ-მეთქი». მაგრამ ეს არ შედიოდა მღვდლის ანგარიშში. ჩქარა დამიწყეს თავის მობეზრება ათასი თხოვნით, კინკლაობით და სხვ. გადაწყვეტილი მქონდა ყოველწლიურად ორასი თუ სამასი ფრანკი გამეღო ღარიბებისთვის. დამიწყეს დახმარების

თხოვნა რელიგიური ასოციაციებისთვის: წმ. იოსებისა, ქალწული მარიამისა და სხვათათვის. უარი ვთქვი; ათასი შეურაცხყოფა მომაყენეს. მე უგუნურება გამოვიჩინე და გავჯავრდი. ამის შემდეგ აღარ შემეძლო დილით შინიდან გამოსვლა და ჩვენი მთების მშვენიერებით დატკბობა ისე, რომ რაიმე უსიამოვნებას არ გადავყროდი, რომელიც ოცნებას მიფანტავს და ადამიანთა ბოროტებას მახსენებს. მაგალითად, ამაღლების პროცესიის დროს, რომლის გალობაც მომწონს (ეს, ალბათ, ბერძნული მელოდიაა), ჩემს ყანებს აიაზმას აღარ აპკურებენ, იმიტომ რომ მღვდელი მათ უღმრთო ადამიანის საკუთრებად თვლის. ერთ ბებერ ღვთისმლოცველ გლეხის დედაკაცს ძროხა მოუკვდა. მან განაცხადა, თითქო ამის მიზეზი იყოს ტბა, რომელიც მე, პარიზიდან მოსულ უღმრთო ფილოსოფოსს მეკუთვნის, და ერთი კვირის შემდეგ ვხედავ, რომ ჩემს ტბაში მთელი თევზი კირით მოუწამლავთ. მომრიგებელი მოსამართლე პატიოსანი ადამიანია, მაგრამ თავისი ადგილის დაკარგვას უფრთხის და მუდამ მე მამტყუნებს. მინდორ-ველების სიმშვიდე ჩემთვის ჯოჯოხეთად იქცა. როგორც კი დაინახეს, რომ მიმატოვა მღვდელმაც, რომელიც სოფლის კონგრეგაციის მეთაურად ითვლება და არც ლიბერალების ბელადი, სამსახურიდან გამოსული კაპიტანი მიჭერს მხარს, ყველანი თავს დამესხნენ, ის კალატოზიც კი, რომელსაც ერთი წელიწადი ჩემს ხარჯზე ვინახავდი, თვით მჭედელიც, რომელსაც ჩემი მოტყუება უნდოდა გუთნების შეკეთებაში. ბოლოს, რათა დახმარება მიმეღო და ზოგიერთი პროცესი მაინც მომეგო, ლიბერალი გავხდი; მაგრამ ამ დროს ამ ღვთისგან შეჩვენებულმა არჩევნებმა მომისწრო და ხმის მიცემა მომთხოვეს...

_ უცნობის სასარგებლოდ?

_ სრულიადაც არა; ადამიანისთვის, რომელსაც ძლიერ კარგად ვიცნობ. მე უარი ვთქვი. ეს საშინელი გაუფრთხილებლობა აღმოჩნდა! ამ წუთიდან ლიბერალებიც თავს დამესხნენ; ჩემი მდგომარეობა აუტანელი გახდა. მე მგონია, ჩვენს ხუცესს თავში აზრად რომ მოსვლოდა, ჩემთვის ჩემი მოსამსახურე ქალის მკვლელობა დაებრალებინა, ოც მოწმეს მაინც იშოვიდა ორივე პარტიაში; ისინი დაიფიცებდნენ, ჩვენი თვალით ვნახეთ მკვლელობის დროსო.

_ შენ გინდა სოფლად იცხოვრო ისე, რომ შენი მეზობლების ვნებათაღელვას არ გაუწიო ანგარიში და მათი ლაყბობა არ მოისმინო? რა შეცდომაა!..

_ ახლა ეს შეცდომა გამოსწორებულია. მონფლერის მამული იყიდება; მე ორმოცდაათ ათას ფრანკს დავკარგავ, თუ ეს საჭირო გახდა; მაგრამ კმაყოფილი ვარ, რომ ვტოვებ ამ ფარისევლობისა და კინკლაობის ბუდეს. მივდივარ, რათა მარტოობა და

სოფლური მშვიდობა ერთადერთი ადგილას ვეძებო, სადაც იგი საფრანგეთში არსებობს, სახელდობრ მეოთხე სართულზე, რომელიც ელისეს მინდვრებს გადაჰყურებს.

_ ყოველივე ეს ბონაპარტის დროს არ მოგვიდოდა, _ უთხრა ფალკომ, რომელსაც თვალები უბრწყინავდა სიბრაზითა და სინანულით.

_ შეიძლება, მაგრამ რად ვერ მოისვენა ამ შენმა ბონაპარტმა ერთ ადგილას? თუ დღეს ვიტანჯები, ეს მისი წყალობითაა.

აქ ჟიულიენის ყურადღება გაორკეცდა. მან გაიგო, რომ ბონაპარტისტი ფალკო ბ. დე რენალის ბავშვობის დროის ამხანაგია, ამ უკანასკნელის მიერ უკუგდებული 1816 წელს, ხოლო ფილოსოფოსი სენ ჟირო ძმაა პრეფექტურის კანცელარიის უფროსისა, რომელმაც მყიდველს ასე იაფად მიაკუთვნა თემის კუთვნილი სახლი.

_ და ყოველივე ეს შენმა ბონაპარტმა მოიმოქმედა, _ განაგრძო სენ ჟირომ: _ პატიოსან და უწყინარ ადამიანს, რომელმაც ორმოც წელს მიაღწია და ხუთასი ათასი ფრანკი აქვს, არ შეუძლია პროვინციაში გაჩერება და იქ მშვიდობიანობის მოპოვება; ხუცები და აზნაურები მას გააგდებენ.

_ აჰ, ცუდს ნურაფერს ამბობ მასზე, _ წამოიძახა ფალკომ: _ არასოდეს საფრანგეთი ისე პატივცემული არ ყოფილა უცხოელების მიერ, როგორც მისი ცამეტი წლის მეფობის დროს იყო. ყველაფერს, რაც კი კეთდებოდა, სიდიადის ნიშანი ეჭდო.

_ ეშმაკსაც წაუღია შენი იმპერატორის თავი, _ უპასუხა ორმოცდაოთხი წლის კაცმა: _ იგი დიდი იყო მხოლოდ, როცა ბრძოლის ასპარეზზე იმყოფებოდა და როცა ფინანსები აღადგინა 1802 წელს. შემდეგ კი როგორღა იქცეოდა? თავისი დარბაზის ყრმებით, თავისი კომფორტითა და ტიუილრის სასახლეში გამართული დღესასწაულებით მან მონარქიული სისულელეების ახალი გამოცემა მოგვცა. ეს გამოცემა გასწორებული იყო და შეეძლო ერთი-ორი საუკუნე კიდევ გაეძლო. მაგრამ აზნაურებმა და ხუცებმა ძველის დაბრუნება მოინდომეს, თუმცა რკინის ხელი არ შესწევთ ამის მისაღწევად.

_ აი, ძველი მესტამბის შესაფერი ენა თუ გინდათ, ეს არის!

_ ვინ მაძევებს ჩემი მიწიდან? _ განაგრძო გულმოსულმა მესტამბემ: _ ხუცები, რომელნიც ნაპოლეონმა თავისი კონკორდატით უკან მოიწვია იმის მაგივრად, რომ იმათ ისე მოპყრობოდა, როგორც სახელმწიფო ექიმებს, ვექილებს, ასტრონომებს ეპყრობა. ისინი მხოლოდ მოქალაქეებად მიეჩნია, თავი არ შეეწუხებია ხელობაზე, რომლითაც ისინი თავს ირჩენენ. განა დღეს თავხედი აზნაურები კიდევ იარსებებდნენ, შენს ბონაპარტს ბარონები

და გრაფები რომ არ შეექმნა? არა, მათი დრო წავიდა. ხუცების შემდეგ ყველაზე მეტად პატარა სოფლის აზნაურებმა გამიჭირეს საქმე და მაიძულეს ლიბერალი გავმხდარიყავი.

საუბარი დაუსრულებლივ გაგრძელდა. ეს საკითხები კიდევ ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიიპყრობს საფრანგეთის ყურადღებას. რადგან სენ ჟირო იმეორებდა, შეუძლებელია პროვინციაში ცხოვრებაო, ჟიულიენმა გაუბედავად ბ. დე რენალის მაგალითი წარმოადგინა.

_ რას ამბობთ, ყმაწვილო! _ წამოიძახა ფალკომ: _ იგი ჩაქუჩად იქცა, საშინელ ჩაქუჩად, რათა მისთვის გრდემლობა არ დაეკისრებინათ. მაგრამ ვალნო მას ჩქარა გაასწრებს. იცნობთ თუ არა ამ გარეწარს? სწორედ რომ გარეწარია. რას იტყვის თქვენი ბ. დე რენალი, როცა ერთ მშვენიერ დღეს მას გადააყენებენ, ხოლო მის ადგილზე ვალნოს დასვამენ?

_ იგი პირისპირ დარჩება თავის დანაშაულთან, _ უპასუხა სენ ჟირომ: _ მაშასადამე, თქვენ ვერიერს იცნობთ, ყმაწვილო! ჰოდა, ბონაპარტმა (წყეული იყოს მისი თავი და მისი მონარქისტული ოინბაზობა!) შესაძლებლად გახადა რენალების და შელანების მეფობა, ხოლო ამ უკანასკნელს ვალნოების და მასლონების მეფობა მოჰყვა.

ამ საუბარმა პირქუში პოლიტიკის შესახებ გააკვირვა ჟიულიენი და ვნებიანი ოცნებებიდან გამოიყვანა.

იგი საკმაოდ გულგრილად უცქეროდა პარიზს, რომელიც შორიდან მოჩანდა. მისი მომავალი ბედის ჰაეროვან კოშკებს ბრძოლა უხდებოდათ იმ ოცდაოთხი საათის ცხოველ მოგონებასთან, რომელიც მან ვერიერში გაატარა. თავს ეფიცებოდა, არასოდეს ჩემი სატრფოს ბავშვებს არ დავტოვებ, ყოველივეს დავთმობ და მათ დასაცავად გავეშურები, თუ ხუცების თავხედობამ ხელახლა რესპუბლიკის დამყარება და თავადაზნაურობის დევნა გამოიწვიაო.

მაგრამ აი, ეტლი გაჩერდა და ჟიულიენი გამოერკვა ოცნებიდან. იგი საფოსტო სადგურის ეზოში იმყოფებოდა, ჟან-ჟაკ რუსოს ქუჩაზე.

_ მინდა მალმეზონში* გავემგზავრო, _ უთხრა ჟიულიენმა მოახლოებული კაბრიოლეტის მეეტლეს.

_ ამ დროს, ბატონო? რისთვის?

_ თქვენ ვინ გკითხავთ? გზას გაუდექით!

ყოველი ნამდვილი ვნება მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს. ამიტომ, მე მგონია, ვნებათაღელვანი სასაცილონი არიან პარიზში, სადაც ყოველ მეზობელს წარმოუდგენია,

თითქო მხოლოდ მასზე ფიქრობდნენ. მე აღარ აგიწერთ ჟიულიენის აღტაცებას მალმეზონში. იგი ტიროდა. როგორ, ნუთუ მართლა ტიროდა იმ ბეჩავი თეთრი კედლების მიუხედავად, რომელიც ამ წელს ააშენეს და რომელიც ამ პარკს ნაწილებად ჰყოფს? დიახ, ბატონო, ჟიულიენისთვის, ისევე როგორც ნაპოლეონის თაობის შთამომავლობისთვის, არავითარი არსებითი განსხვავება არ იყო არკოლესა, წმინდა ელენესა და მალმეზონს შორის.*

საღამოთი ჟიულიენი დიდხანს ყოყმანობდა, სანამ თეატრში შევიდოდა. მას უცნაური აზრები ჰქონდა ამ დამღუპველ ადგილზე; ღრმა უნდობლობა ხელს უშლიდა, აღტაცება განეცადა ცოცხალი პარიზის წინაშე. იგი მხოლოდ თავისი გმირის _ ნაპოლეონის მიერ დატოვებული ძეგლებით იყო აღფრთოვანებული.

«აი, მე ინტრიგებისა და ფარისევლობის ცენტრში მოვხვდი. აქ აბატ ფრილერის მფარველები მეფობენ».

მესამე დღეს, საღამოთი ჟიულიენი აბატ პირარს წარუდგა. ამ უკანასკნელმა ცივი ტონით აუხსნა, რაგვარი ცხოვრება მოელოდა მას ბ. დე ლამოლისას.

_ თუ რამდენიმე თვის შემდეგ საჭირო აღარ აღმოჩნდით, სემინარიაში დაბრუნდებით, მაგრამ უკეთესი პირობებით. თქვენ დაბინავდებით მარკიზთან, რომელიც ერთი უპირველესი დიდებულთაგანია საფრანგეთში. თქვენ შავ ტანისამოსს ჩაიცვამთ, მაგრამ არა როგორც მგლოვიარე ადამიანი ან სასულიერო პირი. მე მოვითხოვ, რომ სამჯერ კვირაში ღვთისმეტყველების ლექციები მოისმინოთ სემინარიაში, სადაც მე წარგადგენთ. ყოველდღე თორმეტ საათზე მარკიზის ბიბლიოთეკაში გამოცხადდებით: მარკიზს განზრახული აქვს წერილების წერა მოგანდოთ თავისი პროცესებისა და სხვა საქმეებისთვის. მარკიზი ყოველი მიღებული წერილის არშიაზე ორიოდე სიტყვით აღნიშნავს, როგორი პასუხი უნდა დაიწეროს. მე ვფიქრობ, რომ სამი თვის შემდეგ ისე გავარჯიშდებით ამ პასუხების წერაში, რომ თქვენ მიერ წარდგენილი თორმეტი წერილიდან მარკიზს თავისუფლად შეეძლება ხელი მოაწეროს რვას ან ცხრას. საღამოთი რვა საათზე მის ქაღალდებს დაალაგებთ, ხოლო ათზე თავისუფალი იქნებით. შეიძლება, _ განაგრძო აბატმა პირარმა, _ რომელიმე ხანშიშესულმა მანდილოსანმა ან რომელიმე ენაწყლიანმა ვაჟბატონმა, ტლანქად რომ ვთქვათ, ოქრო შემოგაძლიოთ და გთხოვოთ, მარკიზის მიერ მიღებული წერილები მაჩვენეთო.

_ აჰ, ბატონო! _ წამოიძახა ჟიულიენმა და მთლად აენთო.

_ გასაოცარია, _ თქვა აბატმა პირარმა მწარე ღიმილით, _ რომ თქვენი სიღარიბის მიუხედავად, და მას შემდეგ, რაც სემინარიაში ერთი წელიწადი გაატარეთ, თქვენ კიდევ ძალგიძთ ეს სათნო აღშფოთება გამოიჩინოთ. თქვენ, ალბათ, საკმაოდ ბეცი ხართ! ეს სისხლის ხმა ხომ არაა? _ ჩაილაპარაკა აბატმა, თითქო თავის თავს ესაუბრებაო: _ საკვირველი ისაა, _ დაუმატა მან და ჟიულიენს შეხედა, _ რომ მარკიზი თქვენ გიცნობთ... არ მესმის კი, საიდან. იგი ჟინიანი კაცია, აი მისი მთავარი ნაკლი; სულ უმნიშვნელო რამეებზეც კი ბრძოლას გაგიმართავთ. ხოლო თუ მადლიერი დარჩა, თქვენმა ჯამაგირმა შეიძლება რვა ათას ფრანკს მიაღწიოს. მაგრამ თქვენ კარგად გესმით, _ განაგრძო აბატმა გესლიანად, _ რომ ამ ფულს თქვენი მშვენიერი თვალებისთვის როდი გაძლევენ: თქვენ სარგებლობა უნდა მოუტანოთ. თქვენს ადგილას მე ცოტას ვილაპარაკებდი; უწინარეს ყოვლისა, არასოდეს არ ვილაპარაკებდი იმის შესახებ, რაც არ ვიცი. ჰო, მართლა, ცნობები შევაგროვე თქვენთვის. მარკიზს ორი შვილი ჰყავს, ერთი ქალი და ერთიც ცხამეტის წლის ვაჟი, მეტისმეტად მოხდენილი და გიჟმაჟი ყმაწვილი, რომელმაც დილას არ იცის _ საღამოს რას გააკეთებს. იგი ჭკვიანი და მამაცია, მონაწილეობას ღებულობდა ესპანეთის ომში.* არ ვიცი რატომ, მაგრამ მარკიზს იმედი აქვს, რომ თქვენ ახალგაზრდა გრაფი ნორბერის მეგობარი გახდებით. მე თქვენზე ვუთხარი, კარგი ლათინისტი არის-მეთქი; შეიძლება იმედი აქვს, რომ მის შვილს რამდენიმე მზამზარეულ ფრაზას შეასწავლით ციცერონისა და ვერგილიუსიდან. თქვენს ადგილას ამ მშვენიერ ყმაწვილს არასოდეს დაცინვის ნებას არ მივცემდი. არ დაგიმალავთ, რომ ახალგაზრდა მარკიზი დე ლამოლი თავდაპირველად აგითვალწუნებთ თუნდაც იმიტომ, რომ თქვენ წვრილი ბურჟუა ხართ. მისი წინაპარი კარისკაცი იყო, რომელსაც პატივი დასდეს და 1574 წლის 26 აპრილს პოლიტიკური ინტრიგისთვის თავი მოჰკვეთეს გრევის მოედანზე;* თქვენ კი ვერიერელი დურგლის შვილი ხართ და, რაც უფრო საყურადღებოა, ჯამაგირს ღებულობთ მისი მამისაგან. კარგად აწონეთ ეს განსხვავება და ამ გვარის ისტორია მორერის* წიგნში შეისწავლეთ. პირმოთნე ადამიანები, რომელნიც ამ ოჯახში სადილობენ, დროგამოშვებით სიტყვას გადაკრავენ ამ ისტორიის შესახებ. კარგად დაფიქრდით, სანამ ჰუსართა ესკადრონის უფროსის და საფრანგეთის მომავალი პერის ბ. გრაფ ნორბერ დე ლამოლის ხუმრობას პასუხს გასცემდეთ და მერე ჩემთან ნუღარ მოხვალთ საჩივლელად.

_ მე მგონია, _ უპასუხა შეფაკლულმა ჟიულიენმა, _ რომ არც კი უნდა ვუპასუხო ადამიანს, რომელსაც ვეზიზღები.

_ თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ ამ ზიზღზე: იგი მხოლოდ გადაჭარბებულ ქათინაურებში გამოიხატება. უჭკუო რომ ყოფილიყავით, ადვილად წამოეგებოდით ანკესზე; თუ კარიერის გაკეთება გსურთ, უნდა წამოეგოთ კიდეც.

_ როცა ყოველივე ეს მომწყინდება, უმადურ ადამიანად ხომ არ ჩამთვლიან, ჩემ პატარა №108 სენაკში რომ დავბრუნდე?

_ უეჭველია, _ უპასუხა აბატმა, _ ამ სასახლის მლიქვნელები თქვენ ცილს დაგწამებენ, მაგრამ აქ უკვე მე მოგეშველებით. Adsum qui feci.* მე ვიტყვი, ეს გადაწყვეტილება ჩემგან გამომდინარეობს-მეთქი.

ჟიულიენი შეწუხებული იყო მწარე, თითქმის ბოროტი ტონით, რომლითაც მას აბატი პირარი ესაუბრებოდა. საქმე ისაა, რომ აბატს თავისი სინდისის საქმედ ექცია ჟიულიენის სიყვარული და რაღაც რელიგიური ძრწოლით ერეოდა მის ბედში.

_ თქვენ აგრეთვე შეხვდებით ქალბატონ დე ლამოლს, _ განაგრძო აბატმა წინანდებურად მწყრალად, თითქო მძიმე ვალდებულებას ასრულებდა: _ ეს მაღალი ქერა ქალია, ღვთისმოსავი, ამაყი, მეტისმეტად ზრდილობიანი და მაინც უმნიშვნელო. იგი ქალიშვილია ბებერი დუკა დე შოლნისა, რომელიც თავისი აზნაურული ცრუმორწმუნეობებითაა ცნობილი. ეს მანდილოსანი ერთგვარი სქემაა, ერთგვარი რელიეფია იმისა, რასაც მისი წრის ქალები წარმოადგენენ. იგი არ მალავს, რომ ისეთი წინაპრის ყოლა, რომელსაც ჯვაროსანთა ომებში მიუღია მონაწილეობა, ერთადერთი პატივსადები უპირატესობაა მისი შეხედულებით. ფულით მინიჭებული პრივილეგია ამას დიდად ჩამორჩება. ეს თქვენ გაკვირვებთ? ჩვენ პროვინციაში აღარ ვიმყოფებით, ჩემო მეგობარო. თქვენ შეამჩნევთ, რომ მის სალონში მრავალი დარბაისელი ჩვენს მეფისწულებზე მეტისმეტად მსუბუქი ტონით ლაპარაკობს. რაც შეეხება ქალბატონ დე ლამოლს, იგი ყოველთვის მოკრძალებული ჩურჩულით ლაპარაკობს, როცა მეფისწულს, განსაკუთრებით მეფის ასულს ასახელებს. მე თქვენ არ გირჩევთ, მის გასაგონად თქვათ, ფილიპე II* ან ჰენრიხ VIII* არაკაცები იყვნენო. ისინი მეფეები არიან, ეს კი მათ უცილობელ უფლებას აძლევს ისეთი უჯიშო ადამიანების პატივისცემაზე, როგორნიც ჩვენ ვართ. მაგრამ ჩვენ მღვდლები ვართ; იგი თქვენც სასულიერო პირად ჩაგთვლით: მღვდლებს კი ეს მანდილოსანი ისე უცქერის, როგორც ლაქიებს, რომელნიც აუცილებელი არიან მისი სულის ხსნისთვის.

_ ბატონო, _ თქვა ჟიულიენმა, _ მე მგონია, რომ დიდხანს არ დავრჩები პარიზში.

_ ძალიან კარგი. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენი წრის ადამიანი მხოლოდ წარჩინებული პირების შემწეობით ეწევა ბედს. თქვენ ისეთი ხასიათი გაქვთ, რომ ჩემი შეხედულებით, ან დიდ ბედს ეწევით, ან დევნილი გახდებით: თქვენთვის საშუალო გზა არ არსებობს. თავს ნუ მოიტყუებთ. რა მოგივიდოდათ ბეზანსონში, თუ მარკიზ დე ლამოლს ერთგვარი დაჟინება არ გამოეჩინა? როცა იქნება, თქვენ გაიგებთ, რა ბევრი გააკეთა მან თქვენი გულისათვის, და თუ თქვენ უგულო ადამიანი არა ხართ, სამუდამოდ მადლიერი დარჩებით მისი და მისი ოჯახისა. რამდენ თქვენზე უფრო განსწავლულ აბატს წლები გაუტარებია პარიზში და მხოლოდ ორიოდე სუ ჰქონია შემოსავალი: თხუთმეტი სუ წირვისთვის, ხოლო ათი სორბონის* დისპუტისთვის. ხომ გახსოვთ, რა გიამბეთ წარსულ ზამთარში იმ არამზადა კარდინალ დიუბუას* შესახებ? იქნებ ამპარტავნობა გაფიქრებინებთ, რომ მასზე უფრო ნიჭიერი ხართ? მე, მაგალითად, წყნარი ხასიათის და საშუალო ნიჭის კაცი ვარ; ვფიქრობდი, ჩემს სემინარიაში მოვმკვდარიყავი; რაღაც ბავშვურად შევეთვისე. მერე რა? გადამაყენებდნენ, თვით რომ არ გადავმდგარიყავი. იცით, როგორი იყო ჩემი ქონებრივი მდგომარეობა? ხუთას ოცი ფრანკი მქონდა, არც მეტი, არც ნაკლები; არც ერთი მეგობარი არ მყოლია, მხოლოდ ორი-სამი ნაცნობი შემრჩა. ამ გაჭირვებული მდგომარეობიდან ბ. დე ლამოლმა გამომიყვანა, რომელიც წინათ არასოდეს არ მენახა: მან მხოლოდ ერთი სიტყვა დახარჯა და მაშინვე მდიდარი მრევლი მომცეს. ჩემს სამწყსოში ტლანქი ბიწიერებისგან თავისუფალი შეძლებული ადამიანები არიან. მე კიდეც მრცხვენია, რომ ასეთ დიდ შემოსავალს ვღებულობ, სრულიად შეუფარდებელს ჩემს მცირედს შრომასთან. ამდენ ხანს იმიტომ გელაპარაკებით, რომ ცოტათი გაგინელოთ გახურებული თავი. კიდევ ერთს გეტყვით: საუბედუროდ, გულფიცხი კაცი ვარ; შეიძლება ჩვენ ერთმანეთს დავემდუროთ. თუ მარკიზის ამპარტავნობამ ან მისი ვაჟის ბოროტმა დაცინვამ ეს სახლი თქვენთვის საბოლოოდ აუტანელი გახადა, გირჩევთ, სწავლა რომელიმე სემინარიაში დაასრულოთ ოცდაათი ლიეს მანძილზე პარიზიდან; უმჯობესია ჩრდილოეთი, ვიდრე სამხრეთი: ჩრდილოეთით ხალხი უფრო განათლებულია და, _ დაუმატა მან ხმადაბლა, _ უნდა გამოგიტყდეთ, პარიზის გაზეთების მეზობლობა აშინებს პაწია მტარვალებს. ხოლო თუ ჩვენ მეგობრული ურთიერთობა შევინარჩუნეთ, მარკიზის ოჯახი კი თქვენთვის შეუფერებელი გახდა, მე თქვენ ჩემი მოადგილის თანამდებობას გთავაზობთ და შუაზე გაგიყოფთ იმ შემოსავალს, რომელსაც ეს მრევლი გვაძლევს. ვალდებული ვარ თქვენ ესა და კიდევ მეტი შემოგთავაზოთ, _ დაუმატა მან, რათა ჟიულიენისთვის ხელი შეეშალა, რომ მადლობა გადაეხადა, _ იმ თავისებური

წინადადების სანაზღაუროდ, რომელიც ბეზანსონში გამიკეთეთ. მაშინ რომ ხუთას ოცი ფრანკი არ მქონებოდა, თქვენ გადამარჩენდით.

აბატის ხმამ დაკარგა მკაცრი ტონი. თავისდა სამარცხვინოდ ჟიულიენმა იგრძნო, რომ თვალებზე ცრემლი მოადგა. მას ტანჯავდა სურვილი, გულში ჩაკვროდა თავის მეგობარს. თავი ვერ შეიკავა და რაც შეიძლება ვაჟკაცური სახის გამომეტყველებით უთხრა:

_ მამაჩემს აკვანშივე შევძულდი: ეს ჩემი ერთი უდიდესი უბედურება იყო; მაგრამ შემთხვევას აღარ დავემდურები - მან თქვენი სახით მამა მაპოვნინა, ბატონო.

_ ეს კარგია, ძალიან კარგია, _ უპასუხა შემცბარმა აბატმა, რომელიც შეეცადა სემინარიის დირექტორის ტონს დაბრუნებოდა: _ მხოლოდ არასოდეს შემთხვევა არ უნდა თქვათ, შვილო ჩემო; ყოველთვის განგება თქვით.

ფიაკრი გაჩერდა. მეეტლემ დაჰკრა უზარმაზარი ჭიშკრის ბრინჯაოს ჩაქუჩი: ეს დე ლამოლის სასახლე იყო, და რათა გამვლელ-გამომვლელთ ამაში ეჭვი არ შეჰპარვოდათ, მისი გვარი შავ მარმარილოზე იყო ამოკვეთილი კარის თავზე.

ეს ყოყლოჩინობა არ მოეწონა ჟიულიენს. ამ ხალხს გული უსკდება იაკობინელების შიშით! ისინი რობესპიერსა და მის ფორანს ხედავენ ყოველი ღობის გადაღმა.* მათი შიში ხანდახან სასაცილოა და, ამისდა მიუხედავად, ასეთ საჯარო ნიშანს უკეთებენ თავიანთ სახლებს, რათა, თუ ამბოხება მოხდა, ბრბომ იგი იცნოს და გაძარცვოს. მან თავისი აზრი აბატ პირარს გაუზიარა.

_ აჰ, საბრალო ბავშვო, თქვენ ჩქარა ჩემი მოადგილე გახდებით. რა საშინელი აზრი მოგსვლიათ თავში.

_ მე მგონი, რომ ამაზე მარტივი არაფერია, _ უპასუხა ჟიულიენმა.

მეკარის სიდინჯემ და განსაკუთრებით ეზოს სისუფთავემ იგი აღტაცებაში მოიყვანა. მზე უხვად ანათებდა.

_ რა დიდებული ხუროთმოძღვრებაა! _ უთხრა მან თავის უფროს მეგობარს.

ეს სიტყვები ეხებოდა სენ ჟერმენის გარეუბნის ერთ ულაზათო ფასადიან სასახლეს, რომელიც ვოლტერის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იყო აშენებული. არასოდეს მოდა და სილამაზე ასე დაშორებული არ ყოფილა ერთმანეთს.

II

საზოგადოებაში გასვლა

ეს მოგონება სასაცილოცაა და გულის ამაჩუყებელიც. მაგონდება პირველი სალონი, სადაც თვრამეტი წლისა მარტო შევედი დაუხმარებლად! საკმაო იყო ქალის ერთი შემოხედვა, რომ შევშფოთებულიყავი. რაც უფრო ვცდილობდი თავი მომეწონებია, მით უფრო ხელმარცხი ვხდებოდი. ყველაფერზე უკუღმართი წარმოდგენა მქონდა: ზოგს უმიზეზოდ ვენდობოდი, ზოგს კი მტრად ვთვლიდი მხოლოდ იმიტომ, რომ მან მედიდურად შემომხედა. მაგრამ იმ საშინელ უბედურებათა შორის, რომელსაც ჩემი მორცხვობა იწვევდა, მაინც რა მშვენიერი იყო ეს ნათელი დღე!

კანტი

ჟიულიენი გაშტერებული გაჩერდა შუა ეზოში.

_ გონიერი სახის გამომეტყველება მიიღეთ, _ უთხრა აბატმა პირარმა. _ ხან საშინელი აზრები მოგდით თავში, ხან კიდევ ისე იქცევით, როგორც ნამდვილი ბავშვი! სადაა ჰორაციუსის nil mirari (ნურაფერს გაიკვირვებ)? ნუ დაივიწყებთ, ლაქიებმა რომ დაგინახონ, როგორ გაშეშებულხართ, სასაცილოდ აგიგდებენ; თავიანთ თანასწორად მიგიჩნევენ, იფიქრებენ, უსამართლოდ დგას ჩვენზე მაღლაო. გულკეთილობით რჩევა-დარიგებას მოგცემენ, ვითომდა ჭკუის სწავლებას დაგიწყებენ და რაიმე უდიდეს სისულელეს ჩაგადენინებენ.

_ მე მათი არ მეშინია, _ უპასუხა ჟიულიენმა და ისევ თავდაჭერილი და უნდობელი გახდა.

სალონები, პირველ სართულზე რომ განვლეს, სანამ მარკიზის კაბინეტს მიაღწევდნენ, ერთსა და იმავე დროს პირქუშიც გეჩვენებოდათ და დიდებულიც, ჩემო მკითხველო. თუნდაც ეჩუქებინათ თქვენთვის, უარს იტყოდით იქ დაბინავებაზე; ეს იყო მთქნარებისა და სევდიანი ფიქრების სავანე. მაგრამ მათ გააორკეცეს ჟიულიენის აღტაცება. «როგორ შეიძლება ადამიანი უბედური იყოს, როცა ასეთ ბრწყინვალე ბინაში ცხოვრობს», _ ფიქრობდა იგი.

ბოლოს მათ ამ მდიდრული სასახლის ყველაზე უშნო ოთახს მიაღწიეს: იგი ჩაბნელებული იყო. იქ ტანმორჩილი, გამხდარი კაცი იჯდა. მას ცოცხალი თვალები ჰქონდა და ქერა პარიკი ეხურა. აბატი ჟიულიენისკენ მობრუნდა და უცნობს წარუდგინა. ეს თვით

მარკიზი იყო. ჟიულიენს გაუჭირდა მისი ცნობა, ისე ზრდილობიანად შეხვდა იგი. ეს აღარ იყო ამპარტავანი დარბაისელი, რომელიც მან პირველად ბრელეჰოს სააბატოში ნახა. ჟიულიენს ეჩვენა, რომ მისი პარიკი მეტად სქელი იყო. ამ აღმოჩენამ გაათამამა.

ანრი III-ის პირადი მეგობრის ჩამომავალს, მისი აზრით, საკმაოდ უბადრუკი მიხრა-მოხრა ჰქონდა. იგი მეტისმეტად მჭლე და მოძრავი იყო. მაგრამ მაშინვე შეამჩნია, რომ მარკიზი კიდევ უფრო თავაზიანად ეპყრობოდა მოსაუბრეს, ვიდრე თვით ბეზანსონის ეპისკოპოსი. აუდიენცია მხოლოდ სამ წუთს გაგრძელდა. გამოსვლისას აბატმა უთხრა ჟიულიენს:

_ თქვენ ისე უცქეროდით მარკიზს, თითქო იგი სურათი ყოფილიყოს. მე დიდი ოსტატი არა ვარ იმ დარგში, რასაც ეს ადამიანები ზრდილობას უწოდებენ - ჩქარა თქვენ ამ მხრივ მეტი გეცოდინებათ, ვიდრე მე ვიცი, მაგრამ თქვენი თამამი გამოხედვა თავაზიანად არ მომეჩვენა.

ისინი ფიაკრში ჩასხდნენ და ბულვარის მახლობლად ჩამოხტნენ. აბატმა ჟიულიენი დიდ დარბაზებში შეიყვანა. ჟიულიენმა შეამჩნია, რომ იქ ავეჯი არ იყო. იგი მოვარაყულ საუცხოო საათს უცქეროდა, რომელზედაც, მისი აზრით, მეტისმეტად უხამსი რამ იყო გამოხატული, როცა მას მოხდენილი მამაკაცი მიუახლოვდა თავაზიანი სახით. ჟიულიენმა ოდნავ დახარა თავი.

უცნობმა მამაკაცმა გაუცინა და ხელი დაადო მხარზე. ჟიულიენი შეკრთა და უკან გადახტა. იგი გაწითლდა სიბრაზისაგან. თავისი სერიოზულობის მიუხედავად აბატმა პირარმა იმდენი იცინა, რომ თვალები ცრემლებით აევსო. ეს მამაკაცი თერძი იყო.

_ მე თქვენ ორი დღით განთავისუფლებთ, _ უთხრა აბატმა მაღაზიიდან გამოსვლისთანავე, _ შემდეგ კი ქალბატონ დე ლამოლს წარგიდგენთ. სხვა ჩემს ადგილას ახალგაზრდა ქალიშვილივით გაგიფრთხილდებოდათ, განსაკუთრებით პირველ დღეებში, რომელთაც ამ ახალ ბაბილონში ატარებთ. თუ დასაღუპი ხართ, ბარემ ჩქარა დაიღუპეთ და მეც გავთავისუფლდები სისუსტისაგან, რომელიც მაიძულებს თქვენზე ვიფიქრო. ზეგ დილით ეს თერძი ორ ტანისამოსს გამოგიგზავნით. ხელოსანს, რომელიც მათ მოგაზომებთ, ხუთი ფრანკი მიეცით. გარდა ამისა, ეცადეთ, რომ ამ პარიზელებს თქვენი ხმაც კი არ გააგონოთ. საკმაოა ერთი სიტყვა წარმოთქვათ და ისინი საიდუმლოებას აღმოაჩენენ თქვენს დასაცინად. ეს მათი თანდაყოლილი ნიჭია. ზეგ შუადღისას ჩემთან მოდით... ახლა კი წადით, დამეკარგეთ. ჰო... კინაღამ დამავიწყდა: წადით და ამ მისამართით ფეხსაცმელები, პერანგები და ქუდი დაუკვეთეთ.

ჟიულიენი მისამართს დააცქერდა.

_ ეს მარკიზის ხელია, _ თქვა აბატმა. _ ის აქტიური, წინდახედული ადამიანია; ამჯობინებს საქმე გააკეთოს, ვიდრე ბრძანება გასცეს. გამოიჩენთ თუ არა იმდენ ჭკუას, რომ კარგად შეასრულოთ ყველა დავალება, რასაც ეს ცოცხალი ადამიანი განიშნებთ ნართაულად? ამას მომავალი გვიჩვენებს. ფრთხილად იყავით!

ჟიულიენს ხმაც არ ამოუღია, ისე წავიდა მისამართზე აღნიშნულ სახელოსნოში. მან შენიშნა, რომ მოწიწებით მიიღეს, ხოლო მეჩექმემ იგი ბ. ჟიულიენ დე სორელის სახელწოდებით შეიტანა თავის დავთარში.*

პერ ლაშეზის სასაფლაოზე ერთმა მეტად თავაზიანმა მამაკაცმა, რომელიც მეტისმეტად ლიბერალურად ლაპარაკობდა, ჟიულიენს მარშალ ნეის* საფლავი უჩვენა, რომელსაც რაღაც ბრძნული პოლიტიკის გამო უარი უთხრეს ეპიტაფიაზე. მაგრამ გამოეთხოვა რა ამ ლიბერალს, რომელიც მას თვალცრემლიანი გულზე იკრავდა, ჟიულიენმა შეამჩნია, რომ საათი აღარ ჰქონდა. ამ გამოცდილებით გამდიდრებული მესამე დღეს თორმეტ საათზე წარუდგა აბატ პირარს, რომელმაც ყურადღებით შეათვალიერა იგი.

_ თქვენ შეიძლება დიდი კოხტაპრუწა გახდეთ, _ უთხრა მან ჟიულიენს მკაცრად.

ჟიულიენს მეტად ახალგაზრდა, მაგრამ მგლოვიარე კაცის გარეგნობა ჰქონდა. იგი მართლაც ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ კეთილმა აბატმა, როგორც ნამდვილმა პროვინციელმა, ვერ შეამჩნია, რომ ჟიულიენს ჯერ კიდევ ვერ მოეშალა მხრების ქნევა, რაიცა პროვინციაში ერთსა და იმავე დროს კოხტაობის მაჩვენებელიცაა და დარბაისლობისაც. მარკიზმა კი სულ სხვა თვალით შეხედა ჟიულიენის ლაზათიან გარეგნობას და აბატს ჰკითხა:

_ საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, ბ. სორელმა ცეკვა რომ ისწავლოს?

აბატი სახტად დარჩა.

_ არა, _ უპასუხა ბოლოს, _ ჟიულიენი მღვდელი როდია.

მარკიზმა ჩვენი გმირი პატარა ფარული კიბით თვით აიყვანა კოხტა მანსარდში, რომელიც სასახლის უზარმაზარ ბაღს გადაჰყურებდა. შემდეგ ჰკითხა, რამდენი პერანგი გამოართვი თეთრეულის მკერავ ქალსო.

_ ორი, _ უპასუხა ჟიულიენმა შემკრთალმა იმით, რომ ასეთი დიდი კაცი ასეთი წვრილმანით იყო დაინტერესებული.

_ ძალიან კარგი, _ განაგრძო მარკიზმა სერიოზული და, ცოტა არ იყოს, ბრძანების კილოთი: _ აიღეთ კიდევ ოცდაორი პერანგი. აი, თქვენი წლიური ჯამაგირის მეოთხედი.

როცა მანსარდიდან ჩამოდიოდა, მარკიზმა ერთი ხნიერი კაცი მოიხმო:

_ არსენ, თქვენ ბ. სორელს ემსახურეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჟიულიენი უკვე ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა მარტოდმარტო. ეს საუცხოო წუთი იყო. რათა მისი მღელვარება არავის შეემჩნია, იგი ბნელ კუთხეში მოთავსდა. იქიდან აღტაცებით უცქეროდა წიგნების ბრწყინვალე ყუებს: «მე შემიძლია ყოველივე ეს წავიკითხო, _ ფიქრობდა იგი: _ როგორ შეიძლება აქ ყოფნა არ მომეწონოს? ბ. დე რენალი სამუდამოდ პატივახდილად იგრძნობდა თავს, იმის მეასედი რომ გაეკეთებინა, რაც მარკიზმა დე ლამოლმა გააკეთა ჩემთვის. ახლა კი შევუდგეთ ასლების გადაღებას».

ამ სამუშაოს გათავების შემდეგ ჟიულიენმა გაბედა წიგნებთან მიახლოება. სიხარულისგან კინაღამ ჭკუაზე შეცდა, როცა ვოლტერის თხზულებათა გამოცემა გადაშალა. გაიქცა და კარი გააღო, რათა მოულოდნელად არ მოესწროთ. შემდეგ სიამოვნებით გადაფურცლა ოთხმოცივე ტომი. ისინი დიდებულად იყვნენ შეკინძული. ეს იყო საუკეთესო ლონდონელი ოსტატის შედევრი. ამდენიც არ იყო საჭირო ჟიულიენის აღტაცების გასაათკეცებლად.

ერთი საათის შემდეგ მარკიზი შემოვიდა, ასლებს გადახედა და სახტად დარჩა, როცა შეამჩნია, რომ ჟიულიენი სიტყვას cela ორი l-ით წერდა ისე, რომ cella გამოდიოდა. «ზღაპარი ხომ არაა, რაც აბატმა მისი ცოდნის შესახებ მიამბო», _ გაიფიქრა მეტისმეტად იმედგაცრუებულმა მარკიზმა. შემდეგ ჟიულიენს წყნარად უთხრა:

_ თქვენ მტკიცე არა ხართ მართლწერაში?

_ მართალია, _ თქვა ჟიულიენმა ისე, რომ არც კი დაფიქრებულა, რა ზიანს აყენებდა თავის თავს. იგი გულაჩუყებული იყო მარკიზის გულკეთილობით, რომელიც ასე განსხვავდებოდა ბ. დე რენალის გულზვიადი ტონისაგან.

«ამ ფრანშკონტელ პატარა აბატთან ცდების დაწყება დროის დაკარგვა იქნებოდა, _ გაიფიქრა მარკიზმა: _ მაგრამ მე ძალიან მჭირდებოდა ერთგული კაცი!»

_ Cela ერთი l-ით იწერება, _ უთხრა მარკიზმა: _ როცა ასლის გადაწერას გაათავებთ, მოძებნეთ ლექსიკონში ის სიტყვები, რომელთა მართლწერა მტკიცედ არ გაქვთ შეთვისებული.

ექვს საათზე მარკიზმა ჟიულიენი იხმო და აშკარა უკმაყოფილებით დააცქერდა მის ფეხსაცმელებს:

_ მე თვით ვარ დამნაშავე; არ გაგაფრთხილეთ, რომ ყოველდღე ექვსის ნახევრისთვის ტანთ უნდა ჩაიცვათ.

ჟიულიენი უცქეროდა, მაგრამ არაფერი ესმოდა.

_ მე მინდა გითხრათ, მაღალი წინდები უნდა ჩაიცვათ-მეთქი. არსენი გაგახსენებთ; დღეს კი მე მოვიხდი ბოდიშს თქვენს მაგივრად.

ამ სიტყვებით ბ. დე ლამოლმა ჟიულიენი მოვარაყულ სალონში შეიყვანა. ასეთ შემთხვევებში ბ. დე რენალი ყოველთვის ნაბიჯს აჩქარებდა, რათა პირველად შესულიყო კარებში.

ყოფილი პატრონის ამ ამაო თავმოყვარეობამ გამოიწვია ის, რომ ჟიულიენმა ფეხზე ფეხი დააბიჯა მარკიზს და დიდი ტკივილი მიაყენა, რადგან მას ნიკრისის ქარები აწუხებდა. «ბრიყვიც ყოფილაო», _ გაიფიქრა მარკიზმა. მან იგი წარუდგინა მაღალი ტანის, წარმოსადეგ ქალს. ეს მარკიზის მეუღლე იყო. ჟიულიენმა შეამჩნია, რომ ზვიადი გამომეტყველებით იგი ცოტა ქალბატონ მოჟირონს ჰგავდა, ვერიერის პრეფექტის მოადგილის მეუღლეს. ჟიულიენი შეშფოთებული იყო სალონის ბრწყინვალებით და არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა ბ. დე ლამოლი. მარკიზის მეუღლემ ძლივს აღირსა შეხედვა. სალონში რამდენიმე მამაკაცს მოეყარა თავი. მათ შორის ჟიულიენმა გამოუთქმელი სიამოვნებით შეამჩნია აგდის ახალგაზრდა ეპისკოპოსი, რომელმაც ბრელეჰოს ცერემონიის დროს იგი რამდენიმე სიტყვით გააბედნიერა. ახალგაზრდა პრელატი გაკვირვებული იყო იმით, რომ ჟიულიენი მას მორცხვი და ნაზი თვალებით უცქეროდა, მაგრამ თვითონ მას თავიც არ შეუწუხებია, რომ მოეგონებია ეს პროვინციელი...

ამ სასტუმროში თავმოყრილ ადამიანებს რაღაც სევდა და ძალდატანება ეტყობოდათ. პარიზში ხმადაბლა საუბრობენ და პატარა ამბებს არ აზვიადებენ.

შვიდის ნახევარზე შემოვიდა ლამაზი და წერწეტი ახალგაზრდა კაცი. მას ულვაშები, პატარა თავი და მეტად ფერმკრთალი სახე ჰქონდა.

_ თქვენ მუდამ გვალოდინებთ, _ უთხრა მარკიზის მეუღლემ, რომელსაც მან ხელზე აკოცა.

ჟიულიენი მიხვდა, რომ ეს გრაფი დე ლამოლი იყო. მას იგი პირველი შეხედვისთანავე მოეწონა.

_ «ნუთუ შესაძლებელია, _ გაიფიქრა მან, _ რომ ეს ის ადამიანია, რომლის შეურაცხმყოფელმა დაცინვამ ამ სახლიდან უნდა გამაგდოს?»

ჟიულიენმა შეამჩნია, რომ გრაფ ნორბერს ჩექმები ეცვა და დეზები ეკრა. «მე კი უბრალო ფეხსაცმელები უნდა მეცვას, როგორც ხელქვეითს?»

სუფრას მიუსხდნენ. ჟიულიენს მოესმა, რომ მარკიზის მეუღლემ ცოტათი ხმა აიმაღლა და ვიღაცას უჯავრდებოდა. თითქმის იმავე წუთში შეამჩნია სრულიად ქერა და ტანკენარი ახალგაზრდა ქალი, რომელიც მის პირდაპირ დაჯდა. მაგრამ ეს ქალი მას როდი მოეწონა. როცა ყურადღებით დააკვირდა, გაიფიქრა, არასოდეს ასეთი ლამაზი თვალები არ მინახავსო; ოღონდ ისინი დიდ სულიერ სიცივეს მოწმობდნენ. შემდეგ ჟიულიენმა აღმოაჩინა, რომ ამ თვალებში მოწყენილობა იხატებოდა, შეერთებული ცნობისმოყვარეობასა და ღირსეულად თავის დაჭერის ვალდებულებასთან. «ქალბატონ დე რენალსაც მშვენიერი თვალები აქვს, _ გაიფიქრა მან. _ ხშირად, ალბათ, ქათინაურებს უძღვნიან ამის გამო, მაგრამ მის და ამ თვალებს შორის არაფერია საერთო». ჟიულიენი გამოუცდელობის გამო ვერ ამჩნევდა, რომ მადმუაზელ მატილდას (როგორც ამ ახალგაზრდა ქალს ეძახდნენ) თვალებში დროგამოშვებით გონებამახვილობის ნაპერწკალი კიაფობდა. რაც შეეხება ქალბატონ დე რენალის თვალებს, ისინი მხოლოდ ან ვნების ცეცხლით ინთებოდნენ, ან კიდევ სულგრძელი აღშფოთებით, როცა ლაპარაკი რაიმე ბოროტ საქციელზე ჩამოვარდებოდა. სადილის დასასრულს ჟიულიენმა შესაფერი გამოთქმა აღმოაჩინა მადმუაზელ მატილდას თვალების მშვენიერების გამოსახატავად: «ისინი ციმციმებენ», _ გაიფიქრა მან. სხვაფრივ ქალი საშინლად ჰგავდა თავის დედას, რომელიც ჟიულიენს უფრო და უფრო ნაკლებ მოსწონდა ისე, რომ თავი დაანება მის ცქერას. სამაგიეროდ, გრაფი ნორბერი ყოველმხრივ საუცხოოდ ეჩვენებოდა. ჟიულიენი იმდენად მოხიბლული იყო, რომ თავში აზრად არ მოსვლია შური ან სიძულვილი განეცადა, რაკი ეს ყმაწვილი მასზე უფრო მდიდარი და კეთილშობილი იყო.

ჟიულიენმა შეამჩნია, რომ მარკიზს მოწყენილი სახე ჰქონდა. მეორე კერძის შემოტანის დროს მან მიმართა თავის ვაჟს:

_ ნორბერ, გთხოვ გულკეთილად მოეპყრო ბ. ჟიულიენ სორელს, რომელიც ჩემს მთავარ შტაბში შევიყვანე და რომლისგანაც მინდა ადამიანი გამოვიყვანო, თუ ეს შესაძლებელი იქნა.

_ ეს ჩემი მდივანია, _ უთხრა ხმადაბლა მარკიზმა თავის მეზობელს, _ და სიტყვა cela-ს ორი l-ით წერს.

ყველამ ჟიულიენს შეხედა. მან ოდნავ თავი დაბლა დაუხარა ნორბერს; მაგრამ საერთოდ კმაყოფილი დარჩნენ მისი გამომეტყველებით.

მარკიზს, ალბათ, ნათქვამი ჰქონდა, თუ როგორი განათლება ჰქონდა მიღებული ჟიულიენს, იმიტომ რომ ერთმა სტუმარმა ჰორაციუსზე ჩამოაგდო სიტყვა. «სწორედ ჰორაციუსის ცოდნით მოვეწონე ბეზანსონის ეპისკოპოსს, _ გაიფიქრა ჟიულიენმა. _ ეტყობა, ეს ხალხი მხოლოდ ამ ავტორს იცნობს». ამ წუთიდან იგი თავის კალაპოტში ჩადგა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ გადაწყვიტა, სულ ერთია, მე ვერასოდეს ვერ შევხედავ მადმუაზელ მატილდას, როგორც ქალსო. სემინარიაში შესვლის შემდეგ ჟიულიენი შეეჩვია მამაკაცების ათვალწუნებას და ძვირად ფრთხებოდა მათ წინაშე. იგი სავსებით დატკბებოდა თავისი გულდამშვიდებით, სასადილო ნაკლებ ბრწყინვალედ რომ ყოფილიყო მორთული. მასზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ორი მაღალი სარკე, სადაც იგი ხანდახან თავისი მოსაუბრის სახეს ხედავდა ჰორაციუსზე ლაპარაკის დროს. მისი ფრაზები ძლიერ გრძელი არ იყო პროვინციელისთვის. მისი მშვენიერი თვალები ხან გაუბედაობით ციმციმებდნენ, ხან ბედნიერებით, განსაკუთრებით, როცა სწორად უპასუხებდა. იგი სასიამოვნო ადამიანად ჩათვალეს. ამგვარი გამოცდა საინტერესოდ ხდიდა სერიოზულ სადილს. მარკიზმა მოსაუბრეს ფარულად ანიშნა, კიდევ გამოკითხეო. «ნუთუ შესაძლებელია, ამ ყმაწვილმა მართლა რამე იცოდეს», გაიფიქრა მან.

ჟიულიენმა სრულიად დამოუკიდებელი იდეები გამოთქვა და იმდენად დასძლია მორცხვობა, რომ თუ გონებამახვილობა ვერ გამოააშკარავა (რაიცა შეუძლებელია, როცა ადამიანმა ის ენა არ იცის, რომელსაც პარიზში ხმარობენ), ყოველ შემთხვევაში, ახალი აზრები გამოთქვა, თუმცა ნაწილობრივ ულაზათოდ და უადგილოდ; მაგრამ თანამესუფრეები დარწმუნდნენ, რომ ჟიულიენმა უნაკლოდ იცოდა ლათინური.

ჟიულიენის მოწინააღმდეგე წარწერათა აკადემიის* წევრი იყო და შემთხვევით იცოდა ლათინური. მან დაინახა, რომ ჟიულიენი ლიტერატურის კარგი მცოდნე იყო და შეეცადა შეეშფოთებია და დაებნია იგი. ბრძოლით შეხურებულ ჟიულიენს დაავიწყდა სასადილოს ბრწყინვალე ავეჯეულობა და ლათინურ პოეტებზე ისეთი იდეები გამოთქვა, როგორიც მის მოსაუბრეს არსად არ წაეკითხა. როგორც პატიოსანმა კაცმა, მან ეს პირდაპირ განუცხადა ახალგაზრდა მდივანს. საბედნიეროდ, კამათი გაიმართა საკითხზე, მდიდარი იყო ჰორაციუსი თუ ღარიბი; როგორი კაცი იყო იგი - თავაზიანი, ვნებიანი და უზრუნველი, რომელიც ლექსებს უფრო თავის გასართობად თხზავდა, როგორც, მაგალითად, მოლიერისა და ლაფონტენის მეგობარი შაპელი,* თუ იგი ბოგანო, მაგრამ დაფნის გვირგვინით შემკული პოეტი იყო, რომელიც უკან დასდევდა მეფის კარს და ოდებს წერდა მეფის დაბადების დღის აღსანიშნავად, როგორც, მაგალითად, ლორდ

ბაირონის ბრალმდებელი სოუთი.* ლაპარაკი ჩამოვარდა საზოგადოების მდგომარეობაზე ავგუსტუსისა* და გეორგ IV-ის* დროს. ორივე ეპოქაში არისტოკრატია ყოვლის შემძლებელი იყო; მაგრამ რომში მას ხელისუფლება მეცენატმა* წაართვა, რომელიც უბრალო მხედარი იყო; ინგლისში კი არისტოკრატიამ გეორგ IV თითქმის ვენეციის დოჟის* მდგომარეობაში ჩააგდო. ამ კამათმა მარკიზი თითქო გამოიყვანა იმ გაოგნებისა თუ მოწყენილობიდან, სადილის დასაწყისში რომ დაეუფლა.

ჟიულიენს არაფერი გაეგებოდა თანამედროვე სახელებისა, როგორიცაა - სოუთი, ბაირონი, გეორგ IV; ეს სახელები პირველად ესმოდა. მაგრამ ყველამ შეამჩნია, რომ როცა საკითხი რომის წარსულს ეხებოდა, იგი ფაქტებს, რომელთა ამოკრეფა ჰორაციუსის, მარციალის, ტაციტის და სხვათა ნაწერებიდან შეიძლებოდა, უპირატესობა უცილობლად მის მხარეზე იყო. ჟიულიენმა უცერემონიოდ გამოიყენა აზრები, რომელიც მან ბეზანსონის ეპისკოპოსისაგან გაიგონა მასთან საუბრის დროს; ამ აზრებმაც სათანადო დაფასება მიიღო.

როცა ყველას მოსწყინდა პოეტებზე ლაპარაკი, მარკიზის მეუღლემ, რომელიც თავის ვალდებულებად თვლიდა აღტაცებულიყო ყველაფრით, რაც მის ქმარს ართობდა, კეთილინება და შეხედა ჟიულიენს.

_ ამ ახალგაზრდა აბატის გაურანდავი გარეგნობის ქვეშ შეიძლება განათლებული კაცი იმალებოდეს, _ უთხრა მარკიზის მეუღლეს აკადემიკოსმა, რომელიც მის გვერდით იჯდა. ჟიულიენმა რამდენიმე სიტყვა გაიგონა ამ საუბრიდან. ამ ოჯახის დიასახლისს უყვარდა მზამზარეული წინადადების გამოყენება. მან უკვე ეს ახლადგამოთქმული აზრი შეითვისა ჟიულიენის შესახებ და დიდად კმაყოფილი დარჩა, რომ აკადემიკოსი დაპატიჟა სადილად. «მან კარგად გაართო ბ. დე ლამოლიო», _ ფიქრობდა ეს ქალი.

III

პირველი ნაბიჯები

> თვალს მჭრის ეს უზარმაზარი ველი, უხვად განათებული და მრავალი ათასი ადამიანით ავსებული. არც ერთი მათგანი არ მიცნობს, ყველა მე მჯობნის. თავგზა მეკარგება.
>
> **პოემა «რეინა»**

მეორე დღეს ადრე დილით ჟიულიენი ბიბლიოთეკაში წერილების ასლებს იწერდა, როცა იქ მადმუაზელ მატილდა შევიდა პატარა კარიდან, რომელიც წიგნებით ძალიან კარგად იყო დაფარული. ჟიულიენი აღტაცებული იყო ასეთი გამოგონებით, მატილდას კი ეტყობოდა გაუკვირდა, რომ ვაჟი იქ დახვდა. ჟიულიენს ეჩვენა, რომ თმადახუჭუჭებულ ქალს მკაცრი, ზვიადი და თითქმის მამაკაცური გარეგნობა ჰქონდა. მატილდა დე ლამოლი თავისი მამის ბიბლიოთეკიდან წიგნებს იპარავდა. ახლა ჟიულიენმა ხელი შეუშალა. ეს ქალისთვის მით უფრო არასასიამოვნო იყო, რომ იგი ვოლტერის «ბაბილონის პრინცესის»* მეორე ტომის წასაღებად შემოვიდა. ასეთი საკითხავი ღირსეულად ამთავრებდა უაღრესად მონარქისტულ და რელიგიურ განათლებას, მიღებულს «წმინდა გულის» მონასტერში. ამ საბრალო ქალს უკვე ცხრამეტი წლის ასაკში რომანის წაკითხვა არ შეეძლო, თუ მასში რასმე პილპილნარევს არ იპოვიდა.

გრაფი ნორბერი ბიბლიოთეკაში მხოლოდ სამ საათზე გამოჩნდა. იგი გაზეთის წასაკითხად შემოვიდა, რათა საღამოთი პოლიტიკაზე შეძლებოდა ლაპარაკი, და დიდად კმაყოფილი დარჩა, რომ იქ ჟიულიენი დახვდა, რომლის არსებობა უკვე დავიწყებული ჰქონდა. მაგრამ მას ძალიან თავაზიანად მოეპყრო და შესთავაზა, ცხენებით გავისეირნოთო.

_ მამაჩემი ჩვენ გვათავისუფლებს სადილობამდე.

ჟიულიენმა გაიგო ეს «ჩვენ» და ძალიან მოეწონა.

_ ბატონო გრაფო, _ უთხრა ჟიულიენმა, _ საქმე რომ ოთხმოცი წყრთიანი ხის მოჭრას, გათლასა და ფიცრებად დახერხვას ეხებოდეს, ამას ადვილად შევძლებდი; მაგრამ ცხენზე ჯდომა სულ ექვსჯერ თუ მრგებია წილად ჩემს სიცოცხლეში.

_ ჰოდა, ეს მეშვიდეჯერ იყოს, _ უპასუხა ნორბერმა.

ჟიულიენს გაახსენდა მეფის მოსვლა ვერიერში და გულის სიღრმეში სწამდა, მშვენივრად ვიცი ცხენოსნობაო. მაგრამ ბულონის ტყიდან დაბრუნებისას, შუა ქუჩაში მოულოდნელად ცხენის შეკავება მოუხდა კაბრიოლეტის წინ, ძირს ჩამოვარდა და ტალახში ამოისვარა. კიდევ კარგი, რომ მეორე ტანისამოსი ჰქონდა გამოსაცვლელად. სადილის დროს მარკიზმა მასთან ლაპარაკი ისურვა და გასეირნების ამბავი ჰკითხა; ნორბერმა დაასწრო და ზოგად ფრაზებში გასცა პასუხი.

_ ბატონი გრაფი დიდ გულკეთილობას იჩენს ჩემს მიმართ, _ თქვა ჟიულიენმა: _ მე ამას დიდად ვაფასებ. მან კეთილინება და უთვინიერესი და ულამაზესი ცხენი შეაკაზმინა

ჩემთვის; მაგრამ ვერ შეძლო უნაგირზე დავეკარი, ამიტომ შუა ქუჩაში გავიშხლართე ხიდის მახლობლად.

მატილდა ამაოდ შეეცადა სიცილი შეეკავებინა, შემდეგ ცოტა არ იყოს, დაუნდობლად დეტალები გამოჰკითხა. ჟიულიენმა დიდი უბრალოებით დააღწია თავი. მან შეუგნებელი შნოიანობა გამოიჩინა.

_ მე ბევრს ველი ამ პატარა მღვდლისაგან, _ უთხრა მარკიზმა აკადემიკოსს: _ არასოდეს არ მომხდარა და არც მოხდება, რომ პროვინციელმა უბრალოება გამოიჩინოს ასეთ შემთხვევაში; იგი კი თავის უბედურებას ქალების თანდასწრებით მოგვითხრობს!

ჟიულიენმა მსმენელები ისე მიიმხრო თავისი უბედურების მოთხრობით, რომ სადილის დასასრულს, როცა საერთო საუბარმა სხვა მიმართულება მიიღო, მატილდა თავის ძმას კვლავ ამ უბედური შემთხვევის გამო ესაუბრებოდა, სურდა ყველა წვრილმანი გაეგო. ეს კითხვა-პასუხი კარგა ხანს გაგრძელდა, ჟიულიენი ქალს რამდენჯერმე შეხვდა თვალებით, გაბედა პირდაპირ დალაპარაკებოდა მას, თუმცა ქალს მისთვის არ მიუმართავს და ბოლოს სამივემ სიცილი დაიწყო, როგორც ხშირად იცინიან ტყეში გადაკარგული სოფლის ახალგაზრდა მცხოვრებლები. მეორე დღეს ჟიულიენი ღვთისმეტყველების ორ ლექციას დაესწრო და შინ დაბრუნდა, რათა ოციოდე წერილი გადაეწერა. ბიბლიოთეკაში კარგად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი დახვდა. მას უჯიშო და შურიანი სახე ჰქონდა.L

შემოვიდა მარკიზი.

_ აქ რას აკეთებთ, ბატონო ტანბო, _ უთხრა მან ახლად მოსულს მკაცრი ტონით.

_ მე მეგონა... _ დაიწყო კაცმა მლიქვნელი ღიმილით.

_ არა, ბატონო, ნურაფერი გგონიათ. თქვენ რაღაცას ცდილობთ, მაგრამ არაფერი გამოგივათ.

ახალგაზრდა ტანბო გააფთრებული წამოდგა და გაქრა. იგი ქალბატონი დე ლამოლის მეგობარი აკადემიკოსის ძმისწული იყო და სალიტერატურო მოღვაწეობისათვის ემზადებოდა. აკადემიკოსმა მარკიზს მდივნად მიაღებინა. ტანბო ცალკე ოთახში მუშაობდა. მან გაიგო, რომ მარკიზი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ჟიულიენს; მოისურვა, თვითონაც ესარგებლა ამ ყურადღებით და დილით თავისი საწერი მაგიდა ბიბლიოთეკაში გადმოიტანა.

ოთხ საათზე ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ჟიულიენმა გაბედა გრაფ ნორბერთან წასულიყო. ეს უკანასკნელი ცხენზე ჯდებოდა და, როგორც მეტად ზრდილობიანი კაცი, ცოტა არ იყოს, შეწუხდა.

_ დარწმუნებული ვარ, რომ ჩქარა თქვენ მანეჟში წახვალთ ცხენოსნობის შესასწავლად და რამდენიმე კვირის შემდეგ მე სიამოვნებით ვისეირნებ თქვენთან ერთად.

_ მე მინდოდა მხოლოდ მადლობა გადამეხადა, ასეთი გულკეთილობა რომ გამოიჩინეთ ჩემდამი, _ უპასუხა ჟიულიენმა სერიოზული ტონით: _ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო, რომ ვგრძნობ, რამდენად დავალებული ვარ თქვენგან. თუ თქვენი ცხენი დაშავებული არაა ჩემი გუშინდელი მარცხით და თავისუფალიცაა, მე დღესვე შევჯდებოდი მასზე.

_ როგორც გენებოთ, ჩემო ძვირფასო სორელ, მხოლოდ რისკი და პასუხისმგებლობა თქვენ იკისრეთ. იგულისხმეთ, ვითომ ყველა საბუთი წარმომედგინოს, რასაც კეთილგონიერება მოითხოვს; მაგრამ უკვე ოთხი საათია და ნუღარ დავაყოვნებთ.

ჟიულიენი ცხენს მოახტა და იკითხა:

_ რა უნდა ქნას ადამიანმა, რომ ცხენიდან არ გადმოვარდეს?

_ ბევრი რამ, _ უპასუხა ნორბერმა სიცილით: _ მაგალითად, ტანი უკან უნდა დაიჭიროს.

ჟიულიენმა ცხენი გააჭენა. ისინი ლუი XIV-ის მოედანზე იყვნენ.

_ გაბედულო ვაჟკაცო, _ უთხრა ნორბერმა, _ აქ ბევრი ეტლი გვხვდება და მათ უგუნური მეეტლეები მართავენ! თუ ძირს ჩამოვარდით, ბორბლები ზედ გადაგივლიან; ისინი ცხენებს უცებ არ შეაჩერებენ, რათა ლაგამმა პირი არ გაუფუჭოს.

რამდენჯერმე ნორბერმა შეამჩნია, რომ ჟიულიენი გადმოვარდნაზე იყო; მაგრამ ბოლოს სეირნობა უმარცხოდ დასრულდა. როცა შინ დაბრუნდნენ, ახალგაზრდა გრაფმა უთხრა თავის დას:

_ გთხოვთ, გაიცნოთ თავზეხელაღებული ვაჟკაცი.

სადილობის დროს იგი თავის მამას გამოელაპარაკა ყველას გასაგონად და მართებული მიუძღვნა ჟიულიენის გამბედაობას. ამ გამბედაობის მეტი ჟიულიენს არაფერი ჰქონდა შესაქები ცხენოსნობაში. დილით ახალგაზრდა გრაფმა გაიგონა, რომ ეზოში მეჯინიბეები, რომელნიც ცხენებს წმენდდნენ საურველით, თავხედურად დასცინოდნენ ჟიულიენს გუშინდელი მარცხის გამო.

ამდენი გულკეთილობის მიუხედავად, ჟიულიენმა ჩქარა იგრძნო, რომ სრულიად განმარტოებული იყო ამ ოჯახში. ამ ადამიანების ზნე-ჩვეულებანი მას ახირებულად ეჩვენებოდა - იგი მათ ვერ ეგუებოდა. მისი ხშირი მარცხი ლაქიებს სასაცილოდ არ ყოფნიდათ.

აბატი პირარი თავის მრევლში წავიდა. «თუ ჟიულიენი სუსტი ლერწამია, დაე დაიღუპოს, _ ფიქრობდა იგი: _ ხოლო თუ ვაჟკაცია, თვით გავიდეს სამშვიდობოზე».

IV

დე ლამოლის სასახლე

> რას აკეთებს აქ? მოეწონება თუ არა
> აქ ყოფნა? მოინდომებს თუ არა სხვებს
> მოაწონოს თავი?
>
> რ ო ნ ს ა რ ი

თუ დე ლამოლის სასახლის კეთილშობილ სალონში ჟიულიენს ყოველივე უცნაურად ეჩვენებოდა, ეს ფერმკრთალი და შავ ტანისამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა კაციც, თავის მხრივ, მეტად ახირებულად მიაჩნდათ იმ პირებს, რომელნიც მას ყურადღების ღირსად ხდიდნენ. ქალბატონმა დე ლამოლმა თავის ქმარს წინადადება მისცა, რაიმე დავალების შესასრულებლად გაგზავნე, როცა ჩვენსას ზოგიერთი პიროვნება სადილობსო.

_ მე მსურს ცდა ბოლომდე ვაწარმოო, _ უპასუხა მარკიზმა: _ აბატი პირარი იმ აზრისაა, რომ ჩვენ უმართებულოდ ვიქცევით, როცა შეურაცხყოფას ვაყენებთ იმ ადამიანების თავმოყვარეობას, რომელთაც ვიახლოვებთ. დაყრდნობა მხოლოდ ისეთ რამეზე შეიძლება, რაც წინააღმდეგობას გვიწევსო და სხვა. ამ ყმაწვილის ნაკლი მხოლოდ ისაა, რომ იგი უცნობია; ესეცაა, რომ იგი ყრუ-მუნჯსა ჰგავს.

«რათა აქ უკეთ გავერკვე, უნდა ჩავიწერო ყველა იმ პირის სახელი და მოკლე დახასიათება, რომელნიც აქ დადიან», _ გაიფიქრა ჟიულიენმა.

პირველ ადგილზე მოათავსა ოჯახის ხუთი თუ ექვსი მეგობარი, რომელნიც მას ყოველი შემთხვევისთვის ელოლიავებოდნენ, რადგან ეგონათ, რომ მარკიზი

მფარველობდა. ესენი იყვნენ ბეჩავი, მლიქვნელი ადამიანები; მაგრამ ამ ჯურის ადამიანების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მლიქვნელები არ იყვნენ ყველას მიმართ. ზოგიერთი მათგანი მარკიზს აპატიებდა ცუდ მოპყრობას, მაგრამ აღშფოთდებოდა ქალბატონი დე ლამოლის ყოველი ტლანქი სიტყვის წინააღმდეგ.

ოჯახის დიასახლისი და მამასახლისი მეტისმეტად ამაყი იყვნენ, მათ მოწყენილობა ტანჯავდათ; ისინი ისე შეეჩვივნენ თავის გასართობად სხვების შეურაცხყოფას, რომ ნამდვილი მეგობრები ვერ ეყოლებოდათ. მაგრამ გარდა წვიმიანი დღეებისა, როცა მოწყენილობა განსაკუთრებით დარევდათ ხელს, ისინი მეტისმეტად ზრდილობიანები და თავაზიანები იყვნენ.

იმ ხუთ ან ექვს მლიქვნელს, რომელნიც ჟიულიენს მამობრივი მზრუნველობით ეპყრობოდნენ, დე ლამოლის სასახლე რომ მიეტოვებინა, მარკიზის მეუღლე დროგამოშვებით სრულიად განმარტოებული დარჩებოდა; ამ წრის ქალის თვალში კი მარტოობა საშინელი რამაა: ეს საზოგადოების შერისხვას ნიშნავს.

მარკიზს მისი მეუღლე ვერაფერს ვერ უსაყვედურებდა. იგი ზრუნავდა, რომ მისი სალონი საკმაოდ შემკული ყოფილიყო, მაგრამ არა ზედა პალატის წარჩინებული წევრებით, რომელთაც იგი არც საკმაოდ კეთილშობილად თვლიდა, რათა ისე მიეწვია, როგორც მეგობრები, არც საკმაოდ საინტერესო ადამიანებად, რათა ისე მიეწვია, როგორც ხელქვეითნი.

ჟიულიენმა ეს საიდუმლოება მხოლოდ გვიან განსჭვრიტა. უზენაეს პოლიტიკას, რომელიც ბურჟუაზიულ ოჯახებში ყოველდღიური საუბრის საგანს შეადგენს, არისტოკრატიაში მხოლოდ გაჭირვებისა და სასოწარკვეთილების წუთებში ეხებიან.

მაგრამ ჩვენს მოწყენილ საუკუნეში სიამოვნების წყურვილი ისე ძლიერია, რომ თვით წვეულების დღეს სტუმრები გარბოდნენ, როგორც კი მარკიზი სალონიდან გავიდოდა ხოლმე. ლაპარაკი არ შეიძლებოდა არც ღმერთსა, არც მღვდლებსა, არც მეფესა, არც უმაღლეს ხელისუფლებასა, არც მეფის კარის მფარველობის ქვშ მყოფ არტისტებზე, არც სხვა რამეზე, რაც დაწესებული და დადგენილი იყო; კარგის არაფრის თქმა არ შეიძლებოდა არც ბერანჟესა,* არც ოპოზიციის გაზეთებზე, არც ვოლტერსა, არც რუსოზე, არც სხვა რაიმეზე, რაც ოდნავ გულწრფელი ლაპარაკის ნებას იძლევა. უწინარეს ყოვლისა, აკრძალული იყო მსჯელობა პოლიტიკაზე; გარდა ზემორე აღნიშნული საგნებისა, ყველაფერზე შეიძლებოდა საუბარი.

ასეთი სალონის საკონსტიტუციო სიგელს ვერაფერს შველოდა ვერც ოჯახის პატრონის რენტა, ვერც მისი ლურჯი ლენტი.* ყოველი ცოცხალი აზრი აქ ტლანქი ჩანდა. თუმცა სტუმარ-მასპინძელი ცდილობდნენ კარგი ტონი დაეცვათ და სასიამოვნო ყოფილიყვნენ, მაგრამ მათ სახეებზე მოწყენილობა იყო აღბეჭდილი. ახალგაზრდები, რომელნიც სავალდებულო დარბაზობის ბეგარის მოსახდელად მოდიოდნენ, შეშინებული იყვნენ, ისეთი არაფერი წამოგვცეს, რაც აზრის დამოუკიდებლობას ან აკრძალული წიგნების კითხვას გამოამჟღავნებსო, და მაშინვე პირში წყალს იგუბებდნენ, როგორც კი რამდენიმე შელამაზებულ სიტყვას იტყოდნენ როსინიზე* და კარგსა თუ ცუდ დარზე.

ჟიულიენმა შეამჩნია, რომ საუბარს ჩვეულებრივ აცხოველებდა ორი ვიკონტი და ხუთი ბარონი, რომელნიც ბ. დე ლამოლს ემიგრაციაში გაეცნო. მათ ექვსიდან რვა ათას ფრანკამდე რენტა ჰქონდათ, ოთხი მათგანი გაზეთ «კოტიდიენს» უჭერდა მხარს, ხოლო სამი «გაზეტ დე ფრანსს».* ერთი მათგანი ყოველდღე ანეგდოტებს ჰყვებოდა მეფის კარის ცხოვრებიდან და ხშირად ხმარობდა სიტყვას _ «საუცხოოა». ჟიულიენმა ყურადღება მიაქცია, რომ მას გულზე ხუთი ჯვარი ჰქონდა, მაშინ როცა სხვებს მხოლოდ სამ-სამი ეკიდათ.

სამაგიეროდ, წინა ოთახში, ათი ლივრეიანი ლაქია იდგა და ყოველ საღამოს ყოველ მეოთხედ საათში ნაყინი და ჩაი შემოჰქონდათ; ხოლო შუაღამისას სტუმრებს ვახშმითა და შამპანური ღვინით უმასპინძლდებოდნენ.

ვახშმის მოლოდინში ჟიულიენი ხანდახან ბოლომდე რჩებოდა, მაგრამ უნდა ითქვას, მას თითქმის არ ესმოდა, რომ ადამიანს შეეძლო სერიოზულად ყური დაეგდო ამ დიდებულად მოვარაყული სალონის ყოველდღიური საუბრისთვის. ხანდახან მოსაუბრეებს შესცქეროდა, უნდოდა გამოეცნო, თავიანთ სიტყვებს ხომ არ დაცინიანო. «ჩემი დე მესტრი, რომელიც ზეპირად ვიცი, ორასჯერ უკეთ ლაპარაკობს, მაგრამ ისიც კი მოსაწყენია».

მარტო ჟიულიენი როდი ამჩნევდა ამ სულის შემხუთველ ატმოსფეროს. ზოგიერთი სტუმარი თავს ნაყინით ინუგეშებდა, სხვები კი სიამოვნებას პოულობდნენ იმაში, რომ მთელი საღამოს განმავლობაში იმეორებდნენ: «ესაა დე ლამოლის სასახლიდან გამოვდივარ, სადაც გავიგე, რომ რუსეთი...» და სხვა.

ჟიულიენმა ერთი სტუმრისგან გაიგო, რომ ქალბატონ დე ლამოლს სულ რაღაც ექვსიოდე თვის წინათ იმით დაეჯილდოებია საწყალი ბარონი დე ბურგინიონის ერთგულება (ამ კაცის ერთგულება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ის ოცზე მეტი წლის

განმავლობაში გულმოდგინედ დადიოდა დე ლამოლის სალონში), რომ ეს კაცი, რომელიც პრეფექტის თანაშემწე იყო რესტავრაციის დასაწყისიდან, პრეფექტად ექცია.

ამ დიდმა ამბავმა გააღვივა ამ ვაჟბატონების გულმოდგინეობა; თუ მათ წინათ ცოტა რამ ეწყინებოდათ, ახლა არაფერი სწყინდათ. მართალია, პირდაპირ უპატივცემულობას იშვიათად ამღავნებდნენ, მაგრამ ორჯერ თუ სამჯერ ჟიულიენმა სუფრაზე ყური მოჰკრა მარკიზისა და მისი ცოლის ხმადაბალ საუბარს, რომელიც გამანადგურებელი იყო თანამესუფრეებისთვის. ეს კეთილშობილი ადამიანები არ მალავდნენ, რომ გულწრფელად ეზიზღებოდათ ყველანი, ვისი წინაპრებიც მეფის ეტლში არ მჯდარან.* ჟიულიენმა ისიც შეამჩნია, რომ ჯვაროსნული ომები ერთადერთი ცნება იყო, რომელიც მათს სახეს ღრმა სერიოზულობისა და მოკრძალების გამომეტყველებას აძლევდა. ჩვეულებრივ კი მათ მოკრძალებას რაღაც გულდიდობის ელფერი ჰქონდა.

ამ ბრწყინვალებისა და მოწყენილობის გარემოცვაში ჟიულიენი მხოლოდ ბ. დე ლამოლით იყო დაინტერესებული; იგი დიდად ნასიამოვნები დარჩა, როცა ერთ დღეს გაიგონა, მე არაფერ შუაში ვარ საბრალო ლე ბურგინიონის წარმატების საქმეშიო. ეს სიტყვები ცოლის პატივისცემით იყო ნაკარნახევი, ჟიულიენმა კი სიმართლე აბატ პირარისაგან იცოდა.

ერთხელ, დილით, აბატი პირარი ჟიულიენთან ერთად მარკიზის ბიბლიოთეკაში მუშაობდა ფრილერის დაუსრულებელ პროცესზე.

_ ბატონო, _ იკითხა მოულოდნელად ჟიულიენმა, _ ყოველდღე მარკიზის მეუღლესთან სადილობა ჩემს ერთ-ერთ ვალდებულებას შეადგენს, თუ ეს მხოლოდ ერთგვარი მოწყალებაა მათი მხრით?

_ ეს დიდი პატივისცემაა! _ უპასუხა აბატმა: _ აკადემიკოსმა, რომელიც თხუთმეტი წელიწადია დიდ გულმოდგინებას იჩენს, ვერაფრით ასეთი წყალობა ვერ მიიღო თავისი ძმისწულის, ბ. ტანბოსთვის.

_ ჩემთვის კი, ბატონო ჩემო, ეს ჩემი თანამდებობის უმძიმესი ნაწილია. მე ნაკლებ მოწყენილი ვიყავი სემინარიაში. ხანდახან ვამჩნევ, რომ თვით მარკიზის ქალიშვილიც კი ამთქნარებს, იგი კი თითქო შეჩვეული უნდა ყოფილიყო ოჯახის მეგობრების თავაზიანობას. გემუდარებით, გამოითხოვეთ ჩემთვის ნებართვა სადმე ორმოც სუდ ვისადილო ბნელ სარდაფში.

აბატი, როგორც საზოგადოების ქვედა ფენებიდან ამოტივტივებული ადამიანი, დიდად აფასებდა წარჩინებული კარისკაცის სუფრაზე დაჯდომის უფლებას. იგი შეეცადა

ეს გრძნობა ჟიულიენისთვისაც ჩაეგონებია, როცა მათი ყურადღება მსუბუქმა შრიალმა მიიპყრო. ჟიულიენმა მატილდა დე ლამოლი დაინახა, რომელიც მათ ყურს უგდებდა. ვაჟი გაწითლდა. ქალი წიგნის წასაღებად მოსულიყო და საუბარი გაიგონა; მან ერთგვარი პატივისცემა იგრძნო ჟიულიენისადმი. «ეს ყმაწვილი ქედმოდრეკილი არაა ამ ბებერ აბატივით, _ გაიფიქრა ახალგაზრდა ქალმა: _ ღმერთო ჩემო, რა მახინჯია ეს მოხუცი».

სადილის დროს ჟიულიენი ვერ ბედავდა თვალები გაესწორებია მატილდა დე ლამოლისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელმა კეთილინება მისთვის ორიოდე სიტყვით მიემართა. ამ დღეს დიდძალ სტუმარს ელოდნენ, და ქალმა მას შესთავაზა, დარჩითო. ახალგაზრდა პარიზელ ქალებს არ უყვართ ხანშიშესული მამაკაცები, განსაკუთრებით როცა ისინი დაუდევრად არიან ჩაცმული. ჟიულიენს დიდი გამჭრიახობა არ დასჭირვებია იმის შესამჩნევად, რომ როცა ბ. ლე ბურგინიონის ამხანაგები სალონში რჩებოდნენ, ისინი ჩვეულებრივ მატილდა დე ლამოლის დაცინვის საგანი ხდებოდნენ. ამ დღეს იგი თითქოს განგებ განსაკუთრებით გესლიანი იყო ამ მოსაწყენი ადამიანების მიმართ.

მატილდა დე ლამოლი წარმოადგენდა იმ პატარა ჯგუფის ცენტრს, რომელიც თითქმის ყოველ საღამოს მარკიზის მეუღლის უზარმაზარი სავარძლის უკან იყრიდა თავს. აქ იყვნენ მარკიზი დე კრუაზენუა, გრაფი კაიუსი, ვიკონტ დე ლიუზი და ორი თუ სამი სხვა ახალგაზრდა ოფიცერი, ნორბერისა და მისი დის მეგობრები. ეს ყმაწვილი კაცები გრძელ ლურჯ დივანზე სხდებოდნენ. ამ დივნის გვერდით, ბრწყინვალე მატილდას საწინააღმდეგო მხარეზე, ჟიულიენი ჩუმად იჯდა პატარა და საკმაოდ დაბალ სელის სკამზე. თუმცა ეს ადგილი უჩინარი იყო, მაინც ყველა შურით უცქეროდა ჟიულიენს; და ნორბერიც თავის მახლობლად იჭერდა თავის მამის მდივანს, ამ მიზნით იგი მას დროგამოშვებით ორიოდე სიტყვით მიმართავდა ან სახელს დაუძახებდა ხოლმე. მატილდა დე ლამოლმა ჟიულიენს ჰკითხა, რა სიმაღლე აქვს იმ გორაკს, რომელზეც ბეზანსონის ციხე-სიმაგრეა აგებულიო. მაგრამ ჟიულიენმა ვერ თქვა, მონმარტზე უფრო მაღალი იყო ეს მთა თუ არა. ხშირად მას გულიანად აცინებდა ამ პატარა წრის საუბარი; თავის თავს კი უძლურად თვლიდა რაიმე ამის მსგავსი მოეგონა. თითქო ისინი უცხო ენაზე ლაპარაკობდნენ, ეს ენა მას ესმოდა, მაგრამ თავისი აზრების გადმოსაცემად ვერ გამოეყენებია.

მატილდას მეგობრები ამ საღამოს მტრულად შეხვდნენ ყველას, ვინც ამ ფართო სალონში გამოჩნდა. ოდნავ დაინდეს მხოლოდ ოჯახის მეგობრები, როგორც ძველი

ნაცნობები. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა ყურდღებით უსმენდა მათ ჟიულიენი: მას ყოველივე აინტერესებდა, საგანთა არსებაც და საგანთა გამასხარავების მანერაც.

_ აი, ბატონი დეკულისი, _ თქვა მატილდამ: _ მას პარიკი აღარ ახურავს; ხომ არ უნდა პრეფექტობას მიაღწიოს თავისი გენიოსობის წყალობით? თავისი მელოტი შუბლი გამოაქვს სააშკარაოზე, გვარწმუნებს, მაღალი აზრებით მაქვს სავსეო.

_ ეს ადამიანი მთელ ქვეყანას იცნობს, _ თქვა მარკიზმა დე კრუაზენუამ: _ იგი ბიძაჩემ კარდინალთანაც დადის. შეუძლია მთელი წლის განმავლობაში ერთი და იგივე ტყუილი უმეოროს თითოეულ თავის მეგობარს, მისი მეგობრების რიცხვი კი ორასს თუ სამასს აღწევს. ეხერხება მეგობრული კავშირის გაბმა, ეს მისი ტალანტია. ამ სახით, როგორც აქ ხედავთ, იგი უკვე დილის შვიდ საათზე ზამთარში ერთ-ერთი თავისი მეგობრის კარებთან დგას. დროგამოშვებით თავის მეგობრებს ეჩხუბება და შვიდ თუ რვა წერილს სწერს. შემდეგ მათ ურიგდება და კიდევ შვიდ თუ რვა შესარიგებელ წერილს სწერს. მაგრამ ყველაზე უფრო ბრწყინვალე მაშინაა, როცა გულახდილად იქცევა. ასეთია იგი, როცა რაიმე სამსახური სჭირდება. ბიძაჩემის უფროსმა თანამესაყდრემ საუცხოოდ იცის ბ. დეკულისის ცხოვრების ამბების მოთხრობა. მე თქვენ მას მოგიყვანთ.

_ აჰ, მე არ მწამს ეს ამბები; ეს ამ პატარა კაცუნების შურის ნაყოფია, _ თქვა გრაფმა კაიუსმა.

_ ბ. დეკულისი სახელს დატოვებს ისტორიაში, _ განაგრძო მარკიზმა: მან რესტავრაცია მოახდინა აბატ პრადტთან,* ბ. ტალეირანთან* და პოცო დი ბორგოსთან* ერთად.

_ ეს კაცი მილიონებს ატრიალებდა, _ თქავ ნორბერმა, _ და მე არ მესმის, როგორ მოდის აქ მამაჩემის ეპიგრამების მოსასმენად, რომელიც ხშირად აუტანელია. «რამდენჯერ გიღალატნიათ თქვენი მეგობრებისთვის, ჩემო ძვირფასო დეკულის?» გადასძახა ერთხელ მამაჩემმა მას სუფრის ერთი თავიდან მეორე თავში».

_ მერე მართლა ღალატობდა? _ იკითხა მატილდა დე ლამოლმა: _ ესეც არ იყოს, ვის არ უღალატნია?

_ ეს რას ნიშნავს! _ მიუბრუნდა გრაფი კაიუსი ნორბერს: _ თქვენთან დადის ბ. სენკლერი, ეს სახელგანთქმული ლიბერალი? რა ეშმაკს მოუყვანია აქ? დაიცა, მასთან მივიდე, დაველაპარაკო, მასაც რაიმე ვათქმევინო; ამბობენ, ჭკვიანიაო.

_ როგორ ღებულობს მას დედაშენი? _ იკითხა ბ. დე კრუაზენუამ: _ მას ასეთი ახირებული, ისეთი სულგრძელი, ასეთი დამოუკიდებელი იდეები აქვს...

_ ერთი შეხედეთ, _ თქვა მატილდა დე ლამოლმა, _ აი, ეს დამოუკიდებელი იდეების ადამიანი მდაბლად თავს უკრავს ბ. დეკულისს და ხელს უჭერს მას. მე მეგონა, ხელზე კოცნას უპირებს-მეთქი.

_ ალბათ, დეკულისი უკეთეს განწყობილებაშია ხელისუფლებასთან, ვიდრე ჩვენ გვგონია, _ თქვა ბ. დე კრუაზენუამ.

_ სენკლერი აქ იმისთვის მოდის, რომ აკადემიაში მოხვდეს, _ თქვა ნორბერმა: _ შეხედე, კრუაზენუა, როგორ უკრავს თავს ბარონს.

_ ნაკლებ ბეჩავი იქნებოდა, მუხლებზე რომ დაცემულიყო, _ თქვა ბ. დე ლიუზმა.

_ ჩემო ძვირფასო სორელ, _ უთხრა ნორბერმა ჟიულიენს, _ თქვენ ჭკვიანი ხართ, მაგრამ მთებიდან ჩამოხვედით; ეცადეთ არასოდეს არავის, თუნდაც ეს მამა ღმერთი იყოს, ისე არ მიესალმოთ, როგორც მას ეს დიდი პოეტი შვრება.

_ აი, იშვიათი ჭკუის კაცი, ბარონი ბატონი,* _ თქვა მატილდა დე ლამოლმა, რომელმაც ცოტათი წაბაძა ახალი სტუმრის მაუწყებელი ლაქიის ხმას.

_ მე ვფიქრობ, რომ თქვენი მოსამსახურეებიც კი დასცინიან მას. რა გვარია ბარონი ბატონი? _ თქვა დე კაიუსმა.

_ რა მნიშვნელობა აქვს გვარს? _ უპასუხა მატილდამ:_ წარმოიდგინეთ დუკა ბულიონი,* რომლის მოსვლას პირველად აუწყებენ სალონში; ყველაფერს შეჩვევა უნდა...

ჟიულიენი მოშორდა დივანს. იგი ჯერ კიდევ ნაკლებ გრძნობდა მსუბუქი დაცინვის სინატიფეს, ფიქრობდა, ხუმრობა უსათუოდ გონებამახვილი უნდა იყოსო. ამ ახალგაზრდების ლაპარაკში ვერაფერს ხედადა გარდა საგანთა და ადამიანთა გამასხარავებისა და, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილი იყო. ეგონა, ეს ადამიანები შურიანები არიანო, რაშიც, რასაკვირველია, ცდებოდა.

«გრაფმა ნორბერმა, _ ფიქრობდა ჟიულიენი, _ ოციოდე სტრიქონი სამჯერ გადაწერა, სანამ წერილს შეადგენდა თავისი ათასეულის უფროსის სახელზე; იგი დიდად ბედნიერი იქნებოდა, რომ ერთი ისეთი გვერდის შედგენა შეეძლოს, როგორსაც ბ. სენკლერი წერს».

ჟიულიენი ერთი ჯგუფიდან მეორესთან გადადიოდა შეუმჩნევლად; იგი შორიდან ადევნებდა თვალყურს ბარონ ბატონს და მისი მოსმენა სურდა. ეს ჭკვიანი მამაკაცი რაღაც შეშფოთებული ჩანდა. იგი მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, როცა ორი თუ სამი პილპილნარევი ფრაზა მოიგონა. ჟიულიენს ეჩვენა, ასეთ ჭკუას ფართო ასპარეზი სჭირდებაო. ბარონს ნაკვესების ნიჭი არ ჰქონდა: მას ოთხი ექვსსტრიქონიანი ფრაზა მაინც სჭიროდა, რათა ჭკუის ბრწყინვალება გამოემჟღავნებია.

_ ეს ადამიანი კი არ ლაპარაკობს, აზრებს წარმოთქვამს ხოლმე, _ თქვა ვიღაცამ ჟიულიენის უკან. იგი მობრუნდა და სიამოვნებისაგან გაწითლდა, როცა გრაფ შალვეს გვარი გაიგონა. ეს ყველაზე უფრო გონებამახვილი ადამიანი იყო თავის ეპოქაში. ჟიულიენს მისი გვარი ხშირად შეხვედრია «წმინდა ელენეს კუნძულის მოგონებებსა» და ნაპოლეონის მიერ ნაკარნახევ სხვა ისტორიულ ნარკვევებში. გრაფი შალვე მოკვეთილად ლაპარაკობდა; მის ღია, სწორ, ცოცხალ სახეს ღრმა გამომეტყველება ჰქონდა. თუ იგი რამე საქმეზე ლაპარაკობდა, საკამათო საკითხი ნათელი ხდებოდა, მსჯელობაში ახალი ფაქტები შეჰქონდა და მისი მოსმენა სასიამოვნო ხდებოდა. მაგრამ პოლიტიკაში იგი ურცხვი ცინიკოსი იყო.

_ მე დამოუკიდებელი ადამიანი ვარ, _ ეუბნებოდა ერთ სტუმარს, რომელსაც მკერდზე სამი ორდენი ჰქონდა და რომელსაც იგი აშკარად დასცინოდა: _ რად გინდათ, რომ დღესაც უსათუოდ იმ შეხედულებას ვადგე, რომელსაც ექვსი კვირის წინათ ვადექი? მაშინ ხომ ჩემი შეხედულება მტარვალად გადამექცეოდა.

ოთხმა ახალგაზრდამ, რომელნიც მას უსმენდნენ, შუბლი შეიჭმუხნეს; ამ ყმაწვილებს არ უყვარდათ ყველაფრის გამასხარავება. გრაფმა შეამჩნია, რომ, ცოტა არ იყოს, შესტოპა, თავისდა საბედნიეროდ, მან შეამჩნია ბ. ბალანდი, პატიოსნების ტარტიუფი. გრაფი მას გამოელაპარაკა. მათ გარს შემოერტყნენ, ყველამ იგრძნო, რომ საბრალო ბალანდი მსხვერპლად შეიწირებოდა. თუმცა ბ. ბალანდი საშინელი მახინჯი იყო, მაგრამ თავისი ზნეობისა და მორალისადმი მიდრეკილების წყალობით, მას შემდეგ, რაც საზოგადოებაში ძნელად საამბობი პირველი ნაბიჯები გადადგა, მან თავისი სიმახინჯის მიუხედავად, შეირთო ძლიერ მდიდარი ქალი, რომელიც მალე მოკვდა; შემდეგ მეორედ ისევ მდიდარ ქალზე დაქორწინდა, რომელიც საზოგადოებაში არავის უნახავს. იგი თავმდაბლად სარგებლობდა სამოცი ათასი ლივრი რენტით და თვითონაც გარშემორტყმული იყო მლიქვნელებით. გრაფი შალვე მას ყოველივე ამაზე შეუბრალებლად ელაპარაკებოდა. მათ გარშემო ჩქარა მთელი წრე შეიქმნა ოცდაათი კაცისაგან. ყველანი ხითხითებდნენ, თვით სერიოზული ახალგაზრდა კაცებიც, რომელნიც ეპოქის იმედს წარმოადგენდნენ.

«რად დადის ეს კაცი ბ. დე ლამოლთან, სადაც აშკარა დაცინვის საგანია?» _ გაიფიქრა ჟიულიენმა და ამის საკითხავად აბატ პირარს მიუახლოვდა.

ბ. ბალანდი გაქრა.

_ ძალიან კარგი, _ თქვა ნორბერმა: _ მამაჩემის ერთი ჯაშუში შინ წავიდა: აქ მხოლოდ პატარა კოჭლი ნაპიე რჩება.

«ნუთუ ესაა საიდუმლოება, _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ მაგრამ ამ შემთხვევაში რად ღებულობს ბ. ბალანდს მარკიზი?»

მკაცრი აბატი პირარი გაბუტული იჯდა კუთხეში და ყურს უგდებდა როგორ აუწყებდნენ ლაქიები ახლადმოსულთა გვარებს.

_ ეს ნამდვილი ცოდვილთა მღვიმეა, _ ამბობდა იგი წმინდა ბასილის სიტყვებით: _ აქ მხოლოდ ბიწიერი ადამიანები მოდიან.

საქმე ისაა, რომ მკაცრ აბატს წარმოდგენა არ ჰქონდა მაღალ საზოგადოებაზე. მაგრამ თავისი იანსენისტი მეგობრების წყალობით იგი ზედმიწევნით იცნობდა ამ ადამიანებს, რომელნიც სალონებში ძვრებიან ყოველ პარტიასთან შეგუების ნიჭისა ან სასკანდალო სიმდიდრის წყალობით. ამ საღამოს, რამდენიმე წუთის განმავლობაში, იგი გულახდილად პასუხობდა ჟიულიენის დაჟინებულ კითხვებს, შემდეგ უცებ გაჩერდა: თავის თავს უსაყვედურა, დიდ ცოდვას ჩავდივარ, რომ ყველაზე მხოლოდ ცუდს ვლაპარაკობო. როგორც გულფიცხი იანსენისტი, იგი ფიქრობდა, ქრისტიანული გულმოწყალება ადამიანის ვალდებულებაა. მისი ცხოვრება მაღალ საზოგადოებაში ნამდვილი ბრძოლა იყო.

_ რა სახე აქვს ამ აბატ პირარს, _ თქვა მატილდამ, როცა ჟიულიენი მის დივანს მიუახლოვდა.

ჟიულიენს გული მოუვიდა, მაგრამ გაიფიქრა, ქალი მართალიაო. აბატი პირარი უცილობლად უპატიოსნესი ადამიანი იყო ამ სალონში, მაგრამ მისი ჭორფლიანი სახე, რომელსაც მისი სინდისის ქენჯა აღელვებდა, საძაგელი იყო ამ წუთში. «დაუჯერე ამის შემდეგ რამე სახის გამომეტყველებას, _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ აბატ პირარს საშინელი სახე აქვს სწორედ იმ წუთში, როცა მისი ფაქიზი სინდისი მას რაღაც წვრილმანს აყვედრის, ხოლო საყოველთაოდ ცნობილი ჯაშუშის ნაპიეს სახეზე წმინდა და შეუშფოთებელი ბედნიერებაა აღბეჭდილი». ამავე დროს კი აბატმა პირარმა ბევრი რამ დაუთმო თავის პარტიას: მოსამსახურე იქირავა და კარგად იცვამდა.

ჟიულიენმა შეამჩნია, რომ სალონში თითქო რაღაც განსაკუთრებული მოხდა: ყველამ თვალები კარისკენ მიაპყრო და უცებ დუმილი დამყარდა. ლაქიამ წარმოთქვა გვარი ცნობილი ბარონ დე ტოლისა, რომელმაც უკანასკნელ არჩევნებში საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ჟიულიენი მას მიუახლოვდა და კარგად აათვალიერა. ბარონი ერთ

საარჩევნო კოლეგიას თავმჯდომარეობდა; მას თავში მოუვიდა ბრწყინვალე იდეა, მოეპარა ერთ-ერთი მოწინააღმდეგ პარტიის საარჩევნო ბიულეტენები; მაგრამ დანაკლისის ასანაზღაურებლად მათ ადგილას სხვა საარჩევნო ბიულეტენები ჩაჰყარა, რომლებზედაც მისთვის უფრო სასიამოვნო გვარები ეწერა. ზოგიერთმა ამომრჩეველმა შეამჩნია ეს ოინი, მათ მიულოცეს ბარონ დე ტოლის. ამ ვაჟბატონს ჯერ კიდევ შიშით გული უჩქროლავდა ამ ამბის შემდეგ. ბოროტი ენები კარტორღაზე ლაპარაკობდნენ. ბ. დე ლამოლმა იგი ცივად მიიღო. საბრალო ბარონი მალე გაიპარა.

_ ასე ჩქარა იმიტომ დაგვტოვა, რომ ბ. კონტთან წავიდეს, _ თქვა გრაფმა შალვემ. ყვეალს გაეცინა.

ამ მდუმარე დარბაისლებისა და ინტრიგანების საზოგადოებაში, რომელმაც ამ საღამოს თავი მოიყარა ბ. დე ლამოლისას (ამბობდნენ იგი მინისტრი გახდებაო) და რომელიც უმეტეს ნაწილად სახელშებღალული, მაგრამ გონებამახვილი ადამიანებისგან შედგებოდა, პატარა ტანბო პირველად გამოდიოდა ბრძოლის ველზე. თუ მას ჯერ კიდევ აზრთა სინატიფე აკლდა, სამაგიეროდ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ენა უჭრიდა.

_ რატომ ამ კაცს ათი წლის ციხეს არ მიუსჯიან? _ ამბობდა იგი იმ წუთში როცა ჟიულიენი მის ჯგუფს მიუახლოვდა: _ ასეთი ქვეწარმავალნი ხაროებში უნდა ვიყოლიოთ; ისინი სიბნელეში უნდა დავხოცოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი შხამი აორთქლდება და კიდევ უფრო სახიფათო გახდება. რა მნიშვნელობა ექნება, რომ მას ათასი ეკიუ ჯარიმა მივუსაჯოთ? თუ იგი ღარიბია, მით უკეთესი; მის მაგივრად მისი პარტია გადაიხდის. უმჯობესი იქნებოდა, ხუთასი ფრანკი ჯარიმა გადავახდევინოთ და ათი წლით ხაროში ჩავაგდოთ.

«ღმერთო ჩემო, ვინაა ის საშინელი ურჩხული, რომელზედაც ეს კაცი ლაპარაკობს?» გაიფიქრა ჟიულიენმა, რომელიც აღტაცებული იყო თავისი კოლეგის ცხოველი ტონითა და მძაფრი მიმოხრით. ტანბოს პატარა, გამხდარი და დაგრძელებული სახე ამ წუთში საზიზღარი იყო. ჟიულიენი მიხვდა, რომ მისი მუქარა უდიდეს თანამედროვე პოეტს შეეხებოდა.

«აი, არამზადა! _ კინაღამ ხმამაღლა წამოიძახა ჟიულიენმა და თვალები კეთილშობილი ცრემლებით აევსო. _ აჰ, გარეწარო, დამაცადე, მოგაგონებ მაგ სიტყვებს! აი, როგორები არიან იმ პარტიის უძღები შვილები, რომელსაც მარკიზი მეთაურობს! და რამდენ ჯვარს, რამდენ სინეკურს მიიღებდა ის სახელოვანი კაცი, რომელსაც ისინი

ტალახში სვრიან, თავი რომ მიეყიდა ბ. ნერვალის უგვანო სამინისტროსთვის* კი არა, არამედ ერთ-ერთი შედარებით პატიოსანი მისი წინამორბედი სამინისტროსთვის მაინც.

აბატმა პირარმა, რომელსაც ბ. დე ლამოლმა რაღაც უთხრა, ჟიულიენს შორიდან ანიშნა, ჩემთან მოდიო, მაგრამ იმ წუთში ჟიულიენი თვალდახრილი ისმენდა ერთი ეპისკოპოსის ოხვრას, ხოლო, როცა იგი განთავისუფლდა და თავის მეგობარს მიუახლოვდა, აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს საზიზღარი პატარა ტანბო დაპატრონებოდა. ამ კაცუნას აბატი სძულდა, როგორც ჟიულიენის კეთილდღეობის მიზეზი, მაგრამ მაინც ელაქუცებოდა.

_ როდის გაგვათავისუფლებს სიკვდილი ამ დამპალი ლეშისაგან? _ ამ ბიბლიური ენერგიით აღსავსე გამოთქმებით ლაპარაკობდა ეს პაწია ლიტერატორი პატივცემულ ლორდ ჰოლანდზე.* მისი ღირსება ის გახლდათ, რომ კარგად იცოდა თანამედროვე ადამიანების ბიოგრაფიები და ის იყო მოკლედ შეაფასა ყველანი, ვისაც რაიმე გავლენის მოხდენა შეეძლო ინგლისის ახალი მეფის ტახტზე ასვლის შემდეგ.

აბატი პირარი მეზობელ სალონში შევიდა, ჟიულიენიც მას გაჰყვა.

_ მარკიზს მჯაღბნელები არ უყვარს, წინასწარ გაფრთხილებთ; ყველაფერი გეპატიებათ, ლათინურის ცოდნაც, ბერძნულისაც; თუ გნებავთ ეგვიპტელების და სპარსელების ისტორიაც ისწავლეთ... იგი თქვენ პატივს გცემთ, მფარველობას გაგიწევთ როგორც მეცნიერს. მაგრამ ღმერთი არ გაგიწყრეთ და არაფერი არ დაწეროთ ფრანგულად, განსაკუთრებით სერიოზულ საგნებზე, რაიც არ შეეფერება თქვენს მდგომარეობას საზოგადოებაში: იგი თქვენ მჯღაბნელს დაგარქმევთ და ნაცარქექიად ჩაგთვლით. როგორ, თქვენ დიდი დარბაისელის სასახლეში ცხოვრობთ და არ იცით, რა თქვა დუკა დე კასტრიმ* დალამბერსა* და რუსოზე:* ცდილობენ ყველაფერზე იმსჯელონ, მაგრამ ათასი ეკიუს რენტაც კი არ აქვთო.

«აქაც ყველაფერს ადვილად ტყობილობენ, ისევე როგორც სემინარიაში! _ გაიფიქრა ჟიულიენმა. მას საკმაოდ მაღალფარდოვანი სტილით რვა თუ ათი გვერდი ჰქონდა დაწერილი; ეს იყო ერთგვარი ისტორიული შექება ბებერი დასტაქრისა, რომელმაც იგი, მისი აზრით, ადამიანად აქცია. მაგრამ ეს პატარა რვეული ხომ მუდამ ჩაკეტილი მაქვს!» იგი თავის ოთახში ავიდა, ხელნაწერი დაწვა და სალონში დაბრუნდა. ბრწყინვალე ოინბაზები უკვე წასულიყვნენ, იქ მხოლოდ ორდენიანი ადამიანები დახვდნენ.

სუფრის გარშემო, რომელიც მსახურებმა სრულიად გაშლილი შემოიტანეს, შვიდი თუ რვა მანჭია ქალი დაჯდა, მეტისმეტად კეთილშობილი, მეტისმეტად ღვთისმოსავი;

მათი ასაკი ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ წლამდე აღწევდა. შემოვიდა მარშალ დე ფერვაკის ბრწყინვალე მეუღლე და ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის. შუაღამე გადასული იყო; ახლადმოსული მარკიზის მეუღლის გვერდით დაჯდა. ჟიულიენი საშინლად აღელდა: ამ ქალს ქალბატონ დე რენალის თვალები და გამოხედვა ჰქონდა.

მატილდა დე ლამოლის ჯგუფი ჯერ კიდევ არ დაშლილიყო. ქალი თავის მეგობრებთან ერთად დასცინოდა საბრალო გრაფ დე ტალერს. ეს იყო ერთადერთი ვაჟი ცნობილი ებრაელისა, რომელმაც სიმდიდრე იმით შეიძინა, რომ სესხად ფულს აძლევდა მეფეებს, რათა მათ ომი ეწარმოებიათ ხალხების წინააღმდეგ. მდიდარი ებრაელი ცოტა ხნის წინათ მოკვდა და თავის ვაჟს დაუტოვა ასი ათასი ეკიუს რენტა თვეში და აგრეთვე სახელი, სამწუხაროდ, მეტად ცნობილი. ეს თავისებური მდგომარეობა ან ხასიათის უბრალოებას მოითხოვდა, ან დიდ ძალასა და ნებისყოფას.

სამწუხაროდ, გრაფი გაჟღენთილი იყო სხვადასხვაგვარი პრეტენზიით, რომლებიც მას მლიქვნელებმა ჩააგონეს.

ბ. დე კაიუსი ამტკიცებდა, რომ იგი განაზრახეს, მატილდა დე ლამოლი ითხოვეო. ამ ქალს კი ეაშიკებოდა მარკიზ დე კრუაზენუა, რომელიც მომავალში დუკა უნდა გამხდარიყო, ამასთანავე მას ასი ათასი ლივრის შემოსავალი ექნებოდა.

_ აჰ, მას ცილს ნუ დასწამებთ, თითქო ნებისყოფა ჰქონდეს, _ თქვა შებრალების ტონით ნორბერმა.

მართლაც ყველაზე მეტად ამ საბრალო გრაფ დე ტალერს ნებისყოფა აკლდა. თავისი ხასიათის ამ თავისებურების გამო იგი ღირსი იყო მეფე გამხდარიყო. იგი მთელ ქვეყანას ჰკითხავდა რჩევას, მაგრამ ვაჟკაცობა არ ჰყოფნიდა რომელიმე აზრს მიჰყოლოდა ბოლომდე.

_ მას თავისივე სახე ეყოფა მაყურებლების გასართობად, _ ამბობდა მატილდა დე ლამოლი. ამ სახის გამომეტყველება შეშფოთებისა და გულგატეხილობის თავისებურ შეხამებას წარმოადგენდა; მაგრამ ხანდახან იქ გულზვიადობაც გამოსჭვიოდა; ამ წუთებში გრაფს ის ბასრი ტონი ჰქონდა, რომელიც შეეფერება უმდიდრეს ადამიანს საფრანგეთში, განსაკუთრებით როცა მას საკმაოდ მოხდენილი გარეგნობა აქვს და ჯერ კიდევ არ მიუღწევია ოცდათექვსმეტი წლისთვის. «მორცხვად თავხედია», _ ამბობდა მასზე ბ. დე კრუაზენუა. გრაფმა დე კაიუსმა, ნორბერმა და ორმა-სამმა ახალგაზრდა, კოპწია ულვაშებიანმა კაცმა ბევრი დასცინეს ისე, რომ თვით გრაფ დე ტალერს არაფერი უგრძნია, და ბოლოს შინ გაისტუმრეს, როცა ღამის პირველმა საათმა დაჰკრა.

_ ნუთუ ამ ავდარში თქვენი სახელგანთქმული არაბული ცხენები გიცდიან ჭიშკართან? _ ჰკითხა ნორბერმა.

_ არა, იქ მეორე წყვილი დგას, ბევრად ნაკლებ ძვირფასი, _ უპასუხა ბ. დე ტალერმა: _ მარცხენა ცხენი ხუთი ათასი ფრანკი დამიჯდა, მარჯვენა კი მხოლოდ ასი ლუიდორი მიზის; მაგრამ მერწმუნეთ, რომ მათ მხოლოდ ღამით აბამენ და მათი სიარული არ ჩამორჩება არაბული ცხენების სიარულს.

ნორბერის შენიშვნამ გრაფს მოაგონა, რომ მისი მდგომარეობის ადამინს ცხენების ვნებიანი სიყვარული შეეფერებოდა და მას თავისი ბედაურები წვიმაში არ უნდა დაეტოვებია დიდხანს. იგი წავიდა, ხოლო ერთი წუთის შემდეგ ახალგაზრდებიც დაიშალნენ.

«ამრიგად, _ ფიქრობდა ჟიულიენი, როცა მათი სიცილი ესმოდა კიბიდან, _ მე ჩემი მდგომარეობის საწინააღმდეგო მდგომარეობასაც გავეცანი. მე ოცი ლუიდორი რენტაც კი არა მაქვს და შევხვდი ადამიანს, რომელიც საათში ოც ლუიდორს ღებულობს; მას მაინც სასაცილოდ იგდებენ... ასეთი გამოცდილება კაცს ათავისუფლებს შურის გრძნობისაგან».

V

მგრძნობიარობა და ღვთისმოსავი მანდილოსანი

> ოდნავ ცოცხალ აზრს სიტლანქის ელფერი ადევს, იმდენად შეჩვეული ვართ გაცვეთილ გამოთქმებს. ვაი მას, ვინც რაიმე ახალ სიტყვას იტყვის.
>
> **ფობლასი**

რამდენიმე თვის გამოცდის შემდეგ მოურავმა ჟიულიენს ჯამაგირის მესამე მეოთხედი გადასცა. ბ. დე ლამოლმა მას დაავალა მამულების მართვა-გამგეობისათვის ედევნებინა თვალყური ბრეტანსა და ნორმანდიაში, სადაც ჟიულიენი ხშირად დადიოდა. ამას გარდა, მინდობილი ჰქონდა მიწერ-მოწერის წარმოება აბატ ფრილერის ცნობილ პროცესში. სათანადო ახსნა-განმარტებანი ბ. პირარმა მისცა.

მარკიზი მოკლე შენიშვნებს აკეთებდა მიღებული ქაღალდების არშიებზე, ამ შენიშვნების მიხედვით ჟიულიენი ადგენდა წერილებს, რომლებსაც შემდეგ მარკიზი ხელს აწერდა.

პარიზის საღვთისმეტყველო სკოლაში ჟიულიენის პროფესორები ჩიოდნენ, ბეჯითობა აკლიაო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც ერთ საუკეთესო მოწაფედ თვლიდნენ. სხვადასხვაგვარმა მუშაობამ, რასაც ჟიულიენი ავადმყოფურად თავმოყვარე კაცის გულმოდგინებით ასრულებდა, მას ჩქარა წაართვა პროვინციიდან მოტანილი მშვენიერი სახის ფერი. მისი ფერმიხდილობა ღირსებას წარმოადგენდა სემინარიელი ამხანაგების თვალში. ჟიულიენი თავის პარიზელ ამხანაგებს ნაკლებ ბოროტად თვლიდა, ნაკლებ ვერცხლის მოყვარედ, ვიდრე ბეზანსონელი სემინარიელები იყვნენ; მათ კი ჭლექიანი ეგონათ.

მარკიზმა ჟიულიენს ცხენი აჩუქა. ის შიშობდა, ამხანაგები დამინახავენ ცხენოსნობის დროსო და მათ უთხრა, ეს ვაჯიშობა ექიმებმა გამომიწერესო. აბატმა პირარმა იგი რამდენიმე იანსენისტურ წრეში შეიყვანა. ჟიულიენი გაოცებული იყო: სარწმუნოების იდეა მის აზროვნებაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფარისევლობასა და ფულის მოგების იმედთან. იგი აღტაცებით უცქეროდა ამ ღვთისმოსავ და მკაცრ ადამიანებს, რომელნიც შემოსავალ-გასავალზე არ ფიქრობდნენ. მრავალი იანსენისტი მას მეგობრულად უცქეროდა და რჩევას აძლევდა. მის წინაშე ახალი ქვეყანა გაიხსნა. იანსენისტების საზოგადოებაში მან გაიცნო გრაფი ალტამირა, ლიბერალი, რომელსაც სიკვდილი მიუსაჯეს მის სამშობლოში, ესპანეთში; ეს იყო მეტისმეტად მაღალი ტანის კაცი, ამასთანავე ღვთისმოსავი. ამ უცნაური წინააღმდეგობის _ ღვთისმოსაობისა და თავისუფლების სიყვარულის შეთავსებამ გააკვირვა ჟიულიენი.

ჟიულიენი ცივად ეპყრობოდა ახალგაზრდა გრაფს. ნორბერს მოეჩვენა, რომ იგი მეტისმეტად ცხარედ უპასუხობდა ზოგიერთი მისი მეგობრის ხუმრობას. ჟიულიენმა ერთხელ თუ ორჯერ დაარღვია ზრდილობის წესი და თავს სიტყვა მისცა არასოდეს დალაპარაკებოდა მატილდას. დე ლამოლის სასახლეში მას ყველანი წინანდებურად თავაზიანად ეპყრობოდნენ, მაგრამ იგი თავს დამცირებულად თვლიდა წინანდელთან შედარებით. მისი პროვინციული საღი გონება ამას ხალხური ანდაზით ხსნიდა: ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასაო.

შეიძლება იგი ახლა ცოტათი უფრო ნათელმხილველი გახდა, ვიდრე პირველ დღეებში იყო, ან კიდევ შეიძლება გაქრა პირველი აღტაცება, რომელიც პარიზულმა თავაზიანობამ ჩააგონა.

მომაკვდინებელი მოწყენილობა ეუფლებოდა, როგორც კი მუშაობას ათავებდა; ასეთია მაღალი საზოგადოების სულისა და გულის გამომფიტავი თავაზიანობის მოქმედება, ეს ზრდილობა სავსებით შეფარდებულია თითოეული წევრის მდგომარეობასთან. ოდნავ მგრძნობიარე გული მაშინვე ამჩნევს ხელოვნურობას.

რასაკვირველია, შეიძლება პროვინციელებს ვულგარული და ნაკლებ თავაზიანი ტონის ქონა ვუსაყვედურით, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი გატაცებასა და ვნებათა ღელვას იჩენენ სიტყვა-პასუხში. არასოდეს დე ლამოლის სასახლეში ჟიულიენის თავმოყვარეობა არ შელახულა; მაგრამ ხშირად, დაღამებისას, მას ტირილი მონდომებია. პროვინციაში ყოველი მსახური ბიჭი ინტერესს გამოიჩენს თქვენდამი, თუ რაიმე ხიფათი შეგემთხვათ მის ყავახანაში შესვლის დროს; მაგრამ თუ ეს შემთხვევა რაიმე არასასიამოვნოს წარმოადგენს თქვენი თავმოყვარეობისთვის, თანაგრძნობის გამოცხადების დროს იგი ათჯერ გაგიმეორებთ სიტყვას, რომელიც თქვენ გაგტანჯავთ. პარიზში პირზე ხელს აიფარებენ სიცილის დროს, მაგრამ თქვენ იქ ყოველთვის უცხო ხართ.

ჩვენ გვერდს ვუხვევთ მრავალ წვრილმან ამბავს, რასაც შეეძლო ჟიულიენი სასაცილო გარემოებაში ჩაეყენებინა, თავისი მდგომარეობით ღირსი რომ ყოფილიყო სასაცილოდ აგდებისა. გიჟური მგრძნობიარობა მას ათას მარცხს ადენინებდა. იგი სწავლობდა თავდაცვის ხერხებს: ყოველდღე დამბაჩას ისროდა, ფარიკაობის სახელგანთქმული ოსტატის ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა; თავისუფალ წუთს წიგნის კითხვაში კი არ ატარებდა წინანდებურად, არამედ მანეჟში მირბოდა და ყველაზე გაუხედნელ ცხენს თხოულობდა. იშვიათად მომხდარა, რომ მანეჟის ოსტატთან სეირნობის დროს იგი ცხენიდან ძირს არ ჩამოვარდნილიყო.

მარკიზი კმაყოფილი იყო მისი ბეჯითი შრომით, მისი დუმილით, მისი ჭკუით და ბოლოს, მას ყველა თავისი დახლართული საქმე მიანდო. როცა მარკიზს მისი ძლიერი პატივმოყვარეობა რამდენიმე წუთით ასვენებდა, იგი გონივრულად უძღვებოდა თავის საქმეებს; რადგან ახალ ამბებს მაშინვე გებულობდა, იგი იგებდა ბირჟაზე თამაშისას. ყიდულობდა სახლებს, ტყეებს; მაგრამ ცოტა რამ იყო საკმაო, რომ გული მოსვლოდა. რამდენიმე ასეულ ლუიდორს გააჩუქებდა და საჩივარს შეიტანდა რამდენიმე ფრანკის გულისთვის. მდიდარი ადამიანები, რომელთაც კეთილშობილი გული შერჩენიათ,

საქმეებში გართობას ეძებენ და არა შედეგებს. მარკიზს შტაბის უფროსი სჭირდებოდა, რომელიც მოაწესრიგებდა მის ფულის საქმეებს.

ქალბატონი დე ლამოლი, თავისი დინჯი ხასიათის მიუხედავად, ხანდახან დასცინოდა ჟიულიენს. ყოველივე მოულოდნელი, რასაც გრძნობიარობა ქმნის, აღიზიანებს მაღალი საზოგადოების მანდილოსნებს იმიტომ, რომ მოულოდნელობა წესიერების ანტიპოდია. ორჯერ თუ სამჯერ ჟიულიენს მარკიზი გამოექომაგა:

_ თუ იგი სასაცილოა თქვენს სალონში, სამაგიეროდ, გამარჯვებულია თავის ბიუროში, _ უთხრა მარკიზმა თავის მეუღლეს.

თავის მხრივ, ჟიულიენს ეგონა, მარკიზის მეუღლის საიდუმლოება აღმოვაჩინეო. ეს ქალი მაშინვე ყველაფრით დაინტერესდებოდა ხოლმე, როგორც კი ბარონ დე ლაჟუმატის მოსვლას აუწყებდნენ. ეს იყო ცივი არსება, სრულიად შეუშფოთებელი სახის პატრონი. იგი მაღალი, გამხდარი, ულამაზო იყო, ძალიან კარგად იცვამდა, მთელ თავის ცხოვრებას სასახლეში ატარებდა და არაფერზე არაფერს ამბობდა. ასეთივე იყო მისი აზროვნების წესიც. ქალბატონი დე ლამოლი პირველად იგრძნობდა ცხოვრებაში ბედნიერებას, ბარონი დე ლაჟუმატი მისი ქალის ქმარი რომ გამხდარიყო.

VI

სიტყვათა წარმოთქმის წესი

> თვითკმაყოფილება საპატიებელია მხოლოდ სიჭაბუკის ასაკში, როცა იგი სასიამოვნო რამის გადაჭარბებას წარმოადგენს. მას უხდება სიყვარულის, მხიარულების, უზრუნველობის გამომეტყველება. მაგრამ თვითკმაყოფილება, შეერთებული გულდიდობასა და სერიოზულობასთან, ისეთი უგუნურებაა, რომელიც მხოლოდ XIX საუკუნეშია შესაძლებელი. და ასეთ ადამიანებს რევოლუციათა ჰიდრის შებოჭვა სურთ.
>
> **«იოჰანისბერგი», პამფლეტი**

როგორც ახლადმოსული, რომელიც სიამაყის გამო კითხვებს არ იძლევა, ჟიულიენი მაინცა და მაინც დიდ სისულელეს არ სჩადიოდა. ერთხელ მოულოდნელმა

კოკისპირულმა წვიმამ იგი ყავახანაში შეაგდო სენტ-ონორეს ქუჩაზე. იქ ვიღაც მაღალმა, კასტორის რედინგოტიანმა კაცმა, რომელიც მისმა მოღუშულმა სახემ გააკვირვა, სწორედ ისე აათვალიერა, როგორც ეს ბეზანსონში ამანდას საყვარელმა ქნა.

ჟიულიენს ძლიერ ხშირად უსაყვედურებია თავის თავისთვის, როგორ ვაპატიე ის პირველი შეურაცხყოფაო. ამიტომ ვერ აიტანა ეს შეხედვა და ახსნა-განმარტება მოითხოვა. რედინგოტიანმა მამაკაცმა ფიცხლავ უბინძურესი გინებით გასცა პასუხი. ყავახანის სტუმრები მათ გარს შემოეხვივნენ, გზად მიმავალნი კარებთან გაჩერდნენ. როგორც ფრთხილ პროვინციელს შეეფერება, ჟიულიენი პატარა დამბაჩებს ატარებდა ჯიბეში; ახლა იგი მათ ხელს უჭერდა ცახცახით. ამისდა მიუხედავად, კეთილგონიერება გამოიჩინა, მხოლოდ თავის მოწინააღმდეგეს უმეორბდა:

_ ბატონო, თქვენი მისამართი! მე თქვენ მეზიზღებით!

იგი ისე ჯიუტად იმეორებდა ამ სიტყვებს, რომ ბრბოზეც მოახდინა გავლენა.

_ მართლაცდა, უნდა მისცეს თავისი მისამართი!

რედინგოტიანმა მამაკაცმა რამდენჯერმე გაიგონა ბრბოს ეს გადაწყვეტილება და ჟიულიენს ცხვირ-პირში ესროლა ხუთი-ექვსი სადარბაზო ბარათი. საბედნიეროდ, არც ერთი არ მოხვედრია, მას კი თავისთვის სიტყვა ჰქონდა მიცემული, დამბაჩები მხოლოდ იმ შემთხვევაში ეხმარა, თუ უშუალოდ შეეხებოდნენ.

უცნობი გარეთ გავიდა, მაგრამ რამდენჯერმე მობრუნდა, მუშტი მოუღერა და შემოუკურთხა.

ჟიულიენი ოფლში იწურებოდა. «მაშასადამე, უკანასკნელ არამზადას შეუძლია ასე საშინლად ამაღელვოს? _ ფიქრობდა იგი ბრაზმორეული: _ როგორ მოვსპო ჩემში ეს დამამცირებელი მგრძნობიარობა?»

სად უნდა ეშოვნა სეკუნდანტი? არც ერთი მეგობარი არ ჰყოლია. მართალია, ბევრი ხალხი გაიცნო, მაგრამ ექვსიოდე კვირის ურთიერთობის შემდეგ, ჩვეულებრივ, ყველა შორდებოდა. «მე გაუტანელი ვარ, ამიტომ ახლა სასტიკად ვისჯები», _ ფიქრობდა იგი. ბოლოს გადაწყვიტა მოეძებნა 96-ე ათასეულის ყოფილი ლეიტენანტი, გვარად ლივენი, ერთი ღარიბ-ღატაკი კაცი, რომელსაც ხშირად ეფარიკავებოდა. ჟიულიენმა გულწრფელად უამბო მას ყოველივე.

_ კარგი, გაგიწევთ სეკუნდანტობას, მაგრამ ერთი პირობით, _ უთხრა ლივენმა: _ თუ თქვენი მოწინააღმდეგე ვერ დაჭერით, დაუყოვნელივ ჩემთან უნდა გამოხვიდეთ ხმალში საბრძოვლელად.

_ თანახმა ვარ, _ უთხრა აღტაცებულმა ჟიულიენმა. ისინი სენ-ჟერმენის გარეუბანში* გაემგზავრნენ ბ. დე ბოვუაზის საძებნელად, ამ უკანასკნელის ბარათზე აღნიშნული მისამართის მიხედვით.

დილის შვიდი საათი იყო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსახურს თავისი მოსვლა მოახსენებინა, ჟიულიენს გაახსენდა, ეს შეიძლება ქალბატონ დე რენალის ახალგაზრდა ნათესავი იყოს, რომელიც წინათ რომსა თუ ნეაპოლში მსახურობდა და სარეკომენდაციო წერილი მისცა მომღერალ ჯერონიმოსო.

ჟიულიენმა მაღალი ტანის ლაქიას თავის სადარბაზო ბარათი გადასცა ერთ იმ ბარათთან ერთად, რომელიც წინა დღით მიახალეს ცხვირ-პირში.

მასა და მის სეკუნდანტს თითქმის მთელი საათი ალოდინეს; ბოლოს ისინი მშვენივრად მოწყობილ ოთახში შეიყვანეს. იქ ტიკინასავით მორთული მაღალი, ახალგაზრდა კაცი შეხვდათ. მისი სახე კლასიკური ბერძნული სილამაზის სრულყოფასა და უმნიშვნელობას გამოხატავდა. მისი შესამჩნევად ვიწრო თავი მშვენიერი ქერა თმით იყო დაფარული, ეს თმა ისე გულმოდგინედ დაეხუჭუჭებია, რომ ბეწვი ბეწვზე იდო. «ამ წყეულმა იმისთვის გვალოდინა, რომ ამრიგად დახუჭუჭებულიყო», გაიფიქრა 96-ე ათასეულის ლეიტენანტმა. ყოველივე, რაც ზედ ეცვა, კოხტა და საუცხოოდ მოვლილი იყო, ზოლებიანი საშინაო ხალათი, დილის შარვალი, თვით მოქარგული ფლოსტები. მისი კეთილშობილი და უშინაარსო სახე ამჟღავნებდა, რომ ურიგოს არაფერს გაივლებდა გულში, მაგრამ ჭკუას მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნიდა. ერთი სიტყვით, მეტერნიხის სკოლის დიპლომატს ჰგავდა. არც ნაპოლეონს უყვარდა, რომ მისი მახლობელი ოფიცრები დიდი მოაზროვნეები ყოფილიყვნენ.

ჟიულიენი, რომელსაც მისმა ლეიტენანტმა აუხსნა, რომ ამდენ ხანს დაცდევინება მას შემდეგ, რაც სახეში ბარათები მიაყარეს, ახალი შეურაცხყოფა იყო, მიიჭრა ბ. დე ბოვუაზისთან; მას უნდოდა თავხედობა გამოეჩინა, მაგრამ ამავე დროს დარბაისლური ტონიც დაეცვა.

ჟიულიენი ისე გააკვირვა ბ. ბოვუაზის თავაზიანმა მანერებმა, მისმა მშვიდმა, ამაყმა და თვითკმაყოფილმა გამომეტყველებამ, მისი ბინის გასაოცარმა სილაზათემ, რომ თვალის ერთ დახამხამებაში სრულიად დაკარგა თავხედობის სურვილი. მის წინ გუშინდელი მოწინააღმდეგე როდი იდგა. იგი იმდენად გაოცებული იყო ასეთი რჩეული პიროვნების აღმოჩენით უზრდელი არსების ადგილას, რომ სიტყვა ვერ ეპოვა, თითქო ენა მუცელში ჩავარდნოდეს. მან გუშინდელი სადარბაზო ბარათი გადასცა მასპინძელს.

_ ეს ჩემი გვარია, _ უთხრა ახალგაზრდა დიპლომატმა, რომელმაც ნაკლები პატივისცემა იგრძნო ჟიულიენისადმი, რადგან მას დილის შვიდი საათიდანვე შავი ტანისამოსი ჩაეცვა, _ მაგრამ, გეფიცებით, არ მესმის...

მანერამ, რომლითაც ეს უკანასკნელი სიტყვები იქნა წარმოთქმული, ცოტა არ იყოს, გააღიზიანა ჟიულიენი.

_ მე გიახელით, რათა დუელში გამოგიწვიოთ, ბატონო! _ და მოკლედ აუხსნა საქმის ვითარება.

ბ. შარლ დე ბოვუაზი ცოტა რომ დაფიქრდა, კმაყოფილი დარჩა ჟიულიენის შავი ტანისამოსის ფასონით. «ცხადია, შტაუბის შეკერილია, _ ფიქრობდა იგი, როცა ჟიულიენის ლაპარაკს უსმენდა: _ ეს ჟილეტი კარგ გემოვნებას მოწმობს, იგივე ითქმის ფეხსაცმელებზე; მაგრამ, მეორე მხრით, შავი ტანისამოსის ჩაცმა ასე ადრე!.. ეს, ალბათ, იმიტომ ჩაიდინა, რომ თავი უკეთ დაიცვას ტყვიისაგან».

ამ ახსნა-განმარტების მიღების შემდეგ დე ბოვუაზი ხელახლა დაუბრუნდა სრულიად თავაზიან ტონს და ჟიულიენს თითქმის ისე ესაუბრებოდა, როგორც თანასწორი თანასწორს. საუბარი დიდხანს გაგრძელდა, საქმე მეტად რთული იყო; მაგრამ ჟიულიენი სინამდვილეს ვერ გაექცეოდა: ამ ახალგაზრდა ზრდილობიან კაცს არავითარი მსგავსება არ ჰქონდა იმ ტლანქ პიროვნებასთან, რომელმაც გუშინ მას შეურაცხყოფა მიაყენა.

ჟიულიენს ძალიან ეძნელებოდა პირში ჩალაგამოვლებული წასვლა და ისევ აგრძელებდა ახსნა-განმარტებას. იგი აკვირდებოდა თავის თავით კმაყოფილ კავალერ დე ბოვუაზის - ასე უწოდა თავის თავს ამ უკანასკნელმა, შეურაცხყოფილმა იმით, რომ ჟიულიენი მას უბრალოდ ბატონს უწოდებდა.

დე ბოვუაზი დუელზე თანახმა იყო, მაგრამ ყოფილმა ლეიტენანტმა, რომელიც ერთი საათი უსიტყვოდ იჯდა დოინჯშემოყრილი, გადაწყვიტა, რომ მისი მეგობარი ბ. სორელი არ იკადრებდა გერმანელივით ჩხუბი აეტეხა კაცისთვის მხოლოდ იმის გამო, რომ მას სადარბაზო ბარათი მოპარეს.

ჟიულიენი ძალიან ცუდ გუნებაზე გამოვიდა გარეთ; კავალერ დე ბოვუაზის ეტლი ეზოში უცდიდა. აივანთან შემთხვევით ჟიულიენმა ზევით აიხედა და თავისი გუშინდელი მტერი დაინახა: ეს იყო მეეტლე.

მისი დანახვა, კოფოდან ძირს ჩამოგდება და გამათრახება ერთი წუთის საქმე იყო. ლაქიები თავიანთ ამხანაგს მიეშველნენ; ჟიულიენს რამდენიმე მუშტი მოხვდა, მაგრამ

ფიცხლავ ამოიღო თავისი პატარა დამბაჩა და გაისროლა; მსახურები გაიქცნენ. ყოველივე ეს თვალის ერთ დახამხამებაში მოხდა.

კავალერი დე ბოვუაზი მძიმედ დაეშვა კიბეზე და კარისკაცის შესაფერი ტონით იმეორებდა:

_ რა მოხდა? რა მოხდა? _ ეტყობოდა, ძლიერ დაინტერესებული იყო, მაგრამ დიპლომატის თავდაჭერილობა ნებას არ აძლევდა მეტი ინტერესი გამოეჩინა. როცა მან საქმის ვითარება გაიგო, სახეზე აღებეჭდა ბრძოლა გულზვიადობისა იმ ოდნავ დამცინავ გულგრილობასთან, რომელიც ყოველთვის უნდა ჰქონდეს დიპლომატს.

ლეიტენანტი მიხვდა, რომ ახლა ბ. დე ბოვუაზის უნდოდა დუელში გამოსვლა; თავის მხრივ, იგი შეეცადა ინიციატივის უპირატესობანი შეენარჩუნებინა თავისი მეგობრისთვის.

_ ახლა კი გაქვს საბაბი დუელისათვის, _ წამოიძახა მან.

_ მეც ამ აზრისა ვარ, _ უპასუხა დიპლომატმა. _ მე ვაძევებ ამ არამზადას, _ უთხრა მან ლაქიებს: _ დაე, ვინმე სხვა დაჯდეს კოფოზე.

როცა კარეტის კარი გააღეს, კავალერმა მოისურვა, რომ ჟიულიენი და მისი სეკუნდანტიც დამსხდარიყვნენ. გაემგზავრნენ ბ. დე ბოვუაზის ერთი მეგობრის მოსაძებნად. ამ უკანასკნელმა მათ წყნარი ადგილი უჩვენა დუელისთვის. გზაზე საუბარი გაცხოველდა. ერთადერთი ახირებული მოვლენა მთელს ამ თავში საშინაო ხალათიანი დიპლომატი იყო.

«თუმცა ეს მამაკაცები მეტად კეთილშობილნი არიან, მაგრამ მათთან ადამიანს ისე არ მოსწყინდება, როგორც იმ ხალხთან, რომელიც ბ. დე ლამოლთან დადის სასადილოდ, _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ და მე მესმის, რატომ აძლევენ ისინი თავიანთ თავს ნებას, უწესონი იყვნენ». ლაპარაკი ჩამოვარდა მოცეკვავე ქალებზე, რომელთაც საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია წინა ღამის ბალეტზე. ეს მამაკაცები გადაკვრით ლაპარაკობდნენ პილპილნარევ ანეგდოტებს, რომელნიც არც ჟიულიენს გაეგონა და არც მის სეკუნდანტს. ჟიულიენი იმდენად ჭკვიანი იყო, არ ცდილა, თავი ისე მოეჩვენებინა, ყველაფერს ვხვდებიო. პირიქით, კეთილსინდისიერად აღიარა თავისი უცოდინარობა. ეს გულწრფელობა მოეწონა კავალერის მეგობარს; მან ჟიულიენს ეს ანეგდოტები დაწვრილებით და კარგად უამბო.

ერთმა გარემოებამ დიდად გააკვირვა ჟიულიენი. კარეტა ერთი წუთით შეაჩერა საკურთხეველმა, რომელსაც ღვთის სხეულის დღესასწაულისთვის აგებდნენ შუა ქუჩაში. ჟიულიენის თანამგზავრებმა ხუმრობა დაიწყეს: მღვდელი არქიეპისკოპოსის შვილიაო,

ირწმუნებოდნენ. ვერასოდეს ასეთი რამის თქმას ვერ გაბედავდნენ მარკიზ დე ლამოლისას, რომელსაც დუკად გახდომა სურდა.

დუელი ერთ წუთში დამთავრდა: ჟიულიენს ხელში მოხვდა ტყვია. მას ჭრილობა არაყში დასველებული ცხვირსახოცებით შეუხვიეს, და კავალერმა დე ბოვუაზიმ ჟიულიენს ზრდილობიანად სთხოვა, ნება მომეცით შინ მიგიყვანოთ იმავე კარეტით, რომლითაც აქ მოგიყვანეთო. როცა ჟიულიენმა დე ლამოლის სასახლის მისამართი მისცა, ახალგაზრდა დიპლომატმა და მისმა მეგობრებმა ერთმანეთს გადახედეს. ჟიულიენის ფიაკრიც იქ იდგა, მაგრამ მას უფრო საინტერესოდ მიაჩნდა ახალგაცნობილთა საუბარი, ვიდრე 96-ე ათასეულის კეთილ ლეიტენანტთან პირისპირ ჯდომა.

«ღმერთო ჩემო, ნუთუ დუელი ესაა და მეტი არაფერი! _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ რა ბედნიერი ვარ, რომ ის მეეტლე აღმოვაჩინე! რა უბედური ვიქნებოდი, იძულებული რომ ვყოფილიყავი ყავახანაში მიღებული შეურაცხყოფაც ამეტანა!»

სასიამოვნო საუბარი თითქმის არ შეწყვეტილა. ჟიულიენი მიხვდა, რომ დიპლომატიური თვალთმაქცობაც საჭირო ყოფილა ცხოვრებაში.

«მაშასადამე, აუცილებელი არ ყოფილა, რომ მოწყენილობა თან სდევდეს კეთლშობლი ადამიანების საუბარს! ესენი ღვთის სხეულის პროცესიას დასცინიან და თამამად და დაწვრილებით მოგვითხრობენ პილპილნარევ ანეგდოტებს. მათ სრულიად არაფერი აკლიათ, გარდა მსჯელობისა პოლიტიკის შესახებ, ეს ნაკლი კი უხვად ნაზღაურდება მათი ლაზათიანი ტონით და მათი სხარტი გამოთქმებით. _ ჟიულიენი უძლეველ სიმპათიას გრძნობდა მათდამი, _ რა კარგი იქნებოდა მათ ხშირად ვხვდებოდე», _ ფიქრობდა იგი.

როგორც კი ისინი ერთმანეთს გაშორდნენ, კავალერი დე ბოვუაზი ჟიულიენის ამბის გამოკითხვას შეუდგა. მაიცნდამაინც სახარბიელო ვერა შეიტყო რა. მას ძალიან უნდოდა გაეგო, ვინ იყო მისი მოწინააღმდეგე; მოითხოვდა თუ არა ზრდილობა მასთან სადარბაზოდ წასვლას? ცოტაოდენი ცნობა, რომელიც მან მიიღო, არაფერს შეიცავდა გამამხნევებელს.

_ ეს საშინელებაა, _ უთხრა მან თავის სეკუნდანტს: _ მე ხომ არ შემიძლია გამოვტყდე, რომ ბ. დე ლამოლის უბრალო მდივანს შევებრძოლე და ისიც იმიტომ, რომ ჩემმა მეეტლემ სადარბაზო ბარათები მომპარა.

_ მართალია, ყოველივე ეს შეიძლება სასაცილოდ გვეჩვენოს.

იმავე საღამოს კავალერმა დე ბოვუაზიმ და მისმა მეგობარმა ყველგან ხმა გაავრცელს, ბ. სორელი, რომელიც ყოველმხრივ კარგი ყმაწვილ კაცად შეიძლება ჩაითვალოს, მარკიზ დე ლამოლის ერთი მახლობელი მეგობრის უკანონო შვილიაო. ეს ამბავი საზოგადოებაში უყოყმანოდ მიიღეს. ამის შემდეგ ახალგაზრდა დიპლომატმა და მისმა მეგობრებმა კეთილინებეს და ჟიულიენს რამდენჯერმე სადარბაზოდ ესტუმრნენ იმ ორი კვირის განმავლობაში, რომელიც დაჭრილმა თავის ოთახში გაატარა. ჟიულიენი მათ გამოუტყდა, რომ მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი ოპერაში.

_ ეს საშინელებაა, _ უპასუხეს მას: _ მხოლოდ იქ შეიძლება სიარული; თქვენი პირველი გამოსვლა «გრაფ ორიზე»* წასასვლელად უნდა მოხდეს.

ოპერაში კავალერმა დე ბოვუაზიმ იგი ცნობილ მომღერალ ჯერონიმოს წარუდგინა, რომელიც მაშინ დიდ მოწონებაში იყო.

ჟიულიენი თითქმის შეყვარებული იყო კავალერზე: იგი აღტაცებული იყო საკუთარი თავის პატივისცემის, იდუმალი ქედმაღლობისა და თვითკმაყოფილების გრძნობათა შეზავებით, რაიცა ამ ახალგაზრდა კაცს ახასიათებდა. მაგალითად, კავალერი ცოტა არ იყოს ენაბრგვილი ადამიანივით ლაპარაკობდა, იმიტომ რომ იგი ხშირად შეხვედროდა ერთ დიდ დარბაისელს, რომელსაც ასეთი ნაკლი ჰქონდა. არასოდეს ჟიულიენს არ უნახავს, რომ ერთ არსებაში ასე შეერთებული ყოფილიყოს სასაცილო მხარეები, რომლებიც კაცს ართობს, და დასრულებული მანერები, რომლებსაც ყოველმა ბეჩავმა პროვინციელმა უნდა წაჰბაძოს.

მას ოპერაში ხშირად ხედავდნენ კავალერ დე ბოვუაზისთან ერთად; ამ კავშირის გამო მის სახელს ხშირად იმეორებდნენ.

_ მაშასადამე, _ უთხრა მას ერთხელ ბატონმა დე ლამოლმა, _ თქვენ თურმე ჩემი გულითადი მეგობრის, ფრანშკონტელი მდიდარი კეთილშობილის უკანონო ვაჟი ყოფილხართ.

ჟიულიენს უნდოდა დაერწმუნებინა, მე არავითარი ბრალი არ მიმიძღვის ამ ხმის გავრცელებაშიო, მაგრამ მარკიზმა სიტყვა მოუჭრა.

_ ბ. დე ბოვუაზის არ უნდოდა გამოტეხილიყო, რომ დურგლის შვილთან ჰქონდა დუელი, _ თქვა ჟიულიენმა.

_ ვიცი, ვიცი, _ უპასუხა ბ. დე ლამოლმა: _ ახლა თვით მე შემიძლია დავადასტურო ეს ამბავი, რომელიც ჩემთვის ხელსაყრელია. მაგრამ ერთი რამ უნდა გთხოვოთ, ეს თქვენ მხოლოდ ნახევარ საათს წაგართმევთ. ოპერის წარმოდგენების დღეებში თორმეტის

ნახევარზე თეატრის ვესტიბიულში შედით, რათა მაღალი საზოგადოების გამოსვლას უყუროთ. ჯერ კიდევ ხანდახან პროვინციული მიხრა-მოხრა გეტყობათ, საჭიროა მათი თავიდან მოშორება; ამას გარდა, ურიგო არ იქნება, რომ შესახედავად მაინც გაიცნოთ ის წარჩინებული პირები, რომლებთანაც შეიძლება რამე დავალებით გაგაგზავნოთ. შედით თეატრის სალაროში, რათა იქ ბილეთი მოგცენ.

VII

ნიკრისის ქარის შეტევა

მე წარმატება მივიღე არა ჩემი
დამსახურების წყალობით, არამედ იმიტომ,
რომ ჩემი უფროსი ნიკრისის ქარით იყო ავად.

ბერტოლოტი

მკითხველი შეიძლება გაკვირვებული იყოს ამ თავისუფალი და თითქმის მეგობრული ტონით; ჩვენ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ თითქმის ექვსი კვირა იყო, მარკიზი სახლიდან ვერ გამოდიოდა ნიკრისის ქარის წყალობით.

მატილდა დე ლამოლი თავისი დედითურთ ჰიერის კუნძულებზე* იყო დიდედასთან. გრაფი ნორბერი თავის მამასთან მხოლოდ რამდენიმე წუთით შედიოდა; მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ სალაპარაკო თემას ვერ პოულობდნენ. ბ. დე ლამოლი ჟიულიენის ანაბარა დარჩა და გაკვირვებული იყო, რომ მასში იდეები აღმოაჩინა. იგი მას გაზეთებს აკითხებდა. ჩქარა ახალგაზრდა მდივანი გაიწაფა საინტერესო ადგილების არჩევაში. ერთი ახალი გაზეთი მარკიზს ეჯავრებოდა; მან თავის თავს ფიცი მისცა არასოდეს ეს გაზეთი არ წაეკითხა და ყოველდღე ლაპარაკობდა ამაზე, რაც ჟიულიენს აცინებდა. მარკიზი გამწყრალი იყო თანამედროვე ეპოქაზე და ჟიულიენს ტიტუს ლივიუსს* აკითხებდა; ლათინური ტექსტის იმპროვიზაციული თარგმანი მას ართობდა.

ერთხელ მარკიზმა უთხრა იმ გადაჭარბებული ზრდილობიანი ტონით, რომელიც ხშირად აღიზიანებდა ჟიულიენს:

_ ნება მომეცით, ჩემო ძვირფასო სორელ, რომ ლურჯი ტანისამოსი მოგიძღვნათ: როცა მისი ჩაცმა და ჩემთან მოსვლა მოგესურვებათ, მე თქვენ ისე მიგიღებთ, როგორც გრაფ შოლნის უმცროს ძმას, ე. ი. ჩემი მეგობრის, ბებერი დუკას ვაჟს.

ჟიულიენს ხეირიანად როდი ესმოდა საქმის ვითარება; იმ საღამოსვე იგი სადარბაზოდ მივიდა ლურჯ ტანისამოსში. მარკიზი ისე შეხვდა, როგორც თანასწორი თანასწორს. ჟიულიენის გული ადვილად გრძნობდა ნამდვილ ზრდილობას, მაგრამ ვერ სწვდებოდა ნიუანსებს. სანამ მარკიზს თავში ეს ფანტაზია მოუვიდოდა, იგი დაიფიცებდა, შეუძლებელია ადამიანი უკეთ გეპყრობოდეს, ვიდრე მარკიზი მეპყრობაო. «რა საუცხოო ტალანტია!» _ ფიქრობდა ჟიულიენი. როცა იგი წამოდგა და გასვლა დააპირა, მარკიზმა ბოდიში მოიხადა, არ შემიძლია გაგაცილოთ ნიკრისის ქარის გამოო.

ამ გარემოებამ ჟიულიენის ყურადღება მიიქცია: «ხომ არ დამცინის?» გაიფიქრა მან და აბატ პირართან წავიდა რჩევის საკითხავად. მაგრამ აბატი ნაკლებ ზრდილობიანი კაცი იყო, ვიდრე მარკიზი, არაფერი უპასუხა, სტვენა დაიწყო და სხვა საგანზე ჩამოაგდო სიტყვა. მეორე დღეს დილით მარკიზს შავს ტანისამოსში წარუდგა თავისი პორტფელითა და ხელმოსაწერი ქაღალდებით. იგი წინანდებურად მიიღეს. როცა საღამოს ლურჯ ტანისამოსში გამოცხადდა, ტონი შეიცვალა და ისეთივე თავაზიანი გახდა, როგორც წინა დღით.

_ თუ თქვენ ძლიერ მოწყენილი არ ხართ საბრალო ავადმყოფ მოხუცთან, _ უთხრა მარკიზმა, _ კარგი იქნებოდა, მას თქვენი ცხოვრების ყველა პატარა შემთხვევას უამბობდეთ, მაგრამ გულახდილად, გარკვეულად და შემაქცევრად. კაცი უნდა გაერთოს, ამის მეტი არაფერია რეალური ამ ცხოვრებაში. ადამიანს არ შეუძლია ყოველდღე სიკვდილს გადამარჩინოს ომში, ყოველდღე მილიონი მაჩუქოს: მაგრამ აქ, ჩემი გრძელი დივანის გვერდით რომ ყოველდღე რივაროლი* მყოლოდა, იგი თითო საათის ტანჯვასა და მოწყენილობას გამიქარვებდა. მე მას ემიგრანტობის დროს ხშირად შევხვედრივარ ჰამბურგში.

და მარკიზმა ჟიულიენს უამბო რივაროლის ოინები ჰამბურგელებთან, რომელნიც ერთმანეთს ეშველებოდნენ, რათა ერთი მისი ნაკვესი გაეგოთ.

ბ. დე ლამოლმა, რაკი თავისი ახალგაზრდა მდივნის ანბარა დარჩა, მისი წაქეზება მოინდომა. ამით გააღვივა ჟიულიენის პატივმოყვარეობა. რადგან ჟიულიენს სიმართლის თქმას სთხოვდნენ, მან გადაწყვიტა ყოველივე ეამბნა; მხოლოდ ორი რამ დამალა: თავისი ფანატიკური თაყვანისცემა იმ გმირისა, რომლის სახელის გაგონება მარკიზს ჟრუანტელს

გვრიდა, და თავისი სრული ურწმუნოება, რომელიც მომავალ მღდველს მაინცდამაინც არ შეეფერებოდა. მისი პატარა შეტაკება კავალერ დე ბოვუაზისთან სწორედ შესაფერი თემა აღმოჩნდა. მარკიზს სიცილისაგან ცრემლები სდიოდა, როცა ჟიულიენმა სენტ-ონორეს ქუჩის ყავახანაში მომხდარი შემთხვევა უამბო, იმ მეეტლესთან შეხვედრა რომელიც მას ბაზრული ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდა. ეს იყო წუთი სრული გულწრფელობის დამყარებისა პატრონსა და ხელქვეითს შორის.

ბ. დე ლამოლი დაინტერესდა ამ თავისებური ხასიათის კაცით. თავდაპირველად იგი ხელს უწყობდა ჟიულიენის სასაცილო მხარეების გამომჟღავნებას, რათა გართობილიყო. ჩქარა ამჯობინა უმტკივნეულოდ გაესწორებინა ამ ახალგაზრდა კაცის ყალბი შეხედულებანი. «სხვა პროვინციელები, როცა პარიზში მოდიან, ყოველივეს აღტაცებით შესცქერიან, _ გაიფიქრა მარკიზმა: _ ამას კი ყველაფერი სძულს. მათ ძალიან ბევრი თვალთმაქცობა აქვთ. ამას სწორედ ეს აკლია და სულელლები მას სულელად თვლიან».

ზამთრის დიდი სიცივეების გამო ნიკრისის ქარით ავადმყოფობა რამდენიმე თვეს გაჭიანურდა.

«ზოგიერთი ადამიანი ლამაზ გოშიას ეჩვევა, რად უნდა მრცხვენოდეს, რომ ამ პატარა აბატს შევეჩვიე? _ ფიქრობდა მარკიზი: _ იგი ორიგინალურია, მე მას შვილივით ვეპყრობი. მერე რა! რაა ამაში შეუფერებელი? თუ ეს ფანტაზია გაგრძელდა, იძულებული ვიქნები ხუთას ლუიდორად ღირებული ბრილიანტი ვუანდერძო».

რაკი მარკიზი დარწმუნდა, რომ მის ხელქვეითს მტკიცე ხასიათი ჰქონდა, ყოველდღე რაიმე ახალ საქმეს აკისრებდა მას.

ჟიულიენი შიშმა შეიპყრო, რადგან შეამჩნია, რომ ეს დიდი კარისკაცი ხშირად ერთიმეორის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას ღებულობდა ერთსა და იმავე საკითხში. ამას შეეძლო სახელი გაეტეხა მისთვის, ამიტომ მას ყოველთვის დავთარი მოჰქონდა, სადაც იგი წერდა მარკიზის გადაწყვეტილებას ხოლო ეს უკანასკნელი ხელს აწერდა. შემდეგ ჟიულიენმა თანაშემწე აიყვანა. მას ცალკე წიგნში შეჰქონდა თითოეული რეზოლუცია. ამ წიგნში იწერებოდა აგრეთვე ყოველი წერილის ასლი.

ეს იდეა მარკიზს თავდაპირველად სასაცილოდ და მოსაწყენად ეჩვენა. მაგრამ ორი თვეც არ გასულა, და მარკიზმა იგრძნო მთელი მისი უპირატესობა. ჟიულიენმა მას წინადადება მისცა ბანკის მოხელე დაიქირავე, იგი შემოსავალ-გასავლის ორმაგ ბუღალტერიას აწარმოებს იმ მამულებისათვის, რომელთაც მე განვაგებო.

ამ ღონისძიებებმა მარკიზს იმდენად გაურკვიეს მისი საკუთარი საქმეების ვითარება, რომ თავის თავს ნება მისცა ორი თუ სამი ახალი სპეკულაცია გაეკეთებია თავისი მონაცვლე პირის დაუხმარებლად რომელიც მას ქურდავდა.

_ აიღეთ სამი ათასი ფრანკი თქვენთვის, _ უთხრა მან ერთხელ თავის ახალგაზრდა მდივანს.

_ ბატონო, შეიძლება ამის გამო გამკიცხონ.

_ მაშ, რა გინდათ? _ ჰკითხა მარკიზმა მწყრალად.

_ რომ თქვენ კეთილინებოთ და საკუთარი ხელით წიგნში ჩაწეროთ ეს განკარგულება სამი ათასი ფრანკის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ ანგარიშწარმოების იდეა ბ. აბატ პირარს ეკუთვნოდა. მარკიზმა მოწყენილი სახით ჩაწერა ეს გადაწყვეტილება.

საღამოთი, როცა ჟიულიენი ლურჯ ტანისამოსში გამოწყობილი მოდიოდა, საქმეებზე აღარ ლაპარაკობდნენ. მარკიზის გულკეთილობა იმდენად ესალბუნებოდა ჩვენი გმირის მუდმივ ავადმყოფურ თავმოყვარეობას, რომ იგი ჩქარა თავისდა უნებურად შეეჩვია ამ თავაზიან მოხუცს. ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ ჟიულიენი მგრძნობიარე იყო, როგორც ეს პარიზში ესმით; მაგრამ იგი სრულიადაც გულქვა არ იყო; ბებერი დასტაქრის შემდეგ კი მასთან არავის ულაპარაკნია ასე გულკეთილად. მან გაკვირვებით შეამჩნია, რომ მარკიზი ბევრად უფრო უფრთხილდებოდა მის თავმოყვარებას, ვიდრე ბებერი დასტაქარი. ბოლოს იგი მიხვდა, რომ დასტაქარი უფრო ამაყობდა თავისი ორდენის ჯვრით, ვიდრე მარკიზი თავისი ლურჯი ლენტით. მაგრამ მარკიზის მამაც ხომ დიდი კარისკაცი იყო.

ერთხელ, დილის საქმიანი აუდიენციის შედეგ შავ ტანსაცმელში გამოწყობილმა ჟიულიენმა ისე გაართო მარკიზი, რომ ამ უკანასკნელმა იგი ორი საათით გააჩერა და რამდენიმე საბანკო ბილეთი შესთავაზა, რომელიც ცოტა ხნის წინათ მისთვის ბირჟიდან მოეტანათ.

_ იმედი მაქვს, ბატონო მარკიზო, რომ თქვენდამი უღრმესი მოკრძალების საზღვრებს არ გადავლახავ, თუ გთხოვთ, ორიოდე სიტყვის თქმის ნება მომეცით-მეთქი.

_ თქვით, ჩემო მეგობარო.

_ დაე, ბატონმა მარკიზმა კეთილინებოს და ნება დამრთოს უარი ვთქვა ამ საჩუქარზე. იგი შავტანისამოსიანი მამაკაცისათვის არაა დანიშნული და სრულიად

გააფუჭებდა მოპყრობას, რომელსაც სულგრძელად ლურჯტანისამოსიანი მამაკაცისადმი იჩენთ.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მან დიდი მოკრძალებით თავი დაუკრა მარკიზს და გავიდა ისე, რომ არც კი შეუხედავს მისთვის.

რამდენიმე დღის შემდეგ მარკიზი გამომრთელდა და გარეთ გამოსვლა დაიწყო.

_ გაემგზავრეთ ორი თვით ლონდონში, _ უთხრა მან ჟიულიენს. _ შიკრიკები ჩემ მიერ მიღებულ წერილებს გადმოგცემენ, ჩემი შენიშვნებით აღჭურვილთ. თქვენ პასუხს დაწერთ და ჩემი წერილითურთ გამომიგზავნეთ. მე გამოვიანგარიშე, რომ ამას მხოლოდ ხუთი დღე დასჭირდება.

კალესკენ მიმავალ საფოსტო გზაზე ჟიულიენი გაკვირვებული ფიქრობდა, რამდენად უმნიშვნელო იყო ის საქმე, რისთვისაც მას ლონდონში გზავნიდნენ.

აღარ ვიტყვით რა სიძულვილისა და თითქმის შეძრწუნების გრძნობით დადგა ფეხი ინგლისის მიწაზე. ჩვენ უკვე ვიცით, რა გიჟური გატაცებით ეპყრობოდა ნაპოლეონს. ყოველ ოფიცერში სენ ჰუდსონ ლოუს* ხედავდა, ყოველ დიდკაცში ლორდ ბატერსტს,* რომელიც ბრძანებას იძლეოდა ყოველგარი უხამსობა ჩაედინათ წმინდა ელენეს კუნძულზე და სამაგიეროდ, ათი წლით მინისტრის პორტფელი მიიღო.

ლონდონში ბოლოს იგი გაეცნო უმაღლეს ქარაფშუტობას. იგი გაეცნო ახალგაზრდა რუს წარჩინებულთ, რომელთაც მისი ხელდასმა მოახდინეს.

_ თქვენ სვებედნიერი ხართ, ძვირფასო სორელ, _ ეუბნებოდნენ მას: _ თქვენ ბუნებრივად გაქვთ ის ცივი სახის გამომეტყველება, ათასი ლიეთი დაშორებული ნამდვილ გრძნობას, რის შეძენასაც ჩვენ ამაოდ ვცდილობთ.

_ თქვენ ვერ გაგიგიათ თქვენი საუკუნე, _ ეუბნებოდა მას თავადი კორაზოვი: _ ყოველთვის იმის საწინააღმდეგო საქციელი უნდა ჩაიდინოთ, რასაც თქვენგან ელიან. აი, გეფიცებით, ეპოქის ერთადერთი რელიგია ეს არის. ნურც გიჟურად მოიქცევით, ნურც გადაჭარბებით მგრძნობიარედ, ვინაიდან მაშინ თქვენგან სიგიჟისა და მგრძნობიარობის ლოდინი ექნებათ, და წესი დარღვეული იქნება.

ჟიულიენმა ერთ დღეს სახელი მოიხვეჭა დუკა ფიცფოლკის სალონში, სადაც იგი თავად კორაზოვთან ერთად სადილად იყო დაპატიჟებული. ლოდინი მთელი საათი გაგრძელდა.

ჟიულიენს თავი ისე ეჭირა ოციოდე სტუმარს შორის, რომ ეს ამბავი დღესაც ახსოვთ საელჩოების ახალგაზრდა მდივნებს; მისი სახის გამომეტყველება კალმით არ აიწერებოდა.

თავისი დარდიმანდი მეგობრების წინააღმდეგობის მიუხედავად, მას უნდოდა ენახა სახელოვანი ფილიპე ვენი, ერთადერთი ფილოსოფოსი, რომელიც ინგლისს ჰყავს ლოკის შემდეგ. ეს ფილოსოფოსი უკვე მეშვიდე წელიწადია სატუსაღოში იჯდა. «ამ ქვეყანაში არისტოკრატიას ხუმრობა არ უყვარს, _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ ვენს პატივს ხდიან, ამცირებენ და სხვა».

ჟიულიენს ვენი მხიარულად შეხვდა: არისტოკრატიის გააფთრება მას ართობდა. «აი, ერთადერთი მხიაული კაცი, რომელიც ინგლისში შემხვდა», გაიფიქრა ჟიულიენმა, როცა სატუსაღოდან გამოდიოდა.

_ ყველაზე სასარგებლო იდეა მტარვალებისთვის ღვთის იდეაა, _ უთხრა მას ვენმა.

ვენის სისტემის დანარჩენ ნაწილს ჩვენ უგულებელვყოფთ, როგორც ცინიკურს.

_ რა თავის შემაქცევარი აზრი მომიტანეთ ინგლისიდან, _ ჰკითხა ინგლისიდან უკან დაბრუნებულ ჟიულიენს ბ. დე ლამოლმა. ჟიულიენი დუმდა. _ მაშ, საერთოდ რა აზრი მოიტანეთ, სულ ერთია, გასართობი იქნება იგი თუ არა, _ მკვირცხლად გაიმეორა მარკიზმა.

_ ერთი რომ, ყოველი, თვით უგონიერესი ინგლისელი ყოველდღე ჭკუაზე სცდება ერთი საათით: ამ ხნის განმავლობაში მას ქენჯნის თვითმკვლელობის დემონი, რომელიც ამ ქვეყნის ღმერთია. მეორე რომ, ჭკუა და გენია ოცდახუთ პროცენტს კარგავს თავისი ღირებულებიდან, როცა ინგლისის სანაპიროზე დგამს ფეხს; მესამე რომ, დედამიწის ზურგზე არაფერია ისეთი ლამაზი, საუცხოო და გულის ამაჩუყებელი, როგორც ინგლისის პეიზაჟი.

_ ახლა ჩემი რიგია, _ უპასუხა მარკიზმა: _ ერთი რომ, რად განაცხადეთ რუსეთის ელჩის მიერ გამართულ სცეკვაო საღამოზე, რომ საფრანგეთში მოიკრიბება სამასი ათასი ახალგაზრდა კაცი ოცდახუთი წლის ასაკისა, რომელთაც ომი სურთო. თქვენ ფიქრობთ, რომ ეს სასიამოვნოა მეფეებისთვის?

_ კაცა არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს, როცა ჩვენს დიდს დიპლომატებს ელაპარაკება, _ თქვა ჟიულიენმა. _ მათ ჩვეულებად აქვთ სერიოზული საუბრის დაწყება. თუ ადამიანი გაზეთებიდან ამოკითხულ ზოგად ფრაზებს დასჯერდა, უჭუკუოდ ჩათვლიან. თუ შენს თავს ნება მიეცი და რაიმე მართალი და ახალი თქვი, მეორე დილით შვიდ საათზე საელჩოს პირველი მდივნის პირით შეგატყობინებენ, უზრდელად იქცეოდიო.

_ არა უშავს რა, _ თქვა მარკიზმა სიცილით: _ მაგრამ მე მზად ვარ სანაძლეო დავდო, რომ თქვენ, გულისხმიერო ადამიანო, ვერ გამოიცანით რისთვის იყავით გაგზავნილი ინგლისში.

_ უკაცრავად, _ უპასუხა ჟიულიენმა: _ მე იქ ვიყავი, რათა ერთხელ კვირაში მესადილა მეფის ელჩთან, რომელიც ყველაზე ზრდილობიანი ადამიანია დედამიწის ზურგზე.

_ თქვენ იქ იყავით აი, ამ ჯვრის მისაღებად, _ უთხრა მარკიზმა, _ მე არ მინდა თქვენი შავი ტანისამოსი დაგატოვებინოთ, მაგრამ ამასთანავე შევეჩვიე თავისშემაქცევარ ტონს, რომლითაც ლურჯტანისამოსიან მამაკაცს ვესაუბრები. სანამ ახალ განკარგულებას მიიღებდეთ, შემდეგი დაიმახსოვრეთ: ყოველთვის, როცა მკერდზე ეს ორდნეი გექნებათ, თქვენ თითქო ჩემი მეგობრის დუკა დე შოლნის უმცროსი ვაჟი იქნებით, რომელიც უკვე ექვსი თვეა დიპლომატიაში მუშაობს ისე, რომ თვითონაც არ იცის ეს ამბავი. მხედველობაში იქონიეთ, _ დაუმატა მარკიზმა სერიოზულად, _ რომ მე სრულიადაც არ მსურს თქვენ თავი დააღწიოთ თქვენს მდგომარეობას. ეს ყოველთვის შეცდომა და უბედურებაა როგორც პროტექტორის, ისე პროტეჟესთვის. როცა ჩემი პროცესები თქვენ მოგწყინდებათ, ან თქვენ ჩემთვის შეუფერებელი გახდებით, თქვენთვის ისეთსავე კარგ მრევლს გამოვითხოვ, როგორიცაა ჩვენი მეგობრის აბატ პირარის მრევლი; და მეტი არაფერი, _ დაუმატა მარკიზმა მშრალი ტონით.

ამ ჯვარმა დააცხრო ჟიულიენის ქედმაღლობა; იგი ჩვეულებრივზე მეტს ლაპარკობდა. მას გული წინანდებურად ხშირად არ მოსდიოდა და თავის თავზე არ ღებულობდა იმ ნაკლებ ზრდილობიან სიტყვებს, რომლებიც ყველას შეიძლება წამოსცდეს გაცხოველებულ საუბარში.

ამ ორდენს საკმაოდ ახირებული დარბაზობა მოჰყვა: ჟიულიენს ესტუმრა ბარონი ვალნო, რომელიც პარიზში ჩამოსულიყო, რათა სამინისტროსთვის მადლობა გადაეხადა ბარონის წოდების ბოძებისთვის და შეთანხმებოდა მას. მალე იგი ვერიერის მერად უნდა დაენიშნათ ბ. დე რენალის მაგივრად.

ჟიულიენმა თავის გულში ბევრი იცინა, როცა ბ. ვალნომ მას აცნობა, ბ. დე რენალი იაკობინელი აღმოჩნდაო. საქმე ისაა, რომ არჩევნებში, რომელიც ეს იყო მზადდებოდა, ახლად გამომცხვარი ბარონი სამინისტროს კანდიდატად გამოდიოდა, ხოლო დეპარტამენტის დიდ საარჩევნო კოლეგიაში, რომელიც, კაცმა რომ თქვას, უკიდურესი

კონსერვატორებისაგან შედგებოდა, ლიბერალებმა ბ. დე რენალის კანდიდატურა წამოაყენეს.

ჟიულიენი ამაოდ შეეცადა რამე გაეგო ქალბატონ დე რენალზე; ბარონს ეტყობოდა ძველი ქიშპობა გაახსენდა და მან თითქო პირში წყალი ჩაიგუბა. წინ ჟიულიენს მისი მამის ხმა სთხოვა მომავალ არჩევნებში. ჟიულიენმა აღუთქვა, წერილს მივწერო.

_ თქვენ, ბატონო კავალერო, ბ. მარკიზ დე ლამოლისთვის უნდა წარგედგინეთ.

«მართლაც ასე უნდა მოვქცეულიყავი, _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ მაგრამ ასეთი არამზადა!..»

_ მართალი მოგახსენოთ, _ უპასუხა მან, _ მე ძლიერ პატარა კაცი ვარ დე ლამოლის სასახლეში, რომ ვინმეს წარდგენა ვიკისრო.

ჟიულიენი, ჩვეულებრივ, ყველაფერს უამბობდა მარკიზს: საღამოთი მოუყვა რა მოთხოვნები ჰქონდა ვალნოს, რა საქმენი საგმირონი ჩაიდინა 1814 წლიდან მოყოლებული.

_ თქვენ არა თუ ხვალვე წარმომიდგენთ ახალ ბარონს, _ უთხრა ბ. დე ლამოლმა მეტად სერიოზული ტონით, _ არამედ ზეგ მას სადილადაც დავპატიჟებ. თავის დროზე იგი ჩვენი ერთ-ერთი პრეფექტი გახდება.

_ ამ შემთხვევაში, _ უპასუხა ჟიულიენმა ცივად, _ მე ღარიბთა თავშესაფრის დირექტორის ადგილს ვითხოვ მამაჩემისთვის.

ბ. დე ვალნომ ჟიულიენს აცნობა ვერიერის სალატარეო ბიუროს პატრონი მოკვდაო; თავის შესაქცევად ჟიულიენმა გაიფიქრა ეს ადიგლი ბ. დე შოლენისთვის მიეცა, იმ გამოტვინებუილ ბებრისთვის, რომლის თხოვნა ერთხელ ბ. დე ლამოლის ოთახში ნახა. მარკიზმა გულიანად იცინა, როცა ჟიულიენმა მას ზეპირად გაუმეორა ეს თხოვნა.

ის იყო ბ. შოლენი ადგილზე დაინიშნა, რომ ჟიულიენმა გაიგო, დეპარტამენტის დეპუტაცია ამ ადგილს სახელოვანი მათემატიკოსის ბ. გროსთვის თხოულობსო; ამ დიდსულოვან ადამიანს მხოლოდ ათას ოთხასი ფრანკის შემოსავალი ჰქონდა, ყოველწლიურად კი იგი ექვსას ფრანკს აძლევდა გარდაცვლილი ნაცნობის ოჯახს, რათა მას თავი გაეტანა.

ჟიულიენი თვით გააკვირვა თავისმა საქციელმა. «არა უშავს რა, _ გაიფიქრა მან, _ სხვა ბევრი უსამართლობის ჩადენაც მომიხდება, თუ მინდა, რომ საზოგადოებაში გამოვჩნდე და ვისწავლო ლამაზი სანტიმენტალური ფრაზების გამოყენება. საბრალო გრო! ორდენი მან დაიმსახურა, მაგრამ მე მომცეს. და აი, მე ვალდებული ვარ იმ მთავრობის ინტერესები დავიცვა, რომელმაც დამაჯილდოვა».

VIII

როგორი სამკაული განასხვავებს ადამიანს?

_ შენი წყალი წყურვილს არ მიკლავს, _
თქვა მოწყურებულმა გენიამ.
_ მაგრამ ეს ხომ ყველაზე ცივი ჭაა
მთელს დიარ-ბეკირში.

პელიკო

ერთ დღეს ჟიულიენი დაბრუნდა მშვენიერი მამულიდან ვილკიედან, რომელიც სენის ნაპირას მდებარეობდა. ბ. დე ლამოლს ეს მამული ყველაზე მეტად აინტერესებდა, ვინაიდან იგი ერთ დროს ბონიფას დე ლაოლს ეკუთვნოდა. დარბაზში მას დახვდნენ მარკიზის მეუღლე და ქალი, რომელნიც ის იყო ჰიერის კუნძულებიდან დაბრუნებულიყვნენ.

ჟიულიენი ახლა ნამდვილი დარდიმანდი იყო, მას უკვე ესმოდა პარიზში ცხოვრების ხელოვნება. მატილდა დე ლამოლს მეტისმეტად ცივად შეხვდა; ეტყობოდა აღარაფერი ახსოვდა იმ დროიდან, როცა ქალი ასე ცელქად ეკითხებოდა, როგორ მოხდა, რომ ცხენიდან ჩამოვარდითო.

მატილდა დე ლამოლმა აღმოაჩინა, რომ ჟიულიენი დავაჟკაცებულიყო და ფერმკრთალი გამხდარიყო. მის ფიგურასა და მიხრა-მოხრაში აღარაფერი იყო პროვინციული; იგივე არ ითქმოდა საუბარზე: იგი ჯერ კიდევ მეტად სერიოზული, მეტად პოზიტიური იყო, მაგრამ ამ კეთილგონიერების მიუხედავად, მისი ქედმაღლობის წყალობით, არ ჰქონდა ხელქვეითის გამომეტყველება; მხოლოდ ჩანდა, რომ ჟიულიენი ბევრ საგანს თვლიდა მნიშვნელოვნად, მაგრამ ისიც უეჭველი იყო, რომ იგი თავის სიტყვის კაცი იყო.

_ მას სიმსუბუქე აკლია, მაგრამ უჭკუო არაა, _ უთხრამ მატილდამ მამას, რომელსაც იგი ელაღობებოდა მის მიერ ჟიულიენისთვის მიცემული ჯვრის შესახებ: _ ჩემი ძმა მთელი წელიწადნახევარია ამაოდ გთხოვს ჯვარს და იგი ხომ გვარად დე ლამოლია!..

_ ჰო, მაგრამ ჟიულიენი გონებამახვილი და წინდახედულია, რაც არ ითქმის იმ დე ლამოლზე, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ.

ლაქიამ დუკა დე რეცის მოსვლა აუწყა.

მატილდას მთქნარება აუტყდა; მას გაახსენდა მამის სალონის ანტიკური ვარაყი და ძველი მიმსვლელ-მომსვლელები და ნათლად წარმოიდგინა, რა მოსაწყენი იქნებოდა მისი ცხოვრება პარიზში. ჰიერის კუნძულებზე კი იგი სინანულით ფიქრობდა პარიზზე.

«მე ხომ მხოლოდ ცხრამეტი წლის ვარ, _ ფიქრობდა ქალი: _ ეს ბედნიერების ასაკიაო, ამბობენ ეს ვარაყიანი ნაცარქექიები». მან თვალი გადაავლო ახალი ლექსების რვა თუ ათ ტომს, რომლებიც სალონში თაროზე დაელაგებიათ მისი პროვანსში მოგზაურობის დროს. თავისდა საუბედუროდ, ეს ქალი უფრო ჭკვიანი იყო, ვიდრე დე კრუაზენუა, დე კაიუსი, დე ლიუზი და სხვა მეგობრები. წინდაწინვე იცოდა რას ეტყოდნენ ისინი პროვინციის მშვენიერ ცასა, პოეზიასა, სამხრეთზე და სხვა და სხვა.

თავისი მშვენიერი თვალები, აღსავსე უღრმესი მოწყენილობითა და, კიდევ უარესი, სიამოვნების აღმოჩენის უიმედობით, ჟიულიენს მიაპყრო. ყოველ შემთხვევაში, ეს ვაჟი ისეთივე არ იყო, როგორც სხვები.

_ ბატონო სორელ, _ თქვა ქალმა იმ მკვეთრი, მკვირცხლი ხმით, რომელშიც არაფერი იყო ქალური და რომელსაც მაღალი კლასის ახალგაზრდა მანდილოსნები ხმარობენ: _ ბატონო სორელ, მოხვალთ თუ არა დღეს საცეკვაო საღამოზე ბ. დე რეცთან?

_ ქალბატონო, მე ბედნიერება არ მქონია ბატონ დუკას წარვდგომოდი (ადამიანი იფიქრებდა, ეს ტიტული და ეს სიტყვები ყელში გაეჩხირა ამ ამპარტავან პროვინციელსო).

_ მან ჩემს ძმას დაავალა მისას მიგიყვანოთ; თუ მოხვიდეთ, მიამბეთ დაწვრილებთ, როგორია ვილკიეს მამული; განზრახული გაქვს იქ ზაფხულში გავემგზავროთ. მინდა ვიცოდე, გამოდგება თუ არა საცხოვრებლად კოშკი და მართლაც ისეთი მშვენიერი მიდამოები აკრავს თუ არა, როგორც ამბობენ. ხომ იცით ამქვეყნად ბევრი დაუმსახურებელი რეპუტაცია არსებობს!

ჟიულიენი დუმდა.

_ მოდით, საცეკვაო საღამოზე ჩემს ძმასთან ერთად, _ დაუმატა ქალმა მეტად მშრალი ტონით.

ჟიულიენმა თავი დახარა მოკრძალებით. «ამრიგად, ცეკვის დროსაც ანგარიში უნდა ვაძლიო ოჯახის ყოველ წევრს. განა ამისთვის არ მაძლევენ ჯამაგირს?» შემდეგ გულმოსულმა გაიფიქრა: «ღმერთმა იცის, შეიძლება ის, რასაც ქალს ვეტყვი, წინააღმდეგი აღმოჩნდეს მამის, ძმის, დედის გეგმებისა! ეს ნამდვილი მფლობელი თავადის ოჯახია. აქ ადამიანი სრულ არარაობად უნდა იქცე და ამავე დროს არავის უფლება არ მისცე დაგემდუროს».

«რარიგ არ მომწონს ეს მაღალი ქალი! _ ფიქრობდა ჟიულიენი, როცა ზურგიდან უცქეროდა კარისკენ მიმავალ მატილდას, რომელსაც დედამ დაუძახა, რათა რამდენიმე თავისი მეგობრისთვის წარედგინა. _ იგი ყოველგვარ მოდას აჭარბებს; ტანისამოსი თითქო უვარდება მხრებიდან... კიდევ უფრო ფერმკრალი გამხდარა, ვიდრე მოგზაურობამდე იყო... ისეთი ქერაა, რომ მის თმას ფერი არა აქვს, თითქო გამჭვირვალეა! რამდენი გულზვიადობაა მის სალამსა, მის გამოხედვაში! რა მეფური მიხრა-მოხრა აქვს!» მატილდამ თავის ძმას დაუძახა, როცა ჟიულიენი სალონიდან გასვლას აპირებდა.

გრაფი ნორბერი ჟიულიენთან მივიდა:

_ ჩემო ძვირფასო სორელ, სად გნებავთ შუაღამისას შემოვიარო, რათა ერთად საცეკვაო საღამოზე წავიდეთ ბ. დე რეცთან? მან დამავალა აუცილებლად მიგიყვანოთ.

_ კარგად ვიცი, ვის უნდა ვუმადლოდე ამ მოწყალებას, _ უპასუხა ჟიულიენმა და თითქმის მიწამდე დახარა თავი.

ცუდი გუნების მიუხედავად, ნორბერს ვერაფერს უსაყვედურებდა, იმდენად ზრდილობიანი და ყურადღებიანი იყო ეს ყმაწვილი. ამიტომ თავის პასუხი აწონ-დაწონა და აღმოაჩინა, რომ მასში სიმდაბლის ელფერი იყო.

როცა ჟიულიენი საღამოთი საცეკვაო საღამოზე მივიდა, სახტად დარჩა დე რეცის სასახლის ბრწყინვალებით. შესავალი ეზო გადახურული იყო ალისფერი ქსოვილის უზარმაზარი კარვით, რომლის გუმბათს ოქროს ვარსკვლავები ამშვენებდა: ძნელია უფრო ელეგანტური რამის წარმოდგენა. ამ კარვის ქვეშ ეზო აყვავებული ნარინჯებისა და ოლეანდრების ტყედ იყო გადაქცეული. მათი კასრები და ქოთნები ისე ღრმად ჩაეფლოთ, რომ გეგონებოდათ ეს უცხო მცენარეები პირდაპირ მიწიდან იზრდებაო. გზაზე, რომელიც ეტლებს უნდა გაევლო, სილა იყო მოყრილი.

მთელი ეს ანსამბლი არაჩვეულებრივად ეჩვენა ჩვენს პროვინციელს. მას წარმოდგენა არ ჰქონდა ასეთ ბრწყინვალებაზე; ერთ წუთში მისმა აღელვებულმა ოცნებამ იგი შორს გადატყორცნა მისი უგუნებობისგან. როცა ეტლით აქეთ მოდიოდნენ, ნორბერი მხიარული იყო, ჟიულიენს კი ყოველივე ბნელად ეჩვენებოდა. ეზოში შესვლისთანავე როლები შეიცვალა.

ნორბერს აღიზიანებდა ყოველი წვრილმანი, სადაც მზრუნველი ხელი არ ჩანდა. იგი ანგარიშობდა თითოეული საგნის ხარჯს და რაც უფრო იზრდებოდა საერთო თანხის ოდენობა, მით მეტი მეშურნეობა და უგუნებობა ეხატებოდა სახეზე. ჟიულიენი კი მოხიბლული, აღტაცებული, თითქმის მღელვარებისგან შემკრთალი შევიდა პირველ

დარბაზში, სადაც ცეკვავდნენ. მეორე დარბაზის კარები ისე იყო ხალხით გაჭედილი, რომ კაცი ვერ გაატანდა. ეს დარბაზი ქალაქ გრენადის ალჰამბრის* სტილზე იყო გაწყობილი.

_ უნდა ვაღიაროთ, იგი ამ საღამოს დედოფალია, _ ამბობდა ერთი ახალგაზრდა, ულვაშებიანი მამაკაცი, რომლის მხარი ჟიულიენის მკერდს ებჯინებოდა.

_ ქალბატონი ფურმონი, რომელიც ამ ზამთარში ულამაზეს ქალად ითვლებოდა, თვით ხედავს, რომ მეორე ადგილას ეშვება, _ უპასუხა მეზობელმა: _ დააკვირდი, რა უცნაური შესახედავია.

_ მართლაც ყოველნაირად ცდილობს თავი მოგვაწონოს. შეხედე, რა მოხდენილად იღიმება ცეკვის დროს. გეფიცები, სასაცილოა.

_ მატილდა დე ლამოლს ისეთი სახე აქვს, თითქო გულგრილი იყოს თავისი ტრიუმფისადმი, რომელსაც მშვენივრად გრძნობს. თითქო ეშინია, არ მოვეწონო იმას, ვისაც ველაპარაკებიო.

_ ჰოდა, სწორედ ესაა მოჯადოების ხელოვნება.

ჟიულიენი ამაოდ ცდილობდა დაენახა ეს მომხიბლავი ქალიშვილი: მას შვიდი თუ რვა მამაკაცი ეფარებდა, ისინი ყველანი ჟიულიენზე მაღალნი იყვნენ.

_ ბევრი კეკლუცობაა ამ ქალის ესოდენ კეთილშობილ თავდაჭერილობაში, _ დაიწყო ხელახლა ულვაშებიანმა ახალგაზრდამ.

_ და მისი დიდი ცისფერი თვალები წყნარად ძირს იხრებიან იმ წუთში, როცა ისინი თითქო მზად არიან თავიანთი თავი ამხილონ, _ უპასუხა მეზობელმა: _ გეფიცები, ეს უდიდესი ხერხია.

_ შეხედე, რა ვულგარული ჩანს მასთან შედარებით მშვენიერი ფურმონი, _ თქვა მესამემ.

_ თავისი თავდაჭერილობით მას თითქო სურს თქვას: რამდენ ალერსს გამოვამჟღავნებდი თქვენთვის, ჩემი ღირსი მამაკაცი რომ ყოფილიყავით!

_ ვინ შეიძლება იყოს ღირსი ნატიფი მატილდასი? _ იკითხა პირველმა: _ მხოლოდ რომელიმე მფლობელი მთავარი, ლამაზი, ჭკვიანი, ტანადი, ომში კარგი შემტევი, ოცი წლის ჭაბუკი.

_ რუსეთის იმპერატორის უკანონო შვილი, რომელსაც ამ ქორწინების გულისთვის სამკვიდროს მისცემენ, ანდა უბრალოდ გრაფი დე ტალერი,* რომელსაც შეძლებული გლეხის გარეგნობა აქვს...

ბრბო შეთხელდა და ჟიულიენმა შეძლო დარბაზში შესვლა.

«თუ ეს ქალი ასე შესანიშნავად ეჩვენება ამ ტიკინებს, ღირს მისი შესწავლა, _ გაიფიქრა მან; _ გავიგებ მაინც, რა მიაჩნიათ მათ სრულქმნილ არსებად».

იმ დროს, როცა იგი მატილდას თვალებით ეძებდა, ქალმა მას შეხედა. «ჩემი ვალდებულება მომიწოდებს», გაიფიქრა ჟიულიენმა. წინანდელი უგუნებობის ნაშთი მას მხოლოდ თვალების გამომეტყველებაში შერჩა. ცნობისმოყვარეობამ სძლია და სიამოვნებით მიუახლოვდა ქალს, რომლის ღია მკერდმა გაამძაფრა ეს სიამოვნება, რაც სრულიადაც არ იყო საქებარი თავმოყვარე ვაჟისათვის. «მის სილამაზეში ახალგაზრდული სიქორფე გამოსჭვივის», გაიფიქრა ჟიულიენმა. მათ თიშავდა ხუთი-ექვსი ახალგაზრდა კაცი, რომელთა შორის ჟიულიენმა წეღანდელი მოსაუბრენი იცნო.

_ თქვენ, ბატონო, მთელი ზამთარი გაატარეთ აქ, _ უთხრა მას მატილდამ, _ ხომ მართალია, რომ ეს საცეკვაო საღამო ყველას სჯობს ამ სეზონში?

ჟიულიენმა არაფერი არ უპასუხა.

_ კულონის კადრილი მე საუცხოოდ მეჩვენება; და ეს ქალები მას უნაკლოდ ცეკვავენ.

ახალგაზრდა კაცები მობრუნდნენ, რათა დაენახათ, ვინ იყო ის ბედნიერი, რომლისგანაც ასე დაჟინებით სურდათ პასუხის მიღება. პასუხი ნაკლებ გამამხნევებელი აღმოჩნდა.

_ მე მსაჯულად როდი გამოვდგები, ქალბატონო; ჩემს დღეებს წერაში ვატარებ; არასოდეს ჩემს სიცოცხლეში ასეთი ბრწყინვალე საცეკვაო საღამო არ მინახავს.

ახალგაზრდა ულვაშებიან მამაკაცებს ეს პასუხი სასკანდალოდ ეჩვენათ.

_ თქვენ ბრძენი ხართ, ბ. სორელ, _ უპასუხა ქალმა მეტი ინტერესით: _ ამ ცეკვას, ამ დღესასწაულებს ისე უცქერით, როგორც შეეფერება ფილოსოფოსს, მაგალითად, ჟან-ჟაკ რუსოს. ეს სიგიჟე გაოცებთ, მაგრამ როდი გხიბლავთ.

ამ სიტყვებმა გააღიზიანა ჟიულიენის ფანტაზია და ყოველი ილუზია განდევნა მისი გულიდან. მისმა ტუჩებმა ცოტა არ იყოს გადაჭარბებული ზიზღის გამომეტყველება მიიღო.

_ ჟან-ჟაკ რუსო ჩემს თვალში ნამდვილი ბრიყვია, როცა იგი მაღალი საზოგადოების განსჯას იწყებს; ამ საზოგადოებისა არაფერი გაეგებოდა და მის მეტიჩარა ლაქიასავით ეპყრობოდა.

_ მაგრამ მან «სოციალური ხელშეკრულება»* დაწერა, _ თქვა მატილდამ მოკრძალებით.

_ თუმცა იგი მონარქიულ ხელისუფლებათა დამხობას და რესპუბლიკის დამყარებას ქადაგებდა, მაგრამ ბედნიერებით თვრებოდა, თუ რომელიმე დუკა ნასადილევს სერინობის გეზს შეცვლიდა, რათა ერთ-ერთ მის მეგობართან გაევლო.

_ აჰ, მართალია, ლუქსემბურგის დუკამ ვიღაც ბ. კუანდეს გვერდით მონმარანსში რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, რათა იგი პარიზისკენ გაეცილებია, _ თქვა მატილდამ იმ სიამოვნებითა და ხალვათობით, რომელსაც ცოდნის გამოჩენის შესაძლებლობა იძლევა. იგი კმაყოფილი იყო თავისი ცოდნისა, როგორც აკადემიკოსი, რომელმაც მეფე ფერეტრიუსი აღმოაჩინა.* ჟიულიენის თვალი გამგმირავი და მკაცრი იყო. მატილდა ერთი წუთით აღფრთოვანებამ მოიცვა; მაგრამ მისი მოსაუბრის გულგრილობამ ღრმად შეაშფოთა. ეს მით უფრო აკვირვებდა ქალს, რომ ჩვეულებრივ, ასეთ გავლენას თვითონ ახდენდა სხვებზე.

ამ დროს მარკიზი დე კრუზენუა ფიცხლად მიუახლოვდა მატილდა დე ლამოლს; იგი მხოლოდ სამიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული ქალს, მაგრამ ბრბოში ვერ გაეტანა და შორიდან უღიმოდა. მის გვერდით ახალგაზრდა ქალბატონი დე რუვრე იდგა, მატილდას ბიძაშვილი. მას ხელი ხელში გაეყარა თავისი ქმრისთვის, რომელსაც მხოლოდ ორი თვის წინ გაჰყვა. მარკიზი დე რუვრეც ძლიერ ახალგაზრდა იყო; იგი შეყვარებული იყო როგორც მამაკაცი, რომელიც ნოტარიუსების მიერ მოწყობილ ჯვრისწერას დათანხმდა და მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მისი ცოლი სრულქმნილი, მშვენიერი არსება ყოფილა. ბ. დე რუვრე დუკა უნდა გამხდარიყო მეტისმეტად მიხრწნილი ბიძის სიკვდილის შემდეგ.

იმ დროს, როცა ბრბოს მიერ შეჩერებული მარკიზ დე კრუაზენუა ღიმილით უცქეროდა მატილდას, ქალის დიდი ცისფერი თვალები მასა და მის მეზობლებზე იყო მიპყრობილი. «განა არსებობს რამე ამ ჯგუფზე უბადრუკი? _ ფიქრობდა ქალი, _ აი, კრუაზენუა, მას ჩემი შერთვა უნდა; იგი წყნარი, ზრდილია, ისეთივე უნაკლო მანერები აქვს, როგორც ბ. დე რუვერს. ეს ყმაწვილები ძლიერ სასიამოვნო იქნებოდნენ, ასეთი მოსაწყენი რომ არ იყვნენ. კრუაზენუა საცეკვაო საღამოებზე გამომყვება თავისი კმაყოფილი სახით. ერთი წლის შემდეგ დაქორწინების დღიდან ყველაფერი მექნება, ეტლი, ცხენები, კაბები, ციხე-კოშკი ოცი ლიეს მანძილზე პარიზიდან, ყოველივე ეს იმდენად საუცხოო იქნება, რომ შურით მოკლავს ისეთ მეტიჩარას, როგორიცაა, მაგალითად, გრაფ რუავილის მეუღლე, და შემდეგ...»

მატილდას მოსაწყენად ეჩვენებოდა მომავალი. მარკიზმა დე კრუაზენუამ ბოლოს მოახერხა ქალთან მისვლა და გამოლაპარაკება, მაგრამ მატილდა ოცნებაში იყო წასული და

როდი უსმენდა. ვაჟის სიტყვები მისთვის ბრბოს გუგუნში იკარგებოდა. ძალაუნებურად თვალი გააყოლა ჟიულიენს, რომელიც მოკრძალებული, მაგრამ ამაყი და უკმაყოფილო სახით გაშორდა. კუთხეში, მოშორებით მოცეკვავე ბრბოსაგან, ჟიულიენმა შეამჩნია გრაფი ალტამირა, რომელსაც სიკვდილი მიუსაჯეს სამშობლოში; მას მკითხველი უკვე იცნობს. ლუი XIV-ის დროს ერთი მისი ნათესავი ქალი პრინც კონტიზე* გათხოვდა; ეს გარემოება მას ცოტათი იცავდა კონგრეგაციის პოლიციისაგან.*

«ჩემი აზრით, მხოლოდ სიკვდილის სასჯელის განაჩენი ასხვავებს კაცს ბრბოსაგან, _ გაიფიქრა მატილდამ: _ ეს ერთადერთი რამაა, რის ყიდვაც შეუძლებელია. აჰ, ეს გონებამახვილად გამომივიდა! რა სამწუხაროა, რომ შესაფერ დროს არ მომივიდა თავში». მატილდას იმდენი გემოვნება ჰქონდა, რომ წინდაწინ შედგენილ ნაკვესს არ ჩაურევდა ლაპარაკში; მაგრამ ამავე დროს იმდენად პატივმოყვარე იყო, რომ უარს ვერ იტყოდა თავის მოწონებაზე. ბედნიერების გამომეტყველებამ მის სახეზე შეცვალა წინანდელი მოწყენილობის იერი. მარკიზმა კრუაზენუამ, რომელიც ლაპარაკს განაგრძობდა, ეს ცვლილება თავის თავს მიაწერა და მოუმატა ენამჭევრობას.

«რა შეიძლება ჩემი გონებამახვილობის წინააღმდეგ ითქვას? _ ფიქრობდა მატილდა. _ მე კრიტიკოსს ვუპასუხებდი: ბარონის ან ვიკონტის ტიტული შეიძლება ვიყიდოთ; ჯვარი შეიძლება მივიღოთ; აი, ჩემმა ძმამ მიიღო; მაგრამ რა გააკეთა მან? იგივე ითქმის ხარისხზე. ათი წელიწადი გარნიზონში უნდა იმსახურო ან სამხედრო მინისტრი შენი ნათესავი უნდა იყოს და ესკადრონის უფროსი გახდები ნორბერივით. დიდი ქონება!.. ეს ცოტა არ იყოს უფრო ძნელია და, მაშასადამე, უფრო დამსახურებულიც. აი, სასაცილო ამბავი! ეს ეწინააღმდეგება იმას, რაც წიგნებში წერია... ქონების შესაძენად როტშილდის ქალს ირთავენ. მართლაც რომ ჩემი გონებამახვილობა ღრმაა. სიკვდილის სასჯელი ერთადერთი რამაა, რომლის თხოვნა არავის მოსვლია თავში».

_ იცნობთ თუ არა გრაფ ალტამირას? _ ჰკითხა მატილდამ ბ. კრუაზენუას.

ქალი ასე გონებაგაფანტული იყო და ამ კითხვას იმდენად ნაკლები დამოკიდებულება ჰქონდა იმასთან, რასაც მას საბრალო მარკიზი ელაპარაკებოდა უკვე ხუთი წუთის განმავლობაში, რომ ეს უკანასკნელი ცოტა არ იყოს შეცბა, თუმც კი ჭკვიან ადამიანად ითვლებოდა.

«მატილდა ახირბული ქალია, _ ფიქრობდა იგი, _ ეს არასასიაოვნო რამაა, მაგრამ ეს ქალი ბრწყინვალე საზოგადოებრივ მდგომარეობას მისცემს თავის ქმარს! მე არ ვიცი, როგორ აგვარებს ამას მარკიზი დე ლამოლი: იგი მეგობრობს ყველა საუკეთესო

ადამიანთან სხვადასხვა პარტიაში; ასეთი ადამიანი არასოდეს წაიბორძიკებს. ამავე დროს მატილდას თავისებურება შეიძლება გენიოსობად გასაღდეს. თუ ადამიანი მაღალი წარმოშობისაა და მდიდარია, მის გენიოსობაში აღარაფერია სასაცილო და ნახეთ მაშინ, როგორ განსხვავდება იგი სხვისგან! ამას გარდა, როცა ამ ქალს სურს, იგი საუცხოოდ ათავსებს ერთად ჭკუასა, ხასიათსა და გონებამახვილობას, რაც სრულ მომხიბლაობას ქმნის...»

რადგან ორი საქმის გაკეთება ერთად ძნელია, ამიტომ მარკიზი მატილდას გონებაგაფანტულად პასუხობდა, თითქო რაღაც გაკვეთილს იმეორებდა:

_ ვინ არ იცნობს ამ საბრალო ალტამირას? _ და მან ქალს უამბო მისი შეთქმულების ისტორია; ეს შეთქმულება მეტისმეტად უაზრო და სასაცილო იყო და მარცხით დამთავრდაო.

_ მეტისმეტად უაზრო! _ თქვა მატილდამ, თითქო თავის თავს ელაპარაკებაო; _ მაგრამ იგი ხომ მოქმედებდა. მე მინდა ახლოს ვნახო, აქ მომიყვანეთ, _ უთხრა მან, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილ მარკიზს.

გრაფი ალტამირა ერთადერთი ყველაზე გულახდილი თაყვანისმცემელი იყო მატილდა დე ლამოლის ამპარტავანი და თითქმის თავხედი გარეგნობისა; მისი აზრით, ეს ქალი ულამაზესი არსება იყო პარიზში.

_ რა ლამაზი იქნებოდა ეს ქალი ტახტზე! _ უთხრა მან ბ. დე კრუაზენუას, რომელსაც თან გაჰყვა შეუპასუხებლად.

საზოგადოებაში ბევრია ისეთი ადამიანი, რომელთაც სურთ დაგვარწმუნონ, შეთქმულების მოწყობა XIX საუკუნეში ცუდი ტონის მაჩვენებელიაო; ამას იაკობინელობის სუნი უდისო. და განა შეიძლება უფრო მახინჯი რამ წარმოვიდგინოთ, ვიდრე დამარცხებული იაკობინელია?

მატილდას თვალები ცოტათი დასცინოდნენ კრუაზენუას გვერდით მდგომ ალტამირას, მაგრამ იგი მაინც სიამოვნებით უსმენდა ამ კაცს.

«შეთქმულების წევრი საცეკვაო საღამოზე უჩვეულო სანახავია», _ ფიქრობდა ქალი. მას ეჩვენებოდა, რომ გრაფი ალტამირა თავისი შავი ულვაშებით დასვენებულ ლომს ჰგავდა; მაგრამ მალე შეამჩნია მისი გონების ცალმხრივობა: ეს კაცი მხოლოდ სარგებლიანობას ცნობდა, მხოლოდ სარგებლიანობით იყო აღტაცებული.

ეს ახალგაზრდა გრაფი არაფერს არ თვლიდა თავისი ყურადღების ღირსად გარდა იმისა, რაც მის სამშობლოს ორპალატიან მმართველობას მისცემდა. იგი სიამოვნებით

მოშორდა მატილდას, ამ ულამაზეს ქალს საღამოზე, ვინაიდან ახლად შემოსული პერუელი გენერალი დაინახა. საბრალო ალტამირა სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი მეტერნიხის მიერ მოწყობილი ევროპით და ფიქრობდა, როცა სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოები გაძლიერდებიან, შეძლებენ ევროპას დაუბრუნონ თავისუფლება, რომელიც თვით მათ მირაბომ გაუგზავნაო.

მატილდას ულვაშებიანი ახალგაზრდა კაცების ტალღა მიუახლოვდა. ქალი მიხვდა, რომ ვერ მოხიბლა ალტამირა და შეურაცხყოფილი იყო მისი გაშორებით; მან ისიც შეამჩნია, რომ გრაფს შავი თვალები უბრწყინავდა, როცა იგი პერუელ გენერალს ესაუბრებოდა. მატილდა დე ლამოლი ახალგაზრდა ფრანგებს იმ ღრმა და სერიოზული სახით უცქეროდა, რომელსაც ვერც ერთი მისი მეტოქე ქალი ვერ წაბაძავდა. «ვინაა აქ მყოფთ შორის ისეთი, ვისაც უნარი შესწევდეს, რომ თავის თავისთვის სიკვდილის განაჩენი გამოატანიოს», _ ფიქრობდა მატილდა.

ამ ქალის თავისებური შეხედვა ელაციცებოდა იმათ, ვისაც ნაკლები ჭკუა ჰქონდა. მაგრამ სხვებში იგივე შეხედვა შეშფოთებას იწვევდა. მათ ეშინოდათ მახვილი სიტყვისა, რომელზედაც ძნელია პასუხის გაცემა.

«კეთილშობილი სისხლი ადამიანს ათას ღირსებას ანიჭებს, და ეს ღირსებანი რომ არ მქონოდა, თავს დამცირებულად ვიგრძნობდი. ამას ჟიულიენის მაგალითზე ვხედავ. მაგრამ კეთილშობილი სისხლი ანელებს სწორედ იმ სულიერ თვისებებს, რომელთაც ადამიანი სიკვდილის სასჯელისკენ მიჰყავს», _ ფიქრობდა მატილდა.

სწორედ ამ წუთში ვიღაცამ თქვა მის გვერდით: «ეს გრაფი ალტამირა თავად დე სან ნაზარო პიმენტელის მეორე ვაჟია: ერთ-ერთი პიმენტელი 1268 წელს ამაოდ შეეცადა კონრადინი* გადაერჩინა თავის მოკვეთისაგან. ეს უკეთილშობილესი გვარია ნეაპოლში».

«აი, ვინ ადასტურებს მშვენივრად ჩემს აზრს: კეთილშობილება ასუსტებს ხასიათის სიძლიერეს, ურომლისოდაც კაცი თავზე ვერ დაიტეხს სიკვდილის განაჩენს! როგორც ეტყობა, მე განწირული ვარ ამ საღამოს ბევრი ვჩმახო. რადგან მეც ისეთივე ქალი ვარ, როგორც ყოველი სხვა, სხვა არა დამრჩენია რა, უნდა ვიცეკვო». მატილდა დაეთანხმა მარკიზ დე კრუაზენუას, რომელიც მთელი საათი ეხვეწებოდა, ჩემთან იცეკვეო. რათა დაევიწყებია თავისი მარცხი ფილოსოფიაში, მატილდა შეეცადა სავსებით მომხიბლავი ყოფილიყო და ბ. კრუაზენუა მოჯადოებული დარჩა.

მაგრამ მატილდა მაინც ვერ გაართო ვერც ცეკვამ, ვერც სურვილმა, რომ ულამაზესი კარისკაცისთვის მოეწონებია თავი. შეუძლებელი იყო მეტი გამარჯვების მოპოვება; ეს ქალი ამ საღამოს დედოფალი იყო, იგი ამას ხედავდა, მაგრამ როდი უხაროდა.

«რა უფერული იქნება ჩემი ცხოვრება ისეთ არსებასთან, როგორიცაა კრუაზენუა! _ ფიქრობდა ქალი, როცა ვაჟს იგი თავის ადგილას მიჰყავდა. ერთი საათის შემდეგ... _ სხვაგან სად ვიპოვი სიამოვნებას, _ დაუმატა მან სევდიანად, _ თუ მას ვერ ვპოულობ საცეკვაო საღამოზე, სადაც ყველა პარიზელი ქალი მოისწრაფის? გარდა ამისა, აქ გარემოცული ვარ ისეთი საზოგადოების პატივისცემით, რომელზე უკეთესის წარმოდგენა შეუძლებელია. აქ ბურჟუაზიიდანაა მხოლოდ რამდენიმე პირი და შეიძლება კიდევ ორიოდე ჟიულიენი. ამისდა მიუხედავად, _ დაუმატა მან კიდევ მეტი გულისტკივილით, _ რა უპირატესობა მომცა ჩემმა ბედმა! ბრწყინვალება, სიმდიდრე, ახალგაზრდობა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, გარდა ბედნიერებისა. ჩემი ყველაზე საეგებისო უპირატესობა სწორედ ისაა, რაზედაც მთელს საღამოს მელაპარაკებიან. ესაა ჩემი ჭკუა, რომელიც მათ აშინებს. როცა სერიოზული საუბრის დაწყებას ბედავენ, ხუთი წუთის შემდეგ არაქათი ეცლებათ და დიდ აღმოჩენად ასაღებენ აზრს, რომელსაც მე მათ მთელი საათის განმავლობაში ვუმეორებდი. მე ლამაზი ვარ, მე მაქვს ეს უპირატესობა, რისთივსაც ქალბატონი დე სტალი* ყველაფერს გასწირავდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, მოწყენილობა მკლავს. რა საბუთი მაქვს წარმოვიდგინო, ნაკლებ მოწყენილი ვინქები თუ ჩემს გვარს მარკიზ დე კრუაზენუას გვარზე გავცვლი-მეთქი? მაგრამ ღმერთო ჩემო, _ დაუმატა მან თითქმის ცრემლმორეულმა, _ განა ეს სრულქმნილი მამაკაცი არ არის? ზრდილობის განსახიერებაა, შეუძლებელია ყოველ სიტყვაზე რამე სასიამოვნო, გონებამახვილი სიტყვით არ გიპასუხოს; მამაციცაა... მაგრამ ეს სორელი ახირებული ვინმეა, მისი გამოხედვა მჭმუნვარე იყო და ახლა ბრაზიანი გახდა. ვანიშნე, რომ მასთან ლაპარაკი მსურს, მაგრამ არც კი ფიქრობს ჩემთან მოსვლას».

IX

ცეკვის საღამო

მდიდრული ტანისამოსები, მოციმციმე
სანთლები, ნელსურნელებანი; ლამაზი ხელები,

მშვენიერი გულმკერდნი! თაიგულები, როსინის არიები, რომელნიც შორს გვიტაცებენ. ჩიჩერის სურათები! ლამის გონება დამებნას!

უზერის მოგზაურობანი

_ თქვენ უგუნებოდ ხართ, _ უთხრა მატილდას მარკიზმა დე ლამოლმა: _ გაფრთხილებთ, რომ ეს შეუფერებელია ცეკვის საღამოზე.

_ თავი მტკივა, _ უპასუხა ქალმა გულაგდებულად: _ აქ მეტისმეტად ცხელა.

ამ წუთში თითქო მატილდა დე ლამოლის სიტყვების დასამტკიცებლად ბებერი ბარონი დე ტოლი ძირს დაეცა გულწასული; ბარონი ხელით გაიტანეს. ლაპარაკი დაიწყეს დამბლაზე, და ამ ამბავმა ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

მატილდას ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი ჰქონდა, არასოდეს არ ეცქირა ბებრებისთვის და არასოდეს ყური არ დაეგდო ავყია ადამიანებისთვის. მან ცეკვა დაიწყო, რათა გაქცეოდა სისხლის ჩაქცევაზე ლაპარაკს; მაგრამ ბარონ დე ტოლს, როგორც ჩანს, სისხლი არ ჩაქცევია, რადგან მესამე დღეს ისევ გამოჩნდა საზოგადოებაში.

«ბ. სორელი არ მოდის და არა», _ გაიფიქრა ქალმა ცეკვის დასრულების შემდეგ. ქალი ვაჟს თითქმის თვალებით ეძებდა, როცა იგი მეორე სალონში დაინახა. ეს საოცარი ამბავი იყო, მაგრამ ჟიულიენს თითქო აღარ ჰქონდა ის შეუშფოთებელი გულგრილობა, რომელიც ასე ახასიათებდა მას; იგი აღარ ჰგავდა ინგლისელს.

«გრაფ ალტამირას ელაპარაკება, ამ ჩემს სიკვდილმისჯილ გმირს. მისი თვალები აღსავსეა მჭუნვარე ცეცხლით; მას გადაცმული პრინცის იერი აქვს; მისი გამოხედვა გამძაფრებულია ქედმაღლობით».

ჟიულიენი ალტამირას ელაპარაკებოდა და უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც მატილდა იმყოფებოდა; ქალი ვაჟს დიდი ყურადღებით უცქეროდა, თითქო მისი სახის ნაკვთებს სწავლობდა, რათა იქ ის მაღალი თვისებანი აღმოეჩინა, რომელთა შემწეობით მამაკაცს შეუძლია სიკვდილის სასჯელი დაიმსახუროს.

როცა ჟიულიენმა ქალს გვერდით ჩაუარა, იგი გრაფ ალტამირას ეუბნებოდა:

_ ჰო, დანტონი* ნამდვილი მამაკაცი იყო.

«ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს დანტონი ხომ არ არის, _ გაიფიქრა მატილდამ: _ მაგრამ ამას კეთილშობილი სახე აქვს, დანტონი კი საშინლად მახინჯი იყო, ნამდვილი ყასაბი, თუ არ ვცდები».

ჟიულიენი ჯერ კიდევ ახლოს იყო მისგან. ქალმა უყოყმანოდ დაუძახა მას და ისეთი კითხვა მისცა, რომელიც არაჩვეულებრივი იყო ახალგაზრდა ქალისთვის:

_ განა დანტონი ყასაბი არ იყო?

_ დიახ, ზოგიერთი პიროვნების შეხედულებით, _ უპასუხა ჟიულიენმა ცუდად დაფარული ზიზღის გამომეტყველებით; თვალები ჯერ კიდევ ანთებული ჰქონდა ალტამირასთან საუბრის შემდეგ, _ მაგრამ წარჩინებული ადამიანების საუბედუროდ, იგი ადვოკატი იყო მერიში სენაზე; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქალბატონო, _ დაუმატა მან ბოროტი ტონით, _ დანტონმა თავისი სარბიელი სწორედ ისევე დაიწყო, როგორც ზოგიერთმა პერმა, რომელთაც აქ ვხედავ. მართალია, დანტონს უზარმაზარი ნაკლი ჰქონდა სილამაზის თვალსაზრისით: იგი მახინჯი იყო.

ეს უკანასკნელი სიტყვები ჟიულიენმა მალე წარმოთქვა, არაჩვეულებრივი ტონით და ნაკლებ ზრდილობიანად.

ჟიულიენი ერთი წუთით შეჩერდა ოდნავ თავდახრილი და გულზვიადი თავმდაბლობის გამომეტყველებით. თითქო ამბობდა: მე გასამრჯელოს მაძლევენ, რათა თქვენ გიპასუხოთ, და თავს ვირჩენ ამ გასამრჯელოთიო. მან მატილდა შეხედვის ღირსადაც არ გახადა. ქალი კი ვაჟს თავისი მშვენიერი, ფართოდ გახელილი თვალებით მიშტერებოდა, თითქოს მისი მხევალი იყო. ბოლოს, რადგან დუმილი გრძელდებოდა, ვაჟმა ქალს ისე შეხედა, როგორც მსახური ბატონს შეხედავს, რათა მისი ბრძანება მოისმინოს. და თუმცა მისი თვალები პირდაპირ შეხვდა მატილდას თვალებს, რომელნიც უცნაური გამომეტყველებით მასზე იყვნენ მიპყრობილნი, იგი ქალს ჩქარი ნაბიჯით გაშორდა.

«ეს ვაჟი უცილობლად ლამაზია და ასეთ ქებას უძღვნის სიმახინჯეს, _ გაიფიქრა მატილდამ, რომელიც გამოერკვა ოცნებიდან: _ არასოდეს არ ფიქრობს თავის თავზე. არა ჰგავს არც კაიუსსა და არც კრუაზენუას. ამ სორელს რაღაც მსგავსება აქვს მამაჩემთან, როცა ეს უკანასკნელი ასე კარგად ბაძავს ნაპოლეონს საცეკვაო საღამოზე». ქალს სრულიად დაავიწყდა დანტონი. «მართლაც რომ ძალიან მოწყენილი ვარ ამ საღამოს». თავის ძმას ხელი ჩასჭიდა და წინააღმდეგობის მიუხედავად, მოცეკვავეებით სავსე დარბაზები შემოატარა. უნდოდა ყური მოეკრა სიკვდილმიჯილის და ჟიულიენის საუბრისთვის.

ყველგან ბრბო ფუსფუსებდა, ამისდა მიუხედავად, მატილდა მოსაუბრეებს მაშინ დაეწია, როცა ალტამირა ლანგარს მიუახლოვდა, რათა ნაყინი აეღო. იგი ნახევრად ზურგშექცეული ელაპარაკებოდა ჟიულიენს. მან თვალი მოჰკრა ოქრომკედიან ტანისამოსში გამოწყობილი მამაკაცის ხელს, რომელიც ნაყინისკენ იყო გაწვდილი მის გვერდით. როგორც ეტყობოდა, ოქრომკედმა ალტამირას ყურადღება მიიპყრო; იგი მიბრუნდა, რათა ამ ხელის პატრონი დაენახა. მაშინვე მისმა კეთილშობილმა და გულუბრყვილო თვალებმა ზიზღის გამომეტყველება მიიღო.

_ ხედავთ ამ ადამიანს? _ ჰკითხა მან საკმაოდ ხმადაბლა ჟიულიენს: _ ესაა თავადი არაჩელი, ჩემი სამშობლოს ელჩი. ამ დილით მან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ბ. დე ნერვალს ჩემი გაცემა მოსთხოვა. აი, თქვენი მინისტრი იქ ვისტს თამაშობს. ბ. დე ნერვალი მზადაა გამცეს იმიტომ, რომ 1816 წელს ჩვენ ორი თუ სამი შეთქმული მოგეცით. თუ ჩემს მეფეს ხელში ჩავუვარდი, ოცდაოთხ საათში ჩამომახრჩობენ. ალბათ, ერთ-ერთი ამ ლამაზ, კოპწია ულვაშებიანი მამაკაცთაგანი დაიჭერს.

_ არამზადები! _ წამოიძახა ჟიულიენმა ოდნავ დაწეული ხმით.

მატილდას არც ერთი სიტყვა არ გამოპარვია მათი საუბრიდან. მისი მოწყენილობა გაქრა.

_ შეხედეთ თავად არაჩელის, _ დაიწყო ხელახლა ალტამირამ: _ ყოველ ხუთ წუთში თავის ოქროს ვერძის ორდენს* დასცქერის; ვერ გამორკვეულა ბედნიერებისაგან, რომ თავის მკერდზე ამ ბრჭყვიალა სათამაშოს ხედავს. ეს საბრალო ადამიანი არსებითად ანაქრონიზმს წარმოადგენს. ასი წლის წინათ ოქროს ვერძი მნიშვნელოვანი ორდენი იყო, მაგრამ მაშინ არავინ მისცემდა. დღეს წარჩინებულ საზოგადოებაში ადამიანი არაჩელი უნდა იყოს, რომ ასეთმა რამემ აღაფრთოვანოს. იგი მზად იყო მთელი ქალაქი გაეგზავნა სახრჩობელაზე, რათა ეს ორდენი მიეღო.

_ განა ამ საფასურით მიიღო? _ ჰკითხა შეშფოთებულმა ჟიულიენმა.

_ არა, ეს პირდაპირ არ ითქმის, _ უპასუხა ალტამირამ ცივად: _ თუ არ ვცდები, მან მდინარეში ჩააყრევინა ოცდაათიოდე შეძლებული თანამემამულე, რომელნიც ლიბერალებად ითვლებოდნენ.

_ რა მხეცი ყოფილა! _ წამოიძახა ხელახლა ჟიულიენმა.

მატილდა დე ლამოლი დიდი ინტერესით უგდებდა ყურს თავდახრილი და ისე ახლო იდგა ჟიულიენთან, რომ თავისი მშვენიერი თმით თითქმის ეხებოდა მის მხრებს.

_ თქვენ ჯერ კიდევ ძლიერ ახალგაზრდა ხართ! _ უპასუხა ალტამირამ. _ მე თქვენ უკვე გიამბეთ, რომ გათხოვილი და მყავს პროვანსში; იგი ჯერ კიდევ ლამაზია, ამასთანავე გულკეთილი, მშვიდობიანი, საუცხოო დედა, ვალდებულების ადამიანი, ღვთისმოსავი, თავისუფალი ყოველი ფარისევლობისაგან.

«საით უმიზნებს?» _ გაიფიქრა მატილდამ.

_ იგი ბედნიერია, _ განაგრძო გრაფმა ალტამირამ; _ ბედნიერი იყო 1815 წელსაც. მე მაშინ მის მამულში ვიმალებოდი ანტიბის მახლობლად; ჰოდა, როცა გაიგო, რომ მარშალი ნეი სიკვდილით დასაჯეს, სიხარულისაგან ცეკვა დაიწყო.

_ ნუთუ ეს შესაძლებელია? _ იკითხა განადგურებულმა ჟიულიენმა.

_ ასეთია პარტიის სული, _ უპასუხა ალტამირამ. _ მეცხრამეტე საუკუნეში აღარ არსებობენ ნამდვილი ვნებათა ღელვანი: ამით აიხსნება, რომ საფრანგეთში ასეთი მოწყენილობა მეფობს. უდიდეს სიმკაცრეს სჩადიან, მაგრამ გულგრილად.

_ მით უარესი! _ თქვა ჟიულიენმა. _ როცა ადამიანი დანაშაულს სჩადის, სიამოვნებით მაინც უნდა ჩაიდინოს. დანაშაულში მხოლოდ ესაა კარგი და მისი ოდნავ გამართლება მხოლოდ ამით შეიძლება.

მატილდა დე ლამოლმა სრულიად დაივიწყა თავისი ღირსება და თითქმის შუაში ჩაუდგა ალტამირასა და ჟიულიენს. მისი ძმა, რომელსაც ხელი მის ხელში ჰქონდა გაყრილი, ჩვეულების ზეგავლენით ემორჩილებოდა მას და დარბაზს ათვალიერებდა ისეთი სახით, ვითომ იგი ბრბოს შეეჩერებინოს.

_ თქვენ მართალი ხართ, _ უთხრა ალტამირამ, _ ყოველივეს უსიამოვნოდ აკეთებენ და ყოველივეს მალე ივიწყებენ, თვით დანაშაულსაც კი. მე ამ საღამოზე ათ კაცს მაინც გიჩვენებთ, რომელთაც შეაჩვენებენ როგორც მკვლელთ. ეს არც მათ ახსოვთ, არც საზოგადოებას. მრავალ მათგანს გული აუჩუყდება, თუ მათმა ძაღლმა თათი დაიშავა. როცა მომავალში მათ სასაფლაოზე, პერ-ლაშეზზე, ყვავილებს დაჰყრიან ხოლმე, დაგვიწყებენ მტკიცებას, ისინი უებრო რაინდების სათნოებათ ახორციელებდნენ და მათმა შორეულმა წინაპრებმა საქმენი საგმირონი ჩაიდინეს ანრი IV-ის დროსო.* თუ თავადი არაჩელის კეთილი სურვილების მიუხედავად, მე არ ჩამომახრჩვეს და პარიზში დავრჩი საცხოვრებლად, ერთხელ გასადილებთ რვა თუ ათი კაცისმკვლელის საზოგადოებაში, ყველანი ისინი დიდად პატივცემული და სინდისის ქენჯნისაგან თავისუფალი ადამიანები იქნებიან. ამ სადილზე მხოლოდ ჩვენ ორი ვიქნებით სისხლით ხელგაუსვრელი; მაგრამ მე ზიზღით და სიძულვილით მომეპყრობიან, როგორც სისხლისმსმელ მხეცსა და

იაკობინელს, ხოლო თქვენ როგორც ხალხიდან გამოსულ ადამიანს, რომელიც მაღალ საზოგადოებაში შეიჭრა.

_ სრული ჭეშმარიტებაა, _ თქვა მატილდა დე ლამოლმა.

ალტამირამ ქალს გაკვირვებით შეხედა, ხოლო ჟიულიენმა არც კი გახადა შეხედვის ღირსად.

_ ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, _ განაგრძო გრაფმა ალტამირამ, _ რომ რევოლუცია, რომელსაც მე სათავეში მოვექეცი, მხოლოდ იმიტომ დამარცხდა, რომ არ მოვისურვე სამი თავი მომეკვეთა და სალაროდან შვიდი თუ რვა მილიონი გამენაწილებია ჩვენი მომხრეებისთვის, სალაროს გასაღები კი მე მედო ჯიბეში. ჩემი მეფე, რომელსაც დღეს ისე არაფერი სწყურია, როგორც ჩემი ჩამოხრჩობა და რომელიც აჯანყებამდე შენობით მელაპარაკებოდა, უდიდეს ორდენს დამკიდებდა, ის სამი თავი რომ მომეკვეთინებია და სალაროს ფული გამენაწილებია: ვინაიდან ამ შემთხვევაში ნახევარ გამარჯვებას მაინც მივაღწევდი და ჩემს ქვეყანას რამე საკონსტიტუციო სიგელი ექნებოდა... ასეთია წუთისოფელი: იგი ჭადრაკის თამაშს ჰგავს.

_ მაშასადამე, თქვენ იმ დროს არ გცოდნიათ ეს თამაში, _ უპასუხა თვალებანთებულმა ჟიულიენმა, _ ახლა კი...

_ ახლა, თქვენ გინდათ თქვათ, რომ თავებს მოვაკვეთინებდი და ჟირონდელობას* არ გამოვიჩენდი, როგორც იმ დღეს მანიშნეთ ნართაულად?.. მე თქვენ გიპასუხებდით, _ განაგრძო ალტამირამ სევდიანად, _ რომ დუელში ადამიანის მოკვლა მაინც ნაკლები სისამაგლეა, ვიდრე მისი გადაცემა ჯალათის ხელში.

_ რა გაეწყობა, _ თქვა ჟიულიენმა, _ ვისაც თევზის დაჭერა უნდა, ფეხიც უნდა დაისველოს; ერთი პაწია ატომი რომ არ ვყოფილიყავი და ხელისუფლება მქონოდა, სამ კაცს ჩამოვახრჩობინებდი, რათა სიცოცხლე შემენარჩუნებია ოთხისთვის.

ჟიულიენის თვალები ანთებული იყო რწმენის ცეცხლით და ზიზღით ადამიანთა ფუჭ მსჯელობისადმი; ისინი შეხვდნენ მატილდას თვალებს და ეს ზიზღი არა თუ შეიცვლა ალერსიანი და ზრდილობიანი გამომეტყველებით, არამედ თითქო კიდეც გაორკეცდა.

ამან ქალი ღრმად შეურაცხყო; მაგრამ მას აღარ შეეძლო ჟიულიენის დავიწყება, გულისტკივილით გაშორდა მოსაუბრეებს და ძმაც თან გაიტაცა.

«პუნში უნდა დავლიო და ბევრი ვიცეკვო, _ გაიფიქრა ქალმა; _ საუკეთესო მამაკაცი უნდა ავირჩიო და შთაბეჭდილება მოვახდინო, რადაც უნდა დამიჯდეს. ძალიან კარგი, აი, ცნობილი თავხედი მამაკაცი, გრაფი ფერვაკი!»

მატილდამ გრაფის გაწვევა მიიღო და მათ ცეკვა დაიწყეს. «ვნახოთ, ჩვენ ორში ვინ გამოიჩენს მეტ თავხედობას, _ ფიქრობდა ქალი; _ მაგრამ თუ მინდა გულისჯავრი ვიყარო და ჩემი კავალერი* მართლაც სასაცილოდ ავიგდო, უნდა სალაპარაკოდ გამოვიწვიო». ჩქარა დანარჩენი წყვილები მხოლოდ დასანახავადღა ცეკვავდნენ. არავის უნდოდა მატილდას გესლიანი სიტყვა-პასუხი გაეშვა უყურადღებოდ. ბ. დე ფერვაკი აირია, ვერაფერს პოულობდა გარდა ელეგანტური სიტყვებისა და უაზროდ იმანჭებოდა; გაბრაზებული მატილდა სასტიკად მოეპყრა მას და მტრადაც გადაიკიდა. ქალმა გათენებამდე იცეკვა და შინ საშინლად დაქანცული წავიდა. მაგრამ ეტლში იმდენი ძალა კი აღმოაჩნდა, რომ თავისი კაეშანი და უბედურება ეგრძნო. ჟიულიენს იგი ეზიზღებოდა, მას კი არ შეეძლო ზიზღითვე ეპასუხა.

ჟიულიენი ნეტარების მწვერვალზე იმყოფებოდა. თავისდა უნებურად იგი მოხიბლული იყო მუსიკით, ყვავილებით, მშვენიერი ქალებით, საერთო ელეგანტობით, ხოლო განსაკუთრებით თავისი ოცნებით, მე წარჩინება უნდა მექნეს, ხოლო სხვებს თავისუფლებაო.

_ რა მშვენიერი საღამოა, _ უთხრა მან გრაფს, _ სრულიად არაფერი აკლია.

_ აზრის მეტი, _ უპასუხა ალტამირამ, და მისმა სახემ გამოამჟღავნა ზიზღი, რომელიც მით უმეტეს მძაფრი იყო, რომ, როგორც ნათლად ჩანდა, მხოლოდ ზრდილობით იყო დაფარული.

_ მაგრამ თქვენ ხომ აქა ხართ, ბატონო გრაფო. განა ეს აზრი არ არის და ისიც შეთქმული ადამიანის აზრი?

_ მე აქ მხოლოდ ჩემი გვარის წყალობით ვარ. თქვენს სალონებში აზრი სძულთ. აქ საჭიროა, რომ იგი არ ადიოდეს სავოდევილო კუპლეტზე მაღლა: მხოლოდ მაშინ ასაჩუქრებენ მას. მაგრამ მოაზროვნე ადამიანს თქვენ ცინიკოსს უწოდებთ თუ მის გონებამახვილობას ენერგია და სიახლე ახასიათებს. განა თქვენმა ერთმა მსაჯულმა ეს სახელი არ უწოდა კურიეს?* თქვენ იგი, ისევე როგორც ბერანჟე, სატუსაღოში ჩასვით. კონგრეგაცია გამასწორებელ პოლიციაში აგდებს ყველას, ვინც რაიმე ღირებულებას წარმოადგენს თავისი ჭკუით, ხოლო კარგი საზოგადოება ამას ტაშს უკრავს. საქმე ისაა, რომ თქვენი დაბერებული საზოგადოება, უწინარეს ყოვლისა, იმას აფასებს, რაც წესიერია.

თქვენ არასოდეს ადიხართ მხედრულ ვაჟკაცობაზე მაღლა; მიურატები* გეყოლებათ, ვაშინგტონები* კი არასოდეს. საფრანგეთში ვერაფერს ვხედავ, გარდა ამაო მედიდურობისა. ადამიანს, რომელიც შთაგონებულად ლაპარაკობს, ყოველთვის შეიძლება გაუფრთხილებელი მძაფრი აზრი წამოსცდეს, ამ შემთხვევაში ფრანგი მასპინძელი თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს.

გრაფის ეტლი დე ლამოლის სასახლესთან გაჩერდა. ჟიულიენი შეყვარებული იყო თავის კონსპირატორზე. გამომშვიდობებისას ალტამირამ მას კარგი ქათინაური უთხრა, ეს, ალბათ, ღრმა რწმენის შედეგი იყო: «თქვენ არა გაქვთ ფრანგული თავქარიანობა და გესმით სარგებლიანობის პრინციპი».

«შეთქმულება ანადგურებს ყველა ტიტულს, რომელიც ადამიანს სოციალური შემთხვევების წყალობით ეძლევა, _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ შეთქმულების წყალობით ადამიანი ერთბაშად იმ საფეხურს აღწევს, რომელიც შეეფერება მის გამბედაობას სიკვდილის განსაცდელში. აქ თვით გონებაც კი კარგავს თავის ძალაუფლებას. რა იქნებოდა დანტონი დღეს, ვალნოებისა და რენალების საუკუნეში? იგი, ალბათ, ბრალმდებლის თანაშემწეც კი ვერ გახდებოდა... მაგრამ რას ვამბობ? იგი კონგრეგაციას მიჰყიდდა თავს, მინისტრი გახდებოდა, იმიტომ, რომ დანტონი ბოლოს ქურდობდა. მირაბომაც გაყიდა თავი. ნაპოლეონმა მილიონები მოიპარა იტალიაში, უამისოდ იგი სიღარიბეში დაიღუპებოდა პიშეგრიუს* მსგავსად. მხოლოდ ლაფაიეტს* არ მოუპარავს არასოდეს. დასაშვებია თუ არა ქურდობა, დასაშვებია თუ არა თავის გაყიდვა?» _ გაიფიქრა ბოლოს ჟიულიენმა. ამ კითხვაზე მისი აზრთა მიმდინარეობა შეწყდა, და ღამის დანარჩენი ნაწილი მან «რევოლუციის ისტორიის»* კითხვაში გაატარა.

მეორე დღეს, როცა ჟიულიენი წერილებს არჩევდა და წერდა ბიბლიოთეკაში, იგი მხოლოდ გრაფ ალტამირას ნათქვამზე ფიქრობდა.

«მართლაც, _ გაიფიქრა მან ხანგრძლივი ოცნების შემდეგ, _ ესპანელ ლიბერალებს რაიმე დანაშაულით ხალხისთვის სახელი რომ გაეტეხათ, მათ ისე ადვილად ვერ გამოხვეტდნენ. ეს ლიბერალები გულზვიადი და ყბედი ბალღები აღმოჩნდნენ... ჩემსავით! _ წამოიძახა მან უცებ და თოფნაკრავივით წამოხტა. _ რა სიძნელე გადამილახავს, რა უფლება მაქვს, რომ გავკიცხო ეს საბრალო ადამიანები, რომელთაც ერთხელ მაინც ცხოვრებაში გაბედეს და მოქმედება დაიწყეს? მე ვგევარ ადამიანს, რომელიც სუფრიდან დგება და იძახის: ხვალ აღარ ვისადილებ, მაგრამ ეს ხელს არ შემიშლის ისეთივე ძლიერი

და მხნე ვიყო, როგორიც დღეს ვარ. ვინ იცის, რას გრძნობს ადამიანი, როცა იგი დიდ ღვაწლს შესდგომია?»

ეს მაღალი აზრები მატილდა დე ლამოლის მოულოდნელმა შემოსვლამ შეწყვიტა. ჟიულიენი ისე გატაცებული იყო ღირსეული დანტონით, მირაბოთი, კარნოთი,* რომელთაც შეძლეს არ დამარცხებულიყვნენ, რომ იგი მატილდას უცქეროდა, მაგრამ არც ფიქრობდა მასზე, არც ესალმებოდა, თითქმის ვერც ხედავდა. როცა ბოლოს მისმა დიდმა, ფართოდ გაღებულმა თვალებმა ქალი შეამჩნია, მის გამოხედვაში ნაპერწკალი ჩაქრა. მატილდა დე ლამოლმა ეს გულისტკივილით იგრძნო.

ქალმა სთხოვა, ველის* «საფრანგეთის ისტორიის» ერთი ტომი ჩამომიღე ზემო თაროდანო, რამაც ჟიულიენი აიძულა მაღალი კიბე მოეტანა. კიბის მიდგმა, წიგნის ჩამოღება და გადაცემა ისე მოხდა, რომ ვაჟის გონება შორს იყო ქალისაგან. როცა კიბე უკან მიჰქონდა, აჩქარების გამო მან იდაყვი ჰკრა ერთი კარადის შუშას და ჩალეწა; მხოლოდ ახლა გამოფხიზლდა, როცა იატაკზე დაცემული ნამტვრევების ხმა გაიგონა. საჩქაროდ ბოდიში მოიხადა მატილდა დე ლამოლის წინაშე; ზრდილობის მეტი ვერაფერი ვერ გამოიჩინა. მატილდამ ცხადად შეამჩნია, რომ ვაჟს ხელი შეუშალა, რომ მას ერჩია განერგძო ფიქრი იმაზე, რაზედაც მის მოსვლამდე ფიქრობდა. დიდხანს უცქირა და ნელი ნაბიჯით გავიდა. ჟიულიენი მიმავალ ქალს უცქეროდა. იგი ტკბებოდა იმ სხვაობით, რომელიც მის დღევანდელი ტანისამოსის უბრალოებასა და გუშინდელი ტანისამოსის ბრწყინვალე ელეგანტობას შორის არსებობდა. თითქმის ასეთივე განსხვავება იყო მის წინანდელ და ახლანდელ გამომეტყველებას შორის: ეს ახალგაზრდა ქალი, ესოდენ ამაყი დუკა დე რეცის საცეკვაო საღამოზე, ამ წუთში მას თითქმის მუდარით უცქეროდა. «უნდა ითქვას, რომ ეს შავი კაბა კიდევ უფრო ბრწყინვალედ ხდის მისი ტანის მშვენიერებას, _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ მას მეფური მიხრა-მოხრა აქვს: მაგრამ სამგლოვიარო ფერი რად აცვია? თუ ამის მიზეზი ვინმეს ვკითხე, შეიძლება სიბრყივეში ჩამომართვან».

ჟიულიენმა საბოლოოდ თავი დააღწია თავის აღფრთოვანებას. «უნდა გადავიკითხო ამ დილით დაწერილი წერილები; ღმერთმა იცის რა სისულელეები აღმოჩნდება შიგ». სანამ იგი ცდილობდა პირველი წერილი წაეკითხა ყურადღებით, თავის მახლობლად აბრეშუმის კაბის შრიალი გაიგონა; მკვირცხლად მობრუნდა; ორ ნაბიჯზე მისი მაგიდიდან მატილდა დე ლამოლი იდგა და იცინოდა. ამ მეორე შემოჭრამ გული მოაყვანია ჟიულიენს.

მატილდა ნათლად გრძნობდა, რომ არაფერს წამოადგენდა ამ ახალგაზრდა კაცისთვის და იცინოდა, რათა თავისი შეშფოთება დაეფარა, რაიცა შეძლო კიდეც.

_ ცხადია, თქვენ რაღაც მეტად საინტერესოზე ფიქრობთ, ბ. სორელ. ეს იმ შეთქმულების რაიმე საინტერესო შემთხვევა ხომ არ რის, რომელმაც გრაფი ალტამირა პარიზში გადმოისროლა? გამაცანით საქმის ვითარება. მე მწყურია ამის გაგება; არავის ვეტყვი, გეფიცებით! _ ქალს გაუკვირდა, რომ ეს სიტყვები წამოსცდა. როგორ, ის თავის ხელქვეითს ევედრებოდა? მისი შეშფოთება გაძლიერდა და მსუბუქი ტონით დაუმატა: _ რამ გადაგაქციათ თქვენ, ჩვეულებრივ ასეთი ცივი ადამიანი, შთაგონებულ, მიქელანჯელოს* წინასწარმეტყველის მსგავს არსებად?

ამ მოულოდნელმა და თავდაუჭერელმა კითხვამ ღრმად შეურაცხყო ჟიულიენი და მოთმინება დააკარგვია.

_ კარგად იქცეოდა თუ არა დანტონი, რომ ქურდობდა? _ ჰკითხა მან ფიცხლად და გაბოროტებული სახით. _ სახელი უნდა გაეტეხათ თუ არა პიემონტის და ესპანეთის რევოლუციონერებს ხალხისთვის თავიანთი დანაშაულით?* უღირსი ადამიანებისთვის უნდა დაერიგებიათ ადგილები და ორდენები თუ არა? განა ამ ორდენიან ადამიანებს უფრო არ შეეშინდებოდათ მეფის დაბრუნებისა? საჭირო იყო თუ არა ტურინის სალაროს გაძარცვა? ერთი სიტყვით, ქალბატონო, _ განაგრძო მან და ქალს მიუახლოვდა მრისხანე სახით, _ ადამიანმა, რომელსაც დედამიწის ზურგიდან უმეცრებისა და დანაშაულის აღგვა სურს, აქ განა ქარიშხლის მსგავსად უნდა გაიაროს და ბოროტება განურჩევლად უნდა ჩაიდინოს?

მატილდას შეეშინდა, მის შეხედვას ვერ გაუძლო და უკან დაიხია ორი ნაბიჯით. შემდეგ ერთი წუთით შეხედა, თავისი შიშისა შერცხვა და მსუბუქი ნაბიჯით გავიდა ბიბლიოთეკიდან.

X

დედოფალი მარგარიტა

სიყვარულო! რა სიგიჟეთა შორის არ
ძალგიძს შენ სიამოვნების მონიჭება?

პორტუგალიელი მონაზონის
წერილები

ჟიულიენმა გადაიკითხა წერილები, როცა სადილის ზარის ხმა გაისმა, გულში გაიფიქრა: «რა სასაცილოდ ვეჩვენე, ალბათ, ამ პარიზელ ტიკინას? რა სიგიჟე იყო მასთან იმის თქმა, რასაც ნამდვილად ვფიქრობ! შეიძლება ჩემი სიგიჟე არც ისე უზომო იყოს. ამ შემთხვევაში ჭეშმარიტება ღირსეულად დავიცავი. რად მოდის და ინტიმურ კითხვებს რად მაძლევს? უზრდელად მოიქცა. ჩემ მიერ დანტონის დაფასება არ შედის იმ ვალდებულებათა წრეში, რისთვისაც ჯამაგირს ვღებულობ მისი მამისაგან».

როცა ჟიულიენი სასადილოში შევიდა, მთელი მისი ყურადღება მატილდა დე ლამოლის შავმა სამგლოვიარო ტანისამოსმა მიიპყრო. ამან მით უფრო გააკვირვა, რომ ამ ოჯახში სხვა არავინ იყო სამგლოვიაროდ გამოწყობილი.

ნასადილევს ჟიულიენი სავსებით განთავისუფლდა ენთუზიაზმის შეტევისაგან, რომელიც მას მთელი დღის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა. საბედნიეროდ, ამ სადილზე, სხვათა შორის, ლათინურის მცოდნე აკადემიკოსიც იყო დაპატიჟებული. «აი, ვის ვეჩვენები ყველაზე ნაკლებ სასაცილოდ, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ თუ, როგორც მე ვშიშობ, შეკითხვა მატილდა დე ლამოლის ძაძების შესახებ უხერხული აღმოჩნდა».

მატილდა უცნაური გამომეტყველებით უცქეროდა. «აი, როგორი ყოფილა აქაური ქალების კეკლუცობა, რომელსაც ქალბატონი დე რენალი სწორად მიხატავდა, _ გაიფიქრა ჟიულიენმა. _ დღეს დილით მე ნაკლებ თავაზიანად მოვეპყარი მას, არ დავუთმე მის დაჟინებას და არ ვესაუბრე. ამით მხოლოდ მეტი ფასი შევიძინე მის თვალში. უცილობელია, ამით ეშმაკს რქა არ მოტყდება. შემდეგში მისი დამცინავი ქედმაღლობა შეძლებს შურისძიებას. რა განსხვავებაა იმ ქალთან შედარებით, რომელიც დავკარგე! რა მომხიბლავი ბუნება ჰქონდა, რამდენი გულუბრყვილობა! მისი აზრები მასზე ადრე ვიცოდი, თითქო მათ დაბადებას ვხედავდი; ჩემი ერთადერთი მეტოქე მის გულში მისი ბავშვების სიკვდილის შიში იყო; ეს გონიერი და ბუნებრივი გრძნობა იყო, სასიამოვნოც ჩემთვის, თუმცა ამის გამო ვიტანჯებოდი. რა სულელი ვიყავი. ჩემმა ფანტაზიებმა პარიზის შესახებ ხელი შემიშალა დამეფასებია ეს უბადლო ქალი. ღმერთო ჩემო, რა განსხვავებაა! რას ვხედავ აქ? მშრალსა და მიუკარებელ ქედმაღლობას, თავმოყვარეობის ყველა ელფერს და მეტს არაფერს».

სუფრიდან ადგნენ. როცა სტუმარ-მასპინძელი ბაღში გადიოდა, ჟიულიენი აკადემიკოსს მიუახლოვდა, მორჩილი და წყნარი სახის გამომეტყველება მიიღო და განუცხადა, სრულიად ვეთანხმები თქვენს აღშფოთებას ჰიუგოს «ერნანის»* გამარჯვების გამო.

_ ჩვენ რომ იმ ბედნიერ დროს ვცხოვრობდეთ, როცა ადამიანებსა და წიგნებს მეფის ბრძანებით ატყვევებდნენ... _ თქვა ჟიულიენმა.

_ მაშინ ჰიუგო «ერნანის» გამოქვეყნებას ვერ გაბედავდა, _ წამოიძახა აკადემიკოსმა ტალმასებურად.*

ერთი ყვავილის დანახვაზე ჟიულიენმა რამდენიმე სიტყვა მოიყვანა ვერგილიუსის «გეორგიკებიდან» და განაცხადა, ვერაფერი ვერ შეედრება აბატ დელილის* ლექსებსო. ერთი სიტყვით, იგი აკადემიკოსს ეპირფერებოდა ყოველნაირად. ბოლოს მან სრულიად გულგრილი ტონით წარმოთქვა:

_ მე მგონია, რომ მატილდა დე ლამოლმა მემკვიდრეობა მიიღო რომელიმე ახლად გარდაცვლილი ბიძისგან და გლოვობს მას.

_ როგორ, თქვენ ამ სახლში ცხოვრობთ და არ იცით ამ ქალის ახირება? _ უთხრა აკადემიკოსმა: _ მართლა გასაკვირველია, რომ დედა ასეთი რამეების ნებას აძლევს; მაგრამ ჩვენ შორის იყოს და უნდა ითქვას, რომ ამ ოჯახის წევრები როდი განირჩევიან ხასიათის სიმტკიცით. ხასიათის სიმტკიცე მხოლოდ მატილდას აქვს მიმადლებული უხვად და იგი მთელ ოჯახს თავის ნებაზე ატარებს. დღეს ოცდაათი აპრილია! – აკადემიკოსი შეჩერდა და ჟიულიენს ჩააცქერდა ეშმაკური გამომეტყველებით. ჟიულიენმაც გაიღიმა და რამდენადაც შეეძლო ცბიერი გამომეტყველება მიიღო.

«რა ურთიერთობა უნდა არსებობდეს მთელი ოჯახის ხელმძღვანელობასა, შავი ტანისამოსის ჩაცმასა და 30 აპრილს შორის? _ ფიქრობდა იგი. _ ალბათ, მე კიდევ უფრო ხეპრე ვარ, ვიდრე მეგონა».

_ უნდა გამოგიტყდეთ... _ უთხრა მან აკადემიკოსს და მისმა თვალებმა ხელახლა შეკითხვა გამოხატა.

_ გავიაროთ ბაღში, _ უპასუხა აკადემიკოსმა, რომელიც, როგორც ეტყობოდა, აღტაცებული იყო, რომ გრძელი და მოხდენილი მოთხრობის საბაბი ეძლეოდა.

_ როგორ, ნუთუ თქვენ მართლაც არ იცით, რა მოხდა 30 პარილს 1574 წელს?

_ სად? _ ჰკითხა გაკვირვებულმა ჟიულიენმა.

_ გრევის მოედანზე.

ჟიულიენი იმდენად გაოცებული იყო, რომ თვით ამ სიტყვამ არაფერი მოაგონა. ცნობისმოყვარეობა, ტრაგიკული ამბის მოლოდინი, ესოდენ შესაფერი მისი ხასიათისთვის, მის თვალებს იმ ბრწყინვალებას აძლევდნენ, რომელიც ყოველ მოამბეს მოსწონს თავის მსმენელში. აკადემიკოსმა, კმაყოფილმა იმით, რომ ქალწულებრივად ხელუხლებელი

ყურები იპოვა, გრძლად უამბო ჟიულიენს, როგორ მოჭრეს თავი გრევის მოედანზე 1574 წლის 30 აპრილს თავის დროის ულამაზეს ვაჟკაცს ბონიფას ლაოლს და მის მეგობარს პიემონტელ აზნაურს ჰანიბალ დე კოკონასს. _ დე ლამოლს აღმერთებდა მისი სატრფო _ დედოფალი მარგარიტა ნავარელი;* ყურადღება მიაქციეთ, რომ ჩვენს ახალგაზრდა დიასახლისსაც მატილდა-მარგარიტა ჰქვია. დე ლამოლი იმავე დროს ალანსონის დუკას ფავორიტი და თავისი სატრფოს ქმრის _ ნავარის მეფის, შემდეგ ანრი IV-ის გულითადი მეგობარი იყო. ამ 1574 წლის ყველიერის სამშაბათს მეფის კარი სენ ჟერმენში იმყოფეობდა საბრალო მეფე შარლ IX-სთან ერთად, რომელიც სულს ღაფავდა. დე ლამოლს უნდოდა გაეტაცებია თავისი მეგობარი პრინცები, რომელნიც ეკატერინე მედიჩის დატყვევებული ჰყავდა სასახლეში. მან ორასი ცხენი მიაყენა სენ ჟერმენის გალავანს, მაგრამ ალანსონის დუკა შეშინდა და დე ლამოლი ჯალათს გადასცეს. რაც შეეხება მატილდას, იგი თვით გამომიტყდა შვიდი-რვა წლის წინათ, როცა მხოლოდ თორმეტი წლისა იყო... ის ხომ ისეთი თავქარიანია!.. _ და აკადემიკოსმა თვალები აღაპყრო ზეცისკენ. _ ამ პოლიტიკურ კატასტროფაში მატილდა ყველაზე მეტად გააოცა იმ გარემოებამ, რომ დედოფალმა მარგარიტა ნავარელმა, რომელიც ერთ სახლში იმყოფეობდა ფარულად გრევის მოედანზე, გაბედულება გამოიჩინა და ჯალათს თავისი სატრფოს თავი სთხოვა. და მეორე დღეს, შუაღამისას, მან ეს თავი ეტლში ჩაიდო და დასასაფლავებლად წაიღო სამლოცველოში, რომელიც მონმარტრის გორაკის ძირშია აღმართული.

_ ნუთუ ეს შესაძლებელია? _ წამოიძახა შეძრწუნებულმა ჟიულიენმა.

_ მატილდას ეზიზღება თავისი ძმა, იმიტომ რომ, როგორც ხედავთ, იგი სრულიადაც არ ფიქრობს ძველისძველ ისტორიაზე და არ გლოვობს 30 აპრილს. ამ ცნობილი დასჯის შემდეგ, დე ლამოლისა და იმ ზემოხსენებული კოკონასის მეგობრობის სამახსოვროდ, რომელსაც როგორც იტალიელს, ჰანიბალი ეწოდებოდა, ყველა მამაკაცს ამ ოჯახში ჰანიბალს არქმევენ და, _ დაუმატა აკადემიკოსმა დაბალი ხმით, _ თვით შარლ IX-ის მოწმობით, ეს კოკონასი ერთი უსასტიკესი მკვლელთაგანი იყო 1572 წლის 24 აგვისტოს.* მაგრამ ნუთუ თქვენ ეს ამბები არ იცოდით, ძვირფასო სორელ?

_ აი, რატომ დაუძახა მატილდა დე ლამოლმა ორჯერ სადილობის დროს თავის ძმას ჰანიბალი. მეგონა, მომეყურა-მეთქი.

_ ეს საყვედური იყო. გასაოცარია, რომ მარკიზის მეუღლე ნებას რთავს ასეთ თავქარიანობას... ამ ახალგაზრდა ქალის მომავალ ქმარს ბევრი დავიდარაბა ელის.

ამ სიტყვებს ხუთი თუ ექვსი სატირული ფრაზა მოჰყვა. სიხარულმა და მტრობამ, რომელნიც აკადემიკოსის თვალებში ციმციმებდნენ, შეაშფოთეს ჟიულიენი. «აი, ჩვენ ორ მოსამსახურეს ვგევართ, რომელნიც ჭორაობენ თავიანთ ბატონებზე, _ გაიფიქრა მან, _ მაგრამ აკადემიის წევრისგან არაფერი უნდა გამიკვირდეს».

ერთ დღეს ჟიულიენმა მოუსწრო, როცა ეს აკადემიკოსი მარკიზის მეუღლის წინაშე იყო დაჩოქილი და სთხოვდა, თამბაქოს დუქნის გაღების უფლება მომეცი ერთი ჩემი პროვინციელი ძმისწულისთვისო. საღამოს მატილდას მოსამსახურე ქალმა, რომელიც ისევე ეაშიკებოდა ჟიულიენს, როგორც წინათ ელიზა, აუხსნა მას, ჩემი ქალბატონი სამგლოვიარო ტანისამოსს სრულიადაც ყურადღების მისაქცევად არ ატარებსო. ეს ახირებულობა მისი ხასიათის სიღრმიდან გამომდინარეობდა. მას მართლაც უყვარდა ეს დე ლამოლი, რომელიც გულითადი მიჯნური იყო თავის ეპოქის ყველაზე გონებამახვილი დედოფლის და რომელმაც სიცოცხლე გასწირა, რათა თავისი მეგობრები გადაერჩინა! და მერე როგორი მეგობრები! უკეთილშობილესი პრინცი და ანრი IV.

ჟიულიენი ისე შეეჩვია სრულ ბუნებრიობას ქალბატონი დე რენალის ყოფაქცევაში, რომ მხოლოდ თვალთმაქცობას ხედავდა პარიზელ ქალებში და როცა ცოტა უგუნებოდ იყო, არ იცოდა, რა ელაპარაკა მათთან. მატილდა დე ლამოლი გამონაკლისს წარმოადგენდა.

იგი თანდათან მიხვდა, რომ კეთილშობილი თავდაჭერილობა არ ნიშნავდა უგულობას. იგი ხანდახან ხანგრძლივად ესაუბრებოდა მატილდა დე ლამოლს, რომელიც ხშირად ნასადილევს მასთან ერთად სეირნობდა ბაღში, სალონის ღია ფანჯრების გასწვრივ. ერთხელ ქალმა უთხრა, დობინიეს ისტორიას* და ბრანტომს* ვკითხულობო. «უცნაური ამბავია, _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ დედამისი კი ვალტერ სკოტის კითხვის ნებას არ აძლევს».

ერთ მშვენიერ დღეს ქალმა სიამოვნებისაგან გაბრწყინებული თვალებით, რომელნიც გულწრფელ აღტაცებას მოწმობენ, უამბო, ლეტუალის* «მემუარებში» ამოვიკითხე, რომ ერთ ქალს ანრი IV-ის მეფობის დროს მოღალატე ქმრისთვის მიესწრო და მახვილით გაეგმირაო.

ჟიულიენის თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო. ესოდენი პატივისცემით გარშემორტყმული პიროვნება, რომელიც, აკადემიკოსის სიტყვით, მთელ ოჯახს ატრიალებდა, მას თითქმის მეგობრული საუბრის ღირსად თვლიდა.

«არა მე შევცდი, _ გაიფიქრა მალე ჟიულიენმა: _ ეს აიხსნება არა მეგობრული გრძნობით, არამედ, იმით, რომ თითქოს ტრაგედიის გმირის მესაიდუმლე ვიყო, ჩემი შემწეობით ლაპარაკის მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ. მე მეცნიერად მთვლიან ამ ოჯახში. უნდა შევუდგე ბრანტომის, დობინიეს, ლეტუალის კითხვას. მაშინ შემეძლება ვიკამათო ზოგიერთ ანეგდოტზე, რომელზედაც მატილდა დე ლამოლი მესაუბრება. მე თავი უნდა დავაღწიო ამ პასიური მესაიდუმლის როლს».

თანდათან მისი საუბარი ამ ახალგაზრდა ქალთან, რომელსაც თავი ღირსეულად და ამასთანავე ძალდაუტანებლად ეჭირა, უფრო საინტერესო გახდა. ვაჟს ავიწყდებოდა თავისი სევდიანი როლი ამბოხებული პლებეისა. ქალი მას მცოდნედ, ჭკვიანადაც კი ეჩვენებოდა. ბაღში მატილდა სულ სხვანაირ აზრებს გამოთქვამდა ხოლმე, ვიდრე სალონში. ხანდახან მისი აღფრთოვანება და გულწრფელობა სრულიად ეწინააღმდეგებოდა მის ჩვულებრივ გულზვიადობასა და გულცივობას.

_ ლიგის ომები* გმირულ ეპოქას წარმოადგენს საფრანგეთის ისტორიაში, _ უთხრა ჟიულიენს ერთხელ ქალმა, რომლის თვალები აღფრთოვანებით და რაღაც შინაგანი ცეცხლით იყო გაბრწყინებული, _ იმ დროს ყველა იმისთვის იბრძოდა, რომ რაიმე წვლილი შეეტანა თავისი პარტიის გამარჯვების საქმეში და არა იმისთვის, რომ რაღაც ვულგარული ორდენი მიეღო, როგორც ეს თქვენი იმპერატორის დროს ხდებოდა. დამეთანხმეთ, რომ იმ დროს ნაკლები იყო ეგოიზმი და წვრილმანობა. მე მიყვარს ის საუკუნე.

_ და ბონიფას დე ლამოლიც იმ დროის გმირი იყო, _ უთხრა ვაჟმა.

_ ყოველ შემთხვევაში იგი ისე უყვარდათ, როგორც ეს სასიამოვნო უნდა იყოს მამაკაცისთვის. რომელი თანამედროვე ქალი შეეხებოდა თავისი მიჯნურის მოჭრილ თავს შეუძრწუნებლად?

ქალბატონმა დე ლამოლმა თავის ქალიშვილს დაუძახა.

ორპირობა მხოლოდ მაშინაა სასარგებლო, როცა იგი დაფარულია; ჟიულიენი კი, როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, სანახევროდ გამოუტყდა მატილდა დე ლამოლს, რომ აღტაცებული იყო ნაპოლეონით.

«აი, რა უზარმაზარი უპირატესობა აქვთ ამ ადამიანებს ჩვენს წინაშე, _ ფიქრობდა ჟიულიენი, როცა მარტო დარჩა ბაღში. _ მათი წინაპრების ისტორია მათ ამაღლებს ვულგარულ გრძნობებზე და მათ ფიქრი არ უხდებათ თავიანთი თავის გამოკვებაზე! რა უბადრუკობაა, _ დაუმატა მან გულისტკივილით, _ რომ მე ღირსადაც კი არ ვითვლები ამ

დიდ საკითხებზე ვიმსჯელო. ჩემი ცხოვრება ფარისევლობაა და მეტი არაფერი, ვინაიდან ათასი ფრანკის შემოსავალიც კი არა მაქვს, რომ პური ვიყიდო».

_ რაზე ოცნებობთ, ბატონო ჩემო? _ ჰკითხა მატილდამ, რომელიც უკან დაბრუნდა სირბილით.

ჟიულიენს მოსწყინდა, რომ მუდამ იძულებული იყო თავის თავს ზიზღით მოპყრობოდა. სიამაყის კარნახით მან გულწრფელად თქვა, თუ რას ფიქრობდა. მხოლოდ ძალიან გაწითლდა, რომ თავის სიღარიბეზე ელაპარაკებოდა ასეთ მდიდარ ქალს; შეეცადა თავისი ამაყი ტონით გამოეხატა, რომ არაფერს თხოულობდა. არასოდეს იგი ასეთი ლამაზი არ ჩვენებია მატილდას; ქალმა ვაჟის სახეზე ამოიკითხა მგრძნობიარობისა და გულწრფელობის გამომეტყველება, რომელიც მას ხშირად აკლდა.

ერთმა თვემ განვლო. ჟიულიენი ჩაფიქრებული სეირნობდა დე ლამოლის სასახლის ბაღში; მის სახეს აღარ ემჩნეოდა სიმკაცრისა და ამპარტავნობის ბეჭედი, რომელსაც მუდმივი დაქვემდებარების გრძნობა აჭდობდა. ის იყო სალონის კარამდე მიაცილა მატილდა დე ლამოლი, რომელიც ირწმუნებოდა, ფეხი ვიტკინე ჩემს ძმასთან ერთად სირბილის დროსო.

«რაღაც უცნაურად ეყრდნობოდა ჩემს ხელს, _ ფიქრობდა ჟიულიენი: _ ან მე გადაჭარბებული თვითრწმენა მაქვს, ან ამ ქალს მოვწონვარ. ალერსიანი სახით მიმზერს მაშინაც კი, როცა ჩემი თავმოყვარეობის ტანჯვა-წამებას ვუმხელ! თვითონ კი ამაყად უცქერის ყველას. როგორ გაკვირვებული დარჩებიან სალონში, ეს მისი ალერსიანი გამომეტყველება თუ შეამჩნიეს. უცილობელია, რომ ასეთი ნაზი და კეთილი თვალებით არავის უცქერის».

ჟიულიენი ცდილობდა არ გადაეჭარბებია ამ თავისებური მეგობრობის მნიშვნელობა, რომელსაც იგი შეიარაღებულ ზავს ადარებდა. ყოველდღე, ახლად შეხვედრისას, ისინი გაურბოდნენ გუშინდელ ინტუმურ ტონს და თითქოს ერთმანეთს ჰკითხავდნენ: მეგობრები ვიქნებით დღეს თუ მტრები? ჟიულიენს ესმოდა, რომ მყისვე ყველაფერს დაკარგავდა, თუ თუნდაც ერთხელ ამ ამაყ ქალიშვილს ნებას მისცემდა დაუსჯელად შეურაცხყოფა მიეყენებია მისთვის. «თუ ჩვენ ერთმანეთს უნდა წავეჩხუბოთ, უკეთესი არ იქნება ეს ახლავე მოხდეს, ჩემი თავმოყვარეობის კანონიერ უფლებათა დაცვის დროს, ვიდრე მაშინ, როცა ზიზღს გამოვიწვევ იმით, რომ პირად ღირსებას შევაბღალვინებ?»

რამდენჯერმე, როცა მატილდა ცუდ გუნებაზე იყო, იგი შეეცადა ვაჟს დიდი მანდილოსნის ტონით დალაპარაკებოდა; ქალი ამ ცდებს ნატიფად აკეთებდა, მაგრამ ჟიულიენმა ისინი მკაცრად უკუაგდო.

ერთხელ ვაჟმა ქალს ტლანქად შეაწყვეტინა ლაპარაკი:

_ მადმუაზელ მატილდა დე ლამოლს ხომ არაფერი განკარგულება აქვს მისაცემი თავისი მამის მდივნისთვის? ეს უკანასკნელი ვალდებულია განკარგულებანი მოისმინოს და მოკრძალებით შეასრულოს; დანარჩენი მას არაფერი ევალება: მას ჯამაგირს იმისთვის როდი აძლევენ, რომ ვინმეს თავისი აზრები გაუზიაროს.

ამ ურთიერთობისა და ჟიულიენის უცნაური ეჭვის წყალობით, გაქრა ის მოწყენილობა, რომელიც ამ ბრწყინვალე სალონში მეფობდა, სადაც ყველაფრის ეშინოდათ, სადაც უზრდელობად ითვლებოდა რაიმეს სამასხროდ აგდება.

«სასაცილო არ იქნება, თუ შემიყვარა! მაგრამ სულ ერთია, შემიყვარებს თუ არა, მე მესაიდუმლედ მყავს ჭკვიანი ქალიშვილი, რომლის შიშით მთელი ოჯახია შეპყრობილი, ხოლო ყველაზე მეტად მარკიზი კრუაზენუა ცახცახებს. ეს ახალგაზრდა კაცი ასეთი ზრდილი, ასეთი გულთბილი და მამაცია, იგი ამდენ უპირატესობას ფლობს წარმოშობისა თუ სიმდიდრის წყალობით, ჩემთვის მარტო ერთი ასეთი უპირატესობა იქნებოდა საკმარისი, რომ თავი ბედნიერად მეგრძნო. მატილდა გაგიჟებით უყვარს და უნდა შეირთოს იგი. რამდენი წერილი დამაწერია ბ. დე ლამოლმა ორი ნოტარიუსისადმი, რათა კონტრაქტი შეედგინათ! მე კი, კალმით აღჭურვილი ხელქვეითი, ამ საუცხოო ახალგაზრდა კაცზე ვიმარჯვებ ამ ბაღში: აშკარაა, რომ ეს ქალი უპირატესობას მე მაძლევს. ისიც შეიძლება, რომ მას მარკიზის სახით თავისი მომავალი ქმარი ეჯავრებოდეს. მე კი ყურადღებით მექცევიან, როგორც ხელქვეით მესაიდუმლეს.

მაგრამ არა, ან მე გავგიჟდი ან იგი მეაშიკება: რაც უფრო ცივად და მოკრძალებულად ვეპყრობი, მით უფრო ყურადღებიანია იგი. ეს შეიძლება წინაგანზრახვის, თვალთმაქცობის შედეგი იყოს; მაგრამ მაშინ რად ენთება მისი თვალები, როცა მოულოდნელად დამინახავს ხოლმე? ნუთუ პარიზელი ქალები ყველანი ასეთი თვალთმაქცები არიან? რა მენაღვლება! მოჩვენება ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობს, ვისარგებლოთ მოჩვენებით. ღმერთო ჩემო, რა ლამაზია ეს ქალი! როგორ მომწონს მისი დიდი ცისფერი თვალები, როცა მათ ახლო ვუცქერი, ხოლო ისინი მე მიცქერიან. რა განსხვავებაა წლევანდელ გაზაფხულსა და შარშანდელ გაზაფხულს შორის, როცა მე თავს უბედურად ვგრძნობდი და მხოლოდ

ძლიერი ხასიათის შემწეობით ვიჭერდი თავს იმ სამასი ბოროტი და ჭუჭყიანი ფარისევლის საზოგადოებაში. მეც თითქმის ისეთივე ბოროტი ვიყავი, როგორც ისინი».

იჭვიანობის დღეებში ჟიულიენი ფიქრობდა: «ეს ახალგაზრდა ქალი დამცინის. იგი შეთანხმებულია თავის ძმასთან, რათა მე გამასულელოს. მაგრამ თითქო ზიზღით ეპყრობა თავის ძმას ენერგიის უქონლობისთვის! მამაცია და მეტი არაფერიო, მითხრა ერთხელ: ერთი აზრიც არა აქვს, რომელიც მიღებულ მოდას შორდებოდესო. მე ყოველთვის იძულებული ვხდები მისი ძმის დაცვა ვიკისრო. ცხრამეტი წლის ქალიშვილი! განა ამ ასაკში შეიძლება ყოველ წუთს იმ თვალთმაქცობაზე ფიქრი, რომელიც ადამიანმა სავალდებულოდ გაიხადა? მეორე მხრივ, როცა მატილდა დე ლამოლი თავის დიდ ცისფერ თვალებს განსაკუთრებული გამომეტყველებით მომაპყრობს ხოლმე, გრაფი ნორბერი გვშორდება. ეს მაფიქრებს; განა იგი აღშფოთებული არ უნდა იყოს, რომ მისი და უპირატესობას აძლევს ერთ-ერთ შინამოსამსახურეს? მე გავიგონე, რომ შოლნის დუკამ ასე მიწოდა იმ ღამეს».

ამ მოგონებაზე სიბრაზემ ყოველი სხვა გრძნობა განდევნა ჟიულიენის სულიდან. «მაგრამ შეიძლება მანიაკი დუკას ამ სიტყვებში გამოიხატა მხოლოდ მისი სიყვარული ძველებური სტილის გამოთქმებისადმი».

«ჰო, ეს ქალი მშვენიერია, _ განაგრძო ჟიულიენმა, რომელიც ამ დროს ვეფხვივით გამოიყურებოდა. _ მე მას დავეუფლები და შემდეგ წავალ. ვაი იმას, ვინც ხელს შემიშლის გაქცევაში».

ამ იდეამ სავსებით დაიპყრო ჟიულიენი: მას სხვაზე აღარაფერზე შეეძლო ფიქრი. მისი დღეები წუთებივით მიქროდნენ. სერიოზულ საქმეებს ჰკიდებდა ხელს, მაგრამ მისი გონება შორს იყო; მეოთხედი საათის შემდეგ იგი ფხიზლდებოდა და გულის ფანცქალით იმავე აზრს უბრუნდებოდა: ვუყვარვარ თუ არა ამ ქალს?

XI

ახალგაზრდა ქალის ხელისუფლება

აღტაცებული ვარ მისი სილამაზით,
მაგრამ მისი ჭკუა მაშინებს.

პროსპერ მერიმე

თუ იმის მაგივრად, რომ მატილდას სილამაზისთვის გადაჭარბებული შესხმა ეძღვნა ან აღშფოთება გამოეთქვა მისი ოჯახის დამახასიათებელი ქედმაღლობის წინააღმდეგ, ჟიულიენი სალონის ცხოვრებას დაჰკვირვებოდა, იგი მიხვდებოდა რაში მდგომარეობდა ამ ქალის ძალა. ყველას, ვინც მატილდას არ მოეწონებოდა, იგი სჯიდა დაცინვით; ეს დაცინვა თითქო ზომიერი, კარგად შერჩეული და წესიერი იყო ერთი შეხედვით, მაგრამ ისე კარგად იყო დამიზნებული, რომ მის მიერ დაჭდობილი ჭრილობა ღრმავდებოდა ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ და შეურაცხყოფილი თავმოყვარეობისთვის პირდაპირ საშინელი ხდებოდა. რადგან ეს ქალი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა იმ საგნებს, რომლებიც ოჯახის დანარჩენ წევრებს სანუკვრად მიაჩნდათ, იგი მათ გულგრილად ეჩვენებოდათ. არისტოკრატული სალონები სასიამოვნოა მხოლოდ იმით, რომ ადამიანს შეუძლია დაიტრაბახოს, იქ ვიყავიო; ესაა და ეს; ზრდილობა თავისთავად მხოლოდ პირველ დღეებში წარმოადგენს მიმზიდველ მოვლენას. ჟიულიენმა ეს თვით განიცადა; პირველ აღტაცებას პირველი გაოცება მოჰყვა. «ზრდილობა, _ ფიქრობდა იგი, _ მხოლოდ სიბრაზის განელებაა, სიბრაზე კი ადამიანის მანერებს აფუჭებს». მატილდა ხშირად მოწყენილი იყო, იგი, ალბათ, ყველგან მოწყენილი იქნებოდა. მაშინ გესლიანი ეპიგრამა მისთვის ნამდვილ გასართობსა და სიამოვნებას წარმოადგენდა.

შეიძლება ეს ქალი იმისთვის აიმედებდა მარკიზ კრუაზენუას, გრაფ კაიუსს და მაღალი საზოგადოების ორ თუ სამ ახალგაზრდას, რომ ცოტა უფრო საინტერესო მსხვერპლი ჰყოლოდა, ვიდრე მისი უახლოესი ნათესავები, აკადემიკოსი და ხუთი თუ ექვსი წვრილი თაყვანისმცემელნი იყვნენ. ეს მის მიერ არჩეული ყმაწვილები მისთვის მხოლოდ ეპიგრამების ახალ ობიექტებს წარმოადგენდნენ.

რადგან მატილდა გვიყვარს, გულისწუხილით ვაღიარებთ, რომ მან წერილები მიიღო რამდენიმე მათგანისაგან და ზოგიერთს კიდეც უპასუხა. ვჩქარობთ დავუმატოთ, რომ ეს პიროვნება გამონაკლისია თავისი საუკუნის ზნე-ჩვეულებათა თვალსაზრისით. ყველაფერი შეიძლება «გულიწმინდის» მონასტერში აღზრდილ ქალებს დავაბრალოთ, გარდა კეთილი ზნის უქონლობისა.

ერთხელ მარკიზმა დე კრუაზენუამ მატილდას უკან დაუბრუნა მისგან წინა დღით მიღებული წერილი, რომელსაც შეეძლო სახელი გაეტეხა ქალისთვის. ვაჟს ეგონა, ამ უზენაესი სიფრთხილის გამომჟღავნებით წინ წავწევ ჩემს საქმესო. მაგრამ ასეთი მიწერ-მოწერა მატილდას სწორედ ხიფათის გულისთვის მოსწონდა. იგი სიამოვნებით

ეთამაშებოდა თავის ბედს. მარკიზი იმით დასაჯა, რომ ექვსი კვირის განმავლობაში ხმა არ გაუცია მისთვის.

ქალს ართობდა ამ ახალგაზრდა კაცების წერილები, მაგრამ განსხვავებას ვერ ხედავდა მათ შორის. ყველგან მეტისმეტად ღრმა და მეტისმეტად მელანქოლიურ გულისთქმაზე იყო ლაპარაკი.

_ ისინი, ყველანი თითქო სრულქმნილი ადამიანები არიან, პალესტინაში გასამგზავრებლად გამზადებულნი, _ ეუბნებოდა ქალი თავის ბიძაშვილ ქალს. _ წარმოგიდგენიათ თუ არა რაიმე ამაზე უფრო უაზრო? მე განწირული ვარ ასეთი წერილები ვიკითხო მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში! ამ წერილების სტილი მხოლოდ ოც წელიწადში ერთხელ შეიცვლება, იმისდა მიხედვით, თუ რა სახის საქმიანობა შემოვა მოდაში. იმპერიის დროს ისინი ნაკლებ უფერული იყვნენ. მაშინ მთელი ეს მაღალი საზოგადოების ახალგაზრდობა ესწრებოდა ან მონაწილებას იღებდა ისეთ ამბებში, რომელთაც მართლაც სიდიადე ჰქონდათ. ბიძაჩემი ვაგრამის ბრძოლას* დაესწრო.

_ რა დიდი ჭკუაა საჭირო ხმლის შემოსაკვრელად? ხოლო თუ ამ მამაკაცებმა ეს ხმლის შემოკვრა ერთხელ მოახერხეს, შემდეგ დაუსრულებლად ამაზე ლაპარაკობენ! _ თქვა მატილდას ბიძაშვილმა, მადმუაზელ დე სენტ-ჰერედიტემ.

_ მაგრამ მე მომწონს ეს მოთხრობები. მონაწილეობის მიღება ნამდვილ ბრძოლაში, ნაპოლეონის ბრძოლაში, სადაც ათი ათასი ჯარისკაცი იხოცებოდა, სიმამაცეს ამტკიცებს. საფრთხე ამაღლებს სულს და ჰკურნავს იმ მოწყენილობისაგან, რომელსაც ჩემი საბრალო თაყვანისმცემლები მოუცავს; ეს მოწყენილობა კი გადამდებია. ვინაა მათ შორის ისეთი, რომ არაჩვეულებრივი ღვაწლის შესრულებაზე ოცნებობდეს? ისინი ჩემი ხელის მიღებას ცდილობენ; ეს რა დიდი საქმეა! მე მდიდარი ვარ და მამაჩემი წინ წასწევს თავის სიძეს. აჰ, ნეტავი ვინმე ცოტათი უფრო საინტერესო აღმოჩნდებოდეს!

მატილდა ცოცხლად, ნათლად, მხატვრულად ხედავდა საგნებს და ეს გავლენას ახდენდა მის ენაზე. ხშირად ზოგიერთი მისი სიტყვა ეხამუშებოდა მის ზრდილობიან მეგობრებს. ეს ქალი ასე მოდაში რომ არ ყოფილიყო, იტყოდნენ, მისი სტილი მეტად ფერადია და შეუფერებელი ფაქიზი ქალის ბუნებისთვისო.

მატილდა, თავის მხრივ, მეტად უსამართლოდ ეპყრობოდა ლამაზ მხედრებს, რომელნიც ბულონის ტყეში დასეირნობდნენ. როცა იგი მომავალზე ფიქრობდა, განიცდიდა არა შიშის ძრწოლას (ეს მეტისმეტად მძაფრი გრძნობა იქნებოდა), არამედ გულის რევას, რაც იშვიათია მის ასაკში.

რა შეიძლებოდა მას მოესურვებია? სიმდიდრე, კეთილშობილება, ჭკუა, სილამაზე? ყოველივე ეს, როგორც მას ეუბნებოდნენ და როგორც მასაც სჯეროდა, ბედისწერას მისთვის უკვე მიემადლებია უხვი ხელით.

აი, როგორი აზრები ჰქონდა სენ-ჟერმენის უბნის ყველაზე სახარბიელო გასათხოვარ ქალს, როცა მან სიამოვნება აღმოაჩინა ჟიულიენთან ერთად სეირნობაში. მატილდა გაკვირვებული იყო ჟიულიენის ქედმაღლობით, აღტაცებული იყო ამ პატარა ბურჟუის მოხერხებით. «იგი ეპისკოპოსი გახდება აბატ მორივით»,* გაიფიქრა ქალმა.

მალე მატილდა დააინტერესა გულწრფელმა, ყოველი თვალთმაქცობისგან თავისუფალმა წინააღმდეგობამ, რომელსაც ჩვენი გმირი ზოგიერთ მის აზრს უწევდა: იგი ჩაუფიქრდა ამ გარემობას, შემდეგ თავის მეგობარ ქალს უამბო თავიანთი საუბრის ყოველი წვრილმანი, მაგრამ აღმოაჩინა, რომ ვერასოდეს ვერ გადმოსცემდა მის ელფერს.

უცებ ქალი ერთმა აზრმა გაანათა: «რა ბედნიერებაა, რომ შეყვარებული ვარ, _ გაიფიქრა მან და ენით უთქმელი სიხარული იგრძნო. _ მე მიყვარს, ეს ცხადია! სად უნდა იპოვოს ჩემს ასაკში ლამაზმა, გონებამხვილმა ქალმა შეგრძნებანი თუ არა სიყვარულში? რაც უნდა ვეცადო, ვერასოდეს კრუაზენუას, კაიუსს და მათ მსგავსს ვერ შევიყვარებ. ისინი უებრონი არიან, მეტად უებრონი, შესაძლებელია; მაგრამ თავი მომაწყინეს».

მან გაიხსენა ვნებათა ღელვის ყველა აღწერა, რომელიც წაკითხული ჰქონდა «მანონ ლესკოში,* «ახალ ელოიზაში», «პორტუგალიელი მონაზონის წერილებში»* და სხვ. თავისთავად ცხადია, რომ მხოლოდ დიდი ვნებათა ღელვა იგულისხმებოდა: მსუბუქი სიყვარული შეუფერებელი იყო მისი ასაკისა და წარმოშობის ქალისთვის. ის სიყვარულს უწოდებდა მხოლოდ იმ გმირულ გრძნობას, რომელიც საფრანგეთში ანრი III-ისა* და ბასომპიერის* დროს გვხვდებოდა. ეს სიყვარული სულმდაბლად უკან როდი იხევდა დაბრკოლებათა წინაშე, არამედ ადამიანს დიდ საქმეებს აკეთებინებდა. «რა უბედურებაა ჩემთვის, რომ დღეს ნამდვილი სასახლე არ არსებობს, როგორიც, მაგალითად, ეკატერინე მედიჩის* ან ლუი XIII-ის* დროს არსებობდა! მე ჩემს თავს უმამაცესი და უდიდესი ადამიანების სიმაღლეზე ვგრძნობ. რას არ გავაკეთებდი მეფისათვის, რომელსაც კეთილშობილი გული ექნებოდა! მე მას ვანდეაში* წავიყვანდი, როგორც ხშირად ბარონი დე ტოლი ამბობს, და იქიდან მის სამეფოს დავაპყრობინებდი. მაშინ _ ძირს ქარტია... და ჟიულიენი დახმარებას გამიწევდა. რა აკლია მას? სახელი და სიმდიდრე. სახელსაც მოიპოვებდა და სიმდიდრესაც შეიძენდა. კრუაზენუას ყველაფერი აქვს, ამისდა მიუხედავად, მთელ თავის სიცოცხლეში ნახევრად კონსერვატორ, ნახევრად ლიბერალ

დუკად დარჩება, ორჭოფ არსებად, რომელიც მუდამ დაშორებულია უკიდურესობათ და მაშასადამე, ყველგან მეორე ადგილზეა. განა ისეთი დიდი აქტი არსებობს, რომელიც უკიდურესი არ იყოს დასაწყისში? ჩვეულებრივ მოკვდავთ იგი ადვილად ეჩვენებათ მხოლოდ შესრულების შემდეგ. დიახ, ახლა ჩემს გულში სიყვარული მეფდება ყველა თავის სასწაულითურთ; ამას ვგრძნობ ამ ცეცხლის მიხედვით, რომელიც მაფრთოვანებს. ზეცა ვალდებული იყო ეს წყალობა მოემადლებია. მას ერთს არსებაზე ამაოდ როდი დაუგროვებია ყველა უპირატესობა. ჩემი ბედნიერება ჩემი ღირსი იქნება. ჩემი დღევანდელი დღე ჩემი გუშინდელი დღის ცივი განმეორება როდი იქნება. უკვე სიდიადე და გაბედულება გამოვიჩინე, რომ შევიყვარე ადამიანი, რომელიც ჩემგან ასე დაშორებულია თავისი სოციალური მდგომარეობით. ვნახოთ, მომავალში ჩემი ღირსი იქნება იგი თუ არა? როგორც კი პირველ სისუსტეს შევატყობ, მაშინვე მივატოვებ. ჩემი გვარის ქალი, აღჭურვილი რაინდული ხასიათით, რომელსაც მე მაწერენ (აქ ის მამის სიტყვებს იმეორებდა), უჭკუოდ როდი უნდა მოიქცეს. განა უგუნურ როლს არ ვითამაშებდი, თუ მარკიზ დე კრუაზენუას შევიყვარებდი? ჩემი ბიძაშვილების ბედნიერების მეორე გამოცემას მივიღებდი. ასეთი ბედნიერება ზიზღსა მგვრის. წინდაწინვე ვიცი, რასაც საბრალო მარკიზი მეტყვის და რასაც მე ვუპასუხებ.

ეს რა სიყვარულია, რომელიც მთქნარებას იწვევს? სჯობია, ღვთისმოსაობაში გადავვარდე. ჩემს საქორწინო კონტრაქტს ხელს მოაწერდნენ, ისე როგორც ეს ჩემი უმცროსი ბიძაშვილის დაქორწინების დროს მოხდა, და ჩემი უახლოესი ნათესავები გულაჩუყებული დარჩებოდნენ, და მათ გუნებას არ წაუხდენდა უკანასკნელი მუხლი, რომელსაც კონტრაქტში მოწინააღმდეგე პარტიის ნოტარიუსი შეიტანდა ჯვრისწერის წინა დღით».

XII

იგი დანტონი ხომ არაა?

შემაშფოთებელი გრძნობების მოთხოვნილება მთავარი დამახასიათებელი თვისება იყო ჩემი მამიდის, მშვენიერი მარგარიტა ვალუასი, რომელმაც შეირთო ნავარის მეფე, – ეს უკანასკნელი ამჟამად საფრანგეთში მეფობს ანრი IV-ის სახელწოდებით. თამაშობის მოთხოვნილება ამ მომხიბლავი პრინცესას ხასიათის საიდუმლოებას წარმოადგენდა; ამით აიხსნება მისი

ხშირი ჩხუბი და შერიგება ძმებთან თექვსმეტი წლის ასაკიდან მოყოლებული. მაგრამ რით შეიძლება ახალგაზრდა ქალიშვილმა ითამაშოს? იმით, რაც ყველაფერზე ძვირფასი აქვს: თავისი რეპუტაციით და თავისი სიცოცხლის ღირსებით.

შარლ IX-ის უკანონო ვაჟის, ანგულემის დუკას მემუარები.

«ჟიულიენსა და ჩემს შორის არც ხელმოწერილი კონტრაქტი არსებობს, არც ნოტარიუსი; ყოველივე გმირულია, ყოველივე შემთხვევაზე იქნება დამოკიდებული. თუ მხედველობაში არ მივიღებთ კეთილშობილებას, რომელიც მას აკლია, ეს იგივე მარგარიტა ვალუას სიყვარულია თავის დროის ყველაზე შესანიშნავი კაცისა, ახალგაზრდა ლამოლისადმი. ეს ხომ ჩემი ბრალი არაა, რომ ახალგაზრდა კარისკაცები ასეთი დიდი მომხრეები არიან წესიერებისა და ფერი მისდით ოდნავ სახიფათო თავგადასავალის გაგონებაზე? პატარა მოგზაურობა საბერძნეთსა ან აფრიკაში მათ უკიდურეს ვაჟკაცობად მიაჩნიათ, და ისიც ასეთ მოგზაურობას ჯგუფად ახდენენ. თუ მარტო დარჩნენ, თავგზა ეკარგებათ, არა ბედუინის შუბის შიშით, არამედ სასაცილოდ გახდომის შიშით, და ეს გარემოება მათ ჭკუაზე აცდენს. ჩემს პატარა ჟიულიენს, პირიქით, მარტოდმარტო მოქმედება უყვარს. ამ პრივილეგიურ არსებას არასოდეს თავში აზრად არ მოუვა სხვას სთხოვოს დახმარება! მას ეზიზღება სხვები, ამიტომ არ შემიძლია იგი შევიზიზღო. თუ გარდა იმისა, რომ ჟიულიენი ღარიბია, იგი აზნაურიც ყოფილიყო, ჩემი სიყვარული ვულგარული სისულელე, უგუნური მეზალიანსი* იქნებოდა. და უარს ვიტყოდი მასზე; მას არ ექნებოდა ის, რაც დიდ გულისთქმას ახასიათებს: უზარმაზარი სიძნელე, რომელიც ძლეულ უნდა იქნას, და მომავლის პირქუში შეუცნობლობა».

მატილდა დე ლამოლი ისე გაიტაცა ამ მშვენიერმა მსჯელობამ, რომ მეორე დღეს შეუგნებლად ჟიულიენის ქება დაიწყო მარკიზ დე კრუაზენუასა და თავის ძმასთან. მისი მჭევრმეტყველება ისე შორს წავიდა, რომ შეურაცხყოფა მიაყენა მათ.

_ გაუფრთხილდი ამ ყმაწვილ კაცს, რომელსაც ამდენი ძალა აქვს, _ წამოიძახა მისმა ძმამ, _ თუ რევოლუცია განმეორდა, იგი ყველას გილიოტინაზე გაგვისტუმრებს.

ქალმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ მარკიზი და თავისი ძმა სასაცილოდ აიგდო იმის გამო, რომ ძალა ასე აშინებდათ; არსებითად ეს იყო შიში მოულოდნელობის წინაშე, აქაოდა ანაზდეულად არაფერი მოგვივიდესო...

_ მუდამ, ბატონებო, მუდამ სასაცილოდ გახდომის შიში გაფრთოხობთ, ესაა საფრთხობელა, რომელიც საუბედუროდ, მოკვდა 1816 წელს.

«სასაცილო აღარაფერი დარჩენილა ქვეყანაში, სადაც ორი პარტია არსებობს», ამბობდა ბ. დე ლამოლი. მისმა ქალმა შეითვისა ეს იდეა.

_ ამრიგად, ბატონებო, _ უთხრა მატილდამ ჟიულიენის მტრებს, _ თქვენ მთელ სიცოცხლეს შიშში გაატარებთ, ხოლო ბოლოს გეტყვიან:

ეს მგელი კი არა, მხოლოდ მისი აჩრდილი იყო.

მატილდამ ისინი ჩქარა მიატოვა. ძმის სიტყვებმა იგი შეაძრწუნა; მაგრამ მეორე დღეს ეს სიტყვები უდიდეს ქებად ეჩვენა.

«ჩვენს საუკუნეში, როცა ყოველი ენერგია მოკვდა, ჟიულიენის ძალა მათ აშინებს. მე მინდა მას ჩემი ძმის სიტყვები გადავცე. ვნახოთ, რას მიპასუხებს. მაგრამ ისეთ წუთს ამოვირჩევ, როცა თვალები უბრწყინავს. მაშინ ტყუილს ვერ მეტყვის. ნუთუ იგი დანტონია? _ დაუმატა ქალმა ხანგრძლივი და გაურკვეველი ფიქრის შემდეგ _ მართლაც, თუ ხელახლა რევოლუცია მოხდა, რა როლს ითამაშებენ კრუაზენუა და ჩემი ძმა? ეს წინდაწინვე ცნობილია: სრულ მორჩილებას გამოიჩენენ. გმირ ცხვრებად გადაიქცევიან და ყელებს გამოაჭრევინებენ უსიტყვოდ. ერთადერთი საზრუნავი ის ექნებათ, გემოვნების უქონლობა არ დაგვწამონ სიკვდილის წინო. ჩემი პატარა ჟიულიენი კი ტყვიას მიაკერებს იაკობინელს, რომელიც მის დასაჭერად მოვა. ოღონდ გადარჩენის ცოტაოდენი იმედი ექნეს, იგი ცუდი ტონის გამომჟღავნებას არ შეუშინდება».

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ქალი ჩააფიქრა, იმიტომ რომ მასში მძიმე მოგონებანი გამოიწვია, რომელნიც მას გამბედაობას ართმევდნენ. მას გაახსენდა დე კაიუსის, დე კრუაზენუას, დე ლიუზისა და თავისი ძმის ხუმრობა. ეს ყმაწვილები ჟიულიენს ერთხმად დასცინოდნენ ხუცესის გარეგნობისთვის: მეტად თავმდაბალი და ფარისეველი სახე აქვსო.

_ მაგრამ, _ წამოიძახა მან უცებ სიხარულით გაბრწყინებული თვალებით, _ თვით ისინი თავიანთი მწარე და დაუსრულებელი დაცინვით ამტკიცებენ, რომ ჟულიენი ყველაზე მნიშვნელოვანი კაცია, რომელიც ამ ზამთარში ტრიალებდა ჩვენს საზოგადოებაში. რა უშავს, რომ ნაკლი და სასაცილო მხარეები აქვს? მას სიდიადეც აქვს და ესაა, რომ მათ აღიზიანებს, მათი გულკეთილობისა და შემწყნარებლობის მიუხედავად. მართალია, ღარიბია და სამღვდელოდ ემზადებოდა; ისინი ესკადრონის უფროსები არიან

და სწავლა არ სჭირდებათ; ეს უფრო ადვილი საქმეა. იმისდა მიუხედავად, რომ შავი ტანისამოსი აცვია და ხუცესის გარეგნობა აქვს, რომელიც მას სჭირდება, რათა შიმშილით არ მოკვდეს, მისი ღირსებები იმდენად დიდია, რომ მის მტრებს აშინებს; ეს დღესავით ნათელია. და ეს ხუცესის გარეგნობაც მაშინვე ქრება, როგორც კი ჩვენ მარტო ვრჩებით რამდენიმე წუთით. და როცა ამ ვაჟბატონებს ჰგონიათ, გონებამახვილი და ნატიფი რამე ვთქვითო, განა ისინი მაშინვე ჟიულიენისკენ არ იცქირებიან? ეს ძალიან კარგად შევამჩნიე. ამავე დროს იციან, რომ არასოდეს მათ არ გამოელაპარაკება, თუ თვით ისინი არ შეეკითხნენ. იგი მხოლოდ მე მომმართავს. მას სწამს, რომ მაღალი სულის პატრონი ვარ. მათ შეპასუხებას მხოლოდ იმდენად აქცევს ყურადღებას, რამდენადაც ამას ზრდილობა მოითხოვს. მაშინვე მოკრძალებულ ტონზე გადადის. ჩემთან მთელი საათობით კამათობს, მტკიცედ ვერ დგას თავის აზრზე, სანამ საპასუხოს ვპოულობ რასმე. მთელი ამ ზამთრის განმავლობაში ჩვენს შორის ზავი სუფევდა; იგი მხოლოდ თავისი სიტყვებით ცდილობდა ყურადღების მიქცევავს. მამაჩემი, ეს გამოჩენილი ადამიანი, რომელიც ზევით ასწევს ჩვენი ოჯახის სახელს, ჟიულიენს პატივისცემით ეპყრობა. ყველა დანარჩენს იგი სძულს, მაგრამ ზიზღით კი არავის ეზიზღება გარდა დედაჩემის მუზმუზელა მეგობრებისა.

გრაფი კაიუსი გულწრფელ თუ მოჩვენებით სივყარულს იჩენდა ცხენებისადმი; მთელ დღეს თავლაში ატარებდა, ხანდახან იქ საუზმობდა კიდეც. ამ დიდმა გულისთქმამ და იმ გარემოებამ, რომ იგი არასოდეს იცინოდა, მას დიდი პატივისცემა მოუპოვა მეგობრებს შორის: იგი არწივად ითვლებოდა თავის პატარა წრეში.

როგორც კი მეორე დღეს ეს წრე ქალბატონი დე ლამოლის სავარძლის უკან შეიკრიბა, ბ. დე კაიუსმა ისარგებლა იმით, რომ ჟიულიენი იქ არ იყო და კრუაზენუას და ნორბერის დახმარებით მარტილდას ცხარედ შეეკამათა იმის გამო, რომ იგი ასეთი კარგი აზრისა იყო ჟიულიენზე. ეს მოხდა უსაბაბოდ და მატილდას პირველ დანახვისთანავე. ქალმა გაიგო ამ იერიშის მიზანი და დიდად კმაყოფილი დარჩა.

«აი, ყველანი გაერთიანდნენ ერთი გენიოსი ადამიანის წინააღმდეგ, რომელსაც ათი ლუიდორი შემოსავალიც კი არა აქვს და მათთვის პასუხის გაცემა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეკითხებიან. იგი მათ აშინებს მიუხედავად თავისი შავი ტანისამოსისა. რა მოხდებოდა, ეპოლეტები რომ ჰქონოდა?»

არასოდეს მატილდას ასეთი გამჭრიახობა არ გამოუჩენია. კაიუსის და მისი მოკავშირეების პირველივე შემოტევა მან სარკაზმებით უკუაგდო. როცა ამ ბრწყინვალე ოფიცრების გონებამახვილობის ცეცხლი განელდა, ქალმა ბ. დე კაიუსს უთხრა:

_ ვთქვათ, ხვალ გამოაშკარავდა, რომ ჟიულიენი რომელიმე ფრანშკონტელი აზნაურის ნაბიჭვარია, და მამა მას თავის გვარსა და რამდენიმე ათას ფრანკ რენტას აძლევს; ექვსიოდე კვირის შემდეგ მას ისეთივე ულვაშები გაუჩნდება, როგორც თქვენ გაქვთ, ბატონებო; ხოლო ექვსიოდე თვის შემდეგ იგი ისეთივე ჰუსართა ოფიცერი იქნება, როგორც თქვენ ხართ, ბატონებო. მაშინ მისი ხასიათის სიდიადეში აღარაფერი იქნება სასაცილო. მე ვხედავ, ბატონო მომავალო დუკავ, რომ თქვენ მხოლოდ ერთი უხეირო შეპასუხება დაგრჩენიათ: კარის თავადაზნაურობა მაღლა დგას პროვინციის თავადაზნაურობაზეო. მაგრამ რას იტყვით, თუ ჟიულიენს მამად მივცემ ვინმე ესპანელ დუკას, რომელიც ბეზანსონში სამხედრო ტყვედ მოხვდა ნაპოლეონის დროს და შემდეგ სიკვდილის სარეცელზე სინდისის ქენჯნამ აიძულა ჟიულიენი თავის შვილად ეცნო?

ყველა ეს მოსაზრება უკანონო წარმოშობის შესახებ ცუდ ტონად ეჩვენა ბ. დე კაიუსს და ბ. დე კრუაზენუას. ამის მეტი არაფერი დაუნახავთ მატილდას მსჯელობაში.

თუმცა ნორბერი თავის დას ემორჩილებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელის სიტყვები ისეთი ნათელი იყო, რომ მან სერიოზული გამომეტყველება მიიღო, რაიცა, უნდა გამოვტყდეთ, ცუდად უდგებოდა მის მომღიმარე და კეთილ სახეს. მან გაბედა რამდენიმე სიტყვა ეთქვა.

_ ავად ხომ არა ხართ, ჩემო მეგობარო? _ ჰკითხა მას მატილდამ. _ ალბათ, ძლიერ ავად ხართ, თუ ხუმრობას მორალური დარიგებით უპასუხეთ. თქვენ და მორალი! პრეფექტის ადგილი ხომ არ გნებავთ?

მატილდას ჩქარა დაავიწყდა გრაფ კაიუსის შეურაცხყოფილი სახე, ნორბერის უგუნებობა და ბ. დე კრუაზენუას უსიტყვო სასოწარკვეთილება. მას, ასე თუ ისე, თავისი დამოკიდებულება უნდა გამოერკვია საბედისწერო იდეისადმი, მის სულს რომ დაუფლებოდა.

«ჟიულიენი საკმაოდ გულწრფელია ჩემთან, _ გაიფიქრა მან: _ მის ასაკში, განსაკუთრებით როცა ადამიანი მასავით უბედურია გასაოცარი პატივმოყვარეობის გამო, ბუნებრივია, მეგობრის ძიება. შეიძლება მე ვიყო ასეთი მეგობარი; მაგრამ მასში სიყვარულს ვერ ვხედავ. ისეთი გაბედულია, რომ ვყვარებოდი, მეტყოდა.“

ამ გაურკვევლობამ, ამ კამათმა თავის თავთან, სრულიად ჩანთქა მატილდა, მთელი მისი დრო დაიჭირა, მით უმეტეს, რომ ყოველთვის, როცა ჟიულიენი მას დაელაპარაკებოდა, ქალი ახალ საბუთებს პოულობდა საპასუხოდ; ამ გარემოებამ გააქარავა მოწყენილობა, რომელიც ხშირად ტანჯავდა მას.

მატილდა დე ლამოლს «გულიწმინდის მონასტერში» მეტისმეტად ეფერებოდნენ, როგორც ჭკვიანი ადამიანის ქალიშვილს, რომელიც შეიძლებოდა ერთ მშვენიერ დღეს მინისტრი გამხდარიყო და სამღვდელოებისთვის მისი ტყეები დაებრუნებია.* ეს უბედურება არასოდეს არ გამოსწორდება. იგი დაარწმუნეს, რომ კეთილშობილებისა, სიმდიდრისა და სხვა უპირატესობათა წყალობით შენ უფრო ბედნიერი უნდა იყო, ვიდრე სხვებიო. აი, წყარო ბატონიშვილების მოწყენილობისა და სხვადასხვაგვარი სიგიჟისა.

მატილდა ვერ გადაურჩა ამ იდეის დამღუპველ გავლენას. რა ჭკვიანიც უნდა იყოს ადამიანი, ათი წლისა იგი თავს ვერ დაიცავს მთელი მონასტრის პირფერობისაგან, რომელიც ამას გარდა, თითქო კარგადაა დასაბუთებული.

მატილდამ მოწყენილობა დასძლია იმ წუთიდან, როცა გადაწყვიტა, რომ ჟიულიენი უყვარდა. ყოველდღე თავს ულოცავდა, რომ გადაწყვიტა დიდ ვნებათა ღელვაში გადავარდნილიყო. «ამ გატაცებას ბევრი ხიფათი მოსდევს, _ ფიქრობდა იგი: _ მით უკეთესი, ათასჯერ უკეთესი! რადგან ამ დიდ ვნებათა ღელვას არ ვიცნობდი, მე მოწყენილი ვიყავი ჩემი ცხოვრების საუკეთესო ხანაში, თექვსმეტიდან ოც წლამდე. საუკეთესო წლები დავკარგე; ყოველივე გართობის მაგივრად იძულებული ვიყავი დედაჩემის მეგობრების სისულელეები მომესმინა, ისინი კი 1792 წელს კობლენცში,* მგონია, სრულიადაც ისეთი მკაცრი არ უნდა ყოფილიყვნენ, როგორც დღეს მათი სიტყვებია».

სწორედ ამ დიდი ყოყმანის დროს, რომელიც ასე აღელვებდა მატილდას, ჟიულიენს აკვირვებდა მისი ხანგრძლივი შეხედვა. მან შეამჩნია, რომ გრაფი ნორბერი მას უფრო ცივად ეპყრობოდა, ხოლო დე კაიუსი, დე ლიუზი და დე კრუაზენუა უფრო ქედმაღალი გახდნენ. მაგრამ იგი ამას შეეჩვია. ასეთი უბედურება ეწვეოდა ისეთი საღამოების შემდეგ, როცა იგი მეტ ბრწყინვალებას იჩენდა, ვიდრე მის მდგომარეობას შეეფერებოდა. მატილდა რომ ასეთი თავაზიანი არ ყოფილიყო მისადმი, მთელს ამ საზოგადოებას ცნობისმოყვარეობა რომ არ გაეღვიძებია მასში, იგი ამ ულვაშებიან ბრწყინვალე ახალგაზრდებს თან არ გაჰყვებოდა, როცა ისინი ნასადილევს მატილდას მისდევდნენ ბაღში.

«დიახ, ამის დამალვა შეუძლებელია, მატილდა დე ლამოლი რაღაც უცნაურად მიცქერის, _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ მაგრამ თვით მაშინაც კი, როცა მისი მშვენიერი ლურჯი თვალები ძალდაუტანებლად მიცქერიან, მე მათ სიღრმეში გამოცდასა,

გულგრილობასა და სიბოროტეს ვკითხულობ. ნუთუ ეს სიყვარულია? რა განსხვავებაა მის და ქალბატონ დე რენალის გამოხედვას შორის?

ერთხელ, ნასადილევს, ჟიულიენმა ბ. დე ლამოლი გააცილა კაბინეტამდე და საჩქაროდ უკან დაბრუნდა ბაღში. როცა ანაზდეულად მატილდას ჯგუფს უახლოვდებოდა, რამდენიმე მაღლად წარმოთქმული სიტყვა გაიგონა. ქალი თავის ძმას აღიზიანებდა. ჟიულიენმა ცხადად გაიგონა, რომ ორჯერ მისი სახელი წარმოთქვეს. მის გამოჩენისთანავე უცებ ღრმა დუმილი დამყარდა და მოსაუბრენი ამაოდ შეეცადნენ მის დარღვევას. მატილდა და მისი ძმა მეტად აღელვებულნი იყვნენ და ძალა არ შესწევდათ სხვა საგანი ეპოვათ საუბრისათვის. დე კაიუსი, დე კრუაზენუა, დე ლუიზი და კიდევ ერთი მათი მეგობარი ყინულივით ცივი ეჩვენენ ჟიულიენს. იგი მათ გაშორდა.

XIII

შეთქმულება

> დაულაგებელი საუბარი და შემთხვევითი შეხვედრები აშკარა საბუთად იქცევიან ფანტაზიით აღჭურვილი ადამიანის თვალში, თუ მას გულში ცეცხლი უღვივის.
>
> **შილერი.**

მეორე დღეს ხელახლა მოუსწრო ნორბერსა და მის დას, როცა ისინი მასზე ლაპარაკობდნენ. მის მიახლოებისთანავე დადუმდნენ გუშინდელივით. ჟულიენი უსაზღვრო ეჭვებმა მოიცვა. «ეს მშვენიერი ახალგაზრდები ხომ არ შეთანხმდნენ, რომ სასაცილოდ ამიგდონ? უნდა გამოვტყდე, რომ ეს ბევრად უფრო ჭკუსათან ახლოა, ბევრად უფრო ბუნებრივია, ვიდრე იმის წარმოდგენა, რომ მატილდა დე ლამოლს ბეჩავი მდივანი უყვარს. ჯერ ერთი, განა ამ ადამიანებს რაიმე ვნებათა ღელვანი აქვთ? მათი ძალა მისტიფიკაციაშია. მათ შურთ, რომ ვჯობნი ლაპარაკში. შურიც მათი ერთი სუსტი მხარეა. ყოველივე ადვილად აიხსნება ამ სისტემაში. მატილდა დე ლამოლს სურს დამარწმუნოს, რომ მათ შორის მე მარჩევს, მაგრამ ამას იმისათვის შვრება, რომ სასაცილოდ ამიგდოს თავისი საქმროს დასანახავად.».

ამ სასტიკმა ეჭვმა სრულიად შეცვალა ჟიულიენის ზნეობრივი პოზიცია. ამ იდეას მის გულში დახვდა სიყვარულის ჩანასახი, რომელიც ადვილად განადგურდა. ეს სიყვარული დაფძნებული იყო მატილდას იშვიათ სილამაზეზე, ან უკეთ ვთქვათ, მის მეფურ მიხრა-მოხრასა და საუცხოო ტანისამოსზე. ამ საკითხებში ჟიულიენი ჯერ კიდევ გამოუცდელი იყო. როგორც ამბობენ, ჭკვიან გლეხს, როცა იგი ზედა საზოგადოებრივ საფეხურზე ადის, ყველაზე მეტად მაღალი წრის ქალი აკვირვებს. ჟიულიენს მატილდას ხასიათი როდი აღძრავდა საოცნებოდ. მას იმდენი ჭკუა კი ჰქონდა, რომ ეღიარებინა, არ მესმის მისი ხასიათიო. ყოველივე, რასაც ხედავდა, შეიძლებოდა მხოლოდ მოჩვენება ყოფილიყო.

მაგალითად, მატილდა არაფრის გულისთვის წირვას არ დააკლდებოდა კვირა დღეს; თითქმის ყოველდღე დედას ახლდა ეკლესიაში. თუ დე ლამოლის სასახლეში ვინმე თავის თავს ნებას მისცემდა გაუფრთხილებლად ხუმრობა დაეწყო ტახტისა თუ ეკლესიის ნამდვილი ან წარმოდგენილი ინტერესების წინააღმდეგ, მატილდა მაშინვე ყინულივით ცივსა და სერიოზულ გამომეტყველებას ღებულობდა. მისი გამოხედვა, რომელიც ყოველთვის ასეთი მახვილი და გამგმირავი იყო, ისეთივე ზვიადი და უგრძნობი ხდებოდა, როგორიც ამ ოჯახის ძველი პორტრეტების გამოხედვა იყო.

ამავე დროს ჟიულიენმა იცოდა, რომ ამ ქალს თავის ოთახში მუდამ ედო ვოლტერის ორიოდე ფილოსოფიური ტომი. თვითონაც ხშირად იპარავდა ამ მშვენივრად გამოცემული და შეკინძული თხზულებების ამა თუ იმ ტომს. მან შეამჩნია, რომ კიდევ ვიღაც სხვა კითხულობდა ვოლტერს. სემინარიელის ეშმაკობას მიმართა და ძუით გადააბა წიგნები, რომელთაც, მისი აზრით, ყველაზე მეტად უნდა დაეინტერესებია მატილდა დე ლამოლი. ეს წიგნები თაროდან ქრებოდა მთელი კვირეების განმავლობაში.

ბ. დე ლამოლი გაჯავრდა წიგნების გამყიდველზე, რომელიც მხოლოდ ყალბ მემუარებს აწვდიდა და ჟიულიენს დაავალა, ყველა ოდნავ პიკანტური ახალი გამოცემა მიყიდეო. მაგრამ რათა ეს შხამი ოჯახში არ გავრცელებულიყო, მარკიზმა ჟიულიენს უბრძანა, ეს წიგნები იმ პატარა კარადაში მოათავსე, რომელიც ჩემს ოთახში დგასო. ჟიულიენი ჩქარა დარწმუნდა, რომ აქედანაც ქრებოდა ახალი წიგნები, რომელნიც ოდნავ მაინც ეწინააღმდეგებოდნენ ტახტისა და ეკლესიის ინტერესებს და, რასაკვირველია, ნორბერი არ იყო მათი მკითხველი.

ჟიულიენი აზვიადებდა ამ ფაქტების მნიშვნელობას და მატილდა დე ლამოლს მაკიაველისებურ ორპირობას აწერდა. ეს მუხანათობა მას მომხიბლავად ეჩვენებოდა, ეს

თითქმის ერთადერთი მომხიბლავი ზნეობრივი თვისება იყო, რომელიც ამ ქალს ჰქონდა მისი აზრით. ჟიულიენს ფარისევლობა და სათნოებაზე ლაპარაკი ისე მოსწყინდა, რომ ამ უკიდურესობაში გადავარდა.

ეს ვაჟი უფრო აღიზიანებდა თავის ფანტაზიას, ვიდრე გატაცებული იყო თავისი სიყვარულით. მას მხოლოდ ხანგრძლივი ოცნების შემდეგ შეუყვარდა მატილდა დე ლამოლის ტანის სინარნარე, მისი ტანისამოსის გემოვნებით შერჩევა, მისი მკლავების სილამაზე, ყოველი მისი მოძრაობის ძალდაუტანებლობა. მაშინ, თვითმოხიბვლის დასამთავრებლად, იგი ეკატერინე მედიჩად წარმოიდგინა და უძიროდ ღრმა და უსაზღვროდ მუხანათური ხასიათით აღჭურვა. ეს იყო მასლონების, ფრილერებისა და კასტანედების იდეალი, რომლითაც იგი აღტაცებული იყო სიჭაბუკის ჟამს. ერთი სიტყვით, ეს ქალი მის თვალში პარიზის იდეალის განხორციელება იყო.

მაგრამ განა სასაცილო არაა იმის ფიქრი, რომ პარიზელ ადამიანს ღრმა და მუხანათური ხასიათი აქვსო?

«შესაძლებელია, ეს ტრიო დამცინოდეს», _ ფიქრობდა ჟიულიენი. ადვილი წარმოსადგენია, რა ბნელ და ცივ გამომეტყველებას ღებულობდა მისი თვალები, როცა მატილდას თვალებს ხვდებოდა. როცა გაოცებულმა მატილდამ გაბედა და ორჯერ თუ სამჯერ მეგობრობაზე ჩამოუგდო ლაპარაკი, ჟიულიენი მას მწარე დაცინვით გაუმასპინძლდა.

ახალგაზრდა ქალი შეურაცხყო ამ მოულოდნელმა ახირებულობამ, და მისი გული, როგორც ჩვეულებრივ ცივი და მოწყენილი იყო და მხოლოდ გონებით მოქმედებდა, უჩვეულო ვნებათა ღელვით აინთო; მაგრამ რადგან მატილდა ძალიან ამაყი იყო, იგი მძიმე სევდას განიცდიდა ისეთი გრძნობის ჩასახვის გამო, რომელიც მის ბედნიერებას სხვისგან დამოკიდებულს ხდიდა.

ჟიულიენმა ისე კარგად გამოიყენა პარიზში ყოფნა, რომ მაშინვე მიხვდა, ეს მოწყენილი ადამიანის მშრალი სევდა არ არისო. ქალი წინანდებურად დახარბებული არ იყო საღამოებს, წარმოდგენებსა და ყოველგვარ გასართობებს, პირიქით, გაურბოდა მათ.

მატილდა ყოველთვის მოწყენილი იყო, როცა ფრანგების სიმღერას ისმენდა, ამისდა მიუხედავად, ჟიულიენმა, რომელიც ხშირად ესწრებოდა ოპერის უკანასკნელ აქტს, შეამჩნია, რომ ქალმაც მოუხშირა იქ სიარულს. მან ისიც შეამჩნია, რომ მატილდამ, ცოტა არ იყოს, დაკარგა თავისი ჩვეულებრივი ზომიერება და შეურაცხმყოფელი ხუმრობით უმასპინძლდებოდა თავის მეგობრებს, განსაკუთრებით მარკიზ დე კრუაზენუას

აპამპულავებდა. «ალბათ, ამ ახალგაზრდა კაცს გაგიჟებით უყვარს ფული, რომ ამ მდიდარ ქალს ვერ ელევა», _ ფიქრობდა ჟიულიენი. იგი აღშფოთებული იყო მამაკაცის ღირსების შეურაცხყოფით და კიდევ მეტი გულგრილობით ეპყრობოდა ქალს. ხანდახან ზოგიერთი მისი შეპასუხება უზრდელიც კი იყო.

ნელ-ნელა ჟიულიენს თვალები აეხილა; თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა ყურადღება არ მიექცია მატილდას მიერ გამომჟღავნებული მეგობრობისადმი, მაგრამ ეს მეგობრობა იმდენად ცხადი გახდა, ხოლო თვით ქალი იმდენად ლამაზი ეჩვენებოდა, რომ ხანდახან შეშფოთებას გრძნობდა.

«ამ ახალგაზრდა დარდიმანდების მოხერხება და მოთმინება ბოლოს აჯობებს ჩემს გამოუცდელობას, _ ფიქრობდა იგი: _ აქედან უნდა წავიდე და ყოველივე ამას ბოლო მოვუღო».

მარკიზმა ჟიულიენს რამდენიმე პატარა მამულის და სახლის მართვა-გამგეობა დააკისრა ქვემო ლანგედოკში. იქ გამგზავრება აუცილებელი გახდა; ბ. დე ლამოლი ამას გაჭირვებით დაეთანხმა: ჟიულიენი მისი ნაცვალი გახდა ყოველ საქმეში, გარდა ისეთისა, რომელიც მის პატივმოყვარეობას ეხებოდა.

«ბოლოს და ბოლოს, მაინც ვერ დამიჭირეს, _ ფიქრობდა ჟიულიენი, როცა სამოგზაუროდ ემზადებოდა. _ არ ვიცი, გულწრფელად დასცინოდა მატილდა დე ლამოლი ამ ვაჟბატონებს, თუ მას მხოლოდ ჩემი ნდობის მოპოვება სურდა, ასეა თუ ისე, მე კარგად გავერთე. თუ დურგლის შვილის წინააღმდეგ შეთქმულება არ არსებობს, მატილდა დე ლამოლის ქცევა გაუგებარია; მაგრამ გაუგებარია მარკიზ კრუაზენუასთვის ისევე, როგორც ჩემთვის. მაგალითად, გუშინ მისი უგუნებობა სრულიად გასაგები იყო, და მე დიდად ვისიამოვნე, როცა ჩემი გულისთვის მოდრიკეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც იმდენადვე მდიდარი და კეთილშობილია, რამდენადაც მე ღატაკი და პლებეი ვარ. აი, ჩემი უდიდესი გამარჯვება; ეს მე გამართობს კიდეც დილიჟანსში, რომელიც ლანგედოკის ველებს გადასერავს».

ჟიულიენი მალავდა თავისი მოგზაურობის ამბავს, მაგრამ მატილდამ კარგად იცოდა, რომ იგი ხვალ დიდი ხნით ტოვებდა პარიზს. ქალმა საშინელი თავის ტკივილი მოიმიზეზა, რასაც, მისი სიტყვით, სალონის შეხუთული ჰაერი აძლიერებდა. მან დიდხანს ისეირნა ბაღში და ისეთი გესლიანი დაცინვით გაუმასპინძლდა ნორბერს, მარკიზ დე კრუაზენუას, კაიუსს, დე ლიუზს და რამდნიმე სხვა ახალგაზრდა კაცს, რომელთაც დე

ლამოლის სასახლეში ისადილეს, რომ აიძულა მალე წასულიყვნენ. ჟიულიენს უცნაურად უცქეროდა.

«შეიძლება ეს შეხედვა მხოლოდ კომედია იყოს, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ მაგრამ რას ნიშნავს მისი აჩქარებული სუნთქვა და შეშფოთება? ვაჰ, მე ვინ ვარ, რომ ასეთი რამეები განვსაჯო? აქ საქმე ეხება ისეთ რამეებს, რაც ყველაზე მეტად მომხიბლავი და ფაქიზია პარიზელ ქალებში. ეს აჩქარებული სუნთქვა, რომელმაც კინაღამ გული ამიჩუყა, ალბათ, თავისი საყვარელი მსახიობი ქალისაგან, ლეონტინა ფესაგან* გადმოიღო».

ქალ-ვაჟი მარტო დარჩა; საუბარი არ იბმებოდა. «არა, ჟიულიენი არაფერს გრძნობს ჩემს მიმართ», _ ფიქრობდა მატილდა გულწრფელი მწუხარებით.

როცა ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ, ქალმა ვაჟს მაგრად მოუჭირა ხელი:

_ თქვენ ჩემგან წერილს მიიღებთ ამ საღამოს, _ ჩაილაპარაკა მან ისეთი შეცვლილი ხმით, რომ შეუძლებელი იყო მისი ცნობა.

ამ გარემოებამ გული აუჩუყა ჟიულიენს.

_ მამაჩემი, _ განაგრძო ქალმა, _ მართებული პატივისცემით ეპყრობა თქვენ მიერ გაწეულ სამსახურს. ხვალ არ უნდა წახვიდეთ; მოიგონეთ რაიმე საბაბი. _ ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ქალი გაიქცა.

მისი წელი მომხიბლავი იყო. შეუძლებელი იყო უფრო ლამაზი ფეხის ქონა; იგი ისე მოხდენილად გარბოდა, რომ ჟიულიენი აღტაცებული დარჩა. მაგრამ ვინ გამოიცნობს, რას ფიქრობდა ვაჟი, როცა ქალი თვალს მიეფარა? იგი შეურაცხყოფილი იყო იმ მბრძანებლური ტონით, რომლითაც მან თქვა, არ უნდა წახვიდეთო. ლუი XV სიკვდილის წინ შეურაცხყო ამავე სიტყვამ, მისმა მთავარმა ექიმმა რომ შეკადრა; ლუი XV კი მეტიჩარა ვინმე არ ყოფილა.

ერთი საათის შემდეგ ლაქიამ წერილი გადასცა ჟიულიენს _ ეს უბრალოდ სიყვარულის გამოცხადება იყო და მეტი არაფერი.

«მის სტილს მაინცადამაინც არაბუნებრიობა არ ეტყობა», _ გაიფიქრა ჟიულიენმა, რომელიც შეეცადა ლიტერატურული შენიშვნებით დაეფარა თავისი დიდი სიხარული, ეს სიხარული მასში მისდაუნებურად სიცილის მოთხოვნილებას იწვევდა.

_ მაშასადამე, _ წამოიძახა მან ფიცხლად, იმიტომ რომ ვეღარ შეიკავა ძლიერი მღელვარება, _ მე საწყალმა გლეხმა სიყვარულის განცხადება მივიღე კეთილშობილი ქალისაგან! მე კი თავი კარგად მეჭირა, _ დაუმატა მან და შეეცადა რამდენადაც შეეძლო

სიხარული შეეკავებია. _ შევძელი საკუთარი ღირსების დაცვა, კრინტიც არ დამიძრავს სიყვარულზე.

იგი შეუდგა წერილის ასოების ფორმის შესწავლას; მატილდა დე ლამოლს ლამაზი და წვრილი ინგლისური ხელი ჰქონდა. ჟიულიენს ფიზიკური საქმიანობა სჭიროდა, რათა გაეფანტა სიხარული, რომელსაც სიგიჟემდე მიჰყავდა.

«თქვენი გამგზავრება მაიძულებს გამოგიტყდეთ... მე არ ძალმიძს თქვენი განშორება ავიტანო».

ერთმა აზრმა თავში გაუელვა ჟიულიენს, შეაწყვეტინა მატილდას წერილის კითხვა და გაუორკეცა სიხარული.

_ მე გავიმარჯვე მარკიზ დე კრუაზენუაზე, _ წამოიძახა მან, _ თუმცა მხოლოდ სერიოზულ საგნებზე ვლაპარაკობდი! ეს ყმაწვილი კი ასეთი ლამაზია! მას ულვაშები აქვს, მშვენიერი ფორმის ტანისამოსი აცვია; სათანადო წუთს ყოველთვის მოსწრებულ სიტყვას პოულობს.

ჟიულიენი უბედნიერეს წუთებს განიცდიდა; ბაღში დახეტიალობდა, გონდაკარგული იყო ბედნიერებისაგან.

მოგვიანებით თავის ბიუროში შევიდა და მიღება სთხოვა მარკიზს, რომელიც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ გარეთ არ გასულიყო. ჟიულიენმა მას ნორმანდიიდან მიღებული ქაღალდები უჩვენა და ადვილად დაუმტკიცა, რომ ნორმანდიაში წარმოებული პროცესები აიძულებდა ლანგედოკში გამგზავრება გადაედო.

_ დიდად კმაყოფილი ვარ, რომ არ მიემგზავრებით, _ უთხრა მას მარკიზმა, როცა საქმეებზე საუბარი გაათავეს, _ მე მიყვარს თქვენთან შეხვედრა.

ჟიულიენი გავიდა. ამ სიტყვებმა იგი, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა.

«მე კი მისი ქალიშვილის შეცდენას ვაპირებ; ეს, ალბათ, შეუძლებლად გახდის მის დაქორწინებას მარკიზ დე კრუაზენუასთან, რაც მას ასე სასურველად მიაჩნდა. თუ თვით მას დუკას წოდებას არ მისცემდნენ, მისი ქალი ტაბურეტს მაინც მიიღებდა».*

ჟიულიენმა გაიფიქრა ლანგედოკში გამგზავრებულიყო მატილდას წერილისა და მარკიზთან მოლაპარაკების მიუხედავად. მაგრამ სათნოების ეს გაელვება წუთიერი იყო.

«რა გულკეთილი ვყოფილვარ, _ გაიფიქრა მან, _ თუ მე პლებეის ასეთი ოჯახი მეცოდება! მე, რომელსაც შოლნის დუკა შინამოსამსახურეს მიწოდებს! როგორ ზრდის მარკიზი თავის უზარმაზარ სიმდიდრეს? იგი ჰყიდის რენტას, როცა სასახლეში ტყობილობს, ხვალ რაღაც სახელმწიფოებრივი გადატრიალების მსგავსი მოხდებაო. მე კი

განგებამ დედინაცვლობა გამიწია და საზოგადოების უკანასკნელ რიგში გადამისროლა, კეთილშობილ გულთან ერთად ათასი ფრანკის შემოსავალიც კი არ მომცა, ე. ი. უარი მითხრა ლუკმა-პურზე, დიახ, სწორედ ლუკმა-პურზე! და აი, ანკარა წყაროს ვხედავ, რომელშიც გაჭირვებით მივაბიჯებ! არა, ასეთი უჭკუო როდი ვარ, დაე, ყველამ თავისთვის იზრუნოს ამ ეგოიზმის უდაბნოში, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან».

და მას გაახსენდა რამდენიმე ზიზღით აღსავსე შეხედვა, რომლითაც იგი დააჯილდოვეს ქალბატონმა დე ლამოლმა და განსაკუთრებით მისმა მეგობარმა მანდილოსნებმა.

ის აზრი, რომ მარკიზ დე კრუაზენუა დაამარცხა, იმდენ სიამოვნებას ანიჭებდა, რომ დიდხანს ვეღარ ჩერდებოდა სათნეობის იდეაზე.

«ძალიან კი მინდა, რომ წამეჩხუბებოდეს! _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ მარჯვედ ჩავცემდი მახვილს». და მან ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქო თავს იცავდა ფარიკაობაში. «დღემდე გაუთლელი პედანტი ვიყავი, რომელიც სულმდაბლად იყენებს მცირეოდენ გამბედაობას. ამ წერილის მიღების შემდეგ მისი თანასწორი ვარ».

_ ჰო, _ ჩაილაპარაკა მან თავისთვის ნელა და უსაზღვრო სიამოვნებით, _ მარკიზ დე კრუაზენუას და ჩემი ღირსებანი ავწონ-დავწონე და იურას მთების საწყალმა დურგალმა გაიმარჯვა. ძალიან კარგი, _ წამოიძახა მან, _ მე მოვიფიქრე, როგორ მოვაწერო ჩემს პასუხს. ნუ წარმოიდგენთ ქალბატონო მატილდა დე ლამოლ, რომ მე დამავიწყდა ჩემი მდგომარეობა. მე თქვენ გაგაგებინებთ და გაგრძნობინებთ, რომ თქვენ დურგლის შვილის გულისთვის ღალატობთ იმ ცნობილ გუი დე კრუაზენუას ჩამომავალს, რომელიც წმინდა ლუის* გაყვა ჯვაროსანთა ომებში.

ჟიულიენი ვეღარ ფარავდა სიხარულს. იძულებული გახდა, ბაღში ჩასულიყო. ოთახი, სადაც იგი გასაღებით იყო ჩაკეტილი, იმდენად ვიწრო ეჩვენებოდა, რომ სუნთქვას უხუთავდა.

_ მე საბრალო იურას მთების გლეხი ვარ, _ იმეორებდა იგი განუწყვეტლივ, _ განწირული ვარ, მუდამ ეს შავი სამგლოვიარო ტანისამოსი ვატარო! მახლას, ოცი წლის წინათ სამხედრო ტანისამოსი მეცმებოდა მათსავით! მაშინ ჩემისთანა ადამიანს ან კლავდნენ, ანდა ის გენერლის ხარისხს ღებულობდა ოცდათექვსმეტი წლის ასაკში. _ წერილი, რომელიც ხელში ეჭირა, მას თითქო გმირის ახოვანობასა და მიხრა-მოხრას ანიჭებდა. _ დღეს კი, მართალია, ამ შავი ტანისამოსით შეიძლება კაცმა ორმოცი წლის ასაკში ასი ათასი ფრანკი ჯამაგირი და ლურჯი ლენტი მიიღოს ბოვეს ეპისკოპოსივით. რა

ვუყოთ, _ ჩაილაპარაკა მან მეფისტოფელის ღიმილით, _ მე მათზე უფრო ჭკვიანი ვარ, მე ჩემი ეპოქის შესაფერი ფორმის ტანისამოსი ავირჩიე.

და მან იგრძნო, რომ მისი პატივმოყვარეობა და მისი სიყვარული საეკლესიო ტანისამოსისადმი გაორკეცდა. «რამდენი კარდინალი გამოსულა ჩემზე უფრო დაბალი წრიდან და მაინც უმაღლესი ხელისუფლებისათვის მიუღწევია. თუნდაც ჩემი თანამემამულე გრანველი* გავიხსენოთ».

ნელ-ნელა ჟიულიენს მღელვარება გაუნელდა; კეთილგონიერებამ თავისი გაიტანა. მან გაიმეორა ტარტიუფის სიტყვები, რომელიც ზეპირად იცოდა: «მე შემიძლია ეს სიტყვები დაცინვად მივიღო. მე არ ვერწმუნები ასეთ ტკბილ სიტყვებს, სანამ თქვენი კეთილგანწყობილება ცხადად არ მომცემს იმ ნეტარებას, რომელსაც სიზმარში ვხედავ».

_ ტარტიუფიც ქალმა დაღუპა, იგი კი სხვებზე ნაკლები როდი იყო... ჩემი პასუხი შეიძლება სხვებს აჩვენონ... მაგრამ ამის წინააღმდეგ წამალს გამოვნახავ, _ დაუმატა მან წყნარად და თავდაჭერილი გააფთრებით: _ ჩემს წერილს მშვენიერი მატილდას მიერ მოწერილი წერილიდან ამოღებული უმჭევრმეტყველესი ფრაზებით დავიწყებ. ჰო, მაგრამ მარკიზ დე კრუაზენუას ოთხი ლაქია თავს დამესხმება და დედანს წამართმევს. არა, მე კარგად ვარ შეიარაღებული და, როგორც ცნობილია, ჩვეულებად მაქვს ლაქიებისთვის თოფის სროლა. მერე რა! ერთი მათგანი სხვებზე ვაჟკაცი აღმოჩნდება და მეცემა, თუ ასიოდე ოქრო აღუთქვეს. ან დავჭრი ან შემომაკვდება. ძალიან კარგი, მათაც სწორედ ეს უნდათ. სატუსაღოში ჩამსვამენ სრულიად კანონიერ საფუძველზე, შემდეგ გამასწორებელი პოლიციის სასამართლოს წინაშე წარვდგები, ხოლო იქიდან პუასიში გამგზავნიან, სადაც ოთხას მაწანწალასა და გარეწართან ამოვყოფ თავს. და ამის შემდეგ მე სიბრალული უნდა გამოვიჩინო ამ ადამიანებისადმი? _ წამოიძახა მან და ფეხზე წამოვარდა გააფთრებული: _ განა მათ რაიმე სიბრალული აქვთ მესამე წოდების ადამიანებისადმი, როცა ეს უკანასკნელნი ხელში ვარდებათ? _ ამ სიტყვებით მან საბოლოოდ ჩაახშო თავისი მადლობის გრძნობა მარკიზ დე ლამოლისადმი. ეს გრძნობა მისი ნებისყოფის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ტანჯავდა მას.

_ წყნარად, ბატონო აზნაურებო, მე მესმის თქვენი მაკიაველიზმი;* აბატი მასლონი ან ბ. კასტანედი უკეთესს ვერაფერს იქმოდნენ. თქვენ გინდათ, ეს პროვოკაციული წერილი მომტაცოთ, და მე მეორე კოლონელი კარონი ვიქნები.* ერთი წუთით მადროვეთ, ბატონებო; მე ამ საბედისწერო წერილს აბატ პირარს გავუგზავნი კარგად დაბეჭდილ

კონვერტში. იგი პატიოსანი კაცია, იანსენისტი და ამიტომ დაზღვეულია ფულის ცთუნებისაგან. ჰო, მაგრამ იგი წერილებს ხსნის... მაშ, ამ წერილს ფუკეს გავუგზავნი.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჟიულიენის გამოხედვა ამ წუთში შეუბრალებელი იყო, სახის გამომეტყველება საზიზღარი: მასზე დანაშაული იყო აღბეჭდილი. ეს იყო უბედური კაცი, რომელიც ომს უცხადებდა მთელს საზოგადოებას.

_ იარაღისკენ! _ წამოიძახა ჟიულიენმა. მან მკვირცხლად ჩაირბინა სასახლის კიბე და იქვე მახლობლად გადამწერლის დუქანში შეირბინა. მისმა სახემ დააშინა ეს უკანასკნელი. _ გადამიწერეთ, _ უთხრა მას ჟიულიენმა და მატილდა დე ლამოლის წერილი გადასცა.

სანამ მის დავალებას ასრულებდნენ, მან თვით წერილი მისწერა ფუკეს; სთხოვდა, შემინახე ეს ძვირფასი საბუთიო. «ჰო, მაგრამ _ გაიფიქრა მან და შეჩერდა, _ შავი კაბინეტი ფოსტაში გახსნის ჩემს წერილს და თქვენ გადმოგცემთ, რასაც ეძებთ... არა, ბატონებო!» იგი გარეთ გავიდა, უზარმაზარი ბიბლია იყიდა პროტესტანტულ წიგნის მაღაზიაში, მატილდას წერილი მარჯვედ დამალა ყდაში, საფოსტო ამანათი გააკეთა და დილიჟანსით ფუკეს ერთი მუშის სახელზე გაგზავნა, რომელიც არავის არ ჰქონდა გაგონილი.

ამ საქმის მოთავების შემდეგ ჟიულიენი დე ლამოლის სასახლეში დაბრუნდა მხიარული და გამხნევებული.

_ ახლა ვნახოთ! _ თქვა მან, თავის ოთახში გასაღებით ჩაიკეტა და სერთუკი გაიხადა.

«როგორ, ქალბატონო, _ სწერდა იგი მატილდას, _ მარკიზ დე ლამოლის ქალი თავისი მამის ლაქიის, არსენის ხელით მეტისმეტად მაცდურ წერილს უგზავნის საბრალო დურგალს, იურას მთებიდან ჩამოსულს, რათა სასაცილოდ აიგდოს მისი გულუბრყვილობა!..» და მან ყველაზე ნაკლებ ორაზროვანი წინადადებები ამოიწერა ახლა მიღებული წერილიდან.

მისი ეპისტოლე დიპლომატიური სიფრთხილის ნიმუშს წარმოადგენდა! საღამოს ათმა საათმა ჩამორეკა. ჟიულიენი იტალიურ ოპერაში წავიდა; შეზარხოშებული იყო ბედნიერებისა და ძლიერების გრძნობით, რაიც ესოდენ არაჩვეულებრივი გახლდათ ასეთი საწყალი კაცისათვის. იქ თავისი მეგობრის ჯერონიმოს სიმღერა მოისმინა. არასოდეს მუსიკას ასეთს აღტაცებაში არ მოუყვანია. თავს ღმერთად გრძნობდა.

XIV

ახალგაზრდა ქალის აზრები

> რამდენი ყოყმანი, რამდენი უძილო ღამე! ღმერთო ჩემო, ნუთუ თავს დავიმცირებ? თვით იგი შემიზიზღებს. მაგრამ აი იგი მიდის, იგი მშორდება.
>
> **ალფრედ დე მიუსე.**

მატილდამ შინაგანი ბრძოლა გადაიხადა წერილის წერის დროს. როგორიც უნდა ყოფილიყო მისი გრძნობის დასაწყისი, ჩქარა მან დასძლია ამპარტავნობა, რომელიც მუდამ მის სულში ბატონობდა მას შემდეგ, რაც თავი ახსოვდა. ეს მაღალი და ცივი სულის ქალი პირველად გაიტაცა ვნებიანმა გრძნობამ. თუმცა თავისი სიამაყე დასძლია, მაგრამ მაინც შენარჩუნებული ჰქონდა ზვიადი ხასიათი. ორი თვის ბრძოლამ და ახალმა შთაბეჭდილებებმა, ასე ვთქვათ, განაახლა მისი ზნეობა.

მატილდას ეგონა, ბედნიერებას ვხედავო. ამ რწმენას, რომელსაც ძალოვანი გავლენა აქვს გამბედავი სულისა და დიდი ჭკუის ადამიანებზე, დიდხანს მოუხდა ბრძოლა ამ ქალის საკუთარი ღირსების და ვულგარულ ვალდებულებათა გრძნობასთან. ერთხელ დილით, შვიდ საათზე თავის დედასთან შევიდა და სთხოვა, ნება დამრთე ვილკიეში გავემგზავროო. დედამ პასუხიც არ აღირსა და ურჩია, უკან დაბრუნდი და ლოგინში ჩაწექიო. ეს იყო უკანასკნელი მობრუნება ვულგარული სიბრძნისა და ტრადიციით მიღებული იდეებისკენ.

მატილდას არ აშინებდა ის აზრი, ცუდად ვიქცევი ან შეურაცხყოფას ვაყენებ იმას, რასაც წმიდათაწმიდად თვლიან კაიუსები, დე კლიუზები, კრუაზენუები. ეგონა, რომ ამ არსებათ არ შეეძლოთ მისი გაგება; მათ რჩევას ჰკითხავდა, საკითხი ეტლის ან მიწის ყიდვაზე რომ მდგარიყო. მას მხოლოდ ერთი რამ აშინება: ჟიულიენი უკმაყოფილო არ დარჩეს ჩემითო.

«შეიძლება იგი მხოლოდ გარეგნულად ჰგავს გამოჩენილ მამაკაცს?»

მატილდას სძულდა ხასიათის უქონლობა. ეს იყო ერთადერთი რამ, რაც მას სთიშავდა მის გარშემო თავმოყრილი მამაკაცებისაგან.

«ისინი მამაცები არიან, ესაა და ეს. მაგრამ რაში მდგომარეობს მათი სიმამაცე? უკან არ დაიხევენ დუელის წინაშე, მაგრამ დუელი ხომ უბრალო ცერემონიად იქცა. იქ ყველაფერი ცნობილია, ისიც კი, თუ რა უნდა ითქვას ძირს დაცემის დროს: როცა მოლზე ხარ გაწოლილი და გულზე ხელი გაქვს მიდებული, სულგრძელად უნდა აპატიო

მოწინააღმდეგეს, უკანასკნელი სალამი უნდა გაუგზავნო სატრფოს, რომელიც ხშირად მხოლოდ წარმოდგენაში არსებობს ან ისეთია, რომ საცეკვაო საღამოზე წავა შენი სიკვდილის დღეს, რათა თავიდან ყოველი ეჭვი აიცილოს. ისინი საფრთხეს არ ეპუებიან, როცა მეთაურობენ ესკადრონს, რომლის ფოლადის ჯავშანი მზეზე ელავს, მაგრამ ვინ იცის, რას იზამენ ერთპიროვნული, განცალკევებული, მოულოდნელი, ჭეშმარიტად მახინჯი საფრთხის წინაშე? მხოლოდ ანრი III-ის კარზე მოიპოვებოდნენ დიდი ადამიანები, როგორც ხასიათისა, ისე წარმოშობის მიხედვით! აჰ, ჟიულიენს რომ მონაწილეობა მიეღო ჟარნაკისა ან მონკონტურის* ბრძოლაში, არავითარი ეჭვი აღარ მექნებოდა მასზე. ამ მხნეობისა და ძლიერების ეპოქაში ფრანგები ტიკინები როდი იყვნენ. ყველაზე ნაკლები შეშფოთების დღე ბრძოლის დღე იყო.

მათი ცხოვრება ეგვიპტის მუმიასავით გახვეული როდი იყო არტახებში, რომელიც საერთოა ყველასათვის და ყველგან ერთი და იგივეა. დიახ, _ დაუმატა ქალმა, _ მაშინ ბევრად უფრო სახიფათო იყო ღამის თერთმეტ საათზე ეკატერინე მედიჩის სასახლიდან გასვლა, ვიდრე დღეს ალჟირში გამგზავრებაა. მამაკაცის სიცოცხლე შემთხვევებისგან შედგებოდა. დღეს ცივილიზაციამ შემთხვევა განდევნა, მოულოდნელობა აღარ არსებობს. რა უგუნურობაც უნდა ჩაგვადენიოს შიშმა, გვეპატიება. ესაა გადაგვარებული და მოსაწყენი საუკუნე! რას იტყოდა ბონიფას დე ლამოლი, საფლავიდან მოკვეთილი თავი რომ ამოეყო და დაენახა, 1793 წელს ჩვიდმეტმა მისმა ჩამომავალმა თავი როგორ დააჭერინა ცხვარივით, რათა ორი დღის შემდეგ გილიოტინაზე წასულიყვნენ? სიკვდილი აუცილებელი იყო, მაგრამ ცუდ ტონად ითვლებოდა თავის დაცვა ან ერთი თუ ორი იაკობინელის მოკვლა. აჰ, საფრანგეთის გმირულ ეპოქებში, ბონიფას დე ლამოლის საუკუნეში, ჟიულიენი ესკადრონის მეთაური იქნებოდა, ხოლო ჩემი ძმა _ წესიერი ახალგაზრდა მღვდელი ბრძნული თვალების გამომეტყველებით და გონიერი საუბრით».

რამდენიმე თვის წინათ მატილდას იმედი არ ჰქონდა, რომ იპოვიდა არსებას, რომელიც ოდნავ მაინც განსხვავებული იქნებოდა საზოგადო ნიმუშისაგან. იგი სიამოვნებას პოულობდა იმაში, რომ თავის თავს ნება მისცა მიწერ-მოწერა გაემართა თავისი საზოგადოების ზოგიერთ ახალგაზრდა კაცთან. ამ სითამამეს, ასეთ შეუფერებელს და უგუნურს ახალგაზრდა ქალისთვის, შეეძლო მისი რეპუტაცია დაეღუპა ბ. დე კრუაზენუასა, მისი მამის, შოლნის დუკასა და მთელი მათი ოჯახის თვალში. რაკი ეს ოჯახი დაინახავდა, რომ განზრახული ქორწინება ჩაიშალა, მოისურვებდა გაეგო, რად

მოხდა ეს. ამიტომ იმ დღეებში, როცა მატილდა ამ წერილებს წერდა, არ შეეძლო წყნარად დაძინება. მაგრამ ეს წერილები მხოლოდ პასუხს შეიცავდა.

ახლა მან გაბედა და პირველი გამოტყდა სიყვარულში. მან პირველმა (რა საშინელი სიტყვაა!) მისწერა მამაკაცს, რომელიც საზოგადოების უკანასკნელ საფეხურზე იდგა. ამ ამბის გამომჟღავნება მისი სამუდამო შერცხვენა იქნებოდა. ვინ იქნებოდა მისი დედის მეგობარ ქალებში ისეთი, რომელიც მას დაიცავდა?

ლაპარაკიც კი საშინელება იყო, წერა - რაღა სათქმელია! «არის ამბები, რომელიც არ იწერება!» _ წამოიძახა ნაპოლეონმა, როცა ბაილენის კაპიტულაცია* გაიგო. ეს მატილდას სწორედ ჟიულიენმა უამბო, თითქო წინდაწინვე წაუკითხა დარიგება.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მატილდას უფრო მეტად სხვა რამე აშფოთებდა. მას ავიწყდებოდა, რა საშინელ შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი ყოფაქცევა, რა ზიზღს გამოიწვევდა თავისი კასტის მხრივ, რომელსაც იგი შეურაცხყოფას აყენებდა, ვინაიდან ისეთ ადამიანს სწერდა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო კრუაზენუასა, კაიუსსა და დე ლიუზთან. საქმე ის იყო, რომ ჟიულიენის ხასიათის სიღრმე, შეუცნობლობა მას შეაშინებდა თვით იმ შემთხვევაში, მასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა რომ ჰქონოდა, ქალი კი მის სატრფოდ, შეიძლება მბრძანებლად აყვანას აპირებდა.

«რა უზარმაზარი იქნება მისი პრეტენზიები, თუ ოდესმე დამიმორჩილა. რა ვუყოთ! მე გავიმეორებ მედეას სიტყვებს: «ამდენი საფრთხის წინაშე რაღა დამრჩენია? მხოლოდ ჩემი თავი!»*

«ჟიულიენს არავითარი პატივისცემა არა აქვს სისხლის კეთილშობილებისადმი, _ ფიქრობდა იგი, _ კიდევ მეტი, შეიძლება არც მე ვუყვარდე».

ამ საშინელი ეჭვიანობის წუთებში მასში ქალურმა სიამაყემ გაიღვიძა: «ყველაფერი უცნაური უნდა იყოს ჩემგვარი ქალწულის ბედში», _ წამოიძახა გულმოსულმა მატილდამ. გულზვიადობა, რომელიც აკვნიდანვე ჰქონდა ჩაგონებული, მის სათნოებას ებრძოდა. ჟიულიენის გამგზავრების განზრახვამ ყოველივე დააჩქარა.

(საბედნიეროდ, ასეთი ხასიათის ადამიანები იშვიათი მოვლენაა.)

გვიან საღამოთი ჟიულიენმა თვალთმაქცურად ერთი მეტად მძიმე ყუთი ჩაატანინა მეკარესთან; ეს საქმე დაავალა ლაქიას, რომელიც ეაშიკებოდა მატილდას მოახლეს. «შეიძლება ამ ხერხს არავითარი შედეგი არ მოჰყვეს, მაგრამ თუ მან გასჭრა, ქალი იფიქრებს, რომ გავემგზავრე», _ ფიქრობდა ჟიულიენი, და მას კარგად დაეძინა: მეტად კმაყოფილი იყო თავისი ოინით; მატილდას კი თვალი არ მოუხუჭავს.

მეორე დღეს ჟიულიენი ალიონზე შეუმჩნევლად გავიდა სასახლიდან, მაგრამ უკანვე დაბრუნდა რვა საათამდე. ვერც კი მოასწრო ბიბლიოთეკაში შესვლა, რომ მატილდა დე ლამოლი კარის ზღურბლზე გამოჩნდა. მან ქალს თავისი პასუხი გადასცა. იგი ფიქრობდა, ვალდებული ვარ ქალს გამოველაპარაკოო; ეს ადვილიც იყო, მაგრამ მატილდამ არ მოისურვა მისი მოსმენა და გაქრა. ჟიულიენი კმაყოფილი დარჩა: მან არ იცოდა, რა ეთქვა.

«თუ ეს ყოველივე თამაშობა არ არის, შეთანხმებული გრაფ ნორბერთან, ცხადია, რომ ჩემმა ჩვეულებრივ გულგრილმა შეხედვამ ამ მაღალი წოდების ქალში უცნაური სიყვარული გააღვივა. და მე მართებულზე მეტ უგუნურებას გამოვიჩენ, ამ დიდ ქერა ტიკინას რომ გამოვედევნო». ამ მსჯელობამ იგი კიდევ უფრო ცივი და ანგარიშიანი გახადა.

«მოსალოდნელ ბრძოლაში, _ დაუმატა მან, _ გვაროვნული ქედმაღლობა მომაღლო გორაკს ემგვანება, რომელიც პოზიციას შექმნის ჩემსა და მას შორის. აქ საჭიროა მოქმედება. მე ცუდად მოვიქეცი, რომ პარიზში დავრჩი. მგზავრობის გადადება მამცირებს და სასაცილოდ მხდის იმ შემთხვევაში, თუ ყოველივე ეს მხოლოდ დაცინვაა. რას დავკარგავდი, რომ წავსულიყავი? იმის მაგივრად, რომ მათ დამცინონ, მე დავცინებდი. თუ ქალი მართლაც რაიმე ინტერესს იჩენს ჩემს მიმართ, ამ ინტერესს გავაასკეცებდი».

მატილდა დე ლამოლის წერილი ისე მიესალბუნა ჟიულიენის თავმოყვარეობას, რომ თუმცა იგი გულში დასცინოდა იმას, რაც შეემთხვა, მაინც დაავიწყდა სერიოზულად მოეფიქრა _ გავემგზავრო თუ არაო.

თავისდა საუბედუროდ, იგი მეტისმეტად მგრძნობიარედ ეპყრობოდა თავის შეცდომებს. მეტისმეტად შეწუხებული იყო უკანასკნელად ჩადენილი შეცდომის გამო და თითქმის აღარ ფიქრობდა მოულოდნელ გამარჯვებაზე, რომელიც წინ უძღოდა ამ პატარა მარცხს, რომ დაახლოებით ცხრა საათზე ბიბლიოთეკის კარის ზღურბლზე ხელახლა მატილდა გამოჩნდა, მას წერილი ესროლა და გაიქცა.

_ როგორც ეტყობა, ეს იქნება რომანი წერილებში, _ თქვა ვაჟმა და წერილი აიღო. _ მტერი მცდარ ნაბიჯს დგამს, მე კი თავდაჭერილობისა და სიქველის მაგალითი უნდა ვუჩვენო.

მას სთხოვდნენ, გადამწყვეტი პასუხი გაეცა. ამ თხოვნაში ისეთი ტკივილი ჩანდა, რომ სიხარული გაუორკეცდა. ორი გვერდის მანძილზე ჟიულიენმა თავს ნება მისცა გზა-კვალი აებნია იმ პირთათვის, რომელნიც მის გამასხრებას მოინდომებდნენ და წერილის დასასრულს ვითომდა ხუმრობით დასძინა, გადაწყვეტილი მაქვს, ხვალ დილით გავემგზავროო.

როცა ეს წერილი დაასრულა, გაიფიქრა, ბაღში გადავცემო. მართლაც, ბაღში ჩავიდა და მატილდას ფანჯარას შეხედა. ეს ოთახი პირველ სართულზე იყო მოთავსებული, მისი დედის ოთახების გვერდით, მაგრამ მას მაღალი ანტრესოლი ჰქონდა. როცა ჟიულიენი წერილით ხელში ცაცხვების ხეივანში სეირნობდა, მატილდა დე ლამოლს არ შეეძლო ფანჯრიდან მისი დანახვა: მას ფარავდა ცაცხვების თაღი.

«ეს რა არის, _ გაიფიქრა ჟიულიენმა გულისტკივილით: _ კიდევ გაუფრთხილებლობას ჩავდივარ! თუ მათ სასაცილოდ ვყევარ აგდებული, წერილით ხელში გამოჩენა იმას ნიშნავს, რომ მე თვით დახმარებას ვუწევ ჩემს მტრებს».

ნორბერის ოთახი სწორედ მისი დის ოთახის ზემოთ იყო მოთავსებული და, როგორც კი ჟულიენი ცაცხვების თაღიდან გამოვიდოდა, გრაფი და მისი მეგობრები ადვილად დაინახავდნენ ყოველ მის მოძრაობას.

მატილდა დე ლამოლი თავის ფანჯარაში გამოჩნდა; ჟიულიენმა სანახევროდ ამოიღო წერილი; ქალმა თავი დახარა.

ჟიულიენმა მაშინვე კიბეზე აირბინა და თითქო შემთხვევით შეეჩეხა მშვენიერ მატილდას, რომელმაც სრულიად აუღელვებლად და მომცინარე თვალებით გამოართვა მისი წერილი.

«რამდენი ვნებათა ღელვა იყო იმ საბრალო ქალბატონ დე რენალის თვალებში, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ როცა თვით ჩვენი ექვსი თვის ინტიმური ურთიერთობის შემდეგ იგი ბედავდა წერილი გამოერთვა ჩემთვის! როგორც მახსოვს, მას ერთხელაც გაღიმებული თვალებით არ შემოუხედავს. გარდა ამისა, რამდენი ლაზათიანობაა მატილდას დილის კაბასა, მთელ მის მიხრა-მოხრაში! გემოგახსნილი ადამიანი ოცდაათი ფეხის ნაბიჯიდან დაინახავს, რა მდგომარეობა უჭირავს ამ ქალს საზოგადოებაში. აი, რას შეიძლება აშკარა ღირსება ვუწოდოთ».

ხუთ საათზე ჟიულიენმა მესამე წერილი მიიღო. იგი მას ბიბლიოთეკის კარში შეუგდეს. მატილდა მაშინვე გაიქცა. «ეს რა წერილების წერის ჟინია, როცა ასე ადვილად შეიძლება პირისპირ ლაპარაკი, _ გაიფიქრა ვაჟმა სიცილით, _ მტერს სურს რამდენიმე ჩემი წერილი ჩაიგდოს ხელში, ეს ცხადია! _ მან აუჩქარებლად გახსნა ახლად მიღებული ბარათი. _ ალბათ, იგივე ელეგანტური ფრაზებია», _ გაიფიქრა მან. მაგრამ ფერი ეცვალა კითხვის დროს. წერილში მხოლოდ რვა სტრიქონი იყო.

«თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს; ამ საღამოსვე უნდა შეგხვდეთ; ბაღში მოდით, როცა შუაღამის პირველი საათი დარეკს. აიღეთ მებაღის დიდი კიბე, რომელიც ჭის

გვერდით ძევს, მოადგით ჩემს ფანჯარას და ჩემთან ამოდით. მთვარიანი ღამეა, მაგრამ არა უშავს რა».

XV

ეს შეთქმულება ხომ არაა?

> ო, რა სასტიკი მანძილია დიდი გეგმის ჩასახვას და მის შესრულებას შორის. რა ამაო შიში, რა გაუბედაობა გიპყრობს! საქმე სიცოცხლეს ეხება, კიდევ მეტი: საქმე პატივს ეხება!
>
> **შილერი.**

«საქმე მეტისმეტად სერიოზული ხდება, _ გაიფიქრა ჟიულიენმა და ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ დაუმატა: _ და ამასთანავე მეტისმეტად ნათელი. ეს რას ნიშნავს? ეს ლამაზი ქალიშვილი ღვთის წყალობით სრულიად თავისუფალია და შეუძლია, რამდენიც სურს, იმდენი მელაპარაკოს ბიბლიოთეკაში. მარკიზს ისე ეშინია, ფულის ანგარიშები არ წარვუდგინო, რომ არასოდეს იქ არ შემოდის. არც ის, არც მისი ვაჟი შინ არ არის მთელი დღის განმავლობაში; ძალიან ადვილია იმის გაგება, თუ როდის ბრუნდებიან ისინი უკან; და აი, შეუდარებელმა მატილდამ, რომლის შერთვაზე უკეთილშობილესი მთავარი არ იტყოდა უარს, მე საშინელი უგუნურება უნდა ჩამადენინოს!

ეს ნათელია, მათ ან ჩემი დაღუპვა სურთ, ან საუკეთესო შემთხვევაში, ჩემი სასაცილოდ აგდება. თავდაპირველად მათ წერილებით უნდოდათ ჩემი დაღუპვა; რაკი ეს ვერ მოახერხეს, ცდილობენ, ისეთი რამ ჩამადენინონ, რაც დღის სინათლესავით ნათელი იქნება. ამ ლამაზ ვაჟბატონებს ან ძალიან სულელად მივაჩნივარ, ან ძალიან თავქარიანად. ეშმაკმა დალახვროს! როგორ, მთვარიან ღამეში კიბით ავცოცდე ოცდახუთი წყრთის სიმაღლეზე! თვით მახლობელი სახლებიდანაც კი დამინახავენ. კარგი სანახავი არ ვიქნები იმ კიბეზე!»

ჟიულიენი თავის ოთახში ავიდა და ყუთის ჩალაგება დაიწყო, თან უსტვენდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, გამგზავრებულიყო და არც კი ეპასუხნა. მაგრამ ამ ბრძნულმა გადაწყვეტილებამაც კი ვერ დააშოშმინა.

«განა არ შეიძლება, მატილდა გულწრფელი იყოს, _ გაიფიქრა მან უცებ და ყუთი დახურა: _ ამ შემთხვევაში მე მას ლაჩრად ვეჩვენები. მე არა ვარ კეთილშობილი; მე დიდი ღირსებები მჭირდება, ასე ვთქვათ, ნაღდი კაპიტალი, რომელიც თავისთავად კი არ იგულისხმება, არამედ აშკარა მოქმედებაში ვლინდება».

ერთხანს ფიქრებში იყო წასული.

«როგორ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს ქალი მხდალ მამაკაცად ჩამთვლის. მე დავკარგავ არა მარტო უბრწყინვალეს ქალს მაღალი საზოგადოებიდან, როგორც მას დუკა დე რეცის საცეკვაო საღამოზე უწოდებდნენ, არამედ აგრეთვე ღვთაებრივ სიამოვნებას, რომ ჩემთვის სწირავენ მარკიზ დე კრუაზენუას, რომელიც დუკას ვაჟია და თვითონაც ჩქარა დუკა გახდება; ესაა მომხიბლავი ყმაწვილი, რომელსაც აქვს ყოველივე, რაც მე მაკლია: გონებამახვილობა, კეთილშობილი გვარი, სიმდიდრე... მთელი სიცოცხლე ვერ განვთავისუფლდები სინდისის ქენჯნისაგან არა მისი დაკარგვის გამო (სატრფოების მეტი რაა!), არამედ ღირსების შებღალვის გამო. ცხადია, მე უკან ვიხევ პირველივე საფრთხის წინაშე, რომელიც ჩემს წინაშე აღიმართა. ვინაიდან ჩემი და ბ. დე ბოვუაზის დუელი უბრალო ხუმრობა აღმოჩნდა. ეს სულ სხვა რამეა. შეიძლება რომელიმე მსახურმა ტყვია მომაკეროს, მაგრამ ეს იმდენად საშიში როდია; უარესია, თუ ღირსება შემიბღალეს...

დიახ, ეს სერიოზული ამბავია, ჩემო ძმაო, _ დაუმატა მან მხიარულად, _ ვერასოდეს ისეთი ღარიბი და საზოგადოების ქვედა საფეხურზე მოქცეული ადამიანი, როგორიც მე ვარ, ასეთ შემთხვევას ვერ იპოვის; არა, შეიძლება სამიჯნურო თავგადასავალი მომავალშიც ბევრი მექნეს, მაგრამ ისინი დაბალი ხარისხისა იქნებიან».

იგი დიდხანს ფიქრებში იყო წასული, ხან ბოლთას სცემდა, ხან ჩერდებოდა. მის ოთახში კარდინალ რიშელიეს საუცხოო მარმარილოს ბიუსტი იდგა. ეს ბიუსტი მისდაუნებურად იზიდავდა ვაჟის ყურადღებას. მარმარილოს კარდინალი თითქო მკაცრად უცქეროდა და უსაყვედურებდა იმ სიმამაცის უქონლობას, რომელიც თანდაყოლილი უნდა ჰქონდეს ფრანგის ხასიათს. «განა შენს დროს, დიდო ადამიანო, მე ვიყოყმანებდი?»

«წარმოვიდგინოთ უარესი შემთხვევა, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ წარმოვიდგინოთ, რომ ეს ხაფანგია: იგი მეტისმეტად ვერაგული და სახელის გამტეხია ახალგაზრდა ქალისთვის. მათ იციან, რომ მე ადვილად გასაჩუმებელი კაცი არა ვარ. მაშასადამე, საჭირო იქნება ჩემი მოკვლა. ეს ივარგებდა 1574 წელს, ბონიფას დე ლამოლის დროს, მაგრამ მისი დღევანდელი ჩამომავალნი ამას ვერ გაბედავენ. ადამიანები შეიცვალნენ. მატილდა დე

ლამოლს ბევრი შესცქერის შურით. ხვალ ოთახასი სალონი აყაყანდება მისი შერცხვენის გამო და მერე როგორი სიამოვნებით! მოსამსახურეები უკვე ლაზღანდარობენ იმ განსაკუთრებულ ყურადღებაზე, რომლითაც მე მექცევიან: ამას მე თვით მოვკარი ყური... მისი წერილები!.. ისინი ალბათ ფიქრობენ, რომ მათ თან ვატარებ, და როცა ქალის ოთახში დამიჭერენ, წამართმევენ. ვინ იცის, რამდენი კაცი დამესხმის თავს - ორი, სამი, ოთხი? მაგრამ სად იშოვნიან ამ თავდამსხმელებს? სად მოიპოვებიან პარიზში მოკრძალებული მოსამსახურეები: მათ ეშინიათ სასამართლოსი... ჰო, მაგრამ ეს შეიძლება თვით კაიუსებმა, დე ლიუზებმა იკისრონ. გახსოვდეს აბელარის* ბედი, ბატონო მდივანო! არა უშავს რა, მე თქვენ სახეში შემოგკრავთ, როგორც კეისრის ჯარისკაცები შვრებოდნენ ფარსალთან.* წერილები კი შემიძლია საიმედო ადგილას დავმალო».

ჟიულიენმა ორი უკანასკნელი წერილის ასლი გადაიღო. ისინი ვოლტერის ერთ-ერთ ტომში დამალა ბიბლიოთეკაში, ხოლო ორიგინალები თავისი ხელით წაიღო ფოსტაში.

«რა სიგიჟეს ჩავდივარ», _ გაიფიქრა მან შინ დაბრუნებისას გაოცებითა და შიშის ძრწოლით; რამდენიმე წუთით დაავიწყდა, რა უნდა გაეკეთებინა ღამით.

«თუ ამაზე უარი ვთქვი, თვით შემძაგდება ჩემი თავი. მთელი ჩემი სიცოცხლე ეს ჩემთვის სინდისის ქენჯნის მიზეზი იქნება, სინდისის ქენჯნა კი ყველაზე გულის მღრღნელ უბედურებად მიმაჩნია. განა ეს მე უკვე არ განვიცადე ამანდას საყვარლის მიმართ? მე მგონია, რომ ჩემს თავს უფრო ადვილად ვაპატიებდი აშკარა დანაშაულს; ერთხელ გამოვტყდებოდი, მორჩა და გათავდა: თავს დავანებებდი მასზე ფიქრს. როგორ, მე საფრანგეთის ერთი უდიდესი აზნაურის მეტოქე გავხდი და უბრძოლველად დავყარო იარაღი? წაუსვლელობა დიდი სიმხდალე იქნებოდა. ეს სიტყვა ყოველივეს წყვეტს, _ წამოიძახა ჟიულიენმა და ზეზე წამოხტა... _ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ქალი ძალიან ლამაზიცაა.

თუ ეს ღალატი არ არის, რა სიგიჟეს ჩადის იგი ჩემი გულისთვის!.. ხოლო თუ ეს მისტიფიკაციაა, ჩემზეა დამოკიდებული ამ ხუმრობისთვის სერიოზული მსვლელობის მიცემა, და მეც ასე მოვიქცევი. მაგრამ ვაი თუ ოთახში შესვლისთანავე ხელები შემიკრეს ან იქ რაიმე თვალთმაქცური მანქანა დადგეს».

_ ეს იგივე დუელია, _ თქვა მან სიცილით: _ დუელში კი ყოველი მოქნევის აცილება შეიძლება, ჩემი ფარიკაობის ოსტატისა არ იყოს; მაგრამ ღმერთი ისურვებს, რომ დუელი ბოლოს გათავდეს, ერთ-ერთ მებრძოლს აიძულებს, კონტრშემოკვრა დაივიწყოს. მაგრამ აი,

რით შემიძლია მათ პასუხი გავცე. _ მან ჯიბიდან ამოიღო დამბაჩები და ფისტონები გამოუცვალა.

კიდევ რამდენიმე საათის ლოდინი იყო საჭირო. დროის მოსაკლავად ჟიულიენმა წერილის წერა დაიწყო ფუკესადმი: «ჩემო მეგობარო, ამ წერილს ნუ გახსნი, სანამ არ გაიგებ, რომ რაღაც არაჩვეულებრივი შემემთხვა. მაშინ კი აქ დართულ ხელნაწერში საკუთარი სახელები წაშალე, რვა ასლი გადაიღე და მარსელის, ბორდოს, ლიონის, ბრიუსელის და სხვა გაზეთებში დაგზავნე: ათი დღის შემდეგ ეს ხელნაწერი დააბეჭდინე და პირველი ანაბეჭდი ბ. მარკიზ დე ლამოლს გაუგზავნე; ხოლო თხუთმეტი დღის შემდეგ ვერიერის ქუჩებში დაჰყარე დანარჩენი ანაბეჭდები».

პატარა, თავის გასამართლებელ წერილში, რომელიც მოთხრობის სახით იყო დაწერილი და რომელიც ფუკეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაეხსნა, თუ რაიმე უბედურება მოხდებოდა, ჟიულიენი შეეცადა, რაც შეიძლება ნაკლები ჩრდილი მიეყენებინა მატილდა დე ლამოლისათვის, მაგრამ ამასთანავე ზედმიწევნით სწორად დაეხატა თავისი მდგომარეობა.

ჟიულიენი თავისი ამანათის შეკვრას ათავებდა, როცა სადილის ზარის ხმა გაისმა. გული აუჩქროლდა. მისი ფანტაზია, რომელიც ახლად შედგენილმა მოთხრობამ გააღიზიანა, ტრაგიკული წინათგრძნობით იყო აღსავსე. თითქო ხედავდა, რომ მოსამსახურეები იჭერენ, თოკებით ბოჭავენ, სარდაფში მიათრევენ პირში ბურთჩაჩრილს. იქ მას ერთ-ერთი მოსამსახურე უთვალთვალებს და, თუ კეთილშობილი ოჯახის პატიოსნებამ მოითხოვა, რომ მთელი ეს ამბავი ტრაგიკულად დასრულდეს, ყველაფერი ადვილად ეწყობა საწამლავის შემწეობით, რომელიც არავითარ კვალს არ ტოვებს; მაშინ მის ოთახში გადაასვენებენ და იტყვიან, ავადმყოფობით მოკვდაო.

მის მიერვე შეთხზულმა მოთხრობამ ჟიულიენი ზოგიერთი დრამატურგივით ისე ააღელვა, რომ მართლაც ეშინოდა, როცა სასადილო ოთახში შედიოდა. იგი დააკვირდა ლივრეიან ლაქიებს, შეეცადა მათი გამომეტყველება ამოეცნო. «რომელი მათგანია არჩეული ამ ღამის ექსპედიციისთვის? _ ფიქრობდა იგი. _ ამ ოჯახში ისეა შემონახული ანრი III-ის კარის ტრადიციები, მათ ისე ხშირად იხსენებენ, რომ თუ თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს, მეტს გაბედულებას გამოიჩენენ, ვიდრე მათი რანგის სხვა წარმომადგენლები იჩენენ». მან მატილდას შეხედა, რათა მის თვალებში მისი ოჯახის გეგმები ამოეკითხა: ქალი ფერმკრთალი იყო, მას სავსებით საშუალო საუკუნეების შესაფერი გამომეტყველება ჰქონდა. არასოდეს ვაჟს ქალი ასეთი დიადი არ ჩვენებია - იგი

ჭეშმარიტად მშვენიერი და ბრწყინვალე იყო. თითქმის სიყვარულიც კი იგრძნო მისდამი: «Pallida morte futura», _ ჩაილაპარაკა მან (მისი გაფითრება სიკვდილის მოახლოებას მოასწავებს).

სადილის შემდეგ ამაოდ გაისეირნა ბაღში. მატილდა დე ლამოლი იქ არ გამოჩენილა; მასთან გამოლაპარაკება კი ჟიულიენს მძიმე ტვირთს მოაშორებდა გულიდან.

«რად არ უნდა გამოვტყდე? ჰო, მეშინია». რადგან მას გადაწყვეტილი ჰქონდა ემოქმედნა, დაურცხვენლად ფიქრობდა ამ გრძნობებზე. «რა მნიშვნელობა აქვს, თუ რას ვგრძნობ ამჟამად; თავი და თავი ისაა, რომ სათანადო ვაჟკაცობა აღმომაჩნდეს გადამწყვეტ წუთში». იგი წავიდა ადგილმდებარეობის და კიბის დასათვალიერებლად.

«ბედმა მომიჩინა მუდამ კიბე გამოვიყენო, _ ჩაილაპარაკა მან სიცილით, _ აქაც და ვერიერშიც. მაგრამ რა დიდი განსხვავებაა! იქ მე არავითარი საფრთხე არ მელოდა იმ ქალისაგან, რომლისთვისაც რისკს ვწევდი. რა განსხვავებაა აგრეთვე თვით საფრთხის მხრივ! მე რომ ბ. დე რენალის ბაღებში მოვეკალი, ეს სამარცხვინო არ იქნებოდა ჩემთვის. ჩემს სიკვდილს ადვილად გამოაცხადებდნენ გაუგებარ მოვლენად. აქ კი რა საზიზღარ ჭორებს გაავრცელებენ დე შოლნების, დე კაიუსების, დე რეცების და სხვათა სასახლეებში. თვით შთამომავლობის თვალში რაღაც საშინელებად გამოვჩნდები. არა, რაღაც ორ-სამ წელიწადს თუ მომიგონებენ, _ განაგრძო მან ღიმილით, თითქო თავის თავს დასცინოდა. მაგრამ ეს აზრი მას ანადგურებდა. _ სადღა გამამართლებენ? წარმოვიდგინოთ, რომ ფუკემ ჩემი ნაანდერძევი პამფლეტი დაბეჭდა, ეს მხოლოდ ზედმეტ უხამსობად იქნება მიჩნეული. როგორ, მე ოჯახში მიმიღეს და იმ სტუმართმოყვარეობისა და გულკეთილობის სამაგიეროდ, რომლითაც იქ მხვდებიან, პამფლეტს ვბეჭდავ შინაური ამბების შესახებ! ქალების პატიოსნებას ვესხმი თავს! აჰ, ათასჯერ სჯობია, მოტყუებული დავრჩე!»

ეს საღამო ჟიულიენისთვის საშინელი იყო.

XVI

ნაშუაღამევის პირველი საათი

ეს ბაღი მეტად დიდი იყო. იგი ორიოდე წლის წინათ მოეხაზათ დიდი გემოვნებით; მაგრამ შიგ ასწლოვანი ხეები იდგა და რაღაც სოფლური ელფერი გადაჰკრავდა.

ჟიულიენი წერილის დაწერას აპირებდა ფუკესადმი, გააბათილე ჩემი პირველი განკარგულებაო, როცა თერთმეტმა საათმა დაჰკრა. მან განგებ დიდი ხმაურობით თავისი კარის გასაღები გადაატრიალა, თითქო თავის ოთახში ჩაიკეტა. შემდეგ ფეხაკრეფით მთელი სახლი შემოიარა, განსაკუთრებით მეოთხე სართული, სადაც მოსამსახურეები ცხოვრობდნენ. არსად არაფერი შეუმჩნევია განსაკუთრებული. ქალბატონ დე ლამოლის ერთ-ერთ მოახლეს წვეულება ჰქონდა, მოსამსახურეები პუნშს სვამდნენ მხიარულად. «შეუძლებელია, რომ ღამის ექსპედიციაში იღებდეს მონაწილეობას ადამიანი, რომელიც ასე გულიანად იცინის; რაიმე ბნელი ზრახვები რომ ჰქონდეთ, უფრო სერიოზული იქნებოდნენ», _ გაიფიქრა ჟიულიენმა.

იგი ქვევით ჩავიდა და ბაღის ბნელ კუთხეში აიტუზა. «თუ ისინი შინამსახურთ არ ენდობიან, ალბათ, ის ადამიანები, რომელთაც ჩემი დაჭერა აქვთ დავალებული, ამ ბაღის გალავანზე გადმოხტებიან. თუ ბ. დე კრუაზენუა აუღელვებლად მოქმედებს, მან უნდა გაიგოს, რომ ახალგაზრდა ქალს, რომლის შერთვასაც იგი აპირებს, ნაკლებ გაუტყდება სახელი, მის ოთახში შესვლამდე რომ დამიჭერდნენ».

ჟიულიენმა კარგად დაზვერა მთელი ბაღი. «საკითხი ჩემს ღირსებას ეხება; თუ მარცხი მომივიდა, ჩემი თავის წინაშეც ვერ გავიმართლებ თავს, აქაოდა, ეს არ მომიფიქრებიაო».

შემაძრწუნებლად ნათელი ღამე იდგა. თერთმეტ საათზე მთვარე ამოვიდა; პირველის ნახევარზე იგი სასახლის მთელ ფასად ანათებდა ბაღის მხრივ.

«ეს ქალი გადარეულია», _ ფიქრობდა ჟიულიენი. გრაფი ნორბერის ფანჯარაში ჯერ კიდევ სინათლე ჩანდა, როცა ნაშუაღამევის პირველმა დარეკა. არასოდეს თავის სიცოცხლეში ჟიულიენს ასე არ შინებია. იგი მხოლოდ საფრთხეს ხედავდა და არავითარ აღფრთოვანებას არ განიცდიდა. მან მოათრია უზარმაზარი კიბე და ხუთი წუთი დააყოვნა, რათა მატილდასთვის დრო მიეცა მისი პირვანდელი განკარგულების გასაუქმებლად. პირველ საათსა და ხუთ წუთზე კიბე მიაყუდა ქალის ფანჯარას: კიბეზე ნელა ადიოდა, ხელში დამბაჩა ეჭირა, გაკვირვებული იყო, რომ თავს არავინ ესხმოდა. როგორც კი ფანჯარას მიუახლოვდა, იგი უხმოდ გაიღო.

_ როგორც იყო, ამოხვედით, _ უთხრა მას მატილდამ, რომელსაც დიდი აღელვება ეტყობოდა: _ ერთი საათია თვალს ვადევნებ თქვენს მოძრაობას.

ჟიულიენი მეტისმეტად არეული იყო, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, არავითარ სიყვარულს არ გრძნობდა. მან იფიქრა, სითამამის გამოჩენაა საჭიროო და შეეცადა მოხვეოდა მატილდას.

_ ფუ, _ ჩაილაპარაკა ქალმა და ხელი ჰკრა.

ვაჟი მეტად კმაყოფილი დარჩა ამ წინააღმდეგობისა და გარემოს თვალიერება დაიწყო. კაშკაშა მთვარე მძლავრად ანათებდა ოთახის წინა ნაწილს, მაგრამ უკანა ნაწილი წყვდიადით იყო მოცული. «ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ იქ არიან დამალულნი და მე კი მათ ვერ ვხედავ», _ გაიფიქრა ჟიულიენმა.

_ ეს რა გაქვთ ტანისამოსის ჯიბეში, _ ჰკითხა მატილდამ, რომელიც ნასიამოვნები იყო, რომ საუბრის საგანი იპოვა. იგი საშინლად იტანჯებოდა: თავდაჭერილობამ და მორცხვობამ, რომელიც ასე ბუნებრივია კარგი ოჯახის ქალიშვილისთვის, ყოველი სხვა გრძნობა დასძლია და მას დიდი წამების წუთები განუმზადა.

_ თანა მაქვს იარაღი და დამბაჩები, _ უპასუხა ჟიულიენმა, რომელიც არანაკლებ კმაყოფილი იყო, რომ სალაპარაკო საგანი გაუჩნდა.

_ კიბე უნდა მოვხსნათ, _ თქვა მატილდამ.

_ მეტისმეტად დიდია და შეიძლება ქვევით შუშები დაამტვრიოს სასტუმრო ოთახში ან ანტრესოლში.

_ ეცადეთ, ნუ დაამტვრევთ შუშებს, _ უპასუხა მატილდამ, რომელიც ამაოდ ცდილობდა მშვიდად მოეჩვენებინა თავი. _ შეგიძლიათ, ზედა საფეხურზე თოკი მოაბათ და კიბე ისე ჩაუშვათ. მე ყოველთვის მაქვს თოკის მარაგი.

«აი, ესაა შეყვარებული ქალი, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ იგი ბედავს თქვას, რომ ვუყვარვარ! ეს თავდაჭერილობა, ეს სიფრთხილე მოწმობს, რომ მე კი არ დამიმარცხებია ბ. დე კრუაზენუა, როგორც ბრიყვულად მეგონა, არამედ მხოლოდ შევცვალე იგი. მაგრამ რა მენაღვლება! განა მე იგი მიყვარს? მაინც ვიმარჯვებ მარკიზზე, რაკი მას არაფრად ესიამოვნება ნაცვალის ყოლა, მით უმეტეს, რომ ეს ნაცვალი მე ვარ. როგორ ამაყად მიცქეროდა გუშინ ტორტონის ყავახანაში, თითქო ვერ მცნობდა! როგორი გაბოროტებით დამიკრა შემდეგ თავი, როცა შეატყო, რომ ამის აცილება შეუძლებელი იყო!»

ჟიულიენმა ბაწარი გამოაბა კიბის ზედა საფეხურს და ნელა ჩაუშვა ძირს; რამდენადაც შეიძლებოდა გადაიხარა, რათა შუშები არ დაელეწა. «კარგი შემთხვევაა ჩემს მოსაკლავად, თუ ვინმე მართლაც მატილდას ოთახშია დამალული», _ გაიფიქრა მან, მაგრამ ყველგან ღრმა დუმილი მეფობდა.

კიბე მიწაზე დაეშვა. ჟიულიენმა იმდენი სიმარჯვე გამოიჩინა, რომ იგი ეგზოტიკური ყვავილების კვალში დააწვინა კედლის გასწვრივ.

_ რას იტყვის დედაჩემი, როცა დაინახავს, რომ მისი მშვენიერი მცენარეები გათელილია, _ თქვა მატილდამ: _ თოკიც უნდა გადავაგდოთ, _ დაუმატა მან სრულიად გულგრილად. _ თუ შეამჩნიეს, რომ იგი ფანჯრიდან ძირს ეშვება, ძნელი იქნება ამ გარემოების ახსნა.

_ მე როგორღა წავიდე აქედან? _ ჰკითხა ჟიულიენმა კრეოლების ჟარგონის წაბაძულობით (მატილდას ერთი მოსამსახურე ქალი კრეოლი იყო).

_ თქვენ? თქვენ ამ კარში გადით, _ უპასუხა ამ აზრით აღტაცებულმა მატილდამ. «აჰ, როგორ ღირსია ეს ვაჟკაცი ჩემი სიყვარულისა», _ გაიფიქრა მან.

ჟიულიენმა თოკი გადააგდო. მატილდამ მას უკნიდან ხელი მოუჭირა მკლავში. ვაჟს ეგონა, მტერი მეცაო, ფიცხლავ მოტრიალდა და ხანჯალი იძრო. ქალს კი მოეჩვენა, ფანჯრის გაღების ხმა მომესმაო. ისინი გაქვავდნენ სულგაკმენდილნი, მთვარის სინათლეში გახვეულნი, მაგრამ ხმაური აღარ განმეორებულა და ქალ-ვაჟი დამშვიდდა.

მაშინ ორივე ხელახლა შეშფოთებამ მოიცვა. ჟიულიენი დარწმუნდა, რომ კარი დაკეტილი იყო გასაღებით და გადარაზული იყო ურდულით. უნდოდა საწოლის ქვეშ შეეხედა, მაგრამ ვერ ბედავდა: ადვილი შესაძლებელი იყო, იქ ერთი ან ორი ლაქია ყოფილიყო დამალული.

მატილდა უკიდურესად შეშფოთებული და დარცხვენილი იყო. მას აძრწუნებდა თავისი მდგომარეობა.

_ რა უყავით ჩემს წერილებს? _ ჰკითხა მან ბოლოს.

«რა მშვენიერი შემთხვევა მეძლევა ამ ვაჟბატონების გაბიაბრუებისა, თუ ისინი ყურს მიგდებენ, და ბრძოლის თავიდან აცილებისა», _ გაიფიქრა ჟიულიენმა.

_ პირველი წერილი დიდტანიან პროტესტანტულ ბიბლიაშია დამალული: მას გუშინდელი საფოსტო დილიჟანსი შორს მიაქროლებს აქედან.

ჟიულიენი ხმამაღლა და გარკვევით გადმოსცემდა წვრილმანებს, რათა კარგად გაეგონათ იმ პირებს, რომელნიც შეიძლება დამალულნი იყვნენ ურთხელის დიდ კარადებში.

_ ორი უკანასკნელი კი ფოსტაში გადავეცი და იმავე გზას დაადგება.

_ ღმერთო ჩემო, რა საჭიროა ამდენი სიფრთხილე? _ იკითხა შეშფოთებულმა მატილდამ.

«რისთვის უნდა ვიცრუო», _ გაიფიქრა ჟიულიენმა და ქალს თავისი ეჭვები გაანდო.

_ აი, რატომ იყო შენი წერილები ასე ცივი! _ წამოიძახა მატილდამ უფრო სიშმაგით, ვიდრე სინაზით.

ჟიულიენს არ შეუმჩნევია ეს ელფერი. ამ შენობით მიმართვამ მას თავგზა დაუკარგა: ყოველ შემთხვევაში, მისი ეჭვები გაქრა. მან შეჰბედა, მოხვეოდა ამ მშვენიერ ქალიშვილს, რომელიც მასში ასეთ მოკრძალებას იწვევდა. ქალმა სუსტი წინააღმდეგობა გაუწია. ისევე, როგორც ერთ დროს ბეზანსონში ამანდა ბინესთან საუბრისას, ახლაც ჟიულიენმა თავის მახსოვრობას მიმართა და რამდენიმე ლამაზი ფრაზა გაიმეორა ჟან-ჟაკ რუსოს «ახალი ელოიზადან».

_ შენ ვაჟკაცის გული გქონია, _ უთხრა ქალმა, რომელიც მაინცდამაინც გულდასმით როდი ისმენდა მის ფრაზებს. _ მინდოდა, შენი სიმამაცე გამომეცადა. ამას გულახდილად ვაღიარებ. შენი ეჭვები და შენი მტკიცე განზრახვა ამჟღავნებს, რომ უფრო გაბედული ყოფილხარ, ვიდრე მეგონე.

მატილდა თავის თავს ძალას ატანდა, რათა შენობით ელაპარაკნა. იგი, ეტყობოდა, მეტს ყურადღებას აქცევდა საუბრის ამ გარეგნულ მხარეს, ვიდრე მის შინაარსს. მაგრამ ეს სინაზეს მოკლებული «შენ» არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებდა ჟიულიენს. იგი გაკვირვებული იყო, რომ არავითარ ბედნიერებას არ გრძნობდა, და ბოლოს, გონებას მიმართა მის განსაცდელად. ხედავდა, რომ მას აფასებდა ასეთი ამპარტავანი ქალიშვილი, რომელიც არასოდეს არავის აქებდა შეუზღუდველად. ამ აზრმა კმაყოფილება მიანიჭა მის თავმოყვარეობას.

მართალია, აქ ვაჟი არ გრძნობდა იმ სულიერ ნეტარებს, რომელიც მან რამდენჯერმე განიცადა ქალბატონ დე რენალის გვერდით. პირველ წუთებში არავითარი სინაზე არ უგრძვნია. ეს იყო პატივმოყვარეობის მძაფრი შემოტევა, ჟიულიენი კი, უწინარეს ყოვლისა, პატივმოყვარე იყო. მან ხელახლა დაიწყო ლაპარაკი თავის ეჭვებსა და სიფრთხილის ღონისძიებებზე. ლაპარაკის დროს ფიქრობდა, როგორ გამოეყენებინა საუკეთესოდ თავისი გამარჯვება.

მატილდა, რომელიც ჯერ კიდევ შეშფოთებული და შეწუხებული იყო თავისი მოქმედებით, როგორც ეტყობოდა, ძალიან ნასიამოვნები დარჩა, რომ საუბრის საგანი აღმოჩნდა. ლაპარაკი ჩამოვარდა მომავალი პაემნების მოწყობაზე. ჟიულიენი ტკბებოდა იმ ჭკუითა და გამბედაობით, რომელიც თვით მან გამოამჟღავნა ამ საუბრის დროს. მათ საქმე

ჰქონდათ მეტად გამჭრიახ ადამიანებთან: ახალგაზრდა ტანბო უეჭველია ჯაშუში იყო, მაგრამ არც მატილდა და ჟიულიენი იყვნენ მოუხერხებელნი.

_ რა სჯობია ბიბლიოთეკაში შეხვედრას და იქ ყველაფერზე შეთანხმებას?

_ მე შემიძლია ეჭვის გამოუწვევლად გამოვჩნდე სასახლის ყველა ნაწილში, თითქმის თვით ქალბატონ დე ლამოლის ოთახშიაც, _ დაუმატა ჟიულიენმა. აუცილებლად ეს ოთახი უნდა გაევლო, რათა ჟიულიენს მატილდას ოთახამდე მიეღწია. მაგრამ თუ მატილდას ერჩია, რომ ჟიულიენი მასთან ყოველთვის კიბით ასულიყო, იგი მზად იყო, აღტაცებით გადაელახა ეს მცირე საფრთხე.

მატილდა, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილი იყო ვაჟის გამარჯვებული ტონით. «ნუთუ უკვე ჩემი ბატონი გახდა?» _ გაიფიქრა ქალმა, რომელიც უკვე სინდისის ქენჯნას განიცდიდა. მისი გონება აღშფოთებული იყო იმ უსაზღვრო სისულელის გამო, რომელიც მან ჩაიდინა. რომ შეძლებოდა, თავის თავსაც გაანადგურებდა და ჟიულიენსაც. როცა ნებისყოფის ძალდატანებით იგი ერთი წუთით ახშობდა სინდისის ხმას, მაშინ მოკრძალებისა და სირცხვილის გრძნობა კიდევ უფრო უბედურს ხდიდა. წინათ წარმოდგენილი არ ჰქონია, თუ ასეთ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდებოდა.

«უნდა გამოველაპარაკო, _ გაიფიქრა მატილდამ ბოლოს, _ ამას მოითხოვს წესიერება: ქალი უნდა ელაპარაკებოდეს თავის საყვარელს; ასეა მიღებული». _ და, რათა ვალდებულება შეესრულებინა, მან ვაჟს მოუთხრო, რა გადაწყვეტილებანი მიიღო მასზე უკანასკნელ დღეებში; მაგრამ მხოლოდ მისი სიტყვები იყო ნაზი, ხმა კი მშრალი და ცივი რჩებოდა. მას გადაეწყვიტა, რომ თუ ჟიულიენი მის ბრძანებას შეასრულებდა და მებაღის კიბით გაბედავდა მასთან ასვლას, იგი დანებდებოდა. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს ასეთი ცივი და ასეთი ზრდილობიანი ტონით ასეთი ნაზი ამბები არ თქმულა. აქამდე ეს პაემანი ისეთი გამყინავი იყო, რომ ახალგაზრდებს თვით სიყვარული უნდა შესძულებოდათ. ეს კარგი ზნეობის გაკვეთილია ახალგაზრდა თავქარიანი ქალისთვის! განა ღირს მომავლის გაწირვა ასეთი წუთისათვის?

მაგრამ თვით მატილდას, ძლიერი ნებისყოფის მიუხედავად, ისე გაუჭირდა თავის ბუნებაში ქალური ღირსების გრძნობის ჩახშობა, რომ მხოლოდ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ, რომელიც ზერელე მეთვალყურეს შეიძლებოდა სიძულვილის შედეგად ჩვენებოდა, შეძლო მორჩილი სატრფო გამხდარიყო. მართალი რომ ვთქვათ, მატილდას აღტაცება, ცოტა არ იყოს, ნაძალადევი იყო. იგი უფრო ბაძავდა ვნებიან სიყვარულს, ვიდრე რეალურად განიცდიდა.

მატილდა დე ლამოლს ეგონა, ვალდებულებას ვასრულებ ჩემი თავისა და ჩემი საყვარლის მიმართო. «ამ საბრალო ყმაწვილმა ამდენი სიმამაცე გამოიჩინა, მას ბედნიერება უნდა მივცე, წინააღმდეგ შემთხვევაში, უხასიათობა დამბრალდება», ფიქრობდა იგი. მაგრამ ქალი მზად იყო სამარადისო უბედურებით გამოესყიდა ის მკაცრი აუცილებლობა, რომელშიც იმყოფებოდა, და საშინელი შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, სავსებით შეასრულა თავისი სიტყვა.

არავითარ სინანულს, არავითარ საყვედურს არ გაუფუჭებია ეს ღამე, რომელიც ჟიულიენს უფრო უცნაური ეჩვენა, ვიდრე ბედნიერი. ღმერთო ჩემო, როგორ სხვანაირი იყო ის უკანასკნელი ოცდაოთხი საათი, რომელიც მან ვერიერში გაატარა. «ამ მშვენიერმა პარიზულმა მანერებმა ყველაფრის გაფუჭება შეძლეს, თვით სიყვარულისაც», _ ფიქრობდა ვაჟი მეტისმეტად უსამართლოდ.

იგი ამ აზრებში იყო გართული, როცა ურთხელის დიდ კარადაში იდგა, სადაც იგი საჩქაროდ დამალეს, როგორც კი ქალბატონ დე ლამოლის ოთახებში პირველი ხმაურობა გაისმა. მატილდა თავის დედას გაჰყვა წირვაზე, ჩქარა მოსამსახურე ქალებიც გავიდნენ, და ჟიულიენი ადვილად გაძვრა, სანამ ისინი უკან დაბრუნდებოდნენ სამუშაოდ.

ჟიულიენი ცხენზე შეჯდა და ყველაზე განმარტოებული კუთხეები მონახა პარიზის ერთ-ერთ მახლობელ ტყეში. იგი უფრო გაკვირვებული იყო, ვიდრე ბედნიერი. ნეტარება, რომელიც დროგამოშვებით მის სულს ფლობდა, ჰგავდა იმ ახალგაზრდა ასისთავის გრძნობას, რომელსაც რაღაც გასაოცარი გმირობისთვის უცაბედად ლეგიონის უფროსად ნიშნავენ. იგი თითქო თავბრუდამხვევ სიმაღლეზე იყო ატყორცნილი. ყველა, ვინც წინა დღით მასზე მაღლა იდგა, დღეს მის გვერდით, ან მასზე დაბლა აღმოჩნდა. მაგრამ მისი ბედნიერება მატულობდა, რამდენადაც უფრო შორს მიდიოდა ტყეში.

თუ ვაჟის სულში არავითარი სინაზე არ იყო, ეს იმით აიხსნება, რომ თუმცა ეს სიტყვა შეიძლება მკითხველს ახირებულად ეჩვენოს, მაინც უნდა ვთქვათ, მატილდამ თითქო მხოლოდ თავისი ვალი შეასრულა მის წინაშე. ამ ღამის ამბებში ქალისთვის არაფერი იყო მოულოდნელი, გარდა უბედურების და სირცხვილის გრძნობისა, რომელიც მან აღმოაჩინა რომანების მიერ აღთქმული სრული ნეტარების ნაცვლად.

«ხომ არ შევმცდარვარ, მართლა მიყვარს თუ არა იგი?» _ ფიქრობდა ქალი.

XVII

ძველი დაშნა

განზრახული მაქვს, სერიოზული გავხდე;
დროც არის, რაკი სიცილი დღეს სერიოზულ
და ცოდვილ ხუმრობად ითვლება.

ბაირონი, «დონ ჟუანი»

ქალი არ გამოჩენილა სადილობის დროს. საღამოს იგი ერთი წუთით შემოვიდა სალონში, მაგრამ როდი შეხედა ჟიულიენს. ეს საქციელი ვაჟს ახირებულად ეჩვენა. «მე არ ვიცნობ მათ ჩვეულებებსო, _ გაიფიქრა მან; _ თუ მიზეზი ვკითხე, რაღაც გამართლებას უპოვის ყოველივე ამას». _ ამისდა მიუხედავად, მისი ცნობისმოყვარეობა მეტისმეტად გაღიზიანებული იყო და იგი აკვირდებოდა მატილდას სახის გამომეტყველებას; არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ ამ ქალს მშრალი და ბოროტი გამომეტყველება ჰქონდა. უეჭველია, ეს იგივე ქალი იყო, რომელიც წინა ღამით თითქო გულწრფელი თუ მოჩვენებული მძაფრი ნეტარებით იყო აცახცახებული.

მეორე, მესამე დღეს ქალი იმავე გულგრილობას იჩენდა; იგი ვაჟს არ უცქეროდა, არ ამჩნევდა მის არსებობას. ჟიულიენი უძლიერესმა შეშფოთებამ მოიცვა, თითქო ქარს გაჰყვა გამარჯვების სიხარული, რომელიც პირველ დღეებში ავსებდა მის გულს. «შემთხვევით, სათნოების გზას ხომ არ დაბრუნებია? _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ არა, ეს სიტყვა მეტისმეტად ბურჟუაზიული იქნებოდა ქედმაღალი მატილდასთვის. ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში მას არ სწამს რელიგია და იგი მხოლოდ იმიტომ უყვარს, რომ მეტისმეტად სასარგებლოდ მიაჩნია თავისი კასტის ინტერესებისათვის. მაგრამ განა არ შეიძლება, რომ მან თავის თავს ჩადენილი შეცოდება უსაყვედუროს უბრალო ქალური გრძნობების გამო?» ჟიულიენს ახლა სწამდა, რომ იგი ამ ქალის პირველი საყვარელი იყო.

«მაგრამ, _ ამბობდა იგი სხვა წუთებში, _ უნდა გამოვტყდე, რომ არაფერია გულუბრყვილო, უბრალო, ნაზი მის ქცევაში; არასოდეს იგი უფრო გულზვიადი არ ყოფილა. ხომ არ ვეზიზღები? ადვილი შესაძლებელია, რომ თავისთვის იმიტომ ვერ უპატიებია, რაც ჩაიდინა, რომ მე მდაბიო წარმოშობის ადამიანი ვარ».

ამ წუთებში ჟიულიენი აღსავსე იყო წიგნებიდან ამოკრეფილი ცრუმორწმუნეობებითა და ვერიერიდან დარჩენილი მოგონებებით. ის ოცნებობდა ნაზ სატრფოზე, რომელიც აღარ ფიქრობს თავის საკუთარ არსებობაზე, რაკი დარწმუნდა, რომ თავისი საყვარელი ვაჟი გააბედნიერა; ქედმაღალი მატილდა კი გაბოროტებული იყო

მასზე. უკვე ორი თვე იყო, რაც მოწყენილობა არ უგრძვნია და ამიტომ აღარ ეშინოდა მოწყენილობისა. ამრიგად, ჟიულიენმა სრულიად შეუმჩნევლად დაკარგა თავისი უდიდესი უპირატესობა.

«მე ბატონი გავიჩინე! _ ფიქრობდა მატილდა დე ლამოლი სასოწარკვეთილი. _ კარგი, ვთქვათ, იგი კეთილშობილებითაა აღსავსე; მაგრამ თუ მის პატივმოყვარეობას შევეხე, შურს იძიებს და ჩვენი ურთიერთობის ამბავს გამოამჟღავნებს».

არასოდეს მატილდას მანამდე საყვარელი არ ჰყოლია, და ცხოვრების იმ გარემოებაში, როცა თვით უმშრალესი სულის ადამიანი უნაზეს ილუზიებს ემორჩილება, ეს ქალი მწარე ფიქრებში იყო წასული. «მას უდიდესი ხელისუფლება აქვს მოპოვებული ჩემზე იმიტომ, რომ სულ შიშში ვყავარ და შეუძლია მკაცრად დამსაჯოს, თუ მოთმინებიდან გამოვიყვან». მარტო ეს აზრი იყო საკმარისი, რომ მატილდა დე ლამოლს შეურაცხყოფა მიეყენებინა ვაჟისთვის. ამ ქალის დამახასიათებელ თვისებას უშიშრობა წარმოადგენდა. არაფერს შეეძლო იგი ისე აეღელვებინა ან დაუსრულებელი მოწყენილობისაგან გაეთავისუფლებია, როგორც იმ აზრს, ამგვარი ქცევით შეიძლება თავი წავაგოო.

რადგან მატილდა დე ლამოლი ჯიუტობას იჩენდა და მესამე დღესაც ყურადღებას არ აქცევდა ჟიულიენს, ეს უკანასკნელი მას უკან დაედევნა სადილის შემდეგ და საბილიარდოში შეჰყვა მისი სურვილის წინააღმდეგ.

_ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ალბათ, გგონიათ, რომ უდიდესი უფლებები მოიპოვეთ ჩემს მიმართ, თუ განზრახული გაქვთ მელაპარაკოთ ჩემ მიერ ნათლად გამომჟღავნებული წინააღმდეგობის მიუხედავად! მოგეხსენებათ თუ არა თქვენ, რომ ასეთი რამ ჯერ არავის გაუბედავს დედამიწის ზურგზე?

არაფერი არ შეიძლებოდა ამ ორი მიჯნურის დიალოგზე უფრო თავშემაქცევარი ყოფილიყო; მათ შეუგნებლად სძულდათ ერთმანეთი; რადგან არც ერთსა და არც მეორეს მოთმინება არ ყოფნიდა და რადგან ერთსაც და მეორესაც კარგი საზოგადოების ჩვეულებები ჰქონდა შეთვისებული, მათ ჩქარა გამოუცხადეს ერთმანეთს, სამუდამოდ ვითიშებითო.

_ გეფიცებით, საუკუნოდ შეგინახოთ საიდუმლოება, _ უთხრა ჟიულიენმა: _ არასოდეს საზოგადოებაში ერთ სიტყვასაც კი არ გეტყოდით, თქვენი კეთილი სახელისთვის სახიფათო რომ არ ყოფილიყო ასეთი აშკარა ცვლილება. _ ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ქალს თავი დაუკრა მოწიწებით და წავიდა.

ჟიულიენი ძალდაუტანებლად ასრულებდა იმას, რასაც თავის ვალდებულებად თვლიდა; აზრადაც არ მოსვლია, ძლიერ შეყვარებული ვარ მატილდა დე ლამოლზეო. უცილობელია, რომ მას იგი არ ჰყვარებია სამი დღის წინათ, როცა ურთხელის დიდ კარადაში იყო დამალული. მაგრამ ყოველივე საჩქაროდ შეიცვალა მის სულში იმ წუთიდან, როცა დაინახა, რომ საბოლოოდ გაშორდა ქალს. სასტიკი მახსოვრობა დაწვრილებით უხატავდა იმ ღამის გარემოებას, რომელმაც მასზე ცივი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველ ღამესვე, რომელიც საუკუნო განშორების დეკლარაციას მოჰყვა, ჟიულიენი კინაღამ გაგიჟდა და იძულებული გახდა გამოტეხილიყო, მატილდა დე ლამოლი მიყვარსო.

ამ აღმოჩენას საშინელი ბრძოლები მოჰყვა: ყველა მისი გრძნობა აფორიაქებული იყო. ორი დღის შემდეგ, იმის მაგივრად, რომ გულზვიადად მოპყრობოდა ბ. დე კრუაზენუას, კინაღამ ცრემლმორეული გადაეხვია მას.

უბედურებამ საღი გონება გაუმახვილა და გადაწყვიტა ლანგედოკში გამგზავრებულიყო. ბარგი შეკრა და ფოსტაში წავიდა. კინაღამ წაბარბაცდა, როცა საფოსტო კანტორაში გაიგო, შემთხვევით ერთი ადგილია ხვალ ტულუზაში მიმავალ დილიჟანსშიო. ადგილი დაუკვეთა და დე ლამოლის სასახლეში დაბრუნდა, რათა თავისი გამგზავრების ამბავი ეცნობებია მარკიზისთვის.

ბატონი დე ლამოლი შინ არ იყო. ცოცხალ-მკვდარი ჟიულიენი ბიბლიოთეკაში შევიდა დასაცდელად. წარმოიდგინეთ, რა მოუვიდა, როცა იქ მატილდა დე ლამოლი დახვდა. ვაჟის დანახვისთანავე ქალმა ბოროტი გამომეტყველება მიიღო. შეუძლებელი იყო კაცს ამ გამომეტყველების აზრი არ გაეგო. ჟიულიენი ისეთი უბედური იყო, ისეთი თავგზადაბნეული მოულოდნელობის გამო, რომ თავი ვერ შეიკავა და უნაზესი, გულიდან ამოხეთქილი ტონით უთხრა:

_ მაშ, თქვენ აღარ გიყვარვართ?

_ მე შეძრწუნებული ვარ, რომ პირველ შემხვდურს დავნებდი, _ უთხრა მატილდამ, რომელსაც ცრემლები ახრჩობდა, იმდენად გაბრაზებული იყო თავის თავზე.

_ პირველ შემხვდურს! _ წამოიძახა ჟიულიენმა და საშუალო საუკუნეებიდან დარჩენილ დაშნას მივარდა, რომელიც ბიბლიოთეკაში ინახებოდა, როგორც სიძველის ნაშთი. ვაჟს თავისი ტანჯვა უსაზღვროდ მიაჩნდა, როცა ქალს დაელაპარაკა; მაგრამ ეს ტანჯვა გააასკეცა სირცხვილის ცრემლებმა, რომელიც მის თვალებში შეამჩნია. იგი უბედნიერესი ადამიანი იქნებოდა, მისი მოკვლა რომ შეძლებოდა.

როცა იგი გაჭირვებით დაშნას იღებდა ძველებური ქარქაშიდან, მატილდა, რომელიც მეტისმეტად ბედნიერი იყო ასეთი ახალი განცდით, ამაყად მიუახლოვდა მას; თვალებზე ცრემლები უკვე შეშრობოდა.

ჟიულიენმა უცებ ცოცხლად წარმოიდგინა თავისი კეთილისმყოფელი მარკიზი დე ლამოლი: «მე მის ქალს ვკლავ! რა საშინელებაა! _ უნდოდა მახვილი გადაეგდო. _ მატილდას, ალბათ, სიცილი წასკდება ამ მელოდრამატიული მოძრაობის დანახვისთანავე», _ გაიფიქრა მან. ამ აზრმა სრული გულგრილობა დაუბრუნა. ცნობისმოყვარეობით დახედა ძველი დაშნის პირს, თითქო მასზე ჟანგი აღმოაჩინაო, შემდეგ ქარქაშში ჩადო და სრულიად შეუშფოთებლად ჩამოჰკიდა მოვარაყებულ ბრინჯაოს ლურსმანზე.

მთელი ეს მოძრაობა მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა. მატილდა დე ლამოლი მას გაკვირვებული შესცქეროდა. «კინაღამ საყვარელმა მომკლა!» _ გაიფიქრა მან. ამ იდეამ ქალი შარლ IX-ისა და ანრი III-ის ეპოქის საუკეთესო დღეებში გადაიყვანა. იგი უმოძრაოდ იდგა ჟიულიენის წინაშე, რომელმაც ის იყო დაშნა ჩამოჰკიდა. იგი ქალს სიძულვილით როდიღა უცქეროდა; გამოტეხილად უნდა ითქვას, რომ მატილდა მომხიბლავი იყო ამ წუთში, და უეჭველია, არც ერთი ქალი ასე ნაკლებ არ ჰგვანებია პარიზულ ტიკინას (ეს სიტყვა ჟიულიენის პირში უდიდესი სალანძღავი გამოთქმა იყო პარიზის ქალების მიმართ).

«მე ხელახლა რაიმე სისუსტეს გამოვიჩენ მის წინაშე, _ გაიფიქრა მატილდამ: _ მაგრამ თუ მეორედ დავნებდი, მართლაც ჩემ ბატონად და მბრძანებლად წარმოიდგენს თავს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ასე მტკიცედ ველაპარაკე». იგი გაიქცა.

«ღმერთო ჩემო, რა მშვენიერია! _ გაიფიქრა ჟიულიენმა, როცა გაქცეულს შეხედა: _ აი არსება, რომელიც ერთი კვირის წინათ ასე ვნებიანად მეხუტებოდა... ეს წუთები აღარასოდეს განმეორდება. და ამაში მე მიმიძღვის ბრალი! და მე მგრძნობიარე არ ვიყავი ასეთი არაჩვეულებრივი, ასეთი საინტერესო მოქმედების წუთში!.. უნდა გამოვტყდე, რომ დაბადებიდანვე უგვანო და უბედური ხასიათი მაქვს თანდაყოლილი».

მარკიზი შინ დაბრუნდა. ჟიულიენმა აცნობა, ხვალ მივემგზავრებიო.

_ საით? _ ჰკითხა ბ. დე ლამოლმა.

_ ლანგედოკისკენ.

_ არა, გეთაყვა, თქვენ უფრო დიდი დავალება გელით, და თუ საითმე გაემგზავრებით, ეს ჩრდილოეთის მიმართულებით იქნება... სამხედრო ენა რომ ვიხმაროთ,

მე თქვენ გატყვევებთ სასახლეში. დიდად დამავალებთ, თუ ორ-სამ საათზე მეტით არ გახვალთ გარეთ, შეიძლება ყოველ წუთში დამჭირდეთ.

ჟიულიენმა თავი დახარა და უსიტყვოდ გავიდა, ხოლო მარკიზი დიდად გაოცებული დარჩა. ჟიულიენს ლაპარაკის თავი არ ჰქონდა და თავის ოთახში ჩაიკეტა. იქ თავისუფლად შეეძლო მუქ ფერადებში წარმოედგინა თავისი უიმედო მდგომარეობა.

«მაშასადამე, _ ფიქრობდა იგი, _ წასვლაც კი არ შემიძლია! ღმერთმა იცის, რამდენ ხანს დამტოვებს მარკიზი პარიზში. ღმერთო ჩემო, რა მომივა? არც ერთი მეგობარი არ მყავს, რომ რჩევა ვკითხო: აბატი პირარი პირველ ფრაზასაც კი არ დამამთავრებინებს, გრაფი ალტამირა შემომთავაზებს, რომელიმე შეთქმულებაში მივიღო მონაწილეობა. მე კი ვგიჟდები, ვგრძნობ, რომ ვგიჟდები. ვინ მიხელმძღვანელებს? რა მომელის?»

XVIII

მკაცრი წუთები

> და ეს ქალი გულახდილად მეუბნება ამას, ყოველივე წვრილმანს მიამბობს. მისი მშვენიერი, ჩემკენ მოპყრობილი თვალები გამოხატავს სიყვარულს, რომელსაც იგი სხვის მიმართ გრძნობს.
>
> **შილერი**

მატილდა დე ლამოლი აღტაცებული ფიქრობდა, კინაღამ არ მომკლესო. ქალი იქამდე მივიდა, რომ გულში ამბობდა: «იგი ღირსია ჩემი ბატონი იყოს, იმიტომ რომ ცოტაღა დააკლდა, კინაღამ მომკლა. რამდენი ლამაზი, წარჩინებული ყმაწვილის შედნობაა საჭირო, რომ ასეთი გახელება ვიხილოთ!.. უნდა გამოვტყდე, რომ იგი ძალიან ლამაზი იყო, როცა სკამზე შედგა, რათა დაშნა ისე ლამაზად ჩამოეკიდა, როგორც დეკორატორმა ჩამოჰკიდა. არც ისე უგუნური ვყოფილვარ, რომ იგი შემიყვარდა».

ამ წუთში რაიმე წესიერი საბაბი რომ აღმოჩენილიყო შესარიგებლად, ქალი სიამოვნებით ხელს ჩასჭიდებდა მას. ჟიულიენი თავის ოთახში იყო ჩაკეტილი და სასოწარკვეთილებას შეეპყრო. ისე გაგიჟებული იყო, რომ ფიქრობდა, მატილდას ფეხქვეშ ჩავუვარდებიო.

მატილდა უკვე მომხიბლავ ფერებში ხატავდა მოკლე წუთებს, სიყვარულს რომ შესწირა. იგი თითქმის სინანულით იგონებდა ამ წუთებს. «მართლაც, _ ფიქრობდა იგი, _ ჩემი ვნება ამ საბრალო ჭაბუკისადმი გაგრძელდა ნაშუაღამევის პირველი საათიდან, როცა იგი კიბეზე ამოვიდა თავისი დამბაჩებით შეიარაღებული, დილის რვა საათამდე. მეოთხედი საათის შემდეგ, წირვის მოსმენის დროს წმინდა ვალერის ეკლესიაში, მე უკვე ვფიქრობდი, იგი, ალბათ, ჩემს დამორჩილებას დაშინებით ეცდება-მეთქი».

სადილის შემდეგ მატილდა დე ლამოლი არა თუ აღარ გაურბოდა ჟიულიენს, არამედ თვით გამოელაპარაკა მას და სთხოვა, ბაღში ჩამყევიო. ვაჟი დათანხმდა. მატილდა ძალაუნებურად ემორჩილებოდა სიყვარულს, რომელიც ხელახლა იღვიძებდა მასში. დიდ სიამოვნებას გვრიდა ვაჟის გვერდით გასეირნება, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ჟიულიენის ხელებს, მის მოსაკლავად დაშნა რომ იშიშვლა.

ასეთი მოქმედების შემდეგ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, ადრინდელი საუბარი შეუძლებელი იყო.

თანდათან მატილდა ინტიმურ ტონზე გადავიდა და თავისი გულისნადები გაუმჟღავნა. ქალი არაჩვეულებრივ სიამოვნებას პოულობდა ამგვარ საუბარში; იქამდე მივიდა, რომ უამბო თავისი ხანმოკლე გატაცება ბ. დე კრუაზენუათი, ბ. დე კაიუსით...

_ როგორ, ნუთუ ბ. დე კაიუსიც მოგწონდათ! _ წამოიძახა ჟიულიენმა. ამ წამოძახილში გამოიხატა მიტოვებული მიჯნურის მთელი მწარე მეშურნეობა. მატილდამაც ეს ასე დააფასა და სრულიადაც არ სწყენია.

ქალი განაგრძობდა ჟიულიენის წვალებას, დაწვრილებით და მხატვრულად უწერდა თავის წინანდელ გრძნობებს ისე, რომ ყოველივეს ინტიმური ჭეშმარიტების ბეჭედი ჰქონდა. ვაჟი ხედავდა, რომ მატილდა განცდილზე ლაპარაკობდა. მან გულისტკივილით შეამჩნია, რომ ლაპარაკის დროს ქალი აღმოჩენებს აკეთებდა თავის საკუთარ გულში.

შეუძლებელია, მეშურნეობამ მეტი ტანჯვა გამოიწვიოს.

ეჭვის აღება, რომ შენი მეტოქე უყვართ, უკვე მეტად მძიმე რამაა, მაგრამ შენი საყვარელი ქალის პირით მეტოქის მიერ შთაგონებული სიყვარულის ამბის მოსმენა აუტანელი სატანჯველია.

ოჰ, როგორ ისჯებოდა ამ წუთში ჟიულიენი იმ ზვიადობისათვის, რომელმაც იგი აიძულა, თავი კაიუსზე და კრუაზენუაზე მაღლა დაეყენებია! როგორი ინტიმური გულისტკივილით აჭარბებდა იგი ყოველ მათ უპირატესობას! როგორ გულწრფელად სძულდა თავისი თავი!

მატილდა მას გასაღმერთებლად მიაჩნდა, ყოველი სიტყვა სუსტი იყო მისი თაყვანისცემის გამოსახატავად. ვაჟი ქალის გვერდით მიდიოდა და მალვით უცქეროდა მის ხელებს, მის მკლავებს, მის მეფურად თავის დაჭერას. მზად იყო, ფეხებში ჩავარდნოდა, განადგურებული სიყვარულითა და უბედურებით, და წამოეძახა: «შემიბრალეთ!»

«ეს მშვენიერი, ეს წარჩინებული ქალი, რომელსაც მხოლოდ ერთი დღით ვუყვარდი, უეჭველად ჩქარა ბ. დე კაიუსს შეიყვარებს».

ჟიულიენს არ შეეძლო მატილდა დე ლამოლის გულწრფელობაში ეჭვი ჰქონოდა: ყოველივეს, რასაც იგი ამბობდა, აშკარა ჭეშმარიტების ელფერი ჰქონდა. მისი უბედურების დასამთავრებლად მატილდამ ისე დაიწყო ლაპარაკი თავის გრძნობაზე ბ. დე კაიუსისადმი, რომ გეგონებოდათ, ახლაც უყვარს იგიო. უეჭველია, მის სიტყვებში სიყვარული გამოსჭვიოდა, ჟიულიენი ამას ნათლად ხედავდა.

ჟიულიენი ამდენ ტაჯვას არ იგრძნობდა, თუნდ მკერდში გამდნარი ტყვია ჩაესხათ. ასეთ უბედურ ყოფაში როგორ შეეძლო საბრალო ყმაწვილს წარმოედგინა, რომ თუ მატილდა ასეთი სიამოვნებით იხსენებდა თავის სიყვარულს ბ. დე კაიუსა და ბ. დე ლიუზისადმი, ეს იმიტომ, რომ ჟიულიენს ელაპარაკებოდა.

შეუძლებელია ჟიულიენის სევდის გადმოცემა. იგი ისმენდა სხვებისადმი მიძღვნილი სიყვარულის აღსარებას სწორედ იმავე ცაცხვების ხეივანში, სადაც სულ რამდენიმე დღის წინათ ელოდა, რომ ნაშუაღამევის პირველ საათს დაერეკა, რათა სატრფოს ოთახში შესულიყო. ადამიანს მეტი ტანჯვის ატანა აღარ ძალუძს.

ეს მკაცრი გულახდილობა მთელი კვირა გაგრძელდა. მატილდა ხან თითქო ეძებდა, ხან თითქო მხოლოდ არ გაურბოდა მასთან ლაპარაკის საბაბს. ორივენი რაღაც ერთგვარი სასტიკი გულისთქმით უბრუნდებოდნენ ერთსა და იმავე თემას: ეს იყო გრძნობები, რომელთაც ქალი სხვებისადმი განიცდიდა. იგი მას უამბობდა წერილებზე, რომელიც სხვებისადმი მიეწერა, იქიდან ზოგიერთი გამოთქმა ან მთელი წინადადებები მოჰყავდა. უკანასკნელ დღეებში ჟიულიენს თითქო ერთგვარი ბოროტი სიხარულით უცქეროდა. მისი ტანჯვა ნამდვილ სიამოვნებას ანიჭებდა ქალს.

აქედან ჩანს, რომ ჟიულიენს არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა ცხოვრებაში, თვით რომანებიც კი არ წაეკითხა. იგი ცოტათი უფრო გამოცდილი რომ ყოფილიყო, გულგრილად ეტყოდა ამ თავის სათაყვანებელ ქალს, რომელიც ასეთ უცნაურ აღსარებას აძლევდა: «აღიარეთ, რომ თუმცა მე ამ ვაჟბატონების ფასად არ ვღირვარ, თქვენ მხოლოდ მე გიყვარვართ...»

შეიძლება ქალი კმაყოფილი ყოფილიყო, ვაჟს რომ გამოეცნო. ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა უკვე ერთფეროვანი ხდებოდა მატილდას თვალში.

_ თქვენ კი მე არ გიყვარვართ, მე, ვინც თქვენ გაღმერთებთ! _ უთხრა მას ერთხელ სიყვარულითა და უბედურებით თავგზააბნეულმა ჟიულიენმა. ეს უდიდესი სისულელე იყო, რომელიც მას შეეძლო ჩაედინა.

ამ სიტყვებმა თვალის დახამხამებაში გაანადგურეს მთელი სიამოვნება, რომელსაც მატილდა დე ლამოლი განიცდიდა, როცა მას თავისი გულის მდგომარეობაზე ესაუბრებოდა. ქალს უკვირდა, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, ჟიულიენს შეურაცხყოფას აღარ აყენებდა მისი მოთხრობები. მატილდას კიდეც ეშინოდა, შეიძლება აღარ ვუყვარვარო. «უეჭველია, სიამაყემ ჩაახშო მისი სიყვარული, _ ფიქრობდა ქალი. _ იგი ისეთი ადამიანი არაა, რომ მაპატიოს კაიუსისა, დე ლიუზისა, კრუაზენუასადმი უპირატესობის მინიჭება. არა, მას ვერასოდეს ვეღარ ვიხილავ ჩემ ფეხთ ქვეშ».

წინა დღეებში ჟიულიენი, რომელიც გულუბრყვილობას იჩენდა თავის უბედურებაში, ხშირად გულწრფელ შექებას უძღვნიდა ამ ვაჟბატონების ბრწყინვალე თვისებებს; აჭარბებდა კიდეც. ეს არ გამოპარვია მატილდა დე ლამოლს. იგი გაკვირვებული იყო, მაგრამ ამის მიზეზი ვერ გაეგო. საქმე ისაა, რომ, როცა ჟიულიენის აღგზნებული სული თავის მეტოქეს აქებდა, თითქო განიცდიდა მის ბედნიერებას.

ახლა კი ვაჟის გულწრფელმა, მაგრამ უაზრო სიტყვებმა ყოველივე შეცვალა ერთ წუთში: მატილდა უცებ დარწმუნდა, ვუყვარვარო, და ზიზღი იგრძნო მისდამი.

ისინი ერთად სეირნობდნენ ამ უხერხული ლაპარაკის დროს: ქალმა ვაჟი მაშინვე მიატოვა. მისი უკანასკნელი შეხედვა უსასტიკეს ზიზღს გამოხატავდა. შემდეგ სალონში მთელი საღამო ერთხელაც არ შეუხედავს ჟიულიენისათვის. მეორე დღეს მთელი მისი გული ამ ზიზღით იყო გამსჭვალული... ვაჟის დანახვაც კი მისთვის არასასიამოვნო იყო.

ჟიულიენს სრულიად არ ესმოდა, თუ რა ხდებოდა ამ ერთი კვირის განმავლობაში მატილდას გულში, მაგრამ მისი ზიზღი კი იგრძნო. მას ჭკუა ეყო, რათა რაც შეიძლება იშვიათად შეხვედროდა ქალს და არასოდეს არ შეხედა მისთვის.

მაგრამ ჟიულიენი მომაკვდინებელ ტანჯვას განიცდიდა იმის გამო, რომ სატრფოს ვეღარ ხვდებოდა. ეგონა, კიდევ უფრო უბედური გავხდიო. მამაკაცის მამაცობა უფრო შორს ვერ წავაო, ფიქრობდა იგი. მთელ დღეებს სასახლის სახურავის ქვეშ ატარებდა, მეზონინში, პატარა ფანჯარასთან. დარაბები დახურული იყო და იქიდან შეეძლო მატილდა დე ლამოლისთვის ეცქირა, როცა იგი ბაღში გამოჩნდებოდა.

რა უნდა ეგრძნო მას, როცა ნასადილევს ხედავდა, რომ ქალი ბ. დე კაიუსსა, ბ. დე ლიუზსა და სხვა ისეთ ვინმესთან სეირნობდა, ვინც ქალს, მისივე აღიარებით მოსწონდა? ჟიულიენს მანამდე წარმოდგენა არ ჰქონია ასეთ მძაფრ ტანჯვაზე; მზად იყო დაეყვირა; მისი მტკიცე სული საფუძვლიანად შეირყა. ყოველი აზრი, რომელიც მატილდა დე ლამოლს არ შეეხებოდა, მისთვის აუტანელი გახდა, ძალა აღარ შესწევდა სრულიად უბრალო წერილები დაეწერა.

_ თქვენ ჭკუაზე შეცდით, _ უთხრა მას მარკიზმა.

ჟიულიენი შიშობდა, არაფერი გამიგონო და ავადმყოფობა მოიმიზეზა. მისდა საბედნიეროდ, სადილობის დროს მარკიზმა ხუმრობა დაუწყო მომავალ მოგზაურობაზე. მატილდა მიხვდა, შეიძლება ეს მოგზაურობა მეტად ხანგრძლივი იქნესო. უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც ჟიულიენი გაურბოდა, ხოლო ბრწყინვალე ყმაწვილებს, - რომელთაც ჰქონდათ ყოველივე, რაც ამ ფერმკრთალ და პირქუშ არსებას, მის ყოფილ საყვარელს კი აკლდა, - ძალა აღარ შესწევდათ მის გასამხიარულებლად.

«ჩვეულებრივი ქალიშვილი თავის ნანდაურს ამ ახალგაზრდებში ამოარჩევდა, რომელნიც საყოველთაო ყურადღებას იპყრობენ სალონში; მაგრამ გენიოსობის ერთი დამახასიათებელი თვისება ის გახლავთ, რომ იგი გატკეპნილი გზებით არ დადის. თუ ისეთი მამაკაცი შევირთე, როგორიც ჟიულიენია, რომელსაც არაფერი აკლია, გარდა სიმდიდრისა, რაიც სამაგიეროდ მე მაქვს, მე მუდამ ყურადღებას მივიპყრობ და ჩემი ცხოვრება შეუმჩნევლად არ ჩაივლის. მე არა თუ არ ვითრთოლებ რევოლუციის წინაშე, როგორც თრთიან ჩემი ბიძაშვილები, რომელნიც ხალხის შიშით მეეტლესაც ვერ გაჯავრებიან, არამედ დარწმუნებული ვარ, დიდ როლსაც ვითამაშებ, იმიტომ რომ ჩემ მიერ არჩეული ადამიანი ძლიერი ხასიათით და უსაზღვრო პატივმოყვარეობითაა დაჯილდოებული. რა აკლია მას? მეგობრები, ფული? ერთსაც და მეორესაც მე შევძენ».

მაგრამ თავის აზრებში მატილდა ჟიულიენს, ცოტა არ იყოს, უფრო დაბალ არსებად თვლიდა, რომელშიც შეიძლება სიყვარული აღვძრათ, როცა მოგვეპრიანება.

XIX

ოპერა ბუფი

აჰ, როგორ ჰგავს სიყვარულის
გაზაფხული აპრილის ცვალებად დღეს,

რომელსაც ხან მზის ციმციმი აშუქებს, ხან
მოულოდნელი ღრუბლები აბნელებს.

შექსპირი, «ორი ვერონელი»

მატილდა გაიტაცა ოცნებამ მომავალზე და იმ როლზე, რომლის შესრულებას იგი აპირებდა. ხანდახან ნანობდა, რატომ ასე მშრალად და განყენებულად ვესაუბრებოდი ჟიულიენსო. ხანდახან სევდიანად ფიქრობდა მასთან გატარებულ წუთებზე; ამ უკანასკნელ მოგონებებს სინდისის ქენჯნა მოსდევდა. ზოგჯერ ეს მეტად მძიმე იყო მისთვის.

«ყოველ ადამიანს თავისი სისუსტე აქვს, _ ფიქრობდა იგი, _ მაგრამ ჩემისთანა ქალმა თავისი ვალდებულება არ უნდა დაივიწყოს, თუ არ ღირსეული მამაკაცისთვის. ვერავინ ვერ იტყვის, რომ მე მისმა კოპწია ულვაშებმა ან ცხენზე ჯდომის ცოდნამ შემაცდინა; არა, მე გამიტაცა მისმა ღრმა მსჯელობამ საფრანგეთის მომავალზე, მისმა აზრებმა იმ მსგავსების შესახებ, რომელიც არსებობს ინგლისის 1688 წლის რევოლუციასა და ჩვენში ახლო მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს შორის. მე მოვიხიბლე; მე სუსტი ქალი ვარ, მაგრამ ასეა თუ ისე, გარეგნულ სილამაზეს არ შევუცდენივარ უბრალო ტიკინასავით. თუ რევოლუცია მოხდა, რად არ შეიძლება, რომ ჟიულიენ სორელმა როლანის* როლის ითამაშოს, ხოლო მე მადამ როლანისა? მე ეს როლი მირჩევნია, ვიდრე მადამ დე სტალისა: უზნეო ყოფაქცევა დაბრკოლებაა ჩვენს საუკუნეში. რასაკვირველია, მეორეჯერ შეცდომას აღარ ჩავიდენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, სირცხვილით მოვკვდებოდი».

უნდა გამოვტყდეთ, რომ მატილდას ოცნება ყოველთვის ასეთი სერიოზული არ იყო, როგორც ჩვენს მიერ გადმოცემულ აზრებს შეეფერება. როცა ჟიულიენს უცქეროდა, ყოველი მისი მოქმედება არაჩვეულებრივად მომხიბლავი ეჩვენებოდა.

«უჭველია, _ ფიქრობდა მატილდა, _ მე შევძელი მასში იმ აზრის განადგურება, რომ რაიმე უფლება აქვს ჩემს მიმართ. ეს, სხვათა შორის, დაამტკიცა უბედურმა და ვნებიანმა გამომეტყველებამ, რომლითაც მან ერთი კვირის წინათ მითხრა, მიყვარხარო. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი მხრით ახირებული რამ იყო ისეთი სიტყვისთვის გაჯავრება, რომელშიც ამდენი მოკრძალება და ვნება გამოიხატებოდა. განა მე მისი ცოლი არა ვარ? ჟიულიენი განაგრძობდა ჩემს სიყვარულს იმ დაუსრულებელი და სასტიკი საუბრის შემდეგაც, რომელშიც მე მას ვუმხელდი ჩემს სიყვარულს მაღალი საზოგადოების ყმაწვილებისადმი, ეს კი მეშურნეობის გრძნობას იწვევდა მასში. აჰ, რომ იცოდეს, რა

ნაკლებ საშიში არიან ჩემთვის! რა გახუნებულად და ერთ ყალიბზე ჩამოსხმულად მეჩვენებიან ისინი».

მატილდა ამ ფიქრებში იყო წასული და ფანქრით თავის ალბომში შემთხვევით სილუეტებს ხატავდა. ერთმა პროფილმა, რომელიც ეს იყო დაამთავრა, ქალი გააოცა, აღტაცებაში მოიყვანა: იგი ჟიულიენს ჰგავდა საოცრად. «ეს ზეცის ხმაა, ეს სიყვარულის სასწაულია, _ წამოიძახა მან გატაცებით: _ შეუგნებლად მისი პორტრეტი დავხატე».

ქალი თავის ოთახში გაიქცა, იქ ჩაიკეტა. ბევრი ეცადა, დაეხატა ჟიულიენის პორტრეტი, მაგრამ ვერ შეძლო; შემთხვევით მოხაზული პროფილი ყველაზე მეტ მსგავსებას შეიცავდა. მატილდა კმაყოფილი იყო: მასში იგი დიდი ვნების აშკარა დამამტკიცებელ საბუთს ხედავდა.

მან თავისი ალბომი მხოლოდ გვიან მიატოვა, როცა დედამ დაიბარა, რათა იტალიურ ოპერაში წასულიყვნენ. მატილდა თვალით ეძებდა ჟიულიენს, რათა დედისთვის მისი მოპატიჟება ეთხოვა. მაგრამ ვაჟი არ გამოჩენილა, და ამ ქალების ლოჟაში მხოლოდ ვულგარულმა ადამიანებმა მოიყარეს თავი. ოპერის პირველი აქტის დროს მატილდა ოცნებობდა ადამიანზე, რომელიც მას უმძაფრესი ვნების თრთოლვით უყვარდა; მაგრამ მეორე აქტის დროს მას გული აუჩქროლა სიყვარულის სიმღერამ, რომლის მელოდია ღირსი იყო ჩიმაროზასი.* ოპერის გმირი ქალი ამბობდა: «მე თავი უნდა დავისაჯო მისი ზედმეტი სიყვარულისთვის».

როგორც კი მატილდამ ეს საუცხოო სიმღერა გაიგონა, ყოველივე დედამიწის ზურგზე გაქრა მისთვის. მას ელაპარაკებოდნენ, მაგრამ იგი არაფერს უპასუხებდა. დედა ტუქსავდა, მაგრამ მას ვერც კი შეეხედა მშობლისათვის. მისმა ექსტაზმა იმავე ვნების სიმძაფრეს მიაღწია, რომელსაც რამდენიმე დღეა, ჟიულიენი განიცდიდა მისდამი. ეს საუცხოო სიმღერა, რომელიც ქალს ასე თავის მდგომარეობაზე გამოჭრილად ეჩვენა, მას ფლობდა იმ წუთებში, როცა იგი უშუალოდ ჟიულიენზე არ ფიქრობდა. მუსიკის სიყვარულის წყალობით მატილდა ამ საღამოს ისეთი გახდა, როგორიც ქალბატონი დე რენალი იყო ყოველთვის, როცა ჟიულიენზე ფიქრობდა. ის, ვისაც თავით უყვარს, უეჭველია, მეტ გონებას იჩენს, ვიდრე ის, ვისაც მთელი არსებით უყვარს, მაგრამ პირველ შემთხვევაში აღფრთოვანების წუთები ნაკლებია. ასეთი ადამიანი თავის თავს კარგად იცნობს, თავის თავზე მსჯელობს განუწყვეტლივ; იგი არა თუ თავგზას არ უკარგავს აზრს, იგი არსებობს აზრის შემწეობით.

შინ დაბრუნებისთანავე მატილდამ ციება მოიმიზეზა, დედის წყენასაც აღარ დარიდებია და შუაღამემდე პიანინოზე ახლად მოსმენილ სიმღერას უკრავდა. იგი მღეროდა ამ სახელოვანი არიის სიტყვებს: «მე თავი უნდა დავისაჯო მისი ზედმეტი სიყვარულისთვის!»

ამ გიჟური ღამის შემდეგ მან წარმოიდგინა, გავიმარჯვე ჩემს სიყვარულზეო (წიგნის ეს გვერდი მრავალგზის ზიანს მიაყენებს საბრალო ავტორს. გაყინული სულის ადამიანები მას უზრდელობას დააბრალებენ. მაგრამ ავტორი არ შეურაცხყოფს ახალგაზრდა პირთ, რომელნიც პარიზის სალონებში ბრწყინავენ, იმ აზრის გამოთქმით, რომ თუნდ ერთს მათგანს შეუძლია ის გიჟური ქცევა ჩაიდინოს, რომელიც ასე ამცირებს მატილდას ხასიათს. ეს პირი სავსებით ფანტაზიის პროდუქტია, და თვით ფანტაზიით წარმოდგენილი, იმ სოციალური ზნე-ჩვეულების გარეშე დგას, რომელნიც ყველა საუკუნეთა შორის უპირატესობას მიანიჭებენ XIX საუკუნეს. ახალგაზრდა ქალებს, რომელნიც ამ ზამთარში ამკობდნენ საზეიმო საღამოებს, გონიერება როდი აკლდათ.

მე არც იმასა ვფიქრობ, რომ შეიძლებოდეს მათთვის იმის დაბრალება, რომ ათვალწუნებული აქვთ სიმდიდრე, ცხენები, მშვენიერი ადგილ-მამულები და ყოველივე ის, რაც ადამიანს სასიამოვნო მდგომარეობას ანიჭებს საზოგადოებაში. ისინი არა თუ ზედმეტად არ თვლიან ამ უპირატესობათ, პირიქით, საერთოდ მუდმივ მიისწრაფიან მათკენ, და თუ მათს გულში რაიმე ვნებათა ღელვა არსებობს, ეს ამ საგნებითაა გამოწვეული.

აგრეთვე ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდა კაცები, როგორიც ჟიულიენია, თავიანთ ბედს სიყვარულის შემწეობით როდი აწყობენ. ისინი უკავშირდებიან რომელიმე პარტიას, და როცა პარტიას ბედი გაუღიმებს, ყოველივე საზოგადოებრივი სიკეთე თავზე ეყრებათ. ვაი, მეცნიერების მოღვაწეს, რომელიც არავითარ პარტიას არ ეკუთვნის - მას მხოლოდ საყვედური ელის. მას გაქურდავენ უმაღლესი სათნოების სახელით. ეჰ, ბატონო, რომანი სარკეა, რომელსაც შარაგზაზე ატარებენ. ის ხან ზეცის ლაჟვარდს ასახავს, ხან გზის ტალახსა და ჭაობს. ნუთუ თქვენ უზნეო არსებას უწოდებთ ადამიანს, რომელსაც სარკე აქვს ზურგზე მოკიდებული. უმჯობესია, შარაგზას დასდოთ ბრალი ან კიდევ გზათა ინსპექტორს, რომელიც წყალს ნებას აძლევს შეგუბდეს და ტალახი დააყენოს.

ახლა, როცა შევთანხმდით, რომ მატილდას ხასიათი შეუძლებელია ჩვენს კეთილგონიერ და სათნოებით აღსავსე საუკუნეში, მე ნაკლებ მეშინია მკითხველის გაღიზიანებისა, თუ მშვენიერი ქალიშვილის სიგიჟეთა მოთხრობას განვაგრძობ).

მთელი მეორე დღის განმავლობაში ქალი შემთხვევებს ეძებდა, რათა დარწმუნებულიყო, გავიმარჯვე ჩემს უგუნურ გულისთქმაზეო. მიზნად დაისახა, ყველაფერში წინააღმდეგობა გაეწია ჟიულიენისთვის; მაგრამ არც ერთი მისი მოძრაობა არ გამოპარვია.

ჟიულიენი მეტად უბედური და, უწინარეს ყოვლისა, მეტად აღელვებული იყო, რათა ასეთი რთული ვნებათა ღელვის ხრიკები გაეგო; კიდევ უფრო ძნელი იყო იმის გაგება, რა იყო ამ ქცევაში მისთვის ხელსაყრელი; იგი ქალის მანევრების მსხვერპლი გახდა. შეიძლება არასოდეს ასე უბედური არ ყოფილიყო. მისი გონება ისე ნაკლებ განაგებდა მის მოქმედებას, რომელიმე გულთბილ ფილოსოფოსს მისთვის რომ ეთქვა, ჩქარა გამოიყენეთ ამ ქალიშვილის კეთილგანწყობილება, ამ ცივი გონების სიყვარულში, რომელიც პარიზში გვხვდება, თავის დაჭერის ერთნაირი მანერა არ შეიძლება ორ დღეზე მეტს გაგრძელდესო, ჟიულიენი ამ ფილოსოფოსს ვერ გაუგებდა. მაგრამ თავისი აღფრთოვანების მიუხედავად, ჟიულიენი კეთილშობილი კაცი იყო. იგი მიხვდა, რომ მისი პირველი ვალდებულება დუმილი იყო. ვინმესთვის რჩევის თხოვნა, ვინმესთვის თავისი წამების გამხელა მისთვის ისეთივე პაწია ბედნიერება იქნებოდა, როგორიც უდაბნოში მიმავალისთვის ზეციდან ერთი წვეთი ცივი წყლის მიღებაა. ხედავდა საფრთხეს, შიშობდა, ცრემლების ნიაღვრით არ ვუპასუხო პირველსავე შეკითხვაზეო; ამიტომ თავის ოთახში ჩაიკეტა.

მან დაინახა, რომ მატილდა დიდხანს სეირნობდა ბაღში. როცა ბოლოს ქალი შინ შევიდა, ჟიულიენი ბაღში ჩავიდა. იგი მიუახლოვდა ვარდის ბუჩქს, სადაც ქალმა ყვავილი მოწყვიტა.

ღამე ბნელი იყო, შეეძლო თავისი უბედურება განეცადა ისე, რომ არ შინებოდა, ვინმე დამინახავსო. მისთვის ცხადი იყო, რომ მატილდა დე ლამოლს ერთ-ერთი იმ ახალგაზრდა ოფიცერთაგანი უყვარდა, რომელთაც იგი ეს იყო ბაღში ასე მხიარულად ელაპარაკებოდა. «მეც ვუყვარდი, მაგრამ დარწმუნდა, რომ არაფერს წარმოვადგენ. მართლაც, მე თითქმის არავითარი ღირსება არა მაქვს, _ ფიქრობდა ჟიულიენი სრული თვითდაჯერებით. _ საერთოდ, მე სულელი, ვულგარული, მოსაწყენი არსება ვარ სხვებისთვის, ჩემივე თავი ვერ ამიტანია».

მისთვის აუტანელი გახდა ქალის თვისებები, ყველაფერი, რაც წინათ ასე იტაცებდა; და ამ ყოფაში, როცა მისი წარმოდგენები თითქო თავდაყირა იდგნენ, ჟიულიენი ცდილობდა ცხოვრება თავისი ფანტაზიით განესაჯა. ასეთია რჩეული ადამიანის შეცდომა.

რამდენჯერმე თვითმკვლელობის აზრიც ეწვია. ეს წარმოდგენა მისთვის მომხიბლავი იყო და საუცხოო მოსვენებასაც ჰპირდებოდა. ეს იყო გაყინული ჭიქა წყალი, მიწოდებული უბედური ადამიანისათვის, რომელსაც უდაბნოში წყურვილისა და სიცხისაგან ამოსდის სული.

_ ჩემი სიკვდილი მხოლოდ გააძლიერებს ზიზღს, ჩემს მიმართ რომ აქვს, _ წამოიძახა მან. _ რა მოგონებას დავტოვებ მასში!

როცა ადამიანი ასეთი უბედურების უფსკრულში ვარდება, მას მხოლოდ საკუთარი ვაჟკაცობა თუ იხსნის. ჟიულიენს იმდენი ნიჭი არ ჰქონდა, რომ თავის გულში ეთქვა, გაბედულება უნდა გამოვიჩინოო. მაგრამ როცა იგი მატილდას ოთახს უცქეროდა, დარაბების ჭუჭრუტანაში დაინახა, რომ ქალმა სინათლე ჩააქრო. ნათლად წარმოიდგინა ეს მომხიბლავი ოთახი, რომელიც თავის სიცოცხლეში, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ნახული. მისი ფანტაზია ამაზე შორს აღარ მიდიოდა.

საათმა ჩამოჰკრა. ზარის ხმის გაგონება და თქმა _ კიბეზე მინდა ავიდეო, ერთი იყო.

ეს იყო გენიის ნაპერწკლის განათება. ამის შემდეგ ყველა საბუთი მისი განზრახვის განსამტკიცებლად მწყობრად მოვიდა. ის კიბის მოსათრევად გაიქცა. მეზაღეს კიბე ჯაჭვით მიება. ჟიულიენმა, რომელიც ამ წუთში ზეადამიანურ ძალას გრძნობდა, თავისი ერთი დამბაჩის ჩახმახით გაღუნა ჯაჭვის რგოლი, ხელი დაავლო კიბეს და მატილდას ფანჯარაზე მიაყუდა.

«გაჯავრდება, ზიზღით გამანადგურებს, მაგრამ რა ვუყოთ? მაინც ვაკოცებ, უკანასკნელად ვაკოცებ, ჩემს ოთახში ავალ და თავს მოვიკლავ... ჩემი ტუჩები მის ლოყას შეეხებიან სიკვდილის წინ!»

უფრო აფრინდა, ვიდრე ავიდა კიბეზე და დარაბაზე დააკაკუნა. მატილდამ მაშინვე ყური მოჰკრა, უნდოდა დარაბა გაეღო, მაგრამ კიბე უშლიდა. ჟიულიენი დარაბის კავს ჩამოეკიდა ისე, რომ კინაღამ ჩამოვარდა და ხელი ჰკრა კიბეს, რათა იგი ოდნავ გაეწია. მატილდამ ახლა უკვე შეძლო დარაბის გაღება.

ვაჟი ქალის ოთახში გადაეშვა უფრო მკვდარი, ვიდრე ცოცხალი.

_ ეს შენა ხარ! _ უთხრა ქალმა და ჩაეკონა...

ვინ აღწერს ჟიულიენის უდიდეს ბედნიერებას? მატილდაც თითქმის არა ნაკლებ ბედნიერი იყო.

_ დამსაჯე ჩემი საშინელი სიამაყისათვის, _ ეუბნებოდა ქალი და ისე მაგრად იხუტებდა, თითქო მისი დახრჩობა სდომებოდეს. _ შენ ჩემი ბატონი ხარ, მე კი შენი _ მონა; მუხლმოდრეკილმა უნდა გთხოვო, მაპატიე, რომ შენს წინააღმდეგ ავმხედრდი.

ქალმა ვაჟი მკერდიდან მოიშორა, რათა მის ფეხქვეშ დამხობილიყო.

_ დიახ, შენ ჩემი ბატონი ხარ, _ ეუბნებოდა იგი ბედნიერებითა და სიყვარულით მთვრალი, _ სამუდამოდ იბატონე ჩემზე, მკაცრად დასაჯე შენი მხევალი, როცა იგი ამბოხებას მოისურვებს.

მეორე წუთში ქალი განთავისუფლდა ვაჟის მკლავებისაგან, სანთელი აანთო, და ჟიულიენმა მხოლოდ დიდი გაჭირვებით შეუშალა ხელი, რომ მას მთელი ერთი ბღუჯა თმა მოეკვეცა.

_ მინდა მახსოვდეს, რომ შენი მხევალი ვარ. თუ ოდესმე შეჩვენებულმა ამპარტავნობამ თავგზა დამიკარგა, ეს თმა მაჩვენე და მითხარი: საქმე ეხება არა სიყვარულს, არა გრძნობას, რომელსაც შეიძლება შენი სული განიცდიდეს ამ წუთში; შენ ფიცი მომეცი, რომ დამემორჩილებოდი და კეთილინებე ფიცის შესრულება-თქო.

მაგრამ ავტორი ფიქრობს, რომ უფრო ბრძნული იქნებოდა, თუ იგი თავს შეიკავებდა ასეთი სიგიჟისა და ბედნიერების აღწერისაგან.

ჟიულიენის კეთილშობილება მის ბედნიერებას უდრიდა:

_ კიბეზე უნდა დავეშვა, _ უთხრა მან მატილდას, როცა დაინახა, რომ ბაღის იქით შორეული საკვამლეები განთიადმა გაანათა. _ მსხვერპლი, რომლის გაღებასაც მე ვკისრულობ, თქვენი ღირსია; მე ჩემს თავს ვართმევ რამდენიმე საათს ყველაზე გასაოცარი ბედნიერებისა, რომელიც შეიძლება ადამიანმა იგემოს; მაგრამ ამ მსხვერპლს თქვენი რეპუტაციის გულისთვის ვიღებ. თუ ჩემს გულს იცნობთ, გაიგებთ, რარიგ ვატან თავს ძალას; ყოველთვის ასეთივე იქნებით თუ არა ჩემთვის, როგორიც ამ წუთში ხართ? იცოდეთ, რომ ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ ეჭვი მარტო ქურდებზე კი არ აუღიათ. ბატონმა დე ლამოლმა დარაჯები დააყენა ბაღში. ბ. დე კრუაზენუა ჯაშუშებითაა გარემოცული: იტყობენ, რას აკეთებს იგი ყოველ ღამეს...

ამ სიტყვების გაგონებაზე მატილდას ისეთი კისკისი აუტყდა, რომ მის დედასა და მოსამსახურე ქალს გამოეღვიძათ. ისინი ქალს გამოელაპარაკნენ მეორე ოთახიდან. ჟიულიენმა მატილდას შეხედა, ხოლო ქალი გაფითრდა და მოსამსახურეს გაუჯავრდა, მაგრამ დედისთვის არაფერი უპასუხია.

_ თუ აზრად ფანჯრის გაღება მოუვიდათ, კიბეს დაინახავენ! _ უთხრა ჟიულიენმა.

ვაჟი ქალს ერთხელ კიდევ გადაეხვია, შემდეგ კიბეს ეცა და უფრო ჩაცურდა, ვიდრე ჩავიდა. ერთი წუთის შემდეგ მიწაზე იდგა.

სამიოდე წუთის შემდეგ კიბე უკვე ცაცხვების ხეივანში აღმოჩნდა, ხოლო მატილდას პატიოსანი სახელი გადარჩენილი იყო. როცა ჟიულიენი ცოტათი დაშოშმინდა, შეამჩნია, რომ გასისხლიანებული და თითქმის ტიტველი იყო. მან თავი იტკინა კიბეზე ჩასრიალების დროს.

დიდი ბედნიერების გრძნობამ მთელი ენერგია დაუბრუნა: თუნდაც თავს ოცი კაცი დასხმოდა, მათთან შებრძოლება მისთვის მხოლოდ სიამოვნება იქნებოდა. საბედნიეროდ, მის სამხედრო ნიჭს არავითარი განსაცდელი არ შეხვედრია: კიბე თავის ჩვეულებრივ ადგილას დადო და ჯაჭვით მიამაგრა; არ დავიწყებია წაეშალა კვალი, რომელიც კიბემ ეგზოტიკური ყვავილების კვალზე დატოვა მატილდას ფანჯრის ქვეშ.

იგი დილის ბუნდბუნდში ხელს აფათურებდა რბილ მიწაზე, რათა დარწმუნებულიყო, რომ კიბის კვალი სრულიად წაშლილი იყო, როცა ხელზე რაღაც დაეცა: ეს იყო ერთი ბღუჯა თმა, რომელიც მატილდას მოეკვეცა და მისთვის ჩამოეგდო.

ქალი ფანჯარაში იდგა.

_ აი, რას გიგზავნის შენი მხევალი, _ უთხრა მან საკმაოდ ხმამაღლა, _ ეს საუკუნო მადლობის ნიშანია. მე უარს ვამბობ ჩემი გონების გამოყენებაზე, იყავი ჩემი მბრძანებელი.

მოჯადოებული ჟიულიენი კინაღამ კიბის მოსატანად გაიქცა, რათა ხელახლა ასულიყო ქალთან. ბოლოს, გონებამ გაიმარჯვა.

ბაღიდან სასახლეში შესვლა ადვილი საქმე როდი იყო: ამისთვის მას სარდაფში გავლა მოუხდა. როცა სახლში შევიდა, იძულებული გახდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, უხმაუროდ შეემტვრია თავისი ოთახის კარი: საქმე ისაა, რომ მას მღელვარების გამო ქალის ოთახში დარჩენოდა გასაღები. «ღმერთმა ქნას, რომ მატილდას არ დაავიწყდეს ამ მომაკვდინებელი ნაშთის დამალვა», _ გაიფიქრა მან.

ბოლოს დაღლილობამ დასძლია ბედნიერების გრძნობა, და მზე უკვე ამოსულიყო იყო, როცა ღრმად ჩაეძინა.

მან ძლივს გამოიღვიძა საუზმის ზარის ხმაზე. ის იყო სასადილო ოთახში შევიდა, რომ მატილდაც გაჩნდა. ჟიულიენის თავმოყვარეობა სავსებით დაკმაყოფილებული იყო, როცა ამ მშვენიერი და ყველასაგან პატივცემული ქალის თვალებში სიყვარულის ბრწყინვალება დაინახა. მაგრამ ჩქარა შეშფოთდა: ვითომდა დროის უქონლობის საბაბით მატილდას ისე დაევარცხნა თმა, რომ ჟიულიენს პირველი შეხედვისთანავე შეეძლო

შეემჩნია მსხვერპლი, რომელიც ქალს გაეღო მისი გულისთვის. ასეთი მშვენიერი სახის გაფუჭება რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მატილდა ამას მიაღწევდა; მისი ფერფლისფერი ქერა თმა ნახევარი გოჯის სიგრძეზე იყო მოკვეცილი.

საუზმის დროს მატილდას ყოფაქცევა სავსებით შეეფერებოდა ამ პირველ გაუფრთხილებლობას. კაცი იტყოდა, მიზნად დაუსახავს მთელ ქვეყნიერებას აცნობოს თავისი გიჟური ვნება ჟიულიენისადმიო. საბედნიეროდ, ამ დღეს ბ. დე ლამოლი და მისი მეუღლე მხოლოდ ლურჯი ლენტით დაჯილდოებულთა სიაზე ფიქრობდნენ, რომელიც ეს იყო გამოქვეყნდა და რომელშიც შოლნის დუკა არ შედიოდა. საუზმის დასასრულს მატილდამ უცებ «ჩემი მბრძანებელი» უწოდა ჟიულიენს. ვაჟს ალმური აუვარდა.

შემთხვევით იყო თუ ქალბატონ დე ლამოლის ეჭვის წყალობით, მატილდა ერთი წუთითაც მარტო არ დარჩენილა ამ დღეს. მაგრამ საღამოთი სასადილოდან სასტუმრო სალონში შესვლის დროს ქალმა მაინც დრო იხელთა და წასჩურჩულა ჟიულიენს:

_ არ იფიქროთ, რომ ეს ოინი იყოს ჩემი მხრივ: დედაჩემმა გადაწყვიტა, რომ ერთ-ერთმა მისმა მოსამსახურე ქალმა ჩემს ოთახში დაიძინოს.

ამ დღემ ელვის სისწრაფით გაირბინა: ჟიულიენი უსაზღვროდ ბედნიერი იყო. მეორე დღეს დილის შვიდი საათიდან იგი უკვე ბიბლიოთეკაში იჯდა. იმედი ჰქონდა, რომ მატილდა დე ლამოლი კეთილინებებდა იქ შემობრძანებას. ჟიულიენმა მას უგრძელესი წერილი მისწერა.

მაგრამ ვაჟმა ქალი მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ დაინახა, საუზმის დროს. ამ დღეს მას თმა დიდი ხელოვნებით დაევარცხნა და მოკვეცილი კულული მოხერხებულად დაეფარა. ქალმა ერთი-ორჯერ შეხედა ჟიულიენს, მაგრამ მოკრძალებული და მშვიდობიანი თვალებით. ეტყობოდა, აზრადაც არ მოსდიოდა მისთვის თავისი მბრძანებელი ეწოდებინა.

ჟიულიენის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა... მატილდა თავის თავს თითქმის აყვედრიდა ყოველივეს, რაც ჟიულიენისთვის ჩაიდინა. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, რომ თუ ჟიულიენი სავსებით ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო, ყოველ შემთხვევაში იმდენად არ სცილდებოდა ზოგად საზომს, რომ ღირსი ყოფილიყო იმ გიჟური მოქმედებისა, რაც მან მისი გულისთვის გაბედა. საერთოდ აღარ ფიქრობდა სიყვარულზე; ამ დღეს მატილდა დაღლილი იყო სიყვარულით.

რაც შეეხება ჟიულიენს, მას გული უჩქროლავდა თექვსმეტი წლის ჭაბუკივით. საშინელი ეჭვი, გაოცება, სასოწარკვეთილება ერთიმეორეს ცვლიდა ამ საუზმის დროს, რომელიც მას დაუსრულებლად ეჩვენებოდა.

როგორც კი სუფრიდან ადგა, საჯინიბოში გაიქცა, თვითვე შეკაზმა თავისი ცხენი და გზას გაუდგა ნავარდით; ეშინოდა, თავი არ შევირცხვინო რაიმე სისუსტის გამოჩენითო. «ჩემი გული მევე უნდა შევმუსრო ფიზიკური დაღლილობით, _ ფიქრობდა იგი, როცა ცხენს მედონის ტყეში მიაჭენებდა. _ რა ვქენი ან რა ვთქვი ისეთი, რომ ასეთი გულისწყრომა დამემსახურებინა?»

«დღეს არაფერი არ უნდა გავაკეთო, არაფერი არ უნდა ვთქვა, _ ფიქრობდა იგი, როცა უკან დაბრუნდა და სასახლეს უახლოვდებოდა: _ მე მკვდარს უნდა დავემსგავსო ფიზიკურად ისევე, როგორც მორალურად ვემსგავსები. ჟიულიენი ცოცხალი აღარაა, მხოლოდ მისი ცხედარი მოძრაობს კიდევ».

XX

იაპონური ლარნაკი

> მისი გული თავდაპირველად ვერ გრძნობს, რა უზომოდ უბედურია იგი. იგი უფრო შეშფოთებულია, ვიდრე აღელვებული. მაგრამ როცა გონებას იკრებს, ხედავს მთელი თავისი უბედურების სიღრმეს. ცხოვრების ყველა სიამოვნებანი გაქრნენ მის თვალში. მას შეუძლია მხოლოდ მქენჯნავი სასოწარკვეთილების სიმძაფრე იგრძნოს. მაგრამ რა საჭიროა ფიზიკურ ტკივილზე ლაპარაკი? რომელი ხორციელი ტანჯვა შეედრება ამას?
>
> **ჟან პოლი**

სადილის ზარის ხმა გაისმა. ჟიულიენმა ძლივს მოასწრო ტანთ ჩაცმა. სალონში მატილდა დახვდა. იგი თავის ძმასა და ბ. დე კრუაზენუას სთხოვდა, საღამოთი სიურენში ნუ წახვალთ მარშალის მეუღლე დე ფერვაკთანო. მატილდა ვაჟებს ამაზე უფრო სასიამოვნოს ვერაფერს ეტყოდა. სადილის შემდეგ გამოჩნდნენ დე ლიუზი, დე კაიუსი და მრავალი მათი მეგობარი. კაცს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ ძმური სიყვარულის კულტთან

ერთად მატილდა დე ლამოლს დარბაისლობის პატივისცემაც დაბრუნებიაო. თუმცა საღამოთი საუცხოო დარი იდგა, ქალმა არ მოისურვა ბაღში ჩასვლა. მას უნდოდა, რომ ხალხი არ მოშორებოდა სავარძელს, სადაც ქალბატონი დე ლამოლი იჯდა. ისევე, როგორც ზამთარში, ცისფერი დივანი მთელი ჯგუფის ცენტრად იქცა.

მატილდა გულმოსული იყო ბაღზე, ყოველ შემთხვევაში, იქით აღარ მიუხაროდა: იგი ხომ დაკავშირებული იყო მოგონებებთან, რომელიც ჟიულიენს შეეხებოდა.

უბედურება ადამიანს ასულელებს. ჩვენმა გმირმა იმდენი მოუსაზრებლობა გამოიჩინა, რომ იმ პატარა სელის სკამთან გაჩერდა, რომელიც ერთ დროს მისი ესოდენ ბრწყინვალე ტრიუმფების მოწმე იყო. დღეს ერთი სიტყვაც არავინ აღირსა; თითქო ვერავინ ამჩნევდა, კიდევ უარესი: მატილდა დე ლამოლის მეგორები, რომელნიც მის გვერდით ისხდნენ დივნის ბოლოში, ცდილობდნენ ზურგი შეექციათ მისთვის; ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეჩვენებოდა.

«ეს მეფის კარის წყრომის ნიშანია», გაიფიქრა ჟიულიენმა. უნდოდა, უკეთ დაკვირვებოდა ადამიანებს, რომელნიც ასე ათვალწუნებას უპირებდნენ.

ბ. დე ლიუზის ბიძას დიდი ადგილი ეჭირა მეფესთან. ამიტომ ეს ბრწყინვალე ოფიცერი ერთსა და იმავე საინტერესო ამბავს იმეორებდა ყოველი ახალმოსულის გასაგონად: ბიძაჩემი სენ კლუში* გაემგზავრა დილის შვიდ საათზე და იქ აპირებს ღამის გათევასო.

როცა ჟიულიენი მკაცრი თვალით დააკვირდა ბ. დე კრუაზეუნას, შეამჩნია, რომ ეს თავაზიანი და კეთილი ახალგაზრდა კაცი დიდ მნიშვნელობას აძლევდა რაღაც ზებუნებრივ მიზეზებს. მას თითქო გულიც კი მოსდიოდა, როცა ხედავდა, რომ ოდნავ მნიშვნელოვან მოვლენას უბრალო და ბუნებრივი მიზეზით ხსნიან. «ამაში ცოტა სიგიჟეც არის, _ გაიფიქრა ჟიულიენმა. მის ხასიათში ჩანს საოცარი მსგავსება იმპერატორ ალექსანდრესთან,* თავადმა კორაზოვმა რომ ამიწერა». პირველ წელს საბრალო ჟიულიენს, რომელიც ეს იყო სემინარიიდან გამოვიდა და დაბრმავებული იყო ამ ახალგაზრდა კაცების ბრწყინვალებით, სხვა არაფრის განცდა არ შეეძლო მათ მიმართ, გარდა თაყვანისცემისა. მათი ნამდვილი ხასიათი მხოლოდ ახლა იხაზებოდა ნათლად მის თვალწინ.

«მე აქ უღირს როლს ვასრულებ, _ გაიფიქრა მან უცებ. _ საჭირო იყო აქედან წასვლა, მაგრამ შეუმჩნევლად». უნდოდა რაიმე საბაბი მოეგონებია, მაგრამ ვერ მოახერხა, და როცა თავისი სელის სკამიდან წამოდგა, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. თითოეული მისი მოძრაობიდან ჩანდა, რომ იგი უბედური იყო. მთელი საათის განმავლობაში იმ

უმნიშვნელო ხელქვეითის როლს ასრულებდა, რომლის წინაშეც არავის საჭიროდ არ მიაჩნია თავისი აზრების დამალვა მის შესახებ.

მაგრამ თავის მეტოქეებს რომ დააკვირდა, ნაკლებ ტრაგიკულად მიიღო თავისი უბედურება. მის სიამაყეს საზრდოს აძლევდა სამი დღის წინათ მომხდარი ამბების მოგონება. «როგორიც უნდა იყვნენ მათი უპირატესობანი ჩემთან შედარებით, _ ფიქრობდა ჟიულიენი ბაღში ჩასვლის დროს, _ მატილდა არც ერთი მათგანისთვის არ ყოფილა ის, რაც მან კეთილინება და ორჯერ იყო ჩემთვის».

ჟიულიენის სიბრძნე ამაზე შორს არ წასულა. მას სრულიად არ ესმოდა ამ უცნაური ქალის ხასიათი, რომელიც შემთხვევამ მისი ბედნიერების აბსოლუტურ ბატონად აქცია.

მეორე დღეს ჟიულიენი შეეცადა ძალ-ღონე გამოეცალა თავისი თავისა და თავისი ცხენისთვის. საღამოს აღარ გაკარებია ცისფერ დივანს, რომელსაც მატილდა არ ღალატობდა. მან შეამჩნია, რომ გრაფი ნორბერი შეხედვის ღირსადაც კი არ თვლიდა მას, როცა დარბაზში ხვდებოდა. «რა ძალას უნდა ატანდეს თავის თავს ეს ზრდილობიანი კაცი», _ გაიფიქრა ჟიულიენმა.

ჟიულიენისთვის ახლა ძილი დიდი ბედნიერება იქნებოდა. ფიზიკური დაღლილობის მიუხედავად, მომხიბლავი მოგონებანი აღიზიანებდნენ მის ფანტაზიას და დაძინების ნებას არ აძლევდნენ. ეგონა, რომ მატილდასთან საუბარი დიდად შეამსუბუქებდა მის ტანჯვას. მაგრამ რის თქმას გაუბედავდა ამ ქალს?

ერთხელ დილით შვიდ საათზე სწორედ ამაზე ფიქრობდა, როცა მოულოდნელად ქალი შემოვიდა ბიბლიოთეკაში.

_ მე ვიცი, ბატონო, რომ თქვენ ჩემთან საუბარი გსურთ.

_ ღმერთო ჩემო, ვინ გითხრათ?

_ ეს მე ვიცი, თქვენ რა გაწუხებთ. თუ თქვენ უპატიოსნო კაცი ხართ, შეგიძლიათ დამღუპოთ, ყოველ შემთხვევაში შეეცადოთ ჩემს დაღუპვას, მაგრამ ეს საფრთხე, რომელიც მაინცდამაინც რეალურად არ მიმაჩნია, ხელს არ მიშლის გულწრფელობა გამოვიჩინო. მე თქვენ აღარ მიყვარხართ, მე ჩემმა გიჟურმა ფანტაზიამ მომატყუა...

ამ საშინელმა ამბავმა ისეთი ზარი დასცა სიყვარულით და უბედურებით თავგზადაკარგულ ჟიულიენს, რომ იგი შეეცადა თავი გაემართლებინა. ეს სრული უაზრობა იყო. განა ვაჟს შეუძლია თავის გამართლება, თუკი ქალს იგი აღარ მოსწონს? მაგრამ გონება ვეღარ იმორჩილებდა მის მოქმედებას. ბრმა ინსტინქტი აიძულებდა თავისი ბედის საკითხის გადაწყვეტა გადაედო. ეგონა, სანამ ვლაპარაკობ, ჯერ კიდევ ყოველივე

დაკარგული არ არისო. მატილდა არ უსმენდა მის ლაპარაკს, თვით ვაჟის ხმაც აღიზიანებდა. მას არ ესმოდა, როგორ გაბედა და სიტყვა გააწყვეტინა.

სინდისის ქენჯნა და თავმოყვარეობის შებღალვა ქალს საშინლად ტანჯავდა ამ დილით. იგი განადგურებული იყო შემზარავი აზრით, რომ ხელისუფლება მიანიჭა და დანებდა ვიღაც პაწია აბატს, გლეხის შვილს. «ეს იგივეა, _ ფიქრობდა ქალი იმ წუთებში, როცა თავის უბედურებას აზვიადებდა, _ რომ სისუსტე გამომეჩინა რომელიმე ლაქიის მიმართ».

როცა გაბედული და ამაყი ადამიანები თავის თავს აუმხედრდებიან ხოლმე, ერთი პატარა ნაბიჯია საკმარისი, რომ გულისწყრომა სხვის წინააღმდეგ მიმართონ, ამ შემთხვევაში გააფთრების გამომჟღავნება მათ დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ერთ წუთში მატილდა დე ლამოლი ისე აენთო, რომ ჟიულიენი გაანადგურა უკიდურესი ზიზღის გამომხატველი სიტყვებით. ქალი არაჩვეულებრივად გონებამახვილი იყო და ეს მახვილი გონება გამარჯვებას დღესასწაულობდა. იგი ვაჟის თავმოყვარეობას ტანჯავდა და მძაფრ ჭრილობებს აჭდობდა.

ჟიულიენის ცხოვრებაში პირველად ხდებოდა, რომ მას თავს ესხმოდა ძლიერი სულის ადამიანი, რომელიც მის წინააღმდეგ უმძაფრესი სიძულვილით იყო გამსჭვალული. ამ წუთში იგი არა თუ არ ფიქრობდა თავის დაცვას, პირიქით, თვით შეეზიზღა თავისი თავი. როცა ვაჟი ხედავდა, როგორი მკაცრი და გონებამახვილად მოსაზრებული ზიზღით ანადგურებდა მას ეს ქალი, რათა თავის თავის პატივისცემა მოესპო მასში, მოეჩვენა, მატილდა მართალია და ცოტათი დამინდო კიდეცო. რაც შეეხება თვით მატილდას, იგი ქედმაღლობის დაკმაყოფილებას გრძნობდა, რომ ამნაირად სჯიდა თავის თავსაც და თავის ყოფილ საყვარელსაც იმ გაღმერთებისთვის, რომელსაც მისადმი განიცდიდა რამდენიმე დღის წინ. მას არც სჭიროდა იმ ულმობელი სიტყვების მოფიქრება და გამოგონება, რითაც ასეთი სიამოვნებით მიმართავდა ჟიულიენს: მხოლოდ იმეორებდა იმას, რასაც მის გულში მთელი ერთი კვირა სიყვარულის მოწინააღმდეგე ფარული ადვოკატი ლაპარაკობდა.

ყოველი სიტყვა აასკეცებდა ჟიულიენის საშინელ წამებას. უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ მატილდა დე ლამოლმა მკლავში ხელი მოჰკიდა და დარჩენა უბრძანა.

_ ნება მიბოძეთ შეგნიშნოთ, რომ თქვენ მეტისმეტად ხმამაღლა ლაპარაკობთ და მეზობელ ოთახში გაგვიგონებენ, _ უთხრა მან ქალს.

_ მერე რა? _ ამაყად უპასუხა მატილდამ: _ ვინ გამიბედავს მითხრას, ყური დაგიგდეო. მე მინდა თქვენი პატარა თავმოყვარეობა ერთხელ და სამუდამოდ გავკურნო იმ აზრებისაგან, რომელიც შეიძლება ჩემს შესახებ გაქვთ.

როცა ბოლოს ჟიულიენმა შეძლო თავი დაეღწია ბიბლიოთეკიდან, იგი იმდენად გაოცებული იყო, რომ ნაკლებ გრძნობდა თავის უბედურებას.

_ რა ვუყოთ, მას არ ვუყვარვარ, _ იმეორებდა იგი ხმამაღლა, თითქო თავისი მდგომარეობის გამოსარკვევად: _ როგორც ეტყობდა, მას მხოლოდ რვა თუ ათი დღე ვუყვარდი, მე კი მთელი ჩემი სიცოცხლე მეყვარება. როგორ მოხდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ იგი არაფერს წარმოადგენდა, სრულიად არაფერს ჩემთვის!

მატილდას გული კი ნეტარებას გრძნობდა ამ მოზღვავებული პატივმოყვარეობის ტალღებში. მაშასადამე, მან შეძლო სამუდამოდ გაეწყვიტა ეს კავშირი! უსაზღვროდ ბედნიერი იყო, რომ სავსებით გაიმარჯვა ამ ძლიერ გულისთქმაზე. ამრიგად, ეს პაწია ვაჟბატონი ერთხელ და სამუდამოდ გაიგებს, რომ მას არავითარი ხელისუფლება არ ჰქონია და არც ექნება ჩემს მიმართ. ქალი იმდენად კმაყოფილი იყო, რომ მართლაც არავითარ სიყვარულს არ გრძნობდა ამ წუთში.

ასეთი შეუბრალებელი, ასეთი დამამცირებელი სცენის შემდეგ სიყვარული შეუძლებელი გახდებოდა ყოველი ადამიანისთვის, რომელიც ნაკლებ ვნებიანია, ვიდრე ჟიულიენი. მატილდა დე ლამოლს არც ერთი წუთით არ დავიწყნია თავისი ღირსების გრძნობა; მან ვაჟს ისეთი არასასიამოვნო, ისეთი გულის გამგმირავი რამეები უთხრა, რომ ადამიანს მაშინაც კი სიმართლედ მოეჩვენებოდა, როცა გრილ გულზე გაიხსენებდა.

ამ საოცარი სცენიდან ჟიულიენმა თავდაპირველად ის დასკვნა გამოიტანა, რომ მატილდა უსაზღვროდ პატივმოყვარე იყო. იგი ღრმად დარწმუნდა, რომ ამიერიდან მათ შორის ყოველივე სამუდამოდ გათავებული იყო; მაგრამ მეორე დღეს საუზმის დროს მას თავი უხერხულად და დარცხვენილად ეჭირა მის გვერდით. ეს იყო შეცდომა, რომელიც მანამდე არასოდეს ჩაუდენია. როგორც მარტივ, ისე რთულ გარემოებაში მანამდე იცოდა, როგორ მოქცეულიყო და რა უნდა გაეკეთებინა, რათა თავისი სურვილი და ვალდებულება შეესრულებია.

იმავე დღეს ქალბატონმა დე ლამოლმა ჟიულიენს რაღაც რევოლუციური, მეტად იშვიათი ბროშურის მიწოდება სთხოვა. ეს ბროშურა იმ დილით მღვდელმა მოიტანა ფარულად და იქვე იდო პატარა მაგიდაზე. ჟიულიენმა ხელი ჰკრა იმავე მაგიდაზე მდგარ ცისფერი ფაიფურის ძველებურ, მაგრამ მეტისმეტად უშნო ლარნაკს და ძირს ჩამოაგდო.

ქალბატონმა დე ლამოლმა სასოწარკვეთილი ყვირილი მორთო, ზეზე წამოიჭრა და ახლო მივიდა თავისი საყვარელი ლარნაკის ნამსხვრევების დასანახად.

_ ეს ძველებური იაპონური ლარნაკი იყო, _ თქვა მან, _ ბებიაჩეის დის, შელის წინამძღვრისაგან მივიღე; ჰოლანდიელებს რეგენტის _ ორლეანის დუკასათვის მიუძღვნიათ იგი, მან კი თავის ქალს აჩუქა...

მატილდაც მივიდა ნამსხვრევების დასათვალიერებლად; იგი მეტისმეტად კმაყოფილი იყო, რომ გატყდა ეს ლარნაკი, რომელიც საშინლად მახინჯად მიაჩნდა. ჟიულიენი ჩუმად იდგა, მაგრამ არც იმდენად იყო შეშფოთებული; იგი მიუბრუნდა მატილდა დე ლამოლს:

_ ეს ლარნაკი სამუდამოდ დამსხვრეულია იმ გრძნობის მსგავსად, რომელიც ჩემს გულში მეფობდა; გთხოვთ, მაპატიოთ ყველა უგუნურება, რაც ამ გრძნობამ ჩამადენინა. _ ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე იგი გარეთ გავიდა.

_ შეიძლება კაცმა იფიქროს, _ თქვა ქალბატონმა დე ლამოლმა, _ რომ ბ. სორელი კმაყოფილია თავისი ნამოქმედარით.

ეს სიტყვები პირდაპირ გულში მოხვდა მატილდას. «ეს მართალია, _ გაიფიქრა მან, _ დედაჩემმა სწორად გამოიცნო; ასეთია გრძნობა, რომელსაც ჟიულიენი მოუცავს ამ წუთში». ქალმა მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ გუშინდელი სცენა არაფერს შეიცავდა სასიხარულოს. «რა ვუყოთ, ყოველივე გათავებულია, _ გაიფიქრა მან მოჩვენებითი სიმშვიდით: _ მე დიდი გაკვეთილი მივიღე, ჩემი შეცდომა საზარელია, დამამცირებელია, მაგრამ კარგი ჭკუის სასწავლებელიც არის».

«განა მართალი არ მითქვამს? _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ მაშ, რად მტანჯავს კიდევ ამ თავქარიანი ქალის სიყვარული?»

დაცხრომის მაგივრად, ეს სიყვარული ვაჟის გულში სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა. «ეს ქალი გიჟია, ეს უცილობელია, მაგრამ განა ამის გამო ნაკლებ სათაყვანებელია? განა შესაძლებელია მეტი სილამაზის ქონა? განა მატილდა დე ლამოლში შეერთებული არაა ყოველი მშვენიერება, რომელიც უფაქიზეს კულტურას შეუქმნია?»

წარსული ბედნიერების მოგონებანი დაპატრონებოდნენ ჟიულიენს და უცებ ანადგურებდნენ გონების ნამუშევარს; გონება ამაოდ ებრძვის ასეთ მოგონებებს.

ძველი იაპონური ლარნაკის გატეხიდან ოცდაოთხი საათის შემდეგ ჟიულიენი თავის თავს უცილობლად უუბედურეს კაცად თვლიდა დედამიწის ზურგზე.

XXI

საიდუმლო ნოტა

ყოველივე, რასაც მოგითხრობთ, საკუთარი თვალით მაქვს დანახული; შეიძლება თვალმა მომატყუა, მაგრამ მე თქვენ არ გატყუებთ ამბის გადმოცემაში.

წერილი ავტორისადმი.

მარკიზმა ჟიულიენი დააძახებინა; ბატონი დე ლამოლი თითქო გაახალგაზრდავებული იყო, თვალები უბრწყინავდა.

_ ცოტა თქვენი მახსოვრობის შესახებ ვისაუბროთ, _ უთხრა მან ჟიულიენს, _ ამბობენ, რაღაც საოცარი მახსოვრობა აქვსო. შეგიძლიათ თუ არა ზეპირად შეისწავლოთ ოთხი გვერდი და ლონდონში გაემგზავროთ მათ წარმოსათქმელად, მაგრამ ისე, რომ ერთი სიტყვაც არ შეცვალოთ?..

მარკიზი თითქო გულმოსული იყო და ჭმუჭნიდა გაზეთ «კოტიდიენის» ნომერს და ამაოდ ცდილობდა დაეფარა სერიოზული სახის გამომეტყველება, რომელიც ჟიულიენს მისთვის წინათ არასოდეს შეუმჩნევია. თვით მაშინაც კი, როცა საკითხი ფრილერის პროცესს შეეხებოდა.

ჟიულიენი უკვე გამობრძმედილი იყო მაღალ საზოგადოებაში და კარგად ესმოდა, რომ მას ისეთი სახე უნდა მიეღო, თითქო ვერ ამჩნევდა თავის პატრონის დაღონებას.

_ გაზეთის ეს ნომერი, როგორც ეტყობა, არაფერს შეიცავს სასიამოვნოს; მაგრამ თუ ბატონი მარკიზი ნებას მომცემს, ხვალ დილით პატივი მექნება მთელი მისი შინაარსი ზეპირად მოვახსენო.

_ როგორ, თვით განცხადებანიც?

_ სიტყვასიტყვით, ერთი მარცვლის გამოუკლებლივ.

_ პატიოსან სიტყვას მაძლევთ? _ ჰკითხა მარკიზმა მოულოდნელი სერიოზულობით.

_ დიახ, ბატონო, ჩემი მახსოვრობის დაბნელება მხოლოდ შიშს შეუძლია, ვაითუ სიტყვა ვერ შევასრულო-მეთქი.

_ მე დამავიწყდა ზოგიერთი კითხვა მომეცა გუშინ. მე თქვენ არ მოგთხოვთ ფიცი დადოთ, არავის უთხრათ, რასაც გაიგონებთ-მეთქი: იმდენად კარგად გიცნობთ, რომ არ

მოგაყენებთ ასეთ შეურაცხყოფას. მე თქვენი თავდები ვიქნები; მე წაგიყვანთ სალონში, სადაც თორმეტი კაცი შეიკრიბება; თქვენ ჩაწერთ ყველაფერს, რასაც თითოეული მათგანი იტყვის. ნუ გეშინიათ, საუბარი დალაგებული იქნება, თითოეული წევრი თავის დროზე ილაპარაკებს; არ ვიტყვი სრული წესრიგით-მეთქი, _ განაგრძო მარკიზმა ნატიფი და მსუბუქი ტონით, რომელიც ესოდენ შეეფერებოდა მას. _ ჩვენი საუბრის დროს თქვენ ოციოდე გვერდს ჩაწერთ; შემდეგ მე და თქვენ ოც გვერდს ოთხზე დავიყვანთ; აი, ეს ოთხი გვერდია, რომელსაც ხვალ დილით ზეპირად მეტყვით «კოტიდიენის» ნომრის შინაარსის მაგივრად. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ გაემგზავრებით; გზაში თავი ისე უნდა გეჭიროთ, თითქო მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის მოგზაურობდეთ. უნდა ეცადოთ, არავისი ყურადღება არ მიიქციოთ. თქვენ ერთ დიდ პიროვნებასთან მიხვალთ. იქ მეტი მოხერხების გამოჩენა მოგიხდებათ. უნდა მოატყუოთ ყველა, ვინც მას გარს ახვევია: მის მდივნებსა, მის მსახურებს შორის არიან ჩვენი მტრების მიერ მოსყიდული ადამიანები, რომელნიც მუდამ დარაჯობენ ჩვენს აგენტებს, რათა მათ ხელი შეუშალონ. თან გექნებათ სარეკომენდაციო წერილი. როცა მათი ბრწყინვალება შემოგხედავთ, ჯიბიდან ამ ჩემს საათს ამოიღებთ, რომელსაც სამოგზაუროდ გათხოვებთ. ახლავე დაიკიდეთ, ხოლო მის მაგივრად თქვენი მომეცით. დუკა თვით მოისურვებს თქვენი კარნახით დაწეროს ოთხი გვერდი, რომელსაც ზეპირად ისწავლით. მხოლოდ ამის შემდეგ და არა მანამდე (ეს კარგად დაიმახსოვრეთ) შეგიძლიათ, თუ მათმა ბრწყინვალებამ გკითხათ, იმ სხდომის ამბავი გადასცეთ, რომელსაც თქვენ დაესწრებით. გზაში შეგიძლიათ გაერთოთ იმ აზრით, რომ პარიზსა და მინისტრის რეზიდენციას შორის მრავლად მოიპოვებიან ადამიანები, რომელნიც სიამოვნებით ესვრიან თოფს ბ. აბატ სორელს. ამრიგად, შეიძლება ბოლო მოეღოს მის მისიას, რაც ჩემთვის საქმის შეფერხება იქნება; მართლაც, ჩემო ძვირფასო, როგორ შეგვიძლია ჩვენ თქვენი სიკვდილის ამბავი გავიგოთ? თქვენ ხომ იმდენ გულმოდგინებს ვერ გამოიჩეთ, რომ საკუთარი სიკვდილიც გვაუწყოთ? ახლავე წადით და ისეთი ტანისამოსი იყიდეთ, როგორიც ორი წლის წინათ იყო მოდაში, _ განაგრძო მარკიზმა სერიოზული ტონით. _ ამ საღამოთი თქვენ ცოტა დაუდევრად უნდა იქნეთ ჩაცმული. გზაში, პირიქით, ჩვეულებრივი გარეგნობა უნდა გექნეთ. ეს თქვენ გაკვირვებთ? ჰო, ჩემო მეგობარო, ერთ პატივსადებ პირთაგანს, რომელსაც დღეს მოუსმენთ, ადვილად შეუძლია ისეთი ცნობები გაგზავნოს, რომ გზაში რომელიმე სასტუმროში, სადაც ვახშმის ჭამას მოისურვებთ, ბანგით გაგიმასპინძლდებიან საუკეთესო შემთხვევაში.

_ უმჯობესია ოცდაათი ლიეთი მოვუარო და პირდაპირი გზით არ წავიდე, _ თქვა ჟიულიენმა, _ ალბათ, რომისკენ მგზავნით...

მარკიზს სახეზე ისეთი გულზვიადობა და უკმაყოფილება გამოეხატა, როგორიც ჟიულიენს მისთვის არ შეუმჩნევია ბრელეჰოს ცერემონიის შემდეგ.

_ ამას მაშინ გაიგებთ, ბატონო, როცა მე საჭიროდ ვცნობ შეტყობინებას. მე არ მიყვარს კითხვები.

_ ეს კითხვა არ ყოფილა, _ უპასუხა ჟიულიენმა გულწრფელად. _ გეფიცებით, მე მხოლოდ ხმამაღლა ვფიქრობდი და მხოლოდ ნაკლებ სახიფათო გზას ვეძებდი ჩემს გულში.

_ ჰო, გეტყობათ თქვენი გონება მეტად შორს წავიდა. ნუ დაივიწყებთ, რომ ელჩმა და, ისიც თქვენს ასაკში, ბოროტად არ უნდა გამოიყენოს ნდობა.

ჟიულიენი თავს განადგურებულად გრძნობდა, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ. მისი თავმოყვარეობა გამართლებას ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა.

_ დაიხსომეთ, რომ ადამიანი თავის გულს იშველიებს, როცა რაიმე სისულელეს სჩადის, _ წარმოთქვა მარკიზმა.

ერთი საათის შემდეგ ჟიულიენი მარკიზის მისაღებ ოთახში იცდიდა: მისი ქცევა მდაბიური იყო, ტანისამოსი მოდაგადასული, ყელსახვევი საეჭვო თეთრი ფერისა, ხოლო მთელი მისი გარეგნობიდან რაღაც პედანტურობა გამოსჭვიოდა.

«თუ ეს ჭაბუკიც მიღალატებს, ვისღა ვენდო? _ ფიქრობდა მარკიზი, _ ადამიანი კი, როცა მოქმედებს, ვინმეს უნდა ენდოს. ჩემს შვილსა და მის მეგორებს გულიც აქვთ, ერთგულების გრძნობაც; ხმლით ბრძოლა რომ ყოფილიყო საჭირო, ისინი მეფის ტახტის საფეხურებზე დაიხოცებოდნენ, მათ ყველაფერი იციან... გარდა იმისა, რაც ამ წუთშია საჭირო. ეშმაკის კერძი ვიყო, თუ რომელიმე მათგანმა შეძლოს ოთხი გვერდის ზეპირად დასწავლა და ასი ლიეს გავლა ისე, რომ თავი არავის დააჭერინოს. ნორბერი შეძლებს სიკვდილს წინაპრების მსგავსად, მაგრამ ეს ხომ ყოველ ჯარისკაცს შეუძლია...»

მარკიზი ღრმა ოცნებამ მოიცვა: «და თვით სიკვდილსაც ეს სორელი, ალბათ, მასზე უკეთ მოახერხებს», _ გაიფიქრა მან და ამოიოხრა.

_ ეტლში ჩავსხდეთ, _ თქვა მარკიზმა თითქო რაღაც აუტანელი აზრის გასაქარვებლად.

_ ბატონო, _ უთხრა ჟიულიენმა, _ სანამ ამ ტანისამოსს მიმზადებდნენ, ზეპირად ვისწავლე გაზეთის დღევანდელი ნომრის პირველი გვერდი.

მარკიზმა გაზეთი დაიჭირა ხელში, ხოლო ჟიულიენმა შინაარსი ზეპირად გადმოსცა, ისე, რომ ერთი სიტყვაც არ შეცდენია.

«ძალიან კარგი, _ ფიქრობდა მარკიზი, რომელიც ძლიერ დიპლომატობდა ამ საღამოს, _ დაე, ილაპარაკოს, ამასობაში ვერ შეამჩნევს ქუჩებს, რომელზედაც მივდივართ».

შევიდნენ დიდ სალონში, რომელიც საკმაოდ სევდიანად გამოიყურებოდა; კედლებს მწვანე ხავერდი ეკრა. სალონის შუა ადგილას პირქუში ლაქი დიდ სასადილო მაგიდას დგამდა. ეს მაგიდა მან შემდეგ საწერ მაგიდად აქცია და ზედ უზარმაზარი მწვანე მაუდი გადააფარა, მელნის ლაქებით დაფარული და, ალბათ, რომელიმე სამინისტროდან გამოტანილი.

მასპინძელი უზარმაზარი კაცი აღმოჩნდა, მაგრამ მისი სახელი ერთხელაც არ წარმოთქმულა; ჟიულიენმა აღმოაჩინა, რომ მას იმ ადამიანის გამომეტყველება და საუბარი ჰქონდა, რომელიც საჭმელს ინელებს.

მარკიზმა ჟიულიენს ანიშნა, მაგიდის კუთხეში დაჯექიო. მან არ იცოდა თავი როგორ დაეჭირა და ფანქრების წამახვილებას მიჰყო ხელი. ერთი თვალის გადავლებით შვიდი მოსაუბრე დათვალა, მაგრამ ისინი ჟიულიენისკენ ზურგშექცევით ისხდნენ; მოეჩვენა, რომ ბ. მარკიზ დე ლამოლს ორი მათგანი ისე ელაპარაკებოდა, როგორც თანასწორი თანასწორს, სხვები კი მეტნაკლები მოკრძალებით ეპყრობოდნენ.

ახალი პიროვნება შემოვიდა მოუხსენებლად.

«ეს ახირებული ამბავია, _ გაიფიქრა ჟიულიენმა. _ ამ სალონში მოუხსენებლად შემოდიან. ჩემი გულისთვის ხომ არ შემოიღეს ეს ღონისძიება?»

ყველანი ფეხზე წამოდგნენ ახალმოსულის შესაგებებლად. მას მკერდზე იგივე საპატიო ორდენი ჰქონდა, რაც სამ წარჩინებულ პირს, რომელნიც უკვე სალონში იყვნენ. საკმაოდ ხმადაბლა საუბრობდნენ. ახალმოსულის გამოცნობა ჟიულიენს მხოლოდ სახის გამომეტყველებისა და სხეულის მიმოხრის მიხედვით შეეძლო. იგი დაბალი იყო, მხარბეჭიანი, სახეგაჟინჟღილებული, ხოლო მის გაბრწყინებულ თვალებს არავითარი გამომეტყველება არ ჰქონდა, გარდა გარეული ტახის გაბოროტებისა.

უცებ ჟიულიენის ყურადღება სრულიად განსხვავებული ადამიანის შემოსვლამ მიიპყრო. ეს იყო მაღალი, მეტისმეტად გამხდარი მამაკაცი, რომელსაც სამი თუ ოთხი ჟილეტი ეცვა და ალერსიან გამოხედვასთან ერთად ზრდილობიანი მიხრა-მოხრა ჰქონდა.

«როგორ მაგონებს ბეზანსონის ბებერ ეპისკოპოსს», _ გაიფიქრა ჟიულიენმა. ეს ადამიანი, ალბათ, სასულიერო პირი იყო, ორმოცდაათი, ორმოცდათხუთმეტი წლისა

იქნებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ვინმე მასზე უფრო ჰგვანებოდა ეკლესიის წმინდა მამას.

შემოვიდა ახალგაზრდა აგდელი ეპისკოპოსი, მის სახეზე დიდი გაოცება აღიბეჭდა, როცა დარბაზში მყოფთ თვალი გადაავლო და ჟიულიენი დაინახა. მისმა შეხედვამ შეაშფოთა და გააღიზიანა ჟიულიენი.

«ეს რა არის, _ გაიფიქრა ჭაბუკმა, _ ნუთუ ნაცნობი სახე ჩემზე ყოველთვის ასეთ დამაღონებელ შთაბეჭდილებას მოახდენს? ყველა ეს დარბაისელნი, რომელიც არასოდეს არ მინახავს, არ მაკრთობენ; ამ ახალგაზრდა მღვდელმთავრის შემოხედვა კი სისხლს მიყინავს. უნდა გამოვტყდე, რომ მეტად ახირებული და მეტად უბედური კაცი ვარ».

ამ წუთში დიდი ხმაურით შემოვიდა პატარა ტანის მეტისმეტად შავი კაცი და კარებშივე დაიწყო ლაპარაკი; ყვითელი კანის ფერი და ცოტა არ იყოს გიჟური სახის გამომეტყველება ჰქონდა. ამ ულმობელი ყბედის მოსვლისთანავე დაბაზში მყოფნი დაჯგუფდნენ, ალბათ, იმისთვის, რომ გაქცეოდნენ მის მოსაწყენ საუბარს.

სტუმრები ბუხარს მოშორდნენ და მაგიდის კუთხეს მიუახლოვდნენ, სადაც ჟიულიენი იჯდა. მისი მდგომარეობა თანდათან უფრო შემაშფოთებელი ხდებოდა; რაც უნდა ცდილიყო, არ შეეძლო გაეგონა, რასაც აქ ლაპარაკობდნენ და თავისი გამოუცდელობის მიუხედავად, ესმოდა იმ საგნების მნიშვნელობა, რომელსაც აქ არჩევდნენ დაუფარავად. ამავე დროს ეს წარჩინებული პირნი, ალბათ, დიდად დაინტერესებული იყვნენ, რომ ყოველივე საიდუმლოდ დარჩენილიყო.

მეტისმეტად აუჩქარებლად ჟიულიენმა თავები წაუმახვილა ოციოდე ფანქარს და თვალებში შეაცქერდა ბ. დე ლამოლს; მაგრამ მარკიზს იგი დაავიწყდა.

«ჩემი საქციელი სასაცილოა, _ ფიქრობა ჟიულიენი: _ მაგრამ ადამიანები, რომელთაც ასეთი უმნიშვნელო სახეები აქვთ და ასეთი მძიმე საქმეები უკისრიათ, მეტად მგრძნობიარენი უნდა იყვნენ. ჩემდა სამწუხაროდ, ჩემს მზერაში არის რაღაც შემკითხავი და ნაკლებ მოკრძალებული, რაც მათ უსათუოდ გააღიზიანებს. მაგრამ თუ თვალები დავხარე, ეგონებათ, ჩვენს სიტყვებს იმახსოვრებსო».

მისი შეშფოთება უკიდურესი გახდა; მას უცნაური სიტყვები ესმოდა.

XXII

ბჭობა

> რესპუბლიკა! თითოეულ ადამიანზე, რომელიც დღეს მზადაა ყველაფერი შესწიროს საზოგადო საქმეს, მოდის ათასები და მილიონები, რომელნიც მხოლოდ თავიანთ სიამოვნებზე, თავიანთ პატივმოყვარეობაზე ფიქრობენ. პარიზში ადამიანს მისი ეტლის მიხედვით აფასებენ და არა მისი ღირსების მიხედვით.
>
> **ნაპოლეონის მოგონებანი.**

ლაქია აჩქარებით შემოიჭრა და თქვა:

_ ბატონი დუკა დე...

_ დადუმდით, თქვენ სულელი ხართ, _ შესძახა ლაქიას დუკამ შემოსვლისთანავე. ეს მან ისე კარგად და დიდებულად წარმოთქვა, რომ ჟიულიენმა თავისდაუნებურად იფიქრა, ამ დარბაისელის მთელი ცოდნა, ალბათ, ლაქიების ლანძღვით ამოიწურებაო. ჟიულიენმა ზევით აიხედა, მაგრამ მაშინვე თვალები დახარა. მან ისე კარგად გამოიცნო ახალმოსულის ფასი, რომ შეშინდა, ვაითუ თავხედობად მიიღონ ჩემი შეხედვაო.

დუკა ორმოცდაათი წლის კაცი იყო, დენდივით ჩაცმული; ავტომატივით დადიოდა. ვიწრო თავი ჰქონდა, გრძელი ცხვირი, წინ წამოწეული სახე; ძნელია უფრო კეთილშობილი და ამასთანავე უფრო უმნიშვნელო გარეგნობის წარმოდგენა. მისი მოსვლისთანავე სხდომა გაიხსნა.

ჟიულიენის დაკვირვება უცებ შეწყვიტა ბ. დე ლამოლის ხმამ.

_ ბატონებო, მე თქვენ გირდგეთ ბ. აბატ სორელს, _ თქვა მარკიზმა, _ იგი დაჯილდოებულია გასაოცარი მახსოვრობით; სულ რაღაც ერთი საათის წინ მე მას ველაპარაკე იმ საპატიო მისიაზე, რომელიც შეიძლება დაეკისროს, და რათა თავისი მახსოვრობის ძალა დაემტკიცებია, მან ზეპირად ისწავლა «კოტიდიენის» პირველი გვერდი.

მასპინძელმა საჩქაროდ ხელში გაზეთი დაიჭირა, ალერსიანად გადახედა ჟიულიენს და შეეცადა სახის გამომეტყველებით იქ შეკრებილებზე შთაბეჭდილება მოეხდინა.

_ ილაპარაკეთ, ბატონო ჩემო, _ მიმართა ჟიულიენს.

ღრმა დუმილი ჩამოვარდა, ყველა თვალი ჟიულიენისკენ იყო მიპყრობილი. მან ისე კარგად უპასუხა, რომ ოცი სტრიქონის შემდეგ დუკამ შეაჩერა, საკმაოაო. დაბალი ტანის, გარეული ტახის თვალებიანი ადამიანი მაგიდას მიუჯდა. იგი თავმჯდომარედ იყო

არჩეული: მან ლომბერის მაგიდაზე ანიშნა ჟიულიენს და თავის გვერდით დაადგმევინა. ჟიულიენი იქ დაჯდა და საწერ-კალამი და ქაღალდი მოიმარჯვა. მან თორმეტი კაცი დათვალა მწვანე მაუდის მაგიდის გარშემო.

_ ბ. სორელ, _ უთხრა დუკამ, _ გადით მეზობელ ოთახში, თქვენ დაგიძახებენ.

მასპინძელს სახეზე შეშფოთება გამოესახა:

_ დარაბები დახურული არაა, _ წასჩურჩულა მან თავის მეზობელს, _ ფანჯარაში ნუ გაიხედავთ, _ დაუძახა მან სულელურად ჟიულიენს.

«აი, შეთქმულებაში მოვხვდი, _ გაიფიქრა ჟიულიენმა. _ საბედნიეროდ, ის არ ეკუთვნის იმათ რიცხვს, რომელთაც გრევის მოედნისკენ მივყევართ. რა საფრთხეც უნდა მომელოდეს, მე მას პირისპირ უნდა შევხვდე მარკიზის გულისთვის. ბედნიერი ვიქნები, თუ შევძლებ ოდნავ მაინც გავუნელო ის მწუხარება, რასაც მას ჩემი უგუნურება მიაყენებს ერთ მშვენიერ დღეს!»

ამ ფიქრებში წასული, დიდი ყურადღებით ათვალიერებდა ბინას, რათა ყოველივე კარგად დაემახსოვრებია. მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ მარკიზს მის გასაგონად ქუჩის სახელი არ უთქვამს ლაქიისთვის და მან საბირჟო ეტლი დაიქირავა, რაც თავის დღეში არ უქნია.

ჟიულიენი დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული. იგი იმყოფეობდა სალონში, რომლის კედლებს ოქროს ყაითნიანი წითელი ხავერდი ჰქონდა გაკრული. პატარა მაგიდაზე სპილოს ძვლის დიდი ჯვარცმა ესვენა, ხოლო ბუხრის რაფაზე ბ. დე მესტრის წიგნი იდო «პაპის შესახებ», მოვარაყული და საუცხოოდ შეკინძული. ჟიულიენმა ეს წიგნი გადაშალა, რათა არ ეფიქრათ, რომ საუბარს ყურს უგდებდა. დროგამოშვებით მეზობელ ოთახიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა. ბოლოს კარი გაიღო და დაუძახეს.

_ გახსოვდეთ, ბატონებო, რომ ამ წუთიდან თქვენ დუკა დე ...-ს წინაშე ლაპარაკობთ, _ თქვა თავმჯდომარემ, _ ბატონი სორელი ახალგაზრდა ლევიტელია, თავდადებული ჩვენი წმინდა საქმისთვის; თავისი გასაოცარი მახსოვრობის წყალობით იგი სადაც ჯერ არს, დაწვრილებით გადასცემს ყოველივეს, რასაც დავავალებთ. სიტყვა თქვენ გეკუთვნით, _ მიმართა მან სამ თუ ოთხ ჟილეტიან პიროვნებას, რომელთაც ეკლესიის მამის გამომეტყველება ჰქონდათ.

ჟიულიენმა იფიქრა, რომ ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა მისთვის ჟილეტებიანი მამაკაცი დაერქმიათ. მან ქაღალდი აიღო და წერას შეუდგა.

(აქ ავტორს უნდოდა მთელი გვერდი წერტილებით აევსო.

_ ეს უშნო იქნება, _ უთხრა გამომცემელმა, _ ასეთი ფრივოლური ნაწარმოებისთვის კი ულაზათობა სიკვდილს ნიშნავს.

_ პოლიტიკა, _ უპასუხა ავტორმა, _ ქვა არის, რომელიც ყელზე აქვს ჩამოკიდებული ლიტერატურას, იგი სულ რაღაც ექვსიოდე თვეში დაახრჩობს მას. პოლიტიკა ფანტაზიის საქმეების სფეროში იმასვე წარმოადგენს, რასაც დამბაჩის გასროლა შუა კონცერტზე. მისი ხმა შემაშფოთებელია, მაგრამ არაენერგიული; იგი არ ეთანხმება არც ერთი საკრავის ხმას. ეს პოლიტიკა საშინლად შეურაცხყოფს მკითხველთა საზოგადოების ერთ ნახევარს და მოწყენილობას გამოიწვევს მეორეში, რომელმაც თავისი პოლიტიკა, უფრო საგანგებო და უფრო ენერგიული, უკვე იპოვა დილის გაზეთში...

_ თუ თქვენი მოქმედი პირები პოლიტიკაზე არ ლაპარაკობენ, _ თქვა გამომცემელმა, _ ისინი 1830 წლის ფრანგები არ ყოფილან და თქვენი რომანი სრულიადაც სარკე არ არის, როგორც თქვენ ამის პრეტენზიას აცხადებთ...).

ჟიულიენის ოქმმა ოცდაექვსი გვერდი დაიჭირა; ჩვენ აქ მხოლოდ მკრთალი ამონაწერი მოგვყავს, ვინაიდან ამოვაგდეთ სასაცილო ადგილები, რომელთა სიუხვე მიუღებლად და ნაკლებ სარწმუნოდ მივიჩნიეთ.

ჟილეტებიანი, წმინდა მამათა მსგავსი მამაკაცი ხშირად იცინოდა და მაშინ მისი გრძელი წამწამებიანი თვალები განსაკუთრებით ბრწყინავდნენ, ხოლო მათი გამომეტყველება უფრო გარკვეული ხდებოდა. ის პირველად ალაპარაკეს დუკას წინაშე («ეს რომელი დუკაა?» ფიქრობდა ჟიულიენი), ალბათ, იმისთვის, რომ საერთო აზრი გამოეთქვა და გენერალური პროკურორის ფუნქცია შეესრულებია: ჟიულიენს მოეჩვენა, რომ მის სიტყვებს იგივე გაუბედაობა და გარკვეულ დასკვნათა უქონლობა ახასიათებდა, რასაც მოხელეებს აყვედრიან. კამათის დროს ეს თვით დუკამ უსაყვედურა.

რამდენიმე ფრაზის შემდეგ, რომელიც მორალსა და ფილოსოფიურ შემწყნარებლობს შეეხებოდა, ჟილეტებიანმა მამაკაცმა თქვა:

_ კეთილშობილმა ინგლისმა, რომელსაც დიდი ადამიანი _ უკვდავი პიტტი* ხელმძღვანელობდა, ორმოცი მილიარდი ფრანკი დახარჯა, რათა ხელი შეეშალა რევოლუციისთვის. თუ ეს კრებული ნებას დამრთავს ერთგვარი გულწრფელობით შევეხო სამწუხარო იდეას, ვიტყვი, რომ ინგლისმა ერთი რამ ვერ გაიგო: ისეთი ადამიანის წინააღმდეგ, როგორიც ნაპოლეონი იყო, მხოლოდ პირადი ხასიათის ღონისძიებებით შეიძლებოდა ბრძოლა, განსაკუთრებით, როცა მას ვერაფერს უპირისპირებდნენ, გარდა კეთილი განზრახვებისა...

_ აჰ, ხელახლა მკვლელობის შექებას იწყებთ! _ წამოიძახა მასპინძელმა შეშფოთებული სახით.

_ გაგვათავისუფლეთ თქვენი სანტიმენტალური დარიგებებიდან, _ მიმართა გულმოსულმა თავმჯდომარემ, რომელსაც გარეული ტახისებური თვალები ველური ცეცხლით უბრწყინავდა და ლოყები და შუბლი შეუფაკლდა. _ განაგრძეთ, _ უთხრა მან ჟილეტებიან მამაკაცს.

_ კეთილშობილი ინგლისი, _ განაგრძო მომხსენებელმა, _ ამჟამად განადგურებულია, იმიტომ რომ ყოველი ინგლისელი, სანამ ლუკმა-პურს იყიდდეს, ვალდებულია იმ ორმოცი მილიარდი ფრანკის სარგებელი გადაიხადოს, რომელიც იაკობინელების საწინააღმდეგ ბრძოლას მოხმარდა. მას აღარ ჰყავს პიტტი.

_ სამაგიეროდ, დუკა ველინგტონი* ჰყავს, _ უთხრა ერთმა სამხედრო პირმა.

_ ღვთის გულისათვის, დადუმდით, ბატონებო, _ წამოიძახა თავმჯდომარემ, _ თუ კამათს განვაგრძობთ, რაღა საჭიროა იყო ბ. სორელის შემოყვანა.

_ ცნობილია, რომ თქვენ, ბატონო ჩემო, დატვირთული ხართ იდეებით, _ თქვა დუკამ და შეხედა ხელის შემშლელს, ნაპოლეონის ყოფილ გენერალს. ჟიულიენმა შეატყო, რომ ეს სიტყვა რაღაც პირადსა და მეტისმეტად შეურაცხმყოფელს ანიშნებდა. ყველას გაეცინა; რენეგატ გენერალს, როგორც ეტყობოდა, ბრაზი ახრჩობდა.

_ პიტტი აღარ არის, ბატონებო, _ განაგრძო მომხსენებელმა ისეთი ტონით, თითქო იმედი დაკარგოდეს, რომ თავის მსმენელთ დააჯერებდა. _ თუნდაც ინგლისში ახალი პიტტი გაჩნდეს, შეუძლებელია ერის ორჯერ მოტყუება ერთი და იმავე საშუალებით...

_ აი, რატომაა ამიერიდან შეუძლებელი ძლევამოსილი გენერალი, რატომაა ამიერიდან შეუძლებელი ბონაპარტი საფრანგეთში, _ წამოიძახა ხელისშემშლელმა სამხედრო პირმა.

ამ შემთხვევაში ვერც თავმჯდომარემ და ვერც დუკამ ვერ გაბედეს გაჯავრება, თუმცა ჟიულიენმა მათ თვალებში ამოიკითხა, რომ მათ ამის დიდი სურვილი ჰქონდათ. მათ თვალები დახარეს და დუკა დაკმაყოფილდა იმით, რომ ყველას გასაგონად ამოიოხრა.

მაგრამ მომხსენებელი ცუდ გუნებაზე დააყენა ამ განუწყვეტელმა ხელის შეშლამ.

_ მე მაჩქარებენ, _ თქვა მან გაცხარებით. თითქოს სულ დაივიწყა ზრდილობაც და თავშეკავებაც, ჟიულიენმა მისი ხასიათის მთავარ თვისებად რომ მიიღო. _ მე მაჩქარებენ და არავითარ ანგარიშს არ უწევენ ჩემს ცდას შეურცხყოფა არ მივაყენო არავის ყურებს, რარიგ გრძელიც არ უნდა იყვნენ ისინი. კარგი, ბატონებო, მე მოკლედ მოგახსენებთ.

ვულგარული ენით რომ ვთქვათ, ინგლისს ერთი გახვრეტილი გროშიც არა აქვს კეთილი საქმისთვის. თუნდაც თვით პიტტი მკვდრეთით აღმდგარიყო, მთელი თავისი გენიოსობის მიუხედავად, ვერ შეძლებდა ინგლისელი წვრილი მესაკუთრეების მოტყუებას, ვინაიდან მათ იციან, რომ მარტოოდენ ხანმოკლე ვატერლოოს კამპანია ერთი მილიარდი ფრანკი დაუჯდათ. რადგან თქვენ ნათლად გარკვეული ფრაზები გინდათ, _ დაუმატა მომხსენებელმა მეტი და მეტი გაცხარებით, _ გეტყვით: თვით თქვენ უშველეთ თქვენს თავს, იმიტომ რომ ინგლისს ერთი გინეაც არა აქვს თქვენს დასახმარებლად, ხოლო როცა ინგლისი ფულს არ იძლევა, ავსტრიას, რუსეთს და პრუსიას, რომელთაც მამაცობა აქვთ, ხოლო ფული კი არა, საფრანგეთის წიანაღმდეგ მხოლოდ ერთი-ორი კამპანიის წარმოება შეუძლიათ. უნდა ვიფიქროთ, რომ იაკობინიზმის მიერ შეკრებილი ახალგაზრდა ჯარისკაცები დამარცხებულ იქნებიან პირველ კამპანიაში, შეიძლება მეორეშიც; მაგრამ მესამეში, მე თქვენ გარწმუნებთ, თუნდაც საფრთხე მოელოდეს, რომ რევოლუციონერად ჩამთვლით, მესამე კამპანიაში თქვენ მიიღებთ 1794 წლის ჯარისკაცებს, რომელნიც აღარ ჰგვანდნენ 1792 წელში გაწვეულთ.

აქ მომხსენებელს სიტყვა გააწყვეტინა ოთხმა თუ ხუთმა ხმამ.

_ ბატონო, _ მიმართა თავმჯდომარემ ჟიულიენს, _ გაბრძანდით მეორე ოთახში თქვენი ოქმის დასაწყისის გადასათეთრებლად.

ჟიულიენს ძალიან დაენანა დარბაზიდან გასვლა. მომხსენებელი სწორედ იმ საკითხებს მიადგა, რომლებზედაც მასაც ხშირად უფირქია.

«ეშინიათ, რომ სასაცილოდ არ ავიგდო», _ გაიფიქრა ჟიულიენმა. როცა ხელახლა დაუძახეს, ბ. დე ლამოლი ლაპარაკობდა სერიოზული ტონით, რომელიც ჟიულიენს ცოტა არ იყოს სასაცილოდ ეჩვენა.

_ დიახ, ბატონებო, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას საბრალო ხალხზე. «რა მოელის მას, ღმერთად გადაქცევა, მაგიდად თუ გატეხილ ვარცლად?»* ღმერთადო, გვიპასუხებს არაკების ავტორი. ბატონებო, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ გეკუთვნით ეს კეთილშობილი და ღრმა სიტყვები. გამოიჩინეთ მოქმედების უნარი, და კეთილშობილი საფრანგეთი თითქმის ისეთივე გახდება, როგორიც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს და როგორსაც საკუთარი თვალით ვხედავდით ლუი XVI-ის სიკვდილამდე. ინგლისს, ყოველ შემთხვევაში მის ლორდებს, ჩვენსავით სძაგს უხამსი იაკობინიზმი. ინგლისური ოქროს დაუხმარებლად ავსტრია და პრუსია მხოლოდ ორსა თუ სამ ბრძოლას გაუძლებენ. საკმაო იქნება თუ არა ეს, რომ საფრანგეთის ისეთივე ბედნიერი ოკუპაცია

მოხდეს, როგორც 1817 წელს ასე უგუნურად მოახსნევინა ბ. დე რიშელიემ?* მე ეს არ მგონია.

აქ ორატორს შეაწყვეტინეს, მაგრამ ყოველი მხრიდან «სუს» ძახილი მოისმა. სიტყვის შემშლელი იგივე ყოფილი საიმპერიო გენერალი იყო, რომელსაც ცისფერი ლენტის მიღება სურდა და უნდოდა საიდუმლო ნოტის რედაქტორებს შორის მოხვედრილიყო.

_ მე ეს არ მგონია, _ გაიმეორა ბ. დე ლამოლმა, როცა ხალხი დაწყნარდა. მან კადნიერად წარმოთქვა სიტყვა მე, ამ კადნიერებამ მოხიბლა ჟიულიენი. «აი, რა კარგადაა ნათქვამი», ფიქრობდა იგი, ამავე დროს კი მისი კალამი თითქმის ისევე ჩქარა მიფრინავდა, როგორც მარკიზის სიტყვა: «ერთი მოსწრებული სიტყვით ბ. დე ლამოლმა გაანადგურა ამ მოღალატე გენერლის ოცი კამპანია».

_ მაგრამ მარტო უცხოელების წყალობით როდი მოხდება საფრანგეთის ახალი სამხედრო ოკუპაცია. მთელი ეს ახალგაზრდობა, რომელიც აღგზნებულ წერილებს წერს «გლობუსში», სამ თუ ოთხ ათას ახალგაზრდა კაპიტანს მოგვცემს, მათ შორის შეიძლება კლებერიც აღმოჩნდეს, ჰოშიც, ჟურდანიც, პიშეგრიუც,* მხოლოდ მათ ნაკლებ კეთილშობილი ზრახვები ექნებათ. საჭიროა, რომ საფრანგეთში ორი პარტია იყოს. მაგრამ ორი პარტია არა მარტო სახელით, არამედ გარკვეული, ნათლად გამოკვეთილი მიზნებით. კარგად უნდა ვიცოდეთ, ვისი შემუსვრაა საჭირო. ერთი მხრივ, ჟურნალისტებისა, ამომრჩევლებისა, მოკლედ, საზოგადოებრივი აზრისა; შემდეგ უნდა მოდგეთ ახალ თაობასა და ყოველივე იმას, რასაც იგი თაყვანს სცემს. სანამ ისინი თავს იბრუებენ ცარიელი სიტყვების რახარუხით, ჩვენ ბიუჯეტის ბედს განვაგებთ.

აქაც ორატორს ხელახლა სიტყვა შეაწყვეტინეს.

_ თქვენ, ბატონო, _ უთხრა ბ. დე ლამოლმა ხელის შემშლელს გასაოცარი გულზვიადობითა და სიმშვიდით, _ თქვენ ბიუჯეტის ბედს კი არ განაგებთ, თქვენ ნთქავთ ორმოც ათას ფრანკს, რომელიც შეტანილია სახელმწიფოს ბიუჯეტში და ოთხმოც ათასს, რომელსაც მეფის სალაროდან ღებულობთ. და რადგან თქვენ, ბატონო ჩემო, მაიძულებთ, თამამად მოგმართავთ. თქვენი კეთილშობილი წინაპრების მსგავსად, რომელნიც წმინდა ლუის გაჰყვნენ ჯვაროსანთა ომში, თქვენ ამ ას ოცი ათასი ფრანკით ერთი ლეგიონი, ერთი ასეული, ოროცდაათი კაცი მაინც უნდა გამოგეყვანათ, რომელნიც ერთგულნი იქნებოდნენ კეთილი საქმისა და სიკვდილს არ შეუშინდებოდნენ. თქვენ კი არავინ გყავთ გარდა ლაქიებისა, რომელნიც თვით თქვენთვის არიან საშიში, თუ ამბოხება მოხდა. ხვალ შეიძლება, ბატონებო, ტახტიც დაიღუპოს, საკურთხეველიც, თავადაზნაურობაც, თუ

ყოველ დეპარტამენტში რაზმი არ შეჰქმენით ხუთას-ხუთასი თავგანწირული კაცისაგან, რომლებიც გამსჭვალული იქნებიან არა მარტო ფრანგული ვაჟკაცობით, არამედ ესპანური შეუდრეკელობითა და გამტანობითაც. ამ რაზის ნახევარი უნდა შესდგეს ჩვენი შვილების, ჩვენი ძმისწულების, ერთი სიტყვით, ჭეშმარიტ კეთილშობილთაგან. თითოეულ მათგანს გვერდით ეყოლება არა ყბედი წვრილი ბურჟუა, რომელიც, თუ შემთხვევა მიეცა, ხელახლა სამფეროვან კოკარდას მიიკრავს; არამედ კატელინოს* მსგავსი უბრალო, ნაღდი გლეხი; ჩვენი აზნაური მას გაანათლებს, ხოლო იგი მის ძიძიშვილად იქცევა. დაე, ყოველმა ჩვენგანმა თავისი შემოსავლის მეხუთედი შესწიროს ასეთი პაწია რაზმის შესადგენად თითოეულ დეპარტამენტში. მაშინ შეიძლება ოკუპაციის იმედი ვიქონიოთ. არასოდეს უცხოელი ჯარისკაცი დიჟონამდეც კი არ მოაღწევს, თუ დარწმუნებული არ იქნა, რომ ყოველ დეპარტამენტში ხუთას მეგობარ ჯარისკაცს იპოვის. უცხოელი მეფეები ყურს არ დაგვიგდებენ, სანამ არ ვაცნობებთ, რომ ოცი ათასი კეთილშობილი გვყავს, რომელნიც მზად არიან იარაღს სტაცონ ხელი, რათა საფრანგეთის კარი გააღონ. თქვენ იტყვით, ეს მძიმე საქმეაო. მოწყალეო ხელმწიფენო, ჩვენ საფრთხე მოგველის. პრესის თავისუფლებასა და თავადაზანურობის არსებობას შორის ულმობელი ომია გამოცხადებული. ან მედუქნეები და გლეხები გახდით ან თოფები დაიჭირეთ ხელში. მშიშარანი იყავით, თუ გნებავთ, მაგრამ უგუნურნი ნუ იქნებით; თვალები გაახილეთ. «ბატალიონებად დაირაზმეთ!»* შემოგძახებთ მე იაკობინური სიმღერის სიტყვებით; მაშინ ადვილად აღმოჩნდება რომელიმე კეთილშობილი გუსტავ-ადოლფი,* რომელსაც შეაშფოთებს მონარქისტული პრინციპის დაღუპვის საფრთხე და სამასი ლიეს მანძილზე გადაიჭრება თავისი სამშობლოს საზღვრებიდან, რათა თქვენთვის იგივე გააკეთოს, რაც ჩაიდინა ისტორიულმა გუსტავ-ადოლფმა პროტესტანტებისთვის. გსურთ თუ არა ლაყბობა განაგრძოთ უმოქმედოდ? ორმოცდაათი წლის შემდეგ ევროპაში მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტები იქნებიან და არც ერთი მეფე აღარ დარჩება. ხოლო ამ ოთხ ასოსთან _ მ-ე-ფ-ე, მღვდლებიცა და აზნაურებიც გაქრებიან. მომავალში მე ვხედავ მხოლოდ დეპუტატთა კანდიდატებს, რომელნიც ელაქუცებიან მაწანწალების უმრავლესობას. რამდენიც უნდა გვარწმუნოთ, რომ საფრანგეთში ამჟამად არ არის ყველასათვის ცნობილი და საყვარელი გენერალი, რომ ჯარი დარაზმულია მხოლოდ ტახტისა და ეკლესიის ინტერესების დასაცავად, რადგან იქიდან ყველა ხნიერი ჯარისკაცი დათხოვნილია, იმ დროს, როცა ყოველ პრუსიულ და ავსტრიულ ათასეულში ორმოცდაათი უნტერ-ოფიცერი მაინც

მოიპოვება, რომელთაც ომი უნახავთ, მაინც უცილობელია, რომ ორასი ათას ახალგაზრდა წვრილი ბურჟუაზიიდან შეყვარებულია ომზე.

_ თავი დაანებეთ თქვენს არასასიამოვნო ჭეშმარიტებას, _ თქვა თვითკმაყოფილი სახით სერიოზულმა პიროვნებამ, რომელსაც, ალბათ, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სასულიერო იერარქიაში, იმიტომ, რომ ბ. დე ლამოლი, იმის მაგივრად რომ გაჯავრებულიყო, სასიამოვნოდ იღიმებოდა, რაიცა საყურადღებო ნიშანი იყო ჟიულიენისთვის.

_ თავი დავანებოთ არასასიამოვნო ჭეშმარიტებათ, დასკვნა გავაკეთოთ, ბატონებო; ადამიანი, რომელსაც განგრენით დაავადებული ფეხი აქვს მოსაჭრელი, ამაოდ დაუწყებდა მტკიცებას თავის დასტაქარს, ეს ავადმყოფი ფეხი ჯანსაღიაო. ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისათვის, ბატონებო, კეთილშობილი დუკა ... ჩვენი დასტაქარია.

«როგორც იქნა, ეს სანუკვარი სიტყვაც წარმოითქვა, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ ამაღამვე გავემგზავრები».

XXIII

სამღვდელოება, ტყეები, თავისუფლება

> ყოველი არსების პირველი კანონია თავის შენარჩუნება, ცხოვრების განგრძობა. თქვენ ღვარძლს თესავთ და გგონიათ, პურის თავთავს მოვიმკითო.
>
> **მაკიაველი**

სერიოზული პიროვნება ლაპარაკს განაგრძობდა; ეტყობოდა, საგანი კარგად ესმოდა; თავისი ტკბილი ენით და ზომიერი ტონით, რომელიც მეტისმეტად მოსწონდა ჟიულიენს, იგი შემდეგ დიდ ჭეშმარიტებას გადმოსცემდა:

1. ინგლისს ერთი გროშიც არა აქვს ჩვენი საქმისათვის; იქ მოდაშია ეკონომია და ჰიუმი.* თვით წმინდანები არ მოგვცემენ ფულს, ხოლო ბატონი ბრუმი* სასაცილოდ აგვიგდებს.

2. ინგლისური ოქროს დაუხმარებლად შეუძლებელია ორ კამპანიაზე მეტის მიღება ევროპის მეფეებისაგან, ეს ორი კამპანია კი საკმაო არაა წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

3. უნდა შეიქმნას შეიარაღებული პარტია საფრანგეთში, ურომლისოდაც ევროპის მონარქისტული პრინციპი ამ ორი კამპანიის წარმოებასაც ვერ გაბედავს.

მეოთხე მუხლი, რომელიც უცილობლად მიმაჩნია, შემდეგში მდგომარეობს: შეუძლებელია საფრანგეთში შეიარაღებული პარტიის შედგენა თვინიერ სამღვდელოებისა. მე ამას თამამად გეუბნებით, ვინაიდან ახლავე დაგიმტკიცებთ, ბატონებო. სამღვდელოებას ყველაფერი უნდა მივცეთ. ერთი იმიტომ, რომ სამღვდელოება დღისით და ღამით თავის საქმეზე ზრუნავს და მას ხელმძღვანელობენ ნიჭიერი ადამიანები, რომელნიც დაშორებულნი არიან ქარიშხალსა და სამასი ლიეს მანძილზე ცხოვრობენ თქვენი საზღვრებიდან...

_ აჰ, რომი, რომი! _ წამოიძახა მასპინძელმა.

_ დიახ, ბატონო, რომი! _ უთხრა კარდინალმა ამაყად, _ როგორიც უნდა იყოს მეტად თუ ნაკლებად გონებამახვილი ხუმრობა, რომელიც მოდაში იყო თქვენი ახალგაზრდობის დროს, მე ხმამაღლა ვიტყვი, რომ 1830 წელს მდაბიო ხალხს უშუალოდ მხოლოდ რომის მიერ შთაგონებული სამღვდელოება ელაპარაკება. ორმოცდაათი ათასი მღვდელი ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებს მათი ბელადების მიერ დანიშნულ დღეს, და ხალხზე, რომელიც ჯარისკაცებს იძლევა, მისი მღვდლების სიტყვები უფრო მოქმედობს, ვიდრე ყველა ლექსი დედამიწის ზურგზე... (ამ პირადმა გათარეშებამ უკაყოფილება გამოიწვია).

_ სამღვდელოების გენია სჭარბობს თქვენსას, _ განაგრძო კარდინალმა და ხმას აუმაღლა. _ ჩვენ უკვე გადადგმული გვაქვს ყველა ის ნაბიჯი, რომელსაც თქვენ სდგამთ მთავარი მიზნისკენ _ ესაა შეიარაღებული პარტიის შედგენა საფრანგეთში... ვინ დაარიგა ოთხმოცი ათასი თოფი ვანდეაში? და სხვა და სხვა... სანამ სამღვდელოებას თავისი ტყეები არა აქვს, იგი არაფერს არ წარმოადგენს. პირველი ომის ატეხისთანავე ფინანსთა მინისტრი თავის აგენტებს მისწერს, სამღვდელოებისთვის ფული გვაკლიაო. არსებითად საფრანგეთში სარწმუნოება არ არის, ხოლო ომი კი აქ უყვართ. ყველა, ვინც მას აომებს, ორმაგად პოპულარული გახდება, იმიტომ, რომ ომის ატეხა იეზუიტების დამშევას ნიშნავს, ვულგარული ენით რომ ვთქვათ; ომის ატეხა იმას ნიშნავს, რომ ეს ავადმყოფურად ამპარტავანი ხალხი, ფრანგები, უცხოელთა ინტერვენციის შიშისაგან გავათავისუფლოთ.

კარდინალს კეთილგანწყობილად უსმენდნენ...

_ ბ. დე ნერვალმა სამინისტრო უნდა დატოვოს, _ თქვა მან, _ მისი გვარი უსარგებლო გაღიზიანებას იწვევს.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ყველა წამოდგა და ერთად ალაპარაკდა. «ხელახლა მეორე ოთახში გამისტუმრებენ», გაიფიქრა ჟიულიენმა. მაგრამ ჟიულიენის არსებობა და იქ ყოფნა თვით ბრძენ თავმჯდომარესაც დაავიწყდა.

ყველამ თვალები მიაპყრო მამაკაცს, რომელიც ჟიულიენმა იცნო. ეს იყო ბ. დე ნერვალი, პირველი მინისტრი, რომელიც მან ბ. დუკა დე რეცის მიერ გამართულ საცეკვაო საღამოზე ნახა. სიწყნარე ცოტათი მხოლოდ მეოთხედი საათის ხმაურის შემდეგ დამყარდა.

მაშინ ბ. დე ნერვალი წამოდგა და მოციქულის ტონით წარმოთქვა:

_ მე არ დაგიწყებთ მტკიცებას, _ თქვა მან უცნაური ხმით, _ არ ვაფასებ მინისტრის სავარძელს-მეთქი. მე მიმტკიცებენ, ბატონებო, შენი სახელი აორკეცებს იაკობინელების ძალებს და ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებს ზომიერთო. მე მზად ვარ გადავდგე; მაგრამ გზანი განგებისანი მხოლოდ არჩეულთათვის არიან მისაწვდომი; ამას გარდა, _ დაუმატა მან და კარდინალს დააცქერდა, _ მე მისია მაქვს შესასრულებელი; ზეცამ მითხრა: შენ ან ეშაფოტზე დატოვებ თავს ან მონარქიას აღადგენ საფრანგეთში და პალატებს იმად აქცევ, რაც პარლამენტი იყო ლუი XV-ის დროსო; და ამას მე მოვიმოქმედებ, მოწყალეო ხელმწიფეო.

იგი შეჩერდა და თავის ადგილას დაჯდა; დიდი დუმილი დამყარდა.

«აი, მშვენიერი მსახიობი», _ გაიფიქრა ჟიულიენმა. იგი ცდებოდა ჩვეულებისამებრ, ვინაიდან ადამიანებს უფრო ჭკვიანად თვლიდა, ვიდრე ისინი არიან. კამათის სიცხარემ და, უწინარეს ყოვლისა, მსჯელობის გულწრფელობამ ბ. დე ნერვალი აღაფრთოვანა და ამ წუთში მას მართლაც სწამდა თავისი მოწოდება. ამ კაცს დიდი ვაჟკაცობა ჰქონდა, მაგრამ მოკლებული იყო საღ გონებას.

ხანგრძლივი დუმილის დროს შუაღამის თორმეტმა საათმა დაჰკრა. ჟიულიენი ფიქრობდა, რომ კედლის საათს რაღაც შთამაგონებელი და სამგლოვიარო ხმა ჰქონდა. იგი აღელვებული იყო.

კამათი ხელახლა დაიწყო გაძლიერებული ენერგიით და დაუჯერებელი გულუბრყვილობით. «ეს ადამიანები მოაწამლინებენ ჩემს თავს, _ ფიქრობდა ჟიულიენი დროგამოშვებით. _ როგორ ლაპარაკობენ ისინი ასეთ რამეებს ჩემისთანა პლებეის გასაგონად?» ღამის ორი საათი იყო, რომ ლაპარაკი კიდევ გრძელდებოდა. მასპინძელს უკვე დიდი ხანია ეძინა. ბ. დე ლამოლი იძულებული გახდა დაერეკა, რათა ახალი სანთლები მოეთხოვა. მინისტრი ბ. დე ნერვალი სამის ნახევარზე წავიდა; წასვლის წინ იგი თავის გვერდით ჩამოკიდებულ სარკეში ყურადღებით აკვირდებოდა იქ ასახულ

ჟიულიენის ფიგურას. მისი წასვლისთანავე ყველამ თითქო უფრო თავისუფლად ამოისუნთქა.

_ ღმერთმა იცის, რას ეტყვის ეს კაცი მეფეს, _ წასჩურჩულა ჟილეტებიანმა მამაკაცმა მეზობელს, სანამ სანთლებს ცვლიდნენ. _ მას შეუძლია ბევრი უაზრობა მოგვაწეროს და მომავალი გაგვიფუჭოს.

_ უნდა გამოვტყდე, რომ აქ მოსვლა დიდი თვითრწმენისა და თავხედობის ქონას მოწმობს მასში, _ უპასუხა მეზობელმა. _ იგი აქ მოდიოდა სამინისტროში შესვლამდე; მაგრამ პორტფელი ყოველივეს ცვლის. იგი ადამიანის ყველა ინტერესს ნთქავს; მას კარგად უნდა ეგრძნო ეს გარემოება.

ვერც კი მოასწრო მინისტრმა გასვლა, რომ ბონაპარტის გენერალმა თვალები დახუჭა, თავის ჯანმრთელობასა და ჭრილობებზე ჩამოაგდო ლაპარაკი, საათს დახედა და წავიდა.

_ სანაძლეოს ვდებ, _ თქვა ჟილეტებიანმა მამაკაცმა, _ რომ გენერალი მინისტრს მისდევს; ბოდიშის ხდას დაიწყებს, რომ ჩვენ შორის აღმოჩნდა და დაიტრაბახებს, ამ ხალხს ვატყუებო.

როცა ნახევრად მძინარე ლაქიებმა სანთლების შეცვლა დაასრულეს, თავმდჯომარემ თქვა:

_ თავი დავანებოთ, ბატონებო, ერთმანეთის დაჯერებას და დავასრულოთ ეს ბჭობა. ვიფიქროთ იმ ნოტის შინაარსზე, რომელიც ორმოცდარვა საათის შემდეგ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების ხელში იქნება. აქ მინისტრებს შეეხნენ. ახლა, როცა ბ. დე ნერვალმა კრება დატოვა, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რა საქმე გვაქვს მინისტრებთან, ჩვენ მათ ვაიძულებთ დაგვეთანხმონ.

კარდინალმა ეს ნაზი ნატიფი ღიმილით დაადასტურა.

_ ჩემი აზრით, არაფერია იმაზე ადვილი, რომ ჩვენი პოზიცია რამდენიმე სიტყვაში გამოვხატოთ, _ თქვა ახალგაზრდა აგდელმა ეპისკოპოსმა, რომელსაც სახეზე უკიდურესი ფანატიზმი ჰქონდა აღბეჭდილი. მანამდე მას კრინტი არ დაუძრავს; მისი თვალი, რომელიც ჟიულიენს თავდაპირველად წყნარი და მშვიდი ეჩვენა, აენთო კამათის მსვლელობაში. ახლა მისმა სულმა გარეთ გადმოხეთქა, თითქოს ვეზუვის ღველფი ყოფილიყოს.

_ 1806 წლიდან 1814 წლამდე, _ თქვა მან, _ ინგლისის ერთადერთი შეცდომა ის იყო, რომ არაფერი მოიმოქმედა პირდაპირ და უშუალოდ ნაპოლეონის წინააღმდეგ. რაკი ამ

კაცმა დუკათა და კარისკაცთა ხარისხი შექმნა, რაკი მან ტახტი აღადგინა, განგების მიერ დაკისრებული მისიის შესრულება დაამთავრა, საჭირო იყო მისი მსხვერპლად შეწირვა. საღმრთო წერილი მრავალ ადგილას გვასწავლის როგორ უნდა გავუსწორდეთ მტარვალებს (აქ რამდენიმე ლათინური ციტატი იქნა მოყვანილი). დღეს, ბატონებო, მსხვერპლად უნდა შეიწიროს არა ერთი ადამიანი, არამედ მთელი პარიზი. მთელი საფრანგეთი პარიზს ბაძავს. რა საჭიროა ხუთას-ხუთასი კაცის შეიარაღება თითოეულ დეპარტამენტში? ეს სახიფათო და საძნელო საქმეა. რა საჭიროა მთელი საფრანგეთის ჩარევა პარიზის ამბებში? ბოროტება მხოლოდ პარიზმა ჩაიდინა თავისი გაზეთებითა და თავისი სალონებით: დაე, ახალი ბაბილონი დაიღუპოს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ბრძოლა ეკლესიასა და პარიზს შორის. ეს კატასტროფა ხელსაყრელი იქნება თვით ტახტის საერთო ინტერესებისთვის. რატომ იყო, რომ პარიზი კრინტს ვერ სძრავდა ბონაპარტის დროს? ჰკითხეთ წმინდა როქის ეკლესიის ზარბაზანს...*

უკვე ღამის სამი საათი იყო, ჟიულიენი გარეთ რომ გამოვიდა ბ. დე ლამოლთან ერთად. მარკიზი დარცხვენილი და დაღლილი იყო. მის ლაპარაკში ჟიულიენს პირველად მოესმა მუდარის ჰანგი. მან ჟიულიენს სთხოვა, სიტყვა მომეცი, რომ არავის გაუმხელ იმ უკიდურესი გულმოდგინების ამბავს, რომლის მოწმე შემთხვევამ გაგხადაო.

_ ნურაფერს ეტყვით ჩვენს უცხოელ მეგობარს, თუ თვით მან სერიოზულად არ მოითხოვა ჩვენი ახალგაზრდა გიჟების გაცნობა. მათ რა ენაღვლებათ, თუ სახელმწიფო დაემხობა? ისინი კარდინალები გახდებიან და რომში იპოვიან თავშესაფარს. ჩვენ კი გლეხები ყელს გამოგვჭრიან ჩვენს ციხე-კოშკებში.

ჟიულიენის მიერ დაწერილი ოქმიდან, რომელიც ოცდაექვს გვერდს შეიცავდა, მარკიზმა საიდუმლო ნოტა შეადგინა, ეს ნოტა მხოლოდ დილით, ხუთ საათზე იყო მზად.

_ მე მკვდარივით დაღლილი ვარ, _ უთხრა მარკიზმა, _ ეს ნათლად ჩანს ამ ნოტაში, რომელსაც ბოლოს გარკვეულობა აკლია; არასოდეს ჩემს სიცოცხლეში ასე უკმაყოფილო არ ვყოფილვარ ჩემს მიერ გაკეთებული საქმისა. დაისვენეთ, ჩემო მეგობარო, რამდენიმე საათი, და რათა ძილის დროს არ მოგიტაცონ, მე თვითონ გასაღებით ჩაგკეტავთ თქვენს ოთახში.

მეორე დღეს მარკიზმა ჟიულიენი ერთ განმარტოებულ ციხე-კოშკში წაიყვანა, რომელიც საკმაოდ დაშორებული იყო პარიზს. იქ ვიღაც უცნაური მასპინძლები აღმოჩნდნენ, ჟიულიენმა ისინი მღვდლებად მიიღო. მას სხვის სახელზე დაწერილი

პასპორტი გადასცეს, სადაც ბოლოს აღნიშნული იყო მისი მოგზაურობის უკანასკნელი პუნქტი. იგი მარტო ჩაჯდა ეტლში.

რადგან ჟიულიენმა მარკიზს რამდენჯერმე ზეპირად გაუმეორა საიდუმლო ნოტის შინაარსი, მას ამ მხრივ არავითარი შიში არ ჰქონდა, მაგრამ ეშინოდა, ჟიულიენი გზაზე არ დაიჭირონო.

_ განსაკუთრებით უნდა ეცადოთ დარდიმანდული სახე იქონიოთ, თითქო დროს გასატარებლად მოგზაურობდეთ, _ უთხრა მან ჟიულიენს მეგობრულად, როცა მისი დარბაზიდან გამოდიოდნენ. _ ადვილი შესაძლებელია, რომ ჩვენს წუხანდელ კრებაზე რამდენიმე მოღალატეც ერია.

მოგზაურობა ჩქარი და მეტად სევდიანი იყო. როგორც კი მარკიზი ჟიულიენის თვალთაგან მიეფარა, ამ უკანასკნელს დაავიწყდა საიდუმლო ნოტაც და თავისი მისიაც, იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა, მატილდას ვეზიზღებიო.

ერთ სოფელში მეცს იქით სადგურის უფროსმა მოახსენა, ცხენები არ გვყავსო. საღამოს ათი საათი იყო; ძალზე გულმოსულმა ჟიულიენმა ვახშამი მოითხოვა. სანამ ვახშამს მოამზადებდნენ, ეზოში გაისეირნა და შეუმჩნევლად საჯინიბოში შევიდა. იქ მართლაც არ აღმოჩნდნენ ცხენები.

«ამ კაცის გარეგნობა მაინც უცნაურია, _ ფიქრობდა ჟიულიენი: _ ურცხვად მათვალიერებდა».

როგორც მკითხველი ხედავს, ჟიულიენს ეჭვი ეპარებოდა იმაში, რასაც ელაპარაკებოდნენ. მან გადაწყვიტა გაპარულიყო ვახშმის შემდეგ და, რათა რაიმე გაეგო ამ კუთხის შესახებ, სამზარეულოში შევიდა ცეცხლზე გასათბობად. ადვილი წარმოსადგენია რა სიხარულმა მოიცვა, როცა იქ ცნობილი მომღერალი, სინიორ ჯერონიმო დაინახა! ნეაპოლელი სავარძელში იჯდა ცეცხლის პირას, ხმამაღლა ოხრავდა და მეტს ლაპარკაობდა, ვიდრე ოცი გერმანელი გლეხი რომელნიც მას გარს შემორტყმოდნენ და პირდაღებული შესცქეროდნენ.

_ ეს ხალხი გამაკოტრებს, _ შესძახა მან ჟიულიენს. _ მე პირობა დავდე ხვალ მაინცში ვიმღერო. იქ შვიდმა მთავარმა მოიყარა თავი ჩემს მოსასმენად, მაგრამ მოდით, გარეთ გავიდეთ ჰაერის ჩასაყლაპავად, _ დაუმატა მან და ჟიულიენი გარეთ გაიხმო.

როცა გზაზე ასიოდე ნაბიჯი განვლეს და მათი გაგონება აღარავის შეეძლო, მომღერალმა განაგრძო:

_ იცით თუ არა საქმის ვითარება? სადგურის უფროსი დიდი არამზადაა, მე ოცი სუ მივეცი ერთ ბიჭს, რომელმაც ყოველივე მიამბო. სოფლის მეორე კუთხეში თორმეტი ცხენი აბია თავლაში; მაგრამ მათ უნდათ ვიღაც შიკრიკი შეაფერხონ.

_ მართლა? _ იკითხა ჟიულიენმა გულუბრყვილო სახით.

საკმაო არ იყო თაღლითობის აღმოჩენა, საჭირო იყო გამგზავრება; ეს კი ვერ მოახერხა ვერც ჯერონიმომ და ვერც მისმა მეგობარმა.

_ დავიცადოთ გათენებამდე, _ თქვა ბოლოს მომღერალმა, _ ჩვენზე ეჭვი აქვთ. შეიძლება სწორედ თქვენი დაკავება სურთ ან ჩემი. ხვალ დილით ერთი კარგი საუზმე დავუკვეთოთ, მომზადების დროს გასასეირნებლად გამოვიდეთ, გავიპაროთ, ცხენები დავიქირავოთ და მახლობელ სადგურს მივაღწიოთ.

_ თქვენი ნივთები? _ ჰკითხა ჟიულიენმა და გაიფიქრა, შეიძლება სწორედ ჯერონიმოა გამოგზავნილი ჩემს დასაჭერადო.

ვახშმის შემდეგ დასაძინებლად დაწვნენ. ჟიულიენი ჯერ კიდევ ღრმა ძილში არ იყო წასული, რომ თითქო მუჯლუგუნი ჰკრესო, ორი ადამიანის ხმამ გამოაღვიძა; ისინი მის ოთახში ლაპარაკობდნენ საკმაოდ მოურიდებლად. მან იცნო სადგურის უფროსი, რომელიც საიდუმლო ფარნით იყო შეიარაღებული. სინათლე მიმართული იყო ჟიულიენის ყუთისკენ, რომელიც მან თავის ოთახში ამოატანინა. სადგურის უფროსის გვერდით იდგა მამაკაცი, რომელიც შეუშფოთებლად ურევდა ხელს გაღებულ ყუთში. ჟიულიენი მისას ვერაფერს არჩევდა გარდა ტანისამოსის სახელოსი, რომელიც შავი და მეტად ვიწრო იყო. «ეს ანაფორაა», _ გაიფიქრა მან და ფრთხილად აიღო პატარა დამბაჩები, რომლებიც ბალიშქვეშ ედო.

_ მისი გაღვიძებისა ნუ გეშინიათ, მამაო, _ უთხრა სადგურის უფროსმა. _ მათ თქვენ მიერ მომზადებული ღვინით გაუმასპინძლდნენ.

_ აქ ქაღალდის ნიშანიც არ ჩანს, _ უპასუხა ხუცესმა. _ ბევრი თეთრეულია, ნელსურნელებანი, ნელსაცხებელნი, სხვადასხვა სამკაული თუ წვრილმანი; ეს უნდა იყოს თანამედროვე ჭაბუკი, რომელიც თავის სიამოვნებაზე ფიქრობს. უფრო საფიქრებელია, რომ შიკრიკი მეორეა, რომელიც, ალბათ, განგებ იტალიურად უქცევს.

ისინი ჟიულიენს მიუახლოვდნენ, რათა მისი საგზაო ტანისამოსის ჯიბეები გაეჩხრიკათ. მას ხელი ექავებოდა, უნდოდა მათთვის დამბაჩა ესროლა, როგორც ქურდებისთვის. ეს სრულიად სახიფათო შედეგებს არ გამოიწვევდა. ცთუნება ძლიერი

იყო. «ეს ჩემი მხრივ სისულელე იქნება, _ გაიფიქრა მან, _ ამით სახელს გავუტეხ ჩემს მისიას».

_ ეს ყმაწვილი დიპლომატი არაა, _ თქვა მღვდელმა, როცა მისი ჯიბეების გაჩხრეკა დაასრულა. იგი ჟიულიენს გაშორდა და კარგიც ქნა.

«თუ ლოგინში ხელი შემახო, ვაი მის დღეს! _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ შეიძლება ხანჯლის ჩაცემა დამიპიროს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ამის ნებას კი ვეღარ მივცემ».

მღვდელმა თავი მოაბრუნა, ხოლო ჟიულიენმა თვალები გაახილა სანახევროდ. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, ეს იყო აბატი კასტანედი. მართლაც, თუმცა ორივე მამაკაცი ცდილობდა საკმაოდ ხმადაბლა ელაპარაკა, მაგრამ ერთი ხმა იმთავითვე ნაცნობად ეჩვენა ჟიულიენს. ახლა მას უძლეველი სურვილი დაეუფლა დედამიწის ზურგიდან აღეგავა ერთი ულაჩრესი არამზადა..

«მაგრამ ჩემი დავალება?» _ ხელახლა გაიფიქრა მან.

მღდელი და მის დამქაში გარეთ გავიდნენ. მეოთხედი საათის შემდეგ ჟიულიენმა თითქო ეს იყო გაიღვიძა. მან ძახილი დაიწყო და მთელი სახლი ფეხზე დააყენა.

_ მე მოწამლული ვარ, _ ყვიროდა იგი, _ საშინლად ვიტანჯები! _ მას უნდოდა საბაბი ეპოვა, რათა ჯერონიმოს დასახმარებლად წასულიყო. ეს უკანასკნელი ძლივს სუნთქავდა ღვინოში შერეული ბანგის წყალობით.

ჟიულიენს შეეშინდა ასეთი ოინი კიდევ არ გაიმეორონო და დილით პარიზიდან წამოღებული შოკოლადით ისაუზმა. რა ღონეს არ მიმართა, მაგრამ მაინც ვერ გამოაფხიზლა ჯერონიმო, რათა დაეჯერებინა, დაუყოვნებლივ გზას გავუდგეთო.

_ თუნდაც მთელი ნეაპოლის სამეფო მომცენ, ამ წუთში მაინც უარს არ ვიტყოდი ტკბილ ძილზე, _ ლუღლუღებდა მომღერალი.

_ ჰო, მაგრამ შვიდი მთავარი?

_ დაე, დამიცადონ.

ჟიულიენი მარტოდმარტო გაემგზავრა და უხიფათოდ მივიდა ერთ მნიშვნელოვან პირამდე. მან მთელი დღე დაკარგა, რათა აუდიენცია მიეღო. მისდა საბედნიეროდ, ნაშუადღევის ოთხი საათისთვის დუკამ გასეირნება მოისურვა სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად. ჟიულიენმა დაინახა, რომ იგი ფეხით მიდიოდა, ორი ნაბიჯის მანძილზე მიუახლოვდა, მარკიზ დე ლამოლის საათი ამოიღო და დაანახა.

_ უკან გამომყევით, _ უთხრა დუკამ ისე, რომ არც კი შეუხედავს მისთვის.

ერთი მეოთხედი ლიეს გავლის შემდეგ დუკა უცებ პატარა ყავახანაში შევიდა. ამ მდაბიური ფუნდუკის ერთ ოთახში ჟიულიენს პატივი ჰქონდა დუკასთვის თავისი ოთხი გვერდი ეთქვა ზეპირად. როცა მან დაასრულა, დუკამ უთხრა:

_ ხელახლა დაიწყეთ და უფრო წყნარად ილაპარაკეთ.

დუკამ შენიშვნები დაწერა.

_ ფეხით იარეთ მახლობელ სადგურამდე. თქვენი ნივთები და ეტლი აქ დატოვეთ. მიაღწიეთ სტრასბურგს, როგორც შეგიძლიათ, ხოლო ამა თვის 22-ს (ეს ამბავი თვის ათში ხდებოდა), დღისით, პირველის ნახევარზე ამავე ყავახანაში მოდით. აქედან მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ შეგიძლიათ გახვიდეთ. არავის არაფერი უთხრათ.

სულ ეს იყო, რაც ჟიულიენმა მოისმინა. მაგრამ ესეც საკმარისი გახლდათ, რომ იგი უდიდესი მოკრძალებით გამსჭვალულიყო.

«აი, როგორ კეთდება დიდი საქმეები, _ გაიფიქრა მან. _ რას იტყოდა ეს დიდი სახელმწიფოებრივი მოღვაწე, იმ თავშეუკავებელი მოლაყბეებისთვის რომ მოესმინა ამ სამი დღის წინათ?»

ჟიულიენმა ორი დღე მოანდომა სტრასბურგში მისვლას. ეგონა, იქ ბევრი არაფერი მექნება გასაკეთებელიო და შორი გზით შემოიარა.

«თუ იმ წყეულმა აბატმა კასტანედმა მიცნო, ადვილად არ დაკარგავს ჩემს კვალს, _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ რა ნასიამოვნები იქნება, თუ შეძლო ჩემი სასაცილოდ აგდება და ჩემი მისიის ჩაშლა!»

მთელი ჩრდილოეთის საზღვრის კონგრეგაციის პოლიციის უფროსმა, აბატმა კასტანედმა, საბედნიეროდ, ვერ იცნო თავისი ყოფილი მოწაფე. სტრასბურგელ იეზუიტებს, მათი გულმოდგინეობის მიუხედავად, თავში აზრად არ მოსვლიათ თვალყური ედევნებიათ ლურჯ სერთუკში გამოკვართული, ჯვრით მკერდდამშვენებული ჟიულიენისთვის, რომელსაც თავისი თავით მეტად კმაყოფილი ახალგაზრდა მხედრის სახე ჰქონდა.

XXIV

სტრასბურგი

ოჰ, მომხიბლაო ცდუნებავ! შენ გაქვს
სიყვარულის მთელი ძლიერება, მთელი ძალა

> უბედურების გადატანაში. შენს სფეროს გარეშე იმყოფებიან მხოლოდ სიყვარულის მომაჯადოებელი სიამოვნებანი, ნაზი სიხარული. მე არ შემეძლო მეთქვა, როცა მას მძინარეს ვხედავდი: «ეს ქალი ჩემია თავისი ანგელოზებრივი მშვენიერებით და თავისი ნაზი და სუსტი სხეულით! იგი ჩემს ხელშია ისეთი, როგორიც ზეცამ შექმნა თავისი მოწყალებით, რათა მამაკაცის გული მოეხიბლა».
>
> **შილერი, «ოდა»**

ჟიულიენი იძულებული გახდა ერთი კვირა სტრასბურგში გაეტარებინა და ცდილობდა თავი გაერთო სამშობლოს ერთგულებისა და სამხედრო დიდების აზრებით. მართლა შეყვარებული იყო თუ არა? ეს თვითონ არ იცოდა. მხოლოდ ხედავდა, რომ მის ქენჯნილ სულში მატილდა სრულიად დაეუფლა, როგორც მის ბედნიერების გრძნობას, ისე მის ფანტაზიას. მთელი თავისი ხასიათის ძალა სჭიროდა, რათა თავისი სასოწარკვეთილება დაეძლია. არ შეეძლო რამეზე ეფიქრა, რასაც დამოკიდებულება არ ჰქონდა მატილდა დე ლამოლთან. წინათ პატივმოყვარეობის უბრალო დაკმაყოფილება საკმაო იყო, რათა მას დაევიწყნა ქალბატონი დე რენალის მიერ შთაგონებული გრძნობები. მატილდამ კი იგი სავსებით ჩანთქა: უმისოდ ვერ წარმოედგინა თავისი მომავალი.

ამ მომავალში ჟიულიენი მხოლოდ მარცხს ხედავდ. ეს არსება, რომელიც ვერიერში ესოდენ ქედმაღალი და ამაყი ჩანდა, ახლა სასაცილოდ თავმდაბალი გახდა.

სამი დღის წინათ იგი სიამოვნებით მოკლავდა აბატ კასტანედს. აქ კი სტრასბურგში ვინმე ბავშვს რომ მისთვის ჩხუბი აეტეხა, იგი თავის თავს გაამტყუნებდა. გაიხსენა თავისი მოწინააღმდეგენი, თავისი მტრები, რომელნიც ოდესმე ცხოვრებაში შეხვედროდნენ და გაიფიქრა, ყოველთვის მე ვიყავი დამნაშავეო.

საქმე ისაა, რომ მისი ყველაზე ულმობელი მტერი ახლა ეს ძლიერი ფანტაზია იყო, რომელიც წინათ მომავალს ბრწყინვალედ განათებულს უხატავდა.

როგორც მოგზაური იგი სრულიად განმარტოებული იყო, ეს გარემოება აძლიერებდა მისი პირქუში ფანტაზიის გავლენას. რა განძი იქნებოდა მისთვის მეგობარი! «მაგრამ, _ ფიქრობდა ჟიულიენი, _ განა მოპოვება თუნდ ერთი გული, რომელიც ჩემთვის

სცემდეს? და თუნდაც მეგობარი გამიჩნდეს, განა პატიოსნების გრძნობა სამუდამო დუმილს არ მიკარნახებს?»

იგი ცხენზე იჯდა და სევდიანად დასეირნობდა კელის მიდამოებში; ეს არის დაბა რეინის ნაპირას, რომელმაც უკვდავება მოიპოვა 1796 წელს დეზეს* და გუვიონ სენ სირის* წყალობით. გერმანელმა გლეხმა აჩვენა გზები, რუები, რეინის კუნძულები, რომელთაც სახელი გაუთქვა ამ დიდი გენერლების ვაჟკაცობამ. ჟიულიენს მარცხენა ხელით მიჰყავდა ცხენი, ხოლო მარჯვენაში ეჭირაა საუცხოო რუკა, რომელიც დატანებული აქვს მარშალ სენ სირის მემუარებს. მხიარული შეძახების გაგონებამ მას ზევით ააწევია თავი.

ეს იყო თავადი კორაზოვი, მისი ლონდონელი მეგობარი, რომელმაც მას რამდენიმე თვის წინ უზენაესი დარდიმანდობის წესები გაუმხილა. თუმცა კორაზოვი ერთი საათის წინ მოსულიყო კელში და მას არასოდეს ერთი სტრიქონიც არ წაეკითხა 1796 წლის ალყაზე, ჟიულიენს ახსნა-განმარტების მიცემა დაუწყო. გერმანელი გლეხი მას გაოცებული უცქეროდა, ვინაიდან ფრანგული ენა იმდენად იცოდა, რომ ადვილად ატყობდა რა საშინელ აბდაუბდას ჩმახავდა თავადი. ჟიულიენი კი, პირიქით, აღტაცებით შესცქეროდა ამ ლამაზ ახალგაზრდას, რომელიც ასე მოხდენილად იჯდა ცხენზე.

«აი, ბედნიერი ხასიათის კაცი, _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ როგორ უხდება შარვალი, როგორ კოხტად აქვს შეკრეჭილი თმა! ეჰ, მეც რომ ასეთი ვყოფილიყავი, შეიძლება მატილდას არ შევძულებოდი სამი დღის სიყვარულის შემდეგ».

ბოლოს თავადმა გარემოცვის ამბავი დაასრულა.

_ თქვენ განდეგილ ბერს ჰგევხართ, _ უთხრა მან ჟიულიენს, _ თქვენ აზვიადებთ სერიოზულობის პრინციპს, რომელიც ლონდონში გასწავლეთ. სევდიანი სახე როდი შეეფერება კარგ ტონს; მოწყენილი სახის გამომეტყველება უნდა მიიღოთ. თუ სევდიანი ხართ, ჩანს, რაღაც გაკლიათ, რაღაც მარცხი გაგიცდიათ. ეს თავისი ქვენა ბუნების ჩვენებას ნიშნავს. ახლა ხომ მიხვდით, მეგობარო, რამდენად მძიმეა თქვენი შეცდომა?

ჟიულიენმა ვერცხლის ფული გადაუგდო გლეხს, რომელიც მათ პირდაღებული შესცქეროდა.

_ ძალიან კარგია, _ უთხრა თავადმა. _ თქვენ გაქვთ ლაზათიანი ქცევა, კეთილშობილი ქედმაღლობა! ძალიან კარგია!

და მან ცხენი გააჭენა. ჟიულიენი უკან მიჰყვებოდა, აღსავსე უაზრო აღტაცებით.

«აჰ, მეც რომ ასეთი ვყოფილიყავი, მატილდა კრუაზენუას უპირატესობას არ მისცემდა ჩემს წინაშე!» რამდენადაც მისი გონება უკეთ ხედავდა თავადის სასაცილო

თვისებებს, მით უფრო ეზიზღებოდა თავისი თავი მათ მიერ გამოწვეული აღტაცებისთვის, მაგრამ თავს მაინც უბედურად თვლიდა, რომ თვით მოკლებული იყო ამ თვისებას. ამ თავის თავის სიძულვილმა უზენაეს წერტილს მიაღწია.

ჟიულიენი წინანდებურად პირქუში იყო.

_ ეჰ, ჩემო მეგობარო, _ უთხრა მას კორაზოვმა სტრასბურგში შესვლის დროს, _ ფული ხომ არ წაგიგიათ, ან რომელიმე ახალგაზრდა მსახიობი ქალი ხომ არ შეგყვარებიათ?

რუსები ფრანგულ ზნე-ჩვეულებათ ბაძავენ, მაგრამ ყოველთვის უკან რჩებიან ორმოცდაათი წლით. ამ ამბების დროს ისინი თითქო ლუი XV-ის ეპოქაში იმყოფებოდნენ.

ამ ლაზღანდარობამ ცრემლი მოჰგვარა ჟიულიენს. «რატომ რჩევას არ ვკითხავ ამ თავაზიან კაცს», _ გაუელვა თავში მოულოდნელად.

_ დიახ, ჩემო ძვირფასო, _ უთხრა მან თავადს, _ მე არა მარტო შეყვარებული, არამედ საყვარლის მიერ მიტოვებულიც ვარ. ერთმა მომხიბლავმა ქალმა, რომელიც აქ მახლობელ ქალაქში ცხოვრობს, ბედის ანაბარა მიმატოვა სამი დღის ვნებიანი სიყვარულის შემდეგ, და ეს ცვლილება მე მკლავს.

მან თავადს მატილდას ხასიათი და ქცევა დაუხატა, მაგრამ ისე, რომ ქალის სახელი და გვარი არ გაუმხილა.

_ კმარა, ნუღარ ამთავრებთ, _ შეაწყვეტინა კორაზოვმა, _ რათა ნდობა ჩაგინერგოთ თქვენი მკურნალისადმი, მე თვით დავასრულებ თქვენს აღსარებას. ამ ახალგაზრდა ქალის ქმარი დიდი შეძლების პატრონია, ან თვით იმ უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნის. მას, ალბათ, რამე აქვს საამაყო.

ჟიულიენმა თავი დააქნია, მას გამბედაობა აღარ შესწევდა სალაპარაკოდ.

_ ძალიან კარგი, _ თქვა თავადმა, _ აი, სამი საკმაოდ მწარე წამალი, რომელიც უნდა გადაყლაპოთ დაუყოვნებლივ. პირველი: თქვენ ყოველდღე უნდა ინახულოთ ქალბატონი... რა ჰქვია მას?

_ ქალბატონი დე დიუბუა.

_ რა გვარი ჰქონია! _ წამოიძახა თავადმა სიცილით, _ მაგრამ უკაცრავად, იგი საუცხოოა თქვენთვის. საჭიროა, რომ ყოველდღე ინახულოთ ქალბატონი დე დიუბუა; მაგრამ არასოდეს გულცივი ან გაღიზიანებული არ უნდა ეჩვენოთ; გახსოვდეთ თქვენი საუკუნის დიდი პრინციპი: იყავით იმის საწინააღმდეგო, რასაც თქვენგან ელიან. ამ მანდილოსანს ისეთი მოეჩვენეთ, როგორიც ერთი კვირის წინათ იყავით მის დაპყრობამდე.

_ აჰ, მე მაშინ დამშვდიებული ვიყავი, _ წამოიძახა ჟიულიენმა სასოწარკვეთით, _ მეგონა, მეცოდება და მეტი არაფერი-მეთქი...

_ ფარვანა სანთელზე ფრთებს იწვავს, _ განაგრძო თავადმა, _ ეს შედარება ისევე ძველია, როგორც დედამიწა, _ პირველი: თქვენ მას ყოველდღე ინახულებთ. მეორე: თქვენ გაუაშიკდებით მისი საზოგადოების ქალს, მაგრამ ვნებათა ღელვის გამოუმჟღავნებლად, ხომ გესმით? არ გიმალავთ, რომ თქვენი როლი სამძიმოა: თქვენ კომედიას ითამაშებთ, და თუ ეს გაგიგეს, დაიღუპებით.

_ იმ ქალს ძალიან დიდი ჭკუა აქვს, მე კი ძალიან ცოტა! დავიღუპები, _ უთხრა ჟიულიენმა სევდიანად.

_ არა, თქვენ მხოლოდ უფრო შეყვარებული ყოფილხართ, ვიდრე მე მეგონა. ქალბატონი დე დიუბუა ბევრს ფიქრობს თავის თავზე, როგორც ყველა ქალი, რომელსაც ზეცამ კეთილშობილება ან ფული უხვად მიანიჭა. იგი თავის თავს უცქერის იმის მაგივრად, რომ თქვენ გიცქიროთ, მაშასადამე, არაფერი გაეგება თქვენი. სიყვარულის ორი თუ სამი შემოტევის დროს, ფანტაზიის ამოძრავების წყალობით, მან თავისი ოცნების გმირად მიგიღოთ და არა იმად, რაც რეალურად ხართ... მაგრამ ეს ხომ საანბანო ჭეშმარიტებანია, ჩემო ძვირფასო სორელ, ნუთუ თქვენ მოსამზადებელი სკოლის მოწაფე ხართ? შევიდეთ ამ მაღაზიაში; აი, საუცხოო ყელსახვევი, კაცს ეგონება ლონდონის საუკეთესო ატელიეშია გაკეთებულიო. გეთაყვა, იყიდეთ და შორს გადააგდეთ ეს საზიღარი შავი თოკი, ყელზე რომ გაქვთ შემოხვეული. მაგრამ ვისგან შესდგება ქალბატონი დე დიუბუას საზოგადოება? _ განაგრძო თავადმა სტრასბურგელი მეყაითნედან გამოსვლისთანავე. _ ღმერთო ჩემო, რა გვარი ჰქონია! ნუ გეწყინებათ, ჩემო ძვირფასო სორელ, ვერ შევეჩვიე... თქვენ ვის გაუაშიკდებით?

_ ერთ მუზმუზელა ქალს, მაგალითად, ერთი საშინლად მდიდარი წინდების მეფაბრიკის ქალიშვილს. მას უმშვენიერესი თვალები აქვს დედამიწის ზურგზე, ეს თვალები ძალიან მომწონს. ამ ქალს უცილობლად უპირველესი ადგილი უჭირავს მთელს კუთხეში, მაგრამ თავისი მდგომარეობის მიუხედავად საშინლად წითლდება და იბნევა, როცა ვინმე აღებ-მიცემობასა და დუქნებზე ჩამოუგდებს ლაპარაკს. საუბედუროდ, მისი მამა ერთი ყველაზე ცნობილი ვაჭართაგანი იყო სტრასბურგში.

_ ამრიგად, თუ ლაპარაკი ჩამოვარდა მრეწველობაზე, _ თქვა თავადმა სიცილით, _ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი მზეთუნახავი თავის თავზე იფიქრებს და არა თქვენზე? ეს თვისება მომხიბლავიცაა და მეტისმეტად სასარგებლოც. იგი ხელს შეგიშლით

უგუნურება გამოიჩინოთ მისი მშვენიერი თვალების წინაშე. თქვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ჟიულიენი ფიქრობდა ქალბატონ მარშალ დე ფერვაკზე, რომელიც ხშირად დადიოდა დე ლამოლების სასახლეში. ეს იყო მშვენიერი უცხოელი ქალი, რომელმაც მარშალი შეირთო ერთი წლის წინათ მის სიკვდილამდე. როგორც ეტყობოდა, მისი სიცოცხლის მიზანი იყო ხალხისთვის დაევიწყებინა, რომ იგი მრეწველის ქალი იყო და, რათა პარიზში თავი გამოეჩინა, თავის სავალ გზად სათნოების გზა აირჩია.

ჟიულიენი გულწრფელად აღტაცებული იყო თავადით; რას არ მისცემდა, რომ მისი სასაცილო თვისებები ჰქონოდა. მეგობრების საუბარს ბოლო არ უჩანდა, კორაზოვი მოხიბლული იყო: არასოდეს ფრანგს ასე დიდხანას ყური არ დაუგდია მისთვის. «ამრიგად, ბოლოს მივაღწიე იმას, რომ მისმენენ, როცა გაკვეთილებს ვაძლევ ჩემს ყოფილ ოსტატებს», _ ფიქრობდა აღტაცებული თავადი.

_ ჩვენ შევთანხმდით, _ უმეორებდა იგი ჟიულიენს მეათეჯერ, _ რომ არავითარი ვნებათა ღელვა არ გამოამჟღავნოთ, როცა ქალბატონ დე დიუბუასთან დარბაზობისას პირისპირ გამოელაპარაკებით ახალგაზრდა მზეთუნახავს, სტრასბურგელი წინდების მრეწველის ქალს; პირიქით, წერილებში ანთებული ვნება აჩვენეთ. სიყვარულით აღსავსე, კარგად დაწერილი წერილის წაკითხვა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მუზმუზელა ქალს; ეს მისთვის შეღავათის წუთებია. ის ამ წუთებში კომედიას აღარ თამაშობს, იგი ბედავს თავის გულს მოუსმინოს; მაშასადამე, დღეში ორი წერილი გაუგზავნეთ.

_ არასოდეს, არასოდეს! _ შესძახა ჟიულიენმა სასოწარკვეთით. _ მირჩევნია თავი დავანაყვიო როდინში, ვიდრე სამი წინადადება შევთხზა. მე ლეში ვარ, ჩემო მეგობარო, ნუღარაფერს გამოელით ჩემგან. ნება მომეცით, ქუჩაში მოვკვდე.

_ ვინ გეუბნებათ წინადადებანი შეთხზეთო? მე ჩემს ჩანთაში ექვსი ტომი სამიჯნურო წერილი მაქვს. იქ თქვენ წერილებს იპოვით ყველა ხასიათის ქალისთვის, თვით უმაღლესი სათნოებით აღჭურვილისთვისაც. განა ჩემი მეგობარი კალისკი უმშვენიერეს კვაკერ* ქალს არ ეაშიკებოდა რიჩმონდში, ლონდონიდან სამი ლიეს დაშორებით.

ჟიულიენი თავს ნაკლებ უბედურად გრძნობდა, როცა თავის მეგობარს გაშორდა ღამის ორ საათზე.

მეორე დღეს თავადმა გადამწერი მოაყვანინა, და ორ დღეში ჟიულიენმა ორმოცდაცამეტი სამიჯნურო წერილი მიიღო, კარგად დანომრილი და მეტად მკაცრი და მჭმუნვარე სათნოებისთვის გამოსადეგი.

_ აქ ორმოცდამეთოთხმეტე წერილი აღარაა, იმიტომ, რომ მკაცრმა ინგლისელმა ქალმა ბოლოს გააგდო კალისკი, _ უთხრა თავადმა. _ მაგრამ ამას თქვენთვის მნიშვნელობა არა აქვს.

მეგობრები ყოველდღე ცხენებით დასეირნობდნენ. თავადი აღტაცებული იყო ჟიულიენით. მან არ იცოდა როგორ გამოეხატა თავისი მეგობრული გრძნობა და ბოლოს ერთი თავის ბიძაშვილის, მოსკოველი შეძლებული ოჯახის ქალიშვილის ხელი შესთავაზა.

_ და როცა თქვენ ჯვარს დაიწერთ, _ დაუმატა მან, _ ჩემი გავლენის და თქვენი ორდენის წყალობით ორ წელიწადში ათასის თავი გახდებით.

_ ჰო, მაგრამ ჩემი ორდენი ნაპოლეონის მიერ როდია მოცემული.

_ რა ვუყოთ, _ უპასუხა თავადმა, _ განა იგი ნაპოლეონმა არ შექმნა? ეს ორდენი დღემდე პირველად ითვლება ევროპაში.

ჟიულიენმა კინაღამ მიიღო მისი წინადადება: მაგრამ ვალდებულება მას იმ დიდ პირთან დაბრუნებას უკარნახებდა; გამოთხოვების დროს კორაზოვს აღუთქვა, წერილებს მოგწერო. თავისი საიდუმლო ნოტის პასუხი მიიღო და პარიზისკენ გაეშურა; მაგრამ ორი დღის შემდეგ დარმწუნდა, რომ საფრანგეთისა და მატილდას დატოვება მისთვის სიკვდილზე უარესი ტანჯვა იქნებოდა.

«მე ჯვარს ვერ დავიწერ მილიონებზე, რომელსაც კორაზოვი მთავაზობს, მაგრამ ყურს დავუგდებ მის რჩევა-დარიგებას, _ გაიფიქრა მან. _ მართალი ითქვას _ ქალის შეცდენის ხელოვნება მისი დარგია. იგი თხუთმეტ წელიწადზე მეტია ფიქრობს ამ საქმეზე, ვინაიდან ახლა ოცდაათი წლისაა. არ შეიძლება ითქვას _ უჭკუოაო. მეტად ეშმაკი და თვალთმაქცია; ენთუზიაზმი, პოეზია შეუთავსებელია მის ხასიათთან: იგი ნამდვილი ბრალმდებელია, მით უმეტეს, არ უნდა შეცდეს. ეს გადაწყვეტილია, მე აშიკობას დავუწყებ ქალბატონ დე ფერვაკს. შეიძლება ეს ქალი ცოტათი მოსაწყენი აღმოჩნდეს, მაგრამ მე ვუყურებ ამ მშვენიერ თვალებს, რომელნიც მაგონებენ იმათ, მე რომ ყველაზე მეტად ვუყვარდი ამქვეყნად. იგი უცხოელია და ახალ მასალას წარმოადგენს დაკვირვებისთვის... მე გავგიჟდი, მორევში ვიხრჩობი, მეგობრის რჩევას უნდა გავყვე და რომ დავენდო თავს».

XXV

სათნოების სამინისტრო

> თუ სიამოვნებაში გონიერებას და სიფრთხილეს შევიტან, ეს აღარ იქნება სიამოვნება.
>
> **ლოპე დე ვეგა**

პარიზში დაბრუნებისთანავე ჩვენმა გმირმა ანგარიში ჩააბარა მარკიზ დე ლამოლს და გრაფ ალტამირასთან გაეშურა. ეს ლამაზი უცხოელი განსხვავდებოდა არა მხოლოდ იმით, რომ მას ერთხელ სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, არამედ იმითაც, რომ მეტად სერიოზული და ღვთისმოსავი იყო; ეს ორი ღირსება, ხოლო ყველაზე მეტად გრაფის კეთილშობილი გვარი ძალიან შეეფერებოდა ქალბატონი დე ფერვაკის გემოვნებას, და ეს ქალი ხშირად ხვდებოდა მას.

ჟიულიენმა გრაფს სერიოზული ტონით განუცხადა, ძლიერ შეყვარებული ვარ მარშლის მეუღლეზეო.

_ ეს ქალი განხორციელებული სათნოებაა, _ უპასუხა ალტამირამ, _ მაგრამ ცოტათი იეზუიტური ხასიათისაა და მაღალფარდოვანი ლაპარაკი უყვარს. ხანდახან ხდება, რომ მესმის მის მიერ წარმოთქმული სიტვები, მაგრამ არ მესმის მთელი წინადადება. ხშირად მაფიქრებინებს, რომ ისე კარგად არ ვიცი ფრანგული ენა, როგორც სხვები ამბობენ. მისი გაცნობა სახელს მოგიხვეჭთ, ეს ქალი წონას შეგმატებთ საზოგადოებაში, მაგრამ წავიდეთ ბიუსტოსთან, _ დაასრულა ალტამირამ, რომელსაც წესრიგის შეტანა უყვარდა ყოველ საქმეში, ბიუსტოსი ერთ დროს ეაშიკებოდა მარშლის მეუღლეს.

დონ დიეგო ბიუსტონმა მეგობრები აიძულა საქმის ვრცელი ახსნა-განარტება მიეცათ, მაგრამ თვითონ კრინტი არ დაუძრავს, თითქო ადვოკატი მჯდარიყოს თავის კაბინეტში. მას ჰქონდა მსხვილი ბერის ფიგურა, შავი ულვაშები და შეუდარებელი სერიოზულობა, მაგრამ საერთოდ ნაღდი კარბონარო* იყო.

_ მესმის, _ უთხრა მან ბოლოს ჟიულიენს. _ თქვენ გინდათ იცოდეთ, ჰყავდა ქალბატონ დე ფერვაკს საყვარლები, ჰყავს ისინი ახლა თუ არა? შეიძლება თუ არა გამარჯვების იმედი იქონიოთ? უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე მარცხი განვიცადე. ახლა, როდესაც უკვე გაღიზიანებული აღარა ვარ, ამ საგანზე საღად ვმსჯელობ: ხშირად იგი ჟინიანია და, როგორც ახლავე მოგახსენებთ, შურისძიებაც იცის. მე მას ვერ ვამჩნევ იმ

ღვარძლიან სიფიცხეს, რომელიც გენიოსს ახასიათებს და ყოველ მოქმედებას ვნებათა ღელვის ელფერს აძლევს. პირიქით, თუ მან თავისი იშვიათი სილამაზე და მშვენიერი სახის ფერი შეინარჩუნა, იმას უნდა უმადლოდეს, რომ ჰოლანდიელივით ფლეგმატური და მშვიდია.

ჟიულიენი მოუთმენლად უსმენდა აუჩქარებელი და შეუშფოთებელი ესპანელის ლაპარაკს; დროგამოშვებით თავისდაუნებურად იგი ერთმარცვლიან სიტყვებს წამოისროდა ხოლმე.

_ გსურთ თუ არა ჩემი მოსმენა? _ ჰკითხა სერიოზულად დონ დიეგო ბიუსტოსმა.

_ მაპატიეთ ფრანგული სიფიცხე, მე მთლად სმენად ვარ ქცეული.

_ ერთი სიტყვით, ქალბატონი დე ფერვაკი ხშირად განიცდის მძულვარების შეტევებს. იგი შეუბრალებლად სდევნის ადამიანებს, რომელნიც არასოდეს უნახავს, ადვოკატებს, საწყალ ლიტერატორებს, პატარა სიმღერების ავტორებს; ხომ გაგიგონიათ:

მარიამის სიყვარულმა
მათქმევინა ეს სიმღერა.

და ჟიულიენი იძულებული გახდა ბოლომდე მოესმინა მთელი სიმღერა. ესპანელი კი დიდად კმაყოფილი იყო, რომ შესაძლებლობა მიეცა ფრანგულად ემღერა. მაგრამ ეს საუცხოო სიმღერა არასოდეს მოუსმენიათ ნაკლები მოუთმენლობით. სიმღერას რომ მორჩა, დონ დიეგო ბიუსტოსმა თქვა:

_ მარშლის მეუღლემ ადგილიდან გადააყენა ამ სიმღერის ავტორი:

დუქანში შეველ
სიყვარულის გასაქარვებლად.

ჟიულიენი შიშის ცახცახმა აიტანა, ვაითუ ეს სიმღერა ბოლომდე თქვასო. საბედნიეროდ, ესპანელი შინაარსის გადმოცემით დაკმაყოფილდა. მართლაც, იგი მეტისმეტად უწესო იყო.

_ როცა მარშლის მეუღლემ ამ სიმღერის წინააღმდეგ აღშფოთება გამოთქვა, _ განაგრძო დონ დიეგომ, _ მე მოვახსენე, თქვენი მდგომარეობის მანდილოსნმა როდი უნდა წაიკითხოს ყოველი სისულელე, რომელსაც აქვეყნებენ-მეთქი. როგორც უნდა წავიდეს წინ

საფრანგეთში ღვთისმოსაობა და სერიოზულობა, დუქნური ლიტერატურა ყოველთვის იარსებებს. როცა ქალბატონმა დე ფერვაკმა მიაღწია იმას, რომ საბრალო ავტორს ათას რვაას ფრანკიანი ადგილი წაართვეს, მე ვუთხარი: ფრთხილად იყავით, თქვენ იარაღით იერიში მიიტანეთ ამ ლექსთა მთხზველის წინააღმდეგ, მან შეიძლება თავისი რითმებით გიპასუხოთ და თავის სიმღერაში სათნოება გაამასხარაოს-მეთქი. მოვარაყული სალონები თქვენს მხარეზე იქნებიან, მაგრამ ადამიანები, რომელთაც სიცილი უყვართ, გაიმეროებენ მის ეპიგრამებს-მეთქი. იცით, ბატონო, რა მიპასუხა მარშლის მეუღლემ? მაცხოვრის გულისთვის მზად ვარ მთელი პარიზის დასანახავად წამებულის გვირგვინი მივიღოო; ეს ახალი სანახაობა იქნება საფრანგეთშიო; ხალხი ისწავლის ღირსების დაფასებს და ეს იქნება უმშვენიერესი დღე ჩემს ცხოვრებაშიო. უნდა გითხრათ, რომ არასოდეს მისი თვალები ისე მშვენიერი არ ყოფილა, როგორც ამ სიტყვების წარმოთქმის დროს იყო.

_ მართლაც საუცხოო თვალები აქვს, _ წამოიძახა ჟიულიენმა.

_ მე ვხედავ, რომ შეყვარებული ხართ... მაშასადამე, განაგრძო სერიოზულად დონ დიეგო ბიუსტოსმა, _ მას არა აქვს გესლიანი ბუნება, რომელიც მიდრეკილია შურისძიებისკენ. თუ ამისდა მიუხედავად, ადამიანისთვის ზიანის მიყენება უყვარს, ეს იმიტომ, რომ იგი უბედურია; ვფიქრობ, რომ რაღაც შინაგანი ჯავრი უნდა ჰქონდეს. შეიძლება ღლის კიდეც წმინდანის როლის თამაში.

ესპანელი კარგა ხანს უსიტყვოდ უცქეროდა ჟიულიენს.

_ ასეთია საქმის ვითარება, _ თქვა მან სერიოზულად, _ აქედან თქვენ შეგიძლიათ თქვენთვის გასამხნევებელი დასკვნები გააკეთოთ. ამის შესახებ ბევრი მიფიქრია ორი წლის განმავლობაში, როცა მისი უმორჩილესი მონა ვიყავი. მთელი თქვენი მომავალი, ბატონო მიჯნურო, ამ დიდ პრობლემაზეა დამოკიდებული: ხომ არ მოსწყინდა მას სათნო ქალის როლის თამაში და იმიტომ ხომ არ არის ბოროტი, რომ უბედურია?

_ ან, _ თქვა ალტამირამ, რომელმაც ბოლოს დაარღვია ღრმა დუმილი, _ შეიძლება, როგორც თქვენთვის მრავალჯერ მითქვამს, ეს ქალი მხოლოდ ფრანგული ამაო მედიდურობით იყოს გაჟღენთილი; ამ მშრალი და პირქუში ხასიათის ქალის უბეუდრება ისაა, რომ მას ახსოვს თავისი მამა, მაუდის ცნობილი მეფაბრიკე. იგი ბედნიერი იქნებოდა ტოლედოში რომ ეცხოვრა, სადაც მას მოძღვარი ყოველდღე ჯოჯოხეთის სურათებს აჩვენებდა.

როცა ჟიულიენმა წასვლა დააპირა, დონ დიეგომ უთხრა:

_ ალტამირამ გადმომცა, რომ თქვენ ერთი ჩვენთაგანი ხართ. ერთ მშვენიერ დღეს თქვენ დახმარებას გაგვიწევთ თავისუფლების მოპოვებაში, ამიტომ მეც მინდა ამ პატარა გართობაში შეგეშველოთ. თქვენ უნდა გაეცნოთ მარშლის მეუღლის სტილს; აი, სამი წერილი, მისი ხელით დაწერილი.

_ მე მათ ასლს გადავიღებ და უკან მოგიტანთ, _ წამოიძახა ჟიულიენმა.

_ და არასოდეს არავინ ერთი სიტყვასაც არ გაიგებს იმაზე, რაც ჩვენ ვთქვით?

_ არასოდეს, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, _ წამოიძახა ჟიულიენმა.

_ მაშ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე! _ დაუმატა ესპანელმა და ალტამირა და ჟიულიენი კიბემდე გააცილა.

ამ სცენამ ცოტათი გაამხიარულა ჩვენი გმირი, იგი მზად იყო გაეღიმა კიდეც. «აი, ღვთის მორწმუნე ალტამირა მე დახმარებას მიწევს მეძაობაში».

მთელი ამ სერიოზული საუბრის დროს ჟიულიენი ყურს უგდებდა კოშკის საათის რეკვას. სადილის ჟამი ახლოვდებოდა. მაშასადამე, ის ჩქარა შეხვდებოდა მატილდას! თავის ოთახში შევიდა და ტანთ ჩაიცვა დიდი გულმოდგინებით.

«პირველ სისულელეს ჩავდივარ, _ გაიფიქრა მან, როცა კიბეზე ჩადიოდა: _ პირდაპირ უნდა მივდიო კორაზოვის მითითებათ».

თავის ოთახში შებრუნდა, ტანთ გაიხდა და რაც შეიძლება უბრალო საგზაო ტანისამოსი ჩაიცვა.

«ახლა ყურადღება უნდა მივაქციო თვალების გამომეტყველებას», _ გაიფიქრა მან. ნაშუადღევის ექვსის ნახევარი იყო, სადილად კი მხოლოდ ექვსზე სხდებოდნენ. სასტუმრო ოთახში შევიდა, იქ არავინ არ აღმოჩნდა. ცისფერი დივანის დანახვაზე გული აუჩუყდა და თვალზე ცრემლი მოადგა. მაშინვე ლოყებიც შეუფაკლდა. «როგორმე უნდა ჩავიკლა ეს უაზრო გრძნობიერება, თორემ გამცემს», გაიფიქრა მან გულისწყრომით. ხელში გაზეთი დაიჭირა, რათა უფრო გულგრილი შეხედულება ჰქონოდა, და სამჯერ თუ ოთხჯერ სასტუმრო ოთახიდან ბაღში გავიდა.

ბაღში დიდ მუხას ამოეფარა, მაგრამ მაინც მთელი სხეული უთრთოდა, როცა გაბედა თვალები მიეპყრო მატილდას ფანჯრისათვის. იგი მჭიდროდ იყო დაგმანული; ისე ღელავდა, კინაღამ წაიქცა. დიდხანს მუხაზე იყო მიყრდნობილი, რათა თავი შეეკავებია. ბოლოს ბარბაცით მებაღის კიბის სანახავად წავიდა. ჯაჭვის რგოლი, რომელიც მან გაღუნა, როდი გაესწორებინათ. ჟიულიენმა იგი ტუჩებზე მიიკრა რაღაც გიჟური გატაცებით.

სალონსა და ბაღს შუა ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ჟიულიენმა საშინელი დაღლილობა იგრძნო. ამ გარემოებამ დიდად ასიამოვნა: «თვალები მიმქრალი მექნება და არ გამცემენ!» ნელ-ნელა სტუმრები თავს იყრიდნენ სალონში, თითოეული კარის გაღების დროს ჟიულიენს გული ეკუმშებოდა.

სუფრასთან დასხდნენ. ბოლოს გამოჩნდა მატილდა დე ლამოლი, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა საზოგადოებისთვის ეცდევინებინა. ქალი გაწითლდა ჟიულიენის დანახვაზე. მან არ იცოდა, რომ ჟიულიენი პარიზში დაბრუნდა. თავადი კორაზოვის დარიგების მიხედვით, ჟიულიენმა მის ხელებს შეხედა; ისინი თრთოდნენ. ამ აღმოჩენამ არაჩვეულებრივად შეაშფოთა ჟიულიენი; იგი ბედნიერი იყო, რომ თვითონ გარეგნულად არაფერი ეტყობოდა, გარდა დაღლილობისა.

მარკიზმა დე ლამოლმა ჟიულიენს შესხმა უძღვნა. მაშინვე მარკიზის მეუღლეც გამოელაპარაკა და ქათინაური უთხრა მისი დაღლილი სახის გამო. ჟიულიენი გულში ერთსა და იმავეს იმეორებდა: «მაინცდამაინც ხშირად არ უნდა ვუცქირო მატილდა დე ლამოლს, მაგრამ არც უნდა გავექცე მის შეხედვას. ისეთივე უნდა გამოვჩნდე, როგორიც ერთი კვირის წინ ვიყავი ჩემს გაუბედურებამდე». იგი კმაყოფილი იყო თავის ყოფაქცევისა და სალონში დარჩა. ეს პირველად ხდებოდა, რომ ყურადღება გამოიჩინა დიასახლისისადმი და ყოველი ღონისძიება იხმარა, რათა სტუმრებს შორის ცოცხალი საუბარი არ შეწყვეტილიყო. მისი ზრდილობა არ დარჩა აუნაზღაურებელი: რვა საათზე სალონში ქალბატონი დე ფერვაკის მოსვლა აუწყეს. ჟიულიენი გაქრა, მაგრამ ჩქარა გამოჩნდა უზადოდ ჩაცმული. ქალბატონი დე ლამოლი დიდად კმაყოფილი იყო, რომ ჟიულიენმა ასეთი მოკრძალება გამოიჩინა და თავისი კმაყოფილების დასამოწმებლად ქალბატონ დე ფერვაკს ლაპარაკი დაუწყო მის მოგზაურობაზე. ჟიულიენი მარშლის მეუღლის გვერდით დაჯდა ისე, რომ მატილდას ვერ დაენახა მისი თვალები. მან ხელოვნების ყველა წესი გამოიყენა, რათა უსაზღვრო აღტაცება გამოეხატა ქალბატონი დე ფერვაკის მიმართ. პირველი წერილი იმ ორმოცდაცამეტიდან, რომელიც მას თავადმა კორაზოვმა აჩუქა, სწორედ გრძელი ტირადით იწყებოდა, სადაც ასეთი აღტაცება იყო გამოხატული.

მარშლის მეუღლემ განაცხადა, ოპერა ბუფში მივდივარო, ჟიულიენმაც იქ მიირბინა. თეატრში იგი გადაეყარა კავალერ დე ბოვუაზის, რომელმაც იგი მეფის დარბაზის ყრმათა ლოჟაში შეიყვანა, სწორედ ქალბატონი დე ფერვაკის ლოჟის გვერდით. ჟიულიენი ქალს თვალს არ აშორებდა.

«ციხის ალყის დღიური უნდა ვწერო, თორემ დამავიწყდება ჩემი იერიშების ამბავი», გაიფიქრა ჟიულიენმა, როცა სასახლეში დაბრუნდა. მან თავის თავი აიძულა ორი-სამი გვერდი დაეწერა ამ მოსაწყენ თემაზე და მიაღწია იმას, რომ (ეს საოცარი ამბავია!) თითქმის აღარ ფიქრობდა მატილდა დე ლამოლეზ.

მატილდას ჟიულიენი თითქმის დაავიწყდა მისი მოგზაურობის დროს. «ბოლოს და ბოლოს, ეს ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მისი სახელი მუდამ ჩემი ცხოვრების უდიდეს შეცდომას მომაგონებს. უნდა ერთხელ და სამუდამოდ დავუბრუნდე საკმაო ვულგარულ იდეებს კეთილგონიერებასა და პატიოსნებაზე. ქალი ყველაფერს კარგავს თუ ისინი დაივიწყა». მატილდამ თავის მახლობლებს აგრძნობინა, რომ წინააღმდეგი არ იყო მოეწესრიგებინა მარკიზ დე კრუაზენუაზე გათხოვების საქმე, რომელიც დიდი ხანია მზადდებოდა. სასიძო ფეხზე აღარ იდგა სიხარულით. ძალიან გაუკვირდებოდა, რომ ეთქვათ, მატილდა ასე მხოლოდ იმიტომ იქცევა, რომ ბედისწერას ემორჩილებაო.

მაგრამ მატილდას აზრები სრულიად შეიცვალა ჟიულიენის დანახვისთანავე. «კაცმა მართალი რომ თქვას, ესაა ჩემი ნამდვილი ქმარი; თუ მე მინდა სინდისიერად კეთილგონიერების იდეებს დავუბრუნდე, სწორედ ჟიულიენს უნდა გავყვე».

იგი ელოდა, რომ ჟიულიენი თავს მოაწყენდა თავისი უბედური სახით; ქალს მზად ჰქონდა თავისი პასუხი. ეგონა, სადილის გათავების შემდეგ ვაჟი შეეცდება რამდენიმე სიტყვა მითხრასო. პირიქით, ჟიულიენი სალონში დარჩა, მას არც კი გაუხედია ბაღისკენ, თუმცა, ერთმა ღმერთმა იცის, რა ძვირად დაუჯდა ასეთი თავის შეკავება. «უკეთესია ახლავე მოვილაპარაკოთ», გაიფიქრა მატილდამ; იგი მარტო გავიდა ბაღში, ჟიულიენი იქ არ გამოჩენილა. მატილდა მობრუნდა და მარტოდმარტომ სეირნობა დაიწყო სალონის მინის კართან. დაინახა, რომ ჟიულიენი ქალბატონ დე ფერვაკს გატაცებით უწერდა ძველი კოშკების ნანგრევებს, რომელნიც აგვირგვინებენ რეინის სანაპიროების გორაკებს და მათ განსაკუთრებულ ხასიათს აძლევენ. იგი უკვე გვარიანად შეჩვეოდა სანტიმენტალურ და მხატვრულ ფრაზას, რომელსაც გონებამახვილობის გამოვლინებად თვლიან ზოგიერთ სალონში. თავადი კორაზოვი მის ყოფაქცევას სასიქადულოდ მიიჩნევდა, ამ საღამომ სავსებით გაამართლა მისი წინასწარმეტყველება. ჟიულიენს არც შემდეგ დღეებში გადაუხვევია თავადის მიერ ნაჩვენები გზისთვის.

ფარული მთავრობის* წევრებმა შესაძლებლობა მიიღეს რამდენიმე ცისფერი ლენტი დაერიგებიათ; ქალბატონმა დე ფერვაკმა მოითხოვა, რომ მისი მამის ბიძისთვის ორდენის კავალერობა მიეცათ, ხოლო მარკიზი დე ლამოლი ამასვე მოითოხვდა თავისი

სიმამრისთვის; ისინი შეკავშირდნენ და მარშლის მეუღლე ყოველდღე მოდიოდა დე ლამოლის პალატებში. ჟიულიენმა ამ ქალისგან გაიგო, მარკიზი მალე მინისტრი გახდებაო: მას კამარილიისთვის მეტად გონებამახვილი პროექტი წარედგინა, როგორ უნდა მოსპობილიყო კონსტიტუციური ქარტია სამი წლის განმავლობაში ისე, რომ არავითარი სოციალური რყევა არ მომხდარიყო.

თუ ბ. დე ლამოლი მინისტრი გახდებოდა ჟიულიენს გზა ეხსნებოდა მღვდლემთავრის კათედრისკენ; მაგრამ ახლა ეჩვენებოდა, რომ ეს დიდი ინტერესები თითქო ნისლით იყო დაფარული: მისი ფანტაზია მათ მხოლოდ ბუნდოვნად ხედავდა, ასე ვთქვათ, შორეულ სივრცეში. საშინელმა უბედურებამ იგი მანიაკად გადააქცია, ცხოვრების ინტერესები მხოლოდ იმდენად აღელვებდა, რამდენადაც მათ დამოკიდებულება ჰქონდათ მატილდა დე ლამოლთან. იგი ანგარიშობდა, ხუთი თუ ექვსი წლის მცდელობის შემდეგ შეიძლება ხელახლა შევაყვარო თავიო.

მკითხველი ხედავს, რომ ამ ბუნებით ცივ ადამიანს მთლად წაერთვა ჭკუა და გონება. ყველა თავისი ადრინდელი დამახასიათებელი თვისებიდან მხოლოდ ცოტაოდენი სიმტკიცე შერჩა. იგი მკაცრად ასრულებდა თავადი კორაზოვის მიერ ნაკარნახევ რჩევა-დარიგებათ და ყოველ საღამოს ქალბატონი დე ფერვაკის სავარძლის ახლო დგებოდა, მაგრამ სიტყვას ვერ პოულობდა მისთვის სათქმელად.

მთელ მის სულიერ ძალებს ნთქავდა ძალდატანება, რითაც მას უნდოდა მატილდასთვის ეჩენებინა, უკვე განვიკურნე შენი სიყვარულისგანო, და მარშლის ქვრივის გვერდით სევდიანი და თითქმის ცოცხალ-მკვდარი იყო; თვით მისმა თვალებმა, როგორც ეს ხშირად უკიდურესი ფიზიკური ტანჯვის დროს ხდება, დაკარგა თავისი ელვარება.

რადგან ქალბატონი დე ლამოლის შეხედულებანი მისი ქმრის აზრების განმეორება იყო, ქმარი კი შეიძლებოდა რამდენიმე დღეში დუკა გამხდარიყო, ეს მანდილოსანი სიტყვებს ვეღარ პოულობდა ჟიულიენის ღირსების შესაქებად.

XXVI

ზნეობრივი სიყვარული

ადელინა აღსავსე იყო პატრიციული სიწყნარითა
და ბრწყინვალებით. არაფერს არ შეეძლო მისი

წონასწორობიდან გამოყვანა. არასდროს უნახავთ ნირშეცვლილი. იგი ჰგავდა მანდარინებს, რომელთაც არაფერი არ აკვირვებს; ასე რომ, მათი გარეგნობის მიხედით არაფრის გამოცნობა არ შეიძლება.

ბაირონი, «დონ ჟუანი»

«რაღაც გიჟურია ამ ოჯახის შეხედულებებში, _ ფიქრობდა მარშლის მეუღლე, _ ისინი ყველანი გატაცებული არიან თავიანთი ახალგაზრდა აბატით, რომელმაც მხოლოდ ყურის დაგდება იცის; უნდა გამოვტყდე, რომ ლამაზი თალები კი აქვს».

ჟიულიენი, თავის მხრივ, მარშლის ქვრივის მიხრა-მოხრას თითქმის იმ პატრიციული სიდარბაისლის ნიმუშად თვლიდა, რომელიც აღსავსეა ზრდილობით და განსაკუთრებით მიუწვდომელია რაიმე ცოცხალი გრძნობისათვის. სხარტი მოძრაობა, თავდაჭერილობის უქონლობა თითქმის ისევე შეურაცხყოფდა ქალბატონ დე ფერვაკს, როგორც სიდარბაისლის უქონლობა ქვემდგომთა მიმართ. გრძნობიერების ყოველი გამოხატულება მას ერთგვარ ზნეობრივ სიმთვრალედ მიაჩნდა. სამარცხვინოდ და მავნებლად მაღლა მდგომი ადამიანის თავმოყვარეობისთვის. მისი უდიდესი ბედნიერება მეფის უკანასკნელ ნადირობაზე ლაპარაკი იყო, მისი საყვარელი წიგნი დუკა სენ სიმონის* მემუარები, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც გენეალოგიას ეხება.

ჟიულიენმა კარგად იცოდა, რა ადგილას იყო სალონის განათება უფრო ხელსაყრელი ქალბატონი დე ფერვაკის სილამაზისთვის. თვითონაც იქ მოიკალათებდა, მაგრამ ცდილობდა სკამი ისე მოებრუნებია, რომ მატილდა არ დაენახა. ამ ჯიუტობამ, რომელსაც ჟიულიენი თავის თავის დამალვაში იჩენდა, ისე გააოცა ახალგაზრდა ქალი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მან მიატოვა ცისფერი დივანი და მარშლის მეუღლის სავარძლის მახლობლად მდგარ პატარა მაგიდას მიუჯდა თავისი ხელსაქმით. ჟიულიენი ახლა მატილდას საკმაოდ ახლო ხედავდა, ოღონდ მას ქალბატონი დე ფერვაკის ქუდი ფარავდა სანახევროდ. ამ თვალებმა, რომელნიც ვაჟის ბედს განაგებდნენ, იგი თავდაპირველად შეაძრწუნეს, შემდეგ ჩვეულებრივი გულგრილობიდან გამოიყვანეს; მან ლაპარაკი დაიწყო და კარგადაც ილაპარაკა. მისი სიტყვა მარშლის მეუღლისადმი იყო მიმართული, მაგრამ მისი ერთადერთი მიზანი იყო შთაბეჭდილება მოეხდინა მატილდას სულზე. ჟიულიენი იმდენად აღფრთოვანდა, რომ ქალბატონ დე ფერვაკს აღარაფერი ესმოდა მისი. ეს ბუნდოვანება მან ვაჟის უპირველეს ღირსებად მიიჩნია. ჟიულიენს რომ მოესაზრებია და

თავის საუბარში გერმანული მისტიციზმით, ამაღლებული რელიგიურობითა და იეზუიტიზმით აღსავსე რამდენიმე ფრაზა შეეტანა, მარშლის მეუღლე მას დაუყოვნებლივ იმ ადამიანების რიცხვში ჩათვლიდა, რომელნიც მოწოდებული არიან თავისი დროის გასაახლებლად.

«თუ იგი ისეთი ცუდი გემოვნებისაა, რომ შეუძლია ამდენ ხანს და ასეთი გატაცებით ესაუბროს ქალბატონ დე ფერვაკს, ყურს აღარ დავუგდებ», ფიქრობდა მატილდა დე ლამოლი და მთელი საღამოს განმავლობაში არ უღალატია თავისი სიტყვისათვის, თუმცა ეს დიდად გაუჭირდა.

შუაღამისას მატილდამ სანთლით თავისი დედა გააცილა მის ოთახში. ქალბატონი დე ლამოლი კიბეზე შეჩერდა, რათა შესხმა ეძღვნა ჟიულიენისთვის. ამან საბოლოოდ გააღიზიანა მატილდა, კარგა ხანს ვერ დაიძინა. ბოლოს ერთმა აზრმა დაამშვიდა: «ის, ვინც მე მეზიზღება, შეიძლება მარშლის მეუღლემ ღირსეულ მამაკაცად ჩათვალოს».

რაც შეეხება ჟიულიენს, იგი თავის თავს ნაკლებ უბედურად გრძნობდა; მისი თვალი შემთხვევით მოხვდა რუსული ტყავის პორტფელს, სადაც თავადმა კორაზოვმა ორმოცდაცამეტი სამიჯნურო წერილი ჩაუდო. პირველ მათგანზე ჟიულიენმა შენიშვნა წაიკითხა; «პირველი წერილი იგზავნება რვა დღის შემდეგ პირველი შეხვედრის დღიდან».

«დამაგვიანდა! _ წამოიძახა ჟიულიენმა. _ უკვე დიდი ხანია, რაც ქალბატონ დე ფერვაკს ვხვდები». მან მაშინვ დაიწყო ამ პირველი სამიჯნურო წერილის გადაწერა; ეს იყო ქადაგება, სათნოიანი ფრაზებით აღსავსე და მეტისმეტად მოსაწყენი ქადაგება. ჟიულიენს თავისდა საბედნიეროდ მეორე გვერდზე ჩაეძინა.

რამდენიმე საათის შემდეგ ახლად ამოსულმა მზემ მაგიდაზე დაყრდნობილს მოუსწრო. უმძიმეს წუთებს იგი გაღვიძების დროს განიცდიდა, როცა თავში პირველად გაუელვებდა თავისი უბედურების შეგნება. ამ დღეს მან თითქმის მხიარულად დაასრულა თავისი წერილი. «ნუთუ შესაძლებელია, _ გაიფიქრა მან, _ რომ ქვეყანაზე მართლაც არსებობს ახალგაზრდა კაცი, რომელიც ასე წერს!» ზოგიერთ წინადადებაში ცხრა სტრიქონი დათვალა. დედნის ბოლოში ფანქრით მიწერილი შენიშვნა აღმოაჩინა: «ეს წერილი დამწერმა პირადად უნდა წაიღოს; ცხენზე უნდა იჯდეს, შავი ყელსახვევი უნდა ჰქონდეს, ლურჯი სერთუკი ეცვას. წერილი მან მეკარეს უნდა გადასცეს შეწუხებული სახით; თვალებში ღრმა მელანქოლია უნდა ჰქონდეს აღბეჭდილი. თუ მოახლე გამოჩნდა, სასურველია ფარულად ცრემლების მოწმენდა და ორიოდე სიტყვის თქმა თვით მოახლისთვის».

ყოველივე ეს ზედმიწევნით იქნა შესრულებული.

«მე ძლიერ თამამად ვიქცევი, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, როცა დე ფერვაკის პალატებიდან გამოვიდა, _ მაგრამ მით უარესი თავადი კორაზოვისთვის. დიდი გაბედულებაა წერილის მიწერა ასეთი სახელგანთქმული სათნო ქალისთვის! უკიდურესი ზიზღით მიპასუხებენ, მაგრამ ეს მეტისმეტად გამართობს. არსებითად ეს ერთადერთი კომედიაა, რომლითაც შეიძლება თავი შევიქციო. დიახ, გამართობს იმ უხამსი არსების სასაცილოდ აგდება, რომელსაც ჩემს მეს ვუწოდებ; მე მზად ვარ დანაშაულიც კი ჩავიდინო თავის გასართობად».

უკვე რამდენიმე თვე იყო ჟიულიენს თავი ისე ბედნიერად არ უგრძნია, როგორც იმ წუთებში იგრძნო, როცა თავის ცხენს თავლაში აბრუნებდა. კორაზოვმა მტკიცედ აუკრძალა, რა საბაბითაც იყოს, პირდაპირ არ შეხედო სატრფოს, რომელმაც მიგატოვაო. მაგრამ მატილდამ უკვე კარგად იცოდა მისი ცხენის სიარუილ, მისი მათრახის დაკაკუნება თავლის კარზე მეჯინიბის გამოსახმობად. ქალი ხანდახან ფარდას ეკვროდა, რათა ვაჟი დაენახა; მუსლინი ისეთი გამჭვირვალე იყო, რომ ჟიულიენი ადვილად ამჩნევდა ქალის სილუეტს, იგი მას თვალებზე ჩამოფხატული ქუდის ქვემოდან უცქეროდა და ნათლად ხედავდა ყველაფერს.

საღამოს ქალბატონი დე ფერვაკი მას ისე მოეპყრო, თითქო არ მიეღოს ფილოსოფიური, მისტიკური და რელიგიური დისერტაცია, რომელიც მან დილით გადასცა მეკარეს მელანქოლიური სახის გამომეტყველებით. წინა დღით ჟიულიენი განსაკუთრებით მჭევრმეტყველი იყო, იმიტომ, რომ მოხერხებულად დაჯდა და კარგად ხედავდა მატილდას თვალებს. დღეს ქალი, თავის მხრივ, მარშლის მეუღლის მოსვლისთანავე მასთან გადავიდა ცისფერი დივანიდან. ეს ნიშნავდა ჩვეულებრივი საზოგადოებისაგან გაქცევას. დე კრუაზენუა განადგურებული იყო ამ ახალი ჟინის გამო; მისმა აშკარა ტანჯვამ ჟიულიენს შეუმსუბუქა თავისი უბედურების სიმძაფრე.

ამ მოულოდნელობამ ჟიულიენი არაჩვეულებრივად მჭევრმეტყველი გახადა. რადგან თავმოყავრეობა თვით უზენაესი სათნოებით გამსჭვალულ გულში შეიპარება ხოლმე, მარშლის მეუღლემ ეტლში ჩაჯდომის დროს გაიფიქრა: «ქალბატონი დე ლამოლი მართალია, ამ ახალგაზრდა აბატს ნიჭი არ აკლია. პირველ დღეებში, ალბათ, ვაფრთხობდი. მართალი რომ ვთქვა, ყოველივე, რასაც ამ სახლში ვხედავ, მეტად ზერელეა; თუ კიდევ სადმე სათნოება ჩანს, იგი სიბერითაა გამოწვეული და ასაკის ყინული სჭირია გასამაგრებლად. ამ ჭაბუკმა შეძლო განსხვავების დანახვა მათსა და ჩემს შორის; იგი

კარგად წერს, მაგრამ მეშინია, რომ მისი თხოვნის ქვეშ, თქვენი რჩევა-დარიგებით გამანათლეთო, რამე სხვა გრძნობა არ იმალებოდეს, რომელიც შეიძლება თვით მას არ ესმის. ესეცაა, რომ ბევრი ადამიანის მორჯულება დაწყებულა ასე! ამ შემთხვევაში წინათგრძნობა ბევრ რამეს მეუბნება, ვინაიდან მისი სტილი განსხვავდება იმ ახალგაზრდათა სტილისგან, რომელთა წერილები წამიკითხავს. შეუძლებელია ამ ახალგაზრდა ლევიტელის პროზაში კაცმა კრძალვა, ღრმა სერიოზულობა და დიდი რწმენა არ იგრძნოს; მასში მასილიონის* ტკბილი სათნოება აღორძინდება».

XXVII

ეკლესიის საუკეთესო თანამდებობანი

დამსახურება, ნიჭი, ღირსება არაფერს ნიშნავს!
გახდით მხოლოდ რომელიმე წრის დამქაშები.

ტელემაკი

ამრიგად, მღვდელმთავრობის იდეა ჟიულიენის იდეას პირველად იმ ქალის თავში შეუკავშირდა, რომელსაც ადრე თუ გვიან ეკლესიის საუკეთესო თანამდებობანი უნდა გაენაწილებია საფრანგეთში. ჟიულიენი სრულიად გულგრილად შეხვდა ამ გამარჯვების ამბავს; ამ წუთში მისი აზრი განუწყვეტლივ მისი უბედური სიყვარულის გარშემო ტრიალებდა. ყოველივე აორკეცებდა მის მწუხარებას. მაგალითად, თავისი ოთახის დანახვა მისთვის აუტანელი გახდა; საღამოთი, როცა შიგ შედიოდა სანთლით ხელში, ყოველი ავეჯი, ყოველი საგანი თითქო ლაპარაკის უნარს იძენდა, რათა მისთვის მძაფრად უბედურების ესა თუ ის ახალი წვრილმანი ეუწყებია.

_ დღეს სავალდებულო შრომა მაქვს შესასრულებელი, _ ჩაილაპარაკა მან ოთახში შესვლისას იმ სიმკვირცხლით, რომელიც დიდი ხანია აღარ ეტყობოდა. _ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მეორე წერილი ისევე მოსაწყენი იქნება, როგორც პირველი იყო.

იგი კიდევ უფრო მოსაწყენი აღმოჩნდა. დედანი იმდენად უაზრო იყო, რომ მან სიტყვასიტყვით გადაწერა და სრულიადაც არ უფიქრია შინაარსზე. «ეს წერილი კიდევ უფრო მაღალფარდოვანია, ვიდრე მიუნსტერში დადებული ტრაქტატის* ოფიციალური

დოკუმენტები, რომელიც ლონდონში გადამაწერინა ჩემმა დიპლომატმა ოსტატმა», გაიფიქრა მან.

ჟიულიენს მხოლოდ ახლა გაახსენდა ქალბატონ დე ფერვაკის წერილები, რომელნიც მას დონ დიეგო ბიუსტოსმა გადმოსცა ამ ქალის სტილის გასაცნობად. ისინი თითქმის ისევე უაზრონი აღმოჩნდნენ, როგორც ახალგაზრდა რუსი არისტოკრატის წერილები: ისინიც უიმედო ბურუსში იყვნენ გახვეული, თითქო ყველაფერსაც ამბობდნენ და არაფერსაც. «ეს ნამდვილი ეოლის ქნარია სტილისა, _ ფიქრობდა ჟიულიენი, _ მაღალ აზრებს შორის, რომელიც არყოფნას, სიკვდილს, დაუსრულებლობას და სხვ. შეეხება, მე ვერაფერს ვხედავ რეალურს, გარდა საზიზღარი შიშისა, სასაცილო არ გამოვჩნდეო».

ეს ჩვენ მიერ შემოკლებული მონოლოგი ხშირად მეორდებოდა თხუთმეტი დღის განმავლობაში. დაძინების წინ მელანქოლიური სახით წერილის გადაცემა მეკარისთვის, შემდეგ ცხენის მიყვანა საჯინიბოში იმ იმედით, მატილდას კაბას მოვკრავ თვალსო, შემდეგ მუშაობა, ბოლოს საღამოთი ოპერაში წასვლა, როცა ქალბატონი დე ფერვაკი არ მოდიოდა დე ლამოლის სასახლეში, ასეთი იყო მონოტონური ამბები ჟიულიენის ცხოვრებაში. ეს ცხოვრება უფრო საინტერესო ხდებოდა როცა ქალბატონი დე ფერვაკი მოდიოდა მარკიზისას; მაშინ ჟიულიენს შეეძლო მატილდას თვალები დაენახა მარშლის მეუღლის ქუდს მიღმა და იგი მჭევრმეტყველი ხდებოდა. მისი მხატვრული და საინტიმენტალური ფრაზები ერთსა და იმავე დროს უფრო გამაბრუებელიც გახდა და უფრო მოხდენილიც.

იგი გრძნობდა, რომ მისი ნათქვამი უაზროდ უნდა ჩვენებოდა მატილდას, მაგრამ უნდოდა ქალი გაეკვირვებია თავისი ლაპარაკის ლაზათიანობით. «რაც უფრო ყალბია ჩემი სიტყვები, მით უფრო უნდა მოვეწონო მას», ფიქრობდა ჟიულიენი; და იგი გასაოცარი სითამამით აზვიადებდა ზოგიერთ ბუნებრივ მოვლენას. მან ჩქარა შეამჩნია, რომ რათა ვულგარული არ ჩვენებოდა მარშლის ქვრივს, უწინარეს ყოვლისა, თავიდან უნდა აეცილებია მარტივი და გონიერი აზრები. და იგი ავრცობდა ან ამოკლებდა თავის ენამჭევრობას იმისდა მიხედვით, მოწონებას ამჩნევდა თუ გულგრილობას იმ მანდილოსნების თვალებში, რომელთაც თავს აწონებდა.

საერთოდ, მისი ცხოვრება ნაკლებ აუტანელი გახდა, ვიდრე წინათ იყო, როცა უმოქმედობას იჩენდა.

«მაგრამ, _ გაიფიქრა მან ერთ საღამოს, _ აი, უკვე მეთხუთმეტე წყეულ დისერტაციას ვიწერ, თოთხმეტი უკვე გადვეცი მარშლის მეუღლეს; ჩქარა მისი საწერი მაგიდის ყუთი,

ალბათ, ჩემი წერილებით აივსება. ამისდა მიუხედავად, ისე მეპყრობა, თითქო ჩემგან ერთი წერილიც კი არ მიეღოს! რით გათავდება ყოველივე ეს? შეიძლება ჩემი ჯიუტობაც მოწყინდეს და ჩემი თავიც. უნდა ითქვას, რომ ამ წერილების პირველი ავტორი, კორაზოვის რუსი მეგობარი, მშვენიერი რიჩმონდელი კვაკერი ქალის მიჯნური, საშინელი კაცი ყოფილა: შეუძლებელია ადამიანი მასზე უფრო მოსწყენი იყოს».

როგორც ყველა ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც შემთხვევა დიდი სარდლის მანევრების მოწმედ ხდის, ჟიულიენს არაფერი გაეგებოდა ახალგაზრდა რუსის იერიშებისა, რომელიც ამ უკანასკნელს ინგლისელი ქალის მკაცრი გულის წინააღმდეგ მიეტანა. ორმოცდაერთი წერილის შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ ავტორი ქალისაგან პატიებას ითხოვდა იმისთვის, რომ თავხედობას იჩენდა და წერილების მიწერას ბედავდა. ის მშვენიერი მანდილოსანი, ალბათ, ძალიან მოწყენილი იყო, იგი ჯერ უნდა შეჩვეოდა წერილების მიღებას, რომელნიც ნაკლებ უგემური და უშინაარსო იქნებოდნენ, ვიდრე მისი ყოველდღიური ცხოვრება იყო.

ერთ მშვენიერ დღეს ჟიულიენს ბარათი გადასცეს; მან იცნო ქალბატონ დე ფერვაკის გერბი და ლუქი ისეთი სიჩქარით გატეხა, რომელიც თავის დღეში არ გამოუჩენია. მას სადილად ეპატიჟებოდნენ.

მან ისევ მიმართა თავადი კორაზოვის ინსტრუქციებს. სამწუხაროდ, ახალგაზრდა რუსს განეზრახა დორას* თავქარიანობისთვის წაებაძა, იმის მაგივრად, რომ უბრალო და გასაგები ყოფილიყო; ჟიულიენმა ვერაფრით ვერ გაიგო როგორ დაეჭირა თავი მარშლის მეუღლის სადილზე.

სალონი დიდი ბრწყინვალებით იყო შემკული და მოვარაყული. დიანის გალერეის მსგავსად ტიულრის სასახლეში; პანელში ზეთის ფერადი სურათები იყო ჩასმული. მაგრამ ამ სურათებს აქა-იქ ნათელი ლაქები აჩნდა. ჟიულიენმა შემდეგ გაიგო, რომ მათი სიუჟეტი, ცოტა არ იყოს, უზნეოდ ჩვენებოდა დიასახლისს და შეესწორებინებია ისინი. «მორალურ საუკუნეშ ვცხოვრობთ», გაიფიქრა ჟიულიენმა.

სტუმრებს შორის ჟიულიენმა სამი პიროვნება შეამჩნია, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საიდუმლო ნოტის შედგენაში. ერთ მათგანს, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს, დიასახლისის ბიძას, ხელთ ჰქონდა ბენეფიციების* სია და, როგორც ამბობდნენ, არ შეეძლო რაიმეზე უარი ეთქვა თავისი ძმისწულისთვის. «რა დიდი ნაბიჯი გადავდგი, _ გაიფიქრა ჟიულიენმა მელანქოლიური ღიმილით, _ და როგორ სულ ერთია იგი ჩემთვის! მე ხომ ერთ სუფრაზე ვსადილობ სახელგანთქმულ ეპისკოპოსთან!»

სადილი საშუალო ღირსებისა აღმოჩნდა, ხოლო საუბარი გამაღიზიანებელი. «ეს ცუდი წიგნის სათაურებს ჰგავს, _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ წამოყენებულია ადამიანური აზროვნების ყველა დიდი საკითხი, მაგრამ საკმაოა კაცმა სამი წუთით დაუგდოს ყური, რომ თავის თავს შეეკითხოს, რა სჭარბობს აქ, მოლაპარაკის მაღალფარდოვნება თუ მისი გასაშტერებელი უმეცრება».

მკითხველს უეჭველად დაავიწყდა პატარა ლიტერატორი, გვარად ტანბო, აკადემიკოსის დისწული და მომავალი პროფესორი, რომელიც თავისი მდაბალი ცილისწამებით წამლავდა დე ლამოლის სასახლეს. ამ კაცუნამ პირველად აგრძნობინა ჟიულიენს, ძალიან ადვილი შესაძლებელია ქალბატონმა პასუხი არ გასცეს შენს წერილებს, მაგრამ გულმოწყალედ შეხედოს მათ გამომწვევ გრძნობებსო. ბ. ტანბოს შავი სული შურით იხერხებოდა ჟიულიენის გამარჯვების დანახვაზე. «მაგრამ რადგან, მეორე მხრივ, არც ერთი ადამიანი, ჭკვიანია იგი თუ სულელი, არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ორ ადგილას იმყოფებოდეს, _ ფიქრობდა ეს მომავალი პროფესორი, _ თუ სორელი მშვენიერ ქლბატონ დე ფერვაკის საყვარელი გახდა, იგი მას დააწინაურებს საეკლესიო სარბიელზე და ასპარეზი მე დამრჩება დე ლამოლის სასახლეში».

აბატმა პირარმა ჟიულიენს გრძელი ქადაგება წაუკითხა მისი წარმატების გამო დე ფერვაკის პალატებში. მაგრამ ეს ქადაგება გამოწვეული იყო სექტური მეშურნეობით მკაცრ იანსენისტსა და სათნონიანი მანდილოსნის იეზუიტურ სალონს შორის.

XXVIII

მანონ ლესკო

> და რაკი კარგად დაინახა, მოძღვარი სულელიც იყო და უმეცარიც, იგი ადვილად აღწევდა თავის მიზნებს იმით, რომ უმტკიცებდა, შავი თეთრია და თეთრი შავიო.
>
> **ლიხტემბერგი**

კორაზოვის ინსტრუქციებით მკაცრად აკრძალული იყო სიტყვაში შეცილება იმ პიროვნებასთან, რომლისადმიც წერილი იყო მიმართული. შეყვარებულს არასოდეს არ

უნდა ეღალატნა გაოგნებული და აღტაცებული ადამიანის როლისთვის: ყოველთვის იგივე უნდა გამოთქმულიყო წერილებშიც.

ერთ საღამოს ოპერაში ქალბატონ დე ფერვაკის ლოჟაში ჟიულიენმა ცამდე აიყვანა ბალეტი «მანონ ლესკო».* ამას მხოლოდ იმიტომ სჩადიოდა, რომ იგი სრულიად უმნიშვნელოდ მიაჩნდა.

მარშლის მეუღლემ შენიშნა, ეს ბალეტი ბევრად დაბლა დგას აბატ პრევოს რომანზეო.

«როგორ, _ გაიფიქრა გაკვირვებულმა ჟიულიენმა, _ ასეთი ღვთისმოსავი ქალი რომანს აქებს!»

ქალბატონი დე ფერვაკი თავის თავს ვალდებულად თვლიდა კვირაში ორჯერ თუ სამჯერ უსაზღვრო ზიზღი გამოეხატა მწერლებისადმი, რომელნიც თავიანთი უგვანო ნაწერებით ცდილობენ მოწამლონ ახალგაზრდობა, სამწუხაროდ, მეტისმეტად მიდრეკილი გრძნობადი ცთუნებისაკენ.

_ ამ უზნეო და სახიფათო ჟანრში, _ განაგრძო მარშლის მეურლემ, _ მანონ ლესკოს, როგორც ამბობენ, ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. იქ დამნაშავე გულის სისუსტენი და დამსახურებული შეშფოთება დიდი სიმართლითა და სიღრმითაა დახატულიო; მაგრამ ამ გარემოებამ ხელი არ შეუშალა თქვენს ბონაპარტს წმინდა ელენეს კუნძულზე ეთქვა, ეს რომანი ლაქიებისთვის არის დაწერილიო.

ამ სიტყვებმა გამოაცოცხლა ჟიულიენის სული. «ჩემს მტრებს უნდოდათ დავემცირებინე მარშლის მეუღლის თვალში, უთხრეს, აღტაცებულია ნაპოლენითო. ამ ფაქტმა ეს ქალი ისე გააღიზიანა, რომ ვერ შეძლო ეს ჩემთვის არ ეგრძნობინებია». ამ აღმოჩენამ გაართო და მთელი საღამო მხიარული იყო. როცა ოპერის ვესტიბიულში მარშლის მეუღლეს ეთხოვებოდა, ქალმა უთხრა;

_ იცოდეთ, ბატონო, რომ ვისაც მე ვუყვარვარ, ნაპოლეონი არ უნდა უყვარდეს; შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში, მისი მიღება როგორც განგების მიერ დაკისრებული აუცილებლობისა. სხვა არა იყოს რა, ამ ადამიანს იმდენად ნაკლებ დრეკადი სული ჰქონდა, რომ ვერ იგრძნობდა ხელოვნების შედევრებს.

«ვისაც მე ვუყვარვარ!» იმეორებდა ჟიულიენი: «ეს ან ძლიერ ბევრ ნიშნავს, ან არაფერს არ ნიშნავს. აი, ენის საიდუმლოება, რომელსაც მოკლებული არიან საბრალო პროვინციელები». და მან ბევრი იფიქრა ქალბატონ დე რენალზე ერთ-ერთი გრძელი წერილის გადაწერის დროს, რომელიც მარშლის ქვრივისთვის იყო დანიშნული.

_ ეს როგორ მოხდა, რომ წუხანდელ, ალბათ ოპერის შემდეგ დაწერილ წერილში, თქვენ ლონდონსა და რიჩმონდზე მწერთ, _ ჰკითხა მას მეორე დღეს ქალბატონმა დე ფერვაკმა მოგონილი გულგრილობით.

ჟიულიენი საშინლად დაიბნა; მან წერილი სიტყვასიტყვით გადმოწერა, არც კი დაფიქრებულა რას წერდა და, როგორც ეტყობოდა, დავიწყნოდა დედნის სიტყვები _ ლონდონი და რიჩმონდი პარიზითა და სენ-კლუთი შეეცვალა. ლუღლუღს მოჰყვა თავის გასამართლებლად, მაგრამ გარკვეული ვერაფერი თქვა, ეშინოდა, სიცილი არ წამსკდესო. ბოლოს დიდის გაჭირვებით შემდეგი აზრის გამოთქმა მოახერხა:

_ მე ისე აღფრთოვანებული ვიყავი უზენაესი იდეებით ადამიანის სულის უდიდეს ინტერესებზე, რომ ჩემი საკუთარი სული წერის დროს ადვილად დაიბნა.

«შთაბეჭდილებას ვახდენ, _ გაიფიქრა მან, _ მაშასადამე, შემიძლია საღამოს დანარჩენი ნაწილი აქ აღარ გავატარო მოწყენილად». და იგი გაიქცა დე ფერვაკების სასახლიდან. ღამით ხელახლა გადაიკითხა წინა დღით გადაწერილი წერილის დედანი და ჩქარა მიაღწია იმ საბედისწერო ადგილს, სადაც ახალგაზრდა რუსი ლონდონსა და რიჩმონდზე ლაპარაკობს. დიდად გააოცა იმ გარემოებამ, რომ ეს წერილი თითქმის ნაზი აღმოჩნდა.

თუ ქალბატონმა დე ფერვაკმა ჟიულიენს ყურადღება მიაქცია, ეს აიხსნება იმ კონტრასტით, რომელიც მისი საუბრის მოჩვენებით სიმსუბუქესა და მისი წერილების უძირო, თითქმის აპოკალიფსურ სიღრმეს შორის არსებობდა. მარშლის ქვრივს განსაკუთრებით მისი ფრაზების სიგრძე მოსწონდა. «ასეა თუ ისე, ეს არაა ასკინკილა მოხტუნავე სტილი, რომელიც მოდაში უზნეო ვოლტერმა შემოიღო», ფიქრობდა ქალი.

თუმცა ჩვენი გმირი მთელი ძალ-ღონით ცდილობდა ყოველივე საღი აზრი გაეძევებია თავისი საუბრიდან, ამ უკანასკნელს მაინც ანტიმონარქიზმის და უღმერთობის ელფერი ჰქონდა, რაიცა არ გამოეპარებოდა ქალბატონ დე ფერვაკს. ამ მანდილოსნის საზოგადოება შედგებოდა ფრიად ზნეობრივი, მაგრამ იდეებით ღარიბი ადამიანებისგან, ამიტომ მას ღრმად აოცებდა ყოველივე, რასაც რაიმე სიახლის ბეჭედი ესვა; მაგრამ იმავე დროს ფიქრობდა, ვალდებული ვარ ყოველი ახალი აზრი პირად შეურაცხყოფად მივიღოო. ამ ნაკლს იგი «ახალი საუკუნის თავქარიანობის ბეჭდის ქონას» უწოდებდა.

ასეთი სალონები მისაღებია მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების დროს. მკითხველი ადვილად მიხვდება რა მოსაწყენი იყო ჟიულიენის ცხოვრება. ასეთი უდაბური ადგილები ხშირად გვხვდება ცხოვრების გზაზე.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ჟიულიენი ქალბატონი დე ფერვაკით გახლდათ გართული, მატილდა დე ლამოლი იძულებული იყო თავისთვის ძალა დაეტანებინა, რათა მასზე არ ეფიქრა. მისი სული უმძაფრესი ბრძოლებით იყო გათიშული: ხანდახან ამაყობდა იმით, რომ ზიზღით უცქეროდა ამ სევდიან ჭაბუკს, ხან კი მისი საუბარი ატყვევებდა. ყველაზე მეტად ქალს ვაჟის სრულქმნილი სიყალბე აოცებდა: იგი მარშლის მეუღლეს არც ერთ ისეთ სიტყვას არ ეუბნებოდა, რომელიც ან აშკარა ტყუილი არ ყოფილიოს ან შემაძრწუნებელი ნიღაბი მისი შეხედულებებისა, რომელთაც მატილდა ძლიერ კარგად იცნობდა. ქალს აკვირვებდა ეს მაკიაველიზმი. «რა სიღრმეა, _ ფიქრობდა იგი, _ როგორ განსხვავდება ეს ვაჟი გაფუყული ნაცარქექიებისაგან და ტანბოს მსგავსი არამზადებისაგან, რომელნიც იმავე ენით ლაპარაკობენ!»

ამისდა მიუხედავად, ჟიულიენს ხანდახან საშინელი დღეები ჰქონდა. თუ ყოველდღე ჩნდებოდა მარშლის მეუღლის სალონში, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ უმძიმესი ვალდებულება შეესრულებია. ძალდატანებითი როლის შესრულებამ საბოლოოდ გაანიავა მისი სულიერი ძალები. ხშირად, როცა დე ფერვაკების სასახლის უზარმაზარ ეზოში შედიოდა, მთელი თავისი გონებისა და ხასიათის ძალა უნდა მოეკრიბა, რათა სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილიყო.

«მე ჩემი სასოწარკვეთილება დავძლიე სემინარიაში, _ ფიქრობდა იგი. _ იმავე დროს კი რა საშინელი პერსპეტქივა მქონდა თვალწინ! მივაღწევდი თუ ვერ მივაღწევდი ჩემს მიზანს, ორივე შემთხვევაში იძულებული ვიქნებოდი ყველაზე საზიზღარ და გულისამრევ საზოგადოებაში მეცხოვრა. მომდევნო გაზაფხულზე, სულ რაღაც თერთმეტიოდე თვის შემდეგ, მე უბედნიერესი ჭაბუკი ვიყავი დედამიწის ზურგზე».

მაგრამ ხშირად ეს მშვენიერი მსჯელობანი უილაჯონი ხდებოდნენ საშინელი სინამდვილის წინააღმდეგ. ვაჟი მატილდას ყოველდღე ხედავდა საუზმეზე ან სადილად. მრავალი წერილის მიხედვით, რომელსაც ბ. დე ლამოლი უკარნახებდა, მან იცოდა, რომ ქალი ხვალ თუ ზეგ ბ. დე კრუაზენუაზე უნდა გათხოვილიყო. ეს ახალგაზრდა უკვე დღეში ორჯერ მოდიოდა დე ლამოლის პალატებში; და მიტოვებული მიჯნურის მეშურნე თვალს არც ერთი მისი ნაბიჯი არ ეპარებოდა.

როცა მას ეჩვენებოდა, რომ მატილდა დე ლამოლი ალერსიანად ეპყრობოდა თავის საქმროს, იგი თავის ოთახში შედიოდა და სიყვარულით უცქეროდა თავის დამბაჩებს.

«აჰ, რამდენად უფრო ბრძნული იქნება ჩემი მხრივ, რომ ნიშანს ავაცლიდე ჩემს საცვალს და განმარტოებულ ტყეში წავიდოდე, ოცი ლიეს მანძილზე პარიზიდან, რათა იქ

ბოლო მოვუღო ამ შეჩვენებულ სიცოცხლეს! რადგან აქ არავინ არ მიცნობს, ჩემს სიკვდილს ვერ გაიგებენ ორი კვირის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ვიღას ეცხელება ჩემთვის?»

ეს მსჯელობა მეტად ბრძნული იყო. მაგრამ საკმარისი იყო ჩვენს ახალგაზრდა ფილოსოფოსს მეორე დღეს მატილდას ხელის ერთი ნაწილი დაენახა სახელოსა და ხელთათმანს შუა, რომ იმ მოგონებებში ჩაფლულიყო, რომელნიც თუმცა სასტიკნი იყვნენ, მაგრამ მაინც აკავშირებდნენ ცხოვრებასთან. «ძალიან კარგი, _ ფიქრობდა იგი ამ წუთებში, _ ბოლომდე მივიყვან ამ რუსულ პოლიტიკას. ვნახოთ, როგორ გათავდება. მარშლის ქვრივს, რასაკვირველია, მხოლოდ ამ ორმოცდაცამეტ წერილს მივწერ და ამით გავათავებ. რაც შეეხება მატილდას, ან ეს მძიმე ექვსკვირიანი კომედია მასზე არავითარ შთაბეჭდილებს არ მოახდენს, ან მასთან წუთიერ შერიგებას მომცემს. ღმერთო ჩემო, მე ვერ ავიტან ამ ბედნიერებას».

მან ვერ შეძლო თავისი აზრების დამთავრება. «ამრიგად, _ განაგრძო ოცნებიდან გამორკვევის შემდეგ, _ მე ერთი დღის ბედნიერებას მივიღებ, ხოლო შემდეგ ხელახლა დაიწყება მისი სიმკაცრე, რომელიც, სამწუხაროდ, დაფუძნებულია იმაზე, რომ არ ძალმიძს მას თავი მოვაწონო. მაშინ არავითარი საშუალება აღარ დარჩება, მე საბოლოოდ გავნადგურდები და დავიღუპები... რა გარანტიის მოცემა შეუძლია ასეთი ხასიათის ქალს? ეჰ, მე სილაზათე მაკლია მიხრა-მოხრაში, ჩემი ლაპარაკის მანერა მძიმე და ერთფეროვანია. ღმერთო ჩემო, ნეტავი მე მე არ ვიყო!»

XXIX

მოწყენილობა

> კიდევ მესმის კაცმა თავი შესწიროს თავის ვნებათა ღელვას! მაგრამ რა აზრი აქვს თავის განწირვას არარსებულ ვნებათა ღელვის გულისთვის. ოჰ, ბეჩავო XIX საუკუნევ!
>
> **ჟიროდე**

თავდაპირველად ქალბატონი დე ფერვაკი არავითარ სიამოვნებას არ გრძნობდა ჟიულიენის გრძელი წერილების კითხვის დროს, შემდეგ ნელ-ნელა დაინტერესდა. მაგრამ მას ერთი რამ აგდებდა სასოწარკვეთილებაში: «რა სამწუხაროა, რომ ბ. სორელი ნამდვილი

მღვდელი არაა! მაშინ შეიძლებოდა მისი უფრო დაახლოება; მისი ორდენი და თითქმის ბურჟუაზიული ტანსაცმელი კი საშინელ შეკითხვებს გამოიწვევს, და რა უნდა ვუპასუხო? _ მას არ დაუსრულებია თავისი აზრი. _ რომელიმე ბოროტმა მეგობარმა ქალმა შეიძლება წარმოიდგინოს და ხმაც კი დაარხიოს, რომ ის ჩემი ბიძაშვილია ან მამაჩემის ნათესავი, ვიღაც ვაჭრის შვილი, ეროვნულ გვარდიაში სამსახურით ორდენი რომ დაიმსახურა».

ჟიულიენის გაცნობამდე ქალბატონი დე ფერვაკის უდიდეს სიამოვნებას წარმოადგენდა სიტყვა მარშლის დაწერა თავისი გვარის გვერდით. შემდეგ პარვენიუს ავადმყოფურმა და ადვიალდ გასაღიზიანებელმა თავმოყვარეობამ ბრძოლა დაიწყო გაღვიძებულ გრძნობასთან.

«ჩემთვის ადვილი იქნებოდა ქორეპისკოპოსად დამენიშვნინებინა რომელიმე ეპარქიაში პარიზის მახლობლად. მაგრამ უბრალოდ ბ. სორელის გვარის კაცი და ისიც ბ. დე ლამოლის მდივანი! ეს შეუძლებელია!»

ეს სული, ყველაფრის რომ ეშინოდა, პირველად ააღელვა ინტერესმა, რომელსაც მის დიდკაცურ ზრახვებთან არაფერი ჰქონდა საერთო. მისმა ბებერმა მეკარემ შეამჩნია, რომ როცა მას ამ ლამაზი და სევდიანი ჭაბუკის წერილი მოჰქონდა, მარშლის ქვრივის სახეზე ქრებოდა ის გაფანტულობის და უკმაყოფილების გამომეტყველება, რომელსაც ეს მანდილოსანი ღებულობდა თავისი ამა თუ იმ მსახურის ოთახში შესვლის დროს.

მას შემდეგ, რაც მარშლის მეუღლემ ფიქრი დაიწყო ჟიულიენზე, აუტანლად მოსაწყენად ეჩვენებოდა თავისი წინანდელი ცხოვრება, მიმართული ერთადერთი პატივმოყვარე მიზნისაკენ, რაც შეიძლება დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა საზოგადოებაზე; მით უმეტეს, რომ გამარჯვება საზოგადოებაში მას არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებდა. და ახლა საკმაო იყო მას ერთი დღე გაეტარებინა ამ ჭაბუკთან, რომ მეორე დღეს მისი მოხელეები დაზღვეული ყოფილიყვნენ მისი გულისწყრომისაგან. ჟიულიენის მდგომარეობა ისე განმტკიცდა, რომ მარჯვედ შედგენილმა უსახელო წერილებმაც კი ზიანი ვერ მიაყენა. ამაოდ გადასცა ტანბომ დე ლიუზსა, დე კრუაზენუას, დე კაიუსს ორი თუ სამი გესლიანი ცილისწამება, ხოლო ამ ვაჟბატონებმა სიამოვნებით გაავრცელეს ისინი ისე, რომ თავიც არ შეუწუხებიათ მათი შემოწმებისთვის. მარშლის მეუღლეს საიმისო ჭკუა არ შესწევდა და ამ ავყია ხალხს პირს ვერ მოუკრავდა, მაგრამ ის მატილდას უზიარებდა თავის ეჭვებს და ყოველთვის ნუგეშს ღებულობდა მისგან.

ერთ დღეს ქალბატონმა დე ფერვაკმა სამჯერ იკითხა, წერილები ხომ არ მოსულაო, და უცებ გადაწყვიტა ეპასუხა ჟიულიენისთვის. ეს იყო მოწყენილობის გამარჯვება. მეორე

წერილის გაგზავნის დროს მარშლის მეუღლე შეაჩერა იმ აზრმა, არ შემეფერება ჩემი ხელით დავწერო ასეთი ვულგარული მისამართიო: «ბ. სორელს, ბ. მარკიზ დე ლამოლისას».

_ მომიტანეთ კონვერტები, რომლებზედაც თქვენი მისამართია დაწერილი, _ უთხრა მან იმავე საღამოს მშრალად ჟიულიენს.

«აი, მე მიჯნურ ლაქიად გადავიქეცი», გაიფიქრა ჟიულიენმა და თავი დახარა ისე, როგორც ამას მარკიზის ბებერი ლაქია არსენი იზამდა.

იმავე საღამოს მან თავისი კონვერტები მოიტანა, ხოლო მეორე დღეს, გათენებისთანავე მესამე წერილი მიიღო; ხუთი-ექვსი სტრიქონი წაიკითხა თავში და ორი-სამი ბოლოში, მთელი წერილი კი წვრილი ხელით დაწერილი ოთხი გვერდისაგან შედგებოდა.

ნელ-ნელა მარშლის ქვრივს ძალიან გაუტკბა ეს მიმოწერა. ჟიულიენი პასუხს აძლევდა რუსის წერილების ასლებით; და ასეთია მაღალფარდოვანი სტილის უპირატესობა, რომ ქალბატონი დე ფერვაკი სრულიად ვერ ამჩნევდა ვაჟის ეპისტოლეების შეუსაბამობას თავის წერილებთან.

რა შეურაცხყოფილად იგრძნობდა ქალი თავს, პატარა ტანბოს, რომელიც ნებაყოფლობით ზვერავდა ჟიულიენის მოქმედებას, შეძლება რომ ჰქონოდა მისთვის ეცნობებია, ყველა თქვენი წერილი გაუხსნელი ყრია ჟიულიენის ყუთშიო.

ერთ დილას მეკარემ ჟიულიენს მარშლის მეუღლის წერილი მოუტანა ბიბლიოთეკაში; მატილდა გზაზე შეეჩეხა ამ კაცს, დაინახა წერილი და ჟიულიენის ხელით დაწერილი მისამართი. მეკარის გამოსვლისთანავე ქალი ბიბლიოთეკაში შევიდა. წერილი ჯერ კიდევ მაგიდაზე იდო. ჟიულიენი წერაში იყო გართული და ვერ მოასწრო მისი ყუთში ჩადება.

_ აი, რის მოთმენა არ შემიძლია, _ წამოიძახა მატილდამ და წერილს ხელი სტაცა, – თქვენ მე გავიწყდებით, თქვენი მეუღლე. თქვენი ყოფაქცევა საშინელია, ბატონო ჩემო!

ქალი თვითონ გააკვირვა მისმა საშინლად შეუფერებელმა ყოფაქცევამ, მისი ამპარტავნობა შეურაცხოფილი იყო, მას სული ეხუთებოდა; თვალთაგან ცრემლების ნაკადული წამოუვიდა, თითქმის სუნთქვა შეეკრა.

ვაჟი გაკვირვებული, შეშფოთებული იყო. მას ჯერ კიდევ ვერ შეეგნო რამდენად საუცხოო და ბედნიერების მაუწყებელი იყო მისთვის ეს სცენა. იგი მატილდას დაეხმარა დამჯდარიყო; ქალი თითქმის გულწასული მიესვენა მის მკერდზე. როცა ჟიულიენმა ეს

მოძრაობა შეამჩნია, უჩვეულო სიხარულმა მოიცვა; მაგრამ მაშინვე კორაზოვი გაახსენდა; «შეიძლება ყველაფერი დავკარგო ერთი გაუფრთხილებელი სიტყვის წყალობით».

ხელები გაუშეშდა, იმდენად ძლიერი იყო თავისი თავის ძალდატანება, რომელსაც პოლიტიკა აკისრებდა. «მე ჩემს თავს ნება არ უნდა მივცე გულზე მივიკრა ეს მოქნილი, მომხიბლავი სხეული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ან შევეზიზღები ან ამითვალწუნებს. რა საშინელი ხასიათი აქვს».

თუმცა მატილდას ხასიათს სწყევლიდა, მაგრამ ასჯერ უფრო უყვარდა იგი; ეგონა, დედოფალი მყავს გულში ჩაკრულიო.

ვაჟის შეუშფოთებულმა თავდაჭერილობამ გააორკეცა ტანჯვა, რომელიც ქენჯნიდა მატილდა დე ლამოლის ამაყ სულს. ქალი შორს იყო იმ გულგრილობისაგან, რომელიც საჭირო იყო, რათა ვაჟის თვალებში ამოეკითხა რას გრძნობდა ამ წუთებში; ვერც კი შეეხედა მისთვის, ეშინოდა, ვაითუ მის სახეზე ზიზღის გამომეტყველება დავინახოო.

ქალი ბიბლიოთეკის დივანზე იჯდა უმოძრაოდ, მეორე მხარეს იცქირებოდა, მის სულს სიამაყის და სიყვარულის უმძაფრესი ტანჯვა ფლობდა. ეს რა საშინელი ნაბიჯი გადადგა!

«მე უბედური იმასაც მოვესწარ, რომ გულზე ხელი მკრეს! და ვინ მკრა ხელი? მამაჩემის შინამოსამსახურემ!»

_ მაგრამ ამას ვერ მოვითმენ, _ დაუმატა მან ხმამაღლა.

იგი ზეზე წამოვარდა გააფთრებული და გამოაღო მაგიდის ყუთი, რომელიც ორი ფეხის ნაბიჯზე იყო მისგან. თითქო გაქვავდა შეძრწუნებისაგან, როცა რვა თუ ათი გაუხსნელი წერილი დაინახა, იმის მსგავსი, რომელიც მეკარემ შემოიტანა ცოტა ხნის წინ. ყველა კონვერტზე ჟიულიენის ხელი იცნო მეტად თუ ნაკლებად შეცვლილი.

_ მაშ, თქვენ არა მარტო თავს აწონებთ იმ ქალს, არამედ კიდეც გეზიზღებათ იგი, - წამოიძახა გონებადაკარგულმა. _ თქვენ, არარაობას, გეზიზღებათ მარშალ დე ფერვაკის მეუღლე! _ აჰ, მაპატიე, ჩემო მეგობარო, _ დაუმატა მან და მუხლებზე დაეცა ვაჟის წინაშე, _ შემიზიზღე თუ გსურს, ოღონდ გიყვარდე, მე არ შემიძლია შენი სიყვარულის გარეშე ვიცხოვრო.

და იგი ძირს დაეცა გულწასული.

«აჰა, ეს ამპარტავანი ქალიც ჩემს ფეხთ ქვეშაა გართხმული», _ გაიფიქრა ჟიულიენმა.

XXX

ლოჟა ბუფის თეატრში

რაც უფრო პირქუშია ზეცა, მით უფრო
ძლიერ ქარიშხალს გვიქადის იგი.
ბაირონი, «დონ ჟუანი».

ამ დიდი მღელვარების პირისპირ ჟიულიენი თავს უფრო გაოცებულად გრძნობდა, ვიდრე ბედნიერად. მატილდას ქცევა მას უმჟღავნებდა რამდენად ბრძნული იყო რუსული პოლიტიკა. «ნაკლებ ლაპარაკი, ნაკლებ მოქმედება, აი, ჩემი ხსნის ერთადერთი საშუალება».

ჟიულიენმა მატილდა ასწია და სიტყვის უთქმელად დივანზე დასვა. ქალი ცრემლს ღვრიდა. მღელვარების დასაძლევად ქალბატონი დე ფერვაკის წერილები აიღო და აუჩქარებლად გახსნა დაიწყო. ნერვიულად ათრთოლდა, როცა მარშლის მეუღლის ხელი იცნო. იგი ხელში ატრიალებდა ამ წერილებს, მაგრამ როდი კითხულობდა. უმრავლესობა ექვსი გვერდისაგან შედგებოდა.

_ ეს მაინც მითხარით, _ წარმოთქვა ბოლოს მატილდამ მუდარის ტონით, მაგრამ ისე, რომ ჟიულიენისთვის არ შეუხედია. _ თქვენ იცით, რომ მე ამაყი ვარ. ვაღიარებ, რომ ეს ჩემი მდგომარეობის და თვით ჩემი ხასიათის უბედურებაა. მომტაცა თუ არა ქალბატონმა დე ფერვაკმა თქვენი გული?.. შემოგწირათ თუ არა ყველა მსხვერპლი, როგორიც მე საბედისწერო სიყვარულმა გამომაღებინა?

ჟიულიენი პირქუშად იჯდა, მისი პასუხი დუმილი იყო. «რა უფლებით მთხოვს ეს ქალი გულახდილობის გამოჩენას, რომელიც შეუფერებელია პატიოსანი მამაკაცისთვის?»

მატილდა შეეცადა წერილები წაეკითხა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან თვალები ცრელებით ჰქონდა ავსებული.

უკვე ერთი თვეა ეს ქალი თავს უბედურად გრძნობდა, მაგრამ მის ამპარტავან სულს არ სურდა თავისი გრძნობები გაემხილა. ეს აფეთქება უბრალო შემთხვევამ გამოიწვია. საკმარისი აღმოჩნდა ერთი წუთი, რათა მეშურნეობასა და სიყვარულს დაეთრგუნა სიამაყე. იგი დივანზე იჯდა ვაჟის გვერდით, ეს უკანასკნელი უცქეროდა მის თმასა და გედისებრ კისერს; უცებ ვაჟს დაავიწყდა თავისი როლი, წელზე ხელი მოხვია და მკერდზე მიიზიდა. მატილდამ წყნარად თავი მიაბრუნა მისკენ: ჟიულიენი გააოცა უკიდურესი ტანჯვის

გამომეტყველებამ, რომელიც მის თვალებში ამოიკითხა და რომელსაც სრულიად შეეცვალა მისი სახე.

ჟიულიენი გრძნობდა, რომ ძალა ელეოდა, იმდენად მწვავე იყო ის ძალდატანება, თავის თავს თვითონვე რომ მიუსაჯა.

«მისი თვალები მაშინვე ზიზღს გამოხატავენ, თუ ბედნიერების გრძნობას დავემორჩილე და სიყვარული გამოვამჟღავნე», გაიფიქრა ჟიულიენმა.

ამავე დროს ქალი მიბნედილი ხმით და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით არწმუნებდა, დიდად ვნანობ ყველა იმ საქციელს, რომელიც გადაჭარბებულმა სიამაყემ ჩამადენიაო.

_ მეც ამაყი ვარ, _ ჩაილაპარაკა ოდნავ გასაგონად ჟიულიენმა და სახეზე უკიდურესი ფიზიკური დაღლილობა აღებეჭდა.

მატილდა მკვირცხლად მობრუნდა მისკენ. მისი ხმის გაგონება ისე დიდ ბედნიერებად მიაჩნდა, რომლის იმედი თითქმის დაკარგული ჰქონდა. ამ წუთში თავის ამპარტავნობას მხოლოდ იმისთვის იხსენიებდა, რომ დაეწყევლა იგი, მას უნდოდა რაღაც არაჩვეულებრივი, დაუჯერებელი ჩაედინა, რათა ვაჟისთვის დაემტკიცებინა, როგორ აღმერთებდა მას და როგორ ეზიზღებოდა თავი.

_ ალბათ, ამ სიამაყემ გაიძულათ ერთი წუთით ყურადღება მოგექციათ ჩემთვის, _ განაგრძო ჟიულიენმა. _ უეჭველია, ამ წუთშიც თქვენ ჩემში ვაჟკაცის შესაფერ სიმტკიცეს აფასებთ. მე შეიძლება მარშლის მეუღლე შემიყვარდეს...

მატილდა შეკრთა; მისმა თვალებმა უცნაური გამომეტყველება მიიღო. ის თითქო ელოდა, აი, ახლავე განაჩენს გამომიტანენო. ეს მოძრაობა არ გამოპარვია ჟიულიენს. მან იგრძნო, რომ ვაჟკაცობა ღალატობდა.

«აჰ, _ ფიქრობდა ვაჟი, რომელიც ისე უსმენდა თავისსავე სიტყვებს, თითქო ისინი სხვების მიერ ყოფილიყვნენ წარმოთქმული, _ ნეტავ ისე შემეძლოს შენი ფერმკრთალი ლოყების დაკოცნა, რომ შენ არც კი იგრძნო!»

_ მე შეიძლება მარშლის მეუღლე შემიყვარდეს, _ განაგრძო მან, და თითქმის ხმა ჩაუწყდა, _ მაგრამ, რასაკვირველია, არავითარი საბუთი არა მაქვს ვიფიქრო, რომ მას მოვწონვარ...

მატილდამ შეხედა. მან გაუძლო ამ შეხედვას, ყოველ შემთხვევაში, იმედი ჰქონდა, რომ მის სახეს არ გაუცია. იგრძნო, რომ სიყვარულით იყო გამსჭვალული გულის უსაიდუმლოეს კუნჭულებამდე. ქალი თავის დღეში ასე არ გაუღმერთებია. იგი თითქმის ისევე გაგიჟებული იყო, როგორც მატილდა. ქალს რომ ცოტაოდენი გულგრილობა და

გაბედულება გამოეჩინა, იგი მის ფეხთქვეშ დაეცემოდა და უარს იტყოდა მთელ ამ უაზრო კომედიაზე. მას კიდევ ძალა ეყო ლაპარაკი განეგრძო. «აჰ, კორაზოვ, _ გაივლო გულში, _ რად არა ხართ აქ? რა კარგი იქნებოდა ერთი თქვენი სიტყვის გაგონება, რათა მცოდნოდა როგორ მოვიქცე!»

ქალის გასაგონად კი თქვა:

_ სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მადლობის გრძნობაც საკმაოა, რომ მარშლის მეუღლეს დავუმეგობრდე: იგი გულმოწყალე იყო ჩემს მიმართ, ნუგეში მცა, როცა თქვენ გეზიზღებოდით... მე უფლება მაქვს არ დავუχერო გრძნობის ზოგიერთ გამოხატულებას, რომელიც, რასაკვირველია, ჩემს თავმოყვარეობას მეტისმეტად ესალბუნება, მაგრამ შეიძლება ნაკლებ ხანგრძლივი აღმოჩნდეს.

_ აჰ, ღმერთო ჩემო, _ წამოიძახა მატილდამ.

_ რა თავდებობას მაძლევთ? _ განაგრძო მკივრცხლად და მტკიცედ ჟიულიენმა, რომელსაც თითქო დაავიწყდა ფრთხილი დიპლომატიური ფორმები, _ რომელი ღმერთი აგებს პასუხს, ვინ მითავდებებს, რომ ის ბედნიერება, რომელსაც თითქო ამ წუთში მიბრუნებთ, ორ დღეზე მეტს გაგრძელდება?

_ თავდებია ჩემი უკიდურესი სიყვარული და თავდები იქნება ჩემი უკიდურესი უბედურება, თუ თქვენ არ გეყვარებით, _ უთხრა ქალმა, რომელმაც მისი ხელები აიღო და მისკენ იბრუნა პირი...

ამ მძაფრმა მოძრაობმ ცოტათი გადასწია მისი ზედატანი, და ჟიულიენმა მისი მომხიბლავი მხრები დაინახა. ქალის ოდნავ გაწეწილმა თმამ მასში ნეტარი მოგონება გამოიწვია... იგი მზად იყო დაეთმო. «ერთი გაუფრთხილებელი სიტყვა და დაიწყება დაუსრულებელი დღეების რიგი, რომელიც სასოწარკვეთილებაში გავატარე, _ გაიფიქრა მან. _ ქალბატონი დე რენალი საბუთებს ეძებდა, რათა გაეკეთებია ის, რასაც გული უკარნახებდა. ეს მაღალი საზოგადოების ქალიშვილი კი თავის გულს მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევს აღელვების ნებას, როცა თავის თავს უცილობლად უმტკიცებს, უნდა ავღელდეო».

მან ეს ჭეშმარიტება თვალის დახამხამებაში დაინახა და თვალის დახმხამებაშივე თავის ვაჟკაცობა დაიბრუნა; ხელები წაართვა მატილდას, რომელიც მათ თავის ხელებს უჭერდა და ცოტა უკან დაიხია მოკრძალებით. შეუძლებელია მეტი ვაჟკაცობის გამოჩენა. შემდეგ მან თავის მოყრა დაუწყო ქალბატონი დე ფერვაკის წერილებს, რომელიც დივანზე იყო გაბნეული და გადაჭარბებული, მკაცრი ზრდილობით დაუმატა:

_ შეიძლება, ქალბატონო მატილდა დე ლამოლ, კეთილინებოთ და ნება მომცეთ ცოტათი ვიფიქრო ამაზე.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ჟიულიენი საჩქაროდ გავიდა ბიბლიოთეკიდან. ქალს ესმოდა როგორ იხურებოდა მის უკან ერთიმეორის მიყოლებით კარები. «ეს არაკაცი აღელვებულიც არაა, _ გაიფიქრა მან. _ მაგრამ რას ვამბობ, არაკაცი-მეთქი. იგი ბრძენი, წინდახედული, გულკეთილია. ეს მე ვარ დამნაშავე და მეტადაც, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება».

ეს განწყობილება აღარ შეცვლილა მთელი დღის განმავლობაში. მატილდა თითქმის ბედნიერი იყო ამ დღეს, იმიტომ რომ მთლად სიყვარულს დაექვემდებარა; ადამიანი იტყოდა, არასოდეს მისი სული სიამაყეს არ აუღელვებიაო. საღამოთი იგი შეკრთა და შეძრწუნდა, როცა სალონში ლაქიამ ქალბატონი დე ფერვაკის მოსვლა აუწყა. თვით ამ მსახურის ხმა ავის მომასწავებლად ეჩვენა. ვერ აიტანა მარშლის მეუღლის დანახვა და გარინდდა. ჟიულიენი ნაკლებ აღფრთოვანებული იყო თავისი არაქათგამომცლელი გამარჯვებით, ეშინოდა, თვალების გამომეტყველებამ არ გამცესო და იმ დღეს არ ისადილა დე ლამოლის სასახლეში.

მისი სიყვარული და ბედნიერება იმდენად უფრო ჩქარა მატულობდა, რაც უფრო შორდებოდა ბრძოლის წუთს. თავს გაკიცხვაც კი დაუწყო. «როგორ გავუწიე წინააღმდეგობა! ვნახოთ და სიყვარული გაუნელდა! ერთ წუთს შეუძლია სრულიად შეცვალოს ეს ამპარტავანი სული. უნდა გამოვტყდე, საშინლად მოვეპყარი».

საღამოთი გაიფიქრა, აუცილებლად უნდა წავიდე ბუფის თეატრში და ქალბატონი დე ფერვაკის ლოჟაში გამოვჩნდეო. ქალმა იგი დაჟინებით მიიპატიჟა. მატილდა შემდეგ უსათუოდ გაიგებდა, გამოიჩინა თუ არა მან უზრდელობა და არ გამოცხადდა თეატრში. ამ საღი მოსაზრების მიუხედავად, საღამოს ძალა არ ეყო საზოგადოებაში გამოჩენილიყო. ეშინოდა, ვაითუ ლაპარაკის დაწყებისთანავე ბედნიერება სანახევროდ დავკარგოო.

ათმა საათმა დაჰკრა. მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

საბედნიეროდ, მარშლის მეუღლის ლოჟა ქალებით იყო სავსე; იგი იძულებული გახდა შესავალთან დამჯდარიყო, ქუდები სრულიად ფარავდა მას. ამან გადაარჩინა. მომღერალი ქალის ღვთაებრივმა ხმამ, რომელიც ჩიმაროზას ოპერის გმირი ქალის სასოწაკვეთილებას გადმოსცემდა, ცრემლები დააფრქვევინა. ქალბატონმა დე ფერვაკმა თვალი მოჰკრა ამ ცრემლებს: ეს ცრემლები არ შეეფერებოდა მის ჩვეულებრივად ვაჟკაცურად მტკიცე სახის გამომეტყველებას, რომ ამ მანდილოსანს გული აუჩუყდა. იმ

პატარა ნაწილმა, რომელიც მას ქალის გულისგან კიდევ დარჩენოდა, აიძულა ლაპარაკი დაეწყო. უნდოდა ვაჟის ხმა მოესმინა ამ წუთში.

_ ქალბატონნი დე ლამოლები ხომ არ დაგინახავთ. ისინი მესამე იარუსზე არიან, _ უთხრა მან ჟიულიენს. ვაჟი გადაიხარა და მატილდა დაინახა. ქალის თვალები ცრემლებით იყო გაბრწყინებული.

«დღეის დღეს ხომ არ დადიან ოპერაში; როგორ აჩქარებულან!» გაიფიქრა ჟიულიენმა.

მატილდამ თავისი დედა აიძულა ოპერაში წასულიყვნენ, თუმცა იარუსის ლოჟა, რომელიც მათ ერთმა ნაცნობმა შესთავაზა, დიახაც რომ არ შეფერებოდათ. მას უნდოდა გაეგო, გაატარებდა თუ არა ამ საღამოს ჟიულიენი მარშლის მეუღლესთან.

XXXI

ქალის დაშინება

> აი, ჩვენი ცივილიზაციის მშვენიერი სასწაული! სიყვარული თქვენ ყოველდღიურ საქმიანობად აქციეთ.
>
> **ბარნავი.**

ჟიულიენი ქალბატონი დე ლამოლის ლოჟაში გაიქცა. მისი თვალები შესვლისთანავე მატილდას აცრემლებულ თვალებს შეხვდა. ქალი სრულიად მოურიდებლად ტიროდა. იქ უმნიშვნელო პირები ისხდნენ, მეგობარი ქალი, რომელმაც დე ლამოლებს ლოჟა შესთავაზა და რამდენიმე მისი ნაცნობი მამაკაცი. მატილდამ ხელი დაადო ჟიულიენის ხელს, მას თითქო დაავიწყდა, რომ მისი დედა იქ იმყოფეობდა. თითქმის გულამოსკვნილი იყო და მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა ვაჟს: «თავმდებობა».

«ოღონდ როგორმე მოვახერხო და არ დაველაპარაკო, _ ფიქრობდა ჟიულიენი; იგი თვითონაც ძლიერ აღელვებული იყო და სახეზე ხელი ისე აიფარა, ვითომდა ჭაღის ელვარებამ მოსჭრა თვალი, რომელიც მეტისმეტად უხვად ანათებდა მესამე იარუსის ლოჟებს. _ თუ ენა დავძარი, შემატყობს, რომ ვღელავ, ჩემი ხმის თრთოლვა გამცემს და შეიძლება ხელახლა ყველაფერი დავკარგო».

მისი შინაგანი ბრძოლა ახლა უფრო მძაფრი იყო, ვიდრე დილით: მას შემდეგ მისმა სულმა მოასწრო ანთებულიყო. ამას გარდა, ეშინოდა, მატილდამ თავმოყვარეობის შებღალვა არ იგრძნოსო. სიყვარულით და ვნებით შეზარხოშებულმა ჭაბუკმა გადაწყვიტა სიტყვა არ ეთქვა ქალისთვის (მე მგონია, ეს მისი ხასიათის საუკეთესო თვისებაა; ვაჟკაცი, რომელსაც შეუძლია ასე დაიურვოს თავისი თავი, შორს წავა, თუ ბედნისწერამ ნება მისცა).

მატილდა დე ლამოლმა დაიჟინა, ჩვენს ეტლში ჩავისვათ ჟიულიენიო. საბედნიეროდ, კოკისპიურულად წვიმდა. ქალბატონმა დე ლამოლმა პირდაპირ დაისვა ჟიულიენი, მას საუბარი გაუბა და ხელი შეუშალა, თუნდ ერთი სიტყვა ეთქვა მისი ქალისთვის. კაცი იფიქრებდა, ის ჟიულიენის ბედნიერებას დარაჯობსო; ჟიულიენს კი უკვე აღარ ეშინოდა, რომ ყველაფერს დაკარგავდა ზედმეტი მღელვარების გამოჩენით, და გრძნობას დანებდა თავდავიწყებით.

უნდა გავბედო და ვაღიარო, რომ თავის ოთახში შესვლისთანავე ჟიულიენი მუხლებზე დაეცა და დაკოცნა თავადი კორაზოვის მიერ მოცემული სამიჯნურო წერილები.

_ ოჰ, დიდო ადამიანო, როგორ დავალებული ვარ შენგან! _ წამოიძახა მან გიჟივით.

ნელ-ნელა ხელახლა მოიპოვა გულგრილობა: თავისი თავი სარდალს შეადარა, რომელმაც დიდი ბრძოლა მოიგო. «გამარჯვება უცილებელია, უზარმაზარი, _ გაიფიქრა მან, _ მაგრამ რა მოხდება ხვალ? ერთ წუთში შეიძლება ყოველივე დაიღუპოს».

მან ვნებიანი მოძრაობით გადაშალა «მემუარები», ნაპოლეონის მიერ ნაკარნახევი წმ. ელენეს კუნძულზე, და თავი აიძულა მთელი ორი საათი ეკითხა; თუმცა უგულისყუროდ კითხულობდა, მაგრამ თვალები არ მოუშორებია. ამ ახირებული კითხვის დროს მისი თავი და მისი გული მისდა უნებურად უდიდესი მოვლენების სიმაღლეზე ავიდა. «როგორ განსხვავდება ამ ქალის გული ქალბატონი დე რენალის გულისგან», ფიქრობდა იგი, მაგრამ აქ წყდებოდა მისი ფიქრი.

_ შიში უნდა ვაგრძნობინო, _ წამოიძახა უცებ და წიგნი გადააგდო. _ მტერი არ დამემორჩილება თუ არ შევაშინე, მაშინ კი ვეღარ გამიბედავას ზიზღით მოპყრობას.

ის თავის პატარა ოთახში დადიოდა სიხარულით შეზარხოშებული. მართალი ითქვას, მისი ბედნიერება უფრო სიამაყით იყო გამოწვეული, ვიდრე სიყვარულით.

_ შიში უნდა ვაგრძნობინო, _ იმეორედა იგი გულზვიადად და საბუთიც ჰქონდა გულზვიადი ყოფილიყო. _ თვით უბედნიერეს წუთებში ქალბატონი დე რენალი ეჭვობდა,

რომ ჩემი სიყვარული უდრიდა მისას. აქ მე დემონის დამორჩილება მიხდება, მაშასადამე, უნდა დავიმორჩილო კიდეც.

მან მშვენივრად იცოდა, რომ მეორე დღეს დილის რვა საათზე მატილდა ბიბლიოთეკაში გაჩნდებოდა; ამიტომ თვითონ იქ მხოლოდ ცხრა საათზე გამოცხადდა, სიყვარულით ანთებული, მაგრამ გონების მიერ დამორჩილებული გულით. განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს ფიქრობდა: «თავი არ უნდა დავაღწევინო მქენჯნავი ეჭვისაგან, ურყევი რწმენა არ უნდა მივცე, რომ მიყვარს; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ბრწყინვალე პოზიცია და პირფერობა, რომელსაც ყველანი იჩენენ მის მიმართ, მალე დაამშვიდებს».

ქალი ფერმკრთალი იყო, მაგრამ წყნარად იჯდა ბიბლიოთეკის დივანზე, ეტყობოდა, განძრევა უჭირდა. მან ვაჟს ხელი გაუწოდა:

_ მეგობარო, მე შეურაცხყოფა მოგაყენე, ეს მართალია, შენ უფლება გაქვს შემომწყრე...

ჟიულიენი არ ელოდა ასეთ უბრალო ტონს და კინაღა გასცა თავისი თავი.

_ თქვენ გარანტიები გინდათ, ჩემო მეგობარო, _ დაუმატა მან ცოტაოდენი დუმილის შემდეგ; იმედოვნებდა, ჟიულიენი რამეს მეტყვისო, _ თქვენ მართალი ხართ. მომიტაცეთ, ლონდონში წამიყვანეთ... მე სამუდამოდ შერცხვენილი, სამუდამოდ პატივახდილი დავრჩები...

მან ხელი წაართვა ჟიულიენს, რათა თვალებზე აეფარებია. მის სულს ხელახლა დაეუფლა თავდაჭერილობა და ქალური სათნოება.

_ მაშ, კარგი. პატივი ამხადეთ, _ თქვა მან ბოლოს და ამოიოხრა, _ ეს გარნატია იქნება თქვენთვის.

«გუშინ ბედნიერი ვიყავი, იმიტომ რომ ვაჟკაცობა მეყო მკაცრად მოვქცეოდი თავს», _ გაიფიქრა ჟიულიენმა. ცოტაოდენი დუმილის შემდეგ იგი იმდენად დაეუფლა თავის გულს, რომ გაყინული ტონით უთხრა ქალს:

_ თუნდაც ლონდონის გზას დავადგეთ, თუნდაც, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, პატივი აგხადოთ, ვინ მომცემს იმის თავდებობას, რომ გეყვარებით? რომ ჩემი მეზობლობა ეტლის სკამზე მომაბეზრებლად არ მოგეჩენებათ? მე არა ვარ არამზადა, და თქვენი სახელის შებღალვა საზოგადოების თვალში მხოლოდ ახალი უბედურება იქნება ჩემთვის. სამწუხაროდ, დაბრკოლებას ქმნის არა თქვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა, არამედ

თქვენი ხასიათი. განა თქვენ შეგიძლიათ თავს გარანტია მისცეთ, რომ თუნდ ერთი კვირა გეყვარებით?

(«აჰ, ოღონდ ერთი კვირა ვუყვარდე, მხოლოდ ერთი კვირა, და მოვკვდები ბედნიერებისაგან. რა მესაქმება მომავალთან, რა მესაქმება ცხოვრებასთან? თუ მოვინდომე ეს ბედნიერება შეიძლება ახლავე დაიწყოს, ეს მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული!»)

მატილდამ შეამჩნია, რომ ვაჟი ჩაფიქრებული იყო.

_ მაშასადამე, მე სრულიად თქვენი ღირსი არ ვყოფილვარ, _ ჩაილაპარაკა მან და ვაჟს ხელში ხელი მოჰკიდა.

ჟიულიენი მოეხვია, მაგრამ იმ წუთშივე ვალდებულების რკინის ხელმა მოკუმშა მისი გული. «თუ ერთი დაინახა, რარიგ ვაღმერთებ, მაშინვე დავკარგავ». და სანამ ქალს თავისი მკლავებისაგან გაანთავისუფლებდა, შეეცადა მამაკაცის შესაფერისი ღირსეული გამომეტყველება მიეღო.

რამდენიმე დღის განმავლობაში მან შეძლო თავისი ბედნიერება დაემალა; ზოგიერთ წუთში იგი თავს ნებას არ აძლევდა ქალი გულში ჩაეკრა. სხვა წუთებში გიჟური ბედნიერების გრძნობა სავსებით სძლევდა კეთილგონიერების მოსაზრებათ.

წინათ იგი ჩვეულებრივ სირისვაშლას ბუჩქებში იმალებოდა, რათა შორიდან ეცქირა მატილდას ფანჯრისთვის და მისი დაუდგრომლობა გამოეტირა. მახლობლად უზარმაზარი მუხა იდგა, მისი ტანი მას ფარავდა უცხო თვალისაგან. ახლა, როცა მატილდასთან ერთად ამავე ადგილას გაიარა და ცოცხლად წარმოიდგინა თავისი წინანდელი უბედურება, მან ვეღარ გაუძლო წარსული სასოწარკვეთილების შედარებას აწმყო ნეტარებასთან; თვალები ცრემლით ავსო, თავისი სატრფოს ხელი ტუჩებთან მიიტანა:

_ აქ მე თქვენზე ფიქრით მიცხოვრია, აქედან თქვენი ფანჯრის დარაბისთვის მიცქერია, მთელი საათები ლოდინში გამიტარებია, რათა დამენახა როგორ გააღებდა მას ეს ხელი...

მან სრული სისუსტე გამოიჩინა: ნამდვილი ფერადებით, რომელთა გამოგონება შეუძლებელია, თავისი ადრინდელი სასოწარკვეთილება დაუხატა.

«ღმერთო ჩემო, რას ვშვრები, ხომ თავს ვიღუპავ!» _ გაიფიქრა ჟიულიენმა უცებ. ისე შეშინდა, რომ წარმოიდგინა, ნაკლებ სიყვარული გამოსჭვივის მატილდას თვალებშიო. ეს ილუზია იყო, მაგრამ ჟიულიენის სახე უცებ შეიცვალა და მომაკვდავის სახესავით გაფითრდა. მისი თვალები ჩაქრნენ ერთი წუთით, და გულწრფელი და თავგანწირული

სიყვარულის გამომეტყველება გულზვიადობის, თვით გაბოროტების გამომეტყველებამ შეცვალა.

_ რა მოგდით, მეგობარო? _ ჰკითხა შეშფოთებულმა მატილდამ ნაზად.

_ მე ტყუილი ვთქვი, მე ტყუილი გითხარით, _ უპასუხა ჟიულიენმა გულმოსულად. _ გასაკიცხი ვარ. ღმერთმა იცოდეს, იმდენად გაფასებთ, რომ ტყუილს ვერ გეტყვით. თქვენ გიყვარვართ, თქვენ ჩემდამი ერთგულებას იჩენთ და მე ლამაზ-ლამაზი სიტყვების შეთხზვა არ უნდა მჭირდებოდეს თქვენთვის თავის მოსაწონებლად.

_ ღმერთო ჩემო, ნუთუ ყოველივე ეს მომხიბლავი, რაც ამ ათი წუთის წინ მითხარით, ცარიელი სიტყვებია?

_ და მე ჩემს თავს ვკიცხავ ამისთვის, ძვირფასო მეგობარო. მე იგი ოდესღაც შევთხზე ერთი ქალისთვის, რომელსაც ვუყვარდი და რომელმაც თავი მომაწყინა... ეს ჩემი ხასიათის ნაკლია, გამოტეხილად გეუბნებით, გთხოვთ, მაპატიოთ.

მატილდას ლოყებზე ცხარე ცრემლები ცვიოდა ღაპაღუპით.

_ როგორც კი რაიმე წვრილმანი არ მომეწონება, _ განაგრძო ჟიულიენმა, _ ძალაუნებურად ჩავფიქრდები, და ჩემი წყეული მახსოვრობა მაშინვე დახმარებას მიწევს, რასაც მე ბოროტად ვიყენებ.

_ ჩემდა უნებურად ისეთი რამე ხომ არ ჩამიდენია, რაც თქვენ არ მოგეწონათ? _ ჰკითხა მატილდამ მომხიბლავი გულუბრყვილობით.

_ ახლა გამახსენდა, რომ ერთ დღეს თქვენ აქ ყვავილი მოსწყვიტეთ, ის ბ. დე ლიუზმა წაგართვათ, და თქვენც დაუთმეთ. მე ორიოდე ნაბიჯზე ვიდექი თქვენგან.

_ ბ. დე ლიუზმა? ეს შეუძლებელია, _ უპაუსხა მატილდამ იმ სიამაყით, რომელიც ასეთი ბუნებრივი იყო მისთვი. _ ასეთი რამ მე არ მჩვევია.

_ დარწმუნებული ვარ, _ უთხრა ჟიულიენმა მკივრცხლად.

_ ჰო, ეს ასეა, ჩემო მეგობარო, _ განაგრძო მატილდამ და თვალები დახარა სევდიანად. მან დანამდვილებით იცოდა, რომ უკვე რამდენიმე თვე იყო, მას ასეთი რამის ნება არ მიუცია ბ. დე ლიუზისთვის.

ჟიულიენმა ქალს ენით გამოუთქმელი სინაზით შეხედა: «არა, _ გაიფიქრა მან, _ წინანდელზე ნაკლებ არ ვუყვარვარ».

საღამოთი მატილდამ ჟიულიენს სიცილით უსაყვედურა, ქალბატონ დე ფერვაკისადმი მიკერძოებას რად იჩენო.

_ როგორ შეიძლება ბურჟუას ზედაპირზე ამოტივტივებული მდაბიო ქალი უყვარდეს! ვერც ჩემი ჟიულიენი გააგიჟებს ასეთი ჯურის ქალებს. მაგრამ მან თქვენ ნამდვილ დარდიმანდად კი გაქციათ, _ ეუბნებოდა ქალი ჟიულიენს და მის ქოჩორს ათამაშებდა.

ამ ხნის განმავლობაში, როცა ჟიულიენს ეგონა, მატილდას ვეზიზღებიო, ჟიულიენი ერთ საუკეთესოდ ჩაცმულ პარიზელ დარდიმანდად იქცა. მაგრამ მისი უპირატესობა ამ მოდგმის ახალგაზრდების წინაშე ის იყო, რომ რაკი ტანისამოსს ჩაიცვამდა, იგი აღარ ფიქრობდა მასზე.

ერთი რამ აღიზიანებდა მატილდას: ჟიულიენი განაგრძობდა რუსული წერილების გადაწერას და მარშლის მეუღლის მისამართით გაგზავნას.

XXXII

ვეფხვი

ეჰ, რატომ სწორედ ეს საგნები და არა ისინი?

ბომარშე

ერთი ინგლისელი მოგზაური მოგვითხრობს, როგორ ცხოვრობდა ვეფხვთან. მან იგი აღზარდა, ხშირად ეალერსებოდა, მაგრამ მაგიდაზე მაინც ყოველთვის გატენილი დამბაჩა ედო.

ჟიულიენი მხოლოდ იმ წუთებში გრძნობდა სრულ ბედნიერებას, როცა მატილდას არ შეეძლო ამ ბედნიერების გამონაკრთომი დაენახა მის თვალებში. იგი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის ვალდებულებას _ ქალისთვის დროგამოშვებით ორიოდე გესლიანი სიტყვა ეთქვა.

როცა მატილდას უწყინარობა, რამაც ვაჟი დიდად გააკვირვა, და მისი არაჩვეულებრივი ერთგულება ხანდახან ჟიულიენს თავდაჭერილობას აკარგვინებდა, იგი დაუყოვნებლივ გაურბოდა ქალს.

მატილდა მართლაც პირველად იყო შეყვარებული. ცხოვრება, რომელიც მისთვის წინათ კუს ნაბიჯით მიდიოდა, ახლა მიქროდა ფრთებშესხმულივით. მაგრამ რადგან მისი ქედმაღლობა ასე თუ ისე უნდა გამომჟღავნებულიყო, მან გადაწყვიტა გაბედულად შებრძოლებოდა ყველა საფრთხეს, რომელსაც მისი სიყვარული შეუქმნიდა.

კეთილგონიერებას ახლა უფრო ჟიულიენი იჩენდა. ქალი მას მხოლოდ მაშინ არ უთმობდა, როცა საკითხი რაიმე საშიშროებას ეხებოდა; სხვა შემთხვევაში იგი მორჩილი და თვინიერი იყო მის წინაშე. სამაგიეროდ, კიდევ უფრო გულზვიადად ეპყრობოდა მახლობელთ, ნათესავები იყვნენ თუ მსახურნი. საღამოთი, როცა სალონში ხშირად სამოცამდე კაცი იყრიდა თავს, იგი ეძახდა ჟიულიენს და დიდხანს პირისპირ ესაუბრებოდა.

ერთხელ პატარა ტანბო გვერდით მოუჯდა მათ. მატილდამ მაშინვე სთხოვა, ბიბლიოთეკაში წადი სმოლეტის იმ ტომის მოსატანად, სადაც ინგლისის 1688 წლის რევოლუციაზეა ლაპარაკიო. ტანბო შეყოყმანდა.

_ გეთაყვა, მაინცდამაინც ნუ აჩქარდებით, _ დაუმატა ქალმა შეურაცხმყოფელი სიამაყით, რომელიც ბალზამივით იგრძნო ჟიულიენმა.

_ შეამჩნიეთ თუ არა ამ პატარა ურჩხულის გამოხედვა? _ ჰკითხა ჟიულიენმა ქალს.

_ მისი ბიძა ათი თუ თორმეტი წელიწადი დადის ამ სალონში, თორემ ახლავე გავაძევებდი ამ ვაჟბატონს.

ქალი გარეგნულად სრულიად ზრდილობიანად ექცეოდა დე კრუაზენუას, დე ლიუზს და სხვათ, მაგრამ მისი ყოფაქცევა გამომწვევი ყიო. მატილდა თავის თავს კიცხავდა, რად ვუამბე ჟიულიენს და ისიც გადაჭარბებულად იმ ინტერესის შესახებ, რომელსაც ამ მამაკაცებისადმი ვიჩენდიო. საუკეთესო განზრახვების მიუხედავად, მისი ქალური თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა ჟიულიენისთვის ეთქვა: «თუ მე სიამოვნებას ვგრძნობდი იმის მოთხრობაში, რომ ჩემი ხელი არ ავიღე, როცა ბ. დე კრუაზენუამ მის გვერდით თავისი ხელი დადო და ოდნავ კიდეც შეეხო მას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამას თქვენ გიამბობდით».

ახლა, როდესაც რომელიმე ამ ახალგაზრდა კაცთაგანი ორიოდე წუთით მიმართავდა მატილდას, მას მაშინვე რაიმე კითხვის მიცემა მოუნდებოდა ჟიულიენისთვის და ამ საბაბით გვერდიდან არ იცილებდა.

მატილდა დაორსულდა და ეს ამბავი სიხარულით აცნობა ჟიულიენს.

_ ნუთუ ახლაც ეჭვობთ? განა ეს თავდებად არ კმარა? მე თქვენი ცოლი ვარ საუკუნოდ.

ამ ამბავმა საშინლად გააკვირვა ჟიულიენი. კინაღამ დაავიწყდა, რაც თავს დაუწესა. «როგორ შეიძლება წინასწარ განზრახული სიცივითა და ათვალისწუნებით მოვეპყრო ამ საბრალო ახალგაზრდა ქალს, რომელიც თავს იღუპავს ჩემი გულისთვის?» როცა მატილდა ხანდახან ცოტათი ავად ჩანდა, ძალა აღარ შესწევდა მისთვის ის მკაცრი სიტყვები ეთქვა,

რომელთაც გამოცდილების მიხედვით აუცილებლად თვლიდა თავიანთი სიყვარულის სიმტკიცისთვის.

_ მინდა მამაჩემს მივწერო, _ გამოუცხადა ერთს მშვენიერ დღეს მატილდამ. _ იგი მამაზე მეტია ჩემთვის, იგი ჩემი მეგობარია. ამიტომ მე თქვენთვისაც და ჩემთვისაც უღირსად მიმაჩნია მისი მოტყუება თუნდა ერთი წუთითაც.

_ ღმერთო ჩემო, რას სჩადიხართ? _ შესძახა შეშინებულმა ჟიულიენმა.

_ ეს ჩემი ვალდებულებაა, _ უპასუხა მატილდამ სიხარულისაგან გაბრწყინებული თვალებით.

უნდა ითქვას, რომ ეს ქალი უფრო სულგრძელი აღმოჩნდა, ვიდრე მისი საყვარელი.

_ მაგრამ მაშინვე ხომ გარეთ გამაგდებს გაწბილებულს და შერცხვენილს?

_ ეს მისი უფლებაა, რომელსაც პატივისცემით უნდა მოვეპყრათ. ხელში ხელს გაგიყრი და ჭიშკრიდან გავიდეთ შუადღისას.

გაოცებულმა ჟიულიენმა სთხოვა, ერთი კვირა დაიცადეო.

_ არ შემიძლია, _ უპასუხა მატილდამ, _ ამას ჩემი პატიოსნება მოითხოვს. მე შევიგნე ვალდებულება: იგი უნდა დაუყოვნებლივ შევასრულო.

_ მე თქვენ გიბრძანებთ, გადასდოთ. თქვენი პატიოსნება არ შებღალულა - მე თქვენი ქმარი ვარ. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი სრულიად შეცვლის ჩვენს მდგომარეობას. მეც ხომ მაქვს ჩემი უფლებები. დღეს სამშაბათია; დღეის სწორს დარბაზობაა დუკა დე რეცისას. საღამოს, როცა ბ. დე ლამოლი შინ დაბრუნდება, მეკარე საბედისწერო წერილს გადასცემს... იგი მხოლოდ იმას ფიქრობს, რომ თქვენ დუკას მოგათხოვოთ - ამაში დარწმუნებული ვარ. ახლა წარმოიდგინეთ მისი უბედურება!

_ იმის თქმა ხომ არ გინდათ, ახლა მისი შურისძიება წარმოიდგინეთო?

_ მე შეიძლება ჩემი კეთილისმყოფელი შემეცოდოს, არ ვისურვო მისთვის უსიამოვნების მიყენება; მაგრამ მე არავისი არ მეშინია და არც ოდესმე შემეშინდება.

მატილდა დაემორჩილა. მას შემდეგ, რაც მან ჟიულიენს თავისი ფეხმძიმობის ამბავი აუწყა, ეს პირველად ხდებოდა, რომ ვაჟი ასეთი ბრძანების ტონით ელაპარაკებოდა. არასოდეს ვაჟს ქალი ასე არ ჰყვარებია. მისი სულის უფრო ნაზი ნაწილი სიამოვნებით იყენებდა მატილდას მდგომარეობას, რათა მისთვის არ ეთქვა მკაცრი სიტყვები. ბ. დე ლამოლის წინაშე აღსარების თქმის აუცილებლობამ დიდად ააღელვა ჟიულიენი. იძულებული იქნებოდა თუ არა მატილდას გაშორებოდა? როგორი გულისტკივილითაც არ უნდა შეხვდეს ჩემი წასვლის ამბავს, ერთი თვის შემდეგ, ალბათ, აღარ იფიქრებს ჩემზე.

მასში შიშის ძრწოლას იწვევდა აგრეთვე სამართლიანი საყვედურის სიტყვები, რომლითაც მას, ალბათ, მარკიზი მიმართავდა.

საღამოთი იგი მატილდას გამოუტყდა, რა იყო მისი მწუხარების მეორე მიზეზი, ხოლო შემდეგ სიყვარულის ბურანში პირველიც აღიარა.

ქალს ფერი ეცვალა.

_ ნუთუ თქვენთვის მართლაც უბედურება იქნება, თუ ექვს თვეს ჩემს დაშორებით გაატარებთ? _ ჰკითხა მან ვაჟს.

_ საშინელი უბედურება, ერთადერთი, რომელზედაც შიშის ძრწოლით ვფიქრობ.

მატილდა მეტისმეტად ბედნიერი იყო. ჟიულიენი ისე გულმოდგინედ ასრულებდა თავის როლს, რომ ქალმა წარმოიდგინა, მე იგი უფრო მიყვარს, ვიდრე მას ვუყვარვარო.

მოვიდა საბედისწერო სამშაბათი. შუაღამისას, როცა მარკიზი შინ დაბრუნდა, მას წერილი დახვდა: მისამართზე აღნიშნული იყო, რომ საკუთარი ხელით უნდა გაეხსნა, როცა სრულიად მარტოდმარტო დარჩებოდა.

«მამაჩემო,

ჩვენს შორის ყველა სოციალური კავშირი გაწყვეტილია, მხოლოდ სისხლიღა გვაკავშირებს. ჩემი ქმრის შემდეგ თქვენ უძვირფასესი არსება ხართ და კვლავაც დარჩებით ჩემთვის. თვალები ცრემლებით მევსება, ვფიქრობ მწუხარებაზე, რომელსაც გაყენებთ, მაგრამ რათა ჩემი შერცხვენა არ გახმაურდეს, რათა თქვენ დრო მოგეცეთ მოფიქრებისა და მოქმედებისთვის, მე აღარ ვაგვიანებ ჩემი აღსარების თქმას. თუ იმ მეგობრული გრძნობის კარნახით, რომელიც უსაზღვროდ მიმაჩნია, მოისურვებთ პატარა პენსია დამინიშნოთ, მე ჩემი ქმრითურთ სადაც გნებავთ, იქ დავსახლდები, თუნდაც შვეიცარიაში წავალ. მისი გვარი იმდენად უცნობია, რომ თქვენს ქალს ვერავინ იცნობს ქალბატონ სორელში, ვერიერელი დურგლის რძალში. აი, გვარი, რომლის დაწერა მეტისმეტად გამიჭირდა. მეშინია, რომ ჟიულიენს დაატყდება თავს თქვენი გულისწყრომა, ესოდენ სამართლიანი პირველი შეხედვით. მე დუკას მეუღლე აღარ გავხდები, მამაჩემო; ეს ვიცოდი, როცა ჟიულიენი შევიყვარე: პირველი ნაბიჯი მე გადავდგი, იგი მე შევაცდინე. მე თქვენგან მეტად ამაღლებული სული მივიღე მემკვიდრეობით; არ შემიძლია, ჩემი ყურადღება დიდი ხნით შევაჩერო ვულგარულ საგნებზე. თქვენი გულისთვის ამაოდ ვცდილობდი დავინტერესებულიყავი ბ. დე კრუაზენუათი. რად დააყენეთ ჩემს მახლობლად ნამდვილად ღირსეული მამაკაცი? თქვენ არ იყავით, რომ ჰიერის კუნძულებიდან დაბრუნების დღეს მითხარით, ეს ახალგაზრდა სორელი ერთადერთი არსებაა, რომელიც

მართობსო? საბრალო ყმაწვილი ჩემზე არანაკლებ შეწუხებულია იმით, რომ ეს წერილი თქვენ დიდ გულისტკივილს მოგაყენებთ. მე არ შემიძლია თქვენი გულისწყრომა გავანელო, მაგრამ გთხოვთ, გიყვარდეთ, როგორ მეგობარი.

ჟიულიენი პატივისცემით მეპყრობოდა. თუ იგი ხანდახან დამელაპარაკებოდა ხოლმე, ეს მხოლოდ თქვენდამი პატივისცემის გამო ხდებოდა: იმიტომ, რომ ბუნებრივად თანდაყოლილი სიამაყე მას აიძულებს მხოლოდ ოფიციალურად მოეპყრას ყოველივეს, რაც მასზე მაღლა დგას. მას ცოცხალი გრძნობა აქვს ჩანერგილი სოციალურ მდგომარეობათა გასარჩევად. სირცხვილისგან სახეშეწითლებული გამოგიტყდებით როგორც მეგობარს, როგორც ჩემს საუკეთესო მეგობარს, და არასოდეს ასეთ აღსარებას სხვას არ ვეტყვი, რომ ერთხელ ბაღში მას მე თვითონ მოვუჭირე ხელი.

ნუთუ ოცდაოთხი საათის შემდეგ თქვენი გულისწყრომა არ განელდება მის მიმართ? ჩემი შეცოდება გაუსწორებელია. თუ თქვენ მოითხოვთ, იგი მხოლოდ ჩემი შემწეობით გადმოგცემთ თავისი უღრმესი პატივისცემის აღიარებას და თავის სასოწარკვეთილებას, რომ თავი შეგაძულათ. თქვენ მას ვეღარ იხილავთ; მაგრამ მე წავყვები, სადაც იგი მოისურვებს. ეს მისი უფლებაა, ეს ჩემი ვალდებულებაა, ვინაიდან იგი ჩემი ბავშვის მამაა. თუ თქვენი კეთილი გული გიკარნახებთ, წელიწადში ექვსი ათასი ფრანკი მოგვცეთ საცხოვრებლად, ამ ფულს დიდი მადლობით მივიღებ; თუ არადა, ჟიულიენს გადაწყვეტილი აქვს, ბეზანსონში იცხოვროს და ლათინური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები აძლიოს. რა დაბალი საფეხურიდანაც უნდა დაიწყოს, დარწმუნებული ვარ, მაღლა ავა. არ მეშინია, რომ თუ მასთან ვიქენი, უსახელოდ დავიკარგო. თუ რევოლუცია მოხდა, დარწმუნებული ვარ, იგი ერთ-ერთ პირველ როლს შეასრულებს. განა თქვენ შეგიძლიათ იგივე თქვათ სხვა რომელიმე ჩემი მთხოვნელის შესახებ? მათ კარგი მამულები აქვთ? ეს გარემოება საკმაოდ არ მიმაჩნია, რომ თაყვანისცემა ვიგრძნო მათ მიმართ. ხოლო ჩემი ჟიულიენი მაღალ მდგომარეობას მიაღწევს თვით დღევანდელ რეჟიმშიც, თუ მას ერთი მილიონი ექნა, და მამაჩემმა მფარველობა გაუწია...»

მატილდამ იცოდა, რომ მარკიზი გულფიცხი კაცი იყო და ამიტომ რვა გვერდი დაწერა.

«რა ვქნა? _ ფიქრობდა ჟიულიენი იმ დროს, როცა მარკიზი, მისი ვარაუდით, ამ წერილს კითხულობდა. _ რაში მდგომარეობს ჩემი ვალდებულება (ეს ერთი); რაში მდგომარეობს ჩემი ინტერესი (ეს მეორე)? ჩემი ვალდებულება მის მიმართ უზარმაზარია. უმისოდ მე ერთი გარეწარი ვინმე ვიქნებოდი, მაგრამ არც ისეთი დიდი გარეწარი, რომ

სხვების სიძულვილი და დევნა არ გამომეწვია. მან მე დარბაისლად მაქცია. ამიერიდან თაღლითობაც ნაკლებად მომიხდება, ჩემი სიმდაბლეც ნაკლებ საზიზღარი იქნება. ეს იმაზე მეტია, რომ მას ჩემთვის მილიონი ეჩუქებია. მას უნდა ვუმადლოდე ამ ორდენის მიღებას და მოჩვენებითი დიპლომატიური მისიის შესრულებას, რომელმაც ჩვეულებრივ დონეზე მაღლა ამწია. ნეტავ, რას დამაწერინებდა მარკიზი, ხელში კალამი რომ სჭეროდა და ჩემთვის ეკარნახა, როგორი ყოფაქცევა უნდა მქონდეს».

ჟიულიენი უცებ ფიქრებიდან გამოიყვანა მარკიზის ბებერმა ლაქიამ:

_ მარკიზი დაუყოვნებლივ გთხოვთ, სულ ერთია, ჩაცმული ხართ თუ არა.

გზაზე მან ჟიულიენს წასჩურჩულა:

_ გაცოფებულია, ფრთხილად იყავით.

XXXIII

უღონობის ჯოჯოხეთი

> ამ ალმასის გამოწრთობის დროს ხელმარცხმა ოსტატმა მას ელვარება წაართვა. საშუალო საუკუნეებში, რას ვამბობ, თვით რიშელიეს დროსაც კი ფრანგებს ნებისყოფის ძალა შესწევდათ.
>
> **მირაბო.**

ჟიულიენს მარკიზი გააფთრებული შეხვდა. შეიძლება პირველად თავის სიცოცხლეში ამ დარბაისელმა კაცმა ცუდი ტონი აიღო: იგი ჟიულიენს გაუმასპინძლდა ყველა საგინებელი სიტყვით, რომელიც კი პირზე მოადგა. ჩვენი გმირი გაოცებული, გაღიზიანებული იყო, მაგრამ მადლობის გრძნობა არ შერყევია. «რამდენი მშვენიერი, დიდი ხნით ნალოლიავები გეგმა ენგრევა ამ საბრალო კაცს ერთს წუთში! რაიმე უნდა ვუპასუხო, თორემ ჩემი დუმილი კიდევ უფრო გაცოფებს».

თავისი პასუხი ტარტიუფის როლიდან ისესხა.

_ მე არა ვარ ანგელოზი... მე თქვენ კარგად გემსახურებოდით, თქვენც სულგრძელად მაჯილდოებდით... მადლიერი ვიყავი თქვენი, მაგრამ მე ოცდაორი წლისა ვარ... ამ სახლში ჩემი მხოლოდ თქვენ და იმ საყვარელ არსებას გესმოდათ.

_ ეშმაკის კერძო, _ წამოიძახა მარკიზმა. _ საყვარელი არსება! საყვარელი არსება! რა დღესაც თქვენ ის საყვარელ არსებად გეჩვენათ, უნდა გაქცეულიყავით აქედან.

_ შევეცადე, მე თქვენ გთხოვეთ ლანგედოკში გაგეშვით.

გააფთრებულმა სიარულმა დაქანცა მარკიზი და სავარძელში ჩაეშვა მწუხარებით ილაჯგამოცლილი. ჟიულიენს მოესმა მისი დაბალი ხმით წარმოთქმული ეს სიტყვები: «ეს არაა ბოროტი ადამიანი!»

_ არა, მე ბოროტი არ ვარ თქვენს მიმართ, _ წამოიძახა ჟიულიენმა და მუხლებზე დაემხო. მაგრამ მას შერცხვა თავისი საქციელისა და მაშინვე ზეზე წამოდგა.

მარკიზი მართლაც გონებადაკარგული იყო. ამ მოძრაობის დანახვაზე მან ხელახლა ქუჩური გინება დაიწყო. შეიძლება მას ცოტათი ართობდა კიდეც ამ ლანძღვა-გინების სიახლე.

«როგორ, ჩემი ქალის გვარი სორელი იქნება? მაშ, ჩემი ქალი დუკას მეუღლე არ გახდება?» როცა ეს ორი იდეა მარკიზ დე ლამოლს ნათლად წარმოუდგებოდა, იგი აუტანელ ტანჯვას განიცდიდა და სრულიად კარგავდა მოთმინებს. ჟიულიენს ეშინოდა, არ მცემოსო.

როცა მარკიზი გამოფხიზლდებოდა და უფრო გულგრილად უცქეროდა თავის უბედურებას, ის ჟიულიენს საკმაოდ გონიერ საყვედურს ეუბნებოდა.

_ უნდა გაქცეულიყავით... თქვენი ვალდებულება იყო გაქცეულიყავით... თქვენ უკანასკნელი ვიგინდარა ყოფილხართ...

ჟიულიენი მაგიდას მიუახლოვდა და დაწერა: «უკვე კარგა ხანია სიცოცხლე ჩემთვის აუტანელი გახდა და მას ბოლოს ვუღებ. ბატონ მარკიზს ვთხოვ კეთილინებოს და ჩემი უსაზღვრო მადლობის გამოცხადებასთან ერთად მიიღოს ჩემი ბოდიში იმ შეწუხებისთვის, რაც მას შეიძლება ჩემმა სიკვდილმა მიაყენოს მის სასახლეში».

_ მარკიზმა კეთილინებოს და ამ ქაღალდს თვალი გადაავლოს, _ თქვა ჟიულიენმა, _ ან მომკალით, ან რომელიმე ლაქიას უბრძანეთ, რომ მომკლას. ნაშუაღამევის პირველი საათია; ბაღში ჩავალ და უკანა კედლის გასწვრივ გავივლ-გამოვივლი.

_ ეშმაკთან წაეთრიეთ, _ შეჰყვირა მარკიზმა, როცა იგი გადიოდა.

«მესმის, _ გაიფიქრა ჟიულიენმა. _ იგი კმაყოფილი იქნებოდა, მის ლაქიას რომ გავათავისუფლებდე ჩემი მოკვლისაგან... დაე, თვით მან მომკლას, ღმერთმანი, ხელსაც არ გამოვიღებ თავის დასაცავად... მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, მე მიყვარს ცხოვრება... ვალდებული ვარ, იგი ჩემი ვაჟისთვის შევინარჩუნო».

ეს იდეა მის ფანტაზიას პირველად წარმოუდგა ასე ნათლად და სავსებით დაეუფლა სეირნობის დროს. ამ ახლად გაღვიძებულმა გრძნობამ იგი ფრთხილ ადამიანად აქცია. «ვინმეს რჩევა-დარიგება უნდა ვკითხო, როგორ მოვექცე ამ ფიცხელ კაცს... მას გონება დაკარგული აქვს, ყველაფერი შეიძლება ჩაიდინოს. ფუკე ძალიან შორსაა, მას არ შეუძლია ისეთი ადამიანის გრძნობები გაიგოს, როგორიც მარკიზია. გრაფი ალტამირა... შეიძლება თუ არა იმის იმედი ვიქონიო, რომ არასოდეს არაფერს იტყვის? რჩევა-დარიგება თუ ვთხოვე, ამან არ უნდა გაართულოს ჩემი მდგომარეობა. ეჰ, მე არავინ მრჩება, გარდა პირქუში აბატი პირარისა... მისი სული შევიწროებულია იანსენიზნის წყალობით... რომელიმე ვერაგი იეზუიტი, რომელიც უკეთ იცნობს ქვეყანას, უფრო გამომადგებოდა; ბ. პირარმა კი შეიძლება გამლახოს, თუ ჩემი დანაშაული გაიგო».

ტარტიუფის გენიამ დახმარება გაუწია ჟიულიენს: «არა უშავს რა, აღსარების სათქმელად წავალ აბატთან». ასეთი იყო უკანასკნელი გადაწყვეტილება, რომელიც მან ბაღში მიიღო ორი საათის სეირნობის შემდეგ; თოფის ტყვიაზე აღარ ფიქრობდა; მას ძილი სძლევდა.

მეორე დღეს დილის რიჟრაჟზე ჟიულიენი უკვე რამდენიმე ლიეთი დაშორებული იყო პარიზს და კარზე უკაკუნებდა მკაცრ იანსენისტს. სახტად დარჩა, როცა შეატყო, რომ აბატი სრულიად არ იყო გაკვირვებული მისი აღსარებით.

_ მევე უნდა გავკიცხო ჩემი თავი, _ უთხრა აბატმა, რომელიც უფრო დაღონებული ჩანდა, ვიდრე გაბრაზებული. _ მე ვგრძნობდი, რომ შეყვარებული იყავით. მეგობრულმა გრძნობამ ხელი შემიშალა, უბედურო, მისი მამა გამეფრთხილებია...

_ როგორ გგონიათ, რას მოიმოქმედებს მარკიზი? _ ჰკითხა ფიცხლად ჟიულიენმა (ამ წუთში მას აბატი უყვარდა, და არასასიამოვნო სცენის გამართვა მისთვის სამძიმო იქნებოდა). _ სამ შესაძლებლობას ვხედავ, _ განაგრძო ჟიულიენმა: _ ერთი, შეიძლება ბ. დე ლამოლმა მომკლას (და მან უამბო იმ წერილის ამბავი, რომელიც მარკიზს დაუტოვა). მეორე, შეიძლება ჩემი თავი დუელში გამოაწვევიოს გრაფ ნორბერს.

_ და თქვენ ამ გამოწვევას მიიღებთ? _ წამოიძახა გააფთრებულმა აბატმა და ზეზე წამოხტა.

_ თქვენ არ დამამთავრებინეთ. რასაკვირველია, არასოდეს ტყვიას არ ვესვრი ჩემი კეთილისმყოფელის ვაჟს. მესამე, მან შეიძლება გამაგდოს. დავემორჩილები, თუ მაგალითად, მითხრა ედინბურგში, ნიუ-იორკში წადიო. მაშინ შეუძლიათ მატილდა დე ლამოლის მდგომარეობა დაფარონ; მაგრამ ვერ დავუშვებ, რომ ჩემი ვაჟი მოკლან.

_ დარწმუნებული იყავით, რომ უწინარეს ყოვლისა, ამ გარყვნილ კაცს ეს აზრი მოუვა თავში.

პარიზში მატილდა სასოწარკვეთილი იყო. მამას საღამოს შვიდ საათზე შეხვდა. მარკიზმა მას ჟიულიენის წერილი აჩვენა და ქალი შიშის თრთოლამ აიტანა, ვაითუ ჟიულიენმა უფრო კეთილშობილ გამოსავლად თავის მოკვლა სცნოსო და ისიც, ჩემს ნებადაურთველად, ფიქრობდა ქალი საშინელი გულისტკივილით, რომელშიც გულსწყრომა იყო შერეული.

_ თუ იგი მოკვდა, მეც მოვკვდები, _ უთხრა მამას. _ თქვენ იქნებით ჩემი სიკვდილის მიზეზი.. შეიძლება, ამან გაგახაროთ... მაგრამ მის აჩრდილს ვფიცავ, რომ ძაძებს ჩავიცვამ და საჯაროდ სორელის ქვრივი გავხდები; დარწმუნებული იყავით, რომ სამგლოვიარო წერილებსაც დავგზავნი... ჩემგან ნუ ელით ნურც სულმოკლეობას, ნურც სიმხდალეს.

ქალის სიყვარული სიგიჟემდე აღწევდა. თავის მხრივ, ბ. დე ლამოლი გაოცებული იყო და, ცოტა არ იყოს, უფრო საღი თვალით დაუწყო მოვლენებს ცქერა. საუზმეზე მატილდა არ გამოცხადებულა. მარკიზმა შემსუბუქება, ხოლო კიდევ უფრო, თავმოყვარეობის დაკმაყოფილება იგრძნო, როცა გაიგო, რომ ქალს არაფერი ეთქვა თავის დედისთვის.

უკან დაბრუნებული ჟიულიენი ცხენიდან ხტებოდა, როცა მატილდამ დააძახებინა და გადაეხვია თითქმის თავისი მოახლის დასანახავად. ჟიულიენი მაინცდამაინც მადლიერი არ იყო ამ აღფრთოვანებისთვის. იგი ანგარიშიანი დიპლომატი გახდა იმ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც აბატ პირართან ჰქონდა. მის ფანტაზიას ფრთები შეუკვეცა შესაძლებელ მომავალზე ფიქრმა. თვალცრემლიანმა მატილდამ უთხრა, უკვე წავიკითხე შენი წერილი თვითმკვლელობის შესახებო.

_ მამაჩემმა შეიძლება გული იბრუნოს. მასიამოვნეთ, და ახლავე ვილკიეში გაემგზავრეთ. ხელახლა ცხენზე შეჯექით და გზას გაუდექით, სანამ სუფრიდან ადგებოდნენ.

რადგან ჟიულიენს უცვლელად გაოცებული და ცივი გამომეტყველება ჰქონდა, ქალს გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო.

_ ნება მომეცი, ჩვენს საქმეებს მე მოვუარო, _ წამოიძახა მან აღფრთოვანებით და ვაჟს გადაეხვია. _ შენ კარგად იცი, რომ მე ნებაყოფლობით არ გშორდები. წერილები მომწერე ჩემი მოახლის სახელზე; მისამართი სხვას დააწერინე, მე კი მთელს ტომებს მოგწერ. მშვიდობით, გაიქე!

ამ უკანასკნელმა სიტყვამ შეურაცხყო ჟიულიენი, მაგრამ ის მაინც დაემორჩილა. «საოცარია, თვით საუკეთესო წუთებში ეს ადამიანები მაინც ახერხებენ შეურაცხყოფა მომაყენონ», _ ფიქრობდა იგი.

მატილდამ მტკიცედ უარყო თავისი მამის ყველა კეთილგონიერი გეგმა. ის დათანხმდა მხოლოდ შემდეგი პირობების საფუძველზე დაეწყო მოლაპარაკება: მე ქალბატონი სორელი გავხდები და ჩემ ქმართან ერთად შვეიცარიაში ვიცხოვრებთ ღარიბად ან პარიზში დავრჩებით შენთანო. გადაჭრით უარვყოფ ფარული მოლოგინების აზრსო. სწორედ მაშინ დაიწყება ჩემთვის ცილისწამების და შეურაცხყოფის ხანაო. გათხოვებიდან ორი თვის შემდეგ სამოგზაუროდ წავალ, და ჩვენთვის ადვილი იქნება საზოგადოების დაჯერება, რომ ჩვენი ვაჟი სწორედ დროზე დაიბადაო.

ამ სიმტკიცემ მარკიზში თავდაპირველად გულისწყრომა გამოიწვია, ბოლოს იგი შეაყოყმანა.

_ აი, დაიჭი, _ უთხრა მან თავის ქალს და გული აუჩუყდა. _ აი, წერილი ათი ათასი ლივრის რენტაზე; გაუგზავნე შენს ჟიულიენს და მისწერე შეეცადოს, რომ უკან წართმევის შესაძლებლობა არ მომცეს.

ჟიულიენმა ორმოცი ლიე გაიარა უსარგებლოდ, რათა დამორჩილებოდა მატილდას, რომლის უფლებისმოყვარეობა მან კარგად იცოდა. ვილკიეში მივიდა და ფერმერების ანგარიშები შეამოწმა. მარკიზის ქველმა მოქმედებამ იგი ხელახლა პარიზში გაიწვია. იგი ბინის სათხოვნელად წავიდა აბატ პირართან, რომელიც მისი პარიზში არყოფნის დროს მატილდას ყველაზე სასარგებლო მოკავშირე გახდა. ყოველთვის, როცა მარკიზი აბატს რჩევას ჰკითხავდა, იგი ამტკიცებდა, ყოველი სხვა გამოსავალი, გარდა აშკარად აღიარებული ქორწინებისა, დანაშაულად ჩაითვლება ღვთაებრივი სამსჯავროს წინაშეო.

_ საბედნიეროდ, _ განაგრძობდა აბატი, _ ამქვეყნიური სიბრძნე ამ შემთხვევაში ეთანხმება სარწმუნოების მოთხოვნილებას. განა შეუძლია ისეთი აღგზნებული ხასიათის ქალს, როგორიც მატილდაა, ნაძალადევად თავსმოხვეული საიდუმლოება შეინახოს? თუ თქვენ დაქორწინება აშკარად არ გამოაცხადეთ, საზოგადოებაში უფრო დიდხანს იჭორავებენ ამ უთანასწორო ცოლქმრობის შესახებ. ყოველივე ერთბაშად უნდა გამოცხადდეს, რათა არავინ არ იფიქროს, რაღაც საიდუმლოება კიდევ დარჩაო.

_ ეს მართალია, _ ჩაილაპარაკა დაფიქრებულმა მარკიზმა. _ თუ ასე მოვიქეცით, სამი დღის შემდეგ ქორწინებიდან ყოველი ლაზღანდარობა ამის შესახებ უჭკუობაში

ჩამოერთმევა მოლაყბეებს. უნდა ვისარგებლოთ მთავრობის რომელიმე მნიშვნელოვანი ანტიიაკობინური ღონისძიებით და შეუმჩნევლად გავაძვრინოთ ეს საქმე.

ბ. დე ლამოლის ორი თუ სამი მეგობარიც ეთანხმებოდა აბატ პირარს. უდიდეს საფრთხეს, მათი შეხედულებით, მატილდას მოუდრეკელი ხასიათი შეადგენდა. მაგრამ ამ მშვენიერი საბუთების შემდეგაც მარკიზი ვერ შეჩვეოდა იმ აზრს, რომ მისი ქალი ვეღარ მიიღებდა გვირგვინოსანთა საზოგადოებაში დაჯდომის უფლებას. მისი მახსოვრობა და წარმოდგენა აღსავსე იყო ყოველგვარი ეშმაკობითა და სიყალბით, რომელიც შესაძლებელი იყო მის ახალგაზრდობაში. აუცილებლობისთვის დათმობა, კანონის შიში მას უაზროდ და სამარცხვინოდ მიაჩნდა მისი მდგომარეობის ადამიანისთვის. ახლა მას ძვირად უჯდებოდა მშვენიერი ოცნება, რომელსაც იგი ათი წლის განმავლობაში ასაზრდოებდა თავისი საყვარელი ქალის მომავლის შესახებ.

«ვის შეეძლო ამის წარმოდგენა? _ ფიქრობდა მარკიზი. _ მატილდა ასეთი ქედმაღალი ხასიათის, ასეთი ამაღლებული სულის ქალი იყო, ჩემზე უფრო ამაყად ატარებდა ჩვენს გვარს! მის ხელს კარგა ხანია საფრანგეთის უწარჩინებულესი მამაკაცები მთხოვდნენ! უარი უნდა ვთქვათ ყოველ კეთილგონიერებაზე. ეს საუკუნე თითქოს იმისთვის დადგა, რომ ყველაფერი ერთმანეთში აურიოს! ჩვენ ქაოსისკენ მივაბიჯებთ».

XXXIV

ჭკვიანი კაცი

> ცხენით მიმავალი პრეფექტი ფიქრობდა: რად არ უნდა გავხდე მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან დუკა? აი, როგორ ვაწარმოებ ომს, აი, როგორ დავადებ ბორკილებს განახლების მსურველთ.
>
> **«გლობუსი»***

არავითარ საბუთს არ ძალუძს ათი წლის სასიამოვნო ოცნებანი გაანადგუროს. მარკიზი გონივრულად არ თვლიდა გაჯავრებას, მაგრამ ვერც პატიება გადაეწყვიტა. «რა კარგი იქნებოდა, რომ ჟიულიენი მომკვდარიყო რაიმე უბედური შემთხვევის გამო», ფიქრობდა ის ხანდახან... ამრიგად, მისი შეძრწუნებული ფანტაზია ერთგვარ შემსუბუქებას პოულობდა სრულიად უაზრო ქიმერებში. ისინი ანადგურებდნენ აბატი პირარის ბრძნულ

მოსაზრებათა გავლენას. ამრიგად, ერთი თვე გავიდა ისე, რომ მოლაპარაკება ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ.

ამ ოჯახურ საქმეში, ისევე როგორც პოლიტიკაში, მარკიზს თავში ბრწყინვალე იდეები მოსდიოდა, რომლებიც მას იტაცებდა სამი დღის განმავლობაში. მაშინ მას აღარ მოსწონდა არანაირი გეგმა, იმიტომ რომ ყურს აღარ უგდებდა სხვა მოსაზრებათ, რომელნიც მის აკვიატებულ იდეებს ეწინააღმდეგებოდნენ. სამი დღის განმავლობაში იგი პოეტური აღფრთოვანებით მუშაობდა, რათა საქმე განსაზღვრულ მდგომარეობამდე მიეყვანა; მეორე დღეს კი აღარც ფიქრობდა მის შესახებ.

თავდაპირველად ჟიულიენს მარკიზის აუჩქარებლობა აღიზიანებდა; მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ შეიტყო, რომ ბ. დე ლამოლს ამ საქმეში არავითარი გარკვეული გეგმა არ ჰქონდა.

ქალბატონ დე ლამოლს და მთელ ოჯახს ეგონა, ჟიულიენი პროვინციაში მოგზაურობს მამულების მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლადო; ამ დროს კი ის აბატ პირარის სამრევლოში იყო დამალული და თითქმის ყოველდღე ხვდებოდა მატილდას; ქალიც ყოველ დილით თითო საათს ატარებდა თავის მამასთან, მაგრამ ხანდახან მთელი კვირეები ისე გადიოდა, რომ ისინი კრინტსაც არ ძრავდნენ საქმეზე, რომელიც მთელს მათს გონებას ფლობდა.

_ მე არ მინდა ვიცოდე, სად არის ვაჟბატონი, _ უთხრა ერთ დღეს მარკიზმა, _ გადაუგზავნეთ ეს წერილი.

მატილდამ წაიკითხა: «ლანგედოკის მამულები 20.600 ფრანკს იძლევა. 10.600 ფრანკს ჩემს ქალს ვაძლევ, ხოლო 10.000 ფრანკს - ბატონ ჟიულიენ სორელს. თავისთავად იგულისხმება, თვით მამულებს ვიძლევი. გადაეცით ნოტარიუსს, რომ გაჩუქების ორი აქტი შეადგინოს ცალ-ცალკე და ხვალვე მომიტანოს; ამის შემდეგ ჩვენს შორის ყოველივე ურთიერთობა შეწყდება. აჰ, მოწყალეო ხელმწიფევ, ნუთუ ამის იმედი მქონდა თქვენგან? _ მარკიზი დე ლამოლი».

_ დიდად გმადლობთ, _ წამოიძახა მატილდამ მხიარულად. _ ჩვენ ეგილიონის კოშკში დავსახლდებით აჟანსა და მარმანდს შორის. ამბობენ, ეს კუთხე ისევე ლამაზია, როგორც იტალიაო.

ამ საჩუქარმა მეტისმეტად გააკვირვა ჟიულიენი. იგი წინანდელი მკაცრი და ცივი კაცი როდი იყო. მისი ვაჟის ბედი სავსებით ფლობდა მის აზროვნებას. ასეთი მოულოდნელი და საკმაოდ მოზრდილი სიმდიდრე აძლიერებდა მის პატივმოყვარეობას.

მისი და მისი ცოლის წლიური შემოსავალი ახლა 36.000 ფრანკს აღწევდა. მატილდას კი თითქოს სხვა გრძნობები არ ჰქონდა, გარდა ქმრის გაღმერთებისა; იგი ახლა მუდამ ქმარს უწოდებდა ჟიულიენს. მისი დიდი, მისი ერთადერთი მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ საზოგადოება აეძულებინა მისი ქორწინება ეცნო. იგი დღეებს იმაში ატარებდა, რომ გულში თავს ქებას უძღვნიდა, რა კეთილგონიერება გამოვიჩინე, რომ ჩემი ბედი გამოჩენილ კაცს შევუკავშირეო. ახლა, მისი აზრით, პირად ღირსებას არაფერი სჯობდა.

ცალ-ცალკე ცხოვრებამ, საქმეების სიმრავლემ, დროის უქონლობამ სიყვარულის საქმეებზე სალაპარაკოდ, ეფექტი დაუკარგეს იმ ბრძნულ პოლიტიკას, რომელიც წინათ ჟიულიენმა მოიგონა. ბოლოს, მატილდა აღაშფოთა იმ გარემოებამ, რომ ის იშვიათად ხედავდა ადამიანს, რომელიც ნამდვილად შეუყვარდა.

უგუნებობის წუთში მან წერილი მისწერა მამას და დეზდემონას სტილზე დაიწყო: «ჩემმა არჩევანმა უკვე საკმაოდ დაამტკიცა, რომ მე საყვარელ ადამიანს უპირატესობას ვაძლევ იმ სიამოვნებათა წინაშე, რომელთაც საზოგადოება მარკიზ დე ლამოლის ქალს სთავაზობდა. ჩემთვის არ არსებობენ ეს მდგომარეობისა და წვრილმანი თავმოყვარეობის სიამოვნებანი. ჩქარა უკვე ექვსი კვირა იქნება, რაც მე და ჩემი ქმარი გათიშული ვცხოვრობთ. ეს საკმაოა ჩემი თქვენდამი მოკრძალების დასამტკიცებლად. მომავალ ხუთშაბათამდე მე დავტოვებ მამაჩემის ოჯახს. თქვენმა უხვმა საჩუქარმა ჩვენ გაგვამდიდრა. ჩვენი საიდუმლოება არავინ არ იცის, გარდა პატივცემული აბატი პირარისა. მე მასთან წავალ, იგი ჩვენ ჯვარს დაგვწერს და ერთი საათის შემდეგ გზას გავუდგებით ლანგედოკისკენ; პარიზში არასოდეს აღარ დავბრუნდებით, თუ თქვენი ბრძანება არ მოგვივიდა. მე გულს მიგმირავს ის გარემოება, რომ ყოველივე ეს გესლიან მითქმა-მოთქმას გამოიწვევს თქვენსა და ჩემს წინააღმდეგ. შეიძლება უგუნური ადამიანების ეპიგრამებმა ჩვენი ძვირფასი ნორბერი აიძულოს ჩხუბის საბაბი ეძებოს ჟიულიენის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში, მე ვიცი, ვერავითარ გავლენას ვეღარ მოვახდენ მასზე. მასში მხოლოდ ამბოხებული პლებეის სული გაიღვიძებს. მუხლმოდრეკილი გევედრებით, მამაჩემო, დაესწარით ჩვენს ჯვრისწერას მახლობელ ხუთშაბათს, აბატ პირარის ეკლესიაში. ბოროტი ანეგდოტები ამით სიმძაფრეს დაკარგავს, ხოლო თქვენი ერთადერთი ვაჟის და ჩემი ქმრის სიცოცხლე უზრუნველყოფილი იქნება, და სხვ. და სხვ.»

ამ წერილმა უცნაურად შეაშფოთა მარკიზის სული. საჭირო იყო რაიმე გადაწყვეტილების მიღება. ყველა მისმა წვრილმანმა ჩვეულებამ, ყოველმა მისმა ვულგარულმა მეგობარმა თავისი გავლენა დაკარგა. ამ მნიშვნელოვან გარემოებაში

ძალოვნად თავი იჩინა მისი ხასიათის ძირითადმა თვისებებმა, რომლებიც მის კუთვნილებას შეადგენდა ახალგაზრდობიდანვე. ემიგრანტობის დროს განცდილმა გაჭირვებამ მარკიზი მოხერხებულ და გამჭრიახ კაცად აქცია. მან მოასწრო მხოლოდ ორი წლის განმავლობაში ესარგებლა უზარმაზარი ქონებითა და კარისკაცის უპირატესობით: 1790 წელმა იგი ემიგრაციაში გადაისროლა. ამ მკაცრმა სკოლამ სრულიად შეცვალა ოცდაორი წლის ყმაწვილი კაცის სული. არსებითად იგი გულგრილად ეპყრობოდა სიმდიდრეს. მაგრამ იგივე ფანტაზია, რომელიც მას ოქროს სნეულებისაგან იცავდა, აიძულებდა თავისი ქალიშვილისთვის წარჩინება ესურვა.

განვლილი ექვსი კვირის განმავლობაში მარკიზმა გადაწყვიტა გაემდიდრებია ჟიულიენი. სიღარიბე მას საზიზღრად მიაჩნდა, შეურაცხმყოფელად თავისი თავისთვის, შეუძლებლად თავისი ქალის მეუღლისთვის; ამიტომ იგი ხელგაშლილობას იჩენდა. მაგრამ მეორე დღეს მისი ფანტაზია სხვა მიმართულებას ღებულობდა. მას ეჩვენებოდა, ჟიულიენი გაიგებს ამ ხელგაშლილობის მუნჯ ენას, გვარს გამოიცვლის, ამერიკაში გადასახლდება, მატილდას მოსწერს, მკვდარი ვარ შენთვისო. ბ. დე ლამოლს ხშირად ეგონა, თითქო ეს წერილი დაწერილი ყოფილიყოს და უთვალთვალებდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ის მისი ქალიშვილის გუნებაზე...

იმ დღეს, როცა მატილდას მეტისმეტად რეალურმა წერილმა მარკიზი სიჭაბუკის ოცნებიდან გამოარკვია, ის ერთხანს ფიქრობდა, მოეკლა ან როგორმე გაექრო ჟიულიენი, ხოლო შემდეგ გადაწყვიტა, ბრწყინვალე სარბიელი შეექმნა მისთვის. თავის ოცნებაში იგი მას ერთ-ერთი თავისი მამულის სახელწოდებას აძლევდა. რად არ შეეძლო მისთვის თავისი მაღალი ხარისხი გადაეცა? მის სიმამრს, შოლნის დუკას თავისი ერთადერთი ვაჟის სიკვდილის შემდეგ არაერთხელ განუცხადებია მისთვის, მსურს ჩემი ტიტული ნორბერს გადავცეო...

«შეუძლებელია უარვყოთ, რომ ჟიულიენს არ აკლია არც საქმიანობის უნარი, არც გამბედაობა, არც თვით ბრწყინვალება, _ ფიქრობდა მარკიზი. _ მაგრამ ამ ადამიანის სულის სიღრმეში რაღაც შემაძრწუნებელს ვხედავ. ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ყველაზე; მაშასადამე, ამაში არის რაღაც რეალური (რაც უფრო ძნელი იყო ამ რეალურის დაჭერა, მით უფრო აფრთხობდა იგი ბებერ მარკიზს). ჩემი ქალი ძლიერ მოსწრებულად მწერდა იმ დღეს:

«ჟიულიენი არც ერთ სალონს, არც ერთ პარტიას არ მიჰკედლებია. მას არავითარი დამხმარე ძალა არ მოუმარაგებია ჩემს წინააღმდეგ იმ შემთხვევისთვის, თუ მე მას თავს

დავანებებ... მაგრამ განა ეს თანამედროვე საზოგადოების უცოდინარობას მოწმობს?.. ორჯერ თუ სამჯერ მე მას ვუთხარი, ნამდვილ და სასარგებლო კანდიდატურას მხოლოდ სალონები ადგენენ-მეთქი... არა, მას არა აქვს რომელიმე ბრალმდებლის მოხერხება და ვერაგობა, არ იცის ყოველი წუთის, ყოველი შემთხვევის გამოყენება... მისი ხასიათი დაშორებულია ლუი XI-ის* ხასიათს. მეორე მხრივ, ვატყობ, რომ მას ნაკლებ სულგრძელი ზნეობრივი წესები აქვს... მისი არ მესმის... შეიძლება ეს წესები მისთვის საფარს წარმოადგენს მისი ვნებათა ღელვის წინააღმდეგ? მაგრამ ერთი რამ ცხადია: იგი ვერ იტანს ზიზღს, და მე იგი ამით მიჭირავს ხელში... მას არა აქვს არავითარი მოკრძალება მაღალი წარმოშობის წინაშე და ინსტინქტურად პატივს არ გვცემს ჩვენ... ეს დიდი ნაკლია, მაგრამ სემინარიელს სიამოვნება და ფული უნდა ჰყვარებოდა; იგი სულ სხვაა: ზიზღი, აი, რას ვერ იტანს ვერავითარ შემთხვევაში».

ქალიშვილის წერილმა ბ. დე ლამოლი აიძულა რაიმე გადაწყვეტილება მიეღო საჩქაროდ. «ბოლოს, აი, რა არის მთავარი: მიაღწია თუ არა ჟიულიენის თავხედობამ იქამდე, რომ მან ჩემს ქალს აშიკობა იმიტომ დაუწყო, რომ იცის, ის ყველაფერს მირჩევნია ამქვეყნად და მე სამასი ათასი ეკიუს რენტა მაქვს? მატილდა წინააღმდეგს მიმტკიცებს. არა, ბატონო ჟიულიენ, აი, პუნქტი, რომელიც მე უნდა გამოვარკვიო: ნამდვილი უანგარო სიყვარულია ეს, თუ მხოლოდ სურვილი კარგი მდგომარეობის მიღწევისა? მატილდა შორსმჭვრეტელია: მან იგრძნო, რომ ამ ეჭვმა ჟიულიენი შეიძლება დაღუპოს ჩემს თვალში; ამიტომ თქვა, პირველად მე შევიყვარე იგიო. განა შეიძლება, ასეთი ამაყი ხასიათის ქალს ისე დაკარგოდეს თავგზა, რომ საღამოს ვაჟისთვის ხელი მოეჭიროს ბაღში? რა საშინელებაა! თითქო მას ათასი სხვა უფრო წესიერი საშუალება არ ჰქონოდეს იმის სანიშნებლად, რომ ამ ვაჟს სხვებში არჩევდა. ვინც თავს იმართლებს, იგი მტყუანია; მე არ მწამს მატილდასი».

ამ დღეს მარკიზის მსჯელობა ლოგიკურად უფრო დამთავრებული იყო, ვიდრე ჩვეულებრივ. მაგრამ ჩვეულება უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მან გადაწყვიტა, დრო მოეგო და წერილი მიეწერა თავისი ქალისთვის: საქმე ისაა, რომ მარკიზს ეშინოდა, თუ მატილდას პირისპირ შევხვდი, ყველაფერს დავუთმობო. და ამიტომ მასა და ქალს შორის გაცხარებული მიწერ-მოწერა იყო გამართული.

წ ე რ ი ლ ი

«გაფრთხილდით და ახალი სიგიჟე არ ჩაიდინოთ. აი, გიგზავნით ჰუსართა ლეიტენანტის სიგელს ბ. კავალერ ჟიულიენ სორელ დე ლავერნესთვის.* ხომ ხედავთ, რას ჩავდივარ მისი გულისთვის. ნურც წინააღმდეგობას გამიწევთ, ნურც რამეს მკითხავთ. ოცდაოთხი საათის განმავლობაში სტრასბურგში გაემგზავროს; იქ დგას მისი ლეგიონი. აი, მანდატი ჩემი ბანკირის სახელზე. მე მოვითხოვ სრულ მორჩილებას».

მატილდას სიყვარული და სიხარული უსაზღვრო იყო. მას უნდოდა, გამარჯვებით ესარგებლა და დაუყოვნებლივ უპასუხა:

«ბ. ჟიულიენ დე ლავერნე თქვენს წინაშე მუხლს მოიდრეკდა მადლობის ნიშნად, თუ მას სცოდნოდა, რისი გაკეთება ინებეთ მისი გულისთვის. მაგრამ თავისი სულგრძელობის მიუხედავად, მამაჩემს დავვიწყებივარ. თქვენი ქალის პატიოსანი სახელი განსაცდელშია. ერთმა უკუღმართმა ნაბიჯმა შეიძლება სამუდამოდ ჩირქი მოგვცხოს, და მაშინ ოცი ათასი ეკიუს რენტა საქმეს ვერ გამოასწორებს. მე სიგელს არ გავუგზავნი ბ. დე ლავერნეს, თუ სიტყვას არ მომცემთ, რომ მომავალ თვეს ჩემი ჯვრისწერა საჯაროდ მოხდება ვილკიეში. ჩქარა ამ საქმის მოგვარების შემდეგ, რომლის დაჩქარებასაც გთხოვთ, თქვენს ქალს შეეძლება საზოგადოებაში გამოცხადდეს ქალბატონ დე ლავერნეს გვარით. რა მადლობელი ვარ, მამაჩემო, რომ გადამარჩინეთ სორელის გვარს, და სხვ. და სხვ.»

მატილდამ მამისაგან მოულოდნელი პასუხი მიიღო.

«დამემორჩილეთ, თორემ ყველაფერზე უარს ვიტყვი. თრთოდეთ, უგუნურო. მე ჯერ არ ვიცი, რას წარმოადგენს ეს თქვენი ჟიულიენი, ხოლო თქვენ ჩემზე კიდევ უფრო ნაკლებ იცით. სტრასბურგში გაემგზავროს და გზას არ ასცდეს. მე ჩემს სურვილებს ორი კვირის შემდეგ გაცნობებთ».

ამ წერილის მტკიცე ტონმა გააოცა მატილდა. მე არ ვიცნობ ჟიულიენსო. ამ სიტყვებმა ქალი ფიქრებში წაიყვანა, რასაც ჩქარა მომჯადოებელი ოცნება მოჰყვა; მხოლოდ მას ეს ოცნება ჭეშმარიტებად მიაჩნდა. «ჩემი ჟიულიენის სულს არ შეუმოსავს სალონების გამაუპიროვნებელი ფორმა, ამიტომ მამაჩემს არ სწამს მისი უპირატესობა. ყოველ შემთხვევაში, თუ არ დავემორჩილე მის ჟინს, შეიძლება საჯარო სკანდალი მოხდეს. ყოველი აყალმაყალი ჩემს მდგომარეობას დაამდაბლებს საზოგადოებაში და შეიძლება ნაკლებ მიმზიდველი გამხადოს ჟიულიენის თვალშიც. გახმაურებას, ალბათ, სიღარიბე მოჰყვება ათი წლის განმავლობაში. მხოლოდ ბრწყინვალე კეთილდღეობა მიხსნის სასაცილოდ აგდებისაგან. თუ მამაჩემის მოშორებით ვიცხოვრე, მას შეიძლება ადვილად დავავიწყდე... ნორბერი, ალბათ, სასიამოვნო, მარჯვე ქალს შეირთავს».

მატილდამ გადაწყვიტა დამორჩილებულიყო, მაგრამ თავისი მამის წერილი არ აჩვენა ჟიულიენს: შეეშინდა, რაიმე სიგიჟე არ ჩაიდინოს თავისი ფიცხი ხასიათის წყალობითო.

საღამოს, როცა ქალმა ჟიულიენს აუწყა, ჰუსართა ლეიტენანტი გაგხადესო, ეს უკანასკნელი უსაზღვრო სიხარულმა მოიცვა. ეს შეიძლება ადვილად წარმოვიდგინოთ, თუ გავიხსენებთ მის პატივმოყვარეობასა და იმ სიყვარულს, რომელიც მას ახლა მოსალოდნელი შვილისადმი ჰქონდა. გვარის გამოცვლამ საშინლად გააოცა.

«ამრიგად, ჩემი რომანი დასრულებულია და ამას მარტო ჩემს თავს უნდა ვუმადლოდე, _ ფიქრობდა იგი. _ მე ვაიძულე ეს ხორცშესხმული სიამაყე _ შევყვარებოდი; მამამისს უმისოდ ცხოვრება არ შეუძლია, ხოლო მას - უჩემოდ».

XXXV

ქარიშხალი

ღმერთო ჩემო, მომეცი საშუალო კაცის ნიჭი.

მირაბო.

ჟიულიენის სული თითქო წასული იყო ამ ქვეყნიდან. იგი მხოლოდ კანტიკუნტად უპასუხებდა ქალის ალერსიან სიტყვებს. მდუმარე და პირქუში იყო. არასოდეს ასე დიდი, ასე გასაღმერთებელი არ ჩვენებია მატილდას. მას ეშინოდა, ვაითუ მისმა სიამაყემ სულ არივ-დარიოს მთელი საქმის ვითარებაო.

ქალი თითქმის ყოველ დილას ხედავდა, რომ აბატი პირარი მოდიოდა სასახლეში. განა ჟიულიენს არ შეეძლო მისი შემწეობით გაეგო მისი მამის განზრახვები? განა არ შეიძლებოდა თვით მარკიზს მოსვლოდა თავში მისთვის წერილის მიწერა? როგორ შეიძლებოდა ჟიულიენის ჩაფიქრების ახსნა ასეთი საბედნიერო ცნობის შემდეგ? ქალმა ვერ გაბედა ვაჟისთვის ეკითხა.

ეს მან ვერ გაბედა, მატილდამ! ამ წუთიდან მის დამოკიდებულებაში ჟიულიენისადმი გაჩნდა რაღაც მოულოდნელი, გაურკვეველი, თითქმის შიშის მსგავსი. ამ მშრალმა სულმა იგრძნო ვნებათა ღელვა, რამდენადაც ეს შესაძლებელია არსებისთვის, რომელიც პარიზის გაფაქიზებულ ცივილიზაციაშია აღზრდილი.

მეორე დილით გათენებისთანავე ჟიულიენი აბატი პირარისას გაჩნდა. ეზოში ძველი ეტლით შევიდა, რომელიც მახლობელ საფოსტო სადგურზე დაექირავებია.

_ ასეთი ეტლი აღარ შეგეფერებათ, _ უთხრა მკაცრმა აბატმა უკმაყოფილო სახით. – აი, ოცი ათასი ფრანკი, რომელსაც ბ. დე ლამოლი გიძღვნით; წინადადებას გაძლევთ, _ ერთი წლის განმავლობაში დახარჯოთ, მაგრამ ისე კი, რომ რაც შეიძლება, ნაკლებ სასაცილო გამოჩნდეთ (ასეთ დიდ თანხას, ამ ჭაბუკს რომ აძლევდნენ, მღვდელი მხოლოდ შეცოდების საბაბად თვლიდა). მარკიზი შემდეგს უმატებს: ბ. ჟიულიენ დე ლავერნემ ეს ფული ვითომ მამისგან მიიღო; შეიძლება ბ. დე ლავერნემ საჭიროდ სცნოს საჩუქრის მიძღვნა ვერიერელი დურგლისა ბ. სორელისთვის, რომელმაც იგი აღზარდა... მე შემიძლია ეს დავალება ვიკისრო, _ დაუმატა აბატმა. _ ბოლოს, მე დავაჯერე ბ. დე ლამოლი, მორიგებოდა იმ იეზუიტ აბატ ფრილერს. მისი გავლენა მეტად დიდია. ამ მორიგების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს თქვენი კეთილშობილების ცნობა ამ ადამიანის მიერ, რომელიც მბრძანებლობს ბეზანსონში.

ჟიულიენმა ვეღარ დაფარა თავისი აღტაცება და გადაეხვია აბატს; დარწმუნდა, რომ მას უკვე სცნობდნენ.

აბატმა ხელი ჰკრა:

_ რა საჭიროა ეს მსოფლიური ამაოება?.. რაც შეეხება სორელსა და მის ვაჟებს, მე ჩემი სახელით წლიურ პენსიას დავუნიშნავ, ხუთას ფრანკს თითოეულს, რასაც მათ თავის დროზე გადაუხდიან, სანამ მე მათი კმაყოფილი ვიქნები.

ჟიულიენი ხელახლა ცივი და ამაყი გახდა. მან მადლობა გადაუხადა, მაგრამ გამოურკვეველ გამოთქმებში, რომლებიც არაფერს არ ავალებდა. «ნუთუ შესაძლებელია, _ ფიქრობდა ის, _ რომ მე უკანონო შვილი ვარ რომელიმე დიდკაცისა, რომელიც მრისხანე ნაპოლეონმა გადაასახლა ჩვენს მთებში?» რაც დრო გადიოდა, მით ნაკლებ სამწუხაროდ ეჩვენებოდა ეს აზრი. «ამას თითქო ამტკიცებს ჩემი სიძულვილი მამაჩემისამდი. ამ შემთხვევაში არც ისეთი არაკაცი ვყოფილვარ».

რამდენიმე დღის შემდეგ ჰუსართა მეთხუთმეტე ლეგიონი, ერთი უბრწყინვალესი ნაწილი მთელს ჯარში, აღლუმს აწარმოებდა სტრასბურგის პლაცდარმზე. ბ. კავალერი დე ლავერნე საუკეთესო ელზასურ ცხენზე იჯდა; ის მას ექვსი ათასი ფრანკი დაუჯდა. მან ლეიტენანტობა მიიღო ისე, რომ არც კი იცოდა, რომელი ლეგიონების სიებში ითვლებოდა ქველეიტენანტად.

მისმა უგრძნობელმა გამომეტყველებამ, მისმა მკაცრმა და თითქმის ბოროტმა თვალებმა, მისმა ფერმკრთალმა სახემ და შეუშფოთებელმა გულგრილობამ სახელი მოუხვეჭეს პირველი დღიდანვე; ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, მისმა უბადლო ზრდილობამ და ზომიერებამ, მისმა დახელოვნებამ სროლასა და ფარიკაობაში, მისმა აუმღვრევლობამ მოსპეს ყოველი სურვილი მისი ხმამაღლა დაცინვისა. ხუთი თუ ექვსი დღის ყოყმანის შემდეგ ლეგიონის საზოგადოებრივი აზრი მას მიემხრო. «ამ ახალგაზრდას არაფერი აკლია, გარდა ახალგაზრდობისა», _ გაიძახოდნენ ხნიერი ხუმარა ოფიცრები.

სტრასბურგიდან ჟიულიენმა წერილი მისწერა ბ. შელანს, ვერიერის ბებერ მღვდელს, რომელიც ახლა ღრმად მოხუცებული იყო.

«ეჭვი არ მაქვს, რომ თქვენ სიხარულით შეხვდებით ჩემი გამდიდრების ამბავს. გიგზავნით ხუთას ფრანკს და გთხოვთ, ჩემი სახელის მოუხსენებლად დაურიგოთ უბედურებს, ისეთსავე ღარიბ-ღატაკებს, როგორიც მე ვიყავი ერთ დროს, და რომელთაც თქვენ უცილობლად დაეხმარებით, როგორც წინათ მე მეხმარებოდით».

ჟიულიენი მთვრალი იყო პატივმოყვარეობით და არა გულზვიადობით. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა გარეგნობას. მის ცხენებს, მის ტანისამოსს, მისი მოსამსახურეების ლივრეებს თვით ინგლისელი დიდი კაცი არ დაიწუნებდა. ძლივს მოასწრო ლეიტენანტი გამხდარიყო და უკვე ანგარიშობდა, ოცდაათი წლის ასაკში მთავარსარდლობა რომ მივიღო, ოცდასამი წლისა ცოტა მეტი უნდა ვიყო, ვიდრე ლეიტენანტიო. ის მხოლოდ თავის დიდებასა და თავის ვაჟზე ფიქრობდა.

ამ გააფთრებული პატივმოყვარეობის აღტაცება შეაშფოთა დე ლამოლის მსახურმა, რომელიც შიკრიკად იყო გამოგზავნილი.

«ყველაფერი დაიღუპა, _ სწერდა მატილდა, _ რაც შეიძლება, ჩქარა წამოდით, ყოველივე დათმეთ, დეზერტირივით გამოიქეცით, თუ საჭირო იქნა. პარიზში ჩამოსვლისთანავე ეტლით პატარა ბაღის ჭიშკართან გაჩნდით და იქ დამიცადეთ - მოსალაპარაკებლად მოვალ. შეიძლება, თქვენი ბაღში შემოყვანა შევძლო. ყოველივე დაიღუპა და ვშიშობ, რომ დაიღუპა საბოლოოდ; და მენდეთ: იცოდეთ, ერთგულებასა და სიმტკიცეს გამოვიჩენ გაჭირვებაში. მიყვარხართ».

რამდენიმე წუთის შემდეგ ჟიულიენმა ნებართვა მიიღო და ცხენის ჭენებით გასწია სტრასბურგიდან. მაგრამ საშინელმა და გულისმღრღნელმა მოუსვენრობამ ნება არ მისცა ამგვარად გზა განეგრძო მეცის შემდეგაც. საფოსტო ეტლი დაიქირავა და თითქმის დაუჯერებელი სისწრაფით მიაღწია აღნიშნულ ადგილს დე ლამოლის ბაღის ჭიშკართან.

ეს ჭიშკარი გაიღო და მატილდა, რომელმაც ყოველი ადამიანური კრძალვა უკუაგდო, მას გადაეხვია. საბედნიეროდ, მხოლოდ დილის ხუთი საათი იყო და ქუჩაში არავინ იყო.

_ ყოველივე დაიღუპა. მამაჩემს არ უნდოდა ჩემი ცრემლების დანახვა და ხუთშაბათს ღამით პარიზიდან წავიდა. საით? ეს არავინ იცის. აი, მისი წერილი, წაიკითხეთ. _ და ქალი ეტლში ჩაჯდა ჟიულიენთან ერთად.

«მე ყველაფრის პატიება შემეძლო, გარდა თქვენი შეცდენისა თქვენი სიმდიდრის გულისთვის. აი, როგორია საშინელი ჭეშმარიტება, ჩემო უბედურო ქალო. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ არასოდეს ნებას არ მოგცემთ ამ კაცს მისთხოვდეთ. მე მას აღვუთქვამ ათი ათას ლივრ წლიურ რენტას, თუ იგი სადმე მოშორებით იცხოვრებს, საზღვარგარეთ; ყველაზე უმჯობესი იქნება, თუ ამერიკაში წავა. წაიკითხეთ წერილი, რომელიც მე მივიღე ჩემი თხოვნის საპასუხოდ, რომ ცნობები მოეწოდებიათ. იმ თავხედმა თვით მომცა წინადადება, ქალბატონ დე რენალისთვის მიმეწერა. არასოდეს არც ერთ თქვენს მიერ დაწერილ სტრიქონს არ წავიკითხავ, რომელიც ამ ვაჟბატონს შეეხება. შემძაგდა პარიზიცა და თქვენი თავიც. გირჩევთ ღრმა საიდუმლოებით დაფაროთ ის, რაც უნდა მოხდეს. გულწრფელად უარი თქვით მდაბალ ადამიანზე და ხელახლა იპოვით მამათქვენს».

_ სად არის ქალბატონ დე რენალის წერილი? _ იკითხა ცივად ჟიულიენმა.

_ აი, აქ. არ მინდოდა მეჩვენებინა, სანამ არ მოგამზადებდი.

წ ე რ ი ლ ი

«ჩემი ვალდებულება სარწმუნოებისა და ზნეობის წმინდა საქმის მიმართ, ჩემგან, მოწყალეო ხელმწიფევ, მეტად მძიმე ნაბიჯის გადადგმას მოითხოვს. შეუცდომელი კანონი ჩემგან მოითხოვს ამ წუთში ზიანი მივაყენო ჩემს მოყვასს, რათა შემდეგში უფრო დიდი უბედურება ავიცილოთ. ტანჯვა, რომელსაც ახლა განვიცდი, უნდა დათრგუნვილ იქნას ვალდებულების გრძნობით. სრულიად მართალია, ბატონო, რომ იმ პიროვნების ყოფაქცევა, რომლის შესახებ უტყუარ ცნობებს მთხოვთ, შეიძლებოდა გაუგებრად ან თვით პატიოსნად გჩვენებოდათ. სიფრთხილე და რელიგია მოითხოვდა, რომ სინამდვილის ერთი ნაწილი დაფარულიყო ან შეცვლილიყო; მაგრამ ეს ყოფაქცევა, რომლის გაცნობაც თქვენ გსურთ, უკიდურესად დასაძრახისია, იმაზე მეტად, ვიდრე მე შემიძლია გამოვთქვა. ამ ღატაკმა და ხარბმა კაცმა გამობრძმედილი პირფერობისა და სუსტი, უბედური ქალის შეცდენის შემწეობით სცადა გზა გაეკაფა და ადამიანი გამხდარიყო. ჩემი მძიმე

ვალდებულება მაიძულებს აგრეთვე დავუმატო, რომ ჩემი ღრმა რწმენით მას არა აქვს არავითარი რელიგიური პრინციპები. სინდისის წინაშე იძულებული ვარ ისიც მოგახსენოთ, რომ იგი ოჯახში გამარჯვებას აღწევს იმ ქალის შეცდენით, რომელიც იქ უდიდესი გავლენით სარგებლობს. იგი თავს გვაჩვენებს უანგარო ადამიანად, იყენებს რომანის ფრაზებს, მისი ერთადერთი მიზანი კი ისაა, რომ დაეპატრონოს ოჯახის უფროსს და მის ქონებას; მერე მიდის და ტოვებს უბედურებას, საუკუნო სინანულს, და სხვ. და სხვ.»

ეს მეტისმეტად გრძელი და სანახევროდ ცრემლებით წაშლილი წერილი ქალბატონ დე რენალის მიერ იყო დაწერილი; აქ მას ჩვეულებრივზე მეტი გულმოდგინება გამოეჩინა.

_ არ შემიძლია ბ. დე ლამოლი გავამტყუნო, _ თქვა ჟიულიენმა წერილის წაკითხვის შემდეგ. _ იგი სამართლიანი და კეთილგონიერია; ვინ მოისურვებს თავისი საყვარელი ქალიშვილის მითხოვებას ასეთი ადამიანისათვის? მშვიდობით!

ჟიულიენი მატილდას ეტლიდან გადმოხტა და თავისი ეტლისკენ გაიქცა, ქუჩის ბოლოში რომ უცდიდა. მატილდამ, რომელიც მას თითქო დაავიწყდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მის დასადევნებლად, მაგრამ მისი ნაცნობი ვაჭრები დუქნებიდან ქუჩაში გამოსულიყვნენ, და ამ გარემოებამ ქალი აიძულა საჩქაროდ ბაღში დაბრუნებულიყო.

ჟიულიენი ვერიერში წავიდა. ამ სწრაფი მოგზაურობის დროს ვერ შეძლო მატილდასთვის წერილი მიეწერა, როგორც განზრახული ჰქონდა: მისი ხელი ქაღალდზე მხოლოდ რაღაც გაუგებარ ნიშნებს ჯღაბნიდა.

ვერიერში კვირა დილით მივიდა. დაუყოვნებლივ თოფ-იარაღის ვაჭართან შევიდა, რომელმაც მას მიულოცა მისი გამდიდრება და გაბედნიერება. ეს ამბავი მთელ კუთხეს მოსდებოდა. ჟიულიენმა დიდი გაჭირვებით გააგებინა, ერთი წყვილი დამბაჩის ყიდვა მსურსო. ვაჭარმა მისი თხოვნისამებრ იქვე გატენა დამბაჩები.

ზარი სამჯერ ჩამოჰკრეს; საფრანგეთის სოფლებში ეს წირვის დაწყების ნიშანია.

ჟიულიენი ვერიერის ახალ ეკლესიაში შევიდა. შენობის მაღალი ფანჯრები ალისფერი ფარდებით იყო დაფარული. ჟიულიენი რამდენიმე ფეხის ნაბჯზე დადგა ქალბატონი დე რენალის სკამის უკან. მან შეამჩნია, რომ ქალი გულმოდგინედ ლოცულობდა. ამ ქალის დანახვამ, რომელსაც იგი ასე ძლიერ უყვარდა, ჟიულიენს ხელი ისე აუთრთოლა, რომ მაშინვე ვერ შეძლო თავისი განზრახვის შესრულება. «არ შემიძლია, _ ფიქრობდა ის, _ ფიზიკურად არ შემიძლია».

იმ წუთში ახალგაზრდა დიაკვანმა, რომელიც მღვდელს წირვაზე შველოდა, წმინდა ნაწილების ასამაღლებელისა დარეკა. ქალბატონმა დე რენალმა თავი დახარა ისე, რომ

ერთი წუთით მისი სახე თითქმის სრულიად დაჰფარა თავსაბურავმა. ჟიულიენი მას ვეღარ სცნობდა ისე კარგად; დამბაჩა ესროლა და დააცდინა; მეორეჯერ ესროლა: ქალი დაეცა.

XXXVI

სამწუხარო წვრილმანები

> ნუ ელით ჩემგან სისუსტეს. მე შური ვიძიე. სიკვდილი დავიმსახურე და აი, აქა ვარ. ილოცეთ ჩემი სულისთვის.
>
> **შილერი.**

ჟიულიენი უმოძრაოდ იდგა, ის ვეღარაფერს ხედავდა. როცა ცოტათი გონს მოვიდა, დაინახა, რომ მლოცველები ეკლესიიდან გარბოდნენ; თვით მღვდელს საკურთხეველი დაეტოვებია. ჟიულიენი საკმაოდ ნელი ნაბიჯით გაჰყვა რამდენიმე დედაკაცს, რომელნიც ყვირილით გარბოდნენ. ერთმა დედაკაცმა, რომელსაც სხვების გასწრება უნდოდა, მას ხელი ჰკრა და წააქცია. ის ფეხებით წამოედო ბრბოს მიერ წაქცეულ სკამს. წამოდგომის დროს იგრძნო, რომ კისერში ხელი სტაცეს: ეს იყო სრულ ფორმაში გამოწყობილი ჟანდარმი, რომელმაც ის დააკავა. ანგარიშმიუცემლად უნდოდა თავისი დამბაჩები მოეშველებინა, მაგრამ ჯანდარმმა ხელები დაუჭირა.

სატუსაღოში წაიყვანეს. საკანში შეიყვანეს, ხელებზე ბორკილები დაადეს და მარტოდმარტო დატოვეს; კარები მიუხურეს და ორი გასაღებით დაკეტეს. ყოველივე ეს ისე ჩქარა მოხდა, რომ მას არაფერი უგრძნია.

_ მადლობა ღმერთს, ყოველივე გათავდა, _ თქვა ხმამაღლა, როცა გონს მოვიდა, _ ჰო, ორ კვირაში გილიოტინა მომელის... თუ თავი მოვიკლა მანამდე?

მისი მსჯელობა ამაზე შორს არ მიდიოდა; თითქო თავზე მუხრუჭებს უჭერდნენ. მიმოიხედა, თავს ხომ არავინ მადგასო. რამდენიმე წუთის შემდეგ ღრმად ჩაეძინა.

ქალბატონი დე რენალი სასიკვდილოდ არ იყო დაჭრილი. პირველმა ტყვიამ ქუდი გაუხვრიტა; როცა თავი მიაბრუნა, მეორე გავარდა; ტყვია მხარში მოხვდა, გატეხილ ძვალზე ასხლტა, გოთურ სვეტს მოხვდა და ქვის მოზრდილი ნატეხი მოამტვრია.

როცა ხანგრძლივი და მტკივნეული შეხვევის შემდეგ დასტაქარმა ქალბატონ დე რენალს მეტად სერიოზული ტონით უთხრა, მე პასუხს ვაგებ თქვენი სიცოცხლისთვის ისე, როგორც ჩემი საკუთარისთვისო, ქალი დიდად გულნატკენი დარჩა.

დიდი ხანია გულწრფელად სწყუროდა სიკვდილი. წერილმა, რომელიც მისმა ახლანდელმა მოძღვარმა დააწერინა ბ. დე ლამოლის საპასუხოდ, განუწყვეტელი უბედურებისაგან ისედაც დასუსტებულს მთლად ილაჯი წაართვა. ეს უბედურება იყო - ჟიულიენთან განშორება, რომელსაც თვით იგი სინდისის ქენჯნას უწოდებდა. მის აღმსარებელს, დიჟონიდან ახლახან მოსულ ახალგაზრდა, სათნოიან და გულმოდგინე მღვდელს კარგად ესმოდა ყველაფერი.

«ამნაირი სიკვდილი, რომელიც ჩემი საკუთარი ხელით არაა გამოწვეული, ცოდვა როდია», ფიქრობდა ქალბატონი დე რენალი. «შეიძლება ღმერთმა მაპატიოს, რომ სიკვდილი მიხარია». იგი ვერ ბედავდა დაემატებია: «ჟიულიენის ხელით სიკვდილი კი უდიდესი ნეტარებაა».

როგორც კი მოახერხა დასტაქრისა და მრავლად თავმოყრილი მეგობრებისაგან განთავისუფლებულიყო, თავის მოახლე ელიზას დაუძახა.

_ საპყრობილის ზედამხედველი მეტად მკაცრი კაცია, _ უთხრა მას და საშინლად გაწითლდა. _ უეჭველია, ცუდად მოეპყრობა, რადგან ალბათ ფიქრობს, რომ ამით მე მასიამოვნებს... ეს აზრი ჩემთვის აუტანელია. ხომ არ შეგიძლიათ წახვიდეთ და, თითქო თქვენი მხრივ, სატუსაღოს ზედამხედველს ეს პატარა ქისა გადასცეთ - იქ რამდენიმე ლუიდორია. უთხარით, რომ სარწმუნოება უკრძალავს ტუსაღის ცუდად მოპყრობას... არავითარ შემთხვევაში არაფერი უთხრას ამ ფულის შესახებ.

ზემოაღწერილ გარემოებას უნდა უმადლოდეს ჟიულიენი, რომ ვერიერის სატუსაღოს ზედამხედველი ადამიანურად მოეპყრო. ეს იგივე მთავრობის ერთგული ბ. ნუარუ იყო, რომელიც ასე შეაშინა ბ. აპერტის მოსვლამ.

სატუსაღოში მსაჯული გამოცხადდა.

_ მე წინასწარი განზრახვით ჩავიდინე მკვლელობა, _ უთხრა ჟიულიენმა; - დამბაჩები ამა და ამ მაღაზიაში ვიყიდე და გავატენიე. სისხლის სამართლის 1342 მუხლი ნათელია: სიკვდილი დავიმსახურე და ველი კიდეც.

მსაჯული გაოცებული დარჩა ასეთი პასუხით. მას უნდოდა რთული კითხვები მიეცა, რათა ბრალდებული დაბნეულიყო თავის ჩვენებაში.

_ განა თქვენ ვერ ხედავთ, _ ჰკითხა ჟიულიენმა ღიმილით, _ რომ მე ჩემს თავს იმდენად დამნაშავედ ვცნობ, რამდენადაც ეს თქვენთვის სასურველია? დამშვიდდით, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ ხელიდან არ წაგივათ მსხვერპლი. სიამოვნება გექნებათ მსჯავრი დამდოთ. ახლა კი, გთხოვთ, დამტოვოთ.

«მხოლოდ ერთი არასასიამოვნო ვალდებულება დამრჩა შესასრულებელი, _ გაიფიქრა ჟიულიენმა; _ წერილი უნდა მივწერო მატილდა დე ლამოლს».

«მე შური ვიძიე, _ სწერდა იგი. _ საუბედუროდ, ჩემი გვარი გაზეთებში გამოცხადდება და ვეღარ შევძლებ ამ ქვეყნიდან შეუმჩნევლად წავიდე. ორ თვეში მოვკვდები. შურისძიება სასტიკი იყო, ისევე როგორც სასტიკია ჩვენი განშორებით გამოწვეული ტანჯვა. ამ წუთიდან ჩემს თავს ვუკრძალავ თქვენი სახელი დავწერო ან წარმოვთქვა. ჩემი სახელიც არავის გაახსენოთ, თვით ჩემს ვაჟსაც კი; დუმილი ერთადერთი საშუალებაა ჩემი პატივისცემისა. უმრავლესობის თვალში მე უბრალო მკვლელი დავრჩები... ნება მომეცით ჭეშმარიტება გითხრათ ამ უზენაეს წუთში: თქვენ დამივიწყებთ. ეს დიდი კატასტროფა, რომლის შესახებ გირჩევთ არც ერთ ცოცხალ არსებასთან კრინტი არ დაძრათ, რამდენიმე წლით დააკმაყოფილებს იმას, რაც მე რომანტიკულად და ავანტურისტულად მიმაჩნდა თქვენს ხასიათში. თქვენ გაჩენილი იყავით, რათა საშუალო საუკუნეების გმირებთან გეცხოვრათ; გამოამჟღავნეთ მათი მტკიცე ხასიათი. დაე ის, რაც უნდა მოხდეს, ფარულად მოხდეს, რათა თქვენ სახელი არ გაგიტყდეთ. რაიმე მოგონილი სახელი დაირქვით და ნურავის ნურაფერს გაუნდობთ. თუ თქვენ აუცილებლად მეგობრის დახმარება გჭირდებათ, აბატ პირარს გიტოვებთ. სხვას ნურავის ნუ გაენდობით, განსაკუთრებით თქვენი კლასის წევრებიდან, როგორიც არის დე ლიუზები, დე კაიუსები და სხვ. ერთი წლის შემდეგ ჩემი სიკვდილიდან ბ. დე კრუაზენუა შეირთეთ; ამას გიბრძანებთ, როგორც თქვენი ქმარი. ნურაფერს მომწერთ. სულ ერთია, არ გიპასუხებთ. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ბევრად ნაკლებ ცუდი ადამიანი ვარ, ვიდრე იაგო იყო; მე მაინც მის სიტყვებს გავიმეორებ: «ამ წუთიდან ერთ სიტყვასაც ვერ მათქმევინებ». ამიერიდან არც რასმე ვიტყვი, არც რასმე დავწერ; თქვენ ჩემი უკანასკნელი სიტყვები მიიღეთ, როგორც უკანასკნელი თაყვანისცემა. ჟ. ს.»

მხოლოდ ამ წერილის გაგზავნის შემდეგ ჟიულიენი ცოტათი გამოფხიზლდა და იგრძნო, რომ საშინლად უბედური იყო. თითოეულ მის პატივმოყვარე იმედს ერთიმეორის მიყოლებით მისი გულიდან ძირიან-ფესვიანად გლეჯდა ეს დიდი სიტყვა: მე მოვკვდები. სიკვდილი თავისთავად შემზარავად არ ეჩვენებოდა. მთელი მისი სიცოცხლე მხოლოდ

უბდურების ხანგრძლივი მომზადება იყო და მას არასოდეს მხედველობიდან არ გაპარვია ის უბედურება, რომელიც ყველაზე დიდად ითვლება.

«წარმოვიდგინოთ, რომ სამოცი დღის შემდეგ ხმალში უნდა გავყვე ძლიერ ადამიანს, რომელიც მშვენივრად ფლობს იარაღს. ნუთუ იმდენ სისუსტეს გამოვიჩენ, რომ მუდამ ამაზე ვიფიქრებ და შიშის ძრწოლა მოიცავს ჩემს სულს?»

მთელი საათი იმას მოახმარა, რომ თავის თავი გაეცნო ამ მხრივ. როცა თავისი სული ნათლად დაინახა და ჭეშმარიტება ისევე გარკვეულად წარმოუდგა თვალწინ, როგორც თავისი სატუსაღოს ერთ-ერთი სვეტი, მან სინანულზე დაიწყო ფიქრი.

«რად უნდა მქენჯნიდეს სინდისი? მე სასტიკად შეურაცხმყვეს. მე მოვკალი და სიკვდილი დავიმსახურე, ესაა და ეს. ისე ვკვდები, რომ ანგარიში გასწორებული მაქვს კაცობრიობასთან. არც ერთი ვალდებულება არ მრჩება შეუსრულებელი, არავისი ვალი არ მიმყვება. ჩემს სიკვდილში არაფერია სამარცხვინო, გარდა მისი იარაღისა: მართალია, ეს სრულიად საკმაოა, რომ შემარცხვინოს ვერიერელი ბურჟუების თვალში. მაგრამ განა რაიმე არსებობს მათზე უფრო საზიზღარი ინტელექტუალური მხრივ? მხოლოდ ერთი გზაღა მრჩება: ავმაღლდე მათ თვალში: ხალხს ოქროს ფულები გადავუყარო, როცა დასასჯელად წამიყვანენ. ჩემი ხსოვნა, ოქროს იდეასთან დაკავშირებული, ბრწყინვალე გახდება მათთვის».

ამ მსჯელობის შემდეგ, რომელიც სრულიად უცილობლად ეჩვენა, მან გაიფიქრა: «მე აღარაფერი მაქვს გასაკეთებელი ამ ქვეყანაზე», და ღრმა ძილს მისცა თავი.

საღამოს ცხრა საათზე ზედამხედველმა გააღვიძა და ვახშამი მოუტანა.

_ რას ლაპარაკობენ ვერიერში?

_ ბატონო ჟიულიენ, სამსახურში ჩადგომის დღეს სამეფო სასამართლოში ჯვარზე შევფიცე, რომ დუმილს დავიცავ-მეთქი.

ის დუმდა, მაგრამ არ მიდიოდა. ამ ვულგარულმა ფარისევლობამ გაართო ჟიულიენი. «მე მას დიდხანს უნდა ვაცდევინო იმ ხუთი ფრანკის მისაღებად, რასაც თავისი სინდისის საფასურად მოითხოვს», გაიფიქრა მან.

როცა ზედამხედველმა დაინახა, რომ ჟიულიენმა ვახშამი გაათავა, ყალბი და ტკბილი ხმით დაიწყო:

_ ჩემი თქვენდამი მეგობრობა, ბატონო ჟიულიენ, მაიძულებს ვილაპარაკო, თუმცა ეს ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების ინტერესებს, იმიტომ რომ შეიძლება გამოგადგეთ

თქვენი თავდაცვის საქმეში... ბ. ჟიულიენი, როგორც გულკეთილ ყმაწვილს შეეფერება, კმაყოფილი იქნება, როცა გაიგებს, რომ ქალბატონი დე რენალი უკეთ გრძნობს თავს.

_ როგორ! ის არ მომკვდარა? _ წამოიძახა ჟიულიენმა.

_ განა თქვენ არაფერი იცოდით? _ ჰკითხა ზედამხედველმა უაზრო სახის გამომეტყველებით, რომელიც ჩქარა ნეტარი სიხარბის გამომეტყველებამ შეცვალა. _ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ბატონმა ჟიულიენმა ცოტა რამ მისცეს დასტაქარს, რომელსაც კანონის ძალით საიდუმლოება უნდა დაეცვა. მაგრამ რათა თქვენთვის მესიამოვნებინა, მე მასთან გეახელით და მან ყოველივე მიამბო...

_ მაშასადამე, ჭრილობა არაა მომაკვდინებელი? შენ პასუხს აგებ შენი სიცოცხლით? _ ჰკითხა ჟიულიენმა მოუთმენლად.

ზედამხედველმა, ექვსი წყრთის სიმაღლის ბუმბერაზმა, კარისკენ დაიხია შეშინებულმა. ჟიულიენმა დაინახა, რომ უკუღმართ გზას ადგა ჭეშმარიტების მისაღწევად, დაჯდა და ერთი ოქრო გადაუგდო ბ. ნუარუს.

როცა ამ ადამიანის მოთხრობამ ჟიულიენი დაარწმუნა, რომ ქალბატონი დე რენალის ჭრილობა მომაკვდინებელი არ იყო, იგრძნო, რომ გული ამოუჯდა.

_ გარეთ გადით! _ თქვა მან უცებ.

მედილეგე დაემორჩილა. «ოჰ, ღმერთო ჩემო, ის არ მომკვდარა!» _ წამოიძახა ჟიულიენმა, როგორც კი კარი დაიხურა. მუხლებზე დაეცა და ტირილი დაიწყო.

ამ უზენაეს წუთში თავს მორწმუნედ გრძნობდა. «რა მნიშვნელობა აქვს ხუცების ფარისევლობას? განა მათ შეუძლიათ რაიმე წაართვან ღვთაების იდეის ჭეშმარიტებასა და უზენაესობას?»

მხოლოდ ახლა იგრძნო ჟიულიენმა სინანული ჩადენილი დანაშაულის გამო. და მხოლოდ ახლა დასრულდა იმ ფიზიკური გაღიზიანების და ნახევრად სიგიჟის მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფებოდა იმ წუთიდან, როცა პარიზიდან ვერიერში გაემგზავრა. მისი ცრემლები სულგრძელობით იყო გამოწვეული; მას უეჭველად მიაჩნდა, რომ დასჯა მოელოდა.

«მაშასადამე, ის ცოცხალი იქნება! _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ ცოცხალი იქნება, რათა მაპატიოს და ვუყვარდე».

მეორე დღეს გვიან გააღვიძა ზედამხედველის სიტყვებმა:

_ თქვენ, ალბათ, კარგი გულის კაცი ხართ, ბატონო ჟიულიენ. ორჯერ შემოვიხედე, არ მინდოდა გამეღვიძებინეთ. აი, ორი ბოთლი მშვენიერი ღვინო; ჩვენი მღვდელი ბ. მასლონი გიგზავნით.

_ როგორ, ეს არამზადა კიდევ აქ არის? _ ჰკითხა ჟიულიენმა.

_ დიახ, ბატონო, _ უპასუხა ზედამხედველმა დაბალი ხმით; _ ნუ ლაპარაკობთ ასე ხმამაღლა; ამან შეიძლება ვნება მოგაყენოთ.

ჟიულიენმა გულიანად გაიცინა.

_ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც მე ვიმყოფები, ჩემო მეგობარო, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მავნოთ, თუ აღარ მოისურვებთ ტკბილად და ადამიანურად მომეპყრათ... თქვენ კარგ ჯილდოს მიიღებთ, _ განაგრძო ჟიულიენმა მბრძანებლური კილოთი და ფული აჩუქა ზედამხედველს.

ბ. ნუარუმ ხელახლა და უფრო დაწვრილებით უამბო, რაც იცოდა ქალბატონ დე რენალის შესახებ, მაგრამ არაფერი უთქვამს იმაზე, რომ ელიზა მოვიდა სატუსაღოში.

ეს ადამიანი უკიდურესად მდაბალი და მორჩილი იყო. ჟიულიენს ერთი აზრი მოუვიდა თავში: «ამ მახინჯ ბუმბერაზს შეუძლია მხოლოდ სამასი ან ოთხასი ფრანკი მიიღოს თვეში იმიტომ, რომ მის სატუსაღოში ხალხი ცოტაა. მე შემიძლია მას ათი ათასი ფრანკი აღვუთქვა, თუ ის ჩემთან ერთად გაიქცევა შვეიცარიაში... ოღონდ გამიძნელდება ჩემი კეთილი სურვილი დავუმტკიცო». მაგრამ ის აზრი, რომ ამ მდაბალ არსებასთან გრძელი მოლაპარაკების გამართვა დასჭირდებოდა, საზიზღრად ეჩვენა ჟიულიენს და მან სხვა საგანზე დაიწყო ფიქრი.

საღამოს უკვე გვიან იყო. შუაღამისას საფოსტო ეტლი მოვიდა მის წასაყვანად. ის მეტად კმაყოფილი დარჩა თავისი თანამგზავრი ჟანდარმებისა. დილით, როცა ბეზანსონის სატუსაღოში მივიდა, ყურადღებით მოეპყრნენ და გოთური კოშკის ზედა სართულში მოათავსეს. ჟიულიენმა იგი XIV საუკუნის დასაწყისის არქიტექტურად სცნო და აღტაცებული დარჩა მისი მოხდენილობითა და სიმსუბუქით. მაღალ კედლებს შუა ვიწრო გადასახედი იყო დარჩენილი; იქიდან საუცხოო სანახაობა იშლებოდა.

მეორე დღეს დაკითხეს, შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში არ შეუწუხებიათ. მისი სული დაწყნარებული იყო. თავისი საქმე მეტისმეტად მარტივად მიაჩნდა: «მე სხვისი მოკვლა მინდოდა, მაშასადამე, სიკვდილს ვერც მე გავექცევი».

მისი აზრი აღარ შეჩერებულა ამ მსჯელობაზე. გასამართლებას, უსიამოვნებას, რომელსაც საზოგადოების წინაშე გამოჩენის აზრი იწვევდა, დაცვას, ყოველივე ამას იგი

მცირე დაბრკოლებად თვლიდა, მოსაწყენ ცერემონიად, რომელთა შესახებ დრო ექნებოდა გასამართლების დღესვე ეფიქრა. არც სიკვდილის წუთი იპყრობდა მის ყურადღებას: «ამაზე გასამართლების შემდეგ ვიფიქრებ». ცხოვრება მოსაწყენად როდი ეჩვენებოდა, ყოველ საგანს ახალი თვალსაზრისით ხედავდა; მას აღარ ჰქონდა პატივმოყვარეობა. მატილდა დე ლამოლზე იშვიათად ფიქრობდა. ხშირად სინანულს ეძლეოდა, ხშირად თვალწინ უდგებოდა ქალბატონ დე რენალის სახე: განსაკუთრებით ღამის სიწყნარეში, რომელსაც მხოლოდ ჭოტის ძახილი არღვევდა.

ზეცას მადლობას უძღვნიდა, რომ ქალი სასიკვდილოდ არ დაჭრა. «გასაოცარი ამბავია, _ ფიქრობდა იგი, _ მე მეგონა, თავისი წერილით ბ. დე ლამოლისადმი მან სამუდამოდ გაანადგურა ჩემი მომავალი ბედნიერება-მეთქი. არ გასულა ორი კვირაც ამ წერილის დაწერის დღიდან, და მე სრულიადაც არ ვფიქრობ იმაზე, რაც მაშინ მაწუხებდა... საკმაოა ორი თუ სამი ათასი ლივრი წლიური შემოსავალი, რათა კაცმა წყნარად იცხოვროს ისეთ მთიან ქვეყანაში, როგორიც ვერჟია... მაშინ ბედნიერი ვიყავი... თვით არ მესმოდა ჩემი ბედნიერება!»

ხანდახან იგი სკამიდან წამოხტებოდა ხოლმე. «ქალბატონი დე რენალი რომ სასიკვდილოდ დამეჭრა, თავს მოვიკლავდი... ამის უტყუარი საბუთი მჭირდება, რათა თავი არ შემეზიზღოს».

«თავის მოკვლა, აი, დიდი საკითხი, _ ფიქრობდა ის, _ ეს მოსამართლეები ასეთი ფორმალისტები არიან, ასეთი გააფთრებით სდევნიან საწყალ ბრალდებულს; სიამოვნებით ჩამოახრჩობდნენ საუკეთესო მოქალაქეს, რათა მკერდზე ორდენი ჩამოიკიდონ... თვითმკვლელობით მე გავექცეოდი მათს ბატონობას, მათს შეურაცხყოფას, ცუდ ფრანგულ ენაზე წარმოთქმულს, რასაც შემდეგ დეპარტამენტის გაზეთი მჭევრმეტყველებას უწოდებს... მე შემიძლია კიდევ ხუთი თუ ექვსი კვირა ვიცოცხლო. თავის მოკვლა! არა, _ თქვა მან რამდენიმე დღის შემდეგ. _ ნაპოლეონმა თავი არ მოიკლა... ესეც არ იყოს, სიცოცხლე ჩემთვის სასიამოვნოა. აქ სიწყნარეა, არავინ მაწუხებს», _ დაუმატა მან ღიმილით და პარიზიდან გამოსაწერი წიგნების სია შეადგინა.

XXXVII

კოშკი

მეგობრის საფლავი.

სტერნი.

ტალანიდან დიდი ხმაურობა მოესმა. ამ დროს არ შემოდიოდნენ ხოლმე სატუსაღოში. ჭოტი ყვირილით გაფრინდა, კარი გაიღო და პატივცემული მღვდელი შელანი აცახცახებული შემოვიდა ჯოხით ხელში და ჟიულიენს გადაეხვია.

_ აჰ, ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს შესაძლებელია, ჩემო შვილო!.. არა, არაკაცო-მეთქი, უნდა მეთქვა.

და საბრალო მოხუცს ენა ჩაუწყდა. ჟიულიენს შეეშინდა, არ წაიქცესო. იძულებული გახდა, სკამთან მიეყვანა. დროს თავისი მძიმე ბეჭედი დაესვა ამ წინათ ესოდენ ენერგიული ადამიანისთვის. ის აჩრდილიდღა ეჩვენა ჟიულიენს.

_ მხოლოდ გუშინწინ მივიღე თქვენი წერილი სტრასბურგიდან ხუთასი ფრანკითურთ ვერიერის ღარიბ-ღატაკებისთვის; მთაზე მომიტანეს ლივერიუში, სადაც ჩემ ძმისწულ ჟანისას დავსახლდი. გუშინ კატასტროფის ამბავი გავიგე... ოჰ, ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს შესაძლებელია!

და მოხუცმა ტირილი შეწყვიტა. მას სრულიად უაზრო სახე ჰქონდა, შემდეგ დაუმატა:

_ თქვენ შეიძლება თქვენი ხუთასი ფრანკი დაგჭირდეთ, უკან მოგიტანეთ.

_ მე მჭირდება მხოლოდ თქვენი ნახვა, მამაო, _ წამოიძახა გულაჩუყებულმა ჟიულიენმა. _ ფული არ მაკლია.

მაგრამ ვერ შეძლო აზრიანი პასუხის მიღება. დროგამოშვებით მამა შელანი ცრემლებს ღვრიდა; ისინი ღაპაღუპით ცვიოდნენ ლოყებზე, დროგამოშვებით კი ჟიულიენს უცქეროდა და გაოცებული იყო, რომ ეს უკანასკნელი მის ხელებს იღებდა და კოცნიდა. მოხუცის სახე, რომელიც ასეთი ცოცხალი იყო წინათ და ასეთი ენერგიით ხატავდა უკეთილშობილეს გრძნობებს, სრულიად გულგრილი გამხდარიყო. ჩქარა ვიღაც გლეხი შემოვიდა მოხუცის წასაყვანად.

_ არ უნდა დავღალოთ, _ უთხრა მან ჟიულიენს, რომელიც მიხვდა, რომ ეს გლეხი მღვდლის ძმისწული იყო.

ამ სტუმრობამ ძალიან დაამწუხრა ჟიულიენი, მაგრამ ტირილი მაინც არ შეეძლო. ყოველივე სევდიანად და უიმედოდ ეჩვენებოდა. გრძნობდა, თითქო გული ეყინებოდა მკერდქვეშ.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ ჟიულიენს არ განუცდია ამაზე უფრო მკაცრი წუთი. მან სიკვდილი დაინახა მთელი მისი სიმახინჯით. სულგრძელობის და კეთილშობილების ყველა ილუზია გაქრა, როგორც ღრუბელი ქარიშხლის წინ.

ეს საშინელი მდგომარეობა რამდენიმე საათს გაგრძელდა. ზნეობრივი მოწამვლის წინააღმდეგ საჭიროა ფიზიკური წამლობა და შამპანური ღვინო; მაგრამ ჟიულიენი თავის თავს მხდალ მამაკაცად ჩათვლიდა, ასეთი საშუალებისთვის რომ მიემართა. მთელი ეს საშინელი დღე იმაში გაატარა, რომ ბოლთას სცემდა თავის ვიწრო კოშკში.

«რა უგუნური ვარ, _ გაიფიქრა ბოლოს. _ ამ საბრალო მოხუცის დანახვას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოეწვია სევდა, მეც რომ ისეთივე სიკვდილი მელოდეს, როგორც სხვებს; მაგრამ სწრაფი სიკვდილი და ისიც გაფურჩქვნის ასაკში მიცავს ასეთი სამწუხარო მიხრწნილებისაგან».

ამგვარი მსჯელობის მიუხედავად ჟიულიენი მგრძნობიარე გახდა სულმოკლე ადამიანივით და მაშასადამე, უბედური იყო ამ სტუმრობის შემდეგ.

მასში აღარაფერი იყო მკაცრი და დიდებული; მას აღარ ჰქონდა რომაული სიქველე. სიკვდილი დიდ სიმაღლეზე წარმოუდგა, როგორც ნაკლებ ადვილად ასატანი რამ.

«ეს ჩემი თერმომეტრი იქნება, _ გაიფიქრა მან. _ დღეს საღამოთი ათი გრადუსით დაბლა ვდგავარ იმ ვაჟკაცობის დონეზე, რომელმაც გილიოტინასთან უნდა მიმიყვანოს. ამ დილით საკმაო ვაჟკაცობა მქონდა. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? თავი და თავია, რომ ეს ვაჟკაცობა საჭირო წუთში დამიბრუნდეს». თერმომეტრის იდეამ ცოტათი გაართო და გაამხიარულა ჟიულიენი.

მეორე დილით გაღვიძებისას მას შერცხვა წინანდელი დღისა.

«ჩემს ბედნიერებას, ჩემს სიმშვიდეს საფრთხე მოელის». კინაღამ გადაწყვიტა წერილი მიეწერა მთავარი ბრალმდებლისთვის, არავინ შემოუშვათ ჩემთანო. «ფუკე რომ მოვიდეს? _ გაიფიქრა მან. _ თუ ბეზანსონში ჩამოსვლა შეძლო, წარმოდგენილი მაქვს, როგორ შეაწუხებს ეს ამბავი!@»

უკვე ორი თვე იყო, რაც ფუკე არ გახსენებია. «მე სულელივით ვცხოვრობდი სტრასბურგში, ჩემი ტანისამოსის საყელოს იქით ვერაფერს ვხედავდი. _ ფუკეს გახსენებამ გული აუჩუყა. იგი სატუსაღოში დასეირნობდა აღელვებული. _ აი, უკვე ოცი გრადუსით დაბლა ვდგავარ სიკვდილზე... თუ ამ სისუსტემ იმატა, უმჯობესია თავი მოვიკლა. როგორ გაუხარდებათ მასლონებსა და ვალნოებს, თუ არამზადასავით მოვკვდი!»

მოვიდა ფუკე. ეს უბრალო და გულკეთილი ადამიანი თავგზადაბნეული იყო მწუხარებისაგან. თუ თავში კიდევ რაიმე აზრი ჰქონდა შერჩენილი, მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ მთელი თავისი ქონება გაეყიდა, რათა სატუსაღოს ზედამხედველი მოესყიდა და ჟიულიენი გაექცია. ჟიულიენს დიდხანს ელაპარაკა დე ლავალეტის* გაქცევაზე.

_ შენ მაღონებ, _ უთხრა ჟიულიენმა. _ დე ლავალეტი უდანაშაულო იყო, მე კი დამნაშავე ვარ. შენდა უნებურად ამ განსხვავების შესახებ მაფიქრებინებ... მაგრამ ნუთუ მართლა მთელი ქონების გაყიდვას აპირებ? _ ჰკითხა ჟიულიენმა, რომელიც უცებ დაკვირვებული და იჭვიანი გახდა.

ფუკეს გაუხარდა, რომ მისმა მეგობარმა ბოლოს ყურადღება მიაქცია მის მთავარ აზრს და დაწვრილებით უამბო, რას ღებულობდა თითოეული თავისი მამულიდან.

«რა საუცხოო სულგრძელობას იჩენს ეს მიწის მესაკუთრე! _ გაიფიქრა ჟიულიენმა. _ რამდენი ხელმომჭირნეობის ნაყოფს თმობს ჩემთვის; ეს ხელმომჭირნეობა კი მაწითლებდა, როცა მისი მოწმე ვიყავი. მშვენიერ ახალგაზრდა კაცებს, რომელთაც დე ლამოლის პალატებში ვხვდებოდი და რომელნიც შატობრიანის «რენეს» კითხულობენ, არა აქვთ არც ერთი ეს სასაცილო მანკი; მაგრამ იმ გამოუცდელი ახალგაზრდებისა და მემკვიდრეობით გამდიდრებულების გამოკლებით, რომელნიც არ იცნობენ ფულის ფასს, რომელ ამ მშვენიერ პარიზელთაგანს შეუძლია ასეთი მსხვერპლი გაიღოს?»

ფუკეს აღარ ეტყობოდა აღარც ენობრივი შეცდომები, აღარც მიხრა-მოხრის ვულგარობა. ჟიულიენი გადაეხვია ძმობილს. არასოდეს პროვინციას ამდენი უპირატესობა არ გამოუმჟღავნებია პარიზთან შედარებით. ფუკე აღტაცებული იყო იმ ენთუზიაზმით, რომელიც თავისი მეგობრის თვალებში დაინახა და გაქცევის დასტურად მიიღო.

ამ ჭეშმარიტად ამაღლებული მოვლენის დანახვამ ჟიულიენს მთელი ის ძალ-ღონე დაუბრუნა, რომელიც მამა შელანის მოსვლამ დააკარგვინა. იგი ჯერ მეტისმეტად ახალგაზრდა იყო, მაგრამ ჩემი აზრით, მშვენიერი მცენარის ნიმუშს წარმოადგენდა. იმის მაგივრად, რომ უმრავლესობის მსგავსად სინაზიდან ვერაგობაზე გადასულიყო, ის ასაკთან ერთად ადვილად გულის აჩუყების უნარს და გულკეთილობას შეიძენდა და განთავისუფლდებოდა უგუნური ეჭვიანობისაგან... მაგრამ რა საჭიროა ამის წინასწარმეტყველებანი?

დაკითხვას თანდათან უფრო მოუხშირეს მიუხედავად იმისა, რომ ჟიულიენი თავისი პასუხებით ცდილობდა შეემოკლებინა საქმე.

_ მე მოვკალი, ყოველ შემთხვევაში, მოკვლა მქონდა წინასწარ განზრახული, _ იმეორებდა იგი ყოველდღე. მაგრამ მსაჯული დიდი ფორმალისტი იყო: ჟიულიენის აღიარება სრულიადაც არ ამოკლებდა დაკითხვას; მსაჯულის თავმოყვარეობა შებღალული იყო.

ჟიულიენს არც კი შეუტყვია, რომ მას საშინელ ჯურღმულში უპირებდნენ გადაყვანას და მხოლოდ ფუკეს მეცადინეობის წყალობით დატოვეს მშვენიერ ოთახში ას ოთხმოცი საფეხურის სიმაღლეზე. აბატი დე ფრილერი იმ მნიშვნელოვანი ადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც ფუკე შეშას აწვდიდა. გულკეთილმა ვაჭარმა მოახერხა ამ ყოვლისშემძლე უფროს ქორეპისკოპოსამდე მისულიყო. მისდა სასიხარულოდ, დე ფრილერმა გამოუცხადა, მოხიბლული ვარ ჟიულიენის კარგი თვისებებით და მის მიერ სემინარიისადმი გაწეული სამსახურით და ვფიქრობ, ორიოდე სიტყვა შევაწიო მოსამართლეებთანო. ფუკეს იმედი დაებადა თავისი მეგობრის გადარჩენისა, წამოსვლის წინ მდაბლად თავი დაუკრა უფროს ქორესპიკოპოსს და სთხოვა, ათი ლუიდორი მიეღო, რათა ეწირა ბრალდებულის გასამართლებლად.

ფუკე ძლიერ ცდებოდა. ბ. დე ფრილერი სრულიადაც ვალნოს არ ჰგავდა, უარი უთხრა და შეეცადა კიდეც დაერწმუნებია გულკეთილი გლეხი, უკეთესი იქნება ფულს შენთვის შეინახავდეო. რაკი ფუკემ დაინახა, რომ შეუძლებელი იყო უფრო ნათლად ლაპარაკი, სთხოვა, ეს თანხა გაუნაწილეთ საწყალ ტუსაღებს, რომელთაც ყველაფერი აკლიათო.

«ეს ჟიულიენი უცნაური კაცია, მისი ყოფაქცევა სრულიად გაუგებარია, _ ფიქრობდა ბ. დე ფრილერი; _ შეიძლება მოხერხდეს მისი მოწამედ გადაქცევა... ყოველ შემთხვევაში, ამ საქმის საფუძველს გამოვარკვევ. შეიძლება რაიმე ვიღონო ქალბატონ დე რენალის დასაშინებლად, რომელიც პატივს არ გვცემს, მე კი ვეზიზღები. შეიძლება ბატონ დე ლამოლთან შერიგებაც კი მოვახერხო. იგი, ეტყობა, ცოტა არ იყოს, მგრძნობიარედ ეპყრობა ამ პატარა სემინარიელს».

შეთანხმება პროცესის შესახებ ხელმოწერილ იქნა რამდენიმე კვირის წინ და აბატი პირარი ბეზანსონიდან გაემგზავრა, მაგრამ წასვლის წინ გადაკვრით ილაპარაკა ჟიულიენის საიდუმლო წარმოშობაზე; სწორედ ამ დღეს დაჭრა ჟიულიენმა ქალბატონი დე რენალი ვერიერის ეკლესიაში.

ჟიულიენი მხოლოდ ერთ არასასიამოვნო მოვლენას ხედავდა თავის თავსა და სიკვდილს შორის: ეს იყო მისი მამის სტუმრობა. ფუკეს რჩევა ჰკითხა, მინდა

ბრალმდებელს მივწერო, რომ აღარავინ შემოუშვათ ჩემთანო. შეშის ვაჭრის პატიოსანი ბურჟუაზიული გული ღრმად შეშფოთდა, როცა მან დაინახა, რომ ჟიულიენი ასეთ წუთებში გაურბოდა მამასთან შეხვედრას. ის მიხვდა, რად სძულდა ბევრს ასე ვნებიანად მისი მეგობარი; მაგრამ მოკრძალების გამო დამალა თავისი გრძნობა.

_ ყოველ შემთხვევაში, _ უთხრა მან ცივად ჟიულიენს, _ მამაშენს აქ შემოსვლას მაინც არავინ დაუშლის.

XXXVIII

ძლიერი ადამიანი

> რამდენი საიდუმლოებაა მის ქცევაში, რა მოხდენილია მისი ტანი! ვინ უნდა იყოს ეს ქალი?
>
> **შილერი.**

მეორე დღეს კოშკის კარი ძალიან ადრე გაიღო. ჟიულიენს მაშინვე გამოეღვიძა, თითქო მუჯლუგუნი ჰკრესო.

«აჰ, ღმერთო ჩემო, _ გაიფიქრა მან, _ აი, მამაჩემი. რა არასასიამოვნო სცენაა!»

იმავე წუთში გლეხურად გამოწყობილი დედაკაცი გადაეხვია. ძლივს იცნო: ეს იყო მატილდა დე ლამოლი.

_ საძაგელო, მხოლოდ შენი წერილიდან გავიგე, სად იმყოფებოდი, და მხოლოდ ვერიერში შემატყობინეს იმის შესახებ, რასაც შენ დანაშაულს უწოდებ და რაც მხოლოდ კეთილშობილი შურისძიება იყო. ეს შურისძიება ამჟღავნებს იმ გულის სიდიადეს, რომელიც შენს მკერდქვეშ სცემს.

მიუხედავად იმისა, რომ ჟიულიენი მატილდას წინააღმდეგ იყო განწყობილი, რაიცა თვითაც ნათლად არ ჰქონდა შეგნებული, იგი მაინც უმშვენიერეს ქალად ეჩვენა. «როგორ შეიძლება არ ვაღიარო, რომ მისი ლაპარაკისა და მოქმედების მანერა ამჟღავნებს კეთილშობილ, უანგარო გრძნობას, ამაღლებულს ყოველივე წვრილმანსა და ვულგარულზე?» მას ხელახლა მოეჩვენა, დედოფალი მიყვარდაო, და რამდენიმე წუთის შემდეგ იშვიათად კეთილშობილი აზრით და გამოთქმით უთხრა:

_ მომავალი სრულიად ნათლად იხატება ჩემს თვალწინ. ჩემი სიკვდილის შემდეგ ბ. დე კრუაზენუაზე გათხოვდებით, - ის ქვრივს შეირთავს. ამ მომჯადოებელი ქვრივი ქალის

კეთილშობლი, მაგრამ ცოტა არ იყოს რომანტიკული სული, რომელიც არაჩვეულებრივი, ტრაგიკული და დიადი მოვლენის შემწეობით, ალბათ, განცვიფრებულია და ვულგარული კეთილგონიერების კულტს უბრუნდება, გაიგებს ახალგაზრდა მარკიზის ნამდვილ ღირსებას. თქვენ დასჯერდებით იმას, რასაც მთელი ქვეყანა ბედნიერებას უწოდებს: პატივისცემას, სიმდიდრეს, მაღალ მდგომარეობას... მაგრამ, ძვირფასო მატილდა, თუ თქვენი ბეზანსონში მოსვლა გაიგეს, ეს მომაკვდინებელ ჭრილობას დააჭდობს ბ. მარკიზ დე ლამოლს, ამას კი ჩემს თავს ვერასოდეს ვერ ვაპატიებ. მას უკვე ბევრი გულისტკივილი მივაყენე! თქვენი აკადემიკოსი მტკიცებას დაიწყებს, გველი გამოზარდა თავის მკერდზეო.

_ გამოგიტყდები, არ ველოდი, რომ ასეთ ცივ გონებას გამოამჟღავნებდი, ასე იზრუნებდი ჩემს მომავალზე, _ უთხრა, ცოტა არ იყოს, გაბრაზებულმა მატილდა დე ლამოლმა. _ ჩემმა მოახლემ, რომელიც თითქმის ისევე გონიერია, როგორც თქვენ, პასპორტი აიღო თავის სახელზე და მე აქ ქალბატონ მიშლეს გვარით მოვედი.

_ და ქალბატონმა მიშლემ ასე ადვილად მოაღწია ჩემამდე?

_ აჰ, შენ ყოველთვის არაჩვეულებრივ ადამიანად დარჩები, რომელიც მე ავირჩიე! უწინარეს ყოვლისა, მე ასი ფრანკი შევთავაზე მოსამართლის მდივანს, რომელიც მიმტკიცებდა, შეუძლებელია შენი შესვლა კოშკშიო. მაგრამ ფულის მიღების შემდეგ ამ პატიოსანმა კაცმა ლოდინი დამაწყებინა, საბუთები წარმოადგინა, და მე ვიფიქრე, ჩემი გაქურდვა უნდა-მეთქი... _ აქ მატილდა შებორძიკდა.

_ მერე? _ ჰკითხა ჟიულიენმა.

_ ნუ გამიჯავრდები, ჩემო ძვირფასო ჟიულიენ, _ უთხრა ქალმა და აკოცა. _ მე იძულებული ვიყავი ჩემი გვარი მეთქვა მდივნისთვის, რომელიც ახალგაზრდა პარიზელ ხელოსან ქალად მთვლიდა, ლამაზ ჟიულიენზე შეყვარებულად... ეს მართლა მისი სიტყვებია. მე დავუფიცე, რომ შენი ცოლი ვარ და ნებართვას შევიძენ, ყოველდღე გინახულო.

«ეს ნამდვილი სიგიჟეა, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ მაგრამ მე არ შემეძლო ხელის შეშლა. ბოლოს და ბოლოს, ბ. დე ლამოლი ისეთი დიდი კაცია, რომ საზოგადოებრივი აზრი ადვილად გაამართლებს ახალგაზრდა ოფიცერს, რომელიც შეირთავს ამ მომხიბლავ ქვრივს. ჩემი სიკვდილი ყოველივეს დაფარავს».

ჟიულიენი ნეტარებით დანებდა მატილდასადმი სიყვარულს. ამ სიყვარულში იყო სიგიჟე, სულიერი სიდიადე, დიდი თავისებურება. ქალმა მას სერიოზულად უთხრა, თავს მოვიკლავ შენთან ერთადო.

ამ პირველი აღტაცების შემდეგ, როცა ქალი გაძღა ჟიულიენის ცქერით, უცებ მის სულში ძლიერმა ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა. ის ათვალიერებდა თავის სატრფოს და ბევრად უფრო დიდი ეჩვენებოდა, ვიდრე წინათ წარმოედგინა. ეგონა, ბონიფას დე ლამოლი აღსდგა, მაგრამ ბევრად უფრო გმირულიო.

მატილდამ ინახულა საუკეთესო ადგილობრივი ადვოკატები, რომელთაც შეურაცხყოფა მიაყენა იმით, რომ მეტისმეტად ტლანქად შეაძლია ფული. ბოლოს, მათ მაინც მიიღეს ეს ფული. ის ჩქარა მიხვდა, რომ ბეზანსონში ყოველივე საეჭვო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება აბატ დე ფრილერზე იყო დამოკიდებული. მას თავდაპირველად ძნელად გადასალახავი დაბრკოლებანი გადაეღობნენ, რათა ყოვლისშემძლე კონგრეგაციის წევრამდე მიეღწია ქალბატონ მიშლეს უცნობი სახელით. მაგრამ მთელს ქალაქში ხმა გავარდა ამ ვითომდა პარიზელი მოდისტი ქალის სილამაზეზე, მის ბეზანსონში ჩამოსვლაზე, რათა ნუგეში ეცა ახალგაზრდა აბატ ჟიულიენ სორელისთვის.

მატილდა მარტოდმარტო ფეხით დადიოდა ბეზანსონის ქუჩებში. იმედი ჰქონდა, ვერავინ მიცნობსო. ესეც არ იყოს, საქმისთვის სასარგებლოდ მიაჩნდა შთაბეჭდილების მოხდენა ხალხზე. მას ეგონა, შეიძლება აჯანყება მოვაწყო, რათა სასიკვდილოდ მიმავალი ჟიულიენი გადავარჩინოო. მატილდა დე ლამოლს ეგონა, მარტივად და სამგლოვიაროდ ვარ ჩაცმულიო, მისი ტანისამოსი კი მთელი ხალხის ყურადღებას იპყრობდა.

ბეზანსონში უკვე ყველა მატილდაზე ლაპარაკობდა, როცა მთელი კვირის ცდის შემდეგ ბ. დე ფრილერის ნახვის ნებართვა მიიღო. მიუხედავად მისი გამბედაობისა, მის წარმოდგენაში იეზუიტთა კონგრეგაციის გავლენიანი წევრის იდეა ისე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფარულ და ვერაგ ბოროტმოქმედებასთან, რომ თრთოდა, როცა ეპისკოპოსის კარიბჭის ზარს რეკდა. კიბეზე ასვლის დროს კინაღამ მუხლები ჩაეკეცა. თვით სასახლეში ისეთი მარტოობა და უკაცრიელობა იგრძნო, რომ ტანში ჟრუანტელმა დაუარა. «ვაითუ, როცა სავარძელში ჩავჯდები, სავარძელმა ხელები მომიჭიროს და გავქრე. ვისღა მოჰკითხავს ჩემს თავს ჩემი მოახლე? ჟანდარმთა უფროსი საქმეში არ ჩაერევა... მე მარტო ვარ ამ დიდ ქალაქში!»

მაგრამ როცა მატილდამ ბინას თვალი მიმოავლო, ცოტათი დამშვიდდა. ერთი რომ, მას კარი მეტად ლაზათიანად ჩაცმულმა ლაქიამ გაუღო. სასტუმრო ოთახი, სადაც ის შეიყვანეს, ფაქიზად და მოხდენილად იყო მოწყობილი და დაშორებული იყო ტლანქ მედიდურებას. ამ მხრივ მას თვით პარიზშიც იშვიათი სახლი თუ შეედრებოდა. როგორც

კი ქალმა ბ. დე ფრილერი დაინახა, მას გაეფანტა ყოველი სასტიკი დანაშაულის აზრი, იმდენად მამობრივი გამომეტყველება ჰქონდა მასპინძელს. მის ლამაზ სახეზე ვერ აღმოაჩინა იმ ენერგიული და ცოტა არ იყოს ველური სათნოების ბეჭედი, რაც ასე სძულს პარიზის საზოგადოებას. ღიმილი, რომელიც თამაშობდა ბეზანსონის ყოვლისშემძლე მბრძანებლის ტუჩებზე, ამჟღავნებდა კარგი საზოგადოების კაცს, განათლებულ პრელატს, გამობრძმედილ მმართველს. მატილდას ეგონა, პარიზში ვარო.

ბ. დე ფრილერს მხოლოდ რამდენიმე წუთი დასჭირდა, რათა მატილდა გამოეტეხა, რომ ის მისი ძლიერი მოწინააღმდეგის, მარკიზ დე ლამოლის ქალიშვილი იყო.

_ მე მართლა მიშლე არა ვარ, _ თქვა ქალმა და თავისი ამპარტავნული გარეგნობა მიიღო, _ და ამას მით უფრო ადვილად ვაღიარებ, რომ თქვენთან რჩევის საკითხავად მოვედი, როგორ მოვაწყო ბ. დე ლავერნეს გაქცევა. ერთი, რომ მისი დანაშაული მხოლოდ თავქარიანობაში გამოიხატება. ქალი, რომელსაც მან ესროლა, თავს კარგად გრძნობს; მეორე, რომ ხელქვეითი მსახურების მოსასყიდად დაუყოვნებლივ ორმოცდაათი ათას ფრანკს გადმოგცემთ და ამდენსავეს შემდეგ მოგაწოდებთ. ბოლოს, მე და ჩემი ოჯახი ყოველივეს მოვიმოქმედებთ, რათა ბ. დე ლავერნეს მხსნელს მადლობა გადავუხადოთ.

როგორც ეტყობოდა, ბ. ფრილერი გააკვირვა ამ გვარმა.

მატილდამ მას რამდენიმე წერილი აჩვენა სამხედრო მინისტრისაგან. ისინი ბ. ჟიულიენ სორელ დე ლავერნესადმი იყვნენ მიმართული.

_ თქვენ ხედავთ, ბატონო, რომ მამაჩემმა იკისრა მისი ბედის მოწყობა. მე ფარულად ჯვარი დავიწერე მასზე, და მამაჩემს უნდოდა, რომ მას უფროსი ოფიცრის ხარისხი მიეღო, სანამ ამ ცოტა არ იყოს, ახირებულ დაქორწინებას გამოვამჟღავნებდით.

მატილდამ შეამჩნია, რომ როგორც კი ბ. ფრილერმა ამ მნიშვნელოვან აღმოჩენასთან მიაღწია, მის სახეზე საჩქაროდ გაქრა გულკეთილობისა და უწყინარი მხიარულების გამომეტყველება, რომლის ადგილი ცბიერებამ და სიყალბემ დაიჭირა.

აბატს ეჭვები დაებადა. მან დაიწყო ოფიციალური საბუთების კითხვა.

«რა შემიძლია გამოვწურო ამ უცნაური აღსარებისაგან, _ ფიქრობდა ის, _ მე უცებ დაკავშირებული აღმოვჩნდი ცნობილი მარშლის მეუღლის, დე ფერვაკის მეგობარ ქალთან; დე ფერვაკი კი ძმისწულია ყოვლისშემძლე მღვდელთმთავრისა, რომლის შემწეობით შემიძლია დამოუკიდებელი ეპარქია მივიღო საფრანგეთში. ის, რაც შორეული მომავლის საქმედ მიმაჩნდა, მოულოდნელად ხელშესახები ხდება. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ყველა ჩემი სურვილის განხორციელებას».

მატილდა თავდაპირველად შეშინდა, ისე უეცრად შეეცვალა სახე ამ ადამიანს. ის მასთან მარტოდმარტო იმყოფებოდა მოშორებულ ოთახში. «არა უშავს რა, _ გაიფიქრა მან მაშინვე, _ უარესი იქნებოდა, რომ არავითარი შთაბეჭდილება არ მომეხდინა ამ ხელისუფლებითა და სიამოვნებით გამაძღარ აბატზე».

ბ. დე ფრილერი მოხიბლული იყო იმ ჩქარი და მოულოდნელი გზის დანახვით, რომელიც მის თვალწინ იშლებოდა ეპარქიის მისაღებად; გაოცებული იყო მატილდას ჭკუით; ამიტომ თავისი ჩვეულებრივი სიფრთხილე ვეღარ გამოიჩინა. მატილდა დე ლამოლმა თითქმის თავის ფეხთ ქვეშ დაინახა ეს პატივმოყარე და ნერვულად აცახცახებული ადამიანი.

«ყოველივე გამოირკვა, _ გაიფიქრა მატილდამ, _ არაფერი აქ შეუძლებელი არ იქნება ქალბატონ დე ფერვაკის მეგობარი ქალისთვის». თუმცა მატილდა ჯერ კიდევ განთავისუფლებული არ იყო მტანჯველი მეშურნეობის გრძნობისაგან, მან გამბედაობა გამოიჩინა განეცხადებია, ჟიულიენი მახლობელი მეგობარი იყო მარშლის მეუღლისა და მისას თითქმის ყოველდღე ხვდებოდა მის ბიძას _ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსსო.

_ თუნდაც კენჭის ყრით ოთხ-ხუთჯერ შეცვალონ ოცდათექვსმეტი ნაფიცი მსაჯულის სია, შედგენილი ამ დეპარტამენტის ყველაზე პატივცემული მოქალაქეებისაგან, _ თქვა ბ. დე ფრილერმა, რომლის გამოხედვაში უმძაფრესი პატივმოყვარეობა იხატებოდა, _ ჩემს თავს უბედურ ადამიანად ჩავთვლიდი, თუ თითოეულ სიაში არ აღმოვაჩენდი რვა ან ათ მეგობარს: ისინი ყველაზე გონებაგახსნილი ადამიანები იქნებიან მთელი ამ ჯგუფიდან. თითქმის ყოველთვის უმრავლესობა მეყოლება; ამიტომ, ქალბატონო, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ადვილად შემიძლია გამმართლებელი განაჩენის გამოტანინება...

აბატი უცებ შეჩერდა, თითქო მისივე სიტყვებმა გააკვირვაო: იგი ისეთ რამეს აღიარებდა, რასაც არასოდეს არ ეუბნებიან გარეშე პირთ.

მაგრამ მანაც დიდად გააოცა მატილდა, როცა უამბო, რომ ბეზანსონის საზოგადოებას ჟიულიენის უცნაურ თავგადასავალში ყველაზე მეტად ის აკვირვებდა და აინტერესებდა, რომ მან თავის დროზე ძლიერი ვნებათა ღელვა შთააგონა ქალბატონ დე რენალს და დიდხანს თვითონაც თანაუგრძნობდა მასო. ბ. დე ფრილერმა ადვილად შეამჩნია, რომ მისმა მოთხრობამ უკიდურესი შეშფოთება გამოიწვია ქალში.

«მე შური ვიძიე, _ გაიფიქრა აბატმა. _ აი, ბოლოს მე აღმოვაჩინე საშუალება, რომ გავლენა ვიქონიო ამ მოუდრეკელ პიროვნებაზე. შიშით ვცახცახებდი, ვაითუ ვერ მოვახერხო-მეთქი».

ეს მოხდენილი და ძნელად მოსათვინიერებელი შესახედაობის ქალი ამ მამაკაცს ორმაგად მომხიბლავი ეჩვენებოდა, განსაკუთრებით ამ წუთში, როცა მატილდა თითქმის ემუდარებოდა მას. მან ჩვეულებრივი გულგრილობა დაიბრუნა და უყოყმანოდ თითქო ხანჯალი დაატრიალა ქალის გულში.

_ ყოველივე ამის შემდეგ არ გამიკვირდება, _ უთხრა მან მატილდას, _ თუ შევიტყობთ, რომ ბ. სორელმა მეშურნეობის გავლენით ესროლა დამბაჩა ამ ქალს, რომელიც წინათ ესოდენ ძლიერ უყვარდა. ეს უკანასკნელი მოკლებული არაა მომხიბლავ თვისებებს, და რამდენიმე ხანია, როგორც ეტყობა, ხშირად ხვდებოდა ვინმე აბატ მარკინოს დიჟონიდან, უზნეო ადამიანს, როგორც ყოველი იანსენისტია.

ბ. დე ფრილერი რაღაც გამოუთქმელი სიამოვნებით ტანჯავდა ამ ახალგაზრდა ქალის გულს, რომლის სუსტი მხარეც აღმოაჩინა.

_ რატომ უნდა აერჩია ბ. სორელს ეკლესია თავისი დანაშაულის ჩასადენად, თუ არა იმიტომ, რომ სწორედ იმ დღეს მისი მეტოქე იყო მწირველი, _ ჰკითხა აბატმა მატილდას და ანთებული თვალები მიაპყრო მას. _ ყველანი აღიარებენ, რომ იმ ბედნიერს, რომელსაც თქვენ მფარველობთ, დიდი ჭკუა და კიდევ უფრო მეტი სიფრთხილე აქვს. განა უფრო ადვილი არ იქნებოდა, რომ ბ. დე რენალის ბაღებში დამალულიყო? ამ ბაღებს ხომ მშვენივრად იცნობს. იქ მას შეეძლო მოეკლა ეს ქალი, ვისზედაც ეჭვიანობდა ისე, რომ ვერც ვერავინ დაინახავდა, ვერც ვერავინ დაიჭერდა.

ამ აზრმა, რომელიც სწორი ჩანდა გარეგნულად, საბოლოოდ თავგზა დაუკარგა მატილდას. ეს ქედმაღალი ქალიშვილი, რომელიც გაჟღენთილი იყო იმ მშრალი კეთილგონიერებით, რაიცა ასე ახასიათებს მაღალი საზოგადოების ადამიანებს, ისე არ იყო მოწყობილი, რომ გაეგო ის ბედნიერება, რასაც ანთებული სული გრძნობს, როცა სიფრთხილეს დასცინის და სძლევს. პარიზის საზოგადოების მაღალ კლასებში, სადაც მატილდა ცხოვრობდა, სიყვარული იშვიათად ეთიშებოდა კეთილგონიერებას. ამ ქალაქში შეყვარებულნი მხოლოდ მეხუთე სართულზე ცხოვრობენ და იქიდან ვარდებიან ფანჯარაში.

ბოლოს, აბატი დე ფრილერი დარწმუნდა, რომ ძალაუფლებას დაეპატრონა. მან აგრძნობინა მატილდას (უეჭველია სტყუოდა), შემიძლია ჩემი სურვილისამებრ

გამოვიყენო ბრალმდებელი, რომელსაც დავალებული აქვს ჟიულიენის წინააღმდეგ გამოვიდესო. როცა ამ სესიის ოცდათექვსმეტი ნაფიცი მსაჯული იქნება არჩეული, პირადად მოველაპარაკები ოცდაათ მათგანს მაინცო.

ბ. ფრილერს მატილდა ასეთი მშვენიერი რომ არ ჩვენებოდა, მას ასე გულახდილად ლაპარაკს არ დაუწყებდა პირველი შეხვედრისთანავე.

XXXIX

ინტრიგა

> კასტრი, 1676. _ ძმამ თავისი და მოკლა იმ სახლის მეზობლად, სადაც მე ვცხოვრობ; ამ აზნაურს ერთხელ უკვე წარდგენილი ჰქონია მკვლელობის ბრალდება, მაგრამ მამამისს ხუთასი ეკიუ გაუნაწილებია მრჩევლებისთვის და სიცოცხლე შეუნარჩუნებია მისთვის.
>
> **ლოკი, მოგზაურობა საფრანგეთში.**

ეპისკოპოსის სასახლიდან გამოსვლის შემდეგ მატილდამ უყოყმანოდ შიკრიკი გაგზავნა ქალბატონ დე ფერვაკთან. ოდნავაც არ შეუჩერებია იმის შიშს, სახელი გამიტყდებაო. თავის მოქიშპეს სთხოვდა, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს თავისი ხელით დაწერილი წერილი მოაწერინე ბ. დე ფრილერისთვისო. ამას გარდა ემუდარებოდა, თვით ჩამოდი ბეზანსონშიო. ეს პირდაპირ გმირული საქციელი იყო ასეთი მეშურნე და ამაყი სულის ადამიანის მხრივ.

ფუკეს რჩევის თანახმად მატილდამ კეთილგონიერება გამოიჩინა და თავის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ არაფერი უთქვამს ჟიულიენისთვის. მისი შეხვედრა ისედაც შეშფოთებას იწვევდა ჟიულიენში. სიკვდილის მოახლოების დროს ის ბევრად უფრო პატიოსანი კაცი გახდა, ვიდრე სიცოცხლეში იყო და სინდისის ქენჯნას განიცდიდა არა მარტო ბ. დე ლამოლის, არამედ მატილდას მიმართაც.

«ეს რას ნიშნავს? _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ როცა ეს ქალი ჩემთან არის, მე ზოგჯერ გონებადაფანტული, მოწყენილი ვარ. ის თავს იღუპავს ჩემი გულისთვის, მე კი აი, როგორ ვუხდი. ნუთუ ასეთი ბოროტი ადამიანი ვარ?» ეს საკითხი მას ნაკლებ აინტერესებდა

წინათ, როცა მხოლოდ პატივმოყვარეობით იყო გამსჭვალული: მაშინ მის თვალში სამარცხვინოდ მხოლოდ მარცხი ითვლებოდა.

მისი ზნეობრივი მდგომარეობა მატილდასთან შეხვედრის დროს მით უფრო მძიმე იყო, რომ ქალში არაჩვეულებრივ, ანთებულ ვნებას იწვევდა. მატილდა მხოლოდ რაღაც სხვადასხვა უცნაური მსხვერპლის გაღებაზე ლაპარაკობდა მის გადასარჩენად.

გრძნობა, რომელიც ამ ქალს ანთებდა და სიამაყეს იწვევდა მასში, თრგუნავდა მის ჩვეულებრივ ქედმაღლობას. მას არ უნდოდა, თუნდ ერთი წუთი გაეტარებია ისე, რომ რაიმე განსაკუთრებული ნაბიჯი არ გადაედგა. მისი საუბარი ჟიულიენთან აღსავსე იყო მეტისმეტად უცნაური, მეტისმეტად სახიფათო პროექტებით. მოქრთამული ზედამხედველები მას სრული ბატონობის ნებას აძლევდნენ სატუსაღოში. მატილდა არ კმაყოფილდებოდა იმით, რომ თავის რეპუტაციას სწირავდა. მას ნაკლებ აწუხებდა, რომ მთელი საზოგადოება გაიგებდა მის მდგომარეობას. მის ანთებულ და გაბედულ ფანტაზიას მრავალი ქიმერა ესახებოდა: ის ოცნებობდა მუხლებზე დაცემულიყო ეტლით მიმავალი მეფის წინაშე, რათა ჟიულიენის პატიება ეთხოვა, რომელიმე პრინცის ყურადღება მიეპყრო; არც იმას შეპუებოდა, თუ ცხენები გადაქელავდნენ. იმედი ჰქონდა, რომ მისი მეგობარი კარისკაცები სენ კლუს პარკში შეიყვანდნენ, საზოგადოებისთვის დახურულ ნაწილებში.

ჟიულიენი თავის თავს არ თვლიდა ამდენი თავგანწირულების ღირსად. კაცმა მართალი თქვას, მოყირჭებული ჰქონდა გმირობა. მისთვის შეიძლება გული აეჩუყებია უბრალო, გულუბრყვილო, თითქმის მოკრძალებულ სინაზეს, მაშინ როცა, პირიქით, მატილდას ამპარტავან სულს ყოველთვის უცხო საზოგადოების იდეა სჭირდებოდა. ამ შეშფოთებისა, ამ შიშის განცდის დროს, რასაც ქალი თავისი სატრფოსთვის გრძნობდა, რომლის სიკვდილის შემდეგ მას სიცოცხლე აღარ უნდოდა, მატილდას ფარული მოთხოვნილება ჰქონდა, საზოგადოება გაეკვირვებია თავისი სიყვარულის სიძლიერით და თავისი ღვაწლის სიდიადით.

ჟიულიენი შეწუხებული იყო, რომ ეს გმირობა გულს არ უჩუყებდა. ადვილი წარმოსადგენია, რა მოუვიდოდა, თუ გაეგო, რომ მატილდა გიჟური აზრებით ილაჯს უწყვეტდა ერთგულ, მაგრამ მეტისმეტად კეთილგონიერ და შეზღუდულ ფუკეს. ფუკემ თვით არ იცოდა, რა გაეკიცხა მატილდას ერთგულებაში: ის მზად იყო მთელი თავისი ქონება და სიცოცხლე შეეწირა ჟიულიენის გადასარჩენად. მას აოცებდა, რომ მატილდა

ამდენ ოქროს ფანტავდა. პირველ დღეებში ამრიგად დახარჯული თანხები გავლენას ახდენდნენ ფუკეზე, რომელიც პროვინციელი კაცის მოკრძალებით ეპყრობოდა ფულს.

ბოლოს მან აღმოაჩინა, რომ მატილდა დე ლამოლის გეგმები ხშირად იცვლებოდა, და გულის მოსაოხებლად სიტყვაც იპოვა ამ დამქანცავი ხასიათის გასაკიცხავად: ეს ქალი ცვალებადიაო, გაიფიქრა მან. ამ ეპითეტიდან მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა გამოთქმამდე, რომელიც უდიდეს შეჩვენებად ითვლებოდა პროვინციაში: «თავქარიანი».

«საოცარია, _ გაიფიქრა ჟიულიენმა ერთხელ, როცა მატილდა ის იყო, სატუსაღოდან წავიდა, _ რომ მე უგრძნობლად ვხვდები ასეთ ცხოველ ვნებათა ღელვას. სულ ორიოდე თვის წინათ ამ ქალს ვაღმერთებდი. სადღაც წამიკითხავს, რომ სიკვდილის მოახლოების დროს ადამიანს ყოველი ინტერესი ეკარგებაო; მაგრამ საშინელია იმის გრძნობა, რომ უმადური ხარ და არ შეგიძლია თავს მოერიო. ნუთუ ეგოისტი ვარ?»

იგი თავის თავს ყველაზე დამამცირებელი საყვედურებით გაუმასპინძლდა. პატივმოყვარეობა ჩაკვდა მის გულში, ფერფლიდან სულ სხვა ვნებათა ღელვა აღსდგა: ის მას სინდისის ქენჯნას უწოდებდა, ქალბატონ დე რენალზე როგორ აღვმართე ხელიო.

ნამდვილად ის გაგიჟებით შეყვარებული იყო ქალბატონ დე რენალზე. განსაკუთრებულ სიამოვნებას გრძნობდა, როცა სრულიად მარტო რჩებოდა და თავისუფლად შეეძლო ის ბედნიერი დღეები გაეხსენებია, რომელიც ვერიერში ან ვერჟიში გაატარა. ყოველივე ამბავს იმ დროიდან, რომელიც ასე სწრაფად გაფრინდა, მისთვის რაღაც სიახლე და უძლეველი მიმზიდველობა ჰქონდა. ერთხელაც არ გახსენებია თავისი გამარჯვებანი პარიზში: ისინი მობეზრებული ჰქონდა.

მეშურნეობით აღსავსე მატილდამ ნაწილობრივ იგრძნო ეს განწყობილება, რომელიც დღითი დღე ძლიერდებოდა. ის ნათლად გრძნობდა, რომ ბრძოლა მოუხდებოდა მარტოობის სიყვარულის წინააღმდეგ. ხანდახან შიშის ძრწოლით წარმოთქვამდა ხოლმე ქალბატონ დე რენალის სახელს; ხედავდა, რომ ამ დროს ჟიულიენს ტანში აჟრჟოლებდა. ამის შემდეგ მის ვნებათა ღელვას არც საზღვარი ჰქონდა, არც საზომი.

«თუ ჟიულიენი მოკვდა, მეც მოვკვდები, _ ამბობდა ქალი მთელი თავისი გულწრფელობით. _ რას იტყვიან პარიზის სალონებში, როცა გაიგებენ, რომ ჩემი მდგომარეობის ქალი აღმერთებს სიკვდილით დასასჯელ საყვარელს? ამგვარი გრძნობების აღმოსაჩენად გმირულ ეპოქებს უნდა დავუბრუნდეთ. ასეთი გრძნობები ათრთოლებდნენ შარლ IX-ისა და ანრი III-ის* დროის ადამიანთა გულებს».

უძლიერესი აღტაცების დროს ის გულში იხუტებდა ჟიულიენის თავს და შეძრწუნებული ფიქრობდა: «ნუთუ ეს მომხიბლავი თავი მიწაზე უნდა დაეცეს. ამ შემთხვევაში, _ უმატებდა ის ანთებული გმირობის გრძნობით, რომელიც მოკლებული არ იყო სიტკბოებას, _ ჩემი ტუჩები მიეწებებიან მშვენიერ თმას და გაცივდებიან ოცდაოთხი საათის შემდეგ მისი სიკვდილის წუთიდან».

ქალი შებოჭილი იყო ამ გმირობისა და საშინელ ვნებათა ღელვის მოგონებებით. თვითმკვლელობის აზრი, რომელიც აქამდე დაშორებული იყო ამ ამპარტავანი სულის ადამიანს, შეიჭრა მასში და ჩქარა გაბატონდა. «არა, ჩემი წინაპრების სისხლი არ განელებულა ჩემს ძარღვებში», იმეორებდა მატილდა ამაყად.

_ მე ერთი სათხოვარი მაქვს, _ უთხრა მატილდას ერთ დღეს მისმა საყვარელმა. _ მიეცით თქვენი ბავშვი ძიძას ვერიერში, ქალბატონი დე რენალი თვალყურს ადევნებს მას.

_ თქვენი სიტყვები მეტად ტლანქია... _ და მატილდა გაფითრდა.

_ ეს მართალია, და ათასჯერ პატიებას გთხოვთ, _ წამოიძახა ჟიულიენმა, რომელიც ოცნებიდან გამოერკვა და ქალს გადაეხვია.

ჟიულიენმა ქალს თვალებში ცრემლები ამოუშრო და ხელახლა თავის აზრებს დაუბრუნდა, მაგრამ უფრო მოხერხებულად. მან საუბარს ფილოსოფიურ-მელანქოლიური განხრა მისცა; ლაპარაკი ჩამოაგდო მომავალზე, რომელიც ჩქარა უნდა დახურულიყო მისთვის.

_ უნდა ვაღიარო, ძვირფასო მეგობარო, რომ ვნებათა ღელვანი შემთხვევით მოვლენებს წარმოადგენენ ცხოვრებაში, მაგრამ ეს შემთხვევები მხოლოდ მაღალი სულის პატრონ ადამიანებში გვხვდებიან... ჩემი ვაჟის სიკვდილი არსებითად ბედნიერება იქნება თქვენი ამაყი ოჯახისათვის, მსახურნი მშვენივრად გაიგებენ ამას. უყურადღებობა იქნება ამ უბედურებისა და სირცხვილის პირმშოს ხვედრი... იმედი მაქვს, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, რომლის განსაზღვრა არ მსურს, მაგრამ უშიშრად წარმომიდგენია, თქვენ დაემორჩილებით ჩემს უკანასკნელ ნებისყოფას და მარკიზ დე კრუაზენუას მისთხოვდებით.

_ როგორ, პატივახდილი?

_ პატივის ახდა ვერ შებღალავს ისეთ სახელს, როგორსაც თქვენ ატარებთ. თქვენ ქვრივი იქნებით, გიჟის ქვრივი, ესაა და ეს. კიდევ მეტს ვიტყვი: რადგან დანაშაული ფულის გულისთვის არ ჩამიდენია, მასში არაფერია სამარცხვინო. შეიძლება იმ დროისთვის რომელიმე ფილოსოფოსმა კანონმდებელმა თავისი თანამედროვეების

ცრუმორწმუნეობა დასძლიოს და სიკვდილით სასჯელის მოსპობას მიაღწიოს. მაშინ რომელიმე მეგობრული ხმა, მაგალითად, იტყვის: «ჰო, მატილდა დე ლამოლის პირველი ქმარი გიჟი იყო, მაგრამ არც ბოროტი კაცი ყოფილა, არც არამზადა. უაზრობა იყო მისთვის თავის მოჭრა...» ამრიგად, ჩემი ხსოვნა, ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნის შემდეგ არ იქნება სამარცხვინო... თქვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა, თქვენი სიმდიდრე და, ნება მიბოძეთ დავუმატო, თქვენი ნიჭი ბ. კრუაზენუას, რომელიც თქვენი ქმარი გახდება, ისეთს როლს შეასრულებინებენ, რომელსაც მარტო ვერ ითამაშებდა. მას მხოლოდ კეთილშობილება და ვაჟკაცობა აქვს, მაგრამ ეს თვისებანი, რომელნიც საკმაო იყვნენ, რათა ადამიანი სრულქმნილად ჩაეთვალათ 1729 წელს, ანაქრონიზმად ითვლებიან ასი წლის შემდეგ. საჭიროა კიდევ სხვა ღირსების ქონა, რათა ადამიანი სათავეში ჩაუდგეს საფრანგეთის ახალგაზრდობას. თქვენი მტკიცე ხასიათი, თქვენი თაოსნობა დიდ დახმარებას გაუწევს იმ პოლიტიკურ პარტიას, სადაც თქვენს ქმარს შეიყვანთ. თქვენ შეგიძლიათ ფრონდის* დროინდელი შევრეზის* და ლონგევილის* მემკვიდრე გახდეთ... მაგრამ მაშინ, ჩემო მეგობარო, ცოტა არ იყოს, განელებული იქნება ის ციური ალი, რომელიც ამ წუთში გაფრთოვანებთ. ნება მიბოძეთ გითხრათ, _ დაუმატა მან მრავალი მოსამზადებელი ფრაზის შემდეგ, _ რომ თხუთმეტი წლის შემდეგ თქვენს ახლანდელ სიყვარულს სიგიჟედ ჩათვლით, მართალია, საპატიებლად, მაგრამ მაინც სიგიჟედ.

ის უცებ შეჩერდა და ჩაფიქრდა. ხელახლა თავში მოუვიდა ის აზრი, რომელიც ესოდენ შეურაცხმყოფელი იყო მატილდასთვის: «თხუთმეტი წლის შემდეგ ქალბატონ დე რენალს გაგიჟებით ეყვარება ჩემი ვაჟი, თქვენ კი მას დაივიწყებთ».

XL

დამშვიდება

> ამჟამად ბრძენი ვარ, ვინაიდან წინათ გიჟი ვიყავი. ოჰ, ფილოსოფოსო, რომელიც მხოლოდ მსწრაფლწარმავალ მოვლენას ამჩნევ, რაოდენ ვიწროა შენი ჰორიზონტი! შენი თვალი იმისთვის არ გამოდგება, რომ ვნებათა ღელვის ნიადაგქვეშეთი მუშაობა დაინახოს.
>
> **გოეთე.**

ეს საუბარი დაკითხვამ შეწყვიტა, დაკითხვას კი მოჰყვა გრძელი თათბირი ადვოკატთან, რომელსაც დაცვა ჰქონდა დავალებული. ეს ერთადერთი აბსოლუტურად უსიამოვნო წუთები იყო ამ ცხოვრებაში, რომელიც აღსავსე იყო უზრუნველობითა და ნაზი ოცნებით.

_ მოხდა მკვლელობა და მკვლელობა წინასწარი განზრახვით, _ უთხრა ჟიულიენმა მოსამართლესაც და ადვოკატსაც. _ მე დიდად ვწუხვარ, ბატონებო, _ დაუმატა მან სიცილით, _ მაგრამ ეს ამარტივებს თქვენს საქმეს.

«ასე თუ ისე, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, როცა მოახერხა ამ ორი არსებისაგან განთავისუფლებულიყო, _ ვაჟკაცობა უნდა გამოვიჩინო, მეტი ვაჟკაცობა, ვიდრე ეს ორი მამაკაცი იჩენს. ისინი უდიდეს უბედურებად, საშინელების მწვერვალად თვლიან ამ დუელს, რომელსაც უსათუოდ უბედური შედეგი უნდა მოჰყვეს და რომელსაც მე სერიოზულად მხოლოდ იმ დღეს მოვეკიდები, როცა ის უნდა შესდგეს.

ეს იმიტომ ხდება, რომ დიდი უბედურება განვიცადე, _ განაგრძო ჟიულიენმა თავის თავთან ფილოსოფოსობა. _ მე ბევრად მეტს ვიტანჯებოდი პირველად სტრასბურგში მოგზაურობის დროს, როცა მეგონა, მატილდამ მიმატოვა-მეთქი. რა ვნებიანად მსურდა მისი სიახლოვე, რომელიც ახლა სრულიად არ მაღელვებს... მართლაც, მე თავს უფრო ბედნიერად მაშინ ვგრძნობ, როცა მარტო ვრჩები, ვიდრე მაშინ, როცა ეს ლამაზი ქალიშვილი ჩემს მარტოობას ინაწილებს...»

ადვოკატი, წესიერებისა და ფორმალობის ადამიანი, ჟიულიენს გიჟად თვლიდა და სხვებთან ერთად იმ აზრისა იყო, მეშურნეობამ აიძულა, ხელში დამბაჩა აეღოო. ერთხელ მან გაბედა ჟიულიენისთვის ენიშნებინა, მეშურნეობის მომიზეზება, სულ ერთია, სწორია იგი თუ ყალბი, კარგი საშუალება იქნება თავდაცვისთვისო, მაგრამ ერთი თვალის დახამხამებაში ბრალდებული ვნებიან და გესლიან არსებად იქცა.

_ გემუდარებით, ბატონო, _ წამოიძახა მოთმინებიდან გამოსულმა ჟიულიენმა, _ არასოდეს არ გაიმეოროთ ეს საზიზღარი ტყუილი.

ფრთხილ ადვოკატს შეეშინდა კიდეც, არ მომკლასო. იგი დამცველ სიტყვას ამზადებდა, იმიტომ რომ გადამწყვეტი წუთი ახლოვდებოდა. ბეზანსონი და მთელი დეპარტამენტი მხოლოდ ამ დიდ პროცესზე ლაპარაკობდა. ჟიულიენმა არ იცოდა ეს გარემოება: მან მოითხოვა, არასოდეს არ მელაპარაკოთ ასეთ რამეებზეო.

ამავე დღეს ფუკემ და მატილდამ განიზრახეს მისთვის ეცნობებიათ ზოგიერთი ამბავი, რომელიც, მათი აზრით, ნიადაგს იძლეოდა იმედისთვის. ჟიულიენმა ისინი პირველ წუთშივე შეაჩერა.

_ დამიტოვეთ ჩემი იდეალური ცხოვრება. თქვენი წვრილმანი კინკლაობა, თქვენი რეალური ცხოვრების დეტალები, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად შეურაცხმყოფელია ჩემთვის, ზეციდან ჩამომიყვანდა. ყოველი კაცი ისე კვდება, როგორც შეუძლია. მე ჩემებურად მინდა სიკვდილზე ვიფიქრო. რა საქმე მაქვს სხვებთან? ჩემი ურთიერთობა სხვებთან უცებ შეწყდა. შემიბრალეთ და ნუ მელაპარაკებით იმ ადამიანებზე: ჩემთვის საკმაოა, რომ მოსამართლესა და ადვოკატს ვხედავ.

«მართლაც, _ ამბობდა იგი გულში, _ როგორც ეტყობა, მეოცნების სიკვდილი მიწერია. მართალი ითქვას, დიდი სისულელე იქნებოდა, რომ ჩემისთანა უმნიშვნელო ადამიანს, რომელიც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ორ კვირაში დაივიწყებენ, კომედია გაეთამაშებია... მაინც უცნაური ამბავია, რომ ცხოვრებით დატკბობის ხელოვნება მხოლოდ ახლა შევიცნე, როცა მისი დასასრული მოახლოებულია».

უკანასკნელ დღეებს ის ბევრს სეირნობდა მაღალი კოშკის ტერასზე და ეწეოდა საუცხოო სიგარებს, რომლებიც მატილდამ შიკრიკს მოატანინა ჰოლანდიიდან; ვერც კი წარმოედგინა, რომ მის გამოჩენას ყოველდღე მოუთმენლად ელოდნენ დურბინდებით შეიარაღებული მოქალაქეები. აზრით იგი ვერჟიში იმყოფებოდა. არასოდეს ფუკესთან კრინტი არ დაუძრავს ქალბატონ დე რენალზე, მაგრამ ორჯერ თუ სამჯერ მეგობარმა უთხრა, იგი ჩქარა მორჩებაო, და ამ სიტყვამ გამოხმაურება იპოვა მის გულში.

იმ დროს, როცა ჟიულიენის სული თითქმის სავსებით იდეათა სამყაროში იმყოფებოდა, მატილდამ, რომელიც, როგორც არისტოკრატი ქალის გულს შეეფერებოდა, რეალური საგნებით იყო გართული, იმდენად წინ წასწია პირდაპირი მიწერ-მოწერა ქალბატონ დე ფერვაკსა და ბ. დე ფრილერს შორის, რომ წარმოთქმულ იქნა სანუკვარი სიტყვა «ეპისკოპოსობა». პატივცემულმა მღვდელთმთავარმა, რომელსაც ბენეფიციების სიის შედგენა ჰქონდა დაკისრებული, არშიაზე მიაწერა თავისი ძმისწულის წერილს: «ეს საბრალო სორელი მხოლოდ თავქარიანი ყმაწვილია; იმედი მაქვს, რომ მას უკან დაგვიბრუნებენ».

ამ სტრიქონების დანახვაზე ბ. დე ფრილერმა თითქო თავგზა დაკარგა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გადაარჩენდა ჟიულიენს.

_ თუ ეს იაკობინური კანონი არ ყოფილიყო, რომელიც გვაიძულებს ნაფიც მსაჯულთა დაუსრულებელი სია შევადგინოთ, რათა კეთილშობილმა ადამიანებმა სასამართლოზე გავლენა არ მოახდინონ, მე პასუხს ვაგებდი განაჩენისთვის, _ უთხრა მან მატილდას სესიის გახსნის წინა დღით, როცა ოცდათექვსმეტი მსაჯული უნდა აერჩიათ კენჭის ყრით.

მეორე დღეს მან სიამოვნებით შეამჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა სიაში კონგრეგაციის ხუთი ბეზანსონელი წევრი იყო, ხოლო ქალაქგარეთელი წევრებიდან ვალნო, დე მუარო, დე შოლენი მოხვედრილიყვნენ.

_ მე პასუხს ვაგებ, უწინარეს ყოვლისა, ამ რვა ნაფიცი მსაჯულისთვის, _ უთხრა მან მატილდას. _ ხუთი პირველი ჩემი ყურმოჭრილი ყმაა, ვალნო ჩემი აგენტია, მუარო ყოველ მხრივ ჩემ მიერაა დავალებული, ხოლო დე შოლენი სულელია, მას ყველაფრის ეშინია.

გაზეთმა მთელ დეპარტამენტს მოსდო ნაფიცი მსაჯულების სახელები და გვარები, და ქალბატონმა დე რენალმა, თავისი ქმრის შეძრწუნების მიუხედავად, მოისურვა ბეზანსონში გამგზავრებულიყო. ბ. დე რენალმა შეძლო მხოლოდ აღთქმა მიეღო ცოლისაგან, ლოგინიდან არ ავდგები, რათა გავთავისუფლდე მოწმედ გაწვევის საფრთხიდანო.

_ თქვენ ჩემი მდგომარეობა არ გესმით, _ ეუბნებოდა ყოფილი ვერიერელი მერი თავის ცოლს. _ მე ახლა ჩამოცილებული ლიბერალი* ვარ, როგორც პოლიტიკურ ჟარგონზე ამბობენ. უეჭველია, რომ ეს არამზადა დე ვალნო და ბ. დე ფრილერი მთავარი ბრალმდებლისა და მსაჯულებისაგან მიიღებენ ყოველივეს, რაც არასასიამოვნოა ჩემთვის.

ქალბატონი დე რენალი უსიტყვოდ დაეთანხმა ქმრის ბრძანებას: «თუ სასამართლოში გამოვჩნდი, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, თითქო შურისძიებას მოვითხოვდე», გაიფიქრა მან.

მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონმა დე რენალმა თავის მოძღვარსა და ქმარს აღუთქვა, კეთილგონივრულად მოვიქცევიო, ბეზანსონში მისვლისთანავე მან თავისი საკუთარი ხელით წერილი მისწერა ყველა ოცდათექვსმეტ ნაფიც მსაჯულს:

«მოწყალეო ხელმწიფევ, გასამართლების დღეს არ გამოვჩნდები, იმიტომ რომ შეიძლება ზიანი მივაყენო ბ. სორელის საქმეს. მე ამ ქვეყნად მხოლოდ ერთი რამ მწყურია სულითა და გულით: მისი გადარჩენა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საშინელი აზრი, რომ ჩემი მიზეზით უდანაშაულო ადამიანი სიკვდილით დაისჯება, მოწამლავდა ჩემს სიცოცხლეს და უეჭველად შეამოკლებდა მას. როგორ შეგიძლიათ მას სიკვდილი

მიუსაჯოთ, როცა მე ცოცხალი ვარ? არა, უცილობელია, რომ საზოგადოებას უფლება არა აქვს ვინმეს სიცოცხლე წაართვას, განსაკუთრებით სიცოცხლე წაართვას ისეთ არსებას, როგორიცაა ჟიულიენ სორელი. ვერიერში ყველამ იცის, რომ მას სიგიჟის წუთები ჰქონდა. ამ საბრალო ახალგაზრდას ძლიერი მტრები ჰყავს; მაგრამ თვით მის მტრებს შორის ვინ აღმოჩნდება ისეთი, რომელსაც შეეძლოს ეჭვი შეიტანოს მის გასაოცარ ნიჭსა და ღრმა ცოდნაში? თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩვეულებრივ მოკვდავს როდი ასამართლებთ. წელიწადნახევრის განმავლობაში ჩვენ ყველანი მას ვიცნობდით, როგორც სათნო, გონიერ, ბეჯით ახალგაზრდას; მაგრამ ორჯერ თუ სამჯერ წელიწადში მას მელანქოლიის შეტევა ჰქონდა, რასაც იგი თითქმის სიგიჟემდე მიჰყავდა. მთელი ვერიერი, ყველა ჩვენი მეზობელი ვერჟიში, სადაც ჩვენ ზაფხულს ვატარებდით, მთელი ჩემი ოჯახი, თვით ბატონი სუპრეფექტი დიდად აფასებდნენ მის სამაგალითო ღვთისმოსაობას. მან ზეპირად იცის მთელი ბიბლია. განა ურწმუნო ადამიანი მთელ წლებს მოახმარს საღმრთო წერილის შესწავლას? ამ წერილს ჩემი ვაჟები მოგართმევენ: ისინი ჯერ ბავშვები არიან. კეთილინებეთ და გამოკითხეთ: ისინი ამ საბრალო ახალგაზრდაზე ისეთ ცნობებს მოგაწვდიან, რომ თქვენ დარწმუნდებით, რა ბარბაროსობა იქნებოდა მისი სიკვდილით დასჯა: ამით თქვენ შურს კი არ იძიებთ ჩემთვის, ამით მომკლავთ.

რის დაპირდაპირება შეუძლიათ მის მტრებს შემდეგი ფაქტისთვის? ჭრილობა, მის მიერ მოყენებული იმ სიგიჟის ერთ-ერთ მომენტში, რომელსაც თვით ჩემი ბავშვები ამჩნევდნენ თავის აღმზრდელს, იმდენად ნაკლებ საშიშია, რომ ორ თვესაც არ გაუვლია, და მე შევძელი საფოსტო ეტლით მოვსულიყავი ვერიერიდან ბეზანსონში. თუ გავიგე, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ თქვენ ყოყმანობთ, კანონთა ბარბაროსობას გამოსტაცოთ ესოდენ უდანაშაულო არსება, ლოგინიდან წამოვვარდები, სადაც მხოლოდ ჩემი ქმრის ბრძანება მაკავებს, და გამოვიქცევი, რათა ფეხქვეშ ჩაგივარდეთ.

გამოაცხადეთ, ბატონო, წინასწარი განზრახვა დამტკიცებული არაა-თქო, და თქვენ თავისუფალი იქნებით საყვედურისაგან, რომ უდანაშაულო ადამიანის სისხლი დააქციეთ, და სხვ.».

XLI

სასამართლო

ქვეყანას დიდხანს ემახსოვრება ეს სახელოვანი პროცესი. ბრალდებულის მიერ გამოწვეული

ინტერესი მღელვარებაში გადავიდა. მისი დანაშაული გასაოცარი იყო, მაგრამ არა სასტიკი, და თუნდაც სასტიკი ყოფილიყო, ჭაბუკი ხომ ასეთი მშვენიერი იყო. მისი საუცხოო სარბიელი, ასე უდროოდ შეწყვეტილი, აძლიერებდა ნაზ გრძნობებს მისდამი. «დასჯიან თუ არა მას?» _ ჰკითხავდნენ ქალები ნაცნობ მამაკაცებს და ფერწასული ელოდნენ პასუხს.

სენტ-ბევი.

ბოლოს დადგა დღე, რომლისაც ასე ეშინოდათ ქალბატონ დე რენალსა და მატილდას. ქალაქის უცნაური სახე აძლიერებდა მათ შიშს და შთაბეჭდილებას ახდენდა თვით ფუკეს მტკიცე სულზე. მთელი პროვინცია ჩამოვიდა ბეზანსონში, რათა დასწრებოდა ამ რომანტიკული საქმის გარჩევას.

უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც თავისუფალი ადგილი არ მოიპოვებოდა სასტუმროებში. სასამართლოს თავმჯდომარეს ბილეთების მსურველები უტევდნენ: ყველა ქალაქელ მანდილოსანს სურდა გასამართლებას დასწრებოდა; ქუჩებში ჟიულიენის სურათებს ჰყიდდნენ, და სხვ. და სხვ.

მატილდა ამ უკანასკნელი წუთისთვის ინახავდა წერილს, რომელიც ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის მიერ იყო დაწერილი. ამ პრელატმა, რომელიც საფრანგეთის ეკლესიას განაგებდა და ეპისკოპოსებს ნიშნავდა, კეთილინება, ჟიულიენის გამართლება მოეთხოვა. გასამართლების წინა დღით მატილდამ ეს წერილი ყოვლის შემძლე ბ. დე ფრილერს მიუტანა.

როცა ქალმა, რომელიც ცრემლებს აფრქვევდა, წასვლა დააპირა, ბ. დე ფრილერმა, როგორც იყო დაარღვია დიპლომატიური თადაჭერილობა და თითქმის მღელვარებით უთხრა:

_ მე პასუხს ვაგებ ნაფიცთა განაჩენისთვის. თორმეტ წევრს შორის, რომელთაც დავალებული აქვთ განიხილონ, უცილობელია თუ არა თქვენი პროტეჟეს დანაშაული და, განსაკუთრებით, წინასწარი განზრახვითაა თუ არა იგი ჩადენილი, ექვს წევრს ჩემს მეგობრად ვთვლი. მე მათ ვაგრძნობინე, რომ მათზეა დამოკიდებული ჩემი საეპისკოპოსო კათედრაზე აყვანა. ბარონ ვალნოს, რომელიც მე ვერიერის მერი გავხადე, სავსებით ხელში ჰყავს თავისი ორი ხელქვეითი _ ბ. დე მუარო და ბ. დე შოლენი. მართალი ვთქვათ, ბედმა ამ საქმეში ორი სახიფათო ნაფიცი მსაჯული მოგვცა. მაგრამ თუმცა ისინი უკიდურესი

ლიბერალები არიან, მნიშვნელოვან შემთხვევებში ჩემს განკარგულებათ ემორჩილებიან, და მე მათ ვთხოვე, ბ. ვალნოსთან ერთად მისცენ ხმა. მე გავიგე, რომ მეექვსე ნაფიცი მსაჯული მრეწველია; მას დიდი შეძლება აქვს, მოლაყბე ლიბერალია და ფარულად სურს სამხედრო სამინისტროს დაკვეთები მიიღოს. უცილობელია, რომ ის არ მოისურვებს, მე მაწყენინოს. შევუთვალე, ბ. ვალნომ იცის ჩემი უკანასკნელი სიტყვა-მეთქი.

_ ვინ არის ეს ბ. ვალნო? _ იკითხა მატილდამ შეშფოთებით.

_ თქვენ რომ იცნობდეთ მას, ეჭვი არ შეგეპარებოდათ გამარჯვებაში: იგი გაბედული მოლაპარაკეა, ურცხვი, ტლანქი, სულელების ხელმძღვანელად გაჩენილი. 1814 წელს სიღარიბეში იყო, მე კი პრეფექტად ვაქციე. მას შეუძლია გალახოს სხვა ნაფიცი მსაჯულები, თუ მისი სურვილისამებრ არ მისცეს ხმა.

მატილდა, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა.

საღამოთი მას სხვა კამათი ელოდა: ჟიულიენს გადაეწყვიტა, სიტყვა არ წარმოეთქვა, რათა არ გაეგრძელებინა არასასიამოვნო სცენა, რომლის შედეგი მისთვის უეჭველი იყო.

_ ჩემი ადვოკატი ილაპარაკებს, _ უთხრა მან მატილდას. _ მე ისედაც დიდხანს ვიქნები გამოფენილი ჩემი მტრების საცქერლად. ეს პროვინციელები შეურაცხყოფილი იყვნენ ჩემი ჩქარი გაბედნიერებით, რომელსაც თქვენ უნდა გიმადლოდეთ, და მერწმუნეთ, მათ შორის ერთი კაციც კი არ არის ისეთი, რომელსაც ჩემი გამტყუნება არ სურდეს. ამისდა მიუხედავად, ცრემლებს დაღვრიან, როცა მე დასასჯელად წამიყვანენ.

_ მათ სურთ თქვენს დამცირებას უცქირონ, ეს მართალია, _ უპასუხა მატილდამ, _ მაგრამ მე მათ მკაცრ ადამიანებად როდი ვთვლი. ჩემმა ბეზანსონში ყოფნამ და ჩემი ტანჯვის ცქერამ ყველა ქალი დაინტერესა; დანარჩენს თქვენი ლამაზი სახე გააკეთებს. თუ თქვენი მოსამართლეების წინაშე თუნდ ერთ სიტყვას იტყვით, მთელი აუდიტორია თქვენი გახდება.

როცა მეორე დღეს დილის ცხრა საათზე ჟიულიენი სატუსაღოდან ჩამოვიდა, რათა სასამართლოს დიდ დარბაზში წასულიყო, ჟანდარმებმა დიდი გაჭირვებით გაარღვიეს უზარმაზარი ბრბო, რომელსაც ეზოში მოეყარა თავი. ჟიულიენი კარგად იყო გამოძინებული, თავს სრულიად დამშვიდებულად გრძნობდა და არაფერს განიცდიდა, გარდა ფილოსოფიური სიბრალულისა ამ შურიანი ხალხისადმი, რომელიც სრულიად სასტიკი არ იყო, მაგრამ მაინც ტაშს დაუკრავდა მისი სიკვდილის განაჩენს. ის ბრბოში შეაჩერეს მეოთხედ საათზე მეტხანს და მან გაკვირვებით შეამჩნია, რომ მისი ცქერა

საზოგადოებაში ნაზ სიბრალულს იწვევდა; ერთი უსიამოვნო შენიშვნაც კი არ გაუგონია. «ეს პროვინციელები ნაკლებ ბოროტი ყოფილან, ვიდრე მეგონა», გაიფიქრა მან.

სასამართლოს დარბაზში ის გააოცა არქიტექტურის სილამაზემ. ეს იყო წმინდა გოთიკა. მრავალი მშვენიერი პაწია სვეტი ქვიდან იყო გამოჭრილი დიდი მზრუნველობით. ვაჟს ეგონა, ინგლისში ვარო.

მაგრამ ჩქარა მისი ყურადღება მიიპყრო თორმეტმა თუ თხუთმეტმა ლამაზმა ქალმა, რომელნიც ბრალდებულის სკამის პირდაპირ ისხდნენ და სამ აივანს ავსებდნენ მოსამართლეთა და ნაფიცთა ზემოთ. ის საზოგადოებისკენ მიბრუნდა და დაინახა, რომ ტრიბუნები, რომლებიც ამფითეატრს დაჰყურებდა, ქალებით იყო სავსე: უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ; ისინი მას მეტად ლამაზი ეჩვენენ; მათი ბრწყინვალე თვალები თანაგრძნობას გამოხატავდნენ. დარბაზის დანარჩენი ნაწილი უზარმაზარ ბრბოს ეჭირა. კარებთან ბრძოლა იყო და დარაჯები ვერ ახერხებდნენ სიწყნარის დამყარებას.

როცა დამსწრეთა თვალებმა, რომელნიც ჟიულიენს ეძებდნენ, დაინახეს, რომ მან ცოტათი მომაღლო ადგილი დაიჭირა, ბრალდებულისთვის განკუთვნილი, დარბაზში გაკვირვებისა და ნაზი თანაგრძნობის ჩურჩული გაისმა.

ამ დღეს მას ოც წელსაც არ მისცემდით. იგი უბრალოდ, მაგრამ მეტისმეტად ლაზათიანად იყო ჩაცმული. მისი თმა და მისი შუბლი მომხიბლავი იყო. მატილდამ მოისურვა თვით დასწრებოდა მის გამოწყობას. ჟიულიენი მეტისმეტად ფერმკრთალი იყო. სკამზე დაჯდომისთანავე ყოველი მხრიდან მოესმა: «ღმერთო ჩემო, რა ახალგაზრდაა!.. ეს ხომ ნამდვილი ბავშვია... ბევრად უფრო ლამაზია, ვიდრე სურათზე ჩანს».

_ ჩემო ბრალდებულო, _ უთხრა მას ჟანდარმმა, რომელიც მარჯვნივ უჯდა, _ ხედავთ ამ მანდილოსნებს, რომელნიც აივანზე სხედან? _ და ჟანდარმმა მას მიუთითა პატარა ტრიბუნისკენ, რომელიც ზემოდან დაჰყურებდა ამფითეატრს, სადაც ნაფიცი მსაჯულები ისხდნენ. _ ეს პრეფექტის მეუღლეა, _ განაგრძო ჟანდარმმა, _ მის გვერდით მარკიზ ნ.-ს მეუღლე ზის, რომელსაც თქვენ ძლიერ უყვარხართ; მე ყური მოვკარი, როგორ ელაპარაკებოდა გამომძიებელს. შემდეგ ქალბატონი დერვილი ზის.

_ ქალბატონი დერვილი! _ წამოიძახა ჟიულიენმა და სახე შეუფაკლდა. «აქედან გასვლისთანავე, _ გაიფიქრა მან, _ წერილს მისწერს ქალბატონ დე რენალს». მან არ იცოდა, რომ ეს უკანასკნელიც ბეზანსონში იყო ჩამოსული.

მოწმეების დაკითხვა ჩქარა დამთავრდა. ბრალმდებლის პირველ სიტყვებისთანავე ორმა ქალმა, რომელნიც ჟიულიენის პირდაპირ ისხდნენ პაწია აივანზე, ქვითინი დაიწყეს.

«ქალბატონ დერვილს ასე გული არ აუჩუყდებოდა», გაიფიქრა ჟიულიენმა, მაგრამ შეამჩნია, რომ ქალს ალმური მოსდებოდა სახეზე.

ბრალმდებელმა უხეირო ფრანგულით მაღალფარდოვანი სიტყვა წარმოთქვა ჩადენილი დანაშაულის ბარბაროსობაზე. ჟიულიენმა შეამჩნია, რომ ქალბატონ დერვილის მეზობელი ქალები არ ეთანხმებოდნენ მის აზრს. ზოგიერთი ნაფიცები, როგორც ეტყობა, ამ ქალების ნაცნობები იყვნენ და მათ ელაპარაკებოდნენ და ამშვიდებდნენ. «ეს კარგი ნიშანი უნდა იყოს», _ ფიქრობდა ჟიულიენი.

აქამდე ის ზიზღს გრძნობდა ყველა იქ მყოფი მამაკაცისადმი. ბრალმდებლის ვულგარულმა მჭევრმეტყველებამ გააძლიერა ეს გრძნობა. მაგრამ ნელ-ნელა ჟიულიენის სულიერი სიმშრალე გაანელა საყოველთაო თანაგრძნობამ.

ის კმაყოფილი დარჩა თავისი ადვოკატის მტკიცე გამომეტყველებით.

_ რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკეთ, _ წასჩურჩულა მას, როცა იგი სიტყვის აღებას აპირებდა.

_ მთელმა ამ მაღალფარდოვანმა სტილმა, რომელიც ბოსუედანაა მოპარული და თქვენს წინააღმდეგ მომართეს, თქვენ სამსახური გაგიწიათ, _ უთხრა ადვოკატმა. მართლაც, ხუთი წუთიც კი არ გასულა დამცველის სიტყვის დაწყებიდან, რომ ქალებმა ცხვირსახოცები ამოიღეს. გათამამებულმა ადვოკატმა მეტად ძლიერი გამოთქმებით მიმართა ნაფიც მსაჯულებს. ჟიულიენი ათრთოლდა, შეეშინდა, ვაითუ ცრემლები წამომცვივდესო. «ღმერთო ჩემო, რას იტყვიან ჩემი მტრები?»

კინაღამ გული აუჩუყდა, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, ბარონ დე ვალნოს თავხედი გამოხედვა შეამჩნია.

«ამ გარეწარს თვალები ანთებული აქვს, _ გაიფიქრა მან, _ რა ტრიუმფი იქნება ამ დაბალი სულისთვის! მარტო ასეთი შედეგის გამოწვევისთვის უნდა დამეწყევლა ჩემი დანაშაული. ღმერთმა იცის, რას ეტყვის ის ქალბატონ დე რენალს».

ამ იდეამ წაშალა ყველა დანარჩენი. ჩქარა ამის შემდეგ ჟიულიენი გონს მოიყვანა საერთო თანაგრძნობის გამომჟღავნებამ. ადვოკატი ასრულებდა თავის სიტყვას. ჟიულიენს მოაგონდა, რომ საჭირო იყო მისთვის ხელის ჩამორთმევა.

დრომ ჩქარა გაირბინა.

ადვოკატსა და ბრალდებულს საუზმე მოუტანეს. ჟიულიენი გააოცა იმ გარემოებამ, რომ არც ერთი ქალი არ გავიდა სასამართლოს დარბაზიდან, რათა სადილის საჭმელად წასულიყო.

_ ლამის შიმშილით მოვკდე, _ უთხრა ადვოკატმა, _ თქვენ არ გშიათ?

_ ძალიან, _ უპასუხა ჟიულიენმა.

_ შეხედეთ, პრეფექტის ცოლს სადილი მოუტანეს, _ უთხრა ადვოკატმა და პატარა აივანზე ანიშნა. _ გამხნევდით, საქმე კარგად მიდის.

სხდომა განახლდა.

როცა თავმჯდომარე დასკვნას აკეთებდა, შუაღამის საათმა დაჰკრა. თავმჯდომარე იძულებული გახდა შეჩერებულიყო. საერთო დუმილსა და შეშფოთებაში კოშკის საათის ზარის ხმა ავსებდა მთელ დარბაზს.

«აი, ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღე იწყება», გაიფიქრა ჟიულიენმა. უცებ ვალდებულების იდეამ აანთო. აქამდე ის ებრძოდა თავის მგრძნობიარობას და გადაწყვეტილი ჰქონდა, არაფერი ელაპარაკა; მაგრამ როცა ნაფიცთა თავმჯდომარემ ჰკითხა, ხომ არაფერი გაქვთ დასამატებელიო, ის წამოდგა. პირდაპირ ხედავდა ქალბატონ დერვილის თვალებს, რომელნიც სინათლეზე მეტისმეტად ბრწყინვალედ ეჩვენებოდნენ. «შემთხვევით ისიც ხომ არ ტირის», გაიფიქრა მან.

_ ბატონნო ნაფიცნო მსაჯულნო!

შიში ზიზღის მიმართ მაიძულებს ვილაპარაკო, თუმცა იმედი მქონდა, რომ დავძლევდი მას სიკვდილის წუთში. ბატონებო, მე ბედნიერება არა მაქვს თქვენს კლასს ვეკუთვნოდე: თქვენს წინაშე დგას გლეხი, რომელიც აუჯანყდა თავის დაბალ მდგომარეობას.

მე თქვენ არავითარ შებრალებას არ გთხოვთ, _ განაგრძო ჟიულიენმა უფრო მტკიცე ხმით, _ არავითარ ილუზიებს არ ვქმნი - მე სიკვდილი მელის: ის დამსახურებულიც მაქვს. მე განვიზრახე ისეთი ქალის მოკვლა, რომელიც ღირსია პატივისცემისა და მოკრძალების. ქალბატონი დე რენალი დედასავით მეპყრობოდა. ჩემი დანაშაული შემზარავია და წინასწარ იყო მოფიქრებული: მაშასადამე, მე სიკვდილი დავიმსახურე, ბატონნო ნაფიცნო მსაჯულნო. მაგრამ თუნდაც ნაკლებ დამნაშავე ვყოფილიყავი, თქვენ უკან არ დაიხევდით და სიბრალულს არ გამოიჩენდით ჩემი ახალგაზრდობისადმი - თქვენ ჩემს დასჯას მოისურვებდით, რათა სამუდამოდ ამაღლების სურვილი წაგერთმიათ იმ ჭაბუკებისთვის, რომელნიც დაბალ კლასში არიან დაბადებული, დაჩაგრული არიან სიღატაკით, რაღაც ბედად კარგი აღზრდა მიუღიათ და გამბედაობა შესწევთ იმ წრეს შეერიონ, რომელსაც მდიდარი ადამიანების ქედმაღლობა კარგ საზოგადოებას უწოდებს.

აი, ჩემი დანაშაული, ბატონებო. ის დაისჯება მით მეტის სიმკაცრით, რომ ფაქტიურად ჩემი თანასწორნი როდი მასამართლებენ. მე ნაფიც მსაჯულთა სკამებზე ვერ ვხედავ ვერც ერთ გამდიდრებულ გლეხს; აქ მხოლოდ აღშფოთებული ბურჟუები სხედხართ...

ოცი წუთის განმავლობაში ჟიულიენი ამ ტონით ლაპარაკობდა და ყველაფერი თქვა, რაც გულში ჰქონდა. ბრალმდებელი, რომელიც არისტოკრატიის კეთილგანწყობილების დამსახურებას ცდილობდა, ხტოდა თავის სკამზე. მაგრამ ცოტათი განყენებული განხრის მიუხედავად, რომელიც ჟიულიენმა თავის სიტყვას მისცა, ქალები გულამოსკვნილი ტიროდნენ. თვით ქალბატონ დერვილს ცხვირსახოცი მიედო თვალებზე. ბოლოს, ჟიულიენი ხელახლა დაუბრუნდა წინასწარი განზრახვის აზრს, თავის სინანულს, თავის მოკრძალებას, შვილისებრ უსაზღვრო თაყვანისცემას, რომელსაც უფრო ბედნიერ დღეებში ქალბატონ დე რენალის მიმართ გრძნობდა... ქალბატონმა დერვილმა შეჰკივლა და გული წაუვიდა.

ღამის პირველმა საათმა დაჰკრა, როცა ნაფიცნი თავიანთ ოთახში გავიდნენ. არც ერთი ქალი არ ამდგარა თავისი ადგილიდან. მრავალ მამაკაცს ცრემლები ჰქონდა თვალებზე. თავდაპირველად დარბაზში გაცხოველებული ლაპარაკი დაიწყო; მაგრამ რადგან ნაფიცთა გადაწყვეტილების გამოტანა გვიანდებოდა, საერთო დაღლილობამ სიწყნარე დაამყარა. ეს წუთი დღესასწაულებრივი იყო; ცოტათი თითქო კიდეც ჩამობნელდა. ჟიულიენს, რომელიც მეტისმეტად დაქანცული იყო, კამათი ესმოდა, კარგი ნიშანია ეს დაღლილობა თუ ცუდიო. მან სიამოვნებით შეამჩნია, რომ მთელი საზოგადოება მის მხარეზე იყო. სასამართლო არ ბრუნდებოდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, არც ერთ ქალს არ დაუტოვებია დარბაზი.

როცა ორმა საათმა დაჰკრა, ძლიერი ხმაურობა მოისმა. გაიღო ნაფიცთა ოთახის კარი. ბ. ბარონი დე ვალნო წინ მოაბიჯებდა სერიოზული და თეატრალური სახით, დანარჩენი ნაფიცნი მას მოსდევდნენ. მან ჩაახველა, შემდეგ გამოაცხადა, რომ სინდისის კარნახით ნაფიცნი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჟიულიენ სორელი დამნაშავეა მკვლელობაში წინასწარი განზრახვითო. ეს განცხადება სიკვდილით სასჯელს იწვევდა. ის დადგენილ იქნა ერთი წუთის შემდეგ. ჟიულიენმა საათს დახედა და ბ. დე ლავალეტი გაიხსენა; სამი საათის მეოთხედი იყო.

«დღეს პარასკევია, _ გაიფიქრა მან. _ ჰო, მაგრამ ეს ბედნიერი დღეა ვალნოსთვის, რომელმაც სიკვდილი მომისაჯა... ისე კარგად მდარაჯობენ, რომ მატილდას არ შეუძლია

ჩემი განთავისუფლება, როგორც ქალბატონმა დე ლავალეტმა შეძლო... ამრიგად, სამი დღის შემდეგ, სწორედ ამ დროს, მე მეცოდინება, რა ვიფიქრო უდიდეს ეგებისობაზე».*

ამ წუთში კივილი მოესმა და ამქვეყნის ამბებს დაუბრუნდა. ქალები მის გარშემო ქვითინებდნენ. მან დაინახა, რომ ყველამ პირი იბრუნა პატარა ტრიბუნისკენ, რომელიც გოთური პილასტრის თავზე იყო გაკეთებული. შემდეგ მან გაიგო, რომ მატილდა იქ ყოფილიყო დამალული. რადგან კივილი არ განმეორებულა, ყველამ ჟიულიენს დაუწყო ცქერა; მას ჟანდარმები შველოდნენ, ბრბო გაერღვია.

«შევეცადოთ, დაცინვის საბაბი არ მივცეთ ამ არამზადა ვალნოს, _ გაიფიქრა ჟიულიენმა. – როგორ შეწუხებული და შემპარავი სახით წარმოთქვა მან განცხადება, რომელსაც სიკვდილის სასჯელი მოსდევდა! იმავე დროს კი ამ ნაფიცთა საბრალო თავმჯდომარეს თვალებზე ცრემლები მოადგა განაჩენის გამოტანის დროს, თუმცა მრავალი წელიწადია, რაც მოსამართლედ არის. რა სასიხარულო ამბავია ვალნოსთვის, რომ შური იძია თავისი ძველი მეტოქის წინააღმდეგ, რომელიც მას ექიშპებოდა ქალბატონ დე რენალის გულის დაპყრობაში! მაშასადამე, ამ ქალს ვეღარ ვნახავ! ყოველივე გათავდა!.. უკანასკნელი გამოთხოვება ჩვენს შორის შეუძლებელია, მე ამას ვგრძნობ. რა ბედნიერი ვიქნებოდი მისთვის მეთქვა, რომ შეძრწუნებული ვარ ჩემი დანაშაულით! საკმაო იქნებოდა ეს სიტყვები: მე სამართლიანად ვისჯები-მეთქი...

XLII

ჟიულიენი სატუსაღოში დააბრუნეს და სიკვდილმისჯილთა საკანში შეიყვანეს. ის ჩვეულებრივ ყოველ წვრილმან გარემოებას აქცევდა ყურადღებას, მაგრამ ახლა ვერ შეამჩნია, რომ კოშკში არ აიყვანეს. ის ფიქრობდა, რას ეტყოდა ქალბატონ დე რენალს, თუ იმდენად ბედნიერი იქნებოდა, რომ სიკვდილის წინ შეხვდებოდა. ეს ქალი, რასაკვირველია, ლაპარაკს შეაწყვეტინებდა, მაგრამ მას უნდოდა პირველ სიტყვაშივე გამოეთქვა თავისი სინანული. «ასეთი მოქმედების შემდეგ როგორ დავარწმუნო, რომ მხოლოდ ის მიყვარს, მაშინ როცა მისი მოკვლა მინდოდა პატივმოყვარეობის ან მატილდას სიყვარულის კარნახით».

ლოგინში ჩაწოლის დროს იგრძნო, რომ ზეწრები უფრო ტლანქი ტილოსი იყო. მას თითქო თვალები აეხილა: «აჰ, მე ჯურღმულში ვარ, როგორც სიკვდილმისჯილი, _ გაიფიქრა მან. _ ეს ასეც უნდა მომხდარიყო...

გრაფმა ალტამირამ მიამბო, რომ სიკვდილის წინა დღით დანტონი თავისი ტლანქი ხმით ამბობდა, უცნაური ამბავია, რომ «გილიოტინაზე თავის მოკვეთის» ყველა დროში ხმარება არ შეიძლებაო; შეიძლება ვთქვათ, მე გილიოტინაზე მკვეთენ თავს, შენ გილიოტინაზე გკვეთენ თავს, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, მე გილიოტინაზე მომკვეთეს თავიო. რატომაც არა, თუკი საიქიო ცხოვრება არსებობს?.. თუ იქ ქრისტიანების ღმერთი ვნახე, მე დავიღუპები: ის მტარვალია და, როგორც მტარვალს შეეფერება, შურისძიების იდეებითაა აღსავსე. მისი ბიბლია მხოლოდ სასტიკ სასჯელზე ლაპარაკობს. ის არასოდეს არ მყვარებია, არც მიწამებია, რომ მისი სიყვარული შეიძლებოდეს გულწრფელად. ის ულმობელია (მან რამდენიმე ადგილი მოიყვანა ბიბლიიდან); მე სასტიკად დამსჯის...

მაგრამ რა იქნება, თუ ფენელონის* ღმერთი დამხვდა? შეიძლება მითხრას: მრავალი გეპატიება, იმიტომ რომ მრავალი შეიყვარე... მართლაც მრავალი მიყვარდა თუ არა? ჰო, მე მიყვარდა ქალბატონი დე რენალი, მაგრამ ჩემი ყოფაქცევა საზიზღარი იყო. აქ, ისევე როგორც ყველგან, უბრალო და თავმდაბალი ღირსება უკუგდებულ იქნა ისეთი რამისთვის, რაც ბრწყინავს.

მაგრამ რა პერსპექტივა მელოდა? ჰუსართა ოფიცრობა, თუ ომი ატყდა; საელჩოს მდივნობა მშვიდობიანობის დროს; შემდეგ ელჩობა, იმიტომ რომ მე საქმეებს გავეცნობოდი; და თუნდაც უჭკუობა გამომეჩინა, განა მარკიზ დე ლამოლის სიძეს უნდა შინებოდა რაიმე ქიშპობისა? ყველა ჩემს სისულელეს მაპატიებდნენ, ან უკეთ, ღირსებად ჩამითვლიდნენ; ღირსებით აღსავსე ადამიანი, რომელიც მდიდრად ცხოვრობს ვენასა და ლონდონში...

მთლად ასე არ არის, ბატონო ჩემო, რაკი გილიოტინით თავს მოგჭრიან სამ დღეში».

ჟიულიენს გულიანად გაეცინა ამ თავის გონებამახვილობაზე. «ჭეშმარიტად ადამიანში ორი არსებაა მოთავსებული, _ გაიფიქრა მან. _ რა ეშმაკს მოუვიდა თავში ეს ვერაგი აზრი?

ეს ასეა! ჰო, ჩემო მეგობარო, გილიოტინით თავს მოგჭრიან სამ დღეში, _ უპასუხა მან სიტყვის გამწყვეტელს. _ ბ. დე შოლენი ჩემს დასანახავად ფანჯარას დაიქირავებს, სანახევროდ აბატ მასლონთან. ჰოდა, ამ ორი ღირსეული პიროვნებიდან რომელი მოატყუებს მეორეს ქირის გადახდის დროს?»

უცებ ეს ადგილი მოაგონდა როტრუს* დრამიდან «ვანსესლასი»:

ლ ა დ ი ს ლ ა ს ი :

...ჩემი სული სავსებით მზად არის.

მ ე ფ ე (ლადისლასის მამა):

მზად არის ეშაფოტიც; წაიღეთ იქ თქვენი თავი».

«მშვენიერი პასუხია», გაიფიქრა მან და ჩაიძინა. დილით ვიღაცამ გააღვიძა. ვიღაც მას მაგრად ეხვეოდა.

«როგორ, უკვე!» გაიფიქრა ჟიულიენმა და თვალების აქეთ-იქით ცეცება დაიწყო: ეგონა, უკვე ჯალათის ხელთ ვარო. ეს მატილდა იყო. «საბედნიეროდ, ვერ გაიგო ჩემი შეძახილი», გაიფიქრა მან. ამ აზრმა იგი დაამშვიდა. მან შეამჩნია, რომ მატილდა გამოცვლილიყო, თითქო ექვსი თვის ავადმყოფობა გამოევლოს: მართლაც, ეს ქალი ძნელი საცნობი იყო.

_ ამ არამზადა ფრილერმა მომატყუა, _ უთხრა მან ჟიულიენს და თითების მტვრევა დაიწყო. ისე იყო გაბრაზებული, ვერ ტიროდა.

_ კარგი ვიყავი თუ არა გუშინ, როცა ლაპარაკი დავიწყე? _ ჰკითხა ჟიულიენმა. _ მოუმზადებლად ვლაპარაკობდი, ისიც პირველად ჩემს სიცოცხლეში! მართალია, საფიქრებელია, რომ უკანასკნელადაც.

ამ წუთებში ჟიულიენი მატილდას ხასიათზე თამაშობდა დახელოვნებული პიანისტის გულგრილობით...

_ რასაკვირველია, მე მაკლია სისხლის კეთილშობილება, მაგრამ მატილდას მაღალმა სულმა თავისი საყვარელი თავის სიმაღლეზე აიყვანა, _ განაგრძო ჟიულიენმა. _ თქვენ გგონიათ, რომ ბონიფას დე ლამოლს თავი უკეთ ეჭირა თავისი მსაჯულების წინაშე?

მატილდა ამ დღეს ნაზი იყო უბრალოდ, როგორც ღარიბ-ღატაკი გოგონა, რომელიც მეხუთე სართულზე ცხოვრობს; მაგრამ მაინც ვერ შეძლო ვაჟისთვის უფრო უბრალო სიტყვები ჩაეგონებინა. ჟიულიენი შეუგნებლად სამაგიეროდ უხდიდა იმ ტანჯვისთვის, რომელიც მატილდას მისთვის ხშირად მიეყენებია.

«არავინ იცნობს ნილოსის სათავეს, _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ ადამიანის თვალს არ სწერებია მდინარეთა მეფე ნახოს უბრალო ღელის მდგომარეობაში. ასევე ადამიანის თვალი ვერასოდეს ჟიულიენის სისუსტეს ვერ იხილავს. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ

მას არა აქვს ეს სისუსტე. მაგრამ მე მგრძნობიარე გული მაქვს. სრულიად ჩვეულებრივ სიტყვას, თუ იგი გულწრფელადაა წარმოთქმული, შეუძლია ხმა ამითრთოლოს და ცრემლები დამაფრქვევინოს. რამდენ მშრალი გულის ადამიანს ჩემთვის ზიზღი გამოუხატავს ამ ნაკლისთვის! მათ ეგონათ, რომ შებრალებას ვითხოვდი: აი, რისი ატანაა შეუძლებელი.

ამბობენ, თავისი ცოლის მოგონებამ დანტონი ააღელვა ეშაფოტის საფეხურზეო, მაგრამ დანტონმა ძალა მისცა ნაციას, რომელიც თავქარიანი ადამიანებისაგან შედგებოდა, და მტერს ხელი შეუშალა პარიზში მოსულიყო... აქ კი მხოლოდ მე ვიცი, რისი გაკეთება შემეძლო... სხვის თვალში კი ჯერ არაფერს წარმოვადგენ.

პასუხს ვაგებდი თუ არა ჩემი თავისთვის აქ, ჩემს საკანში, რომ ქალბატონი დე რენალი ყოფილიყო მატილდას მაგივრად? ჩემს უკიდურეს სასოწარკვეთილებას და სინანულს ვალნო და ამ კუთხის პატრიციები სიკვდილის შიშად ჩათვლიდნენ. ეს სუსტი გულის ადამიანები ამაყობენ იმით, რომ მათი ქონებრივი მდგომარეობა მათ ცთუნებაზე მაღლა აყენებს.

«შეხედეთ, რას ნიშნავს დურგლის შვილად დაბადება», იტყოდნენ ბ. მუარო და ბ. დე შოლენი, რომელთაც სიკვდილი მომისაჯეს. შეიძლება კაცი მეცნიერი გახდეს, ხელობა ისწავლოს, მაგრამ ვაჟკაცობის სწავლა შეუძლებელია. იგივე ითქმის ამ საბრალო მატილდაზე, რომელიც ახლა ტირის, ან უკეთ ვთქვათ, ტირილს ვერ ახერხებს, _ გაიფიქრა მან, როცა ქალის გაწითლებულ თვალებს შეხედა... და მატილდა გულში ჩაიხუტა: ჭეშმარიტი მწუხარების დანახვამ დაავიწყებია თავისი სილოგიზმი... _ შეიძლება მთელი ღამე ტირილში გაატარა, _ გაიფიქრა ჟიულიენმა. _ მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს რა სამარცხვინოდ ეჩვენება ეს მოგონება. იგი იტყვის, ახალგაზრდობაში დამაბნია პლებეის მდაბალმა აზროვნებამო... კრუაზენუა იმდენად სუსტი ხასიათისაა, რომ მას შეირთავს და ძალიან კარგსაც იზამს. ეს ქალი მას აიძულებს, როლი ითამაშოს: «ასეთია ძლიერი და ფართო გონების უფლება; ის გავლენას ახდენს ჩვეულებრივი ადამიანების ტლანქ სულზე». აი, რა არის საინტერესო: მას შემდეგ, რაც სიკვდილი მელის, მახსენდება ყველა ლექსი, რომელიც ოდესმე მისწავლია. ეს დეკადანსის ნიშანი უნდა იყოს...»

მატილდა მას უმეორებდა მიბნედილი ხმით:

_ ის აქაა, მეზობელ ოთახში, _ ბოლოს მან ყურადღება მიაქცია მის სიტყვებს. «ამ ქალს ხმა მისუსტებული აქვს, მაგრამ მისი მბრძანებლური ხასიათი მისი ლაპარაკის ტონში იხატება: ხმადაბლა ლაპარაკობს, რათა გულის მოსვლა არ გამოამჟღავნოს».

_ იქ ვინ არის? _ ჰკითხა მან წყნარი ხმით.

_ ადვოკატი, გიცდის, რათა აპელაციას ხელი მოაწერო.

_ აპელაციას არ შევიტან.

_ როგორ! აპელაციას არ შეიტან? _ წამოიძახა ქალმა, რომელიც წამოხტა გულისწყრომისაგან თვალებანთებული. _ რატომ, მითხარით, ღვთის გულისთვის?!

_ ეს იმიტომ, რომ ამჟამად ვაჟკაცობა შემწევს ისე მოვკვდე, რომ დაცინვა არ გამოვიწვიო. ვინ მითავდებებს, რომ ასეთივე კარგ გუნებაზე დავრჩები, თუ კიდევ ორი თვე გავატარე ამ ნესტიან ჯურღმულში? მე მელის შეხვედრა მღვდლებთან, მამაჩემთან... არაფერი არ შეიძლება ასე არასასიამოვნო იყოს ამ ქვეყანაზე. დაე, ჩქარა მოვკვდე.

ამ მოულოდნელმა წინააღმდეგობამ გააღვიძა მატილდას სიამაყე. მან დილით ვერ მოახერხა აბატ დე ფრილერის ნახვა, სანამ ბეზანსონის სატუსაღოს გააღებდნენ; ამიტომ ჟიულიენზე იყარა გულის ჯავრი. ის მას აღმერთებდა; ამისდა მიუხედავად, მთელი მეოთხედი საათის განმავლობაში გმობდა მის ხასიათს, ნანობდა, რომ ის შეიყვარა, იმავე გულზვიადობით ელაპარაკებოდა, რომელიც ერთ დროს დე ლამოლის სასახლის ბიბლიოთეკაში გამოიჩინა, როცა გესლიანი შეურაცხყოფით გაუმასპინძლდა მას.

_ შენი მოდგმის სასახელოდ ზეცას მამაკაცად უნდა გაეჩინე, _ უთხრა ჟიულიენმა მატილდას.

«მე კი, მე, _ გაიფიქრა მან, _ დიდი სისულელე იქნებოდა, ორი თვე ამ საზიზღარ ადგილას მეცხოვრა და ყოველივე სისაძაგლე და დამცირება ამეტანა, რასაც პატრიციელთა პარტია მოიგონებდა ჩემს წინააღმდეგ (ეს ნამდვილი იაკობინელის ენაა!), ხოლო ერთადერთ ნუგეშად ამ გადარეული ქალის ლანძღვა-გინება მქონოდა... ჰოდა, ზეგ დილით მე დუელს ვმართავ მამაკაცთან, რომელიც თავისი გულგრილობით და შესანიშნავი სიმარჯვითაა ცნობილი... ძლიერ შესანიშნავით, _ ჩაილაპარაკა მისმა მეფისტოფელურმა მხარემ. _ ის ტყვიას არასოდეს არ აცდენს».

_ „მაშ კარგი, ასე იყოს (მატილდა მჭევრმეტყველურად ლაპარაკს განაგრძობდა). მაგრამ არა, აპელაციას არ შევიტან,“ _ ჩაილაპარაკა ჟიულიენმა.

ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ოცნებას მიეცა... «დამტარებელი ჩვეულებისამებრ გაზეთს დილის ექვს საათზე მიიტანს; რვა საათზე ბატონ დე რენალს ის წაკითხული ექნება და ელიზა ფეხაკრეფით თავისი ქალბატონის საწოლს მიუახლოვდება, რათა გაზეთი დაუდოს. მოგვიანებით გაიღვიძებს, წაიკითხავს, შეშფოთდება; მისი მშვენიერი ხელი ათრთოლდება; ამ სიტყვებამდე მივა: «ათ საათსა და ხუთ წუთზე ის

გამოეთხოვა ამ ცხოვრებას». ცხარე ცრემლებით ატირდება - მე მას კარგად ვიცნობ. ამაოდ მოვინდომე მისი მოკვლა: ყოველივე დავიწყებას მიეცემა, და მხოლოდ ის ერთადერთი არსება, რომელსაც მე სიცოცხლის წართმევას ვუპირებდი, გამომიტირებს გულწრფელად».

«აჰ, ეს ანტითეზისია!» გაიფიქრა მან და იმ ხნის განმავლობაში, სანამ მატილდა მის დაჯერებას ცდილობდა, ის მხოლოდ ქალბატონ დე რენალზე ფიქრობდა. თუმცა ხანდახან პასუხს აძლევდა მატილდას, მაგრამ თავიდან ვერ იშორებდა ვერიერის საწოლი ოთახის მოგონებას. თვალწინ უდგა ბეზანსონის გაზეთი ქალის ნარინჯისფერ საბანზე დადებული; თეთრი ხელი, რომელიც გაზეთს ჭმუჭნიდა ცახცახით. თვალწინ ედგა ატირებული ქალბატონი დე რენალი. ის თვალს ადევნებდა თითოეული ცრემლის გზას ამ მომხიბლავ სახეზე.

მატილდა დე ლამოლი ვერაფერს გახდა ჟიულიენთან და ადვოკატი შემოაყვანინა. საბედნიეროდ, ეს 1796 წლის იტალიის არმიის ყოფილი კაპიტანი იყო: ფორმის გულისთვის აპროტესტებდა სიკვდილის განაჩენს. ჟიულიენს არ უნდოდა მას უპატივცემულოდ მოპყრობოდა და თავისი მოსაზრებანი წარუდგინა.

_ რასაკვირველია, შეიძლება თქვენ დაგეთანხმოთ, _ უპასუხა ფელიქ ვანომ (ასე ეძახდნენ ადვოკატს), _ მაგრამ თქვენ სამი დღე გაქვთ აპელაციის შესატანად, და მე ვალდებული ვარ ყოველდღე მოვიდე. თქვენ გადარჩებით, თუ სატუსაღოს ქვეშ ვულკანმა ამოხეთქა ორ თვეში; თქვენ შეგიძლიათ ავად გახდეთ და მოკვდეთ.

ჟიულიენმა ხელზე ხელი მოუჭირა.

_ გმადლობთ, თქვენ კარგი ადამიანი ხართ. ვიფიქრებ ამის შესახებ.

და როცა ბოლოს ადვოკატი და მატილდა წავიდნენ, მან მეტი მეგობრობა იგრძნო ადვოკატისადმი, ვიდრე მატილდასადმი.

XLIII

ერთი საათის შემდეგ, როცა ჟიულიენს ღრმად ეძინა, ის გააღვიძა ცრემლებმა, რომელიც მას ხელზე ეცემოდა. «აჰ, ისევ მატილდაა, _ გაიფიქრა მან. _ თავისი განზრახვის ერთგული რჩება და მოდის, რათა ჩემს გადაწყვეტილებაზე იერიში მოიტანოს ნაზი გრძნობებით». ის შეწუხებული იყო ამ ახალი პათეტიკური სცენის მოლოდინით და თვალებს არ ახელდა. გაახსენდა ლაფონტენის ბელფეგორი,* რომელიც თავის ცოლს გაურბის.

უცნაური ოხვრა მოესმა; თვალები გაახილა; ეს ქალბატონი დე რენალი იყო.

_ აჰ, მე შენ გხედავ, სანამ მოვკვდებოდე? ხომ არ მეჩვენება? _ წამოიძახა მან და ქალის ფეხქვეშ დაეცა. _ მაგრამ მაპატიეთ, ქალბატონო, მე თქვენს თვალში მხოლოდ მკვლელი ვარ, _ თქვა მან მაშინვე, როგორც კი გონება მოიკრიბა.

_ ბატონო, მე თქვენთან სათხოვნელად მოვედი _ აპელაცია შეიტანოთ. ვიცი, რომ თქვენ ეს არ გინდათ, _ ქალს ცრემლები ახრჩობდა, ლაპარაკს ვერ ახერხებდა.

_ გემუდარებით, _ მაპატიოთ.

_ თუ გინდა გაპატიო, _ უთხრა ქალმა, რომელიც ფეხზე წამოდგა და გადაეხვია, _ ახლავე გაასაჩივრე სიკვდილის განაჩენი.

ჟიულიენი მას გაშმაგებით კოცნიდა.

_ ყოველდღე მოხვალ ჩემს სანახავად ამ ორი თვის განმავლობაში?

_ გეფიცები, ყოველდღე მოვალ, თუ ქმარმა არ დამიშალა.

_ ვასაჩივრებ! _ წამოიძახა ჟიულიენმა. _ როგორ, ნუთუ მართლა მაპატიებ? ნუთუ ეს შესაძლებელია?

იგი ქალს გულში იხუტებდა გიჟივით. ქალმა ოდნავ შეჰკივლა.

_ არა უშავს რა, _ უთხრა მან ჟიულიენს, _ ცოტათი მატკინე.

_ მხარი გატკინე, _ წამოიძახა ჟიულიენმა და ტირილი დაიწყო. შემდეგ ცოტათი უკან დაიწია და ქალის ხელი ანთებული კოცნით დაფარა. _ ვის შეეძლო ეწინასწარმეტყველა, რომ მე შენ უკანასკნელად გხვდებოდი შენს ოთახში ვერიერში?

_ ვის შეეძლო მაშინ ეთქვა, რომ მე ბ. დე ლამოლს ამ უგვანო წერილს მივწერდი?

_ იცოდე, რომ მე მხოლოდ შენ მიყვარდი, არავინ არ მყვარებია შენს გარდა.

_ ნუთუ ეს მართალია! _ წამოიძახა ქალბატონმა დე რენალმა აღტაცებით. ის დაეყრდნო მის ფეხქვეშ დაჩოქილ ჟიულიენს და ისინი დიდხანს ტიროდნენ უსიტყვოდ.

არასოდეს თავის ცხოვრებაში ჟიულიენს ამგვარი წუთები არ განუცდია.

_ მაშ, ვინ არის ეს ახალგაზრდა ქალბატონი მიშლე, ან უკეთ, ეს მატილდა დე ლამოლი? მე ვფიქრობ, რომ ეს უცნაური რომანი ჭეშმარიტია.

_ ჭეშმარიტია მხოლოდ გარეგნულად, _ უპასუხა ჟიულიენმა. _ ის ჩემი ცოლია, მაგრამ არა სატრფო...

მათ ასჯერ მაინც გააწყვეტინეს ერთმანეთს სიტყვა, მაგრამ მიაღწიეს იმას, რომ ერთმანეთს უამბეს ის, რაც უნდოდათ გაეგოთ. ბ. დე ლამოლისადმი მიმართული წერილი ახალგაზრდა მღვდელს დაეწერა, ქალბატონ დე რენალის მოძღვარს; ქალს ის მხოლოდ გადაეწერა.

_ რა საზიზღრობა ჩამადენია სარწმუნოებამ, _ უთხრა ვაჟს ქალმა, _ თუმცა მე კიდევ შევარბილე ამ წერილის უსაშინლესი ადგილები.

ჟიულიენის აღტაცება და ბედნიერება ქალს უმტკიცებდა, რომ ის მას სულით და გულით აპატიებდა. არასოდეს ვაჟი ასე გაგიჟებული არ ყოფილა სიყვარულით.

_ ამავე დროს კი მე ჩემს თავს ღვთისმოსავად ვთვლი, _ განაგრძო ქალბატონმა დე რენალმა. _ მე ღმერთი გულწრფელად მწამს; მე მწამს აგრეთვე, და ეს დამტკიცებულიცაა, რომ დანაშაული, რომელსაც ახლა ჩავდივარ, საშინელია; მაგრამ როცა შენ გხედავ, მას შემდეგაც, რაც ორჯერ მესროლე... _ აქ ჟიულიენმა, თავისდა უნებურად კოცნით დაუფარა სახე და ხელები. _ მაცალე, მე მინდა შენთან ერთად ვიმსჯელო, თორემ სათქმელი დამავიწყდება... როცა შენ გხედავ, ყველა ვალდებულება ქრება, მე მხოლოდ შენს სიყვარულად ვიქცევი. არა, სიტყვა სიყვარული მეტად სუსტია: მე შენს მიმართ იმას ვგრძნობ, რასაც მხოლოდ ღვთის მიმართ უნდა ვგრძნობდე: მოკრძალების, სიყვარულის, მორჩილების შეზავებას... მართალი გითხრა, არ მესმის, რა შთაგონებას იწვევ ჩემში... საკმაოა მითხრა, დანა ჩაეცი ზედამხედველსო, და დანაშაული შესრულებული იქნება, სანამ მის მოფიქრებას მოვასწრებდე. ნათლად ამიხსენი ეს, სანამ დაგტოვებდე; მე მინდა, ნათლად ვხედავდე ჩემს გულს; ორი თვის შემდეგ ჩვენ ხომ გამოვეთხოვებით ერთმანეთს... მართლა გამოვეთხოვებით თუ არა? _ ჰკითხა მან ვაჟს ღიმილით.

_ მე უკან მიმაქვს ჩემი სიტყვა, _ წამოიძახა ჟიულიენმა და ზეზე წამოხტა. _ მე არ გავასაჩივრებ სიკვდილის განაჩენს, თუ შენ საწამლავის, დანის, დამბაჩის ან სხვა რაიმე საშუალებით შეეცადე ბოლო მოუღო ან შეაფერხო შენი სიცოცხლე.

ქალბატონ დე რენალის სახე უცებ შეიცვალა; სინაზემ ადგილი დაუთმო ღრმა ოცნებას.

_ ორივე რომ ახლავე მოვმკვდარიყავით? _ ჰკითხა ქალმა ბოლოს.

_ ვინ იცის, რას ვიპოვით საიქიოს! _ უპასუხა ჟიულიენმა. _ შეიძლება ტანჯვას, შეიძლება სრულიად არაფერს. განა არ შეგვიძლია საუცხოოდ გავატაროთ ეს ორი თვე? ორი თვე ბევრ დღეს შეიცავს. არასოდეს ასე ბედნიერი არ ვყოფილვარ.

_ არასოდეს ასეთი ბედნიერი არ ყოფილხარ?

_ არასოდეს, _ გაიმეორა ჟიულიენმა აღტაცებით, _ ამას შენ გეუბნები ისევე გულწრფელად, როგორც ჩემს თავს ვეტყოდი. ღმერთმა დამიფაროს გადაჭარბებისაგან.

_ ასე ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ ბრძანება მომცე, _ უთხრა ქალმა მოკრძალებული და მელანქოლიური ღიმილით.

_ მაშ, შენ ჩემი სიყვარულის სახელით მეფიცები, რომ თავს არავითარ ხიფათს არ შეამთხვევ? იფიქრე, რომ შენ ჩემი ვაჟის გულისთვის უნდა იცხოვრო; მატილდა მას მაშინვე ლაქიების ანაბარა დატოვებს, როგორც კი მარკიზ დე კრუაზენუას ცოლი გახდება.

_ ვფიცავ, _ თქვა ქალმა ცივად, _ მაგრამ მე მინდა თან წავიღო შენი აპელაცია, შენ მიერ დაწერილი და ხელმოწერილი. მე თვით წავალ ბრალმდებელთან.

_ ფრთხილად იყავი, შენ სახელს იტეხ.

_ მას შემდეგ, რაც შენს სანახავად მოვედი სატუსაღოში, მე სამუდამოდ ანეგდოტების გმირი გავხდი ბეზანსონისა და მთელი ფრანშკონტესთვის, _ უთხრა ქალმა ღრმა მწუხარებით. _ მკაცრი უბიწოების საზღვრები გადალახულია... მე დაღუპული რეპუტაციის ქალი ვარ; მართალია, შენი გულისთვის...

მისი ტონი ისეთი სევდიანი იყო, რომ ჟიულიენმა მის მოხვევნაში სრულიად ახალი სიამოვნება იგრძნო. ეს არ იყო სიყვარულით დათრობა, ეს უკიდურესი მადლობა იყო. მან პირველად იგრძნო, თუ რა დიდი მსხვერპლი გაიღო ამ ქალმა მისთვის.

რომელიღაც ქველმოქმედმა სულმა აცნობა ბ. დე რენალს, შენი ცოლი ჟიულიენთან ხანგრძლივად რჩება სატუსაღოშიო. ამიტომ სამი დღის შემდეგ მან ქალს ეტლი გაუგზავნა და შეუთვალა, დაუყოვნებლივ დაბრუნდი ვერიერშიო.

ამ სასტიკი განშორების წუთიდან ცუდი დღე დაიწყო ჟიულიენისთვის. ორი თუ სამი საათის შემდეგ აცნობეს, ვიღაც ინტრიგანი მღვდელი, რომელმაც ვერ მოახერხა კარიერა გაეკეთებია ბეზანსონელ იეზუიტებს შორის, დილიდანვე ქუჩაში დგას სატუსაღოს წინო. კოკისპირულად წვიმდა და იქ ეს ადამიანი მოწამის როლის შესრულებას აპირებდა. ჟიულიენი ცუდ გუნებაზე იყო და ამ სისულელემ ღრმად აღაშფოთა. დილით მან უარი თქვა ამ ხუცესის მიღებაზე, მაგრამ ამ ადამიანს თავში ის აზრი ჩაეჭედა, ჟიულიენ სორელს აღსარება უნდა ვათქმევინო და შემდეგ ამრიგად მოპოვებული ცნობები პოპულარობის მოსახვეჭად გამოვიყენო ბეზანსონელ ახალგაზრდა ქალებს შორისო.

იგი ხმამაღლა აცხადებდა, მთელ დღესა და ღამეს სატუსაღოს კართან გავატარებო. მე ღმერთი მგზავნის, რათა ამ ახალი განდგომილის გული მოვარჯულოო... და დაბალმა ხალხმა, რომელიც ყოველთვის დახარბებულია სანახაობას, თავის მოყრა დაიწყო მის გარშემო.

_ დიახ, ძმებო, მე აქ გავატარებ ამ დღესა და ღამეს, ისევე როგორც შემდგომ დღეებსა და ღამეებს. მე სულიწმინდამ ჩამაგონა, მე უზენაესი მისია მაქვს შესასრულებელი. მე უნდა ვიხსნა ახალგაზრდა სორელის სული. ილოცეთ ჩემთან ერთად.

ჟიულიენს სძაგდა სკანდალი და ყოველივე, რასაც შეეძლო ყურადღება მიეპყრო მისკენ. ის ოცნებობდა წუთი ეხელთა და შეუმჩნევლად გამქრალიყო ამ ქვეყნიდან. მაგრამ იმედი ჰქონდა, შეიძლება კიდევ შევხვდე ქალბატონ დე რენალსო: ის თავდავიწყებით შეყვარებული იყო.

სატუსაღოს ჭიშკარი ყველაზე ხალხმრავალ ქუჩაზე გადიოდა. ჟიულიენს ქენჯნიდა ის აზრი, რომ იქ ტალახში მღვდელი იდგა, თავის გარშემო ბრბოს კრებდა და სკანდალს იწვევდა. «ალბათ, ყოველ წუთში ჩემს სახელს იმეორებს!» ეს წუთი სიკვდილზე უარესი იყო მისთვის.

ორჯერ თუ სამჯერ თავის ერთგულ დარაჯს დაუძახა, შემიტყვე, კიდევ ჭიშკართან დგას თუ არა ხუცესიო.

_ ბატონო, ის ტალახშია დაჩოქილი, _ უპასუხებდა დარაჯი, _ ხმამაღლა ლოცულობს და ლიტანიებს კითხულობს თქვენი სულის სახსნელად...

«თავხედი!» გაიფიქრა ჟიულიენმა. ამ წუთში მას ყრუ ხმაურობა მოესმა: ეს ხალხი იყო, მღვდლის ლოცვას იმეორებდა. თავისდა სამწუხაროდ ჟიულიენმა შეამჩნია, რომ დარაჯიც ტუჩებს აცმაცუნებდა და ლათინურ სიტყვებს ჩურჩულებდა.

_ აქა-იქ თქვენზე ხმა გაისმის, გაქვავებული გული უნდა ჰქონდეს, რომ უარს ამბობს ამ წმინდა კაცის დახმარების მიღებაზეო, _ თქვა დარაჯმა.

_ ოჰ, ჩემო სამშობლოვ, რა ბარბაროსული ქვეყანა ხარ ჯერ კიდევ! _ წამოიძახა სიბრაზით გააფთრებულმა ჟიულიენმა და ხმამაღლა ფიქრი განაგრძო, ასე რომ, აღარ ამჩნევდა იქვე მდგომ დარაჯს. _ ამ კაცს უნდა გაზეთში მოხვდეს და ამას მიაღწევს კიდეც. ოჰ, წყეული პროვინციელები! პარიზში ამდენ დევნას არ განვიცდიდი: იქ უფრო გამობრძმედილი არიან თაღლითობაში. შემოუშვით ეს წმინდანი, _ უთხრა მან ბოლოს დარაჯს და შუბლიდან ოფლი წამოუვიდა წურწურით. დარაჯმა პირჯვარი გამოისახა და გარეთ გავიდა მხიარულად.

წმინდა მამა საშინლად მახინჯი და კიდევ უფრო ჭუჭყიანი აღმოჩნდა. ცივი წვიმა აძლიერებდა საკნის სიბნელესა და სინესტეს. მღვდელმა მოისურვა ჟიულიენს გადახვეოდა; მას გული აუჩუყდა ჟიულიენთან ლაპარაკის დროს. მისი მდაბალი ფარისევლობა სრულიად აშკარა იყო; არასოდეს თავის ცხოვრებაში ჟიულიენი ასე გულმოსული არ ყოფილა.

თხუთმეტი წუთიც არ გასულა მღვდლის შემოსვლიდან და ჟიულიენმა სულმოკლეობა იგრძნო. სიკვდილი მას პირველად ეჩვენა მთელი თავისი საშინელებით.

წარმოიდგინა, რომ მისი სხეული გახრწნას დაიწყებდა სიკვდილით დასჯიდან ორი დღის შემდეგ.

კინაღამ თავისი სისუსტე გამოამჟღავნა, კინაღამ მღვდელს თავს დაესხა, რათა იგი თავისი ჯაჭვით დაეხრჩო, რომ უცებ თავში აზრი მოუვიდა ამ წმინდა კაცისთვის ეთხოვა, წადი და დღესვე მიწირე ორმოც ფრანკადო.

უკვე შუადღე იყო, და მღვდელი გზას გაუდგა.

XLIV

როგორც კი მღვდელი წავიდა, ჟიულიენმა ტირილი დაიწყო. ბევრი იტირა იმის გამო, რომ უნდა მომკვდარიყო. «ქალბატონი დე რენალი ბეზანსონში რომ ყოფილიყო, მის წინაშე ჩემს სისუსტეს ვაღიარებდი», გაიფიქრა მან.

იმ წუთში, როცა ის განსაკუთრებით ნანობდა თავისი საყვარელი ქალის განშორებას, მატილდას ნაბიჯის ხმა მოესმა.

«ყველაზე დიდი უბედურება სატუსაღოში ისაა, რომ შეუძლებელია კარის ჩაკეტვა», გაიფიქრა მან. მას აღიზიანებდა ყოვლივე, რასაც მატილდა ელაპარაკებოდა.

ქალმა მას უამბო, გასამართლების დღეს ბ. დე ვალნოს უკვე პრეფექტად დანიშვნის ქაღალდი ჰქონდა ჯიბეში; ამიტომ გაბედა სასაცილოდ აეგდო ბ. დე ფრილერი და თავისდა სასიამოვნოდ სიკვდილის განაჩენი გამოეტანა შენთვისო.

_ «რა აზრი მოუვიდა თავში თქვენს მეგობარს გაეღიზიანებია და შეელახა ამ ბურჟუაზიული არისტოკრატიის წვრილმანი თავმოყვარეობაო, _ მკითხა ბ. დე ფრილერმა. _ რა საჭირო იყო კასტებზე ლაპარაკიო? ჟიულიენმა მათ უჩვენა, რა უნდა გაეკეთებიათ თავიანთი პოლიტიკური ინტერესების კარნახითო. ეს ნაცარქექიები კი ამაზე როდი ფიქრობდნენ, და მზად იყვნენ ლმობიერება გამოეჩინათო. მაგრამ კასტობრივმა ინტერესმა მათს თვალში ნიღაბი ააფარა სიკვდილის განაჩენის საშინელებასო. თუ ჩვენ მას შეწყალება არ ვათხოვნინეთ და ამით არ გადავარჩინეთ, მისი სიკვდილი თვითმკვლელობა იქნებაო».

მატილდას ჟიულიენისათვის არ გაუმხელია ის, რაც ჯერ თვითონაც არ იცოდა დარწმუნებით: ბ. დე ფრილერი ხედავდა, რომ ჟიულიენი უკვე დაღუპული იყო და თავისი კარიერისთვის სასარგებლოდ თვლიდა მისი მონაცვლე გამხდარიყო.

ჟიულიენს უძლური გულისწყრომა და ჯავრი ახრჩობდა.

_ წადი, ჩემი სულის მოსახსენებელი წირვა მოისმინე და ცოტა ხნით მარტო დამტოვე, _ უთხრა მან მატილდას.

მატილდა ისედაც მეშურნეობას განიცდიდა ქალბატონი დე რენალისა და ჟიულიენის შეხვედრის გამო. მან იცოდა, რომ მისი მოქიშპე ქალი ბეზანსონიდან წასული იყო; მიხვდა, რად იყო ჟიულიენი ცუდ გუნებაზე და გულამოსკვნით ტირილი დაიწყო.

ქალის ტანჯვა გულწრფელი იყო. ჟიულიენი ამას ხედავდა, მაგრამ კიდევ უფრო ბრაზდებოდა. მარტოობა გულით უნდოდა, მაგრამ როგორ მოეპოვებინა იგი?

მატილდამ ყოველი საშუალება სცადა მისი გულის მოსალბობად და რადგან მიზანს ვერ მიაღწია, მარტო დატოვა. იმავე წუთში ფუკე გაჩნდა.

_ მე მარტო დარჩენა მესაჭიროება, _ უთხრა ჟიულიენმა თავის ერთგულ მეგობარს... რადგან შეამჩნია, რომ ეს უკანასკნელი ყოყმანობდა, მან დაუმატა: _ თხოვნას ვადგენ შეწყალების შესახებ... ესეც არ იყოს, დამავალე და ნურაფერს მეტყვი სიკვდილზე. თუ იმ დღეს რამე დამჭირდა, ნება მომეცი, მე პირველმა დაგელაპარაკო ამაზე.

როცა ჟიულიენი ბოლოს მარტო დარჩა, წინანდელზე მეტი სულიერი დაცემა და სიმხდალე იგრძნო. ძალ-ღონის ნატამალი, რომელიც ამ დასუსტებულ სულს შერჩა, მან იმაზე დახარჯა, რომ თავისი განწყობილება დაემალა მატილდასა და ფუკესთვის.

საღამოს ის ერთმა აზრმა ანუგეშა: «ამ დილით, როცა სიკვდილი ასეთი საზიზღარი მეჩვენებოდა, დასასჯელად რომ წავეყვანეთ, საზოგადოების გამახვილებული თვალი შეამჩნევდა, რომ ჩემს ყოფაქცევაში არის რაღაც ძალდატანება, როგორც იმ მორცხვი დარდიმანდის ქცევაში, რომელიც პირველად შედის დარბაზში. ზოგიერთი გამჭრიახი ადამიანი, თუ ასეთები მოიპოვებიან პროვინციელებს შორის, შეამჩნევდა ჩემს სისუსტეს... მაგრამ დანახვით ვერავინ დაინახავდა!»

მან იგრძნო, რომ ნაწილობრივ განთავისუფლდა თავისი უბედურებისაგან. «მე მხდალი ვარ ამ წუთში, მაგრამ ამას ვერავინ გაიგებს», იმეორებდა ღიღინით.

მეორე დღეს მას თითქმის კიდევ უფრო არასასიამოვნო ამბავი ელოდა. დიდი ხანია მამამ მისი ნახვის სურვილი განაცხადა. ამ დღეს ჟიულიენის გაღვიძებამდე ბებერი ჭაღარა დურგალი მის საკანში შევიდა.

ჟიულიენი თავს სუსტად გრძნობდა, ელოდა, რომ არასასიამოვნო საყვედურებით გაუმასპინძლდებოდნენ. მის მძიმე სულიერ განწყობილებას აძლიერებდა ის გარემოება, რომ დილიდანვე სინდისის ქენჯნას გრძნობდა, რატომ მამაჩემი არ მიყვარსო.

«ბედმა ერთიმეორის გვერდით დაგვაყენა დედამიწის ზურგზე, _ ფიქრობდა ჟიულიენი, სანამ დარაჯი საკანს ალაგებდა, _ ჩვენ კი ერთმანეთს მხოლოდ რაც შეიძლება მეტ ბოროტებას ვაყენებდით. ახლა ჩემი სიკვდილის წუთში მოვიდა, რათა უკანასკნელად დამკრას».

როგორც კი მამა-შვილი მარტო დარჩა, მოხუცმა საშინელი საყვედურები დაიწყო. ჟიულიენმა ცრემლები ვერ შეიკავა.

«რა თავის დამამცირებელ სისუსტეს ვიჩენ, _ ამბობდა ის გაფითრებული, _ მამაჩემი წავა და ყველას გადაჭარბებით უამბობს ჩემი სულმოკლეობის შესახებ. რა ტრიუმფი იქნება ვალნოებისა და უგვანო ფარისევლებისთვის, რომელნიც ვერიერში ბატონობენ! მათ დიდი გავლენა აქვთ საფრანგეთში, მათ ხელშია ყველა სოციალური უპირატესობანი. აქამდე შემეძლო მეთქვა, მართალია, ისინი ფულებს ღებულობენ, ყოველი პატივი და ღირსება მათ მიეკუთვნება, მაგრამ სამაგიეროდ მე კეთილშობილი გული მაქვს-მეთქი. მაგრამ აი მოწმე, რომელსაც ყველანი დაუჯერებენ და რომელიც მთელ ვერიერს დაარწმუნებს, რომ მე სისუსტე გამოვიჩინე სიკვდილის წინ. მე ლაჩარი აღმოვჩნდი ამ განსაცდელში».

ჟიულიენი თითქმის სასოწარკვეთილი იყო. არ იცოდა, როგორ მოეშორებინა მამამისი, ხოლო ისეთი თვალთმაქცობის გამოჩენა, რომელიც საჭირო იყო ამ ნათელმხილველი მოხუცის მოსატყუებლად, მის ძალ-ღონეს აღემატებოდა ამ წუთში. მის გონებაში უცებ გაირბინა მრავალმა მოსაზრებამ.

_ მე ფული მაქვს დაგროვებული! _ წამოიძახა მან უცებ.

ამ გენიოსურმა სიტყვებმა შეცვალა მოხუცის სახეც და ჟიულიენის პოზიციაც.

_ როგორ უნდა განვარიგო? _ იკითხა ჟიულიენმა უფრო წყნარად. მისი სიტყვების მიერ მოხდენილმა გავლენამ იგი გაანთავისუფლა იმ გრძნობისაგან, რომ თავის მამაზე დაბლა იდგა.

ბებერ დურგალს სწყუროდა ხელიდან არ გაეშვა ეს ფული, მაგრამ ჟიულიენს ეტყობოდა სურდა მისი ერთი ნაწილი თავის ძმებისთვის დაეტოვებინა. მან დიდხანს ილაპარაკა გატაცებით, ხუმრობდა კიდეც.

_ ძალიან კარგი! ღმერთმა ჩამაგონა, როგორ შევადგინო ჩემი ანდერძი: ათას-ათას ფრანკს თითოეულ ჩემს ძმას მივცემ, ხოლო დანარჩენს თქვენ დაგიტოვებთ

_ საუცხოოა, _ უპასუხა მოხუცმა, _ დანარჩენი მე სამართლით მერგება. მაგრამ რადგან ღმერთმა მოწყალება გამოიჩინა და გული მოგილბო, თქვენი ვალებიც უნდა

გადაიხადოთ, თუ გსურთ ისე მოკვდეთ, როგორც კეთილ ქრისტიანს შეეფერება. რჩება კიდევ ხარჯები, რომელიც თქვენი გამოკვებისა და აღზრდისთვის გავიღე და რომელზედაც თქვენ არ ფიქრობთ...

«აი, მამის სიყვარული!» ჩაილაპარაკა რამდენჯერმე ჟიულიენმა სევდიანად, როცა მარტო დარჩა. მალე ზედამხედველი გამოჩნდა.

_ ბატონო, ახლობელი ნათესავების ნახვის შემდეგ მე ჩემი სტუმრებისთვის ყოველთვის ერთი ბოთლი კარგი შამპანური მომაქვს ხოლმე. ეს ცოტა ძვირია, ბოთლი ექვსი ფრანკი ღირს, მაგრამ გულს ამხიარულებს.

_ მომიტანეთ სამი ჭიქა, _ უთხრა ჟიულიენმა ბავშვური გატაცებით, _ და შემოიყვანეთ ორი ტუსაღი, რომელნიც მანდ დერეფანში სეირნობენ.

მედილეგემ ორი კატორღელი მოუყვანა, ორი რეციდივისტი, რომელნიც ისევ კატორღაში აპირებდნენ დაბრუნებას. ეს არამზადები მეტად მხიარული და მართლაც შესანიშნავი ადამიანები იყვნენ თავიანთი ეშმაკობით, გამბედაობით და გულგრილობით.

_ თუ ოც ფრანკს მომცემთ, _ უთხრა ერთმა მათგანმა ჟიულიენს, _ ჩემს თავგადასავალს გიამბობთ დაწვრილებით; მე ბევრი რამ გამომიცდია.

_ ჰო, მაგრამ ტყუილებს დააფრქვევთ, _ უპასუხა ჟიულიენმა.

_ არა. ჩემი მეგობარი, რომელიც გვერდით მიდგას, შურით უცქერის ოც ფრანკს და მამხილებს, თუ ტყუილი ვთქვი.

მისი თავგადასავალი საზიზღარი აღმოჩნდა. ეტყობოდა, ვაჟკაცური გული ჰქონდა, მაგრამ არაფერს განიცდიდა, გარდა ფულის სიყვარულისა.

მათი წასვლის შემდეგ ჟიულიენი თითქო სხვა ადამიანი გახდა.

დაუცხრა გულისწყრომა თავისი თავის მიმართ. გულისმღრღნელი ტანჯვა, გამძაფრებული სულმოკლეობის შეგნებით, რომელიც მას ქენჯნიდა ქალბატონი დე რენალის წასვლის შემდეგ, მელანქოლიაში გადავიდა.

«თავი რომ არ მომეტყუებინა გარეგნობით, _ ფიქრობდა იგი, _ დავინახავდი, რომ პარიზის სალონები ისეთივე პატიოსანი ადამიანებით არიან სავსე, როგორიც მამაჩემია, ან კიდევ ისეთი მარჯვე არამზადებით, როგორიც ეს კატორღელები არიან. ისინი მართალი არიან: არასოდეს სალონის ადამიანები დილით არ იღვიძებენ მტანჯველი აზრით, როგორ ვისადილებ დღესო? მათ თავი მოაქვთ თავიანთი პატიოსნებით, ხოლო როცა ნაფიცი მსაჯულების როლს ასრულებენ, ამაყად სჯიან ადამიანს, რომელმაც ვერცხლის დანა-ჩანგალი მოიპარა, ვინაიდან შიმშილით სული მისდიოდა. მაგრამ თუ საკითხი მეფის

სასახლეში შეძრომას ან სამინისტრო პორტფელის შეძენასა და დაკარგვას ეხება, ჩემი პატიოსანი სალონის ადამიანები სწორედ იმავე დანაშაულს სჩადიან, რაც ამ ორმა კატორღელმა ჩაიდინა შიმშილის კარნახით...

არავითარი ბუნებრივი უფლება არ არსებობს: ეს სიტყვა მხოლოდ ძველისძველი სისულელეა, ღირსი იმ ბრალმდებლისა, რომელმაც ჩემს წინააღმდეგ ნადირობა გამართა იმ დღეს და რომლის წინაპარი გამდიდრებულ იქნა ლუი XIV-ის დროს მოხდენილი რაღაც კონფისკაციით. უფლება მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა გამოცემულია კანონი, რომელიც ამა თუ იმ ქმედობას კრძალავს დასჯის შიშით. კანონის გამოცემამდე ბუნებრივია მხოლოდ ლომის ძალა, ანუ იმ არსების მოთხოვნილება, რომელსაც შია, სცივა და სხვ. არა, ადამიანები, რომელთაც პატივს სცემენ, მხოლოდ ოინბაზები არიან. მათი ბედნიერება ისაა, რომ მათ ვერ მოუსწრეს და დანაშაულის ადგილას ვერ დაიჭირეს. ბრალმდებელი, რომელიც საზოგადოებამ დამიპირდაპირა, გამდიდრებულია სამარცხვინო საქმეთა წყალობით... მე მკვლელობა ჩავიდინე და სამართლიანად ვისჯები; მაგრამ თუ ამ მოქმედებას მხედველობაში არ ვიქონიებთ, ვალნო, რომელმაც მე გამასამართლა, ასჯერ უფრო მავნებელია საზოგადოებისთვის, ვიდრე მე.

ამრიგად, აღმოჩნდა, _ დაუმატა ჟიულიენმა სევდიანად, მაგრამ უბოროტოდ, _ რომ მამაჩემი უკეთესი ყოფილა, ვიდრე ეს ადამიანები. მას არასოდეს არ ვყვარებივარ. მისი მოთმინების ფიალა ავავსე იმით, რომ სამარცხვინო სიკვდილით ვკვდები. იმის შიშით, ფული არ დამაკლდესო, სიძუნწის კარნახით, ის ნუგეშს პოულობს სამასი თუ ოთხასი ლუიდორის თანხაში, რომელიც მე შემიძლია დავუტოვო. ერთ მშვენიერ კვირა დღეს, სადილის შემდეგ, ის თავის ოქროს აჩვენებს ვერიერის შურიან მოქალაქეებს. ვინ არის თქვენს შორის ისეთი, ჰკითხავს მათ თავისი თვალების გამომეტყველებით, რომელიც შვილს სიამოვნებით გილიოტინაზე არ გაისტუმრებდა, თუ ასეთ საფასურს მიიღებდა?»

ეს ფილოსოფია შეიძლება მართალი ყოფილიყო, მაგრამ ისეთი ბუნებისა გახლდათ, რომ სიკვდილის სურვილს იწვევდა. ამგვარად განვლო ხუთმა გრძელმა დღემ. ჟიულიენი ზრდილობიანი და ალერსიანი იყო მატილდას მიმართ, რომელიც იტანჯებოდა მეშურნეობის გამო. ერთ საღამოს ჟიულიენი სერიოზულად ფიქრობდა თავის მოკვლაზე. მისი სული იხერხებოდა იმ მძაფრი უბედურებით, რომელშიც ის ქალბატონ დე რენალის წასვლამ ჩააგდო. მას აღარაფერი აღარ მოსწონდა არც რეალურ ცხოვრებასა და არც წარმოდგენაში. უმოძრაობა გავლენას ახდენდა მის ჯანმრთელობაზე და თანდათან ახალგაზრდა გერმანელი სტუდენტების აღტაცებულ და სუსტ ხასიათს აძლევდა. ის

კარგავდა იმ ვაჟკაცურ ქედმაღლობას, რომელიც ენერგიულად უკუაგდებს ზოგიერთ ნაკლებ მართებულ იდეას, შეჭრილს ტანჯული ადამიანის სულში.

«მე მიყვარდა ჭეშმარიტება... სად არის იგი?.. ყველგან ფარისევლობა, ან საუკეთესო შემთხვევაში, თაღლითობაა გამეფებული თვით სათნოიანი, თვით დიდი ადამიანების წრეში! _ ტუჩები ზიზღით დაბრიცა. არა, ადამიანს არ შეუძლია ადამიანს ენდოს!

ერთი ჩემი ნაცნობი მანდილოსანი, რომელიც ფულს აგროვებდა საწყალი ობლებისთვის, მეუბნებოდა, ამა და ამ პრინცმა ათი ლუიდორი მომცაო. ტყუილია. მაგრამ რას ვამბობ? ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე!.. მისი პროკლამაცია რომის მეფის სასარგებლოდ წმინდა წყლის თაღლითობაა.*

ღმერთო ჩემო! თუ ასეთი კაცი და ისიც იმ წუთში, როცა უბედურება მას მკაცრად ვალდებულებისკენ უნდა მოუწოდებდეს, შარლატანობამდე მდაბლდება, რას უნდა ველოდეთ ადამიანთა მოდგმის სხვა წარმომადგენლებისაგან?..

_ სადღაა ჭეშმარიტება? სარწმუნოებაში?.. ჰო, _ დაუმატა მან უკიდურესი ზიზღის გამომხატველი მწარე ღიმილით, _ თუ მასლონების, დე ფრილერების, კასტანედების სიტყვებს დავუჯერებთ... შეიძლება, ჭეშმარიტ ქრისტიანობაში, რომლის მღვდელთმსახურნი ფულის ჯილდოს არ მიიღებდნენ, როგორც არ ღებულობდნენ მოციქულები. მაგრამ წმინდა პავლეს ჯილდოს წარმოადგენდა ის სიამოვნება, რომელსაც ის პოულობდა იმ გარემოებაში, რომ მბრძანებლობდა, ქადაგებდა, ხალხს თავის თავზე ალაპარაკებდა.

აჰ, ჭეშმარიტი სარწმუნოება რომ არსებულიყო!.. რა სულელი ვარ! მე ვხედავ გოთურ ტაძარს, დიდებული ფანჯრების მინებს. ჩემს სუსტ სულს წარმოდგენილი აქვს ამ ტაძრის მღვდელი... ჩემი სული მას გაიგებდა, ჩემს სულს ამის მოთხოვნილება აქვს... მაგრამ მე მხოლოდ ცუნდრუკ ადამიანს ვხედავ, რომელსაც გადასლექილი თმა აქვს, კავალერ ბოვუაზის მსგავს ადამიანს, რომელიც მოკლებულია მის მიმზიდველ თვისებებს.

მაგრამ რა ითქმის ნამდვილ მწყემსსა, მასილიონსა, ფენელონზე?.. მასილიონმა დიუბუა აკურთხა. სენ სიმონის მემუარებმა ჩემს თვალში ავნო ფენელონს, მაგრამ ნამდვილი მწყემსი რომ არსებულიყო, ნაზი სულის ადამიანებს დასაყრდენი ექნებოდათ ამქვეყნად... ჩვენ არ ვიქნებოდით განმარტოებული... ეს კეთილი მწყემსი ჩვენ ღმერთზე დაგველაპარაკებოდა. რომელ ღმერთზე? რასაკვირველია, არა ბიბლიის ღმერთზე, ამ პაწია მკაცრ მტარვალზე, რომელიც შურისძიების წყურვილითაა აღსავსე... არამედ ვოლტერის ღმერთზე, სამართლიანსა, კეთილსა, დაუსრულებელზე...»

იგი ააღელვა ამ ბიბლიის მოგონებამ, რომელიც მან ზეპირად იცოდა... «მაგრამ როგორ შეიძლება თუნდ სამი ერთად თავმოყრილი კაცის საზოგადოებაში ღმერთის დიდი სახელი ვიწამოთ იმ საშინელ ბოროტმოქმედებათა შემდეგ, რომელთაც ჩვენი მღვდლები სჩადიან?

განმარტოებით ცხოვრება!.. რა საშინელი ტანჯვაა!..»

_ მე უგუნური და უსამართლო ვხდები, _ ჩაილაპარაკა ჟიულიენმა და შუბლზე ხელი დაირტყა. _ მე განმარტოებული ვარ აქ, ამ ჯურღმულში, მაგრამ განმარტოებულად არ მიცხოვრია ამქვეყნად. მე მქონდა ვალდებულების ძლიერი იდეა. ვალდებულება, რომელიც მართებულად თუ უმართებულოდ თვით დავაკისრე ჩემს თავს, თითქო დიდი ხის ტანი იყო; მე მას ვეყრდნობოდი ქარიშხლის დროს. მე ვქანაობდი, მე ვღელავდი. ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ ადამიანი ვიყავი...

ამ ჯურღმულის ნესტიანი ჰავის ბრალია, რომ მარტოობაზე ვფიქრობ…... რა საჭიროა ორპირობა? მე გულს მიღონებს არა სიკვდილი, არა ჯურღმული და არა ნესტიანი ჰაერი, არამედ ქალბატონ დე რენალთან განშორება. განა ბედს შევჩივლებდი, მთელი კვირეები რომ ვერიერში მეცხოვრა, მისი სახლის სარდაფში ვყოფილიყავი დამალული და ეს ქალი ხანდახან დამენახა?

ჩემი თანამედროვეების გავლენა ძლიერი ყოფილა, _ თქვა მან ხმამაღლა მწარე ღიმილით, _ ფარისევლობას ვიჩენ, როცა ჩემს თავს ველაპარაკები, სიკვდილის ზღურბლთან მდგარი... ოჰ, მეცხრამეტე საუკუნევ!

მონადირე თოფს ისვრის ტყეში. მისი მსხვერპლი ძირს ეცემა. ის მისკენ გარბის, რათა ხელი სტაცოს. მისი ჩექმები ჭიანჭველების ვეებერთელა ბუდეს ხვდება და ანგრევს, შორს ისვრის მათაც და მათ კვერცხებსაც... ყველაზე დიდი ფილოსოფოსები ჭიანჭველებს შორის ვერასოდეს ვერ შეიცნობენ ამ უზარმაზარ, შემზარავ, შავ სხეულს, ამ მონადირის ჩექმას, რომელიც მოულოდნელად და სწრაფად შეიჭრა მათს ბინაში, და რომელსაც წინ საშინელი ხმაურობა და წითელი ცეცხლის გაელვება უსწრებდა...

...ამრიგად, სიკვდილი, სიცოცხლე, მარადისობა მეტად მარტივი საგნებია იმისთვის, ვისაც საკმაოდ განვითარებული ორგანოები აქვს მათ შესაცნობად...

ბუზი დილის ცხრა საათზე იბადება ზაფხულის გრძელ დღეში, რათა საღამოს ხუთ საათზე მოკვდეს. როგორ შეუძლია მას გაიგოს, რას ნიშნავს სიტყვა «ღამე»? მიეცით კიდევ ზედმეტი ხუთი საათის არსებობა, ის დაინახავს და გაიგებს, რა არის ღამე.

ამრიგად, მე ოცდასამი წლისა მოვკვდები. მომეცით ხუთი წლის სიცოცხლე, რათა ქალბატონ დე რენალთან ვიცხოვრო...

მან სიცილი დაიწყო მეფისტოფელივით. «რა სიგიჟეა ამ დიდი პრობლემების განხილვა! ერთი, რომ მე ისე ვფარისევლობ, თითქო ვიღაც მისმენდეს; მეორე, რომ მავიწყდება სიცოცხლე და სიყვარული, როცა ასე ცოტა დრო დამრჩა სიკვდილამდე. ეჰ, ქალბატონი დე რენალი აქ არ არის. ალბათ, ქმარი ნებას არ აძლევს, რომ ბეზანსონში დაბრუნდეს და კვლავ შეირცხვინოს თავი. აი, ეს იწვევს ჩემს განმარტოებას და არა სამართლიანი, მოწყალე, ყოვლის შემძლე, უბოროტო, შურისძიებას მოკლებული ღმერთის არარსებობა...

აჰ, ასეთი ღმერთი რომ არსებულიყო... ფეხებში ჩავუვარდებოდი და ვეტყოდი: «სიკვდილი დავიმსახურე, მაგრამ, დიდო ღმერთო, კეთილო ღმერთო, მოწყალე ღმერთო, დამიბრუნე ის, ვინც მიყვარს!»

შუაღამე გადასული იყო. ორი თუ სამი საათის მშვიდობიანი ძილის შემდეგ ის ფუკეს მოსვლამ გააღვიძა.

ჟიულიენი თავს ძლიერ და მტკიცე ვაჟკაცად გრძნობდა, როგორც შეეფერება ადამიანს, რომელიც ნათელი თვალით იცქირება თავის სულში.

XLV

_ მე არ შემიძლია ბოროტი ხუმრობით გავუმასპინძლდე საბრალო აბატ შას-ბერნარს და მისთვის დავაძახებინო. თუ ეს ჩავიდინე, სადილს ვეღარ ჭამს სამი დღის განმავლობაში, _ უთხრა მან ფუკეს. _ ეცადე, ბ. პირარის მეგობარი მიპოვო, ვინმე იანსენისტი, რომელიც ინტრიგებში არაა გახვეული.

ფუკე მოუთმენლად ელოდა ამ თხოვნას. ჟიულიენი წესიერად ასრულებდა ყოველივეს, რასაც მისგან პროვინციის საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა. ბ. აბატ დე ფრილერის წყალობით და აღმსარებლის უხეირო არჩევანის მიუხედავად, ჟიულიენი თავის საკანში კონგრეგაციის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა; ცოტათი რომ ცდილიყო, გაქცევასაც მოახერხებდა. მაგრამ სატუსაღოს ცუდმა ჰაერმა გავლენა მოახდინა მასზე, თითქო გონება დაუჩლუნგდა. მით უმეტეს, ბედნიერად იგრძნო თავი ქალბატონ დე რენალის დაბრუნების გამო.

_ ჩემი უპირველესი ვალდებულება შენკენ მომიწოდებს, _ უთხრა ქალმა და გადაკოცნა. _ მე გამოვიქეცი ვერიერიდან...

ჟიულიენი არავითარ წვრილმან პატივმოყვარეობას არ იჩენდა მის წინაშე; ამიტომ თავისი სულმოკლეობის ამბავი უამბო. ქალი გულკეთილი და მომხიბლავი იყო ვაჟის მიმართ. საღამოთი მღვდელი მოაყვანინა, რომელიც ჟიულიენს ჩაებღაუჭა ნადავლივით. რადგან ამ მღვდელს უნდოდა, გავლენა მოეპოვებინა ბეზანსონის მაღალი საზოგადოების ახალგაზრდა ქალებზე, ქალბატონმა დე რენალმა ის ადვილად აიძულა ბრელეჰოს სააბატოში გამგზავრებულიყო ჟიულიენისთვის საწირავად.

არავითარი სიტყვით არ შეიძლება გადმოიცეს, რა უკიდურესობასა და სიგიჟემდე მიაღწია ჟიულიენის სიყვარულმა.

ქალბატონმა დე რენალმა ოქროს ძალა და თავისი მამიდის, ამ ცნობილი ღვთის მლოცველი და მდიდარი მანდილოსნის გავლენა გამოიყენა, რათა ჟიულიენი ორ-ორჯერ ენახა ყოველდღე.

ამ ამბის გაგონებაზე მატილდას მეშურნეობამ თავგზა დააკარგვინა. ბ. დე ფრილერი მას გამოუტყდა, ჩემი გავლენა ისეთი დიდი არ არის, რომ ყოველი წესის დარღვევა შევძლო და დღეში ერთის მეტად განახო შენი მეგობარიო. მატილდამ მზვერავი მიუჩინა ქალბატონ დე რენალს, რათა ყოველი მისი ნაბიჯი სცოდნოდა. ბ. დე ფრილერი ყოველ ძალ-ღონეს ხმარობდა, რათა მატილდასთვის დაემტკიცებინა, ჟიულიენი შენი ღირსი არ არისო. მაგრამ ამ ტანჯვა-წვალებაში ამ ქალს უფრო და უფრო შეუყვარდა ჟიულიენი, და თითქმის ყოველდღე ამწარებდა ეჭვებით ატანილი.

ჟიულიენი მთელი თავისი ძალ-ღონით ცდილობდა ბოლომდე პატიოსან მამაკაცად დარჩენილიყო ამ საბრალო ქალიშვილის მიმართ, რომელსაც მან ასე უცნაურად გაუტეხა სახელი; მაგრამ ყოველ წუთში იტაცებდა გაშმაგებული სიყვარული ქალბატონ დე რენალისადმი. ხანდახან ვერ ახერხებდა მატილდა დაერწმუნებინა, რომ მის მეტოქესთან შეხვედრაში არაფერი იყო დასაძრახისი. «ახლა ეს დრამა ჩქარა უნდა დასრულდეს, _ ფიქრობდა ვაჟი, _ ეს მე მამართლებს, რაკი თვალთმაქცობა არ შემიძლია».

მატილდა დე ლამოლმა გაიგო, რომ მარკიზი დე კრუაზენუა გარდაცვლილიყო. თავისი სიმდიდრით ცნობილ ბ. დე ტალერს თავისთვის ნება მიეცა უხამსად ელაპარაკა მატილდას გაქრობის გამო. ბ. დე კრუაზენუას მოეთხოვა, უარყავი შენი სიტყვებიო. ბ. დე ტალერს მისთვის უსახელო წერილები ეჩვენებინა, აღსავსე ისე მოხერხებულად შეკოწიწებული დეტალებით, რომ საბრალო მარკიზს არ შეეძლო ჭეშმარიტება არ დაენახა.

მაშინ დე ტალერს უხეში ხუმრობა დაეწყო. გულისწყრომითა და მწუხარებით მოთმინებადაკარგულ ბ. დე კრუაზენუას მისგან ისეთი მძიმე ბოდიშის მოხდა მოეთხოვა, რომ მილიონერს დუელისთვის მიეცა უპირატესობა. სისულელეს გაემარჯვა, და ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც ყველაზე ღირსი იყო სიყვარულისა, მომკვდარიყო ოცდაოთხი წლის ასაკში.

ამ სიკვდილმა რაღაც უცნაური, ავადმყოფური შთაბეჭდილება მოახდინა ჟიულიენის დასუსტებულ სულზე.

_ საბრალო კრუაზენუა, მართლაც რომ გონივრულად და პატიოსნად გვექცეოდა, _ უთხრა მან მატილდას. _ უნდა შევძულებოდი, როცა თქვენ იმდენი გაუფრთხილებლობა გამოიჩინეთ დედათქვენის სალონში. მას წაჩხუბების საბაბი უნდა ეძება, ვინაიდან ზიზღს ჩვეულებრივ გააფთრებული სიძულვილი მოსდევს.

ბ. დე კრუაზენუას სიკვდილმა სრულიად შეცვალა ჟიულიენის აზრები მატილდას მომავალზე: მან რამდენიმე დღე მოახმარა იმის მტკიცებას, რომ ქალი ბ. დე ლიუზზე უნდა გათხოვილიყო.

_ ეს გაუბედავი კაცი არც ისეთი დიდი იეზუიტია და უსათუოდ თქვენს მთხოვნელთა რიგში ჩადგება. მას უფრო მჭმუნვარე და თანმიმდევარი პატივმოყვარეობა აქვს, ვიდრე საბრალო კრუაზენუას ჰქონდა, და რადგან ძარღვებში დუკას სისხლი არ უდის, ადვილად შეირთავს ჟიულიენ სორელის ქვრივს.

_ და ქვრივს, რომელიც ზიზღით უცქერის დიდ ვნებათა ღელვას, _ უპასუხა მატილდამ ცივად, _ ვინაიდან ამქვეყნად დიდხანს იცხოვრა და მოესწრო, რომ მისმა მიჯნურმა ექვსი თვის შემდეგ უპირატესობა მისცა სხვა ქალს, ყველა თავისი უბედურების მიზეზს.

_ თქვენ უსამართლო ხართ: ქალბატონ დე რენალის აქ სიარული მჭევრმეტყველ ფრაზებს შთააგონებს პარიზელ ადვოკატს, რომელსაც ჩემი შეწყალების საქმე აქვს დაკისრებული. იგი დამხატავს მკვლელის სახით, რომელსაც თვით მისი მსხვერპლი სცემს პატივს. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება რაიმე მელოდრამის გმირად მიხილოთ...

გააფთრებულმა მეშურნეობამ, შურისძიების შეუძლებლობამ, განუწყვეტელმა და უიმედო კაეშანმა (ვინაიდან თუნდაც ჟიულიენი გადარჩენილიყო, როგორ მოენადირებინა მისი გული?), სირცხვილმა და მწუხარებამ, რაკი მას არასოდეს ასე ძლიერ არ ჰყვარებია ეს ორგული მიჯნური, მატილდა დე ლამოლს თითქო ლაპარაკის უნარი წაართვა. მისი ამ

მდგომარეობიდან გამოყვანა არ შეეძლო არც ბ. დე ფრილერის მზრუნველობას, არც ფუკეს ტლანქ გულწრფელობას.

რაც შეეხება ჟიულიენს, იმ წუთებს გარდა, რომელსაც მას მატილდა ართმევდა, ის სიყვარულით ცხოვრობდა და თითქმის არ ფიქრობდა მომავალზე. ამ გრძნობის გავლენა კი, როცა ის ძლიერი და გულწრფელია, ისეთია, რომ ადვილი გასაგებია, თუ ქალბატონი დე რენალი თითქმის ინაწილებდა მის უზრუნველობასა და შეუშფოთებელ სიხარულს.

_ წინათ, _ ეუბნებოდა მას ჟიულიენი, _ როცა შემეძლო ბედნიერი ვყოფილიყავი ვერჟის ტყეში შენთან ერთად სეირნობის დროს, ფიცხელი პატივმოყვარეობა ჩემს სულს საოცნებო ქვეყნებისკენ იტაცებდა. იმის მაგივრად, რომ გულზე მიმეკრა ეს მომხიბლავი ხელი, რომელიც ასე ახლო იყო ჩემს ტუჩებთან, ჩემს თავს შენ მომავალი გტაცებდა; მე ვფიქრობდი ურიცხვ ბრძოლაზე, რომელიც უნდა განმეცადა უდიდესი ბედნიერების მისაღწევად... არა, მე ისე მოვკვდებოდი, რომ ბედნიერებას ვერ ვიგემებდი, შენ რომ არ მოსულიყავი ჩემს სანახავად ამ სატუსაღოში.

ეს წყარი ცხოვრება ორმა მოვლენამ დაარღვია. თუმცა მისი მოძღვარი იანსენისტი იყო, მაინც იეზუიტების ინტრიგების ქსელში გაება და თავისდა უნებურად მათი იარაღი გახდა. ის ერთხელ ჟიულიენთან მოვიდა იმის სათქმელად, რომ თუ არ გინდა თვითმკვლელობის საშინელი ცოდვა ჩაიდინო, ყოველივე უნდა მოიმოქმედო შეწყალების მისაღებადო; ხოლო რადგან სამღვდელოებას დიდი გავლენა აქვს პარიზში, იუსტიციის სამინისტროში, უადვილესი გზა ისაა, რომ საქვეყნოდ აღიარო შენი სარწმუნოებაში მოქცევაო.

_ საქვეყნოდ! _ გაიმეორა ჟიულიენმა. _ აჰ, თქვენც, მამაო, როგორც ვხედავ, კომედიას თამაშობთ მისიონერივით...

_ თქვენმა ასაკმა, _ უპასუხა სერიოზულად იანსენისტმა, _ მშვენიერმა სახემ, რომელიც განგებამ მოგცათ, თვით თქვენი დანაშაულის საბაბმა, რომელიც აუხსნელი რჩება, გმირულმა ნაბიჯებმა, მატილდა დე ლამოლის მიერ გადადგმულმა თქვენს სასარგებლოდ, ბოლოს, გასაოცარმა მეგობრობამ, რომელსაც თქვენი მსხვერპლი იჩენს თქვენდამი, ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ თქვენ ბეზანსონელი ახალგაზრდა ქალების გმირი გახდით. მათ ყველაფერი დაივიწყეს თქვენი გულისთვის, თვით პოლიტიკაც კი... თქვენი მოქცევა გამოხმაურებას იპოვიდა მათს გულში და იქ ღრმა შთაბეჭდილებას დატოვებდა. თქვენ შეგეძლოთ უდიდესი სარგებლობა მოგეტანათ სარწმუნოებისთვის და ნუთუ მე ყოყმანს დავიწყებ მხოლოდ იმიტომ, რომ იეზუიტებიც

ამავე გზას დაადგებოდნენ ამ შემთხვევაში. ნუთუ ისინი ზიანს მოგვაყენებენ ამ განსაკუთრებულ გარემოცვაში? არა, ეს არ მოხდება... ცრემლები, რომელთაც თქვენი მოქცევა გამოიწვევს, გააბათილებს ვოლტერის თხზულებათა ათი გამოცემის გამხრწნელ გავლენას.

_ მე რაღა მრჩება, თუ ჩემი საკუთარი თავი შემეზიზღება? _ ჰკითხა ცივად ჟიულიენმა. _ წინათ პატივმოყვარე ვიყავი. არ მინდა ამისთვის ჩემი თავი გავკიცხო: მაშინ მე დროის პირობათა მიხედვით ვმოქმედებდი. ახლა მხოლოდ დღევანდელი დღით ვცხოვრობ. მაგრამ მე ღრმად უბედური გავხდებოდი, თუ რაიმე სულმოკლეობას გამოვიჩენდი ქვეყნის დასანახად...

მეორე, ბევრად უფრო საგრძნობი უსიამოვნება ჟიულიენს ქალბატონმა დე რენალმა მიაყენა. ვიღაც ინტრიგანმა მეგობარმა ქალმა ეს გულუბრყვილო და გაუბედავი არსება დაარწმუნა, ვალდებული ხარ სენ კლუში გაემგზავრო და ფეხქვეშ ჩაუვარდე მეფე შარლ მეათესო. ის მზად იყო მსხვერპლი გაეღო და გაშორებოდა ჟიულიენს. ასეთი თავგანწირულების შემდეგ მას უმნიშვნელოდ მიაჩნდა თავისი თავის საქვეყნოდ გამოფენა, რაიცა სხვა დროს სიკვდილზე უარესად ეჩვენებოდა.

_ მეფესთან წავალ და გამოვუტყდები, რომ ჩემი სატრფო ხარ. ადამიანის სიცოცხლე და ისიც ისეთი ადამიანის, როგორიც ჟიულიენია, ყოველ მოსაზრებაზე მაღლა უნდა იდგეს. ვეტყვი, მეშურნეობის კარნახით მოინდომა ჩემი მოკვლა-მეთქი. მრავალი მაგალითი არსებობს, რომ ასეთ შემთხვევებში ახალგაზრდა კაცებს იფარავს მოსამართლეთა ან მეფის ჰუმანურობა...

_ მე შენ ვეღარ გნახავ. მე დავკეტავ ჩემი სატუსაღოს კარს და მეორე დღეს უცილობლად თავს მოვიკლავ სასოწარკვეთილების გამო, თუ შენ არ შემომფიცე, რომ არავითარ ნაბიჯს არ გადადგამ, რომელიც ჩვენ ორივეს ბრბოს სათრეველად გაგვხდის. ეს პარიზში გამგზავრების აზრი შენ არ გეკუთვნის. მითხარი იმ ინტრიგანი ქალის სახელი, რომელმაც ეს ჩაგაგონა... ბედნიერი ვიყოთ იმ ორიოდე დღის განმავლობაში, რომელიც ამ წუთისოფელში დამრჩენია. ყველას დავემალოთ. ჩემი დანაშაული ისედაც აშკარაა. მატილდა დე ლამოლს დიდი გავლენა აქვს პარიზში. იცოდე, ის ყველაფერს გააკეთებს, რაც კი ადამიანს ძალუძს. აქ, პროვინციაში ყველა მდიდარი და წარჩინებული ადამიანი ჩემს წინააღმდეგაა ამხედრებული. შენი მოქმედება გააღიზიანებდა ამ მდიდრებს, ხოლო განსაკუთრებით ზომიერ ადამიანებს, რომელთათვისაც ცხოვრება ადვილი რამაა... ნუ

მივცემთ დაცინვის საბაბს მასლონებსა, ვალნოებს და მრავალ სხვებს, რომელნიც მათ სჯობიან.

ჯურღმულის მძიმე ჰაერი აუტანელი ხდებოდა ჟიულიენისთვის. საბედნიეროდ იმ დღეს, როცა ის დასასჯელად წაიყვანეს, ბუნებას ხალისიანი მზე ანათებდა და ჟიულიენი თავს მხნედ გრძნობდა. სუფთა ჰაერზე სიარულმა მას ისეთივე სიამოვნება მიანიჭა, როგორსაც ხმელეთზე გასეირნება ანიჭებს მეზღვაურს, რომელიც დიდხანს იყო გემზე. «არა უშავს რა, ყველაფერი კარგად მიდის, მე ვაჟკაცობა არ მაკლია», გაიფიქრა მან.

არასოდეს ეს თავი ისე პოეტური არ ყოფილა, როგორც იმ წუთში იყო, როცა ის ეშაფოტზე უნდა დაცემულიყო. ის არაჩვეულებრივი სიცხადით იგონებდა ბედნიერ წუთებს, რომელიც ერთს დროს განეცადა ვერჟის ტყეში.

ყოველივე მოხდა უბრალოდ, წესიერად. ბრალდებულს თავი ღირსეულად ეჭირა.

წინა დღით მან უთხრა ფუკეს:

_ არ შემიძლია ვითავდებო, რომ არ ავღელდები. ეს საკანი ისეთი საზიზღარი და ნესტიანია, რომ ხანდახან მაციებს და ჩემს თავს ვერცა ვცნობ; მაგრამ შიში კი არა მაქვს, და ჩემს გაფითრებას ვერავინ ვერ დაინახავს.

მან წინასწარ განარიგა, რომ სიკვდილის დღის დილით ფუკეს წაეყვანა მატილდაც და ქალბატონი დე რენალიც.

_ ერთსა და იმავე ეტლში ჩასვი, _ უთხრა მან თავის მეგობარს. _ ეცადე, რომ საფოსტო ცხენები ჭენებ-ჭენებით მიდიოდნენ. ისინი ან ერთმანეთს გადაეხვევიან, ან შეურიგებელ სიძულვილს გამოამჟღავნებენ. ორივე შემთხვევაში საბრალო ქალები ცოტა არ იყოს დაივიწყებენ თავიანთ საშინელ მწუხარებას.

ჟიულიენმა ქალბატონ დე რენალს მოსთხოვა - შემომფიცე, რომ იცოცხლებ, რათა მატილდას ვაჟზე იზრუნოო.

_ ვინ იცის, შეიძლება ჩვენ შეგრძნობათა უნარს ვინარჩუნებთ სიკვდილის შემდეგაც, _ უთხრა მან ფუკეს. _ მე მინდოდა განმესვენა (ჩემს სურვილს სწორედ სიტყვა ,,განსვენება» შეეფერება!) იმ დიდი მთის პაწია მღვიმეში, რომელიც ზემოდან დასცქერის ვერიერს. მრავალჯერ, როგორც შენთვის უკვე მიამბნია, მე ღამე გამიტარებია იქ და დავმტკბარვარ საფრანგეთის უმდიდრესი პროვინციების ცქერით. მაშინ ჩემი გული პატივმოყვარეობით იყო ანთებული... ეს გამოქვაბული ძვირფასია ჩემთვის და შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ თავისი მდებარეობის წყალობით ის შთაბეჭდილებას მოახდენს ფილოსოფოსის

სულზე... ჰოდა, ამ კეთილ ბეზანსონელ იეზუიტებს ფულის გაკეთება უყვართ. თუ საქმეს ხელი კარგად მოჰკიდე, ისინი მოგყიდიან ჩემს ნეშტს...

ფუკემ სასურველად დაამთავრა ეს სამწუხარო მოლაპარაკება. ღამე ის მარტოდმარტო იჯდა თავის ოთახში თავისი მეგობრის გვამთან, როცა მოულოდნელად მატილდა შევიდა. რამდენიმე საათის წინ მან ეს ქალი ათი ლიეს მანძილზე დატოვა ბეზანსონიდან. ქალი გონებადაკარგულივით აცეცებდა თვალებს.

_ მე მინდა იგი ვნახო, _ თქვა მატილდამ.

ფუკეს ძალა არ შესწევდა კრინტი დაეძრა ან წამომდგარიყო. მან მიუთითა დიდ ლურჯ წამოსასხამს, რომელიც იატაკზე იდო. მასში იყო გახვეული ჟიულიენის ნეშტი.

ქალი მუხლებზე დაეცა. ბონიფას დე ლამოლის და მარგარიტა ნავარელის მოგონებამ მას უცილობლად ზეადამიანური მხნეობა მისცა. მან აცახცახებული ხელებით გახსნა წამოსასხამი. ფუკემ პირი იბრუნა.

მას მოესმა, რომ მატილდა ჩქარი ნაბიჯით დადიოდა ოთახში. ის სანთლებს ანთებდა. როცა ფუკემ ძალა მოიკრიბა და ქალს შეხედა, დაინახა, რომ მას მარმარილოს პატარა მაგიდაზე დაედო ჟიულიენის თავი და შუბლზე კოცნიდა...

მატილდამ თავისი მიჯნური მის მიერ არჩეულ საფლავამდე მიაცილა. კუბოს მრავალი მღვდელი მისდევდა. არავინ არ იცოდა, რომ მატილდა მარტოდმარტო იჯდა ფარდაჩამოფარებულ ეტლში, მუხლებზე მას იმ მამაკაცის თავი ედო, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა.

ამ პროცესიამ მხოლოდ ღამით მიაღწია იურას მთების ერთ-ერთ მწვერვალს, სადაც ურიცხვი სანთლებით დიდებულად განათებულ მღვიმეში ოცმა მღვდელმა პანაშვიდი გადაიხადა. ყველა პატარა სოფლის მცხოვრებლები, რომელთაც ეს უცნაური ცერემონია დაინახეს, შეუერთდნენ ამ კორტეჟს.

მატილდა მათ შორის გამოჩნდა თავისი გრძელი სამგლოვიარო კაბით და პანაშვიდის შემდეგ რამდენიმე ათასი ხუთფრანკიანი დაარიგებინა მათთვის.

როცა ყველანი დაიშალნენ და ქალი დარჩა ფუკესთან ერთად, მან თავისი ხელით დამარხა თავისი მიჯნურის თავი. ფუკე კინაღამ გაგიჟდა მწუხარებისაგან.

მატილდამ იზრუნა, რომ ეს ველური მღვიმე იტალიაში მოჭრილი ძვირფასი მარმარილოს ქანდაკებით შეემკოთ.

ქალბატონმა დე რენალმა შეასრულა თავისი სიტყვა. მას არ უცდია თავის მოკვლა, მაგრამ სამი დღის შემდეგ ჟიულიენის დასჯიდან თავისით მოკვდა, როცა ბავშვებს ეხვეოდა.

* * *

თუმცა საზოგადოებრივი აზრის ბატონობა თავისუფლებას ქმნის, მაგრამ მისი ნაკლი ისაა, რომ ის ყველაფერში ერევა, მაგალითად, კერძო ცხოვრებაში. აქედან წარმოსდგება ამერიკისა და ინგლისის ცხოვრების მოწყენილობა. რათა თავიდან აეცილებინა კერძო ცხოვრებაში ხელების ფათური, ავტორმა მოიგონა პატარა ქალაქი ვერიერი, ხოლო როცა მას ეპისკოპოსი, სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა კოლეგია დასჭირდა, ყოველივე ეს ბეზანსონში მოათავსა, სადაც ის არასოდეს არ ყოფილა.

<u>შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი</u>

წითელი და შავი

გვ. 45. ფრანშკონტე _ აღმოსავლეთ საფრანგეთის პროვინცია, რომელიც შვეიცარიას ესაზღვრება.

გვ. 46. ჰელვეცია _ შვეიცარიის ლათინური სახელია.

მერი _ ქალაქის თვითმმართველობის უფროსი.

გვ. 47. ...1815 წელმა გახადა იგი ვერიერის მერად _ 1815 წელს, ნაპოლეონის საბოლოოდ დამარცხებისა და ტახტიდან გადაგდების შემდეგ, საფრანგეთში ე. წ. რესტავრაციის პერიოდი დაიწყო. გამეფდა ლუი XVIII, ძმა რევოლუციის დროს დასჯილი ლუი XVI-ისა. სახელმწიფოს სათავეში მონარქისტულად განწყობილი თავადაზნაურობა მოექცა.

გვ. 50. ლეგიტიმისტი _ ე. წ. კანონიერი (ბურბონების) დინასტიის მომხრე საფრანგეთში.

გვ. 51. ბონაპარტისტები – პარტია, რომელიც ცდილობდა ნაპოლეონის რეჟიმის აღდგენას.

იაკობინელები – უკიდურესი მემარცხენე პარტია საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს.

იტალიის არმია _ საფრანგეთის რევოლუციური არმია, რომელმაც ნაპოლეონის მეთაურობით (1796-1799) ჩრდილოეთ იტალიაში ავსტრიის ჯარები დაამარცხა და იქ რესპუბლიკური წეს-წყობილება დაამყარა.

გვ. 52. აპერტი _ ფრანგი ფილანთროპი, რომელმაც ბევრი იმოღვაწა ტუსაღთა ბედის გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც რესტავრაციის მთავრობა სდევნიდა.

ფლერი, კლოდ (1640-1723) _ ლუი XV-ის მოძღვარი, ავტორი შრომისა «ეკლესიის ისტორია».

გვ. 53. საფრანგეთის პერი _ საფრანგეთის პარლამენტის ზედა პალატის წევრი, რომელსაც მეფე ნიშნავდა. ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა.

გვ. 54. პრეფექტი _ დეპარტამენტის უფროსი ადმინისტრატორი.

გვ. 58. ქალბატონი მონტესონი (1737-1806) _ ფრანგი მწერალი ქალი, ერთ-ერთი ორლეანელი ჰერცოგის ფარული მეუღლე.

ქალბატონი დე ჟანლისი (1746-1830) _ მწერალი ქალი მონარქისტული მიმართულებისა, ავტორი ისტორიული რომანებისა, პედაგოგიური თხზულებებისა და მემუარებისა. ორლეანელი ჰერცოგისა და მეფე ლუი-ფილიპეს აღმზრდელი.

პალე როიალი _ ორლეანელ ჰერცოგთა საგვარეულო სასახლე.

დიუკრე (1747-1824) _ ჟანლისის ძმა, ეკონომისტი.

გვ. 61. «წმინდა ელენეს დღიური» _ დაწერილია ფრანგი ისტორიკოსის ემანუელ ლას-კაზასის (1766-1842) მიერ, რომელიც ნაპოლეონს წმინდა ელენეს კუნძულზე გაჰყვა და მისი საუბარი ჩაიწერა.

გვ. 63. ენიუსი (III-II ს. ძვ. წ.) _ რომაელი პოეტი. ციტირებული სიტყვები მიეკუთვნება რომაელი მხედართმთავრის ფაბიუს კონკტატორის სტრატეგიას მეორე პუნიკური ომების დროს.

გვ. 64. ...ეს გრძნობა რუსოს «აღსარებამ» შთააგონა _ თავის «აღსარებაში» დიდ ფრანგ მწერალს ჟან-ჟაკ რუსოს (1712-1778) სხვათა შორის მოთხრობილი აქვს, რომ იძულებული იყო ლაქიად ემსახურა დიდკაცებთან.

გვ. 65. ჟოზეფ დე მესტრი (1754-1821) _ კონტრრევოლუციონერი მწერალი, რომელიც რომის პაპისა და სამღვდელოების ხელისუფლების იდეას (თეოკრატიას) იცავდა თავის წიგნში «პაპის შესახებ».

გვ. 68. ...აღტაცებით ისმენდა ლოდის ხიდის, არკოლეს და რივოლის ბრძოლის ამბებს _ ლოდის ხიდსა, არკოლესა და რივოლისთან იტალიის ომის დროს ნაპოლეონმა სასტიკად დაამარცხა ავსტრიის ჯარები.

კონგრეგაცია _ იგულისხმება იეზუიტთა ორდენის ბერების საზოგადოება, რომელიც რესტავრაციის დროს კონტრრევოლუციური იდეების პროპაგანდას ეწეოდა.

«კონსტიტუსიონელი» _ ლიბერალური მიმართულების ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც რესტავრაციის დროს მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ასრულებდა.

გვ. 69. ჟოზეფინა დე ბოჰარნე _ ნაპოლეონის პირველი ცოლი, რომელსაც ის გაეყარა, რათა ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილი შეერთო.

გვ. 79. ჰორაციუსი (65-68 ძვ. წ.) _ სახელოვანი რომაელი პოეტი, ავტორი «ოდებისა», «ეპოდებისა», «სატირებისა». თავის ნაწარმოებებში - «პოეტური ხელოვნება» - ჩამოაყალიბა პოეტური ხელოვნების თეორია, რომელმაც კლასიციზმზე მოახდინა გავლენა.

გვ. 83. ...იგი აღიზარდა იესო ქრისტეს «წმინდა გულის» თაყვანისმცემელ მონაზვნებს შორის _ საფრანგეთში დედათა მონასტრებთან სკოლები არსებობდა მაღალი წოდებისა და შეძლებული ოჯახების ქალიშვილებისათვის, სადაც ისინი კლერიკალურ განათლებას ღებულობდნენ.

გვ. 84. ლუიდორი _ ოქროს ფული, რომელიც ოც ფრანკს უდრიდა.

გვ. 86. ბეზანვალი (1722-1791) _ შვეიცარიელი ოფიცერი, რომელმაც ლუი XV-ისა და ლუი XVI-ის ეპოქის შესახებ მეტად საინტერესო მემუარები დაწერა.

გვ. 87. «კოტიდიენი» _ ულტრაროიალისტების ყოველდღიური ორგანო. ქადაგებდა რეაქციულ იდეებს.

გვ. 94. ტიულრის პარკი _ ცნობილი პარკი პარიზში. გაშენებულია XVII საუკუნეში.

გვ. 95. გოდარი (1775-1823) _ ფრანგი ნატურალისტი, ავტორი წიგნისა «საფრანგეთის ქერცლფრთიანთა ისტორია».

გვ. 98. «დიდონა» _ კლასიკოსი მხატვრის გერენის (1774-1833) სურათი.

შტრომბეკი _ სტენდალის ნაცნობი, რომელიც 1806 წელს ბრაუნშვეიგის მთავრის კარზე მსახურობდა.

გვ. 101. შარლ მამაცი (1433-1477) _ ბურგუნდიის უკანასკნელი დუკა, რომლის შემდეგ ეს საჰერცოგო საფრანგეთს შეუერთდა.

გვ. 130. კორნელი, პიერ (1606-1684) _ სახელოვანი ფრანგი დრამატურგი, ტრაგედიების ავტორი.

გვ. 142. ფონტენუა _ სოფელი ბელგიაში, სადაც საფრანგეთის მარშალმა მორის საქსონელმა 1745 წელს ინგლისელებისა და ავსტრიელების ჯარი დაამარცხა. ორმოცდაათ ნაბიჯზე ერთმანეთს დაახლოებული მოწინააღმდეგენი ერთიმეორეს სთავაზობდნენ, არა, თქვენ ისროლეთ პირველად, არა, თქვენო. ფრანგებმა პირველი სროლის უფლება ინგლისელებს დაუთმეს, რამაც დიდი განადგურება გამოიწვია ფრანგთა მოწინავე რაზმებში, მაგრამ მათ საბოლოო გამარჯვებას ხელი ვერ შეუშალა.

გვ. 143. რიშელიე, არმან ჟან (1585-1642) _ კარდინალი, გამოჩენილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, სამეფოს მმართველი ლუი XIII-ის დროს.

გვ. 146. იანსენიზმი _ ზომიერი პროტესტანტული მოძრაობა კათოლიკურ ეკლესიაში (XVII-XVIII სს.). იგი უარყოფდა ნებისყოფის თავისუფლებას და პაპის უცოდველობის დოგმატს, და მორალურ სიმკაცრეს იცავდა იეზუიტების შემთანხმებელი მორალის წინააღმდეგ. იანსენისტები რამდენჯერმე შეჩვენებულ იქნენ, როგორც ერეტიკოსები.

გვ. 148. ...მეზარბაზნეებს, რომელთაც გამოცდა დაიჭირეს ლაიფციგთან და მონმირაილთან _ ლაიფციგთან 1813 წელს მოხდა ე. წ. «ხალხთა ბრძოლა», რომელიც ნაპოლეონის დამარცხებით დასრულდა, ხოლო მონმირაილთან 1814 წელს ნაპოლეონმა გაიმარჯვა.

გვ. 150. აპოკალიფსი _ მისტიკური წიგნი, რომელიც ლეგენდის მიხედვით, თითქოს იოანე მოციქულმა დაწერა კუნძულ პათმოსზე. ამ წიგნში ნაწინასწარმეტყველებია ანტიქრისტეს მოსვლა და ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვება.

გვ. 154. სიქსტეს კაპელა _ პაპის კარის სამლოცველო, აგებული სიქსტე IV-ის მიერ და შემკობილი ფრესკებით, რომელთა შორის ყველაზე ცნობილნი მიქელანჯელოს მიერაა შესრულებული.

Te Deum _ კათოლიკური ლოცვა, მოწყალების გამომთხოვი.

გვ. 162. ტრაპისტების ორდენი _ კათოლიკე ბერების ორდენი, რომელსაც მეტისმეტად მკაცრი წესდება ჰქონდა.

გვ. 194. ლაფონტენი (1612-1695) _ სახელოვანი ფრანგი მწერალი. ხსენებულ იგავში ის სასაცილოდ იგდებს ვერცხლის მოყვარე მღვდელს, რომელიც ეტლიდან

გადმოვარდნილი კუბოს ქვეშ მოჰყვა, როცა ანგარიშობდა, თუ რა გასამრჯელო უნდა მიეღო მიცვალებულის გაცილებისთვის.

გვ. 200. ...საზოგადოებრივი აზრი კი მრისხანე ძალაა ქვეყანაში, სადაც ქარტია არსებობს _ ტახტზე ასვლის დროს ლუი XVIII იძულებული გახდა, გამოეცა ქარტია, რომელიც მეტად შეზღუდულ კონსტიტუციურ თავისუფლებას ამყარებდა.

გვ. 201. Souvent femme varie, bien fol est qui s'y fie _ ქალი ცვალებადია; უგუნურია, ვინც მას ენდობა. გადმოცემის მიხედვით, ეს სიტყვები საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-მა თავისი ციხე-დარბაზის ფანჯრის მინაზე დააწერინა. ვერდის ოპერა «რიგოლეტოში» ამ სიტყვებს ახალგაზრდა ჰერცოგი მღერის.

გვ. 204. სინიორ ჯერონიმო _ სინიორ ჯერონიმოს ფსევდონიმით სტენდალმა გამოიყვანა პარიზის იტალიური თეატრის მომღერალი ლაბლაში.

გვ. 207. პულჩინელო _ იტალიური ხალხური კომედიის ერთ-ერთი ტიპი.

გვ. 216. მას ახსოვდა 1674 წლის გარემოცვის ისტორია _ ბეზანსონის ციხის გარემოცვა ფრანგების მიერ მოხდა, ე. წ. ჰოლანდიის ომის დროს, როდესაც საფრანგეთი ებრძოდა ევროპის კოალიციას (ჰოლანდიას, ავსტრიას, ესპანეთს, შვეიცას) და როდესაც მან ფრანშკონტე დაიპყრო.

გვ. 217. ბიზონციუმი _ ბეზანსონის ლათინური სახელწოდებაა.

გვ. 219. «ახალი ელოიზა» _ ჟან-ჟაკ რუსოს რომანი, ეპისტოლარული ჟანრით დაწერილი, სადაც ვნებიანი ენით სიყვარულისა და სქესის პრობლემების გარჩევა ხდება.

გვ. 226. Intelligenti pauca (ლათ.) _ გონიერისათვის ორიოდე სიტყვაც საკმარისია.

გვ. 227. ბოსუე, ჟაკ-ბენინი (1627-1704) _ გამოჩენილი ფრანგი ღვთისმეტყველი, ისტორიკოსი და მქადაგებელი; იცავდა სამეფო ხელისუფლების ღვთაებრიობის იდეას.

არნო _ იანსენისტი თეოლოგი.

ფლერი _ ეკლესიის ისტორიკოსი.

Vale et me ama (ლათ.) _ ჯანმრთელად იყავი და ჩემი სიყვარული იქონიე.

გვ. 228. წმ. იერონიმე, წმ. ავგუსტინე, წმ. ბასილი _ ქრისტიანული ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწეები (IV-V სს.).

ბონავენტურა _ კათოლიკე თეოლოგი და ფილოსოფოსი (XIII ს.).

გვ. 230. ბულა _ რომის პაპის ეპისტოლე, რომელსაც კათოლიკეებისთვის საეკლესიო კანონის ძალა აქვს.

Unam ecclesiam (ლათ.) _ ერთიან ეკლესიას. პაპის _ პიუს V-ის ერთ-ერთი ბულის დასაწყისი.

გვ. 232. ...წმინდა ფრანცისკივით, როცა მან აპენინის მთებში იარები მიიღო _ გადმოცემის მიხედვით, წმ. ფრანცისკს (XIII ს.) აპენინის მთებში ყოფნის დროს იარები (სტიგმატები) გამოაჩნდა სწორედ იმ ადგილებზე, სადაც ჯვარცმულ ქრისტეს ჰქონდა.

გვ. 233. სეიესი (1748-1836) _ აბატი, სასულიერო პირი, რომელიც რევოლუციურ მესამე წოდებას მიემხრო საფრანგეთის რევოლუციის დროს.

გრეგუარი (1750-1831) _ აბატი, რევოლუციური მოღვაწე, რომელმაც კონვენტში ხმა მისცა ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯას.

გვ. 237. სიქსტე V _ რომის პაპი (1521-1590). მისი ბიოგრაფი გვიამბობს, რომ პაპად არჩევამდე წელში მოხრილი დადიოდა და ისეთი მიხრწნილი სახე ჰქონდა, რომ ყველას ეგონა, სიკვდილის პირას არისო. მაგრამ როგორც კი კარდინალებმა, იმ იმედით, სულ ერთია, მალე მოკვდებაო, პაპად აირჩიეს, მან მოულოდნელად ყავარჯენი გვერდზე გადააგდო, წელში გაიმართა და ისეთი ძლიერი ხმით შესძახა სამადლობელი ჰიმნი, რომ დარბაზის ფანჯრებმა ზანზარი დაიწყესო.

გვ. 244. მარტინ ლუთერი (1483-1546) _ გერმანელი რეფორმატორი, პროტესტანტული ეკლესიის ერთ-ერთი დამაარსებელი. გერმანულად თარგმნა ბიბლია.

გვ. 248. Optime (ლათ.) _ საუცხოოა.

...ნაპოლეონმა კულტი აღადგინა _ საფრანგეთში რევოლუციის დროს გამოცხადებულ იქნა სინდისის სრული თავისუფლება. ნაპოლეონმა 1801 წელს პაპთან ხელშეკრულება დადო, რომლის მიხედვით, კათოლიკობა ფრანგების უმრავლესობის რელიგიად იქნა გამოცხადებული და მღვდლებს სახელმწიფოსაგან ჯამაგირი დაენიშნათ.

გვ. 249. ინდულგენცია _ ცოდვათა განტევება, რომელსაც პაპი იძლეოდა და რომელიც ერთხანს იყიდებოდა საგანგებოდ დანიშნული პირების მიერ.

გვ. 255. ...მის დროს რატომაც არ წავიდოდი _ იგულისხმება ნაპოლეონი.

...კითხვები მისცა წმ. იერონიმესა და მისი ციცერონისადმი მიდრეკილების შესახებ _ წმ. იერონიმე დიდი მოყვარული იყო კლასიკური

მწერლობისა და ხელოვნებისა, და როდესაც რომიდან სირიის უდაბნოში წავიდა საცხოვრებლად, თან ციცერონისა და სხვა წარმართი ავტორების ნაწერები წაიღო.

გვ. 256. ფიცხი ხასიათი _ ფიცხი ანუ ქოლერიკული (სწრაფად აღგზნებადი) ტემპერამენტის დახასიათება სტენდალმა მოგვცა «იტალიის ფერწერის ისტორიაში» (ნაწ. V, თავი 94).

გვ. 264. ბენიამინი _ ბიბლიური პატრიარქის, იაკობის უმცროსი და უსაყვარლესი ვაჟიშვილი.

გვ. 265. კონსტანტინე _ რომის იმპერატორი (247-337), რომელმაც სატახტო ქალაქი რომიდან ბიზანტიაში გადაიტანა და ქრისტიანული რელიგია სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა.

კორნელი ტაციტი (55-120) _ სახელოვანი რომაელი ისტორიკოსი, რომელმაც დიდი მხატვრული და მორალური სიძლიერით აღწერა თავისი დროის ზნედაცემული რომაელი საზოგადოების ცხოვრება.

გვ. 269. მარია ალაკოკი _ ფრანგი მონაზონი, რომელსაც ეჩვენა, რომ ქრისტემ სხეულში თავისი გული ჩაუდო და უბრძანა, ამ გულის პატივსაცემად დღესასწაული დაენიშნათ. ეს დღესასწაული მართლაც დაწესებულ იქნა XIX საკუნის დასაწყისში.

გვ. 289. სენტ-ბევი, შარლ-ოგიუსტენ (1804-1869) _ ფრანგი მწერალი, კრიტიკოსი და ლიტერატურის ისტორიკოსი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, ავტორი კრებულებისა: «ლიტერატურული პორტრეტები», «საუბარი ორშაბათობით» და სხვ.

გვ. 290. მირაბო, ონორე-გაბრიელ (1749-1791) _ საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწე, მესამე წოდების მომხრე, სახელგანთქმული ორატორი და ფართო გონების პოლიტიკოსი, მაგრამ ვერცხლის მოყვარე კაცი.

გვ. 294. მალმეზონი _ სასახლე ათი კილომეტრის მანძილზე პარიზიდან დასავლეთისაკენ. ეს იყო ნაპოლეონ I-ისა და მისი პირველი ცოლის, ჟოზეფინას საყვარელი რეზიდენცია. აქ 1815 წელს ნაპოლეონმა ხელი მოაწერა ტახტიდან გადადგომის აქტს.

გვ. 295. ...არავითარი არსებითი განსხვავება არ იყო არკოლესა, წმინდა ელენესა და მალმეზონს შორის _ ე. ი. ნაპოლეონის გამარჯვების, გაძევებისა და ტახტიდან გადადგომის ადგილებს შორის.

გვ. 296. ...მონაწილეობას ღებულობდა ესპანეთის ომში _ იგულისხმება ესპანეთის რევოლუციის ჩახშობა ფრანგთა ჯარების მიერ 1823 წელს ანგულემის დუკას მეთაურობით.

გვ. 297. გრევის მოედანი _ პარიზში, ამ მოედანზე, ჩვეულებრივ, სიკვდილით სჯიდნენ დამნაშავეებს.

მორერი, ლუი (1643-1680) _ ფრანგი მეცნიერი, ოცტომიანი «დიდი ისტორიული ლექსიკონის» შემდგენელი.

Adsum qui feci (ლათ.) _ ამის გამკეთებელი მე ვარ.

გვ. 298. ფილიპე II (1527-1598) _ ესპანეთის მეფე, მკაცრი ფანატიკოსი, კათოლიკური პოლიტიკის დამცველი.

ჰენრიხ VIII (1491-1547) _ ინგლისის მეფე. პაპისგან დამოუკიდებლად დააარსა ინგლისური ეროვნული ეკლესია.

გვ. 299. სორბონი _ უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლა, დაარსებული პარიზში XIII საუკუნეში მეფე წმინდა ლუის მოძღვრის, რობერ სორბონის მიერ. აქ ხშირად იმართებოდა თეოლოგიური დისპუტები. შემდეგ სორბონი პარიზის უნივერსიტეტის ფაკულტეტად იქცა.

კარდინალი გიიომ დიუბუა (1656-1723) _ ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც დაბალი წრიდან იყო გამოსული, მაგრამ თავისი ნიჭისა და ოინბაზობის შემწეობით ბოლოს მინისტრი გახდა.

გვ. 300. ...რობესპიერსა და მის ფორანს ხედავენ ყოველი ღობის გადაღმა _ საფრანგეთის რევოლუციის დროს სიკვდილმისჯილნი გილიოტინისკენ ფორნით მიჰყავდათ.

სენ ჟერმენის გარეუბანი _ პარიზის არისტოკრატიული უბანი.

გვ. 302. ანრი III (1551-1589) _ საფრანგეთის მეფე, უკანასკნელი წარმომადგენელი ვალუათა დინასტიისა. მის შემდეგ ბურბონები გამეფდნენ.

გვ. 303. ...ჟიულიენ დე სორელის სახელწოდებით შეიტანა თავის დავთარში _ «დე» ნაწილაკი გვარის წინ აზნაურობის მაჩვენებელია საფრანგეთში.

მარშალი მიშელ ნეი (1769-1815) _ ნაპოლეონის გამოჩენილი სარდალი, რომელსაც ლუი XVIII-მ საფრანგეთის პერობა მისცა. როცა ნაპოლეონი ელბიდან დაბრუნდა, მას მიემხრო, მონაწილეობა მიიღო ვატერლოოს ბრძოლაში, მტერს ტყვედ ჩაუვარდა და დახვრეტილ იქნა პერთა პალატის განაჩენით.

გვ. 305. Cela (ფრანგ.) _ ეს.

გვ. 309. წარწერათა აკადემია _ საფრანგეთის სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებს იკვლევს.

შაპელი, კლოდ-ემანუელ (1626-1686) _ ფრანგი პოეტი ლუი XVI-ის ეპოქისა.

სოუთი, რობერ (1774-1843) _ ინგლისელი პოეტი კონსერვატიული მიმართულებისა. თავს ესხმოდა ბაირონს და ბრალს დებდა ამორალობაში. მის წინააღმდეგ დაწერა პოემა «სამსჯავროს ხილვა».

ავგუსტუსი (63 ძვ. წ. _ 14 ახ. წ.) _ რომაელი იმპერატორი, რომლის დროსაც აყვავდა რომაული ლიტერატურა.

გეორგ IV _ ინგლისის მეფე, რომლის თანამედროვე იყო ბაირონი.

მეცენატი _ მდიდარი რომაელი მოქალაქე, რომელიც მფარველობდა თავის თანამედროვე პოეტებს.

ვენეციის დოჟი _ ვენეციის რესპუბლიკის სენატის მიერ არჩეული მეთაური შეზღუდული ხელისუფლებით.

გვ. 310. «ბაბილონის პრინცესა» _ მოთხრობა, რომელშიც ბაბილონის პრინცესისა და მისი საყვარლის თავგადასავლის სახით მოცემულია მძაფრი სატირა პაპისა და კათოლიკური სამღვდელოების წინააღმდეგ.

გვ. 316. ბერანჟე, ჟან-პიერ (1780-1857) _ ფრანგი პოეტი, რომელსაც რესტავრაციის მთავრობა სდევნიდა რევოლუციური სიმღერების შეთხზვისათვის.

ლურჯი ლენტი _ სულიწმინდის ორდენი, რომელიც განსაკუთრებით იყო გავრცელებული რესტავრაციის ეპოქაში.

როსინი, ჯოაკინო (1792-1868) _ იტალიელი კომპოზიტორი, ოპერების - «სევილიელი დალაქი», «ოტელო», «ვილჰელმ ტელი» - და სხვათა ავტორი.

«გაზეტ დე ფრანსი» _ როიალისტური მიმართულების გაზეთი საფრანგეთში.

გვ. 317. ...ეზიზღებოდათ ყველანი, ვისი წინაპრებიც მეფის ეტლში არ მჯდარან _ მეფის ნადირობის დროს მის ეტლში ჩაჯდომის უფლება ჰქონდათ იმ პირთ, ვინც წარდგენილნი იყვნენ მეფის კარზე და განსაკუთრებული დამსახურება და ტიტულები გააჩნდათ.

გვ. 320. აბატი პრადტი – ნაპოლეონ I-ის მოძღვარი.

ტალეირანი, შარლ-მორის (1754-1838) _ გამოჩენილი ფრანგი დიპლომატი დიქტატორიის, კონსულატის, პირველი იმპერიისა და რესტავრაციის ხანაში. დიდი ჭკუის, მაგრამ დაბალი ზნეობის ადამიანი.

პოცო დი ბორგო _ რუსი დიპლომატი, ალექსანდრე I-ის პირადი მრჩეველი, წარმოშობით კორსიკელი, ნაპოლეონის მოწინააღმდეგე.

გვ. 321. ბატონი (ფრანგ. baton) _ ჯოხი.

ბულიონი (ფრანგ. bouillon) _ ნახარში.

გვ. 325. კონტი (1788-1859) _ ცნობილი მეფოკუსე და მკითხავი. 1825 წლიდან პარიზში საკუთარ თეატრში გამოდიოდა.

ნერვალის სამინისტრო _ იგულისხმება პოლინიაკის უკიდურესი როიალისტური სამინისტრო, რომელმაც მარტინიაკის ზომიერი ლიბერალური სამინისტრო შეცვალა და თავისი რეაქციული ზომებით დააჩქარა ივლისის რევოლუციის აფეთქება 1830 წელს.

ლორდი ჰოლანდი (1773-1840) _ შეუდრეკელი ინგლისელი ვიგი (ლიბერალი). თავის სიტყვებში მოითხოვდა, რომ ნაპოლეონის ცხოვრების პირობები გაეუმჯობესებინათ წმინდა ელენეს კუნძულზე.

დუკა დე კასტრი _ საფრანგეთის მარშალი და საზღვაო მინისტრი ძველი რეჟიმის დროს, ემიგრანტი რევოლუციის ხანაში.

დალამბერი, ჟან-ლერონ (1717-1783) _ ფრანგი მათემატიკოსი და ფილოსოფოს-განმანათლებელი, დიდროსთან ერთად «ენციკლოპედიის» რედაქტორი.

რუსო, ჟან-ჟაკ (1712-1778) _ ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, მწერალი. თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით დიდი გავლენა იქონია რეალიზმის განვითარებაზე მხატვრულ ლიტერატურაში. მისი ნაწარმოებებია: «ჟიული, ანუ ახალი ელოიზა», ავტობიოგრაფიული რომანი «აღსარება» და სხვა.

გვ. 327. გრაფი დე ტალერი _ გრაფ დე ტალერის სახით სტენდალს მხედველობაში ჰყავს ბარონი როტშილდი, რომელსაც არაერთგზის უსესხებია ფული რესტავრაციის მთავრობისათვის.

გვ. 336. კავალერი _ აზნაურის ტიტულია, უფრო დაბალი, ვიდრე ბარონის ტიტული. მას, ჩვეულებრივ, გრაფის და მარკიზის უფროსი ვაჟები ატარებდნენ.

გვ. 339. «გრაფი ორი» _ როსინის ოპერა, რომელიც პარიზში პირველად 1828 წელს წარმოადგინეს.

გვ. 340. ჰიერის კუნძულები _ ხმელთაშუა ზღვის კუნძულები ქ. ტულონის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ნაზი და თანაბარი ჰავის გამო კარგ საზამთრო კურორტად ითვლება.

ტიტუს ლივიუსი (59 ძვ. წ. _ 19 ახ. წ.) _ სახელოვანი რომაელი ისტორიკოსი. თავის «დეკადებში» მოგვცა რესპუბლიკური რომის მოღვაწეთა და ზნე-ჩვეულებათა ქება.

გვ. 341. რივაროლი, ანტუან (1753-1801) _ ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც რევოლუციის დროს გერმანიაში გადასახლდა. გონებამახვილი და ენამოსწრებული მოსაუბრე.

გვ. 345. ლოუ, ჰუსდენ (1769-1844) _ ინგლისელი გენერალი, ნაპოლეონის ულმობელი მედილეგე წმ. ელენეს კუნძულზე.

ლორდი ბატერსტი _ ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, ნაპოლეონისა და საფრანგეთის რევოლუციის გააფთრებული მოწინააღმდეგე. მან დანიშნა ნაპოლეონის მეთვალყურედ გენერალი ლოუ.

გვ. 352. ალჰამბრა (ალამბარი) _ მავრიტანული სტილის საუცხოო სასახლე გრენადაში (ესპანეთში), საუკეთესო ნიმუში არაბთა ხუროთმოძღვრებისა (XIII ს.).

გვ. 355. «სოციალური ხელშეკრულება» _ ჟან-ჟაკ რუსოს ცნობილი ტრაქტატი, რომელშიც ავტორი სოციალური თანასწორობისა და ხალხის ხელისუფლების იდეას იცავს. ამ თხზულებამ დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწეებზე.

...იგი კმაყოფილი იყო თავისი ცოდნისა, როგორც აკადემიკოსი, რომელმაც მეფე ფერეტრიუსი აღმოაჩინა _ ნამდვილად ფერეტრიუსი იუპიტერის უფროს ქურუმს ერქვა ძველ რომში. ერთმა აკადემიკოსმა ის შეცდომით მანამდე უცნობი რომაელი მეფის სახელად მიიღო.

გვ. 356. კონგრეგაციის პოლიცია _ იგულისხმება იეზუიტთა ორდენის პოლიცია.

გვ. 359. კონრადინი _ ჰოჰენშტაუფენთა გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელიც დაამარცხა და ჯალათს მოაკვლევინა მისმა მოწინააღმდეგემ შარლ ანჟუელმა.

გვ. 360. ქალბატონი დე სტალი (1766-1817) _ გამოჩენილი ფრანგი მწერალი ქალი, დევნილი ნაპოლეონის მიერ ლიბერალური აზროვნებისათვის; ავტორი წიგნისა «გერმანიის შესახებ», რომელმაც გავლენა მოახდინა ფრანგ რომანტიკოსებზე.

გვ. 362. დანტონი, ჟორჟ-ჟაკ (1759-1794) _ საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოღვაწე, საზოგადოების ხსნის კომიტეტის წევრი,

რევოლუციური ტრიბუნალის დამაარსებელი, საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი. იგი თანდათან ზომიერი პოლიტიკისკენ გადაიხარა, რასაც მოჰყვა მისი დამარცხება კონვენტში და სიკვდილით დასჯა.

გვ. 364. ოქროს ვერძის ორდენი _ ყველაზე დიდი ორდენი ესპანეთში.

გვ. 365. ...მათმა შორეულმა წინაპრებმა საქმენი საგმირონი ჩაიდინეს ანრი IV-ის დროს _ ანრი IV-ის (1553-1610) დროს ფრანგ კათოლიკებსა და პროტესტანტებს (ჰუგენოტებს) შორის გაუთავებელი ომები წარმოებდა.

გვ. 366. ჟირონდელები _ ზომიერი დემოკრატიული პარტია საფრანგეთის რევოლუციის დროს.

გვ. 368. კურიე, პოლ-ლუი (1772-1825) _ ფრანგი პუბლიცისტი, მახვილი და ბრწყინვალე პოლიტიკური პამფლეტების ავტორი.

მიურატი, იოახიმ (1767-1815) _ საფრანგეთის მარშალი, ნაპოლეონის სარდალი. გონებაშეზღუდული კაცი იყო, მაგრამ სახელი ჰქონდა განთქმული ვაჟკაცობითა და პატივმოყვარეობით.

ვაშინგტონი, ჯორჯ (1732-1799) _ გამოჩენილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე, შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი.

პიშეგრიუ _ ფრანგი გენერალი, რომელმაც შეთქმულება მოაწყო ნაპოლეონის წინააღმდეგ (1804 წ.). თავი ჩამოიხრჩო სატუსაღოში.

ლაფაიეტი, მარი ჟოზეფ (1757-1834) _ გენერალი, ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ლიბერალი.

«რევოლუციის ისტორია» _ რევოლუციის ისტორია, რომელსაც ჟიულიენი კითხულობს, ეკუთვნის ა. ტიერს (1797-1877), რომლის უკანასკნელი ტომი 1827 წელს გამოვიდა. თხზულება ლიბერალური სულისკვეთებითაა დაწერილი. მან უდიადესი როლი შეასრულა ეპოქის იდეოლოგიურ ბრძოლაში.

გვ. 369. კარნო (1775-1823) _ მათემატიკოსი, საფრანგეთის რევოლუციის მოღვაწე, რევოლუციური არმიების ორგანიზატორი.

ველი (1709-1759) _ ფრანგი იეზუიტი, ავტორი მონარქისტული სულისკვეთებით გამსჭვალული თხზულებისა _ «საფრანგეთის ისტორია».

გვ. 370. მიქელანჯელო (1475-1564) _ დიდი იტალიელი მოქანდაკე, მხატვარი და ხუროთმოძღვარი. მას ეკუთვნის ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ფრესკები სიქსტეს კაპელაში.

გვ. 371. პიემონტისა და ესპანეთის რევოლუცია _ მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში ესპანეთსა და პიემონტში რევოლუცია მოხდა, მაგრამ ორივე ქვეყანაში დამარცხდა, ნაწილობრივ ბელადთა უენერგიობის, ნაწილობრივ კი უცხო ჯარების ჩარევის გამო.

გვ. 373. «ერნანი» _ ჰიუგოს დრამის «ერნანის» პირველმა წარმოდგენამ ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გამოიწვია კლასიკოსებსა და ჰიუგოს მომხრე რომანტიკოსებს შორის (1830 წლის 25 თებერვალს).

ტალმა (1763-1813) _ გამოჩენილი ფრანგი ტრაგიკოსი, ნაპოლეონის საყვარელი მსახიობი.

აბატი დელილი (1738-1813) _ ფრანგი პოეტი «აღმწერლობითი სკოლისა». რომანტიკოსებისა და, მათ რიცხვში, სტენდალის სასტიკი დაცინვის საგანი იყო. ვერგილიუსისა და მილტონის მთარგმნელი.

გვ. 374. მარგარიტა ნავარელი _ მეფე შარლ IX-ის და, ანრი IV-ის ცოლი, გათხოვებამდე პრინცესა ვალუა.

გვ. 375. 1572 წლის 24 აგვისტო _ ამ დღეს, წმ. ბართლომეს ღამეს, ფანატიკოსმა კათოლიკებმა პარიზში გაჟლიტეს ჰუგენოტები (პროტესტანტები), რომელნიც იქ თავმოყრილნი იყვნენ მარგარიტა ვალუასა და ანრი ნავარელის დაქორწინების გამო.

გვ. 376. დ'ობინიე, აგრიპა (1552-1630) _ ფრანგი მწერალი, პროტესტანტი მხედართმთავარი და ისტორიკოსი, მხურვალე კალვინისტი, საფრანგეთის რელიგიური ომების მონაწილე.

აბატი ბრანტომი (1540-1614) _ ფრანგი მწერალი, რომელმაც დიდი სიმართლით დახატა თავისი დროის ცნობილი პირების ყოფა-ცხოვრება და ბიწიერებანი.

ლეტუალი (1546-1611) _ მისი მემუარები მდიდარ მასალას შეიცავენ საფრანგეთის XVI საუკუნის მეორე ნახევრის ყოფა-ცხოვრების გასაცნობად.

ლიგის ომები _ რელიგიური ომები საფრანგეთში XVI საუკუნის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში კათოლიკურ ლიგასა და პროტესტანტებს (ჰუგენოტებს) შორის, რომლებიც ამ უკანასკნელთა დამარცხებითა და გაძევებით დამთავრდა.

გვ. 382. ვაგრამის ბრძოლა (1809 წ.) _ ამ ბრძოლაში ნაპოლეონმა სასტიკად დაამარცხა ავსტრიის ჯარები.

გვ. 383. აბატი მორი (1746-1817) _ ფრანგი საეკლესიო ორატორი, რომელიც ნაპოლეონმა ეპისკოპოსად აკურთხებინა მას შემდეგ, რაც მან ემიგრაციიდან მლიქვნელობით აღსავსე წერილი მისწერა.

გვ. 384. «მანონ ლესკო», «ახალი ელოიზა» _ XVIII საუკუნის ცნობილი რომანები. პირველი აბატ პრევოს ეკუთვნის, ხოლო მეორე – ჟან-ჟაკ რუსოს.

«პორტუგალიელი მონაზონის წერილები» _ მიეკუთვნება პორტუგალიელ არისტოკრატ ქალს, მონაზვნად აღკვეცილ მარიანე ალკაფოსადას. მან ამ წერილებში დიდი უბრალოებითა და სიძლიერით გამოხატა თავისი მგზნებარე ვნება ფრანგ მარშალ შამიისადმი, რომელსაც ქალი თავდაპირველად აგრეთვე ვნებიანად უყვარდა, მაგრამ შემდეგ მიატოვა. ეს წერილები პირველად 1669 წელს გამოქვეყნდა.

ბასომპიერი, ფრანსუა (1579-1646) _ საფრანგეთის მარშალი და დიპლომატი, ბრწყინვალე ჭკუის ადამიანი. თორმეტი წელი ბასტილიაში გაატარა. დატოვა საინტერესო მემუარები.

ეკატერინე მედიჩი (1519-1589) _ ანრი II-ის ცოლი, რეგენტი თავისი ვაჟის, შარლ IX-ის მცირეწლოვანების დროს. მარჯვე, მაგრამ ნაკლებ სინდისიერი პოლიტიკოსი. ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა ბართლომეს ღამის მოწყობაში.

ლუი XIII (1610-1643) _ საფრანგეთის მეფე. მისი უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ ყურს უგდებდა და მისდევდა თავისი დიდი პირველი მინისტრის კარდინალ რიშელიეს რჩევებს.

ვანდეა _ პროვინცია ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში, სადაც როიალისტებმა ამბოხება დაიწყეს საფრანგეთის რევოლუციის დროს და ეს პროვინცია ხანგრძლივი და მედგარი სამოქალაქო ომის ასპარეზად აქციეს.

გვ. 387. მეზალიანსი _ უთანასწორო ქორწინება.

გვ. 391. ...სამღვდელოებისათვის მისი ტყეები დაებრუნებინა _ რევოლუციის დროს სამღვდელოებისათვის რეკვიზირებული ტყეები სახელმწიფოს კუთვნილებას წარმოადგენდა და 1814 წელს შეადგენდა სახელმწიფო სესხის გარანტიას. რეაქციული პარტიის ერთ-ერთი ამოცანა იყო ამ ტყეების დაბრუნება მათი უწინდელი მფლობელებისათვის.

კობლენცი _ გერმანიის ქალაქი. აქ საფრანგეთის რევოლუციის დროს გრაფ დ'არტუას (მომავალი მეფის შარლ X-ის) გარშემო დიდძალმა ფრანგმა ემიგრანტმა

არისტოკრატმა მოიყარა თავი. მათ შექმნეს არმია, რითაც უნდოდათ საფრანგეთში შეჭრა და ძველი რეჟიმის აღდგენა.

გვ. 394. მაკიაველი, ნიკოლო (1469-1527) _ იტალიელი მწერალი, ავტორი წიგნისა «სახელმწიფოსათვის», სადაც ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ყოველი ღონისძიება - მოტყუება, ორპირობა, მკვლელობა დასაშვებია.

გვ. 397. ლეონტინა ფე _ კომედიის მსახიობი ქალი, რომელიც იმ დროს «ჟიმნაზის» თეატრში გამოდიოდა, უპირატესად სკრიბის პიესებში.

გვ. 399. ...მისი ქალი ტაბურეტს მაინც მიიღებდა _ ტაბურეტზე ჯდომის უფლება მხოლოდ დუკათა მეუღლეებს ჰქონდათ მეფეებისა და დედოფლების წინაშე.

გვ. 400. ლუი IX (წმინდა) (1214-1270) _ საფრანგეთის მეფე, რომელმაც XIII საკუნეში ორი ჯვაროსნული ომი მოაწყო, ერთი - პალესტინაში, მეორე _ ტუნისში.

კარდინალი პერენო დე გრანველი (1517-1586) _ წარმოშობით ბეზანსონელი, ესპანეთში მინისტრად იყო შარლ V-ისა და ფილიპე II-ის კარზე.

გვ. 401. ...მე მეორე კოლონელი კარონი ვიქნები _ კოლონელმა (პოლკოვნიკმა) კარონმა 1822 წელს სცადა აჯანყება მოეწყო საფრანგეთის კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ. პოლიციამ პროვოკაცია მოუწყო, დაიჭირა და დახვრიტა.

გვ. 404. ჟარნაკი და მონკონტური _ ეს ქალაქები ცნობილია ბრძოლებით, რომლებშიც რელიგიური ომების დროს ფრანგმა კათოლიკებმა ანრი III-ის მეთაურობით რეფორმატორებზე გაიმარჯვეს.

გვ. 405. ბაილენის კაპიტულაცია _ 1808 წელს ესპანეთის ქალაქ ბაილენთან ნაპოლეონ პირველის გენერალმა დიუპონმა ხელი მოაწერა კაპიტულაციას. ესპანელებმა არ შეასრულეს კაპიტულაციის პირობები. როცა ნაპოლეონი თავისი ჯარით მადრიდს მიადგა, ესპანელი გენერლის, მორლის თხოვნაზე კაპიტულაციის შესახებ, უპასუხა: არის ამბები, რომლებზეც არ ლაპარაკობენო. მატილდა დე ლამოლი ოდნავ ცვლის ამ ფრაზას.

გვ. 406. ...ამდენი საფრთხის წინაშე რაღა დამრჩენია, მხოლოდ ჩემი თავი _ ეს სიტყვები ამოღებულია კორნელის ტრაგედიიდან «მედეა», რომელსაც სიუჟეტად ცნობილი ბერძნულ-კოლხური მითი უდევს.

გვ. 411. აბელარი, პიერ (1079-1142) _ ფრანგი თეოლოგი და ფილოსოფოსი, სახელგანთქმული აგრეთვე თავისი რომანით ელოიზასთან. იყო ცნობილი

სქოლასტიკოსი და პოეტი, პარიზის უნივერსიტეტის დამაარსებელი. მას თავს დაესხნენ მისი სატრფოს, ელოიზას ნათესავები და დაასაჭურისეს.

...მე თქვენ სახეში შემოგკრავთ, როგორც კეისრის ჯარისკაცები შვრებოდნენ ფარსალთან _ ფარსალთან იულიუს კეისარმა დაამარცხა პომპეუსი (48 ძვ. წ.).

გვ. 433. როლანი, ჟან-მარი (1734-1793) _ ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ჟირონდელების მეგობარი, საგარეო საქმეთა მინისტრი 1792 წელს. თავი მოიკლა, როცა თავისი ცოლის სიკვდილით დასჯის ამბავი შეიტყო. ქალბატონი როლანი _ მისი ცოლი, დიდი გონებისა და განათლების პატრონი, ეშაფოტზე დაიღუპა 1793 წელს ჟირონდელებთან მეგობრობისათვის.

გვ. 434. ჩიმაროზა, დომენიკო (1749-1801) _ იტალიელი კომპოზიტორი, ავტორი კომიკური ოპერისა «ფარული ქორწინება», რომელსაც სტენდალი საუკეთესო კომიკურ ოპერად თვლიდა.

გვ. 444. სენ კლუ _ იმ დროს მეფის რეზიდენცია პარიზის მახლობლად.

...მის ხასიათში ჩანს საოცარი მსგავსება იმპერატორ ალექსანდრესთან _ თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I გატაცებული იყო სხვადასხვა მისტიკური მოძღვრებით.

გვ. 449. «საიდუმლო ნოტა» _ XXI და შემდგომ თავებში აღწერილია მოვლენები, რომლებიც მოგვითხრობენ უკიდურეს როიალისტთა საიდუმლო ინტრიგების შესახებ რესტავრაციის პირველ წლებში. ნაპოლეონის მეორედ დაცემის შემდეგ საფრანგეთი ოკუპირებულ იქნა ევროპის კოალიციის ჯარებით, რომელთაც ბურბონთა ტახტი მოსალოდნელი რევოლუციური მოძრაობებისაგან უნდა დაეცვათ. უკიდურესი როიალისტები უკმაყოფილონი იყვნენ მთავრობისა თვით ამ რეაქციული პოლიტიკითაც კი და ლონდონში საიდუმლო აგენტებს აგზავნიდნენ, რათა ინგლისისთვის ოკუპაციის გაგრძელება ეთხოვათ. ერთ-ერთი ასეთი აგენტი იყო ჟიულ დე პოლინიაკი (1780-1847), რომელიც ლონდონში ჩავიდა კონტ დ'არტუას (შემდგომში მეფე შარლ X-ის) კარნახით დაწერილი «საიდუმლო ბარათით». სტენდალმა თავის რომანში ეს ეპიზოდი გამოიყენა.

გვ. 458. პიტტი, უილიამ (1759-1806) _ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის შეურიგებელი მტერი.

გვ. 459. ველინგტონი, არტურ (1769-1852) _ ინგლისელი გენერალი, რომლის მეთაურობითაც ინგლისელ-პრუსიელთა ჯარმა ნაპოლეონი დაამარცხა ვატერლოოსთან (1815 წ.).

გვ. 461. «...რა მოელის მას - ღმერთად გადაქცევა, მაგიდად თუ გატეხილ ვარცლად?» _ ადგილი ლაფონტენის იგავიდან «მოქანდაკე და იუპიტერის ქანდაკება» (წიგნი IX, იგავი VI).

რიშელიე, არმან ემანუელ (1766-1822) _ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რესტავრაციის დროს, რომელმაც შეძლო დათქმულ ვადამდე გაეთავისუფლებინა საფრანგეთი მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარებისაგან.

«გლობუსი» _ ფრანგული ლიბერალური ჟურნალი, რომელიც რესტავრაციის მთავრობას ებძოდა.

გვ. 462. კლებერი, ჰოში, ჟურდანი, პიშეგრიუ _ აქ ჩამოთვლილია საფრანგეთის რევოლუციური არმიის გენერლები.

კატელინო _ როიალისტი გლეხი, რომელიც ვანდეელთა ერთ რაზმს მეთაურობდა საფრანგეთის რევოლუციის დროს. დაიღუპა 1793 წელს.

გვ. 463. «ბატალიონებად დაირაზმეთ!» _ იაკობინელთა სიმღერა «მარსელიეზა», რომელიც პატრიოტულ რევოლუციურ ჰიმნად იქცა.

გუსტავ-ადოლფი (1594-1682) _ შვეციის მეფე, ნიჭიერი სარდალი. გერმანიის პროტესტანტებს მიეშველა ოცდაათწლიანი ომის დროს და რამდენჯერმე სასტიკად დაამარცხა გერმანიის იმპერატორის ჯარები.

გვ. 464. ჰიუმი, დავიდ (1711-1776) _ ინგლისელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, ემპირიული ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი.

ლორდ ბრუმი _ ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ლიბერალი და გამოჩენილი ორატორი.

გვ. 468. ...ჰკითხეთ წმ. როქის ეკლესიის ზარბაზანს _ 1795 წლის 13 ვანდემიერს როიალისტებმა აჯანყება დაიწყეს და წმ. როქის ეკლესიის შესავალში გამაგრდნენ. კონვენტის ჯარმა გენერალ ნაპოლეონის მეთაურობით არტილერიით გაფანტა ისინი.

გვ. 475. დეზე (1763-1800) _ ნაპოლეონის გენერალი, რომელმაც 1796 წელს კელთან (გერმანიაში) თავისი ჯარით შეაჩერა ავსტრიის არმია, სანამ ფრანგებმა იტალიის კამპანია არ მოიგეს.

სენ სირი, გუვიონ (1764-1830) _ ნაპოლეონის გენერალი, განათლებული ადამიანი და ნიჭიერი სტრატეგი; მონაწილეობა მიიღო რევოლუციასა და ნაპოლეონის მრავალ ომში.

გვ. 480. კვაკერები _ სარწმუნოებრივი სექტა, დაარსებული XVII საუკუნეში და გავრცელებული განსაკუთრებით ინგლისსა და ამერიკაში. უარყოფდნენ ყოველივე საეკლესიო ცერემონიალს, სამკაულსა და იერარქიას, ეწინააღმდეგებოდნენ ომს და ერთმანეთისაგან უბრალოებას, ზნეობრივ სიმკაცრესა და ქველმოქმედებას მოითხოვდნენ.

გვ. 482. კარბონაროები _ საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციის წევრები XIX საუკუნის პირველ წლებში; იბრძოდნენ დემოკრატიული რეფორმებისა და იტალიის გაერთიანებისათვის.

გვ. 488. ფარული მთავრობა – იგულისხმება რეაქციონული კამარილია, რომელიც შარლ X-ის მეფობის უკანასკნელ წლებში განაგებდა სახელმწიფო საქმეებს.

გვ. 490. დუკა სენ სიმონი (1675-1755) _ ფრანგი მწერალი, ლუი XIV-ის კარისკაცი. თავის მემუარებში ორიგინალური და მხატვრული სტილით ასახა სასახლის ყოფა-ცხოვრება და დარბაისელთა პორტრეტები.

გვ. 493. მასილიონი (1663-1742) _ ფრანგი საეკლესიო ენამჭევრი ორატორი.

გვ. 494. მიუნსტერის ტრაქტატი _ დაიდო 1648 წელს საფრანგეთის მეფეს, შვეციის მეფესა და გერმანიის იმპერატორს შორის. მან დაასრულა ოცდაათწლიანი ომი.

გვ. 496. დორა _ XVIII საუკუნის ფრანგი პოეტი, ელეგანტური და ფრივოლური ლექსების ავტორი.

ბენეფიცია _ საეკლესიო თანამდებობა მნიშვნელოვანი შემოსავლით.

გვ. 497. ბალეტი «მანონ ლესკო» _ ეს ბალეტი პარიზში 1830 წლის 3 მაისს დაიდგა. ლიბრეტო დაწერა სკრიბმა (1791-1861) მარსელ პრევოს (1697-1763) ცნობილი რომანის მიხედვით; მუსიკა ეკუთვნის ალევის (1799-1862).

გვ. 533. ლუი XI (1429-1483) _ საფრანგეთის მეფე. მან გააერთიანა სახელმწიფო და ებრძოდა ფეოდალთა ლიგას; ხელს უწყობდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას; მკაცრი ხასიათი ჰქონდა და ძალზე ეჭვიანი კაცი იყო.

გვ. 534. ...გიგზავნით ჰუსართა ლეიტენანტის სიგელს ბ. კავალერ ჟიულიენ სორელ დე ლავერნესათვის _ როგორც ამ ფრაზიდან ჩანს, მარკიზს,

როგორც მეფესთან და სამინისტროსთან დაახლოებულ კაცს, მოუხერხებია ჟიულიენისათვის აზნაურის წოდება მიენიჭებინათ და ის არისტოკრატულ სამხედრო ნაწილში დაენიშნათ.

გვ. 552. დე ლავალეტი (1769-1830) _ ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც რესტავრაციის დროს სიკვდილი მიუსაჯეს იმისათვის, რომ მან კუნძულ ელბიდან დაბრუნებულ ნაპოლეონს ხელი შეუწყო საფრანგეთში შესულიყო. ლავალეტი სატუსაღოდან გაიქცა ცოლის დახმარებით, რომელმაც ნახვის დროს ტანისამოსი შეუცვალა.

გვ. 565. შარლ IX და ანრი III _ საფრანგეთის მეფეები XVI საუკუნეში, ეკატერინე მედიჩის ვაჟები, რომელთა მეფობის დროს საფრანგეთში რელიგიური ომები წარმოებდა.

გვ. 566. ფრონდა _ სოციალ-პოლიტიკური მოძრაობა საფრანგეთში XVII საუკუნეში, მიმართული აბსოლუტიზმისა და რიშელიეს რეფორმების წინააღმდეგ. თავდაპირველად მას პარიზის ბურჟუაზია ხელმძღვანელობდა, შემდეგ _ მსხვილი ფეოდალები. ფრონდა კარდინალმა მაზარინიმ დაამარცხა.

დე შევრეზი, მარი (1600-1679) _ არისტოკრატი ქალი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფრონდაში და რიშელიესა და მაზარინის წინააღმდეგ მოწყობილ ყველა შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა.

დე ლონგევილი, ანა (1619-1679) _ არისტოკრატული წარმოშობის ქალი. მანაც დიდი როლი შეასრულა ფრონდაში.

გვ. 570. ჩამოცილებული ლიბერალი _ 1827 წელს დეპუტატთა პალატაში არჩევნების დროს მემარჯვენეთა ერთი ჯგუფი მემარცხენე ოპოზიციას შეუერთდა. მათ ეწოდათ «ჩამოცილებულნი». ახალი პალატა შედგებოდა 180 ლიბერალური ოპოზიციის, 160 მემარჯვენეთა და 80 «ჩამოცილებული» დეპუტატისაგან.

გვ. 579. ...მე მეცოდინება, რა ვიფიქრო უდიდეს ეგებისობაზე _ ფრანგმა მწერალმა ფრანსუა რაბლემ (1494-1553), «გარგანტუას და პანტაგრუელის» ავტორმა სიკვდილის წინ თქვა: მივდივარ უდიდესი ეგებისობის საძებნელადო.

გვ. 581. ფენელონი, ფრანსუა (1651-1715) _ ფრანგი ღვთისმეტყველი, უტოპიური რომანის «ტელემაქეს» ავტორი. ამ რომანში ის პატრიარქალური სამეურნეო სახელმწიფოს იდეალს იცავს, ინდუსტრიულ-სავაჭრო სახელმწიფოს კი გმობს.

როტრუ, ჟან (1609-1650) _ ფრანგი დრამატურგი. მისი დრამის გმირი მეფე ვანსესლასი ვალდებულების კარნახით შვილს ეშაფოტზე გზავნის. სტენდალი დიდად აფასებს ამ დრამას.

გვ. 586. «ბელფეგორი» _ ლაფონტენი «ბელფეგორში» გესლიანად დასცინის აბეზარ ცოლს: სატანამ ქაჯი ბელფეგორი დედამიწაზე გამოგზავნა ცოლქმრობის გასაცნობად. ქაჯმა ცოლი შეირთო, მაგრამ მალე მას ისევ ჯოჯოხეთში გაექცა.

გვ. 597. ...მისი პროკლამაცია რომის მეფის სასარგებლოდ წმინდა წყლის თაღლითობაა _ ნაპოლეონი 1815 წელს ვატერლოოს დამარცხების შემდეგ ტახტიდან გადადგა თავისი ვაჟის სასარგებლოდ. ამ უკანასკნელს რომის მეფის ტიტული ჰქონდა.